ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

სახელდახელონი



ესეები
დეკეშები
ჩანახატები
მონახაზები
რეცენზიები
შეხმიანებანი
გამოხმაურებანი

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2021

რედაქტორი
ნანა კუცია

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-3361-8
© როსტომ ჩხეიძე, 2021

სახელთა ფოიერვერკად

(წინათქმის მაგიერ)

ისე მოხდებოდა, რომ ორი წელი ძალიან ჩავეფლობოდი საფეისბუქო ჩანაწერებში, რამდენიმე ციკლი რომ ამოვიდოდა ამ თითქმის ყოველდღიური მიჯაჭვულობიდან ფეისბუქთან.

ლექსები პროზად: „მთვარის ნაპერწკლები“.

სიუჟეტები კრიტიკოსთა, და მსახიობთაც: „რომელთაც ძლიერ უყვართ ლიტერატურა“.

მონახაზები, ჩანახატები და ესეები თარგმანსა და მთარგმნელებზე: „ცეცხლისპირული ჩაფიქრებანი“, საკმაოდ მოზრდილი რომ გამოვიდოდა, 500 გვერდზე მეტი

და

ლიტერატურული დეპეშების, შეხმიანებების, გამოხმურებებისა და რეცენზიების კრებული „სახელდახელონი“, 600 გვერდისთვისაც რომ უნდა გადაეჭარბებინა.

ეს უმეტესწილად ქართული თემატიკით უნდა შემოფარგლულიყო, თუმც შიგადაშიგ თარგმანებსაც უნდა შევხმიანებოდი. და „ცეცხლისპირული ჩაფიქრებანისა“ არ იყოს, უმთავრესად კვალდაკვალ მივყოლოდი სამწერლო პროცესის მდინარებასა და სიახლეებს, თუმც ზოგიერთი ცოტა ადრინდელი გამოცემაც უნდა გამეხსენებინა.

თითქოს ისეთიც რა უნდა იყოს ან ლიტერატურული დეპეშა და სადღეგრძელოს მაგიერი, მაგრამ თუკი ზოგად შეფასებას გაერიდები და შეეცდები მოკლე ჩანაწერშიც რაიმე ნიშანდობლივსა და არსებითის თქმას, აღმოჩნდება, რომ ეს შეხმიანება მხოლოდ წამიერ მოვლენად არ უნდა დარჩეს და თავისი ადგილი, და საკმაოდ კოლორიტულიც, ეკუთვნის სალიტერატურო კრიტიკის მრავალფეროვანი გამოვლინებისას.

ამხელა წიგნს არ მოველოდი, თუმც პატარა-პატარაობით ამასობაში ვეებად უნდა წარმომდგარიყო.

უკვე უნდა მომეთავებინა ამ სახელწოდებით.

და თუ ჯერ არ გავბეზრებულვარ ამ ყაიდის ჩანაწერებით, როგორც „ცეცხლისპირული ჩაფიქრებანის“ შემდგომ ნელ-ნელა შევყევი თარგმანსა და მთარგმნელებზე იმავე აღნაგობის ახალ ციკლსაც „მთვარის ანარეკლები ტბაში“, შესაძლოა „სახელდახელონიც“ შემდგომ ახალ ციკლად გარდაისახოს: „კანტიკუნტად“.

თუმც ეს მაინც ხვალის საკითხავია.

ჯერჯერობით კი „სახელდახელონი“ იკვრის წიგნად – თავისი უამრავი პერსონაჟით, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრება.

და სახელთა ამ ფოიერვერკმა - დაე ასე გამთლიანებულმაც - იტრიალოს ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში.

გიორგი ლობჟანიძის მეცხრე კარი

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩვენ ყველას გვეგულება თუ გველოდება სადღაც შორს, სადღაც იქით ჩვენ-ჩვენი მეცხრე კარი, რომლის მიღმაც ხელახლა შობის მისტერიაც შეიძლება განვიცადოთ.

მაგრამ არ გინდა იქამდე მიღწევა, არამცთუ მისი ზღურბლის გადალახვა?!.

ვინ პირველივე კარში გავეჩხირებით...

ვინ მეორე და მესამე კარსაც გავივლით, თუმცა...

ვინ მეშვიდე კარსაც გაბედულად შევაღებთ, მაგრამ...

გიორგი ლობჟანიძეს ამ ექვსი წლის წინათ ისეთი შეგრძნება უნდა გასჩენოდა, თითქოს მეცხრე კარის წინაშე იდგა.

რეალური უნდა ყოფილიყო ეს განცდა თუ მოჩვენებითი?

გამოჩნდებოდა, უსათუოდ გამოჩნდებოდა.

და აი, კიდეც უნდა დაეწყო დაჟინებული კაკუნი ახალი და ახალი ლექსებით, რომლებიც დიდი დაყოვნებით, ჟამიდან ჟამზე იქმნებოდა — დიდი სულიერი ფორიაქისა და ტკივილების, მტანჯველი ფიქრის ქურაში გამოვლის შემდეგ.

ამასობაში უნდა გამოკვეთილიყო ახალი პოეტური კრებულის ხერხემალი და საბოლოოდ ასხმოდა ზედ ამ წლების სულიერი მონაპოვარი, ის არაორდინარული რეალობა, რომელსაც უნდა დარქმეოდა „სიზმრის ნანგრევებში“ და... გაძლიერებულიყო კაკუნი...

და თუმც კრებულში უმეტესწილად ტრიალებს სწორედაც სიზმრის ნაფლეთები, ხშირად ჩნდებიან ლანდები და მოჩვენებანი, ის შეგრძნება პოეტისა არ აღმოჩნდებოდა მოჩვენებითი და...

კიდეც უნდა გადახსნილიყო ის ნანინანატრი სამყარო... მითუმეტეს რომ მისი გასაღები ყველაზე უმანკო ხელს უნდა მიეწოდებინა — პატარა ლილიკოს.

ნანინანატრი სამყარო — სულიერი ლაბირინთის მეცხრე კარი...

როგორ არ წამოგიტივტივდეს გურამ დოჩანაშვილისებური:

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი მეცხრე კარი, მაგრამ ხანდახან არ ვიცით ხოლმე.

ხოლო ვინც იცის...

ხოლო ვინც იგრძნობს...

ხოლო ვინც ამ გადახსნილი კარის წინაშე იმყოფება...

ჰოი რამდენი რამ გამოჩნდება ამ ახალ პოეტურ კრებულში შენთვისაც, მკითხველად ვისაც მოგაქვს თავი, პოეტური სიზმრის ნანგრევები რომ შემოგეშველება შენს ფიქრებსა და ზმანებებში...

სიყვარულის მონოლოგი პოეტის მიმართ

(ეკა კვიციანის არაორდინარული დებიუტი)

ეკა კვიციანის პოეტური კრებული „სხვისი სახლი“ კიდევ ერთხელ და თვალნათლივ გვიდასტურებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წიგნის მთლიანობასა და მრავალფეროვნებას.

არაერთხელ გავმხდარვართ მოწმე, რა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ამა თუ იმ პოეტის ცალკეული ლექსები თუ საგაზეთო ან საჟურნალე პუბლიკაციები, მაგრამ... კრებულად შეკვრისას შთაბეჭდილება აშკარად ნელდება და მკრთალდება, რადგან თავს იჩენს მონოტონურობის, ერთფეროვნების საფრთხე.

პოეტური კრებული არ არის ლექსების ჯამი, თორემ მაშინ კარგი ლექსებისაგან კარგი წიგნიც შედგებოდა. არადა ერთფეროვნების პირობებში გოდება უკვე ღნავილში გადადის, სულიერი დღესასწაულის შეგრძნება კი — ტაშფანდურაში.

„სხვისი სახლი“ სწორედ სანიმუშო კრებულია და ჩინებული ლექსები ჩინებულ წიგნადაც შეიკრა მრავალფეროვნებისა და კომპოზიციური მიწესრიგებულობის წყალობით, ასერიგად რომ გააძლიერა კრებულის შინაგანი მთლიანობა და გამოჰკვეთა ეკა კვიციანის ლირიკული სამყაროს კონტურები, თავისებური და თვითმყოფადი, აღსავსე სიწრფელითაც და დახვეწილი პოეტური ტექნიკითაც.

ამ დამსახურებას — პოეტთან ერთად — უთუოდ ინაწილებენ რედაქტორი ნინო სადღობელაშვილი და გამომცემლობა „ინტელექტი“, რომელთა ხელდასხმითაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ ლიტერატურას ვეცნობით, განსაკუთრებით კი აღ-

სანიშნავია „ინტელექტისა“ და მისი რედაქტორების ზრუნვა ახალი თაობის დასამკვიდრებლად სამწერლო ასპარეზზე, ღირსეული სახელების წარმოსაჩენად და მათთვის ყველაზე ბუნებრივი მდინარების შესაქმნელად.

„სხვისი სახლი“ ერთ იშვიათ დებიუტთაგანია, ეკა კვიციანის ის თამამი განაცხადი, ამიერიდან უიმისოდ წარმოუდგენელი რომ იქნება ჩვენი სალიტერატურო ცხოვრება. კრებული, რომელშიც სვანური მოტივები — ხალხური პოეტური აზროვნებითა თუ რწმენა-წარმოდგენებით შთაგონებული — არა გარეგნულ კოლორიტად, არამედ სწორედ სიღრმისეულად არის გაბნეული ნიგნში.

მის კომპოზიციურ ქარგასა და მხატვრულ-იდეურ საყრდენს კი შეადგენს სიყვარული: მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და განფენილობით მიწიდან ზეცამდე და ზეციდან მიწამდე.

ნინო სადღობელაშვილისა არ იყოს:

— ბევრს წერს სიყვარულზე, მაგრამ სიყვარული და პოეტი იშვიათად ცვლიან როლებს. ეს მხოლოდ მაშინ, როცა პოეტები რაიმე მსხვერპლზე მიდიან, როცა ეს გარდასახვა რაღაცის ფასად ხდება. ეკა კვიციანის პოეზიაშიც უფრო სიყვარულის მონოლოგია პოეტის მიმართ, პირველ პირში სწორედ სიყვარული ლაპარაკობს და არა პოეტი.

სხვისი სახლის მეტაფორა თანდათან უნდა გარდაისახოს მკითხველისათვის შინაურ გარემოდ, თავშესაფრადაც და სულის მოსათქმელადაც და ძალდაუტანებლად გაჰყვეს პოეტს იმ გადმოსახედზე: ათასჯერ მოვკვდი სინანულით და ყველა ჯერზე მიყვარდით ყველა, ვინც ამ სახლთან ჩამოიარეთო“.



ეს ჩვენი სტრატეგია

(ზაზა ბიბილაშვილის მახვილგონივრული სტრიქონი)

ჩვენი დღევანდელი დღის შემყურეს, გულისმომკვლელისა და თავზარდამცემი რეალობის, ხან რომელი ფრაზა და სტრიქონი ამეკვიატება და ხანაც რომელი, ამ ბოლო ხანს ზაზა ბიბილაშვილის ეს ორი სტრიქონი რომ არ მეშვება ლექსიდან „ვუდუმისტერია“:

და სტრატეგიად იქცა
ჩაფლავებული ტაქტიკა...

ეს სტრიქონები და ეს ლექსი შესულია პოეტის ბოლოდროინდელ კრებულში „ფაზლი“ („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო“, 2018), რომელიც ერთი საუკეთესო წიგნია თავისი სიცინცხალითა და მხატვრული კულტურით, თავისი უზომო ტკივილითა და სევდით და უზღვავი იუმორითა და სიხალისით, თავისი ტრაგიზმითა და დრამატიზმით და თავისი მჩქეფარებითა და პატარ-პატარა აფეთქებებით... ერთიერთმანეთს მოხდენილად რომ ერწყმის თუ ენაცვლება.

ნუგზარ ზაზანაშვილს არ გამორჩენია ამ კრებულის გამორჩეულობა, თვითონაც ჩინებულ პოეტს და ამავე რანგის ესეისტსა და მკვლევარს, და პროფესიული რეცენზიაც მიუძღვნა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე.

კრებულის გვირგვინი მაინც ის ლექსია: „მამაო ჩემო“ — მონაპოვარი ბოლოდროინდელი ქართული პოეზიისა, ამ მხატვრული ძალის ლირიკული ქმნილება თითებზე რომ ჩამოითვლება ამ წლებში.

ამ ლექსს ცალკე და საგანგებო ანალიზი ესაჭიროება, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ, რომ ერთი სტროფი არ გავიმეორო:

და მიყვები, მამა, რომ -
ქვები ნაყოფს მოისხამენ,
და მიყვები, მამა, რომ -
აქ მზიანი მოდის ღამე,
და მიყვები, მამა, რომ -
კარგ ადგილზე მომიყვანე,
შენ, ყველაზე კარგო და
შენ, ყველაზე მაგარო.

კიდეც ჩამოვთვლიდი, ვის ან როდის მოვრიდებივარ, მაგრამ... აზრს ველარა ვხედავ. 12 ადამიანის გარდა (მათგან ერთის გულწრფელობა ცოტა კი მეეჭვება!) არავის აინტერესებს, რას ვფიქრობ, რა მაწუხებს, ხან რა მახარებს კიდევ.... იმ თორმეტს კი კარგად მოეხსენება ეს ყოველივეც და ლირიკულ ნიმუშთა ეს ჩემეული ჩამონათვალიც....

მთავარი კი ამჯერად მაინც ისა:

რომ სტრატეგიად გვექცა ჩაფლავებული ტაქტიკა...

სიზმარ-ცხადის გასაყარზე

(დეპეშად ნინო სადღობელაშვილს)

ნინო,

ეს რა კარგი ნოველა წამაკითხე ჩვენი საყვარელი „ლიტერატურული გაზეთის“ ამა წლის 20 სექტემბრის ნომერში: „ქუთუთოების სიზმარი“.

შენებური ფაქიზი ჩაღრმავებითა და ნახევარტონებით, სიზმარ-ცხადის გასაყარს რომ მოუხდებოდა და ერთხელ კიდევ განგვაცდევინებდა ცხინვალისა და შიდა ქართლის ტრაგედიას, ოსტატურად ჩამოქნილი წვეთი ზღვას რომ აირეკლავდა და ერთი ოჯახის მწარე ხვედრი მთელს ჩვენს ქვეყანას გადაწვდებოდა.

შენგან გაკვირვებით რა გამკვირვებოდა.

მიხარია მხოლოდ ქართული ნოველისტიკის ეს კიდევ ერთი წარმატება.

არაბი პოეტის ტკბილქართული

(დღიურის ფურცლებიდან)

როდესაც ჩავამთავრე თანამედროვე არაბი პოეტის აჰმედ ალ-მულას ჩინებული ლექსის „მონა თავისი ბატონის სამოსელში“ გიორგი ლობჟანიძისეული თარგმანი, ფეისბუქში გამოდებული, ძალდაუტანებლად წამომიტივტივდნენ შოთა რუსთველიც და მისი ავთანდილიც — არაბეთის სპასპეტი, რომელიც ტკბილქართულით ლაპარაკობდა.

ვისაც მოეხსენებოდა, რომ „ქართული“ რუსთველისდროინდელ ენაში „სიტყვის“ სინონიმი გახლდათ, არც უკვირდათ ავთანდილის ტკბილქართული უბნობა, მაგრამ ვისთვისაც უცნობია ეს სინონიმურობა, უკვირთ და ვერ აუხსნიათ, ეს არაბი ჭაბუკი ტკბილქართულად რანაირად შეიძლება ლაპარაკობდეს.

ამ ვითარებამ ნოდარ დუმბაძეს ასეთი გონებამახვილური ხუმრობა მოაფიქრებინა:

ავთანდილს ან დედა ჰყავდა ქართველი, ანდა არაბეთის სკოლებში მაღალ დონეზე იყო დაყენებული ქართული ენის სწავლებაო.

ხუმრობა ხუმრობად და:

თვით მათ თვალშიც, „ქართული“ და „სიტყვა“ სხვადასხვა ცნებები ვისაც ჰგონიათ, ამ თარგმანის წაკითხვის შემდეგ აღარ უნდა დაისვას კითხვა:

როგორ შეიძლება ავთანდილი ტკბილქართულით მეტყველებდესო?!.

აჰმედ ალ-მულა სწორედ ისეთი ტკბილქართულით მეტყველებს გიორგი ლობჟანიძის მასწავლებლობის წყალობით, მისი ტკბილქართული მარტო რუსთველსა და მის ავთანდილს არ შეეხარბებათ.

გარეგნულად თითქოსდა მშვიდი განწყობილება, მაგრამ სინამდვილეში მძაფრი სულიერი ქარტეხილები სწორედ შესაფერის სტილურ-ენობრივ სამოსელში გამოხვეულა და ღრმა შთაბეჭდილებასაც ამიტომ ახდენს. არაბი პოეტი თავის საფიქრალსა და სატკივარსაც გვიზიარებს და ამავდროულად ჩვენს სატკივარსა და საფიქრალსაც ღაღადებს.

მოუთმენლად მოველი აჰმედ ალ-მულას ტკბილქართული ლექსების სხვა ნიმუშებსაც და მის პოეტურ კრებულსაც ჩვენს ენობრივ სივრცეში.

მინაწერი:

აჰმედ ალ-მულას პოეტური რკალი „ახალი საუნჯის“ ფურცლებზე (2019, №6) რომ გამოქვეყნდებოდა, რედაქტორი შოთა იათაშვილი შემომთავაზებდა, რომ ამ პუბლიკაციას ეს შეხმიანებაც ჩართვოდა, რასაც სიამოვნებით დავეთანხმებოდი.

ახალი კალაპოტიც გაიჭრება

(ლელა სამნიაშვილი - „ჰამლეტის“ ახალმთარგმნელი)

თუ ვინმემ, თქვენმა მონა-მორჩილმაც იმთავითვე შენიშნა და აღნიშნა კიდეც ლელა სამნიაშვილის გამორჩეული ნიჭიერება — როგორც პოეტისა და მთარგმნელის. და არაერთხელაც გამოვხმაურებივარ მოწონებით მის წიგნებს, ორიგინალურსაც და თარგმნილსაც.

თუმც მაინც სასიამოვნოდ გამაოცა და გამახარა იმ ფრაგმენტების გაცნობამ, ლელამ თვით უილიამ შექსპირის „ჰამლეტს“ რომ შებედა გადმოსაქართულებლად. წარმატება და ასეთი?!.

ამ ფრაგმენტებმა მიმახვედრა, რომ ლელამ მიაგნო ახალ გასაღებს ამ ურთულესი პიესის ასამეტყველებლად ჩვენს ენაზე, იმას, რისკენაც მოუწოდებდა თავის სტუდენტებსა და აღზრდილებს ერეკლე ტატიშვილი:

ივანე მაჩაბლის პოეტურ საზომსა და რიტმიკაში რომ არ ჩაკეტილიყვნენ და სხვა სივრცე ეძიათ.

მაინც ბოლო დრომდე შექსპირის ტრაგედიებისა და კომედიების თარგმნა ერთ კალაპოტში მიმდინარეობდა — ივანე მაჩაბლის ტრადიციის ჩარჩოებს არა სცილდებოდა. ამ ჩარჩოებში მეტად მნიშვნელოვანი მიღწევების მხილველნიც შევიქენით — რად ღირს ჯერ მარტო ვახტანგ ჭელიძის მიერ გადმოქართულებული ცხრა პიესა — მაგრამ უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც ეს ჩარჩოები გაირღვეოდა და ახალი თაობები ახალ „ჰამლეტსა“ და ასევე ახალ სხვა შექსპირულ პიესებსაც გაეცნობოდნენ.

და აი ლელა სამნიაშვილმა გაარღვია ეს ჩარჩოები.

ეჭვი არ მეპარება, ახალი ქართული „ჰამლეტი“ იმ დიდებულებით დაგვირგვინდება, რასაც გვპირდება ამ რამდენიმე ფრაგმენტის გაცნობა. და ეს უკვე იქნება სხვა განზომილება, სხვა სივრცე და სხვა სიმაღლე.

და ახალი კალაპოტიც გაიჭრება, ძალიან რომ შეაგულიანებს სხვა მთარგმნელებსაც.

მზის იდუმალი შუქით

(ბექა ხუცურაულის პირველი გამოფენა)

ბექა ხუცურაულის პერსონალური გამოფენა — ასეთი წარმატებული დებიუტი!

თელავქალაქობის ერთ-ერთი მომხიბლავი შტრიხი, საერთოკულტურული მოვლენა.

გამოფენა კომპოზიციურად კარგად იყო გააზრებული და შეკრული და ამიტომაც წარმოჩნდა ასე კარგად თითოეული ნახატის ღირსებანი.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამმა ნიმუშმა როგორც კომპოზიციის სამმა საყრდენმა: „წითელი მოცხარი“, „მთავარანგელოზი“ და „მზის ჩასვლა ჭალაში“.

და მთელი გამოფენაც მზის იდუმალი შუქითა და მადლით იყო განათებული.

პ.ს.

ამ სამ ნახატს შეგნებულად არ ვდებ ფეისბუქზე, რათა თქვენ თვითონვე ნახოთ ადგილზევე, თელავის ისტორიულ მუზეუმში, და გამოფენითაც დატკბეთ და შემოდგომის თელავითაც და კახეთითაც.

ლირიკულ შედევრთა შენამატად

(ანი კოპალიანი და ტომას სტერნზ ელიოტის კატები)

არ აკლია ქართულ ლიტერატურას ლირიკული შედევრების არც შესანიშნავი თარგმანები და არც ის მონაპოვარი, მთარგმნელობითი ხელოვნების იშვიათ ნიმუშთა გვერდით რომ იკავებენ ადგილს, ამ წუთას თვალსაჩინოებისათვის თუნდ მხოლოდ გრიგოლ აბაშიძის პეტეფი და თამარ ერისთავის ბერნსიც რომ გავიხსენო.

და განსაკუთრებით სასიხარულოა, როდესაც ეს იშვიათი მონაპოვარიც კი ივსება ახალი მთარგმნელობითი შედევრებით.

სხვა განცდა და შთაბეჭდილება არც დაგრჩება, როდესაც თვალს მიადევნებ ანი კოპალიანის მიერ ქართულად ამეტყველებულ ლირიკულ ციკლს ტომას სტერნზ ელიოტისა: „ბებერი ოპოსუმის წიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“, აგერ სულ ახლახან ერთ-ერთი ნიმუში „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე რომ გამოქვეყნდა, და გარდა ამ გამოცემისა, „ახალმა საუნჯემ“ და „ლიტერატურულმა საქართველომაც“ გააცნეს მკითხველს ეს მძაფრი ირონიითა და ტრაგიზმით აღბეჭდილი ხილვები, ღმერთსმოკლებული სინამდვილის კიდევ ერთი გამოგლოვება.

ანი კოპალიანის ლიტერატურულ-მთარგმნელობით ნაღვაწს — საყმაწვილო წიგნებისა და რომანების საკმაოდ შთამბეჭდავ სიას — განსაკუთრებულად ამშვენებს ნათანიელ ჰოთორნის კლასიკური ქმნილება „ალისფერი დამღა“ და მარგარეტ ეტვუდის (ნობელის კომიტეტი კონიუნქტურული მოსაზრებებით რომ არა ხელმძღვანელობდეს, კი უნდა იყოს ეს ქალბატონი ამ პრემიის ლაურეატი!) „მხევლის წიგნი“.

ტომას ელიოტი სულ უფრო მკვიდრდება ჩვენს ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში. მისი ესეების ერთი ნაწილიც ხელმისაწვდომია და თემურ კობახიძის მრავალმხრივ მნიშნელოვანი მონოგრაფიაც „ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა“, იქ კიდევ პიესის „მკვლელობა ტაძარში“ და პოემის „ბერწი მიწა“ რამდენიმე თარგმანი, ზვიად გამსახურდია რომ დაუდებდა სათავეს ამ პოემისა და კიდევ რამდენიმე ლირიკული ნიმუშის გადმოქართულებასაც.

და ამ წრეში — წარმატებული ლირიკული თარგმანებისა — უნდა გამოჩენილიყო ანი კოპალიანის სახელიც, და თუმც „ბებერი ოპოსუმის წიგნი პრაქტიკული კატების შესახებ“ ჯერ მხოლოდ ნაწილობრივაა წარმოდგენილი, უკვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ახალი ტალღის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა მთავარ ძარღვსა და გულისგულს რომ მიაგნო სახელოვანი ანგლო-ამერიკელი შემოქმედისა, ახალი დროის დანტესი, და რაღაც განსაკუთრებულის მხილველნი შევიქნებით, როდესაც „ინტელექტი“ ცალკე წიგნად შემოგვთავაზებს ამ ლირიკულ ციკლს.

ისე ეტყობა, ეს გამოცემა მოვლენა უნდა იყოს ჩვენს მწერლობაში.

და შეგვეძლება კიდევ ერთხელ შეველიმილოთ შარლ ბოდლერს, პოეზიის მეტრსა და სიმბოლიზმის მამას, რომელსაც არა სჯეროდა, თუ ოდესმე მოხერხდებოდა ლირიკული შედევრის თარგმნა სრულფასოვნად, ახალ ენობრივ გარსშიც რომ შეენარჩუნებინა მხატვრული ძალმოსილება.

ისე რა გაუმართლა ბებერ ოპოსუმს!

პრაქტიკულ კატებსაც რა გაუმართლათ!..

არ დაიჯეროთ ლირიკის უთარგმნელობა

(სია, რომელიც კვლავაც შეივსება)

„ლიტერატურულ გაზეთში“ ფედერიკო გარსია ლორკას „სხვისი ცოლის“ დავით წერედიანისეული თარგმანი რომ გამოქვეყნდა, ლიტერატურაში გათვითცნობიერებულ ადამიანებს ძალდაუტანებლად წამოაგონდათ ამ ლექსის თამაზ ჩხენკელისეული თარგმანი და — რა გასაკვირია — ერთიმეორეს რომ შეუდარეს, ამ შედარებას კი ლიტერატურულ კულუარებში კამათიც მოჰყვა: ზოგი ამ ახალ თარგმანს ამჯობინებდა, ზოგი — იმ დაუძველებელს, ზოგიც ორივეს ერთნაირი ძალის ვერსიად მიიჩნევდა. ერთი სიტყვით: პუბლიკაციამ სასიამოვნო აჟიოტაჟში ჩაიარა.

ეს ყოველივე ამბად თუ მიაღწევს დავით წერედიანის ყურამდეც, ალბათ გურამიშვილურად ჩაიღიმებს: ჯავახიშვილს გამაჯიბრეს, მოშაირეს ჩემებრ ცუდსაო.

და ბარემ აქვე:

ამას წინათ ტომას სტერნზ ელიოტის „კატების“ ციკლის ანი კოპალიანისეული ვერსია რომ შევაფასე, როგორც უკეთესთა შორის უკეთესი მონაპოვარი თითქოსდა უთარგმნელი ლირიკისა, ამ მიღწევათა შორის ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში ორი ნიმუში გამოვყავი:

გრიგოლ აბაშიძის პეტეფი და თამარ ერისთავის ბერნსი.

და აი არაერთმა ლიტერატურის მოყვარულმა მთხოვა, ეს სია გამეგრძელებინა. და აჰა იყოს ნება მათი:

აკაკი წერეთლის კრილოვი

პაოლო იაშვილის პუშკინი

თამაზ ჩხენკელის ბო ძიუ-ი, უიტმენი და თაგორი
გივი გაჩეჩილაძის შექსპირი
რევაზ თაბუკაშვილის შექსპირი
გივი გეგეჭკორის აპოლინერი
ვახუშტი კოტეტიშვილის ხაიამი და ჰაფეზი
დავით წერედიანის ვიიონი და გოეთეს „ფაუსტის“ ლირიკული პასაჟები
ჯემალ აჯიაშვილის ჰალევი და დანტე
ჯემალ ინჯიას ესენინი
ქარდა ქარდუხის მასტერსი
გიორგი ლობჟანიძის რუმი, სეფეჰრი და ფაროხზადი

ცალკეული ლექსების შედევრული თარგმანებიც მოგვეძებნება და საკმაოდაც, მაგრამ ეს უკვე სხვა სამსჯელო-შესაფასებელია და ერთი მშვენიერი პოეტური კრებული შესაძლოა მათითაც შედგეს.

იქ არც კონსტანტინე ჭიჭინაძე გამოიტოვება, არც გიორგი ძიგვაშვილი, არც ალექსანდრე საჯაია, არც მურმან ლებანიძე, არც მედეა ზაალიშვილი, არც ზურაბ კიკნაძე, არც გივი შაჰნაზარი, არც გიორგი ნიშნიანიძე, არც ზეზვა მედულაშვილი, არც რაულ ჩილაჩავა, არც ნომადი ბართაია, არც მანანა გიგინეიშვილი, არც ზვიად გამსახურდია, არც რენე კალანდია, არც ბადრი თევზაძე, არც ალექსანდრე ელერდაშვილი, არც თამაზ ბაძაღუა, არც გიორგი გოკიელი, არც კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი, არც გია ჯოხაძე, არც ლელა სამნიაშვილი, არც...

ახლა ამ სიას ნუღა მომთხოვთ, საჩხრეკ-საფიქრალი ისედაც არ მაკლია.

მარილი ქვეყნისაი

(გლოვის წუთებიდან)

დავით წერედიანის გამოსვენებასა და დაკრძალვას არ დასწრებია იმდენი ხალხი, ამ რანგის ტალანტს, ამ დამსახურებების კაცს რომ შეჰფეროდა.

სამაგიეროდ ეს გახლდათ ნარჩევი საზოგადოება, ის ადამიანები, იესო ქრისტე „მარილს ქვეყნისას“ რომ უწოდებდა. და ამიტომაც მთელს გზაზე — სიონის ტაძრიდან მახათას ძვალშესალაგამდე — გონებაში სახარების ეს სტრიქონები მიტრიალებდა:

— თქვენ ხართ მარილი ქუეყანისაი; უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაითა-მე დაიმარილოს?

ირაკლი სამსონაძის ტრილოგია

(ბოლოდროინდელი ქართული რომანისტიკა თვალის შევლებით)

ირაკლი სამსონაძის „ქელეხი ქარში“ და „ქორწილი ქარში“ დილოგიას უფრო ქმნის, ვიდრე ორნაწილიან რომანს, დილოგიის მთავარი ძარღვი კი მეორე რომანი თუ ნაწილი უფროა, ხოლო პირველი რომანი თუ ნაწილი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ანეკდოტურ ამბავზე მინიატურა თუ ნოველა შეიძლება აიგოს, თორემ უფრო ვრცელ თხრობას ისერიგად ვეღარ გაწვდება. ამიტომაც იყო, რომ გინდ გი დე მოპასანს არასოდეს წაცდენია ხელი, ანეკდოტისაგან მოთხრობა ამოეზარდა, თორემ ნოველა — რამდენიც გნებავს.

მთლიანად კი ირაკლი სამსონაძის ეს ეპიკური თხზულება საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ავტორის დაუშრეტელი იუმორის, ირონიის, გროტესკის გამოისობით, და კიდევ იმ სატირული ფერებისა, რომელიც უფრო მეორე ნაწილში იჩენს თავს.

რაც შეეხება ტრილოგიას — „ყურთბალიში“, „ლეას საათი“ და „ღრუბელი, სახელად დარინდა“ — ეს უკვე ის მოვლენაა, ახალი ასწლეულის მეორე ათწლეულის ქართული რომანისტიკის მონაპოვრად რომ უნდა მივიჩნიოთ. და ადგილი მივუჩინოთ ამ რომანების გვერდით:

ნაირა გელაშვილის „...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“

ლაშა თაბუკაშვილის „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“

მიხეილ ანთაძის „სიცილია გვალვაში“

ელგუჯა თავბერიძის „თოვლი მკათათვეში (რომანი-პამფლეტი თადა აშორდიაზე)“ (მეორე თხზულება დილოგიისა, რომლის

პირველი რომანიცაა „აირევი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება და შეხედულებანი“)

ბექა ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულები“

ჯანო ჯიქიძის „ფარშევანგის სოლო“

ნოდარ მაჭარაშვილის „ავი მუსაიფი“

კარგი რომანი არაერთი შეიქმნა ბოლო ათ წელიწადს, მაგრამ მონაპოვარი მაინც მონაპოვარია!..

ირაკლი სამსონაძის ეს ტრილოგია დავალებულია ოთარ ჩხეიძის „ბორიაყით“, რაც ემჩნევა მის ფონს, განწყობილებასა და ზოგად სტილისტიკას; და მაინც მწერალმა შეძლო ეს ყოველივე თავის ქურაში გამოეტარებინა და ექცია თანადროული ეპოქის ტრაგიზმის ერთ შთამბეჭდავ, გულისშემძვრელ გამოხატულებად, მარადიულისა და წამიერის გადაკვეთაზე მოეხელთებინა ის იდუმალება, რასაც ბოლომდე უნდა გაეშიშვლებინა ჩვენი ამჟამინდელი სატკივარ-სადარდებელიც და ზოგადკაცობრიული საფიქრალიც, ღმერთსმოკლებული სამყაროს ლტოლვა დაკარგული კავშირის აღსადგენად ზეცასთან.

აქამდე ქართულ ლიტერატურაში ორჯერ შეიქმნა ტრილოგია: გრიგოლ რობაქიძისა და გრიგოლ აბაშიძის მიერ.

რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“, ის სამნაწილიანი რომანია და არა ტრილოგია, რაც გულისხმობს სამი რომანის დამოუკიდებლობას — პერსონაჟები გადადიან ერთი თხზულებიდან მეორეში, მაგრამ სამივე მონაკვეთი ინარჩუნებს თავისთავადობას, თავთავის სიუჟეტურ ქარგას დანარჩენების გარეშეც რომ რომანია თვითეული. და აბა „მთვარის მოტაცებიდან“ გამოვაცალკეოთ რომელიმე ნაწილი, თუ ერთბაშად არ დაიშალოს ერთიანი სიუჟეტური ქარგა.

და აი ირაკლი სამსონაძის წყალობით მესამე სრულფასოვანი ტრილოგიაც გვაქვს უკვე ხელთ.

სინათლის კედელთა საძიებლად

(ხიბლი პირველი რომანისა)

ჩემთვის მეტად სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდებოდა ზაზა გაბუნიას „მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან".

უდავოდ წარმატებული დებიუტი რომანისტიკაში.

და ბუნებრივია და ნიშანდობლივი, გამომცემლობა „ინტელექტი" რომ ამოუდგებოდა გვერდით.

მარჯვედ მოძებნილი ფორმა, კარგად გააზრებული და მტკიცედ შეკრული კომპოზიციური ქარგა, გამოკვეთილი ხასიათები, დინამიური, მძაფრი სიუჟეტი, იდუმალებითაც განმსჭვალული და ღრმად გააზრებული და მახვილგონივრული ფინალით დაგვირგვინებული.

საქართველოს სამწლიანი დამოუკიდებლობის დრამატიზმით აღსავსე სურათებს — ამაო ტრიალს ევროპის სახელმწიფოთა კარზე — კიდეც უნდა მოჰყვეს ხელმეორე ოკუპაცია და მეტად მძიმე და პირქუში სცენები, ის გაუსაძლისი ყოფა, საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცეულ ქვეყანას რომ შეჰყურებ და ვეღარც გაგირკვევია, სად სჯობს არსებობა — პატარა კონცლაგერში თუ დიდ კონცლაგერში, მთელს საბჭოეთს რომ გადაწვდება.

მთელი რომანი არის დაუმცხრალი ძიება იმ სინათლის კედლებისა, სამყაროს რომ აკლია.

მის ნაცვლად კი თვალში გეჩხირება ყრუ და ნაცრისფერი კედლები, დაშორიშორების, ბარიკადად აღმართვის, გათიშვისა და შემოსაზღვრისათვის გამოყენებული. და სინათლის ის კედლები მხოლოდ მაშინ უნდა გაცხადდეს გმირის — ტრაგიკული ბიოგრაფიის თათია ანდრონიკაშვილის — თვალთახედვაში მთელი სისავსით, მხედველობას რომ დაუშრეტენ.

მწვავე სცენებსა და სურათებში იჭრება ლირიკული პასაჟები, საბოლოოდ ლირიკულ ნაკადსაც რომ ჰქმნის და ერთგვარად აშოშმინებს მკითხველის აფორიაქებულ სულს — ამდენი უბედურების განმცდელს, საქართველომ რაც გადაიტანა XX საუკუნის პირველ ნახევარში და ასე ხელშესახებად, გულისშემძვრელად და შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი რომანში.

თხრობაში ძალზე ფაქიზად შემოდის გამოჩენილ მხატვართა ნახატთა აღწერილობანიც, ორიოდე მონასმით უშუალოდ რომ ეხმიანება პერსონაჟთა განწყობილებებსა თუ სცენებს და თანდათან თავისებურ მოზაიკადაც გამოიკვეთება, ინტელექტუალური პროზისათვის ნიშანდობლივ პასაჟებად.

მთხრობელი რომ ესწრაფის აღადგინოს კავშირი მსხვერპლთა, ნივთებს, სახელებს, სახეებსა და მეგობრებს შორის, ეს კავშირი სახიერადაა აღდგენილი ზაზა გაბუნიას ამ არაორდინარულ რომანში „მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან", სინათლის კედლებით შემორკალულში.

* * *

დღეს, როდესაც „ინტელექტი" წარადგენს ამ რომანს, არის გამორჩეული დღე არამარტო ერთი კაცის ბიოგრაფიაში, არამედ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ეს არის სწორედაც მთავარი. და მაიმედებს ხილვა იმისა, რომ ამ წიგნის გამოჩენას სიხარულით შეეგებნენ ამ ჟანრში წარმატებული მწერლები ახალი ტალღისა: ნინო სადღობელაშვილი, გურამ მეგრელიშვილი და ზვიად კვარაცხელია.

ეს არის უდავოდ გამორჩეული რომანი და ვერ დაიჯერებს ადამიანი, ვინც წაიკითხავს „მონოლოგს სარწეველა სავარძლიდან", რომ ეს მხოლოდ დებიუტია, პირველი რომანი. არადა მართლაც დებიუტია, რომელსაც ეტყობა საკმაო გამოცდილება, შინაგანი დუღილი წლების მანძილზე, ფართო განათლება, ისტორიის ძალიან კარგი ცოდნა და ეს ყველაფერი შთამბეჭდავ მხატვრულ ქარგაშია მოქცეული.

სახიფათოა ხოლმე, როცა რომანს კიდებენ ხელს დრამატულ ეპოქაზე რომ არ გადაწონოს თხრობის ოსტატობა ამბებმა, და აქ მხატვრული ფორმა არის სწორედ მთავარი და ქარგა მარჯვედ მიგნებული.

ამ რომანში საკმაო მონაკვეთი რომ ეძღვნება დამოუკიდებლობის წლებს, კიდევ უფრო მეტი შემდგომ 20-იანს და 30-იანს.

რომანში აღწერილია ის ამბები, ის შიში, ის ტერორი, რომელიც იმჟამად ხდებოდა. აღწერილია, თუ როგორ გადადის განწყობილება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგების ეიფორიიდან, სიხარულის ეიფორიიდან დრამატიზმსა და ტრაგიზმში, როგორ ეცემა ერთბაშად ასე ამაღლებული განწყობილება.

პერსონაჟთა ხასიათები არის შესანიშნავად გამოკვეთილი, ორიგინალურად ჩაფიქრებული, და ფორმა, როგორც ითქვა, ძალიან მარჯვედ და კარგად მოძებნილი.

დეტექტიური ყაიდისაა თხრობა, იდუმალებით მოცული და დამუხტული და ბოლო წუთამდე ელი, თუ როგორ უნდა გაიხსნას და... ეს ძალიან ეფექტურად ხდება.

საერთოდ დასასრულის მოძებნა ძალიან ძნელია ხოლმე, ყოველთვის ვერ ახერხებენ რომანისტები, რომ ფინალი იყოს ისეთივე ძლიერი, როგორც მანამდელი თხრობა. აქ კი ძალიან არის აწეული გარეგნული ფორმა, სიმძაფრე, ექსპრესია, პათეტიკას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ სწორედაც ექსპრესიას, და ამით უფრო სახიფათოა, როგორ მოხერხდება შესაფერისი ფინალი და... იცოდა წინასწარ ზაზა გაბუნიამ, რომ ფინალს დააგვირგვინებდა ისე, როგორც გვირგვინდება.

არის ხოლმე საფრთხე, რომ სანტიმენტალობაში არ გადავიდეს ლირიზმი, არის საფრთხე, რომ დრამატიზმი ცოტა ზედმეტ განცდებში და უკვე ისეთ განცდებში არ გადავიდეს, რაც აკნინებს მხატვრულობას; რომ არამარტო დრამატიზმით იყოს სავსე რომანი, არამედ ლირიზმითაც — გასაწონასწორებლად. აქ კი ძალიან ფაქიზი ლირიზმი შემოდის და ზაზა გაბუნია ახერხებს მათ მარჯვე ურთიერთმონაცვლეობას.

ერთ რამესაც მივაქციე ყურადღება — ნახატები რომ არის აღწერილი. თავიდან ფიქრობ, ერთი-ორი ნახატის დახასიათება იქნებაო, და მერე აღმოჩნდება, რომ ნახატების აღწერა არის გარკვეული ნაკადი ამ რომანში, რომელიც ხელს უწყობს არამარტო პეიზაჟის დახატვასა და ხასიათების გამოკვეთას, არამედ განწყობილებათა გამოვლენას მთლიან ნაკადად.

ძალზე რთულია, რომ ეპიკური თხრობისას არსად გაგიწყდეს ძაფი და... კიდეც ახერხებს ზაზა გაბუნია, რომ მთლიანობაში მოაქციოს და დაიმოჩილოს ძალიან მძიმე და ძნელი მასალა.

იყო დრო, როცა კატორლაზე ნაკლებად იწერებოდა, დაბეჭდვით კი არაფერი იბეჭდებოდა, და როცა გაჩნდა საშუალება, რომ გამოქვეყნებულიყო კატორლაზე დაწერილი თხზულებები, რატომღაც სიხარულით აღნიშნავდნენ ხოლმე, რუსებს ბევრი აღმოაჩნდათ და ჩვენ იმდენი არ გვაქვსო. რა იყო გასახარი, არ ვიცი. რუსებს ბევრი აღმოაჩნდათ იმიტომ, რომ რუსები მეტნი არიან ჩვენზე, მაგრამ საქართველოშიც იყო დაწერილი რომანები, ჩვენთანაც არსებობდა არაერთი გამოუქვეყნებელი თხზულება კატორლაზეც და სხვა ტრაგიკულ მოვლენებზეც, მათ შორის რომანებიც, და ქართული მწერლობა ახერხებდა იმ უმძიმეს წლებში, თუნდ ზაზას გაბუნიას რომანში აღწერილ იმ საშინელი ტერორის ხანაში 30-იან და 40-იან წლებისა შეენარჩუნებინა თავისი ძარღვი; და როგორი მძიმე და დამთრგუნველიც უნდა ყოფილიყო, მაინც ხერხდებოდა, რომ ის ძარღვი გაგრძელებულიყო, ლიტერატურული უწყვეტობა გაგრძელებულიყო... და ზაზა გაბუნიაც იმ საზარელ და იმავდროულად ჰეროიზმით აღსავსე რეალობას ხატავს.

როცა პირველი რომანი ქვეყნდება, უმეტესწილად ამბობენ, აი პირველი ცდა და ამას უნდა მოჰყვეს საინტერესო გაგრძელებაო.

„მონოლოგი სარწეველა სავარძლიდან“ ცდა კი არა, უკვე სრულფასოვანი რომანია და ზაზა გაბუნიას უფლება აღარა აქვს, რომ ამას შესაფერისი გაგრძელება არ მოადევნოს. სხვათაშორის ტომას ვულფი ამბობდა: პირველი რომანის დაწერა ისეთი ძნელი არ არის, როგორც მეორე რომანისა, იმიტომ, რომ პირველი რომანის დასრულების მერე უკვე მოლოდინია საზოგადოებაში, მითუმეტეს — თუ წარმატებულია ეს რომანი, და საზოგადოების ეს მოლოდინი უფრო გთრგუნავსო.

და მინდა ვუსურვოთ დებიუტანტ ავტორს რომანისტიკაში, არ დაეთრგუნოს საზოგადოების ამგვარ მოთხოვნილებას და პირიქით — ამას შეეწყოს ხელი, რომ არანაკლები წარმატებით გააგრძელოს მოღვაწეობა, მე შეგნებულად ვთქვი მოღვაწეობა და არა საქმიანობა, რადგანაც ეს ისეთი რომანია, რომ სწორედაც მოღვაწეობად ითქმის.

„ოსტატთან შეხვედრა“ ოსტატთან შეხვედრად

(ზაალ სამადაშვილის მინიატურული პროზა)

„ოსტატთან შეხვედრა“ — ასე დაასათაურებდა ზაალ სამადაშვილი მინიატურებისა და ესეისტური ჩანახატების კრებულს, „ინტელექტი“ რომ დასტამბავდა და ნინო სადღობელაშვილის მოკლე მინაწერი მიედევნებოდა, ამ წიგნის თავისებურებას იმ ზუსტი დაკვირვებით რომ განსაზღვრავდა: აქ მოყოლილ ამბავს მეტატექსტის სიღრმე და სიმსუბუქე თანაბრად ახლავსო. და შეადარებდა ტყვიაგაუმტარივით საიმედო გარსს — ყველა ბრძოლის გადასატანად — ამ ამბების მოყოლის სურვილს.

და მართლაც რა მოხდენილად ერწყმის ერთმანეთს ყოფითი დეტალები და სურათები და წიგნისმიერი შთაბეჭდილებანი, და სხვაგვარად ვერც იქნებოდა, როდესაც ავტორი ლიტერატურით ცხოვრობს და დიდად არც განერჩევა ერთიმეორისაგან ყოფითი და მხატვრული სინამდვილე.

როგორ ამუნათებდნენ რევაზ ინანიშვილს წლების წინათ?

რა დროს მელიებსა და მწყერჩიტებზე წერაა ატომის ეპოქაშიო!..

მაგრამ ის კვლავინდებურად გააგრძელებდა თავის გზას — მოყვასისადმი თანაგრძნობის, ნუგეშისცემის სურვილი აღეძრა მკითხველში.

ეს სურვილი გადმოვიდოდა ზაალ სამადაშვილის მოთხრობებშიც, ნოველებშიც და მინიატურებშიც, სადაც არ შეეცდებოდა თუნდ მინიშნებას ზღვებისა და ოკეანეების თვალჩაუწვდენელი სიღრმეებისა, არადა გამუდმებით აკვირდებოდა ნაკადულებს, რომელთა ფსკერიც ახლოს ეგულებოდა და კარგად მოჩანდა ნაირგვარი კრიალა კენჭი.

სხვებს საგა იტაცებდათ, ხანგრძლივი თხრობა თაობათა ცხოვრების შესახებ?

ეს პურის ნატეხის, წყლით სავსე ჭიქისა და დაკოჟრილი ხელების ხატვით დაკავდებოდა.

დაე ეკიჟინებინათ მისი დახვეწილი სტილისათვის სენტიმენტალურობა და დაშაქრულობა.

სინამდვილეში ეს ლირიკული ნაკადი გახლდათ და რომანტიკული სული, პატივი რომ აყროდა ჩვენს ბევრწილად გასასტიკებულ დროში, მაგრამ მისი უწყვეტობა უნდა შენარჩუნებულიყო დიდი ძალისხმევის ფასად, თუ გვსურდა კვლავაც მივახლოვებოდით დიდ სულიერებას და გვეპოვნა ჩვენივე თავი.

შეხვედრა ოსტატთან — ასეც შეიძლება დასათაურდეს ზაალ სამადაშვილის ამ მომცრო წიგნით მოგვრილი ღრმა შთაბეჭდილება, მხატვრულთან ერთად მისი საგანმანათლებლო დანიშნულებაც, თითქოსდა ლიტერატურის ერთი კურსი მოგესმინოთ.

რომანი – ერეკლე მეორის საფერი

(ნოდარ მაჭარაშვილის ისტორიული რომანი)

„ავი მუსაიფი" — ასე შეერქმეოდა ერეკლე მეორის ხმალს.

„ავი მუსაიფი" — ასე დასათაურდებოდა ნოდარ მაჭარაშვილის ისტორიული რომანი („ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო" , 2018), რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა ჩავეფიქრებინეთ იმ ფენომენზე, რასაც ჩვენი ახალთაობის პროზა ჰქვია და საკმაოდ მძლავრ ნაკადადაც შერთვია ქართული ლიტერატურის მდინარებას.

ამ ნაკადში თუ რაიმე მოჩანს სახიერად, მათ შორის ეს რომანიც, რომელიც ახალი საუკუნის ამ ორი ათწლეულის ბელეტრისტიკის მონაპოვართა შორის უნდა ვიგულისხმოთ ერეკლე მეორის უაღრესად მღელვარე და დრამატული თავგადასავლის შესაფერი თხრობით — რეალისტური მანერისა და ხედვის კუთხის მიღმა ხელშესახებად რომ იკვეთება სახელოვანი მეფის მონუმენტური პორტრეტი, რომანტიკული შარავანდით შემოსილი.

იყო დრო, წითელი დიქტატურის ჟამს, როდესაც ერეკლე მეორის ძრახვა გულისხმობდა ანტირუსული განწყობილების გამომჟღავნებას — სულ რომ არ გეხსენებინა მისი პოლიტიკური ნაბიჯები თუ გეორგიევსკის ტრაქტატი, ზოგადი დამუნათებაც სწორედ ამას მიანიშნებდა; და კონსტანტინე გამსახურდია, საჯაროდ რომ კილავდა ერეკლე მეორეს, ამით პროტესტს გამოხატავდა იმპერიული რუსეთის მიმართ, განსაკუთრებით — ბოლშევიკურ-კომუნისტურისა. და ხელისუფლება რომ წამოასევდა ხან ვის და ხანაც ვის, კახთბატონის ჯავრი კი არა ჰქონ-

დათ (ოღონდაც მეფე, მონარქია მოგეხსენიებინათ ავად და აუგად და კიდეც დაგიმადლებდნენ!), არამედ კომუნისტურ რეჟიმს იცავდნენ ყოველგვარი ხელყოფისაგან.

თავის დროზე ჰეროიკული სიმღერები რომ შეიქმნებოდა ერეკლეზე, ირმის ძუძუთი გაზრდილადაც რომ მოიხსენიებდნენ, ამით მითოსურ შარავანდშიც გაჰხვევდნენ და, ქვეყანა თავზე რომ არ დაგვმხობოდა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეგვენარჩუნებინა — საგმირო ეპოსის გმირადაც წარმოდგებოდა, ახლა იმ დაუწერელი ეპოსისა ნამსხვრევებსღა რომ ვკრეფთ.

ალექსანდრე ორბელიანი და მის კვალზე აკაკი წერეთელი დრამატულ თხზულებათა გმირად აქცევდნენ ჭაბუკ ერეკლეს, ვასილ ბარნოვი, ლევან გოთუა თუ ადამ ბობღიაშვილი ნოველებს მიუძღვნიდნენ, გერონტი ქიქოძე — მონოგრაფიას, ბიოგრაფიული რომანის ნიშნებით; და თუმც რომანებშიც: დავით კასრაძის „ერეკლეს ხმალსა“ და აკაკი ბელიაშვილის „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალში“ — გამოჩნდებოდა, ოღონდ ერთერთ პერსონაჟად და არა მთავარ გმირად, ამ მხრივ ალექსანდრე კალანდაძე რომ გამოიდებდა თავს „ნეიშნის ფიცის“ შექმნისას, თუმც რაკიღა ამ რომანს დაწერდა კარგი მკვლევარი და სუსტი ბელეტრისტი, თემა მოურეველი დარჩებობდა და... ერეკლე მეორე ვერადავერ გახდებოდა სრულფასოვანი ეპიკური ქმნილების მთავარი გმირი, ვიდრე ნოდარ მაჭარაშვილი არ მიუძღვნიდა ამ გამორჩეულ რომანს.

ძალიან საფრთხილოა და ძალზედ დიდი რისკის შემცველიც გამოჩენილ პიროვნებაზე რომანის დაწერა, რადგანაც მკითხველს — ისტორიულ წყაროთა წყალობით — თავის შეხედულება აქვს შექმნილი, უკვე მტკიცედაც შემუშავებული, და როგორ გინდა შენეული პორტრეტი მიიღოს და იწამოს!..

როდესაც გიორგი პირველი გამოგყავს პერსონაჟად, როგორ ბიოგრაფიასაც გინდა, ისეთსაც შეუთხზავ — მეტად მწირი ისტორიული ცნობების გამო მკითხველს არ შეიძლება შემუშავებული ჰქონდეს თავისი თვალთახედვა მასზე, მაგრამ... ერეკლე მეორე?.. ვისი ცხოვრებაც მკითხველისათვის ზედმიწევნითაა ცნობილი?!.

ნოდარ მაჭარაშვილის ერეკლე მეორე ცხადია განსხვავებულია მეტ-ნაკლებად დადგენილი პორტრეტისაგან, მაგრამ ისეთი ოსტატობით, ისეთი კოლორიტულობითა და სულის ხვეულებში ისეთი ღრმა შეღწევით იძერწება მთელი რომანის მანძილზე, უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მკითხველის თვალთახედვაზე, მითუმეტეს — მწერლისათვის მნიშვნელოვანია მეფის გარემოცვის რაც შეიძლება სრულყოფილი წარმოსახვაც, მის გარშემო მოტრიალე ადამიანებისა, პირველყოვლისა თეიმურაზ მეორის, დედოფალ თამარისა და ნადირ-შაჰისა, კახთბატონი თავის ერთ-ერთ აღმზრდელად რომ მიიჩნევდა და მისი გაკვეთილები კიდეც ძალიან გამოადგებოდა თავისი ქვეყნისათვის დაუმცხრალ ბრძოლებშიც და აღმშენებლობაშიც.

ზუსტად მიგნებული შტრიხებითა და ფსიქოლოგიური მონასმებით იხატებიან ისტორიული პირებიც — ანტონ კათოლიკოსი იქნება, გივი ამილახვარი, შანშე ერისთავი, სოლომონ იმერთა-მეფე... — თუ შეთხზული პერსონაჟები, საბოლოოდ მეტად მრავალფეროვანი და სისხლსავსე გალერეა რომ ჩაივლის ჩვენს თვალწინ.

რადგანაც „ავი მუსაიფი“ რომანია და არა ბიოგრაფიული რომანი, ნოდარ მაჭარაშვილი კომპოზიციის გათვალისწინებით გაჰყვებოდა მხატვრულ ლოგიკას და არ დაისაჭიროებდა, ვთქვათ, სოლომონ ლიონიძეს, მსაჯულს მეფისა, რადგანაც შეატყობდა, მისი შემოყვანა პერსონაჟად საგანგებო სიუჟეტურ ხაზს მოიყოლებდა და მტკიცედ შეკრული კომპოზიციური ქარგის საყრდენები შესაძლოა მოშლილიყო.

შესაძლოა ამიტომ არ გაჰყვა ლევან ბატონიშვილის სიუჟეტურ ხაზსაც, რადგან ეს უფლისწულიც ვრცელ თხრობას მოითხოვდა, თუმც შავი ჭირის მსხვერპლად კი არ უნდა გამოეყვანა, ვინაიდან ლევან ბატონიშვილი რუსების დავალებით მოწამლეს მუხანათურად და თან — იმათ როგორც სჩვეოდათ — ჭორიც გაუვრცელეს: ქმრიან ქალთან რომ იმყოფებოდა, ქმარმა შეუსწრო და ხანჯლით განგმირაო... კიდევ კარგი, მალევე გაიფანტებოდა ეს ჭორი.

ეს იყო პირველი პოლიტიკური მკვლელობა, რაც რუსებმა ჩაიდინეს ჩვენში, და თუ ავტორი აერიდებოდა ამ ყველაფერს კომპოზიციის გულისათვის, სჯობდა გაკვრით აღენიშნა: მო-

წამლეს და ასე გამოაცალეს ხელიდან ერეკლე მეორეს სახელმწიფოს ეს ბურჯიო.

კარგი იქნებოდა ნოდარ მაჭარაშვილს გაეთვალისწინებინა ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური პროზა, არაერთ საგულისხმო რეალიას რომ გვაწვდის ერეკლეს სამეფო კარის ცხოვრებაზე, მის კულუარებზე; აგრეთვე — მისი რეცენზია გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ მოთხრობაზე „ანუკა ბატონიშვილი“, კრიტიკულ შენიშვნებს რომ გამოთქვამს მოთხრობის პერსონაჟი ერეკლე მეფის მეტყველებასთან დაკავშირებითაც.

ალექსანდრე ორბელიანი გრიგოლ რჩეულიშვილს ედავებოდა როგორც რომანტიკოსი რეალისტს, მაგრამ არსებობს რეალიები და ნიუანსები, რომელთაც ერთნაირად უნდა აღიქვამდნენ თვით განსხვავებული ხედვისა და მხატვრული მრწამსისა და მანერის ადამიანებიც.

კარგი იქნებიდა ავტორი არიდებოდა უხეშ გამოთქმებსაც, ერეკლე მეორეს რომ მიაწერდა, მითუმეტეს — დედის გინებას. ასეთი რამ არ არსებობდა XVIII საუკუნის საქართველოში და არც XIX-ის დასაწყისში, ყველაზე დიდ გინებად ეს რომ მიიჩნეოდა: შე ასეთო, შე ისეთოო... დედის გინება რუსმა ოფიცრებმა და სალდათებმა შემოიტანეს და დაამკვიდრეს ჩვენშიც.

სხვათა შორის: სოლომონ მეფის მეორე ცოლი არ ყოფილა ქაჯაიას ასული, არამედ — ქაჯაიას ნაქვრივალი. აკაკი წერეთელს თავის „წვრილ-წვრილ ამბებშიც“ ერთ-ერთი ისტორიული მინიატურა სწორედ ამ სათაურით აქვს შეტანილი: „სოლომონ მეფე და ქაჯაიას ნაქვრივალი“.

ახალი გამოცემისას შესაძლოა ეს ყოველივე გაითვალისწინოს ნოდარ მაჭარაშვილმა, ალაგ-ალაგ ჩასუფთავება არ აწყენდა შესანიშნავ თხრობას.

... ჩემს სიყმაწვილეში ყველას გვქონდა ჩვენი საყვარელი ისტორიული რომანებიც, ქართულიც და უცხოურიც, დიდი ზეგავლენა რომ მოახდინეს ჩვენს სულიერ ჩამოყალიბებაზე.

და ეჭვიც არ მეპარება:

ნოდარ მაჭარაშვილის „ავი მუსაიფიც“ გადაიქცევა ჩვენი ყმაწვილების ერთ-ერთ საყვარელ წიგნად, მნიშვნელოვან გავლენას რომ მოახდენს მათ სულიერ ფორმირებაზე.

დადიანური მადლით

(ელგუჯა თავბერიძეს სადღეგრძელოს მაგიერ)

რამდენი რამის გახსენება შეიძლება ელგუჯა თავბერიძის ნამოღვაწარიდან, რამდენი სიახლის, რამდენი მიგნებისა და აღმოჩენის, მაგრამ ამჯერად ეს იყოს.

თორღვას აბანო მითოსური შარავანდით უნდა შემოსილიყო, ეპოსის ნატეხებად შემორჩენილი, ერთდროულად რომ განგვაცდევინებდა ეს ამბავიც და ეს გმირიც რაღაც ძალზე შორეულსაც და რაღაც ძალზე ახლობელსაც, ანუ იმ მარადიულს, სწორედ მითოსის ძარღვსა და ქვაკუთხედს რომ შეადგენს.

ჩაეწვნოდა აბანო თორღვას სახებასა და ბიოგრაფიას.

ერეკლე მეორის აბანოები რეალისტური იერით შემოსილიყო, თუმც მისი ეპოსის ნატეხები გვაგრძნობინებს, ეპიკური თხრობა ბოლომდე რომ შეკრულიყო, ის აბანოებიც სულ სხვა სიმბოლიკით შემოცურდებოდა ჩვენს თვალთახედვაში.

რეალისტური იერით შეიმოსებოდა ირაკლი ბატონიშვილის აბანოებიც, ნაცვლად სამეფოსი, ესღა რომ ერგუნებოდა ნაშთად ძველი დიდებისა, თუმც ჩვენი ტახტდაკარგული უფლისწულის თავგადასავალიც ჰამლეტივით თუ იშოვნის ღირსეულ მაქებელს, ეს აბანოებიც სულ სხვაგვარად გაგვინათდება.

და აი, ჩვენს წარმოსახვაში უნდა შემოცურებულიყო დავით ნარინის აბანოც, სადღაც მიკარგული თვით ამ მეფესავით, რომლის სახელის ცოდნას სავსებით ვკმარობთ, თითქოსდა ასე ადვილად მისავიწყებელი იყოს მისი ღვაწლი.

ულუ დავითის უაღრესად მღელვარე და დრამატული თავგადასავლის, ბოლოს კი სულაც ტრაგიკული აღსასრულის ფონზე ფერმკრთალდება მისი მამიდაშვილის სახება?

ამ მხრივ ბარე ორ თვალსაჩინო გვირგვინოსანსა და მოღვაწესაც გააფერმკრთალებს ლაშა-გიორგის ვაჟის ბიოგრაფია, მაგრამ ნუ გამოგვრჩება ერთი მთავარი და უმთავრესი გარემოება:

როდესაც მონღოლები ლიხსაქეთა საქართველოს დავით ულუს არგუნებდნენ და ლიხსიქითა საქართველოს — დავით ნარინს, ამ გადაწყვეტილებით ჩაუთქვამდნენ გამუდმებულ ქიშპს ამ ორ მეფეს შორის, სწრაფვას სრული ძალაუფლების მოსაპოვებლად და მთელი საქართველოს დასანარჩუნებლად...

მაგრამ გაუცუდდებოდათ განზრახვა:

ორივე გვირგვინოსანი ისე შეთანხმებულად იმოქმედებდა, ისე თავშეკავებულად და საქვეყნო ინტერესების გათვალისწინებით, ვერავინ, ვერც გარეული და ვერც შინაური ავისმდომელი ვერ მოახერხებდა მათ წაკიდებას — არამცთუ ახდილს, ფარულ ინტრიგების გამოწვევასაც კი.

და ეს დამსახურებაა ორივე მეფისა — როგორც დავით ულუსი, ისე დავით ნარინის, მათი პიროვნული კეთილშობილების, დავით ულუს ამ მხრივ უკეთ რომ ვიცნობთ, მაგრამ დავით ნარინის პიროვნულ თვისებებზეც უნდა შეგვექმნას სრული შთაბეჭდილება თუნდ ამ რეალობის გათვალისწინებით, ხელოვნურად გახლეჩილი საქართველო ერთიმეორის წინააღმდეგ რომ არ აღიძვროდა.

ამოსაზიდია წარსულის ლაბირინთებიდან ამ ღირსეული გვირგვინოსნის სახება და საკადრისადაც დასაფასებელი, ამ მხრივ ელგუჯა თავბერიძე მისთვის ჩვეული ხელოვნებით რომ გაწალდავებდა გზას, და დავით ნარინის ნააბანოვარის მოძიება-დაზუსტების ფონზე შთამბეჭდავად გამოჰკვეთდა იმ ზოგად კონტურებსაც ამ პიროვნების ხასიათისა, თავისთავად რომ გიბიძგებს მისი თითქოსდა უფერული ბიოგრაფიის წარმოსაჩენად.

დეტექტივის ალღო და გამჭრიახობა ესაჭიროებოდა რიონის ნაპირას იმ ადგილის მიგნებას?

დეტექტივის ჟინი და ყოველგვარი წვრილმანის მოჭიდება და სულ სხვაგვარად აელვარება, ის თითქოსდა წვრილმანი რომ გაგიძღვება ხოლმე ჭეშმარიტებისაკენ?

დეტექტივის მრავალმხრივი ერუდიცია?

დეტექტივის ფსიქოლოგიური დაკვირვების უნარი?

თუ ვინმეს, ელგუჯა თავბერიძეს მომადლებია ეს თვისებანი, და აუარება სასიკეთო და უმნიშვნელოვანესი საქმის აღსრულებასთან ერთად ქართულ ლიტერატურულ დეტექტივსაც ძალუმად რომ დააჩნევდა თავის კვალს, ამ ჟანრის შესწავლისას მკვლევარებს ძალიან რომ გამოადგებათ მისი პიკარესკული რომანიც „აირევი ივერია ანუ ჯენტლმენ სოლომონ აშორდიას ცხოვრება" და შეხედულებანი — მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძესთან" რომ გასდებდა ხიდს — და არაერთი ნიმუში „ძველი ამბების ქრონიკების" ციკლიდან, რომლის მესამე წიგნსაც მალე ველოდებით, და ამ მრავალმხრივ ფასეულ სამტომეულში კიდეც მომხიბლავ მარგალიტებად მიმობნეულა ლიტერატურული დეტექტივის ნიმუშები.

ცნობილი, გამოჩენილი, ჩვენთვის საყვარელი პიროვნებანიც გადიგამოდიან პერსონაჟებად ამ ტომების ფურცლებზე, მაგრამ მის მთავარ ძარღვსაც და ზოგად ფონსაც ქმნიან სრულიად უცნობი, არაფრით გამორჩეული პირები, ის კი არა — სულაც ქუთაისური საზოგადოების ფსკერის განმასახიერებელნი, რომელთაც უკეთესი არა ჩაუდენიათ რა, თუ არა:

გაუძარცვავთ, უჩხუბიათ, დაუჭრიათ და მოუკლავთ ვინმე, უზომოდ უსვამთ, უყომარბაზიათ, უმზაკვრიათ, უთაღლითიათ... ჩაუდენიათ სისაძაგლე სისაძაგლეზე... და მათი სახელები — ზოგისა არც სახელი — და საქმენი საგმირონი მოხვედრილა საგაზეთო ქრონიკებში — ცხადია, ძალზე ძუნწად.

ეს ყოველივე საინტერესო უნდა იყოს ბელეტრისტისათვის და არა დოკუმენტალისტისათვის?

მაგრამ ვის გაუყვია მკვეთრად ბელეტრისტიკა და დოკუმენტური პროზა, ხშირად ისე რომ გადადის ეს ჟანრები ერთიმეორეში, მიჯნას საერთოდ ვერ გაავლებ... ანკი რატომ უნდა გაავლო, როდესაც ლიტერატურული რეალობა თავისთავად გვკარნახობს, დოკუმენტურ პროზას ცოტა უფრო სხვა თვალით შეხედო და სხვაგვარადაც განსაჯო, ვიდრე ერთ დროს იყო და დღემდეც გრძელდება აუხსნელი ინერციით — თითქოს დოკუმენტალისტიკა მეორეხარისხოვანი, სულაც მარგინალური მოვლენა იყოს მხატვრულ აზროვნებასთან შედარებით.

თუნდ აგერ, ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური პროზა — მისი ბიოგრაფიული რომანები და დოკუმენტური ნოველები — ადასტურებს და სახიერადაც ადასტურებს ამ ჟანრის ძალმოსილებას და ერთხელ კიდევ დაგვაფიქრებს იმაზეც, ჰაგიოგრაფია როგორ უნდა გავიაზროთ და შევაფასოთ, რა საზომებითა და თვალთახედვით...

ჩანჩურას განა ვინ გაიხსენებდა, მიხეილ ჯავახიშვილი რომ არ გადაწყდომოდა ბაზარში და თავისი მადლიანი კალმით არ აღებეჭდა მისი პორტრეტი!..

ვერც საგაზეთო ქრონიკებში ჩაკარგული „ჩანჩურები" ელირსებოდნენ გაცოცხლებასა და ლიტერატურული სულით ავსებას, ელგუჯა თავბერიძეს რომ არ დანანებოდა მათი ასე უკვალოდ გაქრობა და შესაფერისი ადგილი არ მოეძებნა თავის პერსონაჟთა მრავალფეროვან გალერეაში.

და ნუღა ინაღვლებდა შალვა დადიანის აჩრდილი, დაუხატავი რამდენი რამ დამრჩა ჩემი დროის ქუთაისშიო... მისი უმცროსი თანამოკალმე გამოუწვდიდა ხელს, დადიანურ მადლსაც რომ შეუნარჩუნებდა იმჟამინდელი ქუთაისის გაცოცხლებულ სურათებს, ამოავსებდა და გააგრძელებდა...

და როგორც შალვა დადიანის დრამატურგიული თხზულებანი ასულდგმულებდა თავისი დროის ქართულ თეატრს, ისევე შეიძლება, ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტურ პროზაზე ამოზრდილმა სცენარებმაც დააჩნიოს სასიკეთო კვალი ქართულ თეატრსაც და კინემატოგრაფსაც, ანკი ხელიდან როგორ უნდა გაუშვან რეჟისორებმა ამისთანა ხვავრიელი და მადლიანი მასალა, გამზადებული ხასიათებიც, დიალოგებიც და მიზანსცენებიც, დიდი რამ გადამუშავება რომ არ ესაჭიროებათ და პირდაპირაც შეიძლება მოერგონ სცენასაც და ეკრანსაც ნოდარ დუმბაძის თხზულებებივით, მითუმეტეს — ელგუჯა თავბერიძის „ქრონიკებს" შეფარებულ ამბებს არც დრამატიზმი აკლია, არც სიმძაფრე, არც იუმორი და არც სიხალისე.

რაღა დეტექტივი და რაღა ლიტერატურული დეტექტივი, წერილის ნიშნებიც რომ აქვს, ესეისაც, პორტრეტისაც, სილუეტისაც, ნოველისაც, უფრო ხან საით და ხანაც საით რომ გადაიხრება ხოლმე მსჯელობა თუ თხრობა, ელგუჯა თავბერიძის ხელში კი თანდათან უნდა მიახლებოდა ნოველისტიკას.

რეზო ჭეიშვილი ბელეტრისტიკიდან უნდა მოსდგომოდა დოკუმენტურ პროზას.

ელგუჯა თავბერიძე — კრიტიკიდან და ლიტერატურისმცოდნეობიდან.

და ამ გადაკვეთაზე კი ეპოვნათ ბევრი ის საერთო, რაც ელგუჯა თავბერიძეს შეაძლებინებდა, ბოლომდე ჩაწვდომოდა რეზო ჭეიშვილის ლიტერატურულ მონაგარს და მისი კარიბჭისთვისაც ისე მოერგო გასაღები, როგორც აკაკი წერეთლის ნაღვაწში უნდა გადმოეხსნა არაერთი შრე და ფენა, ამ სამყაროს რაღაც უკიდეგანობის შემსწრენი კიდევ ერთხელ რომ უნდა გავეხადეთ...

არაერთ კვალზე დაგაყენებს თუნდაც ეს „ძველი ამბების ქრონიკები", გიბიძგებს, აგიყოლიებს, შთაგაგონებს.

თუნდ დავით ნარინის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის გასაცოცხლებლადაც მიგიზიდავს — აწ უკვე გაშლილი ეპიკური თხრობის ფონზე... და საფიქრებელია: თვითონ ელგუჯა თავბერიძესაც გაუღვივდეს ამ მხრივ სურვილი — სარომანე ისტორიული პირი ეგებ სწორედაც მისი ხელის შეხებას ელის ამდენი ხანია... თორღვასაკენ თუ აბანოთი მივიკვლევთ გზა-ბილიკს, დავით ნარინის ნააბანოვარი, ვითომ, ნაკლები შემგულიანებელი იქნება?!.

ისე, რა დალევს გასაცოცხლებლად გამზადებულ ადამიანებს — ყველანაირი ხასიათისაც და ყოველნაირი ფენისაც, მწერლის ხელში საზოგადოების ფსკერიც რაღაც იდუმალი შუქით რომ ანათებს და დაუვიწყარი სახეებისა და ამბების შემსწრესა და ფარულ მონაწილესაც გხდის.

და ელგუჯა თავბერიძის ენერგიასა და სწრაფვასაც რა დალევს, მის მაძიებლურ ჟინს რა შეაფერხებს, ვითომდა უმნიშვნელო დეტალებიდან და რეალიებიდან, წვრილმანებიდან, მიმოლავებული ნაგლეჯებიდან, თითქოსდა არაფრიდან მომხიბლავი სიუჟეტები ამოზიდოს, შესაფერისი ხორციც შეასხას. და შემატოს ნოველა ნოველასა და წიგნი წიგნს.

...ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასაო!..

ქებად ზარმაცების პოეზიისა

(შოთა იათაშვილი
ახალი ასწლეულის მიჯნაზე)

ირონია თავისებური ნიჭია, მითუმეტეს — დახვეწილი და ნატიფი, რაც ასერიგად ნიშანდობლივია — ვთქვათ — ბესიკ ხარანაულის პოეზიისათვისაც და პროზისათვისაც, თუმც ირონია აქ არასოდეს გადადის თვითირონიაში — ავტორი თუ ლირიკული გმირი ხელშეუხებელი უნდა დარჩეს და მხოლოდღა რომანტიკული, ამაღლებული იერით აღბეჭდილი, განზემდგომი, მწარე ღიმილით რომ შეჰყურებს ყველაფერს, ეგაა — თვითონ არ უნდა მიეკაროს ირონიის სუსხი, ცივმა ნიავმა არც კი უნდა გაჰკრას.

ვერ შეედავები, ანკი სადავო განა რა არის — ასეთია მისი მხატვრული სამყაროს სპეციფიკა.

მითუმეტეს — თვითირონია არ გახლავთ მარტოდენ მხატვრული ხერხი, არამედ: გულის ძარღვიდან მომდინარე, და ხელოვნურად ამიტომაც ვერ გამოიწვევ, თორემ სიყალბეს ვერ გაექცევი.

სწორედ გულის ძარღვიდან მომდინარეობს თვითირონია შოთა იათაშვილის პოეტურ ძიებებში, დროდადრო აქამდეც რომ იჩენდა ხოლმე თავს და განსაკუთრებული რელიეფურობითა და სიმძაფრით უნდა გამოკვეთილიყო ბოლოდროინდელ კრებულში: „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“ („ინტელექტი“, 2019), რომლის გულისგულსაც შეადგენს ამავე სათაურის ლექსი, თავისებურად საპროგრამო და გაჟღენთილი იმ თვითირონიით, რასაც ასე მოვისაკლისებთ ირონიის ისრებით მოფენილ გარემოში.

სათქმელი ამჯერადაც განზოგადებულია, მაგრამ უპირველესი ადრესატი მწვავე ირონიისა ლირიკული გმირია, უმეტ-

ნაკლებოდ რომ გაიგივებია ავტორს და ირონიას ლაღი იუმორითაც განამტკიცებს: ლექსის წერა უქნარასათვის ხომ ის საქმეა, არასდროს რომ არ დაეზარებაო.

და მზერას რომ მიადევნებს ლიტერატურის ისტორიას და ამ სხარტ, ლაკონიურ სტრიქონებში ჩასტევს: ადრე იყვნენ რომანტიკოსები, სიმბოლისტები, ფუტურისტები, დადაისტები, იმაჟისტები, კონცეფტუალისტები... იყვნენ გაბრაზებულები, დაკარგულები, დამსხვრეულები... — მოულოდნელად, და ეგებ არცთუ მოულოდნელად, უნდა დააგვირგვინოს ამ ირონიით, ამ სევდით, ამ ტკივილით, ამ ხელჩაქნევით, ამ გარღვევის წყურვილით: ახლა იქნებიან ზარმაცები. XXI საუკუნის პოეზია იქნება ზარმაცების პოეზიაო.

დავით ჩიხლაძე თავის მშვენიერ „ბოლოთქმაში“ ამ ლექსს მოიხსენიებს „თავშესაქცევ“ პროგრამა-გასართობად, რომელიც 90-იანი წლებიდან კარგად ცნობილი მისივე ლექსის — „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“ — ამბიციური გაგრძელების ალუზიას ქმნის, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, პოეტი პარადოქსულად და ერთგვარი თვითრონიითაც რომ გვიხატავს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობას — თუ როგორია თანამედროვე პოეტი და როგორი უნდა იყოს იგი.

ოღონდ „ერთგვარი“ კი არა, მწვავე თვითირონიითაც, თორემ ლექსს რაღაც დააკლდებოდა, ან რაღა „რაღაც“ — მთავარი საფანელი.

პოეტური თამაშიც ნიშანდობლივია ამ კრებულისათვის — ირონია, იუმორი თავისთავად მოითხოვს თამაშსაც — და ეს განწყობილება საგამომცემლო ჯგუფის ჩამონათვალიდანვე იჩენს თავს, როდესაც რედაქტორად აღბეჭდილია დიანა ვაჩნაძე, შოთა იათაშვილის პოეტური მისტიფიკაცია, თავისი ამ ორეულის სახელით ლექსების კრებულიც რომ აქვს გამოცემული და რომანიც „ნატა ანუ ახალი ელოიზა“, გადაძახილი ჟანჟაკ რუსოს რომანთან და რომანტიზმის შენაცვლება საბურველშემოხეული რეალობით... და რიგრიგობითაც „რედაქტორობენ“ ერთიმეორის წიგნებს პოეტი და მისი ორეული.

ეს პოეტური მისტიფიკაცია მოგვაგონებს უფრო პროსპერ მერიმეს მიერ შეთხზულ კლარა გაზულს, ვიდრე პაოლო იაშვი-

ლის ელენე დარიანს, რომელიც მთლად მისტიფიკაციადაც არ უნდა მივიჩნიოთ.

ზარმაცებმა დაიწყეს ლექსების წერა...

ზარმაცები დაეუფლნენ პარნასს...

და XXI საუკუნის პოეზია სხვა აღარა იქნება რა, თუ არა პოეზია ზარმაცებისა...

ეს იდეა, ეს განცდა — გნებავთ პარადოქსული უწოდეთ, გნებავთ იუმორისტული თუ ირონიული — მოითხოვდა რაღაც გამოხმაურებას ჩემგან, ავტორისაგან მხატვრულ-დოკუმენტური წიგნისა: „ქება სიზარმაცისა“, თუმც ამ აუცილებლობის კარნახიც რომ არა, ისედაც არ გამიძლებდა გული, ორიოდე სტრიქონი ამ მიმედევნებინა ამ ძალუმად მფეთქავი, შინაგანი ჭიდილით დამუხტული და თვითირონიით გაჟღენთილი ლირიკული კრებულისათვის „XXI საუკუნის დასაწყისის პოეტი“, ასე თვალნათლივ რომ ამოვარდნილა ლიტერატურის ერთიანი მდინარებიდან.

ლიტურგიის პოეტური ხიბლი

(ნატო ინგოროყვას ლირიკული აღსარება)

ორი რამ მიაჩნდა საშიშად პავლე ინგოროყვას:

ორპირი ადამიანი და ორპირი ქარი.

და ორი რამ მიაჩნია საშიშად მის მოგვარესაც, ნატო ინგოროყვას:

ორპირი ადამიანი და ორპირი ქარი.

და ამ სატკივარს ლექს-აღსარებაში გამოჰკრავდა, პატიოსან სიტყვებზე რომ შეაყენებდა და სულაც არ ეგონებოდა, რაც უფრო მეტჯერ შესთხოვდა უფალს, უფროც გააგონებდა.

გზა უფლისაკენ სწორედ უმწვავეს ტკივილებზე გადის, საკუთარ სულში ყველაზე ჩამალული კუთხე-კუნჭულის ამოზიდვაზე, შენი თავისთვისაც გაუმხელელზე, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ეს გაშიშვლება ფარულზე ფარულისა, მაგრამ ოიდიპოსივით უნდა მოიკრიბო ძალა და მზერა გაუსწორო შენს ცოდვიანობას, თუნდაც უნებურს, და აღიარო გულისმომკვლელი სიმართლე, რომ:

ყველა ჩვენგანი ვიღაცისთვის ერთხელ მაინც ხდება იუდა.

ის „ვიღაც“ უპირველესად მამაზეციერია, რომლის გაყიდვაც შეგიძლია მოგიწიოს და ამიტომაც ადვილად ნუღა დასდებ მსჯავრს ჯვარცმის ირგვლივ შემოკრებილ ბრბოს, მასობრივ ადამიანთა კრებულს...

და ... რაღას გიშველის პოეზია, გაპორცელანებული, ანუ: შენი მარტოობის გაბზარული მყიფე ფაიფური, — გიორგი ლობჟანიძის ამ სტრიქონს, ეპიგრაფად გატანილს, რომ მოაბამდა თავის მწარე გულისთქმას ნატო ინგოროყვა და სიჩუმის ხმაურს აღიარებდა გზაბილიკად უფლისაკენ, ეს განწყობილება და მხატვრული მრწამსი საერთოდაც რომ განმსჭვალავდა ამ

ლირიკულ კრებულს, რომლის არსიც ასე ზუსტად უნდა გაეხსნა ნინო სადღობელაშვილს ერთიბეწო ბოლოთქმაში:

ლიტურგიის ფარული მელოდია — ის ლიტურგია და ის მელოდია, პოეტი სიტყვიდან სიტყვაში რომ აცოცხლებს გვარიანად მივიწყებულ ადამიანურ განცდებს და სიყვარულის რელიგიით მსჭვალავას და აკანონებს ერთი შეხედვით შეუძლებელ მოვლენებს.

შეუძლებელს როგორ აკანონებს და:

სიტყვების მსხვრევისათვის ყურის მიგდებითა და სიჩუმის წაკითხვით.

ერთ ამერიკულ ნოველაში საუკეთესო რომანი იქმნება დაუწერელი სიტყვებით, და ნატო ინგოროყვას ლირიკულმა გმირმაც თავისი საუკეთესო ლექსი უნდა მოქსოვოს იმ სიტყვებით, რაც უნდა ეთქვა და ... არ კი დაწერდა.

მაინც წაკითხვისთანავე დაგავიწყდებოდა და არც სათაური გაჰყვებოდა მეხსიერებას. ამ სიტყვებს მუსიკა მიატოვებდათ და ექოდღა დარჩებოდნენ, და უადგილოდ დარჩენილი ყველა სიტყვა ამ ლექსში თუ იპოვნიდა თავშესაფარს. და აქ მოიყრიდა თავს ყველა ის სიტყვაც, რომელიც პოეტს ეპოვნა და... დაეკარგა.

და ამ უსიტყვებო ლექსის პირველხარისხოვანი სათქმელი მეორეხარისხოვანი აზრებით უნდა დამტვერილიყო და სტრიქონებს შორის ჩამალულიყო.

და მკითხველი... უნებლიეთ ფეხს თუ წამოჰკრავდა ამ სიტყვებს, ან თუ სადმე გადაეყრებოდა, დაე უკანვე ნუ დააბრუნებდა, ისინი ხომ ადრესატებთან მიიჩქაროდნენ, უპირველესად კი იმ იდუმალსა და უხილავთან, რომლის ლიტურგიადაც უნდა დაღვრილიყო ეს პორცელანივით მოსაფრთხილებელი ერთი გაბმული პოეტური ფიქრი, თავისი ერთიანი გააზრებით არამცთუ ლირიკულ კრებულად, ლამის მოდერნისტულ პოემადაც რომ შეიძლება წარმოგვიდგეს, და მის დანაწევრებულ სხეულს თუ რაიმე, ის კიდევ ბევრი და არაერთი სიტყვა ამოავსებს, რომელნიც ვერ გაცდენიან ტუჩებს და თვალებს.

ტომას სტერნზ ელიოტისათვის რომ გეკითხათ თანადროული პოეზიის რაობა და დანიშნულება, მოგიგებდათ:

სრულფასოვანი ლექსი ისაა, თავის შიშველ ძვლებზე რომ დგასო.

და თითქოს ეს სწრაფვა არეკლილა ნატო ინგოროყვას ლირიკული გმირის მღელვარე განცდებშიც, დროდადრო ისეთ ელვარე სტრიქონებადაც რომ იღვრება, პოეტური ფორმულების მნიშვნელობასაც რომ იძენს:

ქალაქი, რომელიც ზღაპარს ჰგავს და ჯადოსნურია, უძლებს ლეგენდებსო.

ვიხდი ხარკს: ენისთვის, რომელზეც ვწერ. სიტყვებზე მეტი ამბებისთვისო.

რასაც ვწერ — იმას ვცხოვრობო.

რა მნიშვნელობა ექნებოდა სიზმარს, რომ არ გამღვიძებოდაო.

ნუ გაატან სიზმრებს წყალს, მაინც არ მიაქვს. გულის კოვზი ინახავსო.

და დაიჯერო, რომ დაემსგავსე იმ უკანასკნელ ადამიანს, რომელსაც ჰგონია, რომ ყველაზე დიდხანს იცოცხლაო.

აღსარებაა თვითმკვლელობა, ფიქრმა იცის გადაყოლებაო.

და ის სტრიქონი ხომ განსაკუთრებით მრავლისმეტყველია, ნინო სადღობელაშვილიც რომ საგანგებოდ გამოარჩევდა:

და თუ პირველად იყო სიტყვა — მე ვწერ შენს სახელსო.

და ამ სახელითვე მონათლავდა ნატო ინგოროყვას პოეზიას, სავსეს ლიტურგიის ფარული მელოდიებით.

...არა, მაინც როგორ უნდა იდგეს პოეზია თავის შიშველ ძვლებზე?!.

გაგვიმძაფრა ცნობისწადილი

(დეპეშად ფრიდონ ქარდავას)

ჩემო ფრიდონ — მკითხველისათვის: ქარდა ქარდუხო — იმ პირველი რომანის შემდგომ: „ძაფზე მოფარფატე სული“ — სულ ველოდი შენს კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯს ეპიკურ ჟანრში.

და აი, „ლიტერატურულ გაზეთს“ უნდა შემოეთავაზებინა ფრაგმენტი შენი მომავალი რომანიდან „ჰერმესის დახლიდარები“, რომელმაც — დარწმუნებული ვარ — ჩემსავით ბევრ მკითხველს გაუღიზიანა მადა და გაუმძაფრა ცნობისწადილი რაღაც მნიშვნელოვანთან შეხვედრისა.

ვიმედოვნებ, დიდხანს არ გვალოდინებთ არც შენ და არც რომელიმე გამომცემლობა, რომელიც უთუოდ დაამშვენებს თავის თაროს ამ წიგნით, ნამდვილი ლიტერატურული ღირებულებით, რასაც თვალნათლივ მიგვანიშნებს ეს ვრცელი ამონარიდი.

მინაწერი:

რაღაც ამგვარს ისედაც რომ ველოდი, კიდეც ახდებოდა ეს მოლოდინი.

ქარდა ქარდუხის რომანი — „ჰერმესის დახლიდარები“ — „პალიტრა ელის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის „გახდი ბესტსელერის ავტორი 2020“ ფარგლებში ჟიურისა და ხალხის ერთობლივი არჩევანი გახდებოდა და წიგნად გამოცემასაც ეს გამომცემლობა ითავებდა.



უცნაური გალობის ხიბლი

(ნინი ელიაშვილის არაორდინარული დებიუტი)

წერტილის შემდეგ... წერტილის შემდეგ... ვისთვის რა ხდება წერტილის შემდეგ, ნინი ელიაშვილისათვის კი:

გალობენ მკვდარი ანგელოზები.

აქ, ამ პოეტურ გარემოში სჯიან კიდეც სიჩუმისათვის; სინანულს განიცდიან ძვლების მტვრევამდე; მზე შეიძლება საცოდავად ჩაიზნიქოს; ერთმანეთის დასამარხად ისევ ხვდებოდნენ მტკივან მიწებად; ლექსი გადაიქცეს პალმის ან ბზის ტოტად, ანდა მოგვთა ძღვენად; ლირიკულმა გმირმა ბევრი გზა ნახოს, თუმცა ყველა გზა ბოლოს ისევ მასში დაბრუნდეს. ველარც ვარსკვლავები ამოკრიფონ იმ ლოცვიდან, მიწისკენ დახრილს უნებლიეთ რომ გადმოსცვივდება; იცხოვრონ სახლის სახურავზე მტრედებივით და მიიხურონ სიყვარული ყდებად, ფანჯრებად და სიმარტოვედ; თაბაშირის თითებისა და თაბაშირის ღიმილის იქით დაიღუპონ უცრემლოდ; სიყვარული ისეთი ღრუბლიანიც შეიძლება იყოს, გულიდან მზე არ ამოსდიოდეს და მხოლოდღა ბრუნავდეს თავისივე თავის გარშემო; ჩამოიფერთხონ წარსული მჩატე მტვერივით და იცხოვრონ უწარსულოდ და უმანძილოდ; ნაგლეჯ-ნაგლეჯ მოყოლილი ამბავი შეისრუტონ ისე, ვით წყალი ბამბამ, რადგანაც აღარც ძველი რომანტიკაა, რომელიც სადღაც გულს შიგნით წლებია ჩამპალა; ხან ისე მჩატედაც შეიძლება გააგორონ სიტყვები, როგორც კამათლები; მოკვდნენ და მერე ძალიან მშვიდად გადარჩენა გაითამაშონ; დანგრეულის ადგილას შესაძლოა ნგრევა აშენდეს, მერე უნიჭოდ რომ შეკაზმონ და გააფერადონ; სიტყვები შესაძლოა ტყვიასავითაც იგრძნონ კანქვეშ; შიშით წარმოიდგინონ,

ონკანიდან წამოვიდეს წყალი და წაგიღოს სიზმრის მაგივრად; ქვაც შეიძლება გაყვავილდეს; გული დაემსგავსოს ღრუბელს, სუყველაფერს რომ ისრუტავს და იჟღინთება; და უარყოფის ორმოში მოხვედრილი ივედრებოდეს, რომ: დაე ნურავინ უღალატოს ამ ზღაპარს, ამ ქვებს, ამ ორმოებსა და ამ ცრემლის ბარათებს.

ბევრი რამ ტრიალებს ორიგინალურიც, მოხდენილიც, მძაფრიც, დრამატულიც ნინი ელიაშვილის პოეტურ ფიქრებსა თუ ხილვებში, მფეთქავიც, მთრთოლვარეც, უცნაურად განათებულიც და ჩამობურვილიც, მაგრამ ეს მაინც კიდევ სხვა შეგრძნება და სხვა ხილვაა, სხვა რაკურსი და სხვა სარკმელი:

მოლანდება მკვდარი ანგელოზებისა, რომელნიც... კვლავინდებურად გალობენ, ოღონდ... ცხადია რაღაც განსხვავებულად.

დაცემული ანგელოზის ამბავი გვსმენია, მაგრამ... მკვდარიც?!.

და... მოგალობეც?!.

ერთ რამედ ღირს ამ მხატვრული სახის მიგნება, პარადოქსულისაც, მოულოდნელისაც, და რაც მთავარია — სწრაფვა პოეტისა იმ გალობის მოსასმენად, ღმერთსმოკლებულ გარემოში მაინც რომ გაისმის, თუკი სიყვარულის გზაჭრილს გაჰყვები — მთელი თავისი მრავალფერობით, ალმაფრენითა და ტრაგიზმით.

და თუკი პირველ პოეტურ კრებულსაც — „წერტილის შემდეგ“ — მიუძღვნი შენს ერთადერთ სიყვარულს, კრებულს, დებიუტანტისათვის უჩვეულო დახვეწილობითაც რომ აღბეჭდილა და იმ გამოკვეთილი მხატვრული მრწამსითაც, მინაწერში შალვა ბაკურაძე წიგნის შინაარსს ერთგვარი წვეთის ფორმას რომ მიამსგავსებდა და მის მნიშვნელობას ამგვარად განსაზღვრავდა:

— დასაწყისიდან უკანასკნელ სივრცეებამდე, მრავალხმიანი სიმღერასავით იგი ჰარმონიულად მდიდრდება პოეტური სამკაულებით და ბოლოსკენ სიმფონიურ ჟღერადობას აღწევს.

მინაწერის ავტორს, თუნდ გივი გეგეჭკორივით გარიდებულსა და მდუმარებაში ჩაძირულ, თუმც ლიტერატურულ

წრეებში საკმაოდ დაფასებულ პოეტს, კარგად მოეხსენება თვითეული სიტყვის ფასი, პასუხისმგებლობას გრძნობს ყოველ ეპითეტზე, და მითუმეტეს როგორ არ ენდობი მის ამ შეფასებასაც, რომელსაც ნინი ელიაშვილის კრებულის გაცნობის შემდგომ სავსებით გაიზიარებ:

— იმედია, ქართული ლიტერატურული საზოგადოება ღირსეულად დააფასებს დებიუტანტი პოეტის ამ კონცეპტუალურ ქმნილებას და დროთა განმავლობაში ის უამრავი ადამიანის საყვარელ წიგნად იქცევა.

ოღონდ ამისთვის:

ყური უნდა მიუგდოთ, მიუგდოთ ყური წერტილის შემდეგ... სწორედაც და უსათუოდაც იმ ზუსტად მოძებნილი წერტილის შემდეგ... როგორ გალობენ, რას გალობენ და რისთვის გალობენ მკვდარი ანგელოზები...



დრამატურგიული სვლა კოლორიტად

(რეპორტაჟი ნოველად)

„ლიტერატურული გაზეთის“ დღევანდელ, 13 მარტის ნომერში, რომელიც მრავალმხრივაა საგულისხმო, ჩემი წერილი თუ რეპორტაჟიც არის დაბეჭდილი: „ვიდრე წამყვანი მოვიდოდეს“ — გენო კალანდიას საიუბილეო საღამოს გახსენება.

ორიგინალური და შთამბეჭდავი გამოვიდოდა ეს საღამო — მანონ ბულისკერიას სცენარითა და გოგა თავაძის რეჟისურით — თავის კოლორიტს რომ შესძენდა ერთი დრამატურგიული სვლაც.

რა დრამატურგიული სვლა იგულისხმება და...

თუმც სჯობს თვითონვე გაეცნოთ რეპორტაჟსაც და გაზეთის მთელ ნომერსაც.

და ეს სვლა მოიყოლებდა რეპორტაჟსაც, რომელიც — ერთხელ კიდევ რომ გადავიკითხე — ნოველას დამსგავსებოდა.

ეს მთლიანად იმ ლიტერატურული თავყრილობის დამსახურებაა, თორემ რომელი ნოველისტი მე ვარ!..

ერთი პროსპერ მერიმე გახლდათ

(გლოვის წუთებიდან)

ბოლო სამ თვეში სამი საქვეყნო კაცი დავკარგეთ, სამი მსოფლიო რანგის მწერალი:

დავით წერედიანი,

გურამ გეგეშიძე

და

გივი მარგველაშვილი.

სამგლოვიარო პროცესია სამივე შემთხვევაში იმდენად მცირერიცხოვანი გახლდათ, რომ უფრო ცოტა ხალხი რაღა უნდა ყოფილიყო.

მაშინ სამივე სასახლე თავისით თუ აცურდებოდა ქარში, გალაკტიონის ტრაგიკული ხილვებისა არ იყოს.

თუმც ყოველ ასეთ შემთხვევაში თავს იმით ვინუგეშებ ხოლმე, სტენდალის კუბოს სულ რამდენიმე კაცი რომ მიაცილებდა სამარისაკენ.

მაგრამ იმ რამდენიმეში ერთი პროსპერ მერიმე გახლდათ!..

მაგალითად რომ დაუსახავ

(სადღეგრძელოს მაგიერ ზურაბ აზმაიფარაშვილს)

როდესაც ადამიანს საიუბილეო თარიღს საჯაროდ ულოცავ, აუცილებელია ამას ჰქონდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ის ადამიანი არამარტო წარმატებული იყოს თავის დარგში, არამედ ზნეობრივი პიროვნება, რომლის ცხოვრების წესსაც მაგალითად დაუსახავ თანამედროვეთაც და შთამომავალთაც.

ეს ჰარმონია აუცილებელია.

და თუ ზურაბ აზმაიფარაშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, სწორედ იმიტომაც, რომ ჰარმონიული პიროვნებაა, მის თვალსაჩინო წარმატებებს საჭადრაკო სარბიელზე — როგორც პრაქტიკოსი მოჭადრაკის, ისე მწვრთნელისა და ორგანიზატორის — ბუნებრივად ეხამება მისი პიროვნული ღირსებანი:

კაცთმოყვარეობა, თანალმობა, ერთგულება, პრინციპულობა, გაბედულება, შეუპოვრობა...

იგი ქართველი კაცის განსახიერებაა და ამიტომაც წარმოდგება მსოფლიო მოქალაქედაც.

ამიტომაც შეუძლია ყველგან და ყოველთვის წარმოადგინოს არამარტო ქართული სპორტი, არამედ ქართული კულტურაც:

თავისი ზოგადი განათლებით, ორატორული ხელოვნებითა და იმ ინტონაციით, რომელიც გაგრძნობინებს, რომ მის მიღმა დგას მართალი კაცი, პირნათელი თავის ქვეყნის წინაშე კაცურად, ღირსეულად გამოვლილი ექვსი ათეული წლით, და იმ ენერგიითა და სიცოცხლის ნიშატით, კიდევ არაერთ სასიკეთო საქმეს რომ აღასრულებს.

მან შეინაჩუნა თავის არსებაში ის პატარა ზურიკო, რომლის სიწრფელითაც და სიალალითაც მიუყვება ცხოვრების გზას და დაე ცხოვრების ყველა გამოწვევა ისევე დაემარცხებინოს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი დასდო ორივე ბეჭით იმ სენსაციურ პარტიაში!

ყოფითი ტრაგედია ყაზბეგურ სიუჟეტად

(დეტექტივად გალაკტიონ ტაბიძე)

გალაკტიონ ტაბიძე მემუარული ყაიდის წერილს რომ განიზრახავდა ამჟამად მივიწყებულ, თავის დროზე კი იმედისმომცემ პოეტზე სიმონ ბადურაშვილზე, კიკნა-ფშაველას ფსევდონიმით რომ გამოვიდოდა ასპარეზზე, გეგმასაც შეადგენდა, რომლის მეხუთე მუხლადაც ჩაწერდა:

ტრაგიული დაღუპვა.

ეს კი ნიშნავდა, რომ საგანგებოდ წარმოაჩენდა იმ სენსაციურ და საიდუმლოებით მოცულ ამბავს, კიკნა-ფშაველა თავის უახლოეს მეგობარს, მასავით პოეტს გრიგოლ ხერხეულიძეს რომ მოჰკლავდა და იქვე თავსაც მოიკლავდა.

90-იან წლებში გელა საითიძე წამოსწევდა 10-იანი წლების იმ ტრაგიკულ ეპიზოდს, სტატიაში „ტრაგედიის მიზეზი დღემდის უცნობია“ უხვად რომ შემოიტანდა იმჟამინდელ საგაზეთო პუბლიკაციებს.

საიდუმლო საიდუმლოდვე რჩებოდა, მაგრამ ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა გახსნილიყო ამ ორმაგი მკვლელობის მოტივი და არსი, რასაც მიეძღვნებოდა ჩემი ლიტერატურული დეტექტივი „ცოდვა და სასჯელი“, მკითხველს რომ შეუძლია გაეცნოს წლევანდელი „განთიადის“ პირველ-მეორე გაერთიანებულ ნომერში.

მიზეზის გამჟღავნების შემდგომ გამოვთქვამ იმ ვარაუდსაც:

ილია ჭავჭავაძე რომ მოსწრებოდა ამ ტრაგედიას, გული ვერ გაუძლებდა და უსათუოდ შეეცდებოდა საიდუმლოსათვის ფარდის ახდას.

გალაკტიონი სიცოცხლის მიმწუხრზე კიდევ უფრო რომ დაეაფასებდა ილიას პიროვნებას, ის კი არა, თავსაც გაუიგივებდა, ადვილი შესაძლებელია დეტექტივის როლიც მოერგო და განზრახულ ლიტერატურულ პორტრეტში ბოლომდე გამოერკვია და გადმოეშალა მომხდარი.

და მაშ სავსებით ბუნებრივი იქნება:

თუკი ოდესმე მოთხრობის ან პიესის სიუჟეტურ ქარგად გადაიქცევა ეს ტრაგიკული სიუჟეტი, ყაზბეგურსაც რომ მოგვაგონებს ვნებათა უკიდურესი სიმძაფრით, დეტექტივად გალაკტიონი ჩაერთოს თხრობაში და მან და სწორედაც მან გამოხსნას საიდუმლოებით მოცული გორგალი.

იქნებ მცირე პოემად?!

(შელიმილებად ვახტანგ ღლონტთან)

საბჭოთა ეპოქაში ძალიან გაუტყდებოდა სახელი სამოქალაქო ლირიკას, რომელიც გადაიქცეოდა პარტიულ-პროპაგანდისტულ სიყალბედ, ეს შესანიშნავი ჟანრი რომ დაზარალდებოდა და უკვე აღარც გვეგონებოდა, მის შებღალულ სახელს რაიმე თუ ეშველებოდა. მაგრამ საბედნიეროდ დაუბრუნდებოდა თავისი ნამდვილი ღირსება, განსაკუთრებით ორი პოეტის: ვახტანგ ღლონტისა და გიზო თავაძის — წყალობით, უკვე თავისუფლად რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ ჟანრის დღევანდელ მიღწევებზე.

მაგრამ ამჯერად ერთ დეტალს ვიკმარებ:

ერთხანს მოდური იქნებოდა „ცისკრის“ პოეტთა წრეში სწრაფვა მინიპოემების შესაქმნელად — ისეთი ერთსტროფიანი ეპიგრამებისა, მთელს ეპოქას რომ იტევდა, და მაშ უკვე სცილდებოდა ეპიგრამისა თუ ლექსის საზღვრებს და მართლაც რომ პოემად წარმოდგებოდა.

შესწავლაც მომიხდებოდა და ნარკვევის დაწერაც მინიპოემების თემაზე, საკმაო და თანაც სახიერი ნიმუშები რომ დაგროვდებოდა — მანამდელიც და მას შემდგომიც. ზოგის ავტორი რომ ვერც დადგინდებოდა და თვითონ წარმოდგენაც არ ექნებოდა, მინიპოემას თუ ქმნიდა, მაგრამ მისი ელვარე, სიხალისითა და იუმორით სავსე სტრიქონები ამ ჟანრში კი მოექცეოდა და...

თავის დროზე ამ კუთხით არ მიმიქცევია ყურადღება ვახტანგ ღლონტის „წამოკრულების“ ერთი ნიმუშისათვის, რომელიც შვიდი სტროფისაგან შედგება და მშვენიერი სატირული ლექსია, მაგრამ ცალკე გამოარჩევ თუ არა ბოლო სტროფს, ხელთ სულაც მცირე პოემა შეგრჩება.

და ეს ნიმუში ხელახლა რომ გადავიკითხე მის ფბ-ზე, ჩემთვის კიდეც გამოვაცალკევე და... თუკი ავტორი, ჩემი ძველი მეგობარი, ნებას დამრთავს, იმ ნარკვევის წიგნად გამოცემისას ამ სტროფსაც ჩავრთავ, ოღონდ დანარჩენს უნდა შეელიოს, თორემ პოემა ლექსად გადაიქცევა.

დამეთანხმებით, მინიპოემაა, აბა რა არის:

მე ცალი ფეხი სტიქსის წყალში მაქვს, -
შეკვეთილი აქვს ქარონს კანოეც...
ეს თქვენ იკითხეთ, თუ შეშლილებმა
კამოს მენიუც დაგიკანონეს.

არა, რითმაც რომ მეტად ეფექტურია: ქარონს კანოეც — დაგიკანონეს, ვალერიან გაფრინდაშვილს რომ შეეხარბებოდა, ეს თავისთავად, მაგრამ რა დროს რითმის ეფექტუროზაზე ლაპარაკია...

„კამოს მენიუა" ისეთი ორიგინალური და მარჯვე მიგნება, ოთხსტრიქონედს პოემად რომ აქცევს და პოემას — ჩვენი ეპოქისა და ლიტერატურული ცხოვრების სარკედ.

სანამ კოლიას დაგიძახებენ

(დღიურის ფურცლებიდან)

თავისებური ლეგენდურობითაც შეიმოსებოდა ნიკო კეცხოველის სახელი მის სიცოცხლეშივე... ისე უჩვეულოდ და პარადოქსულადაც აეწყობოდა მისი ცხოვრება — იარაღით დამცველი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისა, ანტისაბჭოთა იატაკქვეშა მოძრაობის თავგამოდებული მონაწილე... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი შეიქნებოდა, პროფესორობა-აკადემიკოსობაზე რომ აღარაფერი ითქვას, და მის სახელს არაერთი სასიკეთო საქმეც დაუკავშირდებოდა, მათ შორის: ლიტერატურული წრისა და სტუდენტური ალმანახის — „პირველი სხივი" — დაარსება.

პროტოტიპიც გახდებოდა ერთი მეტად კოლორიტული პერსონაჟისა — უნივერსიტეტის რექტორისვე — ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი ღამე", მოგონებებში ხომ არაერთგან მოიხსენიებდნენ განსაკუთრებული პატივისცემით.

პროფესიით ბიოლოგი მწერლის ნიჭითაც დაჯილდოებულიყო და მისი წიგნები, საქართველოს მთა-ბარის მომცველნი, ამიტომაც წარმოგვიდგება მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჩინებულ ნიმუშებადაც და აუცილებელია მონაწილენი იყვნენ ახალთაობების სულიერი ჩამოყალიბებისაც: „მორბის არაგვი არაგვიანი" თუ „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია", „მეცხრე მთაც გადავიარე" თუ „კიდევაც დაიზრდებიან".

ერთხელ თავისი ნასტუდენტარები მიიპატიჟებდნენ სუფრაზე, ღრმა მოკრძალებითა და მოწიწებითაც შეეგებებოდნენ და აღტაცებულნიც დარჩებოდნენ, ეს გამორჩეული პიროვნება მათი თანამეინახე რომ გახდებოდა.

— ბატონო ნიკოლოზ, ბატონო ნიკოლოზ, ბატონო ნიკოლოზ! — ყველა ცდილობდა მისი ყურადღება მიეპყრო, ყველა

ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა, ყველა ცდილობდა განსაკუთრებულადაც მოქცეულიყო.

სუფრა ეშხში შევიდოდა, შეთვრებოდნენ, შეჟინჟღილდებოდნენ და:

— ბატონო ნიკო, ბატონო ნიკო, ბატონო ნიკო! — კვლავ მისი ყურადღების მიპყრობას ეცდებოდნენ, კვლავ მის სიამოვნებას, მაგრამ... რაღაც უკვე აღარ ეჭაშნიკებოდა პატივსაცემ სტუმარს.

სუფრა აიწყვეტდა და:

— ნიკო, ნიკო, ნიკო! — აქეთ-იქიდან შემოსძახებდნენ.

და წამოდგებოდა და გამოემშვიდობებოდათ ნიკო კეცხოველი.

შეწუხდებოდნენ დამხვდურები, შეეხვეწებოდნენ, შეემუდარებოდნენ ცოტა ხანს კიდევ დარჩენას, მაგრამ ეს არ იყაბულებდა:

— დროზე წავიდე, სანამ კოლია დაგიძახიათ!

ბევრი აღარა რჩებოდა კოლიას დაძახებამდე და... არ მოითმენდა სტუმარი, იქამდე რომ მისულიყო საქმე.

ამ ეპიზოდს თამაზ ბიბილური აღბეჭდავდა ლიტერატურულ ჩანახატში და მეც გამომადგებოდა „ნაკვესების“ ციკლისათვის, ოღონდ ამჯერადაც თუ ვიმეორებ, მხოლოდ იმიტომ, ეს ანეკდოტური ამბავი გაცილებით ღრმა აზრის შემცველი რომ არის, ვიდრე მსმენელის გახალისებაა.

კოლია თუ დაგიძახეს, მხოლოდ იმათ ნუ გადააბრალებ, შენს თავსაც მოჰკითხე, აქამდე რატომ უნდა მისულიყო საქმე, გაშინაურებას, შემოთამამებას როდის და რატომ უნდა მორღვეოდა საზღვარ-სამანი.

და საერთოდაც:

ნიკო კეცხოველისა არ იყოს, დროზე უნდა წამოხვიდე, დროზე უნდა გამოასწრო იმ გარემოს, სუფრა იქნება, საახლობლო წრე, სოციალურ სივრცე თუ თანამდებობა... დროზე, სანამ კოლიას დაგიძახებენ, თორემ მერე აღარაფერი ეშველება, ამაოდღა თუ მოიტყუებ თავს...

ამიტომ გნებავთ რჩევად მივიღოთ არაორდინარული პიროვნებისაგან, გნებავთ გამოცდილების გაზიარებად, მთავარია, რომ:

სანამ კოლიას დაგიძახებენ, სანამ კოლიას დაგიძახებენ!..

უფალთან შეყრისას

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩვენი დროის ჟამიანობა ძალაუნებურად გაახსენებდა ქართველებს ანატორის აკლდამებსაც და ამ გაქვავებული, ჩონჩხადქცეული, იდუმალი სამყაროს ფოტოსურათებიც შემოცურდებოდა ფბ-ზე.

შავი ჭირით დასნეულებული ადამიანები ტოვებდნენ სახლკარსა და მშობლიურ სოფლებს და მიდიოდნენ ამ აკლდამებში, წვებოდნენ ქვის მერხებზე და ელოდნენ სიკვდილს: ქალებიც და კაცებიც, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც, სულმთლად ბავშვებიც.

დიდი ტრაგედიის ხსოვნას ხელშესახებად ინახავს ანატორის საძვალე.

და ეს იდუმალებითმოსილი, შიშისმომგვრელი გარემო ორი რომანის შთამაგონებელიც გახდებოდა:

თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“

და

გივი ალხაზიშვილის „სოდომიდან სოდომამდე“.

აღარაფერს ვამბობ ნაირა გელაშვილის მოთხრობაზე „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, სადაც ერთ ეპიზოდში ჩნდება ანატორის აკლდამები.

და ეს ორი რომანიც, ეს ორი ძეგლიც უნდა შემატებოდა ანატორულ არქიტექტურას.

გივი ალხაზიშვილის რომანი ბანკის პრეზიდენტის სიკვდილის ირგვლივ შემოიქსოვებოდა, სინამდვილეში მომხდარი ამბავი განზოგადდებოდა და 90-იანი წლების საქართველოს ყოფის ერთ მხატვრულ ქრონიკადაც წარმოდგებოდა. როგორღაც მიფარებულია თვალთაგან გივი ალხაზიშვილის უდავოდ წარ-

მატებული ცდები რომანისტიკის ჟანრში, უმთავრესად პოეტად და ესეისტად რომ ტრიალებს საზოგადოების თვალთახედვაში, თუმც ვიმედოვნებ ეს რომანებიც — მათ შორის ერთი ავტობიოგრაფიული — კვლავ შეიქნება მონაწილე ლიტერატურული ცხოვრებისა.

თამაზ ბიბილურის რომანის მიმართ კი მთლად უპატიებელ დუმილს ვიჩენთ, თავის დროზე საკმაოდ რომ გახმაურდებოდა და გურამ ასათიანი 70-იანი ქართული პროზის ერთ-ერთ მიღწევადაც კი მოიხსენიებდა...

თამაზ ბიბილური ალმანახ „კრიტიკის" ანკეტაში მონაწილეობისას აღნიშნავდა, რომ:

აკლდამის გზას თავისი ნებით მხოლოდ სუფთა ადამიანი დაადგებოდა, ხოლო ტირანი უნდა განედევნათ, ძალით შეეგდოთ აკლდამაში, საბაბად კი ჟამიანობა გამოდგებოდა — ან ჟამი უნდა შეჰყროდა, ანდა ვიღაცას ეთქვა: ჟამიანია და მოვიშოროთ, ჩავქოლოთო.

და მთავარი გმირი რომანისა იძულებითაც მიდის აკლდამისაკენ და... ნებითაც, რადგანაც სულიერი დაცემის მიუხედავად ადამიანში მაინც ყოველთვის რჩება რაღაც ადამიანური და უფალთან თანდათან მიახლოებისა და პირისპირ შეყრისას სწორედ ეს ადამიანური ამოიზიდება.

ნიავი
იმ უკეთესი საქართველოდან

(სადღეგრძელოს მაგიერ მაკა ჯოხაძეს)

შემიდარებია ჟანა დ'არკისთვისაც.

მარგარეტ იურსენარისა და ვირჯინია ვულფისთვისაც შემიდარებია.

კი მაგრამ... ეს ხომ სხვადასხვა პოლუსებია?

ეტყობა არც ისე სხვადასხვა, რადგანაც ამ თვისებებმა შეესაძლოა ერთ ადამიანშიც მოიყაროს თავი, როცა ის პიროვნება მაკა ჯოხაძეა — დახვეწილი სტილისა ყოფით რეალობაშიც და მხატვრულ სინამდვილეშიც და მეამბოხე ყოველგვარი სიცრუის, სიყალბისა და ფარისევლობის წინააღმდეგ.

ამისათვის დევნაც უნდა გამოეცლო, სამწერლო მოვლენების შუაგულში რომ მოექცეოდა პიესისათვის „ორი ცხოვრება“ და ჩვენი ლიტერატურის ისტორია ამ ეპიზოდიდაც დალაქავდებოდა.

თუ ვინმეს სწყურია სიმართლე და სიწრფელე, მაკა ჯოხაძისნაირ ადამიანებს, რომელნიც ბევრნი არასოდეს ყოფილან, მაგრამ ამ ცოტას გადაჰქონდა თავის მხრებზე ზნეობრივი უწყვეტობის შენარჩუნება.

ამიტომაც ფეთქავს მისი ყოველი სტრიქონი, დამუხტული ემოციებითა და იმ რწმენით, რომელიც მიყრუებულა, მისავათებულა კიდეც და მოელის ხელის შეხებას მაკა ჯოხაძისაც (თავისებურად სიმბოლურია, ბიბლიურ ქალთა პორტრეტების შექმნას რომ მოინდომებდა), რათა დაიბრუნოს თავისი ძალა და ჩვენც აგვავსოს მხნეობითა და იმედოვნებით.

ასეთი ადამიანები ასრულებდნენ მისიონერის როლს და ეს როლი გადმობარებიათ იმ მცირერიცხოვან პიროვნებებს, რომელთა შორისაც მაკა ჯოხაძე იგულისხმება.

დღეს, 10 აპრილს, მისი დღეა.

წესით ასეთი ადამიანებისა უნდა იყოს ყოველი დღეც და ასეც იქნება იმ უკეთეს საქართველოში, საიდან მობერილი ნიავითაც სუნთქავს მაკა ჯოხაძე. და ამიტომაც გრძნობს მთელი სიმძაფრითა და სიცინცხალით, რა არის სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი!..

ხანდახან ისე ძნელია ღამე

(ლალი გულისაშვილის ლირიკული კრებული რეზო ჭეიშვილის ხელთ)

წიგნის დახლების თვალიერებისას რეზო ჭეიშვილს რატომღაც დააინტერესებდა მისთვის უცნობი ავტორის ლალი გულისაშვილის პოეტური კრებული „დაბრუნება ძველ სახლში“, ყოველი შემთხვევისათვის იყიდდა და მერე კი როდის-როდის და სხვათა შორის გადაშლიდა, ერთი-ორი ლექსის წაკითხვას აპირებდა და... უეცრად მომხიბლავ ლირიკულ გარემოში ამოჰყოფდა თავს.

და დღიურშიც ჩაინიშნავდა აღტაცებასა და სიხარულს ამ ახალი პოეტის აღმოჩენით.

მე კი ამ პასაჟის ამოკითხვა გამახარებდა რეზო ჭეიშვილის დღიურში, ეპითეტებს ადვილად რომ არა ხარჯავდა და საკმაოდ კრიტიკულადაც განწყობილიყო თანამედროვეთა მიმართ.

გამახარებდა ლალი გულისაშვილის მოხსენიება ამგვარ კონტექსტში — ჩემთვის ძვირფასი მწერლის გაოცება იმ ლირიკული კრებულით, რომლის არაერთ ნიმუშს ხელნაწერადაც ვიცნობდი და მოსმენითაც მომესმინა მეგობრულ შეკრებებზე, თვალს ვადევნებდი ცალკეულ პუბლიკაციებს პრესის ფურცლებზე და ისეთი სიხარულით შევეგებებოდი უკვე წიგნად გადაქცეულს, ლალი ორ ეგზემპლარს მაჩუქებდა და ერთის პოსტსკრიპტუმში (არ მითხრათ, პოსტსკრიპტუმებს ვინ ურთავს ნაჩუქარ წიგნზე წარწერებსო!) დასძენდა:

— ორი წიგნი არავისთვის მიჩუქებია, დამიფასე!

ამ კრებულს ზაზა სიხარულიძე გამოეხმაურებოდა საქებარი რეცენზიით, მაგრამ უკმაყოფილების ხმები მომწვდებოდა:

— ლალი უკეთესი რეცენზიის ღირსი იყო!

უკეთესის ღირსი იყო და... დაეწერათ ის „უკეთესი“ თვითონ!..

1985 წელია, ვერლიბრი პოეტური უპირატესობის ნიშანი რომ ჰგონიათ და მედიტაცია და განსჯა — პოეზიის ლამის ერთადერთი დანიშნულება, თითქოსდა ლირიზმი რაღაც მოძველებული იყოს და სიყვარულის გამომჟღავნებას ბევრად სჯობდეს სიყვარულის ანატომიური გააზრება, მედიტაციისმაგვარ საბურველში გახვეული. სიწრფელეც, სიფაქიზეც ლირიზმს გადაჰყოლოდა თან და... აგერ ლალი გულისაშვილის ლექსებში უნდა შენარჩუნებულიყო ის „ყავლგასულობაც“ და „მოძველებულობაც“, რაც სინამდვილეში დროის კაპრიზებს არ ემორჩილება და მარადიულობის სულით სუნთქავს.

სწორედ ეს მოეწონებოდა რეზო ჭეიშვილსაც — დაბრუნება დაუძველებელ გრძნობებთან!..

იმ გრძნობებთან, იმ ლტოლვასა და ხილვებთან, რაც ასე გულშიჩამწვდომად გადმოიღვრებოდა თუნდ იმ უსათაურო ლექსში, რომლის მიძღვნის ადრესატიც დაშიფრულია: ი. ტ.

ახლა ისეთი ღამეა, იო,
არ შეიძლება შენი ხსენება,
ხანდახან ხდება რაღაც ისეთი...
შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება!

გარეთ თოვლია... და სითეთრეში
ბორიალობენ უცხო ლანდები,
მე ხომ არასდროს მიკითხავს შენთვის:
ვისთვის თენდები, ვისთვის ღამდები...

და დღეს ისეთი ღამეა, იო,
ცრემლი მერევა, რომ ვარ უშენოდ,
ჩვენ შეგვიძლია ერთიმეორეს
არც კი ვიცნობდეთ, ისე ვუშველოთ...

და აღარ მიკვირს, ამ სიჩუმეში
რატომ მომინდა შენი ხსენება,
ხანდახან ისე ძნელია ღამე...
შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება...

არც მჭირდება წიგნში ჩახედვა ამ ლექსის გასახსენებლად, ისევე როგორც არაერთი სხვა ლირიკული ნიმუშისაც, იქნება ეს „განდეგილივით მზის სხივზე ვაყრდნობ“, „უიმედო ლექსი“, „გამახსენდება ხანდახან“, „გახსენება: შინდი, ბავშვობა...“

რამდენიმე წლის შემდეგ კიდევ ერთი კრებული უნდა მოემზადებინა: „საგაზაფხულო ლოცვა“ და... ისე ჩაითრევდა პედაგოგიური საქმიანობა და სკოლის დირექტორობა, ველარ მოიცლიდა ლექსისათვის... და ველარც ლიტერატურული წერილებისათვის, საკმაოდ რომ ემარჯვებოდა.

მაგრამ ყოფითი ცხოვრება მაინც ვერ „შეჭამდა“ მის პოეტურ გზნებასა და მუხტს, რომელიც ძველებურად შემორჩენოდა, როდესაც რამდენიმე წლის წინათ კვლავ გამოაქვეყნებდა ლექსებს „ჩვენი მწერლობისა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, ახალ კრებულსაც გამოსცემდა — ორიგინალური სათაურით „შვილს“, და ავანსცენასაც დაუბრუნდებოდა, რადგანაც ეს წიგნი ძალდაუტანებლად ჩაერთვოდა სალიტერატურო პროცესის მდინარებაში.

დაუბრუნდებოდა იმ ძველ სახლს, საიდანაც არც არასოდეს წამოსულიყო.

დაუბრუნდებოდა იმ ბნელ ღამესაც, გახანგრძლივებულს, თუმც მიმანიშნებელს განთიადის კრთომისა, როდესაც გრძნობ, რომ შეგიძლია მკითხველს არც კი იცნობდე, ისე უშველო!..

ეს მართლაც ოქროს წიგნი

(ნარკვევის ანონსად)

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის გამოცემა მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში და შესაფერისი წარდგინებაც ერგებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დარბაზში.

მართლაც ოქროს წიგნი, როგორც მის შემქმნელს მიაჩნდა, იმ ვახტანგ ღამბაშიძეს, რომელიც არაერთ სასიკეთო საქმესთან ერთად ამ საშვილიშვილო სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კერასაც დააარსებდა — „პატარა ცემად" წოდებულ სანატორიუმს, ტუბერკულოზის ეპიდემიასთან საბრძოლველადაც და ისედაც ძალიან რომ წაადგებოდათ ადამიანებს ფიზიკური და სულიერი მხნეობისათვის, და ყმაწვილისათვის ისევე სულისმოსათქმელი იქნებოდა, როგორც მოხუცისათვის.

ასე ჩაეყრებოდა საფუძველი კურორტოლოგიას საქართველოში.

და იქ დაიბადებოდა ეს უნიკალური დავთარ-ალბომიც, რომელიც აკაკი წერეთლის მადლით იქნებოდა აღბეჭდილი — პირველი ჩანაწერი ანუ მიძღვნითი ლექსი „პატარა ცემისადმი" სწორედ მისი იქნებოდა და... დაიწყებოდა და დაიწყებოდა: არც ლექსი მოაკლდებოდა დავთარს, არც მინიატურა თუ ესეისტური ჩანახატი, ხოლო შთაბეჭდილებანი, მილოცვები თუ ავტოგრაფები კიდევ ცალკე, თანაც არაერთ ენაზე, მარტო ქართულად კი არა, და ალბომი ნახატებითაც დაშვენდებოდა.

ვის აღარ შეხვდებით მის ფურცლებზე:

გრიგოლ რობაქიძეს, ალექსანდრე აბაშელს, ილია ნაკაშიძეს, დუტუ მეგრელს, იოსებ მჭედლიშვილს, ია ეკალაძე-ცინცაძეს, სიმონიკა ბერეჟიანს, ექვთიმე თაყაიშვილს, ვიკტორ ნოზა-

ძეს, ალექსანდრე ხახანაშვილს, კიტა აბაშიძეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ნოე ჟორდანიას, მიხაკო წერეთელს, ევგენი გეგეჭკორს, შალვა ამირეჯიბს, სპირიდონ ჭავჭავაძეს, ელიზბარ ვაჩნაძეს, სიმონ წერეთელს, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილს, გრიგოლ დიასამიძეს, აკაკი ჩხენკელს...

იქ კიდევ ოლივერ უორდროპი და მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე ცნობილი ქართველოლოგი რობერტ სტივენსონი.

იქ კიდევ კავკასიაში ფრანგული სანიტარული მისიის მთავარი ექიმი ლუი დარტგი თუ ქართველი, ესპანელი, რუსი და აზერბაიჯანელი ექიმები.

ჩანაწერები მოიცავს 1904-1946 წლებს.

და ოქროს წიგნს მოუწევდა ემიგრაციაში ყოფნაც, მის ფურცლებზე რომ აისახებოდა ყველა ის მნიშვნელოვანი, უმთავრესად მაინც ტრაგიკული თუ დრამატული მოვლენა, რაც წილად ხვდებოდა იმ მღელვარე წლებში საქართველოსაც და ევროპასაც: ორივე მსოფლიო ომი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სიხარული და მისი დაკარგვით გამოწვეული ვარამი და კაეშანი, ემიგრანტული ყოფის სიმწარე...

ამ ალბომის მიკვლევაც აკაკი წერეთლის სახელს უნდა დაკავშირებოდა:

მისი არსებობა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს საფრანგეთის რესპუბლიკასა და მონაკოს სამთავროში გოჩა ჯავახიშვილს უნდა ეცნობებინა ჯული გაბოძისათვის — აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარისა და მის თხზულებათა ოცტომეულის ერთი ყველაზე თავგამოდებული მომმზადებლისა: აკაკის ერთი ლექსის ავტოგრაფმა შესაძლოა დაგაინტერესოსო!..

ავტოგრაფი ავტოგრაფად და... ჯული გაბოძისათვის ამიერიდან უკვე ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის გამოსაცემად მომზადება გახდებოდა უმნიშვნელოვანესი საქმე, რამდენიმე წელი სულაც მისით რომ იცხოვრებდა — გამოცემისა სახსრებიც მოსაძიებელი იქნებოდა, როგორც საკმაოდ ძვირადღირებულის, და ამასთან უსათუოდ უნდა დართვოდა შესაფერისი სამეცნიერო აპარატურაც: ოქროს წიგნის მონაწილეთა ენციკ-

ლოპედიური ცნობები, მანამდე კი გასაშიფრი იყო ის მრავალენოვანი წარწერები.

ბევრი ადამიანი ჩაერთვოდა ჩანაწერთა თარგმნასა თუ ბიოგრაფიული ცნობების მოძიება-დაზუსტებაში, ჯული გაბოძე უპირველესად მაინც რუსუდან კობახიძეს რომ ამოიყენებდა გვერდით, ქართული ემიგრაციის ცხოვრების ერთ საუკეთესო მცოდნესა და მკვლევარს... და საბოლოოდ მომზადდებოდა ისეთი დოკუმენტური ფონი წიგნისათვის, ვახტანგ ღამბაშიძის ამ ალბომსა და საერთოდაც მის მრავალმხრივ ღვაწლს რომ დაშვენდებოდა.

ამ ყოველივეს წარმოჩენა განზრახული გვქონდა თანდათანობით, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სხვადასხვა შეკრებაზე, და არამარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც, პირველ ყოვლის: მაინც გორის უნივერსიტეტიდან რომ დავიწყებდით კალმასობას.

ეს ეპიდემია ხელს შეგვიშლიდა იმ ეპიდემიის წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლის ეს უნიკალური ალბომი დროულად გაგვეცნო საზოგადოებისათვის მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

ამ ეპიდემიასაც მოევლება, როგორც ის ეპიდემია ჩაქრა და გაქარწყლდა და ეს ჩვენი განზრახვაც შესაფერისად აღსრულდება, მანამდე კი — სხვადასხვა დროს — ერთი-ორ ფრაგმენტსაც შემოგთავაზებთ ჩემი ნარკვევიდან, რომელიც მოხსენებად დაიწერა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თბილისურ თავყრილობისათვის, და მისი საჯაროდ წაკითხვისა და გამოქვეყნების დროც დადგება... მთავარია ეს სატკივარიც გადავიტანოთ...

პოლიტიკური აღდგომის წინამორბედი

(სახება და ღვაწლი გიორგი მაჩაბლისა)

წონასწორობას ჰკარგავდა ხოლმე რევაზ გაბაშვილი, როდესაც ესმოდა ნიჰილისტებისაგან, სამშობლოზე გულაყრილი ქართველებისაგან:

— რა შეგვიძლიან? არაფერს წარმოვადგენთ!.. ბუმბერაზების ჭიდილში, ბუმბერაზ მოვლენებში არარანი ვართ.

ეს აზრი და განწყობილება მიაჩნდა სიცრუედ, ანდა უნიათობად, და ცდილობდა ყველასთვის დაენახვებინა გიორგი მაჩაბლისთანა პიროვნებანი და გაესიგრძეგანებინა მათი ღვაწლი, ძალდაუტანებლად რომ გასიმბოლოვდებოდა და განზოგადდებოდა:

— აბა იფიქროს ყოველმა ქართველმა და იმოქმედოს, მიჰბაძოს ასეთ გმირებს, თუ საქართველო კვლავ არ აღსდგეს ბრწყინვალედ.

მეტი რაღა შეიძლება მოემოქმედა და კიდეც ტრიუმფით აღესრულებინა გიორგი მაჩაბელს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოჭედვაში, 26 მაისის ბაირაღის აფრიალებაში მისი მონაწილეობა გამორჩეული იქნებოდა და სწორედაც რომ დამაგვირგვინებელი — მას რომ არ მოეპოვებინა გერმანიის მთავრობის მხარდაჭერა, ის ეფემერული სახელმწიფოც აღარ იარსებებდა, აწ უკვე ბოლშევიკური რუსეთის მიერ ხელმეორე ანექსიის შემდგომ იმ რამდენიმე წლით რომ ვითქვამდით სულს და ვმხნევდებოდით სახელმწიფოებრიობის ამოგების მძაფრ, გაუნელებელ მოლოდინში.

დაბეჯითებით აცხადებდა მიხაკო წერეთელი:

— მაშინდელი აქტიური საქმიანობა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის განუყრელია გიორგი მაჩაბლის სახელთან.

დაბეჯითებით აცხადებდა ზურაბ ავალიშვილი:

— ეს ქართველების დიდ უმრავლესობას შეუძლებლად, ნაადრევად, თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდათ და ეჭვს გარეშეა, რომ ეს ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი გიორგი მაჩაბელი იყო, წინამორბედად ჩაითვლება იმ პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომის, რომელიც მოხდა 26 მაისს 1918 წელს.

განუყრელიაო...

პოლიტიკური მკვდრეთით აღდგომის წინამორბედიაო...

მიჰბაძოს ასეთ გმირებსო...

და მიიჩქმალებოდა გიორგი მაჩაბლის სახელი დამოუკიდებლობის სამწლიან ხანასთან ერთად... და როდესაც იმ სამ წელიწადს ეღირსებოდა დაბრუნება იატაკქვეშა ისტორიიდან ოფიციალურ ისტორიაშიც და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც, გიორგი მაჩაბლის სახელი კვლავაც მიბინარებული დარჩებოდა, რადგანაც სახელმწიფოებრიობის ამოგებაც და ის ნიშანსვეტური თარიღიც ნოე ჟორდანიას მიეწერებოდა, იმ ადამიანს, რომელიც იძულებით დათანხმდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას და რამდენიმე წლის წინათ უკვე ცდილობდა ჩაეგონებინა ეროვნულ მოღვაწეთათვის:

მართალია ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ. ჩვენი გზა არაა აჯანყება, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუცია.

რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთო...

და მას რომ მინდობოდა პოლიტიკური პროცესების წარმართვა, საქართველო დარჩებოდა რუსეთის რევოლუციის განაპირა კერად და ფილიალად, და თუ მიხაკო წერეთელი, დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი თავს არ დაზოგავდნენ ნოე ჟორდანიას დასაყენებლად სწორ გზაზე — გარეგნულად მაინც — ეს იმიტომ, რომ ზურგს უმაგრებდათ გიორგი მაჩაბლის მონაპოვარი: გერმანიის თანადგომა.

ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო ამ პიროვნების ღვაწლის თანდათანობითი წარმოჩენისა, რაც უნდა დაგვირგვინებულიყო რუსუდან დაუშვილისა და ოთარ ჯანელიძის წიგნი—ალბომით „გიორგი მაჩაბელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვ-

ნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2019) , ორი შესანიშნავი მკვლევარისა როგორც სამანს აქეთა, ისე სამანსიქითა საქართველოსი, მონუმენტური ფიგურა რომ წამოიმართებოდა ამ არცთუ დიდტანიანი წიგნიდან, დეტალ-დეტალ, ცნობა-ცნობა, წვეთ-წვეთობით რომ უნდა შეგროვებულიყო ყოველნაირი ცნობა და თვალწინ გადაგვშლოდა ბიოგრაფიული ქარგა იმჟამინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფონთან ერთად.

და გაგვეცნო გიორგი მაჩაბლის წინაპრებიც, მისი ოჯახიც — ივანე მაჩაბლის ძმისწულისა და ვასილის ვაჟის — მოწაფეობაც და სტუდენტობის წლებიც, მისი მოღვაწეობაც „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში“ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომზადების პროცესიც, მისი გარჯაც დიპლომატიურ ასპარეზზე, გადანაცვლება ბიზნესში და პარფიუმერიის კორპორაციის შექმნაც, არაერთი საზოგადოებრივ-კულტურული საქმის თაოსნობაც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უნდა ეპოვნა საბოლოო განსასვენებელიც და სპირიდონ კედიას ამ ცრემლიანი სტრიქონებით უნდა გაეცილებინა:

— ყველას უყვარდა. მოგონება ცოცხალია და მწვავეა მათ გულში... რამ შექმნა ეს საერთო გატაცება და სიყვარული? ყოველ ეჭვს გარეშეა — გიორგის უაღრესად ქართულმა იერმა. მასში გამოთქმული იყო მრავალი ტრადიციული თვისება ჩვენი ერისა. იგი იყო თბილი და ნაზი; გულადი და მტკიცე, ჩვილი და უშიშარი; სამშობლოს მოყვარული თავდადებამდე; მომხიბლავი, თავაზიანი და კეთილშობილი.

დიდ წარმატებას რომ მიაღწევდა გიორგი მაჩაბელი ბიზნესსაქმიანობაში, „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ასე შეაფასებდა ამ ღვაწლს 1957 წელს:

20-იან წლებში დაფუძნებული მაჩაბლის პარფიუმერია მოიაზრება როგორც ერთ-ერთი ხუთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კორპორაციიდანო.

როგორია: ხუთეულში ყოფნა საერთაშორისო მასშტაბით!..

მიუხედავად ამხელა წარმატებისა, გულნაკლული წავიდოდა ამქვეყნიდან გიორგი მაჩაბელი, რაკიღა ეს კორპორაცია შერჩენოდა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა: ვერ დაეტოვებინა დამოუკიდებელი საქართველო და ეს მოვალეობა მომავალი

თაობებისათვის მიენდო, სამაგალითოდ ისიც რომ ეყოლებოდათ, ერთ-ერთი გმირი არაოფიციალური ისტორიისა, მაგრამ ხელახლა ექნებოდათ სახელმწიფო ამოსაგები.

და მისი ცხოვრების ეს წლები ისევე ჩაიძირებოდა გაუნელებელ დარდსა და სევდაში, როგორც მანამდე ელიზბარ ერისთავისა, 1832 წლის მღელვარების მთავარსარდლის, გადასახლებიდან დაბრუნებული რომ დაამტკიცებდა, ქართველებს მრეწველობის ასპარეზზეც რომ შეძლებოდათ წარმატებული მოღვაწეობა, და მისი მინის ქარხანა კიდეც საუკეთესოდ აღიარდებოდა მთელს კავკასიაში. ამ წარმატებას გამოიყენებდა არაერთი საქვეყნო საქმის მოსაგვარებლად არამარტო ეკონომიკურ და სამეურნეო, არამედ საზოგადოებრივ-კულტურულ სფეროშიც, მაგრამ ვერაფერი დაუშოშმინებდა სულიერ ტკივილს, ვერაფერი დაუცხრობდა გულის მღელვარებას, თავის სამშობლოს კვლავინდებურად რუსულ ხუნდებში გამოჭედილს რომ შეჰყურებდა.

და ეს განცდა-განწყობილება გადმოსცემოდა გიორგი მაჩაბელს, რომლის ბიოგრაფიული ქრონიკაც, უტყუარობითა და სანდოობით აღბეჭდილი, უკვე ხელთა გვაქვს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან და პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმიდან მოკრებილ-მოძიებული ფოტოსურათებითაც დამშვენებული. გარეგნულადაც ჩინებულ გამოცემაში აღსანიშნავია დიზაინერ შალვა პაპალაშვილის წვლილი, ქართულ ტექსტს კი მიჰყვება ინგლისური თარგმანიც, შესრულებული ლელა დოლაქიძის მიერ.

რუსუდან დაუშვილი და ოთარ ჯანელიძე აწ უკვე მწერლებს უთმობენ სარბიელს, რადგანაც გიორგი მაჩაბლის ცხოვრება მისწრებაა რომანისტისათვის, ბიოგრაფიული რომანის ავტორისათვის ხომ თავისთავად.

ეპიკური გაშლაღა დაგვრჩენია მარგალიტებივით ასხმული ბიოგრაფიული ქარგისა, და გასაშლელადაც თუ რაიმე წაგვადგება, მათ შორის რუსუდან დაუშვილისა და ოთარ ჯანელიძის სხვა ნარკვევებიც და წიგნებიც, გზამკვლევები ეპოქის სიღრმეშიც და მოღვაწეთა სულის ხვეულებშიც, საქართველოს პოლიტიკური მკვდრეთით აღდგენის წინამორბედთა შარავანდით დაფერილი.

მიხეილ ჯავახიშვილი – ხავსში ცეცხლივით

(ანონსის მაგიერ)

„განთიადის“ მესამე-მეოთხე გაერთიანებულ ნომერში დაიბეჭდა ერთი თავი — „ხავსში ცეცხლივით“ — ჩემი ბიოგრაფიული რომანიდან მიხეილ ჯავახიშვილზე: „კალამი გოლგოთაზე“.

ეს თავი შევარჩიე იმიტომაც, რომ ეძღვნება მიხეილ ჯავახიშვილისა და ლევან ლეონიძის მეგობრობას, გიორგი ლეონიძის უფროსი ძმისა, საერთაშორისო დონის ვეტერინარის, რომლის სახელსაც არაერთი აღმოჩენა და სასიკეთო საქმე უკავშირდება, მათ შორის „მესაქონლეობის ლექსიკონის“ შედგენაც.

მრავალმხრივი და ღრმა განსწავლულობის გამოისობით ლენინგრადში ყოფნისას იქაურ წიგნსაცავებში უნდა მოეძიებინა ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი ძეგლები და აღეფრთოვანებინა არამარტო თავისი ძმა, არამედ ივანე ჯავახიშვილიც და სულხან-საბა ორბელიანის ახალგაზრდობის პორტრეტის პირველაღმომჩენიც ლევანი უნდა ყოფილიყო.

ძალიან აფასებდა მიხეილ ჯავახიშვილს, მიაჩნდა ახალი დროის ილია ჭავჭავაძედ და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც საკმარისი სახსარი ექნებოდა და მეცენატად დაუდგებოდა დიდებულ მწერალს, რომელსაც წესით უნდა მოხსნოდა ყოველგვარი ყოფითი საზრუნავი და მხოლოდღა უნდა ეწერა და ეწერა.

სათაური ამ თავისა შთაგონებულია ერთი ფრაზით ლევან ლეონიძის პირადი წერილიდან:

— საქართველოს ხავსში ცეცხლად ჩაჰვარდი და ნუ ჩაქრები.

მიხეილ ჯავახიშვილი წუხილს რომ გამოთქვამდა თავის უბის წიგნაკში: სასიყვარულო წერილები საუკეთესო რომანია, მაგრამ ბარბაროსულად წვავენო, — ლევან ლეონიძესა და მა-

რია ჰოფმანსაც დაეწვათ თავიანთი სატრფიალო მიმოწერა და ერთი კარგი რომანი ასე გაექროთ, თუმც გადარჩენილიყო მათი დღიურები, რომელსაც ნინო ჩხიკვიშვილი შეჰკრავდა ერთ წიგნად, აღადგენდა ლევან ლეონიძის ბიოგრაფიასაც და გამოსცემდა „ინტელექტის“ ცნობილი სერიით: „ჩანაწერები“.

ნინოც გაიხსენებდა და მეც დავისაჭიროებდი თამაზ ნატროშვილის იმ მიგნებასა და მასზე აგებულ ლიტერატურულ დეტექტივს: გიორგი ლეონიძის ლექსი „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც ვითომდა ტამანის ნახევარკუნძულზე დაკრძალულ ქართველ ჯარისკაცს ეძღვნებოდა, ლევანი რომ რქმეოდა, სინამდვილეში ძმის დატირება რომ გახლდათ, და სასტიკი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ასე გააყოლებდა ცრემლს პოეტი რეპრესიებს შეწირულ ამ კიდევ ერთ ღირსეულ კაცს, რომელიც დაურიდებლად ამხელდა ბოლშევიკურ რეჟიმს და მიხეილ ჯავახიშვილს ამ მხრივაც აფასებდა ძალიან: როგორც სასტიკი დროების პირუთვნელ მემატიანეს, დიდი მხატვრული ძალით რომ უნდა შემოენახა ის ტრაგიკული ხანა.

ჩემი მეგობარი ირაკლი

(სადღეგრძელოს მაგიერ ირაკლი ჯავახაძეს)

ზაალ სამადაშვილი ბევრგვარად რომ დააჩნევდა სასიკეთო კვალს ქართული ლიტერატურის მდინარებას, მათ შორის ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებითაც:

დაარსება „ლიტერატურული გაზეთისა“

და მის რედაქტორად ირაკლი ჯავახაძის შერჩევა, არასექტანტურად, არაკუტოკურად მოაზროვნე კაცისა, რომელსაც უყვარს ლიტერატურა და არა თავისი თავი ლიტერატურაში.

ამიტომაც შექმნიდა სრულფასოვან სამწერლო გაზეთს, ყველანაირ მიდრეკილებასა და მისწრაფებას რომ გაითვალისწინებდა და ჩვენი ლიტერატურის მრავალფეროვნებას მთელი თავისი სისრულითა და კოლორიტულობით წარმოადგენდა.

და მისი ნომრებისათვის თვალის მიდევნება დაარწმუნებს ყველას, რა მაღალი რანგის ლიტერატურა მოგვეპოვება და დიდხანს აღარ უნდა ველოდოთ ჩვენი შესაფერისი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ირაკლი ჯავახაძე არაერთი შესანიშნავი მოთხრობის ავტორიც რომ არის, მათი უდავო გვირგვინია „შავი სიის კავალერები“, ასეთი შთამბეჭდაობით გამომხატველი ეპოქის დრამისაც და ადამიანის იმ გაუნელებელი სატკივარისაც, ერთიმეორეს გადაჭდობილნი მთელი სიმძაფრით რომ წარმოგვიდგენენ წუთისოფლის ტრაგიზმსაც და მის მიღმა გაღწევის დაუოკებელ წყურვილსაც.

ცხადია ეს ყოველივე მოთხრობილია იმ სტილური არტისტიზმითა და სულის ხვეულების ბოლომდე გაშიშვლებით, რაც ჭეშმარიტი მწერლის თვისებანია; და ამიტომაც არასოდეს იქ-

ნება სრულფასოვანი ქართული მოთხრობის ის ანთოლოგია, სადაც არ შეიტანენ „შავი სიის კავალერებს“.

თავის დროზე ოთარ ჩხეიძე აღტაცებული დარჩებოდა ამ მოთხრობით — ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გაგრძელებებით იბეჭდებოდა „დილის გაზეთის“ ფურცლებზე, თანაც ივა პეტრიაშვილის ფსევდონიმით — და მალევე გამოეხმაურებოდა კიდეც მოწონების სიტყვებით.

წარმატებული აღმოჩნდებოდა ირაკლი ჯავახაძის მოთხრობების მიხედვით დადგმული სპექტაკლიც ქუთაისის თეატრის სცენაზე, ნუგზარ ლორთქიფანიძის რეჟისორობით. და გული გწყდება, კვლავდაკვლავ რომ არ იდგმება ეს თუ სხვა ინსცენირებანი — ჩვენს ახალგაზრდობას ძალიან გამოადგებოდა სულიერი ფორმირების გზაზე.

ჩვენ ვალში ვართ ირაკლი ჯავახაძისა და მისთანა პიროვნებათა წინაშე, იქითაც რომ იგრძნონ ყურადღებაცა და თანადგომაც... მისი დაბადების დღე კი უნდა მივულოცოთ ყველას, რომელთათვისაც სასიცოცხლოა ჭეშმარიტი ლიტერატურა!..

თავგადასავალი წიგნის მოსაპოვებლად

(დეტექტიური ნოველის ქარგად გამოსადეგი)

ერთი წიგნი დამჭირდებოდა, შინ რომ არ აღმომაჩნდებოდა, და — ამ პანდემიისა და უბიბლიოთეკობის პირობებში — ვის აღარ შევაწუხებდი, ვის აღარ ვთხოვდი, ვისთანაც კი მეგულებოდა, მაგრამ გაგიგონიათ?!.

წესით და რიგით მეც კი უნდა მქონოდა, მაგრამ...

ისეთი შთაბეჭდილებაც დამრჩებოდა, რომ ერთადერთი ცალი დაებეჭდათ და ავტორის გარდა აბა ვისღა ექნებოდა!..

ჩემს საწუხარს შეიტყობდა ზვიად კვარაცხელია და მოინდომებდა გვერდით ამომდგომოდა, და ისეთი თავგადასავალი გადახდებოდა ამ წიგნის მოსაპოვებლად, დეტექტიურ ნოველასაც კი გამოჰკრავს ხელს, ან მე გამომაკვრევინებს...

თუმცა განა სულერთი არ იქნება მწერლობისათვის?!.

ფირფიტა ბნელში

(მართა ურუშაძის დებიუტი რომანისტიკაში)

ძველ ფირფიტას წარმოიდგენთ, რომელიც სიბნელეში უკრავს და არავინ უსმენს, ის კი ტრიალებს და ტრიალებს?

მაინც რას შევადარებდით?

ერთი რომანის პერსონაჟისათვის კი ასეთია ჩვენი საყვარელი დედამიწა, ძველი, მიგდებული სათამაშო. ღმერთმა ჩვენს შემდეგ მილიონი ახალი ცივილიზაცია რომ შექმნა, ჩვენ აღარ ვაინტერესებთ და ჩვენი არც გადარჩენა სურს, არც განადგურება.

აბა თავს როგორღა ვინარჩუნებთ?

თურმე რამდენიმე ანგელოზს ვეცოდებით და გვეხმარებიან, მათი დახმარება კი იმით გამოიხატება, რომ... ტყუილებში გვაცხოვრებენ, რათა სიცოცხლეზე ხელი არ ავიღოთ... თუმც ყველა რეალობას ხომ თავისი ზღვარი აქვს, ვადის გასვლის თარიღი, რაც კაცობრიობასაც დაუდგება და... კიდეც გაქრება — არანაირი სამოთხე, არანაირი ჯოჯოხეთი, ანგელოზები კი სხვა პლანეტაზე გადაინაცვლებენ და იქ განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას.

და... კაცობრიობა ვიღას ემახსოვრება?

თუმც... არის კი დასამახსოვრებელი?

მეორე პერსონაჟის თვალშიც:

ადამიანებმა დავამტკიცეთ, რომ გადარჩენას არ ვიმსახურებდით. ზეარსებებმა ახალი სამყარო შექმნეს და იქ ჩვენს გარეშე გადაბარგდნენ. დედამიწა კი მართლაც სხვა არაფერია, თუ არა ღმერთების მიერ მიტოვებული სათამაშო, ჯერაც მედგრად რომ დგას არასახარბიელო მომავლის წინაშე.

და შედარებით პრიმიტიული რასის, კაცობრიობის ბედის გადაწყვეტა კოსმიური თეთრი საძმოს მოვალეობად რომ ქცეულა, მზად არიან დედამიწაზე თავიანთი ნაწყვეტები გამოგზავნონ, ადამიანთა სხეულებში ჩასახლდნენ და კაცობრიობას ასე შემოეშველონ, თორემ კაცობრიობა გამოცდის ჩამბარებელი არ არის და განადგურებასაც ვერ აიცილებს.

ასე მოდიან დედამიწაზე ის ნაწყვეტები, რომელთაც დაძმის დეა და გიორგი კვაშილავების სახე უნდა შეიძინონ და სცადონ აღსრულება თავიანთი ზეციური დავალებისა, და მათი — უმთავრესად კი დეას — კვეთება მკაცრ ბედისწერასთან წარმოდგება მძაფრ სიუჟეტურ ქარგად მართა ურუშაძის სადებიუტო რომანისა „მეხამრიდი" („ინტელექტი", 2019), ერთ გრძელ კოშმარულ სიზმრად რომ წარმოგვიდგება, დასახლებულად ყოველგვარი საზარელი არსებითაც და პერსონაჟთა უჩვეულო სახეცვალებებითაც, თუნდ მთავარი გმირი თავისი სხეულიდან არაერთხელ რომ უნდა გამოვიდეს და ჯოჯოხეთში ჩაშვებასაც არ მოერიდოს, რადგანაც დაუბეჯითებენ, რომ ეს მისი რჩეულობის გამოცდის აუცილებელი ეტაპია, და სამოთხეში ისე ვერ ააღწევს, თუ ჯოჯოხეთი არ გამოიარა.

უჩვეულო ენერგიის წყალობით ჯერ ტბა უნდა გაწმინდოს.

მერე თბილისსაც უნდა უშველოს.

და თუმც გაქრობა მოელის ანუ წინანდელ გარსში დაბრუნება და ადამიანობასთან გამოთხოვება, უკვალოდ მაინც არ ჩაივლის მისი განწირული სულისკვეთება და გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება.

ავტორის დაუშრეტელი ფანტაზიისა და ამბების სიმძაფრის, ფანტასმაგორიული სცენების ფოიერვერკის წყალობით რომანი სულმოუთქმელად იკითხება, ყოფითი სცენები ერთბაშად და წამდაუწუმ რომ უნდა მოექცეს კოშმარული სიზმრის ბურანში და მკითხველიც ჩაითრიოს იმ თავდაუზოგავ ბრძოლაში გარემომცველ სინამდვილესთანაც და თავის თავთანაც, რაც დეა კვაშილავას ამქვეყნიური ცხოვრების მიზანია, ის ამაღლებული მისწრაფება, მსხვერპლად თვითგაღებით რაც უნდა აღასრულოს.

თავისებური ლიტერატურული არქეტიპი ამ პერსონაჟისა გალაქტიონ მთვარაძეა, ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მარადი-

სობის კანონი", ხოლო ყოფითი სინამდვილიდან არქეტიპად წარმოდგება ვალიკო ჟვანია, მარტოდმარტო რომ უნდა შერკინებოდა იმპერიალისტურ ურჩხულს, რაკიღა სწამდა, რომ სხვა პლანეტიდან მოვლენილიყო, იმ გედის ნისლეულიდან, სადაც გადაწყვეტილიყო მისი ამქვეყნიური მისია — თვითშეწირვით საზოგადოების გამოფხიზლება.

მართა ურუშაძის „მეხამრიდი", თანამედროვე ზღაპრისა თუ ჯადოსნური რეალიზმის ეს ჩინებული ნიმუში, ნოყიერი მასალა აღმოჩნდება ელგუჯა თავბერიძისათვის, რომელიც საგანგებოდ შეისწავლის კუდიანთა, ეშმაკეულთა, მაჯლაჯუნათა, მოჩვენებათა, მეორედ მოსვლის, უცხოპლანეტელთა თემას ქართულ მწერლობაში, XIX საუკუნე ამ მხრივ უკვე რომ მოაქცია მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „ეჭვის პერანგი" და ახლა XX საუკუნისა და ჩვენი ასწლეულის ლიტერატურას ამუშავებს; მასალა არ აკლია, მაგრამ „მეხამრიდი" მაინც უხვად მოამარაგებს, უკვე ბუნებრივად რომ ჩართულა ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში.

ჩაამთავრებ რომანს და ძალდაუტანებლად წამოგიტივტივდება პლატონის შეხედულება ჩვენს სამყაროზე, ისევე რომ ვართ სხვა, ნამდვილი სამყაროს ანარეკლები, როგორც გამოქვაბულში დანთებული ცეცხლი იწვევს მის გარშემო შემომსხდარ ადამიანთა აჩრდილების თამაშს კედლებზე.

ეს აჩრდილებია კაცობრიობა, იდუმალი ლტოლვითა და მთელი არსებით იმ დაკარგულ პირველსამშობლოს რომ მიელტვის, იმ უჩვეულო გარსში მოქცევას, ჩვენი ნამდვილი სხეული რაც არის.

მანამდე კი ვკმარობთ ანარეკლებად თამაშს გამოქვაბულის კედლებზე, ბუნდოვნად — ან ბუნდოვნადაც აღარ — რომ გვახსოვს ჩვენი პირველქმნილი რაობა.

თურმე ანარეკლებს ვინ ჩივის — აგერ „მეხამრიდის" მხატვრულ-ესთეტიკურ თვალთახედვაში ანარეკლის ანარეკლის ანარეკლის ანარეკლები ვართ და პლატონის გამოქვაბულამდეც ბევრი გვიკლია, მერეც რომ გვიძნელდება გზის გაგნება, ანუ გამოღვიძება კოშმარული სიზმრისაგან, თვითეული ჩვენგანი თავის გზაბილიკს რომ გადის მისტიკურ ხილვებსა და

წარმოსახვებში, გზაბილიკს — ფრაგმენტულს, დაღავებულს... მაგრამ მაინც ხომ ვესწრაფით ჩვენსას!..

და რაოდენ მძიმეც უნდა იყოს გასაცნობად მართა ურუშაძის ამ საზარელი არსებებითა და გულისგამყინავი სახეცვალებადობით აღსავსე მხატვრული სამყარო, მაინც ნუგეშად და იმედად გვევლინება დიდი სულიერი შემობრუნების პროცესში — სხვა რომ არაფერი, ერთიანია, გაბმულია, მთლიანი მოზაიკური სურათია, სულიერი გამოცდილების შეუფერადებელი წარმოჩენაა.

და კიდევ ერთი ხელშესახები დასტური:

როგორ მოგვწყურებია დაკარგული ღმერთის ძიება და როგორ ვგრძნობთ იმ ცხოველმყოფელ ნიშატს, მართალთა ბილიკზე რომ უნდა შეგვაყენოს.

ხომ გესმით ხმა ძველი ფირფიტისა, სიბნელეში რომ ტრიალებს?

რაკიღა გესმით, დედამიწაც აღარ იქნება მიგდებული სათამაშო და გააგრძელებს მედგრად დგომას თუნდ არასახარბიელო მომავლის წინაშე.

და შემოგვცინიან და გვაგულიანებენ და გვამხნევებენ პლატონის გამოქვაბულის აჩრდილები.

ხატად დაკარგული ბავშვობისა

(ირაკლი შამათავას არაორდინარული დებიუტი)

რისთვის აღარ შეუდარებიათ ცხოვრება, მაგრამ... გამომცემლობისათვის?

ეს შედარებაც უნდა გამოძებნილიყო და თანაც ყველაზე მეტად მისთვის მიემსგავსებინათ იმ მოტივითა თუ ხედვით:

თუ გამოსაცემი მასალა კარგ რედაქტორს არ გადაეცი, საშინლად უინტერესოა მთლიანი წიგნიო.

ირაკლი შამათავა ამას სულიერად აფორიაქებულ და აქეთიქით მიმოწყდომილ ყმაწვილკაცს ათქმევინებს, ერთფეროვნების გადალახვის ჟინით ატანილს, თავის დაუოკებელ მღელვარებას დღიურის ფურცლებს რომ ანდობს, და მისი მოუწყობელი ყოფა და მიმოწყდომა, ხან ოკეანის ფსკერზე რომ ეძიებს შვებას, ხან მთის მწვერვალზე და ხანაც ათასგვარი რამის შეგროვებაში, მოთხრობის სათაურშივეა გაცხადებული: „სახლიდან გაქცეულის დღიურები“.

ამ ჟანრობრივი თავისებურებისა — დღიურის ფორმა რომ გამოძებნილა — ეს ერთადერთი ნიმუშია ამ ექვსმოთხრობიან კრებულში „გამშვები პუნქტი“, „ინტელექტს“ ჩვეული თანადგომით რომ გამოუცია პირველი წიგნი ახალგაზრდა კაცისათვის, თუმც კრებული, შინაგანი აღნაგობით, სწორედაც დღიურის ფურცლებად წარმოგვიდგება თავისი სიწრფელითა და სიალალით, გაუნელებელი ტკივილის ბოლომდე გადმოშლითა და დოკუმენტური ცნობების იმ სიუხვით, რაც კიდევ ერთხელ ხდის ხელშესახებს დევნილობის ტრაგედიას შენსავე სამშობლოში.

სადღაც შორს დარჩენილა აფხაზეთის მხარე, რომელიც ყმაწვილურ მოგონებებში ცოცხლობს, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში გაზავებულ ფიქრებსა და განცდებში, ბავშვობა-დაკარგულობის წუხილი რომ მსჭვალავს და ავტორისათვის დაკარგული სამოთხის შეგრძნებას უტოლდება.

და მას მერე ეძიებს იმ დაკარგულ სამოთხეს და პირველივე ნოველის სათაური: „დაკარგული სამოთხის ძიებაში“ — ათვალსაჩინოებს კრებულის მხატვრულ მრწამსს, მის გულის-გულს, ჯონ მილტონის ეპიკურ ქმნილებასთან — „დაკარგული სამოთხე“ — შეხმიანებანი კიდევ უფრო განზოგადებულს რომ ხდის მწერლის ჩანაფიქრს და ამძაფრებს იმედს სამოთხეში დაბრუნების გარდუვალობისა, როგორც მილტონის ის პოემა არ დარჩენილა მეორე პოემის — „დაბრუნებული სამოთხე“ — გარეშე.

ასე შემოდის სამწერლო თვალსაწიერში კიდევ ერთი მაძიებელი და სულით მდიდარი კაცი, წარმომადგენელი იმ ბავშვობადაკარგული თაობისა, რომელსაც ბრძოლის წესები, სამხედრო ლიტერატურა და ომის სურათები თვალწინ გადაუშალეს; ტკივილიანი, სისხლიანი ანბანის გარშემოწერილობით კი შეაგონეს: შენ დაკარგული სამოთხიდან ხარო!..

და მთხრობელ-პერსონაჟმა დაკარგული ბავშვობის ძიებისას ის სურათი უნდა შეინარჩუნოს გაუხუნრად, უკანასკნელად რომ დატოვებდა ერთი ნაღვლიანი შემოდგომის მიწურულს.

და მილტონურად უნდა შეეხმიანოს იმ ჯოჯოხეთს, მის სანეტარო სამყოფელში სულ სხვანი რომ ჩასახლებულან, და მუქარას: ბედნიერნი ხართ, მაგრამ დიდხანს აღარ შეგრჩებათ, რადგან სუსტი საფარი აქვს თქვენს ნეტარებასო, — სულგრძელად უნდა მიადევნოს: მაგრამ წინასწარ თქვენი მტრობა არ განმიზრახავს, მზად ვარ კიდევაც შეგიბრალოთ, უთვისტომონოო...

„ჩემი სახელია ჰიროშიმაც“, რომელიც თავით ბოლომდე იაპონიის იმ ტრაგიკული დღის ირგვლივ ტრიალებს, ატომურმა ყუმბარამ მთელი ეს ქალაქი რომ შეიწირა წამში, უშუალოდაა გადაბმული აფხაზეთში დატრიალებული რუსეთ-საქართველოს ომის ტრაგიკულობას, და მითუმეტეს ამავე სულისკვეთებითა და განწყობილებებით სუნთქავს „კაენი და სახარება“,

იმ მარადიულ მოდელზე აგებული, ყოველთვის რომ მიმართავენ მწერლები, სახელოვანნიც და დებიუტანტებიც, ყველას თავთავის სამყოფ საზრდოს რომ მიაწვდის; და ირაკლი შამათავაც შეეცდებოდა ამ გაუნელებელ სატკივარ-სადარდებელში თავისი ნიუანსები შეეტანა და... აბელი და ლაზარე ანუ ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის პერსონაჟები გაეიგივებინა და აქედან დაენახა კაენის ცოდვა-ბრალი, დაკარგული ბავშვობის მთავარი მიზეზი, აფხაზი გოგონას დღიურის ფრაგმენტშიც რომ უნდა გაცხადდეს, მამაზეციერს რომ ევედრება და პასუხს ითხოვს: რა შეგცოდა მოდგმამ კაცთამან ეგეთი, რომ გახადე ერთმანეთის სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელადო?!.

— ძალადობრივი სამყარო გლობალური ფონია, რომელზეც ირაკლი შამათავას მოთხრობების პერსონაჟები იძერწება. ამ ექსტრემალურ მოზაიკაში მტრისა და მოყვრის ცნებები ახალ განზომილებაში გადადის. აფხაზი და ქართველი იმ საერთო შინაარსის სათავესთან იკვეთება, სადაც ისტორია ყველაზე ზუსტი და შეუვალია, — მოკლე წინათქმაში რომ აღნიშნავს წიგნის რედაქტორი (იმ კარგ რედაქტორთაგანი, სიმბოლური გაიგივებისა და გონებამახვილური შედარების გუნებაზე რომ გაყენებს!) ნინო სადღობელაშვილი და სავსებით ეთანხმები, რომ სწორედ ამ ერთიანობაზე მეტყველებს კრებულის ორენოვნებაც — ქართული და აფხაზური — როგორც მწერლის მკაფიო პოზიცია და მხატვრულ-ეთიკური მრწამსი: ომს ამარცხებს სიყვარული.

თუმც აფხაზი ბიჭუნა იღუპება რუსი ჯარისკაცის ტყვიით იმის გამო, რომ ქართული ენისა და ანბანის სწავლა მოუნდომებია, ეს ტრაგედია სასოწარკვეთით კი არ გავსებს, არამედ იმედოვნებით, რადგანაც ვერარა ძალა ვერ ჩაკლავს ამ სულიერ ლტოლვას, რაც კავკასიის ხალხებს მიეზიდება ერთმანეთისაკენ, რამდენი და რა სიმაღლის მავთულხლართებიც უნდა ჩაგვიდგას რუსულმა იმპერიალიზმმა.

და მამის შეგონებაც თავისებურ სიმბოლოდ აღიმართება სამოთხედაკარგულთა და სამოთხისმაძიებელთა წინაშე:

დაე მოხსენი ღირსებას მარყუჟი და სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული, ტომარაწამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისაგანო!..

ხოლო როდესაც გულის შეტევით აღსრულებული მამის ცხედარს შვილი — მშობლის ანდერძის თანახმად — აფხაზეთში მიასვენებს, ხელთ ლოცვანი უჭირავს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს კითხულობს და იმ აფხაზი ბიჭუნასა და მამის სულებს ავედრებს შემოქმედს, იმ ლოცვების გაგრძელებად მიადევნებს იმ ფიქრებს, ამ გულისშემძვრელ კრებულად რომ უნდა გარდასახულიყო იმ გადახსნილი გულის წყალობით, რომლის დაგადუგსაც დღიურის ფურცლებს თუ მიანდობ...

და ამ დაგადუგზე უკეთესი მაცნეც რა უნდა იყოს იმ იდუმალი ძაფების განსამტკიცებლად, რისკენაც ყოველწამიერ მიგახედებს დაკარგული სამოთხის ხატი.

პოსტპანდემიური ხანის მოლოდინში

(პაუზა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობათა ციკლში)

სინანულითღა დავყურებ იმ წინასწარ მონახაზს, რაც გულისხმობდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ლიტერატურულ თავყრილობათა 2020 წლის საგაზაფხულო სეზონს თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მარო მაყაშვილის დარბაზში. . აღარაფერს ვამბობ სხვა ქალაქებში ნაგულისხმევ შეხვედრებზე, მათ შორის სამეცნიერო სესიაზე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რომ უნდა ემასპინძლა.

ორ თავყრილობაზე მე თვითონ უნდა მქონოდა მოხსენება, დაწერით რომ დავწერე, მაგრამ საჯარო წაკითხვისა რა მოგახსენოთ:

ვახტანგ ღამბაშიძის ალბომზე, ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ განსაკუთრებულ მოვლენად რომ შეფასდა უკვე და მისი დრამატული ხვედრი ერთი კარგი სათავგადასავლო რომანის სიუჟეტურ ქარგად გამოდგება.

და ზვიად კვარაცხელიას სილუეტების, ჩანახატებისა თუ დოკუმენტური ნოველების კრებულზე „დარეკე! დაუბარე!"

მართალია ვრცელი რეცენზია ქართველ ქალთა თანამედროვე ანთოლოგიის ორენოვან გამოცემაზეც — „ვათავისუფლებ" (ნატა ვარადასა და ნინო დარბაისელის მიერ მომზადებული) — მაქვს დაწერილი და ელექტრონულ გაზეთში — „ქართული კულტურა" — გამოქვეყნებული, მაგრამ მისი განხილვისას მომხსენებლებად სხვანი მყავდა ნავარაუდევი, ოთხი ძირითადი გამომსვლელი რომ იქნებოდა.

ია ჯინჭარაძის უდავოდ გამორჩეული პოეტური კრებულიც „შეიძლება სახლში წავიდე, ბატონო?" არ დაგვრჩებოდა შეუ-

ფასებელი. და ბარემ მივანდობდით გიორგი ლობჟანიძეს, რომელიც მიმოხილვითი ყაიდის სტატიაში უკვე გამოთქვამდა რამდენიმე საგულისხმო დაკვირვებას.

პოლიციური რეჟიმი აიძულებდა ზვიად რატიანს, პოლიტიკური თავშესაფარი ეძია გერმანიაში, თუმც აქაურ სამწერლო ყოფას არ მოწყდებოდა, რადგანაც მისი ახალი პოეტური კრებული გამოიცემოდა: „კოცონი მდინარესთან“ — და ლელა კოდალაშვილის რეცენზიაც დაიბეჭდებოდა. და ამ წიგნის ბიოგრაფიას ლიტერატურული თავყრილობაც უნდა შემატებოდა.

ნოდარ მაჭარაშვილის მრავალმხრივ საგულისხმო ისტორიული რომანი ერეკლე მეორეზე „ავი მუსაიფი“ ჩემი მცირე რეცენზიის ანაბარა რომ რჩებოდა, უთუოდ უნდა გამხდარიყო თავყრილობის მონაწილეთა სამსჯელოც.

მართალია გიორგი სოსიაშვილის ორტომიან რომანზე „გოდების კედელი“ რამდენიმე სტატია უკვე გამოქვეყნდა (თამარ გელიტაშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, იოსებ ჭუმბურიძე), მაგრამ ეს ეპოპეა კიდევ არაერთხელ მიიპყრობს კრიტიკოსთა ყურადღებას, მითუმეტეს გიორგი სოსიაშვილი რომანსაც უთუოდ რომ შექმნიდა, სწორედ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების იმ თავყრილობაზე ითქმოდა, მისი ნოველების კრებულს რომ განვიხილავდით.

გიორგი ხორბალაძისა ორი წიგნი უნდა განგვეხილა ერთდროულად: ლიტერატურული ნარკვევების კრებული „რაკურსი“ და პოეტური კრებული „დარდის ჩემოდანი“.

ჩემი წიგნებიდან კი განხილვა გაიმართებოდა ჩხეიძეთა ბიოგრაფიული ნატეხებისა „ჩემი საგვარეულო შტო“, და წარდგინება — ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ქრონიკისა „მუხა უდაბნოში“.

სამეცნიერო სემინარსაც ვაპირებდით, რომელიც უნდა მიძღვნოდა ზურაბ ცხონდიას წიგნს „გრანელის სევდა“, ხუთი ძირითადი მომხსენებელი რომ განიხილავდა და მათი ნარკვევები, როგორც ტრადიციად დამკვიდრდა, ცალკე წიგნადაც გამოიცემოდა.

რას ვიზამთ — ალბათ ამასაც უნდა მოვსწრებოდით, პანდემიის ხანას... და დავლოდებოდით პოსტპანდემიურს...

მის აჩრდილსღა თუ გავუზიარებ

(სამძიმრად გელა ჩხეიძეზე)

წავიდოდა და თან წაიღებდა ჩემი ბავშვობის დიდ ნაწილსაც. გელა ჩემთვის მხოლოდ ბიძაშვილი არა ყოფილა, ძმაც იყო, მეგობარიც...

სად აღარ ვყოფილვართ ყოფით რეალობაშიც და წარმოსახვითაც, ერთად რომ დავეძებდით ჩხეიძეების ისტორიულ ფესვებს, ყელქცეულიდან რომ შევუყვებოდით იმ უზარმაზარ სივრცეს, საქართველო რომ ჰქვია და მისი სიპატარავე არც არასოდეს გვჯეროდა.

გელა ჩხეიძე იყო კაცი, რომელსაც რაღაც განსაკუთრებული ძალით, რომანტიკული განცდით უყვარდა ქართული სიტყვაც და ქართული ჯიშიც, და შიგნიდან განიცდიდა ბუნებას, პირველყოფილი ადამიანივით, როგორც მისი უშუალო ნაწილი.

სიყმაწვილეში თავის ფიქრებსა და შთაბეჭდილებებს დღიურს ანდობდა და პატარ-პატარა მოთხრობებსაც მოსინჯავდა, მერე კარგა ხნით რომ მიატოვებდა მღელვარე ცხოვრებაში ჩართული, ბიზნესსაც რომ მოჰკიდებდა ხელს და წარმატებითაც გაუძღვებოდა.

თუმც ბოლო ხანს კვლავ გაუწევდა გული წერისაკენ და ფეისბუქს აქცევდა დღიურის გვერდებად.

და ამიერიდან მის აჩრდილსღა თუ გავუზიარებ ფიქრსაც და ოცნებასაც, გულისტკივილსაც და სიხარულსაც, თან რომ გამომყვება მისი მხურვალე და იდუმალი თანადგომა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ჩვენი უთვისტომობის დრამა

(ანონსის მაგიერ)

გერონტი ქიქოძეს ქართულ ეროვნულ ხასიათზე უშუალოდ ეს ნარკვევი აქვს შექმნილი: „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“ — თუმც სხვადასხვა ესეიში ხშირად უტრიალებდა ამ საფიქრალს და „ეროვნულ ენერგიას“, პოლიტიკური სტატიების კრებულს, მთლიანად ამ სულისკვეთებით განმსჭვალავდა, ხვეულ-ხვეულ და შრე-შრე რომ ჩაჰყვებოდა ჩვენი ესთეტიკური ბუნების თავისებურებებს და შეეცდებოდა ქართველთა მოდგმის დრამატული თავგადასავლის წიაღში დაენახა სიცოცხლისუნარიანობის ის დაუმცხრალი ძალა და ნიშატი, რასაც გაეძლებინებინა ჩვენთვის და კვლავაც გაგვაძლებინებდა, ოღონდაც ეროვნული ენერგიის რწმენა შეგვენარჩუნებინა.

ამოსავლად ჩვენი გამძლეობისა წარმოაჩენდა ქედფიცხელობას, ურჩი სულის გაუნელებელ არსებობას, არისტოკრატულ ემბაზში ამოვლებულის, არისტოკრატულობისა, რაც არამცთუ გამორიცხავდა ხალხოსნობას, არამედ უშუალოდ შერწყმოდა მას -— სხვა ერების ცხოვრებაში ორ პოლუსად რაც არსებობდა, ჩვენში ერთსულოვნებას განასახიერებდა.

გერონტი ქიქოძე არსებითად გაიმეორებდა ალექსანდრე ორბელიანის მამაშვილობის თეორიას — თავისებური მოდიფიკაციით, ახალ დროებასთან შეფარდებით. გაიმეორებდა იმისდა მიუხედავად, რომ ის მტკიცება ალექსანდრე ორბელიანისა მიამიტობად მიაჩნდა და ალექსანდრეს თუ აფასებდა, არა როგორც მოაზროვნეს, არამედ როგორც თავისი ქვეყნის იშვიათ მოყვარულსა და თავდადებულ ადამიანს.

თავიდან აკი არც ილია ჭავჭავაძე იზიარებდა მამაშვილობის თეორიას და ირონიულადაც გაკენწლავდა მოთხრობაში „კაცია-

ადამიანი?!" — ვიდრე იწამებდა ამ თეორიის სიმართლესა და შეუმცდარობას და ჩატეხილი ხიდის მეტაფორაში გაანივთებდა.

ეს თავი — გერონტი ქიქოძის „მელანქოლიური შენიშვნებისა" თუ „მესხეთის" ანალიტიკური განსჯა — უთუოდ აკლდა ჩემს მონოგრაფიას „ქალდეას მონატრება", ისევე როგორც ორიოდე სხვა თავიც; და ამ მონოგრაფიის, საერთოდაც ამ ტეტრალოგიის, ხელმეორედ გამოცემის მზადების პროცესში დაიწერებოდა გერონტი ქიქოძისა და ქართველთა უთვისტომობის თემაზე „ურჩი სული: არისტოკრატული", რომელიც წიგნში შეტანამდე დაიბეჭდებოდა ცალკეც: „მწვანეყვავილას" 2020 წლის პირველ ნომერში.

გერონტი ქიქოძე ჯერ კიდევ როდის ირწმუნებოდა, რომ ვერ ჩავითვლებოდით აღმოსავლეთის ღვიძლ შვილებად, რადგან ყოველთვის უცხო და გაუგებარი რჩებოდა ჩვენთვის აღმოსავლური დესპოტიზმი და არ შეგვეძლო ქედი მოგვეხარა უსიტყვო მორჩილების ნიშნად.

და დაუმორჩილებლობის ნიმუშად და ხატად დაგვისახავდა ლიპარიტ ორბელიანს, ვინც მუქი ფერებით წარმოისახება ჩვენს ისტორიკოსთა ნაშრომებშიც და პუბლიცისტიკაშიც — განდგომილი ერისთავის, დავით აღმაშენებელს რომ ებრძოდა და არ ურიგდებოდა სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმს. და ამ ბრძოლას შეეწირებოდა, ძელზე გასმით რომ დაამთავრებდა თავის არსებობას.

გერონტი ქიქოძე კი განაზოგადებდა მის ტრაგიკულ ხვედრს იმ კუთხით, რომ:

ლიპარიტ ორბელიანის სული ცოცხლობს თვითეულ ჩვენგანში და ქედფიცხელ არისტოკრატულ ერად იმიტომაც წარმოვდგებით.

ეს შეხედულება, ეს განზოგადება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ახლებურად გვაქვს გადასახედი ჩვენი ისტორიაც და ისტორიულ პერსონაჟთა გალერეაც და სტერეოტიპებიც შესაცვლელ-დასამსხვრევი.

არაერთ საგულისხმო დაკვირვებასთან ერთად „ეროვნული ენერგიის" შემოქმედი ყურადღებას მიგვაქცევინებდა, რომ ბიზანტიელი ხუროთმოძღვრები და მხატვრები სრულიად იცვლე-

ბოდნენ, თითქოს ხელახლა იბადებოდნენ საქართველოს ნიადაგზე — უფრო ახალგაზრდებიც ხდებოდნენ, უფრო მხიარულნიც, კუნთების ძალასაც იძენდნენ და სულის მოქნილობასაც.

ქუთაისის ტაძარიც ბიზანტიელ ოსტატებს რომ შეემკოთ და კიევის წმინდა სოფიაც და ლავრაც — ერთსადაიმავე იმპერატორს რომ გამოეგზავნა კონსტანტინეპოლიდან ხუროთმოძღვრები ბაგრატ მეოთხესთანაც და იაროსლავთანაც, შედარება ცხადჰყოფდა, რომ:

კიევის ეკლესიები სულმოკლე ასლებად წარმოდგებოდა ბიზანტიური ნიმუშებისა: უსახური ფასადებით, ტლანქი და დამძიმებული კორპუსებით. და მიუხედავად სიდიდისა, აკლდათ სიდიადე.

ბაგრატის ტაძარი კი განუმეორებელი გახლდათ ზომიერი და კეთილშობილი პროპორციებით, ელეგანტური და გრანდიოზული კონტურებით.

საქართველოს ყოველ პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე რომ ჰქონდა, გერონტი ქიქოძე აღტაცებას გამოთქვამდა ამ გარემოებით, რადგანაც ბუნების მრავალფეროვნება ნაყოფიერ ინდივიდუალიზმს ასაზრდოებდა და ამიტომაც ჩვენი კულტურა უფრო დრამატულად მძაფრი, მოქნილი და მოძრავი გახლდათ, ვიდრე იმ ერებისა, რომელნიც ერთფეროვანი ბუნების წიაღში ცხოვრობდნენ.

შეადარებდა რუსულ და ქართულ ეროვნულ ხასიათებს და... აღნიშნავდა, რომ:

რუსობისათვის უცნობი გახლდათ ჩვენი მძაფრი სუბიექტივიზმი.

ძველი სლავები ამიტომაც სჭრიდნენ თავებს თავიანთ... გამარჯვებულ სარდლებს: ვერ ურიგდებოდნენ ინდივიდუალობას, რაც საშუალო ზომას სცილდებოდა.

და ეს მისწრაფება ერთსახეობისა და ერთფეროვნებისაკენ შემდეგშიც რომ შერჩენოდათ რუსებს, ესეის ავტორი თვალსაჩინო საბუთად ისტორიკოსთა იმ ცნობას მოიშველიებდა:

ივანე მრისხანე ძირიანად რომ მოსრავდა ნოვგოროდს, რომელსაც ერთადერთი ის დანაშაული მიუძღოდა, რომ... მოსკოვს არა ჰგავდა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას რომ შევინარჩუნებდით ყოველგვარ, თვით ყველაზე სასოწარკვეთილ წუთებშიც, ეს ინდივიდუალობა გვშველოდა, ეს მრავალფეროვნება მისწრაფებებისა, ეს არისტოკრატული სული, ეს ეროვნული ენერგია, რომელნიც ხელს გიწვდიდნენ და გამხნევებდნენ და გაძლიერებდნენ და მიგიძღოდნენ აღთქმული ქვეყნისაკენ.

შენი ადგილიც ამიტომ დაგიმკვიდრებია

(სადღეგრძელოს მაგიერ უმცროს კონსტანტინე გამსახურდიას)

ჩემო კოკო,

საგვარეულო დინასტიები მოსდგამთ როგორც პოლიტიკური მისწრაფების ადამიანებს, ისე ხელოვანთა თუ მეცნიერთა ოჯახებს, გამსახურდიები ერთბაშად რომ გამოიკვეთეთ დინასტიად, როგორც პოლიტიკური, ისე მწერლური თვალსაზრისით, და შენც ისევე გიწევს ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ რეალობაში ცხოვრება, როგორც თვითეულ ჩვენგანს, რეალობაში, რომელსაც თუ ვინმე ამზადებდა, ერთი უპირველესი კონსტანტინე გამსახურდია — თანამოაზრეებთან ერთად.

უძნელესი ტვირთია კონსტანტინე გამსახურდიას შვილიშვილობაც.

და უძნელესი ტვირთია ზვიად გამსახურდიას შვილობაც.

ორივე ერთად ხომ...

და შენ მაინც არ ჩაკარგულხარ მათ ჩრდილში, არც შეფარებიხარ თუ შეყუჟვიხარ და შენი ადგილიც ამიტომ დაგიმკვიდრებია — კოლორიტულიც, სახიერიც, გამოკვეთილიც, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სულისკვეთების გამღვივებლად რომ რჩები შენი აზროვნებითაც და ცხოვრების წესითაც, თვალსაჩინო მკვლევარად, პუბლიცისტად და ესეისტად, პოეზიის ერთ საუკეთესო მთარგმნელად და, რაც მთავარია, იმ ზარების მრეკავად, რომელშიც ასიმბოლოვებდა დიდი კონსტანტინე საქართველოს ბედისწერას.

დიდ მოსახვევში ვდგავართ — შემოსალტული გარსის გარღვევისა საერთაშორისო ასპარეზზე გასაღწევად იმ ღირსებით, რაც მოგვდგამს და მოგვმადლებია, და ამ უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო პროცესში თუ ვინმე გვეიმედება მეწინავედ, უთუოდ შენც.

ან სიკვდილი, ან გარღვევა ანუ აღდგენა ფენიქსისებრი — სხვა სწრაფვა ჩვენთვის აღარც არსებობს!..

~

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის კომენტარი:

დიდი მადლობა, ძვირფასო როსტომ, ამ სიტყვებისთვის, რომლებშიც არის სიღრმე აზრისა, რაღაცნაირი ინტუიტიური, თითქოს ზენასამყაროული ფორმების წვდომაც — შენ ხომ შინაგანად იცი ის რეალობა, რომ ადამიანი დაბადებულ-დაუბადებელი არსია.

დაბადებული ისაა, რაც წლების სრბოლაში იქმნა იმად, რადაც იქმნა. დაუბადებელი მუდმივი შესაძლებლობაა, იგი სუფევს თვისობრივად სხვა განზომილებაში და „სხვა-ყოფიერებით" არსებობს, არა ამსოფლიურ წვალებაში, არა ვაი-ვაგლახში. რანიც აქ ვართ, ღმერთმა იქ განასრულოსო თვისი მშვიდობით, ჰარმონიებით და მარადი საზღაურითო, უთქვამს ჰოლდერლინს, გერმანიის დიდ რომანტიკოსს.

შენც, როგორც ბიოგრაფიული პორტრეტების დიდმა მხატვარმა, ნაკვთების გამომრჩეველმა, ხვეულების და ნიუანსებში ჭვრეტების შემძლემ კარგად დაინახე ის, რაც ჩვენს ცხოვრებას ახასიათებს მსოფლიოს ალბათ ყველაზე საინტერესო, ქრისტესეული გაგებით პროდუქტიული და იმავდროულად მძიმე და პრობლემატური ინდივიდუალისტების ქვეყანაში, სადაც იგივე ინდივიდუალობის დაკარგვაც იოლია, თუკი ადამიანი ფუჭი და რიოში გზით არჩევს სვლას: რა ძნელია იდგე, რა სიბრძნე, რა ძალისხმევა, რა გამძლეობა სჭირდება ადამიანს, რომ საწუთროს ვალების რკალის გარღვევა შეძლოს.

ან სიკვდილი, ან გარღვევა ანუ აღდგენა ფენიქსისებრიო, დაწერე შენ და სრულად ვიზიარებ: ჩვენი ძირითადი ტაძარი, სვეტიცხოველი ფენიქსის ტაძარიცაა იმავდროულად, ეს ბიბლიური ფრინველი მის ერთ-ერთ კედელზე სჩანს გამოსახულად და ეს ჩვენი ყოფიერების და კულტურის შინაარსობრივი სურათ-ხატია.

თითქოს გოეთესეული სენტენცია მოკვდი და იყავ — ოღონდ ორივე არა ერთჯერადად, არამედ განგრძობილად, და ცხადია, ტროპოლოგიური გაგებით — თანმდევია ჩვენი ისტორიული ხაზის.

ამიტომაც დიდი ნუგეშია შენფერი დიდ და ღრმა ნარატივებს ნაზიარები კაცისგან ასეთი მოლოცვა. მადლობა ასევე ყველას, ვინც მომილოცა.

უსოხუმო სოხუმელთათვის

(სალომე კაპანაძის ლიტერატურული ზღაპრები)

სალომე კაპანაძე მიეკუთვნება იმ ადამიანებს, რომელნიც თუ რაიმეს მოჰკიდებენ ხელს, კიდეც შესანიშნავად აღასრულებენ.

საყმაწვილო თხზულება „დელფინ ფანის ამბები" კიდევ ერთი დასტურია მისი ნიჭის ბრავალმხრიობისაც და დახვეწილი პროფესიონალიზმისაც, ამ ურთულეს დარგში, როგორიცაა საბავშვო ლიტერატურა, ასეთი ოსტატობით რომ შეძლო ნამდვილი მხატვრული ღირებულების შექმნა.

ნიშანდობლივია, წლების განმავლობაში რომ რედაქტორობდა სწორედ საყმაწვილო ჟურნალს „იალქანი", კიდევ უფრო ღრმად რომ გაერკვა ბავშვის ფსიქოლოგიაში, და ადრე თუ გვიან ეს თხზულებაც უნდა დაეწერა, რომლის ბიძგიც აღმოჩნდებოდა შვილიშვილებისათვის – უსოხუმო სოხუმელებისათვის – ლილესა და ნიცასათვის მოყოლილი ამბებიდან ამოკრებილი ეს ოთხი ეპიზოდი, რომელთა გამთლიანებამაც განაზრახვინა ასერიგად კეთილშობილური საქმეც, ნიშანდობლივი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საერთო გეზისათვის: დელფინ ფანის სახის შექმნა-წარმოჩენითაც შეწეოდა საყოველთაო სწრაფვას მშვიდობისა და თანხმობისათვის დედამიწაზე.

სალომე კაპანაძე, რომელიც ასე ღრმად ერკვევა ბავშვების ფიქრებისა და ლტოლვების იდუმალებაში, ქმნის მათთვის მისანდობ და საყვარელ პერსონაჟებს მთხრობელის იშვიათი უნარითა და სტილური მომხიბვლელობით.

ქმნის უსოხუმო სოხუმელთათვის.

და... სოხუმიან სოხუმელთათვისაც.

რაკიღა სათქმელი განზოგადებულია და მზიანი ქალაქი, როგორც მხატვრული და რეალური ფონი, ასეთი კოლორიტულობით წარმოისახება, აფხაზი ბავშვები ისეთივე ცნობისწადილით გაეცნობიან დელფინ ფანის ამბებს, როგორც ქართველი თუ სხვა ეროვნების ბავშვები.

ამიტომაც აქვს სალომე კაპანაძის ამ გუშინჩამწვდომ წიგნს არამარტო ლიტერატურულ-კულტურულ, არამედ პირწმინდად პოლიტიკური დანიშნულებაც, საერთოდ კი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა – ხელახლა გასდოს სულიერი ხიდი ქართველ და აფხაზ ყმაწვილებს შორის, რომელნიც თავიანთ მშობლიურ ენაზე გაეცნობიან დელფინ ფანის საგულისხმო ამბებს, იმ ენაზე, რომელსაც გადაყლაპვას უქადის რუსეთი და რომლის გადარჩენის ხელშემწყობნიც ისევ ჩვენ თუ ვართ – ქართველები.

კორნელი კეკელიძის რეფორმატორული იდეები

(ანონსის მაგიერ)

ასეთ კორნელი კეკელიძეს არავინ ვიცნობდით: რელიგიურ-პუბლიცისტური სტატიების ავტორს, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების აქტიურ მონაწილესა და რეფორმატორული სულით განმსჭვალულს.

და აი დარეჯან მენაბდეს უნდა მოეძიებინა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „საქართველოსა“ და საკათალიკოსო საბჭოს ჟურნალ „სვეტიცხოველში“ 1915-17 წლებში მის მიერ გამოქვეყნებული წერილები, დაერთო ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და საძიებლები და ერთ მცირე წიგნად შეეკონა, რომელიც გამოიცემოდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თაოსნობით: „ათი სტატია პრესისთვის“.

ამ არაორდინარული წიგნის გამოხმაურებად დაიბეჭდებოდა ჩემი წერილი „კორნელი კეკელიძე და რელიგიური პუბლიცისტიკა“ ჟურნალ „განთიადის“ 2020 წლის მე-7-8-გაერთიანებულ ნომერში და თვალნათლივ გამოიკვეთებოდა, რომ:

სტატიების ეს სერია არამარტო ავსებდა ჩვენს წარმოდგენას „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და მოქალაქეობრივ პოზიციაზე, არამედ კვლავინდებურად ინარჩუნებს აქტუალობას და თავისი სულისკვეთებით დღეს დაწერილიც კი შეიძლება გვგონებოდა.

კორნელი კეკელიძე უნდა დაპირისპირებოდა მცდელობას კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის შექმნისა, სინოდის ერთერთი კომისია რომ განიზრახავდა საქართველოს საეგზარხო-

სოდან გამოეყო სოხუმის ოლქი და მისი „არაქართული" სამრევლოები მიეწერა შავი ზღვის ეპარქიისათვის, რომელსაც ისისაა ჰქმნიდნენ.

კომისიას თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი პიტირიმი, ვითომდა ჩვენი ქომაგი, არადა კორნელი კეკელიძეს უნდა ემხილებინა მისი ფარული ზრახვანი, თუნდ ქუთაისის სემინარიის დაარსებისას ისეთ საგანმანათლებლო გარემოს რომ შემოგვაჩენებდა, სადაც ქართული ენა არც კი გაიჭაჭანებდა — არამცთუ ყველა საგნის სამოსწავლო ენად, არამედ კერძო საგნადაც.

12 აპრილს საქართველოში ისტორიულ დღედ მოიხსენიებდა, რადგანაც ამ დღეს დაარსებულიყო შტაბი, რომლის უქონლობაც და საჭიროებაც პირველად ნიკო ნიკოლაძეს აღენიშნა და გულისხმობდა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირს, რომელიც გარს შემოიკრებდა და შეაერთებდა დაქსაქსულ და გაბნეულ კულტურულ ძალთა მოქმედებას ჩვენში.

ქართული საეკლესიო საკითხების შესახებ გადაჭრილი აზრი რომ ვერ გამოეთქვა ვერც სასულიერო და ვერც საერო წოდებასა თუ რომელიმე პარტიას, ახალ გაერთიანებას უნდა გამოეხატა ქართველი ერის საერთო აზრი, საჭიროება და მისწრაფება; უნდა მოესმინათ მკაფიოდ ქართული ეკლესიის ხმაც როგორც ერთგვარი კულტურული ორგანიზაციისა, რომლის მისწრაფებანიც და ინტერესებიც ეროვნული სულით გაჟღენთილიყო.

რეფორმატორულ იდეებს რომ გამოთქვამდა:

საჭიროდ მიიჩნევდა ღვთისმსახურების შემოკლებასა და გამარტივებას ისე, როგორც შეეფერებოდა თანადროულ პირობებში მყოფი მორწმუნე ადამიანის ცხოვრებას, და არა ბერმონაზონთათვის განკუთვნილი ტიპიკონით.

სკეპტიკოსებს ურჩევდათ კორნელი კეკელიძე:

გასცნობოდნენ ეკლესიის რიტუალის ისტორიას, თუ რაოდენ ცვალებადი გახლდათ ღვთისმსახურება მოციქულებიდან მოყოლებული, თანდათან რომ იცვლებოდა, ვიდრე ამჟამინდელ სახეს მიიღებდა.

საღვთისმსახურო წიგნების გამოცემისას უნდა ეზრუნათ ზოგიერთი მეტად დაძველებული ფრაზისა და წინადადების გა-

სამარტივებლად და თანადროულად და უფრო გასაგებად გადმოკეთებისათვის.

ერთ-ერთ მთავარ საკითხად გამოარჩევდა სამღვდელოების ჩაცმულობას, სულიერი მამები თავიანთი განსაკუთრებული სამოსითაც რომ განსხვავდებოდნენ და გამოთიშვოდნენ სამწყსოს.

ყურადღებას მიაქცევინებდათ, რომ:

ეს ჩაცმულობა ანუ ანაფორა-კაბები გამომუშავებულიყო განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიაში, უფრო კი რუსეთში, სადაც თითქმის ყველა წოდებასა და ყოველგვარ პროცესიას თავისი ფორმა მიჩენოდა.

დასავლეთ ევროპაში კი არამცთუ ადგილობრივი მღვდელმსახურნი, არამედ მართლმადიდებელი სამღვდლოებაც ჩვეულებრივ საერო სამოსს ატარებდა.

არ იწონებდა სასულიერო პირთა გამორჩევას მრევლისაგან გრძელი თმითაც და იმოწმებდა წმინდა მამებს და მათზე დაყრდნობით აცხადებდა:

სავალდებულო არ უნდა იყოს და თვითონ სამღვდელო პირთა ნება-სურვილი უნდა წყვეტდეს, როგორი თმის ტარებას ამჯობინებენ — გრძელსა თუ მოკლესო.

საერთოდაც — როგორც დეკანოზი და სასულიერო სემინარიის რექტორი — კორნელი კეკელიძე მხოლოდ დიდ სასულიერო მოღვაწეთა მოსაზრებებს ეყრდნობოდა და რეფორმატორულ ცვლილებებში ხედავდა იმ აუცილებლობას, რომ ღვთისმსახურება გამარტივებულიყო და ცხოვრებას დაახლოებოდა, და შინაარსითაც და ფრაზეოლოგიითაც საშუალო მლოცველმორწმუნეთათვის ყოფილიყო გასაგები.

იგი არა ყოფილა მარტინ ლუთერი, რათა თავისი თეზისები ეკლესიის კარიბჭეზე გამოეკრა და მკვეთრი იერიში მიეტანა ცვლილებათა მოწინააღმდეგეებზე, ამიტომაც ამჯობინებდა განსახილველად გამოეტანა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე და მათ მსჯავრს დალოდებოდა.

ეს წამოწყება მაშინ ჩაიშლებოდა, თუმც ჩემს სტატიას „კორნელი კეკელიძე და რელიგიური პუბლიცისტიკა“ „განთიადის“ რედაქცია ამ რუბრიკას რომ მიუსადაგებდა: „განხილვის

წესით“ — იგულისხმება, რომ კორნელი კეკელიძის მიერ წამოჭრილი თემატიკის განხილვაში ჩაებმიან სასულიერო პირნი და წმინდა სინოდიც დაინტერესდება ამ შეხედულებებით, რაც სახელოვან მეცნიერს ესახებოდა არა ტრადიციასთან დაპირისპირებად, არამედ სწორედაც ტრადიციის ძარღვის შემანარჩუნებლად, მოდერნიზება მხოლოდდამხოლოდ ზოგიერთ გარეგნულ მხარეს რომ შეეხებოდა.

ეს ათი სტატიაც — აღსავსე სიღრმით, სიმძაფრით, ღრმა შინაარსით, გონებამახვილობით, სტილური დახვეწილობითა და სიცინცხალით — ათვალსაჩინოებს, ამ ასპარეზზეც რა ძვირფას განძს დააგროვებდა კორნელი კეკელიძე, რელიგიური პუბლიცისტიკის ჟანრში მოღვაწეობა რომ არ აღკვეთოდა იმ ტრაგიკული 1921 წლის შემდგომ.

თუმც თარგად და ნიმუშად მაინც რჩება სტატიების ეს სერია, რომელიც პირველად ახლაღა მოიყრიდა თავს დარეჯან მენაბდის წყალობით: საუკუნის თავზე.

აუცილებელია ამ წიგნის შეფასება წმინდა სინოდის მიერ და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა — მოსალოდნელია, რომ ეს „ათი სტატია პრესისთვის“ ახლა მაინც ჩაერთვის სასიკეთო ცვლილებათა პროცესში.

ეს ხილვა არც ჩვენ უნდა დაგვეკარგოს

(ანონსის მაგიერ)

რაც ხშირად გავიხსენებთ მიხაკო წერეთელსა და მის პოლიტიკურ და მეცნიერულ ღვაწლს, მითუკეთესი იქნება ჩვენი ახალი წარსულის სწორად დანახვისთვისაც, სახელმწიფოებრივი აზროვნებისთვისაც და ზნეობრივი ორიენტირების დასახვისთვისაც.

ეს თავი — „ხილვა მიხაკო წერეთლისა“ — უთუოდ აკლდა ჩემს მონოგრაფიას „ქალდეას მონატრება“, რომელიც სხვა თავებითაც შეივსო ხელმეორე გამოცემისათვის. და აი „მწვანეყვავილას“ 2020 წლის მესამე ნომერში ცალკეც უნდა დაბეჭდილიყო ეს მონაკვეთი, დაუმცხრალი ძიება ქართული მოდგმის ფესვებისა, ხეთურ ეპოქასაც რომ უნდა მოეწოდებინა გარკვეული რეალიები — უთუოდ საგულისხმო და დამაფიქვრელნი.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიების აუცილებლობას ილია ჭავჭავაძე დასახავდა ნარკვევში „სომეხი მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ და ხეთოლოგიური პრობლემის კვლევის წამომწყებიც ის აღმოჩნდებოდა საქართველოში.

მიხაკო წერეთელს კი საამისოდ განაწყობდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ურჩევდა, რომ ჩამოშორებოდა ანარქისტულ მოძრაობას და თავისი ნიჭი და უნარი მოეხმარა ძველი კულტურების კვლევისა და იმ რეალობაში ქართული მოდგმის ადგილის განსაზღვრისათვის.

როგორც პოლიტიკოსი, მიხაკო წერეთელი დიდ როლს შეასრულებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაში 1918 წლის 26 მაისს, ამ აქტის ერთი აქტიური მომამზადებელი რომ შეიქნებოდა გიორგი მაჩაბელთან, რევაზ გაბაშვილსა და დავით ვაჩნაძესთან ერთად.

როგორც მთარგმნელი, პირველი შემოიტანდა ქართულ ენობრივ სივრცეში ბაბილონურ ეპოსს „გილგამეშიანი“, საფუძვლიან გამოკვლევასაც რომ დაურთავდა და ამ ეპიკურ ქმნილებასთან „ვეფხისტყაოსნის“ მიმართების საკითხსაც ჩაუკვირდებოდა.

დაინტერესდებოდა შუმერული და ქართული ენების სიახლოვე-ნათესაობითაც.

და ხეთოლოგიას კი ღვაწლს დასდებდა 1924 წელს კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სტამბაში გამოქვეყნებული წიგნით: „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“.

დაუკვირდებოდა ხეთური სარწმუნოების შესაძლო გავლენას ჩვენს წარმართობაზე და... კიდეც ჰპოვებდა გარკვეულ ელემენტებს, რაც აქამდე დაცულიყო ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ წარმოდგენებსა და ზნე-ჩვეულებებში; და იქით ძველქართულ მწერლობაშიც, რომელიც ცოტას, მაგრამ მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავდა ქართულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებზე.

და შეეცდებოდა ერთმანეთისაგან გაემიჯნა ძველქართული ანუ ხეთურ-მცირეაზიური წარმართული ელემენტები მაზდეანური და ქრისტიანული სარწმუნოებრივი ელემენტებისაგან.

თბილისში გერმანიის გენერალურ კონსულად ნამყოფი ბარონი ოტო ფონ-ვეზენდონკი ხელნაწერში რომ წააკითხებდა თავის ნაშრომს „ქართული წარმართობა“ მიხაკო წერეთელს, გაიხარებდა ქართველი მკვლევარი, რომ გერმანელი სწავლულის ზოგიერთი დასკვნა იგივე აღმოჩნდებოდა, რაც თვითონაც ევარაუდა. და სურვილს გამოთქვამდა, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი მალე დაბეჭდილიყო გერმანულად და სასწრაფოდ მომზადებულიყო მისი ქართული თარგმანიც.

ოცნებასა თუ ხილვაში კი წარმოიდგენდა მიხაკო წერეთელი:

როგორ აერთებდა ერთი გზა საქართველოს, მცირე აზიასა და შუამდინარეთს — თვით სამხრეთ ბაბილონამდე, შუმერამდე.

ეს ხილვა დიდებული სწავლულისა და პოლიტიკოსისა არც ჩვენ უნდა დაგვეკარგოს თვალთაგან და ყოველთვის ძალდაუტანებლად შეერიოს ქალდეას მონატრების მძაფრ, გაუნელებელ განცდას.

„ჩვენ სიყვარულზე ცოტა მეტი ვართ“

(თამაზ ბაძაღუასადმი მიძღვნილი კრებული)

ამ ყაიდის წიგნი, მემორიალური მიზანდასახულებისა, არაერთი გამოცემულა ქართულადაც — ზოგი ღირსეულ ადამიანებზე, ზოგიც უღირსებზე, ჭირისუფალნი რომ ცდილობდნენ თეთრი შავად მოეჩვენებინათ და ერთხელ კიდევ შეეყარათ თვალებში ნაცარი საზოგადოებისათვის.

ის რეტუშირებული უღირსი პორტრეტები წარსულს ჩაბარდა და თუ მოვიგონებთ ხოლმე, მხოლოდღა სიცილითა და ირონიით.

სამაგიეროდ ღირსეული პიროვნებისადმი მიძღვნილი წიგნები კვლავაც ძალიან და ძალიან გვესაჭიროება ლიტერატურულ ცხოვრებაში გზის გასაგნებად — მაშინდელი პროცესები იქნება თუ ჩვენს თვალწინ მიმდინარე.

სწორედ ამგვარ წიგნთა შორის მიეჩინება ადგილი თამაზ ბაძაღუასადმი მიძღვნილ კრებულს, წერილებსა და მოგონებებისაგან შედგენილს: „დრო და ილუზიები“.

სხვათა შორის ეს სათაური თვითონ თამაზს ჰქონდა ნაგულისხმევი ერთ-ერთი პოეტური კრებულის სახელწოდებად, გამოცემა რომ აღარ დასცალდებოდა.

წიგნი შეადგინა მალხაზ ბაძაღუამ, რომელმაც ამით არამარტო თავისი ტრაგიკულად აღსრულებული ბიძაშვილის ხსოვნას დასდო პატივი, არამედ ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის მდინარებას, ისევე როგორც იმ წიგნებით, აქამდე რაც გამოაქვეყნა თამაზ ბაძაღუას არქივიდან: პოეტური თუ დრამატურგიული კრებულები და თარგმანები.

მკითხველის, განსაკუთრებით კი ახალთაობის ინტერესმა ამ პოეტისა და დრამატურგისადმი ერთხელ კიდევ დაადასტუ-

რა, რომ უიმისოდ წარმოუდგენელი იქნება ჩვენი მომავალი სამწერლო ცხოვრება და როგორც მკითხველისა, ისე ლიტერატურის კრიტიკოსთა ფიქრისა და მსჯელობის შუაგულშიც ხშირად მოექცევა ხოლმე.

კრებულის სტრუქტურა კარგად არის გააზრებული და ცალცალკეა შეფასებული თამაზ ბაძაღუას წიგნები, სიცოცხლეში გამოცემული ლექსები „მესამე ზარი“ და ჯაკომო ლეოპარდის ლირიკის თარგმანები თუ გარდაცვალების შემდგომ დასტამბული მთელი სერია კრებულებისა: „ქვასა და სიტყვებს შორის“, „მე მეშინია ჩემი სიფხიზლის“, „სიზმარში მაინც ვხვდებით ერთმანეთს“, „100 ლექსი“, „6 პიესა“, „ბოლო სადგური“ (გერმანულ ენაზე), „ფარდის დაშვებამდე და სხვა პიესები“ და ტორკვატო ტასოს დრამატული პოემის „ამინტა“ ქართული ორეული.

ცალკეა მისადმი მიძღვნილი ლექსები — მიხეილ ქვლივიძის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, მურმან ჯგუბურიას, დავით მჭედლურის, დავით თედორაძისა და ანდრო ბუაჩიძის — და წარმოჩენილია, რომ იგი გახდა ნაირა გელაშვილის რომანის „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპი.

მოგონებებში ხელშესახებად წარმოისახება არამარტო თამაზ ბაძაღუას პიროვნული ხასიათი თუ მისი ბიოგრაფიული ეპიზოდები, არამედ იმჟამინდელი ანუ XX საუკუნის 80-იანი წლების სალიტერატურო ყოფა, რადგანაც თამაზი მის შუაგულში ტრიალებდა და დაკავშირებული გახლდათ თითქმის ყველა მწერალსა და სამწერლო მოვლენასთან.

ადრე თუ გვიან მასზეც დაიწერება სადისერტაციო ნაშრომი, და მოსალოდნელია — არაერთიც. ხოლო დისერტანტებისათვის ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ბიბლიოგრაფიის შედგენა რომ არის და სადისერტაციო მონოგრაფიის გმირზე ყველა ამ მასალის მოძიება-შეკრება, ამჯერად ეს საქმე უკვე შესრულებულია მალხაზ ბაძაღუას წყალობით და დისერტანტს ხელთ ექნება ყველა პუბლიკაცია და დოკუმენტური ცნობა, რაც კი თამაზის ირგვლივაა მოსაძიებელი.

მეცნიერებისთვის საქმის გაიოლება და ასეთი?!.

კრებული გამდიდრებულია ფოტომასალითაც და მოხდენილადაცაა გაფორმებული. ამ მხრივ აღსანიშნავია მხატვარ დავით ბაძაღუას წვლილი.

გარეგნული დახვეწილობა და გემოვნებიანობა დამსახურებაა „საარის" სტამბისა და გამომცემელ ლევან თითმერიასი, რომლის ხელშიც გამოიარა თამაზ ბაძაღუას არაერთმა წიგნმაც.

„დრო და ილუზიებს" ეპიგრაფად უძღვის თამაზ ბაძაღუას ლირიკული სტრიქონები:

ჩვენ სიყვარულზე ცოტა მეტი ვართ,
ჩვენ სიყვარულიც თურმე არ გვყოფნის,
ჩვენ არ ვტირივართ, თუკი გვეტკინა,
ჩვენ ყოფას შუქი ადგას არყოფნის...

ეს სამწუხარო, დრამატული რეალობაა, ჩვენს ყოფას შუქი რომ ადგას არყოფნის, მაგრამ სასიხარულო და სანუგეშოა ის, რომ ჩვენს არყოფნასაც ადგას შუქი და ეს შუქია ყოფის, დაუვიწყარობის, სიცოცხლის გაგრძელებისა როგორც ჩვენს, ისე სხვა განზომილებაშიც...

მე ჯერ მოვკვდები ღმერთების თვალწინ,
და მერე ჩემთვის, ჩუმად და მარტო...

მაგრამ იგი კიდეც უნდა გაცოცხლებულიყო უფლის თვალწინ, და მერე ჩვენთვისაც, არამარტო მათთვის, რომელნიც პირადად ვიცნობდით და ძალიანაც ვაფასებდით, არამედ მათთვისაც, რომლებამდეც მოაღწია და კვლავაც მოაღწევს თამაზ ბაძაღუას სიტყვა, როგორც ბედისწერის ხელშესახები ანარეკლი.

ქართული ფაუსტიანას თავისებური გამოვლინება

(შეხმიანება ბექა ახალაიას ლექსთან)

ეს ლექსი „მტრედების იონა“ განსაზღვრავდა ბექა ახალაიას ლირიკული კრებულის ზოგად განწყობილებასაც და მხატვრულ მრწამსსაც და საერთო სახელწოდებად კიდეც შეირჩეოდა ეს სათაური „ინტელექტის“ მიერ გამოცემული წიგნისათვის.

ახალი ლირიკული კრებულის სახელწოდებად რა აქვს ნავარაუდევი, აბა ვინ იცის, მაგრამ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ სათაურს შევთავაზებდი მისი ახალი პუბლიკაციიდან „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, წლევანდელი 17 ივლისის ნომერში:

„ჭაობის კაცი“ —

რომელიც წარმომიდგა ბექა ახალაიას ამჟამინდელი პოეტური ხილვების საყრდენადაც და განმსაზღვრელადაც.

ამასთან: ქართული ფაუსტიანას თავისებურ გამოვლინებად, იმ გულისშემძვრელ ვარიაციად, ამ პრობლემატიკის დამუშავებისას ძალიან რომ დავისაჭიროებთ.

მიხეილ კვესელავას 60-იანი წლების დამდეგის იმ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ორტომეულის — „ფაუსტური პარადიგმები“ — შემდეგ საგანგებოდ ეს თემა აღარავის შეუსწავლია. არადა ქართული ფაუსტური ნაკადის სრული სურათი მოითხოვს საგრძნობლად შევსებასაც და უფრო თავისუფლად წარმოჩენასაც, ვიდრე ეს იმ შეზღუდულ პირობებში იყო შესაძლებელი.

შესწავლა შესწავლად და, კიდევ ერთხელ გახარებს ლექსების წარმატებული ციკლი იმ პოეტისა, რომლის სულიერ მონაპოვარსაც ინტერესითა და იმედით ადევნებდი თვალს იმთავითვე და კიდეც გაბედულად უნდა ჩამდგარიყო ჩვენი სალიტერატურო პროცესების შუაგულში.

აკაკის ცხოვრება ფერად ზღაპრად

(დღიურის ფურცლებიდან)

აკაკი წერეთელი დაკრძალვის ცერემონიას ეროვნულ ტრიბუნად რომ გადააქცევდა ხოლმე, რუსი ჩინოვნიკობა აკრძალვით ვერ უკრძალავდა სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ ბრაზი და ცეცხლი კი ეკიდებოდათ და პეტერბურგში დასმენის წერილებს რომ აგზავნიდნენ, აკაკის სასაფლაოების ნაფიც ვექილად იხსენიებდნენ. ასე თუ მოიკლავდნენ გულისწყრომის ჭიას.

აკაკი ჯერ ისედაც მთელი არსებით ჩართულიყო ხალხთან უშუალო ურთიერთობაში, შინ რომ ვერ გააჩერებდი და მთა და ბარი შეჯერებული ექნებოდა, მერე კიდევ ეს წამდაუწუმ გადმოდგომა ახალგაჭრილი სამარის წინაშე მთლად გაუშინაურებდა დიდსა და პატარას და აღარავინ ეკრძალოდა, ისე უკვეთავდნენ ეპიტაფიების შეთხზვას.

ისიც შეთხზავდა და შეთხზავდა და... სულ უფრო რომ გაუვარდებოდა ამ მხრივ სახელი, უკვე შეუძლებელი გახდებოდა მთხოვნელთა მოგერიება. ამიტომაც გაბეზრებული განცხადებას გამოაქვეყნებდა, ჩვეული იუმორითა და სარკაზმით რომ გაჟღენთდა.

თავიდან თითქოს სერიოზულია განცხადება, სასყიდელს რომ ითხოვს ეპიტაფიებისათვის, მაგრამ „მხვედრ ფულს“ რომ ახსენებს, ისეთ განმარტებას მოადევნებს, განცხადება მშვენიერ იუმორესკად გადაიქცევა.

5 მანეთს მოითხოვდა მკვდრებისათვის, 10 მანეთს — ცოცხლებისათვის, 25 მანეთს — ცოცხალმკვდრებისათვის, ზოგიერთ ქუთაისელ ინტელიგენტს კი უფულოდაც დაუწერდა, ოღონდაც დროულად გასცლოდნენ წუთისოფელს. შემოსავალი საქველმოქმედო გახლდათ და გადაეცემოდათ... ქერიმა ქალებს.

ამჯერად „არტანუჯის“ მიერ „თან საკითხავის“ სერიით გამოცემულ წიგნშია ჩართული ეს განცხადება: „აკაკი — 180 ამბავი“, ჯული გაბოძე რომ შეადგენდა და მეტ-ნაკლებად ცნობილ ამბებთან ერთად შეიტანდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მზადებისას გამოვლენილ აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთ სიახლეს, ისეთ უცნობ დეტალებს, ამბებად რომ გარდაქმნილა და ტომების გამოცემამდე აგერ უკვე შესთავაზებდა მკითხველს.

წიგნი ამ ამონარიდით რომ გაიხსნებოდა ავტობიოგრაფიული რომანიდან „ჩემი თავგადასავალი“:

— აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841-თი მიწერია.

ავტორ-შემდგენელი მიადევნებდა, რომ:

აკაკი ამ მთავარ ამბავს ისე, უბრალოდ, სასხვათაშორისოდ მოგვითხრობდა. არადა ამ ერთ ამბავს ამბავთა წყება მოსდევდა, ლექსივით რომ იკითხებოდა და ზღაპარივით ისმინებოდა, იმ ფერადი ზღაპარივით, დასრულება რომ აღარ გენება და აღარ... და დაე ჩვენც მივყოლოდით მის მდინარებას.

ისე მარჯვედაა ასხმული ეპიზოდები ერთმანეთზე, მოზაიკური პანორამა მართლაც იწვევს ლექსის შთაბეჭდილებასაც და ზღაპრისაც, სწორედ იმ ფერადი ზღაპრისა, რომლიც გირჩევნია „ათას ერთი ღამის“ ციკლივით გაგრძელდეს და გაგრძელდეს, არც დრამატიზმი რომ არ აკლია ამ მოზაიკურ ნატეხებს, არც იუმორი, არც მწარე ყოფითობა და არც ზეციური აღმაფრენა.

სხვაგვარად წარმოუდგენელიც გახლდათ, ისეთ მკვლევარს მოეკიდა ხელი აკაკი წერეთლის ბიოგრაფიული ქრონიკის მოზაიკური ყაიდით გადმოცემისათვის, „თან საკითხავის“ სერიას სწორედ რომ დაამშვენებდა.

როგორც უნდა მოგვწონდეს ეს წიგნი, შეუძლებელია თვითეულ ჩვენგანს რომელიღაც ეპიზოდი თუ ეპიზოდები არ დააკლდეს, და ეს განცდაც სავსებით ბუნებრივია — ფერადი ზღაპარი რაკიღა სადღაც უნდა მოთავებულიყო, ყველა ამბავი ვერ მოხვდებოდა მომხიბლავ ასხმულაზე.

და მაინც კარგი იქნებოდა, არ გამოტოვებულიყო, აკაკის ის სიტყვები, კახეთსა და ყვარელს — ილია ჭავჭავაძის დაბადებისათვის — ბეთლემს რომ შეადარებდა.

ეს აღმატებულზე აღმატებული ეპითეტი ილიაზე წიგნს უფრო მოუხდებოდა?

იმასაც, ცხადია, ოღონდ აქ აკაკის წინასწარმეტყველური, ნათელმხილველური ნიჭის დასტურად წარმოდგებოდა, ჯერ კიდევ მაშინ რომ განჭვრეტდა ილიას ჯვარცმას ანუ ქართულ გოლგოთად სახელდებულ წიწამურს, როდესაც არც დაწყებულიყო სამზადისი ილიას მოსაკლავად, და ეს პროცესი საკმაოდ გვიან უნდა ამოქმედებულიყო.

კარგი იქნებოდა სადმე ჩართულიყო ილია ჭავჭავაძის ის სიტყვები, არტურ ლაისტს რომ ეტყოდა, ანუ — ქართული „დონ კიხოტის" შესაძლო ავტორად აკაკი წერეთელს რომ მიიჩნევდა, მის უზღვავ იუმორსა და ირონიისა და პაროდიის ნიჭს ასეთ შემთხვევაში შესაფერისი ასპარეზი რომ მიეცემოდა.

და რაც მთავარია:

უსათუოდ უნდა აღნიშნულიყო, აკაკი შვილიშვილი რომ გახლდათ იმერეთის 1819-20 წლების აჯანყების მეთაურის ივანე აბაშიძისა და შვილთაშვილი მეფე სოლომონისა.

დიახ, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი გახლდათ დედის მხრიდან და როდესაც ერთიმეორის მიყოლებით გასცილდებოდნენ წუთისოფელს მეფის შთამომავალნი: ირაკლი ბაგრატიონი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და ალექსანდრე ყაზბეგი — ერთადერთი აკაკი წერეთელი დარჩებოდა სამეფო სახლის წევრთაგან.

ასე რომ:

იგი არამარტო უგვირგვინო მეფე გახლდათ პოეზიისა.

არამედ უგვირგვინო მეფეც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა.

საქართველოში XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე მონარქია რომ აღმდგარიყო, ისევე შესთავაზებდნენ მეფობას აკაკის წერეთელს, როგორც თავის დროზე ივანე აბაშიძეს სთავაზობდნენ — აჯანყების წინამძღოლობითაც რომ ეკუთვნოდა და ბაგრატიონთა შთამომავლობითაც.

იმერეთის აჯანყების ხსენება ძალდაუტანებლად გასდებდა ხიდს სვანეთის 1875-76 წლების აჯანყებასთან, რომელიც იმ მხრივაა ჩართული ამ წიგნის ეპიზოდებს შორის, რომ აკაკი, რო-

მელიც არასოდეს ვექილი არა ყოფილა და არც აინტერესებდა ეს ხელობა, სვანების სასამართლო პროცესისას წარდგებოდა მათ დამცველად ჩვეული ენაწყლიანობით და მჭევრმეტყველად დაასურათებდა მთელი სვანეთის უმძიმეს ვითარებასა და იმ გარემოებასაც, რასაც ეიძულებინა სვანები აჯანყებულიყვნენ.

სხვა მხრივ კი:

ღმერთმა ყველას უბოძოს ისეთი საკითხავი, „აკაკი — 180 ამბავი“ რომ არის და ერთნაირად გაიტაცებს ყმაწვილსაც, ჭარმაგსაც და მოხუცებულსაც, როგორც მხიარული ამბების კონა და როგორც სამოძღვრებო ყაიდის მონათხრობები, და „ათას ერთ ღამეს“ უკვე რომ შევადარე, ეს ცინცხალი შთაბეჭდილებაც გახლდათ და გადაძახილიც პაოლო იაშვილის სტრიქონებთან: გვეჩვენებოდა ეს იმერეთი არაბულ ზღაპრის დაბოლოებადო...

სტერეოტიპთა მსხვრევის მელოდია

(დღიურის ფურცლებიდან)

საბჭოთა ეპოქის ლიტერატურულ პერიოდიკაში არაერთი ისეთი სტერეოტიპი გაბატონებულიყო, მხოლოდ რომ აუშნოებდა თუ აბრკოლებდა ბუნებრივ მდინარებას, და ეს სტერეოტიპები დამოუკიდებლობის ხანასაც გადმოჰყვა და ნელ-ნელა, ძალზე ნელ-ნელა იმსხვრევა.

ერთ-ერთი ასეთი სტერეოტიპი გახლდათ:

გაზეთისა თუ ჟურნალის ერთ ნომერში რომ არ შეიძლებოდა დაბეჭდილიყო წერილი მწერალზეც და მისი ესათუის თხზულებაც.

მთლად ისეთ დანაშაულადაც არ მიიჩნეოდა, როგორც შემოქმედებითი ნაყოფიერება, მაგრამ აკრძალვით მაინც იკრძალებოდა.

ეს სტერეოტიპიც გადმოჰყვებოდა ჩვენს დროს, „ლიტერატურული გაზეთი" მიზანმიმართულად რომ დაუპირისპირდებოდა ამ გაუმართლებელ აკრძალვასაც და არ მოერიდებოდა ერთსადაიმავე ნომერში ამათუიმ მწერლის წარმოდგენას ორი ასპექტით: მისი და მასზე.

ცხადია ეს ხშირად ვერ მოხდება და არც არის საჭირო, მაგრამ დროდადრო, როდესაც შესაფერისი საშუალება მოგეცემა, რატომ არ უნდა გამოიყენო ეს მოხდენილი სვლა?!.

აი აგერ 31 ივლისის ნომერში ნუგზარ ზაზანაშვილი სწორედ ასე უნდა წარედგინა მკითხველისათვის ირაკლი ჯავახაძეს:

როგორც პოეტი:

ლალი გულისაშვილის რეცენზიით „ეკოლოგიურად სუფთა..." ლირიკულ კრებულზე „მექანიკური ფორთოხალი";

და როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი:

მისი განსჯით დავით წერედიანის ესეების წიგნისა „თემა და ვარიაციები“, რომლის უმთავრეს მნიშვნელობადაც გამოჰყოფს მკვეთრ და ორიგინალურ — შეჩვეულის, ლიტერატურის-მცოდნეობაში დამკვიდრებულისა თუ მიჩუმათებულისაგან განსხვავებულ — აზრებსა და შეფასებებს.

ლალი გულისაშვილი კი, თვითონაც ერთდროულად ჩინებული პოეტიც და კრიტიკოსიც, ხელშესახებად წარმოაჩენს ნუგზარ ზაზანაშვილის, პროფესიით ეკოლოგის, ლექსის ეკოლოგიურ სისუფთავესა და სიკრიალეს, განსაკუთრებით რომ გამოარჩევს სამ ნიმუშს: „საზამთროს მურაბა“, „ძინტარსი“ და „თუმბა ლა ლე“. და ამ არაორდინარული კრებულის ანალიზს მოადევნებდა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ბოლო პოეტური პუბლიკაციისაგან მოგვრილ შთაბეჭდილებასაც.

და დაგვპირდებოდა, რომ:

შემდგომ უკვე განიხილავს ნუგზარ ზაზანაშვილის მონოგრაფიულ თხზულებას: „რუსოფობია ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე“, რომელიც ეძღვნება დერჟავულ- დამპყრობლურ თუ ნაციონალ-იმპერიალისტურ თემას რუსულ პოეზიაში, და აგრეთვე ესეების ციკლს.

ინტერესით მოველით იმ გამოხმაურებასაც, მითუმეტეს, რომ ეს ყოველივე ხდება სტერეოტიპთა მსხვრევის, ამ ერთი საუკეთესო მელოდიის, ხმაზე.

ლურსმნები ხელისგულებზე

(ნიკა ლაშხიას პოეტური მრწამსი)

როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს გამჯდარი,
რა საჭიროა სისხლის საერთო ანალიზი,
თითზე ნემსის ჩხვლეტა,
როცა იცი, რომ იქიდან ლიტერატურული
სახეები გამოჟონავენ?

ეს არ არის გაშლა და ვარიაციები გალაკტიონის პოეტური შეგრძნებისა: წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაპოეტისო, — და არც ფრანც კაფკას თვითშეფასებისა: მხოლოდ ლიტერატურისაგან შევდგებიო, — ეს უშუალო განცდაა, უშუალო აღმოჩენა შენს არსებაში ერთიანად გამჯდარი ლიტერატურისა, სისხლთან ერთად რომ მიმოიქცევა და გიბიძგებს დონორობისაკენ, რათა გადაუსხა მათ, რომელთაც ლიტერატურის ნაკლებობა დაუდგინდათ და წვეთი ლიტერატურა არ აღმოაჩნდათ, და მათ ძარღვებში ცარიელი ფურცლები მიმოდიან და ტექსტებს ითხოვენ.

არადა მზად არიან დაიბადონ, არადა მზად არიან იწამონ, არადა მზად არიან გადარჩნენ.

ამიტომაც უნდა გარდაისახო მკურნალად, რომ ისინი ლეთარგიული ძილიდან გამოიყვანო ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე.

ესეც ნიკა ლაშხიას „არს პოეტიკა“, ის ლექსი, რომლის სათაურიც მთელი კრებულის სახელწოდებადაც უნდა გადმოსულიყო გარეკანზე: „დონორი“ („ინტელექტი“, 2020) — როგორც მისი მხატვრული მრწამსის გამომხატველი და ლირიკული თავისებურების ერთი უმთავრესი ნიშნის წარმომჩენი.

და სულაც არ არის აუცილებელი „არს პოეტიკას“ გაეხსნა სადებიუტო წიგნი.

იქაც მოხდენილად მოთავსებულა, სადაც ადგილი მიუჩინეს, ერთ-ერთ კომპოზიციურ საყრდენად, ამ მხრივაც რომ სავსებით მოწესრიგებულია „დონორი“ და ამიტომაც მოაქვს მკითხველამდე ასე თვალნათლივ, ასე ხელშესახებად პოეტის სისხლის მხურვალე მიმოქცევა.

მოკლე და ტევად წინასიტყვაში — „დონორი პოეზიის ახალი სისხლისათვის...“ — გიორგი ლობჟანიძე ასე წარუდგენდა მკითხველს ნიკა ლაშხიას:

თითქოს თვითონ პოეზიამვე აირჩია თავისი აქამდე უცხო და უცნაური ტერიტორიების აღმომჩენად. და აქამდე დუმილის უვრცესი ტერიტორიის ნაწილი იქცევა გამორჩეული ხმით ათვისებულ სამფლობელოდ, თითქოს ველური უდაბნო მოიშინაურეს და რუდუნებით მოვლილ, ათასი სცენარითა და ბალახით დასახლებულ წალკოტად აქციესო.

ხოლო ლირიკოსის სწრაფვას მინიმალიზმისა და მისი პოეტური ფორმებისაკენ, ასე შეაფასებდა:

ხშირად ახერხებს რამდენიმე ფრაზაში ჩაწნეხოს იმხელა განცდილი და ნაფიქრალი, რის ამოთქმასაც ზოგჯერ ბელეტრისტიკის ეპიკური ფორმებიც ვერ აუდისო.

აქ პოეზიის განსაკუთრებულ მადლმოსილებაზეა მინიშნება, მის ამ უჩვეულო ძალაზე, რაც ამ კრებულშიც საცნაურია.

არამცთუ რამდენიმე ფრაზა, აგერ სულ რამდენიმე სიტყვამ შეიძლება დაიტიოს ჩვენი ტრაგიკული დროება, იმ ნიშნით გამორჩეული სხვა ტრაგიკულ დროთაგან, რომ:

— მავთულხლართებმა სიარული ისწავლეს, ჩვენ — ვერაფერი.

რომანის თემაა ამოძრავებული მავთულხლართები, მოთხრობების მთელი ციკლისაც, აქ კი მარჯვედ მიგნებულმა სტრიქონმა უნდა შეგვძრას ჩვენს გულზე გადავლილი მავთულხლართების ამგვარი შეგრძნებით, შამბი რომ მოდის, მოიწევს ულმობლად და შთანთქავს გზაბილიკებს ყოფით სინამდვილეშიც და ჩვენი სამშობლოსაკენ მიმავალსაც.

ძველი კოლხი აედის ის სიმღერა, ჩვენს ცნობიერებას დიდი მითოსის ნაფლეთად შემორჩენილი, მზეს დედად რომ განიცდიდა,

მთვარეს — მამად, და-ძმებს კი — ვარსკვლავებად, ნიკა ლაშხიას ხელში ამგვარი რაკურსით უნდა შემოტრიალებულიყო, დაობლების ტრაგიზმის ამ მეტაფორისტიკით რომ განგვაცდევინებდა:

მზეს აეფარა დედაჩემი,
მამა კი მთვარეს,
ჩემი და-ძმები
ვარსკვლავების ამარა დარჩნენ.

თურმე ვარსკვლავებსაც აქვთ თავიანთი სასაფლაო — ეს იმ ტბის ზედაპირზეა, სადაც სივრცე ტივტივებს, და ტბა ხომ მხოლოდ ღამით ყვავილობს, როცა ცა მრავალწერტილებით ივსება.

ეს ხედვის ის რაკურსია, ეზრა პაუნდს ასე რომ დაანახებდა ძველჩინელი პოეტის ლი ბოს ტრაგიკულ აღსასრულს: მთვარეს გადაეხვია ყვითელ მდინარეშიო.

ვარსკვლავები ხშირად ციმციმებენ ამ ლექსებში, ის კი არა, რომელიმეს მოპარვაც შეგიძლია, როცა სიყვარულით ანთებულხარ; და მზეც რომ ბრდღვიალებს, ყველაზე მეტად მაინც იმ სხივებს უმართლებთ, ზღვაში რომ იკარგებიან.

ანგელოზებიც მიმოფრენენ ამ ლექსებში, ოღონდ ფრთებს ვერ შეატყობ, და... შესაძლოა დაიხოცონ კიდეც, რადგან ამ გარემოში, ერთ დიდ პალატად გადაქცეულში, სულს ვერა და ვეღარ ითქვამენ.

ამ ლირიკულ ხილვებშიც სიზმარი ცხადს ჰგავს და ცხადი — სიზმარს, იმ უცნაური მოლანდებებითაც რომ შეიძლება აღივსოს, მუსიკას რომ შთაუგონებია, იმ როკოპერას „იესო ქრისტე — სუპერვარსკვლავი", რომელიც ბევრის თვალში მკრეხელობად აღიქმებოდა, არადა მონატრება გახლდათ მაცხოვრისაც და იმ დაკარგული ჟამისაც, როდესაც უფალი დადიოდა მიწაზე... მიწაზე დადიოდა...

და გაქრებოდა მისი ნაბიჯები და მხოლოდ ექოდ თუ შემორჩებოდა, მუსიკოსები რომ მოინდომებდნენ ამ ექოს გადარჩენას და მისი შემწეობით გაგნებას გზისა დაკარგული დროისა და დაკარგული უფლისაკენ, ეს სწრაფვა და განწყობილება ნიკა ლაშხიას ხილვებშიც რომ უნდა განმეორებულიყო, და უცნა-

ური სიზმარი უნდა დაგვირგვინებულიყო ჯვარცმის მოლანდებით და ჯვარცმა ყოფილიყო გაღვიძება.

ხომ შეიძლება ქრისტესაც მუსიკის შემწეობით ესმოდა მსოფლიო ენა და ასე უნდა აღმოეჩინა ერთ დღესაც, რომ: იყო მეტი, ვიდრე იესო.

ამ ხილვებში ადამი და ევა აღმოსავლური კომპოზიციების მელომანები არიან, ნოემ ის მძიმე დღეები ქანთრით უნდა გადაიტანოს, ლოტის ცოლი მიკ ჯაგერის ფანი უნდა იყოს და, მასში რომ ჰყვავის თავისუფლება, სწორედ ამიტომ უნდა გადაწყვიტოს ამ მუსიკაში გაშეშება, ბარაბა ქალაქურ სიმღერებს უნდა ჰყვარობდეს, ხოლო იუდა „პინქ ფლოიდს“ უსმენდეს და თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და თქვას: აუცილებლად იარსებებს მსოფლიო და რა თქმა უნდა ღმერთიო, — ჰეროდე ბობ დილანის მუსიკით ანებივრებდეს დარბაზში მსხდომ რომაელებს, მაცხოვრის დანარჩენი თერთმეტი მოწაფე კი „ბითლზის“ ქარის მოტანილ მელოდიებს აყურადებდეს, თევზები ბადეში ეხვეოდნენ და... სუფევდეს სიმშვიდე, ვიდრე შედგებოდეს ჯვარცმის მისტერია და ჯვარცმა შეიქნებოდეს გამოღვიძება.

ერთგული იუდას ხატს, ჩვენში გალაკტიონური ხილვით დამკვიდრებულს, ვერც ნიკა ლაშხია გაერიდებოდა, თუმც მთავარი მაინც უფლის წყურვილი და მონატრებაა, ასეთი სიმძაფრით წარმოსახული ლექსშიც „ვედრება“, როდესაც ლირიკული გმირი უკვირდება თავის არსებაში ჩასახლებულ მაცხოვარს და თუ რაიმეს ივედრება, მოხსნან ხელისგულებზე ამოსული ლურსმნები და დააჯერონ, რომ ფრენა შეუძლია, ვიდრე ანთებულა ქუჩებში ჯვრები. დაე შემოუარონ მის სამრეკლოს, თუნდაც ათასჯერ, სპილენძის ზარი ჩამორეკონ, ქვებსაც ემთხვიონ, ემთხვიონ მიწას და ჭამონ და დალიონ პური და ღვინო ანუ მაცხოვრის ხორცი და სისხლი, ოღონდაც მოხსნან ხელისგულებზე ამოსული ლურსმნები.

და დააჯერონ, რომ ფრენა შეუძლია.

ვიდრე ანთებულა ქუჩებში ჯვრები.

და ვიდრე იდენს სისხლი გადახსნილი ჭრილობებიდან და ითქრიალებს ლიტერატურული ხილვანი და სახეები და აღარ დაემუქრებათ ანგელოზებს — ანგელოზებს მაინც — სიკვდილი.

მზის საფეხურებიდან მთვარის ნაპერწკლებამდე

(ანონსის მაგიერ)

შემთხვევითობა წამოატივტივებდა ჩემს ბავშვობისდროინდელ ხატებსა და სურათებს, განცდებსა და განწყობილებებს და უნებლიეთ შეჰკრავდა მინიატურების ციკლად „მზის საფეხურები“.

შემთხვევითობა ვითომ?..

რაკიღა უფრო მეტს ვერა ვწვდებით, ვამჯობინებთ პირობითად მაინც ისევ შემთხვევითობად მოვიხსენიოთ.

და ასეთივე შემთხვევითობას უნდა წამოეტივტივებინა გვიანდელი გაელვებანიც და ეპიზოდებიც და უნებლიეთ შეეკრა მინიატურების ახალ ციკლად „მთვარის ნაპერწკლები“.

მზის საფეხურები უფრო მყარ ხილვად მოჩანდა, ყოველ შემთხვევაში უფრო ადვილად ებმოდა ერთიმეორეს ის ნიმუშები და უფრო სახიერადაც იკვეთებოდა. ხილვა მძაფრი გახლდათ და შემძვრელი, ნამდვილი გამოხატულება ლექსებისა პროზად, თუმც რას ინარჩუნებდა ფურცელზე გადმონაცვლებისას, რამდენად გადმოჰყვებოდა ის იდუმალება და მადლი, მე აბა როგორ განვსჯიდი.

ხილვა მაინც გახლდათ ერთიანი, ცალკეულ ხატებადაც იქვე რომ იშლებოდა, თუმც ერთიმეორეს ვერ მოწყვეტდი.

მთვარის ნაპერწკლები უფრო ძნელი შესაგროვებელი გახდებოდა, მიმოფანტული დროისა და სივრცის ზღვაში, იქიდან რომ უნდა ამოგეკრიფა, ტალღა-ტალღა გედევნა და ზოგს მათ ქეჩოზე წაწყდომოდი და ზოგსაც მათ სიღრმეში.

„მზის საფეხურები“ პირდაპირ პოეტურ კრებულად გამოიცემოდა, ეთერ თათარაიძე და მაია ჯალიაშვილი რომ შემო-

უძღვებოდნენ თანდართული ესეებით, ჯერ მარტო მათი გაცნობა რომ ღირდა ერთ რამედ!..

მხატვრულად გააფორმებდა ირაკლი ჩიქოვანი, გამოცემას ეს ილუსტრაციებიც რომ დაამშვენებდა.

მერე გიორგი ლობჟანიძესაც უნდა ეთავა მეგზურობა ესეით, ჯერ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამართულ თავყრილობაზე რომ წაიკითხავდა მოხსენებად თბილისში.

მერე ნინო ვახანიას დოკუმენტური ნოველაც უნდა მიმატებოდა, კალმასობა ამჯერადაც ქუთაისში რომ ჩაგვიყვანდა.

„მთვარის ნაპერწკლების" ცალკეული ნიმუშები სხვადასხვა დროს დაიბეჭდებოდა, ფეისბუქის მკითხველი კი თანდათანობით გაეცნობოდა მათ უმეტესობას, ამასობაში ახალი პოეტური კრებულიც რომ გამზადდებოდა.

ოღონდ წიგნის გამოცემამდე „განთიადის" რედაქცია ამომიდგებოდა გვერდით და წლევანდელ მე-9-10 გაერთიანებულ ნომერში ბლომად მოათავსებდა მთვარის ნაპერწკლებს, მათი გადაკითხვა მთელს კრებულზე რომ შეუქმნის შთაბეჭდილებას მკითხველს და ლამის ერთიანი განცდა-განწყობილებითაც აავსებს.

ტრიპტიქისკენ რომ მიისწრაფის ეს ყოველივე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ისევე როგორც იმ მესამე სავარაუდო ციკლის მნათობის სახელი, ბიბლიური იოსების ზმანებისა თუ ძველი კოლხი მომღერლის ხილვათა ანარეკლად, და კიდევ იმ ხალხური ზღაპრისა, ამირანის თქმულებასთან ერთად რომ შემორევია ჩვენს თვალის გახელას.

თუმც ჯერ რა დროს ის არის, ჯერაც წარმოსახვაში მობორიალე ლექსები პროზად.

აგერ „განთიადის" პუბლიკაცია და აგერ ეს მოახლოებული პოეტური კრებულიც, ამჯერად ნინო სადღობელაშვილი და ლიკა თეგეტაშვილი რომ შემოუძღვებიან თანდართული ესეებით, ჯერ მარტო მათი გაცნობა რომ ღირს ერთ რამედ!..

მხატვრულად გააფორმებდა დალი მუხაძე, გამოცემას ეს ილუსტრაციებიც რომ დაამშვენებდა.

ხოლო ეს ჟანრი მინიატურისა მაინცდამაინც რომ ვერ გაიტაცებდა კონსტანტინე გამსახურდიას, რამდენიმე შედევრს კი

შეგვიქმნიდა ლექსისა პროზად, განსაკუთრებით მაინც „მკვდართან შეხვედრა“ რომ შეგვძრავდა, ხეზე ჩამოკიდებულ კაცს რომ უნდა გადაწყდომოდა ლირიკული გმირი ტყეში და, მის სახეს რომ მიაჩერდებოდა, ბნელ ფონზე ამოეკითხა:

— ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!

და უნდა გამოქცეულიყო თავზარდაცემული, მაგრამ ვერადავერ მოეშორებინა ეს ხილვა და განეცადა სრულიად ახალი შეგრძნება, შეხედულებადაც რომ ჩამოუყალიბდებოდა, სულაც ესთეტიკურ მრწამსად:

ჩვენ ყველა საგნების თოკზე ვკიდივართ დღედაღამ და გამ-ველელ-გამომვლელს ველრიჯებით: ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანოო!..

ეს თოკიცაა, რომ მოგვდევს და მოგვყივის და არადაარ გვეშვება და მიგვაქანებს თუნდ მზის საფეხურებზე ასასვლელად და თუნდ მთვარის ნაპერწკლების შესაგროვებლად და თუნდ...

თუმც ნუ ვიჩქარებთ, ჯერ ვიცოდეთ, რა არის ერთიანობაში ეს ნაპერწკლები, საფეხურებს რომ შერევია — მთვარისა მზისას, რას გვამცნობენ, რას გვატყობინებენ, რას მიგვანიშნებენ, რას გვიმხელენ, რომ მერე სხვა ენიგმებისა თუ ბილინგვების ამოხსნაც ვცადოთ.

გზაკეთილი:
„ლიტერა მთარგმნელებისთვის“

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩვენი ისტორიის ოქროს ხანა იმ მხრივაც გამოირჩეოდა, რომ სტრიქონი რა არის, სტრიქონი არ დაგვრჩებოდა უთარგმნელი და მაშინდელი მსოფლიოს ლიტერატურული მონაპოვარი კიდეც თავით ბოლომდე ხელთ ჰქონდა ქართველ მკითხველს.

დიდი აღორძინება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იმ მხრივაც გამოირჩეოდა, რომ გაიშლებოდა მთარგმნელობითი მოღვაწეობაც — დაიწყებოდა ხარვეზების ამოვსებაც და კვალდაკვალ მიყოლაც დასავლური სალიტერატურო პროცესებისა, აღმოსავლური მწერლობა მანამდე საუკუნეთა განმავლობაში უკვე რომ მკვიდრდებოდა ჩვენს ენობრივ სივრცეში.

1921 წლის თებერვლის ტრაგედია ბევრ რაიმეს გაართულებდა თარგმნის მხრივაც, მაგრამ თავისას მაინც ეცდებოდნენ ჩვენი მოღვაწენი და არამარტო მნიშვნელოვან თარგმანებს შემატებდნენ ჩვენს მწერლობას (ზოგიერთს — იატაკქვეშეთში!), არამედ საკმაოდ მტკიცე საფუძველსაც მოამზადებდნენ მთარგმნელობითი პროცესების აღმავლობისათვის თვით მძიმე ცენზორულ პირობებში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგება ძალიან შეუწყობდა ხელს მთარგმნელობით მოღვაწეობას და დღესდღეობით უკვე ვიბრუნებთ იმ რეალობას, ოქროს ხანაში რისთვისაც მიგვეღწია:

შევდივართ მსოფლიო ლიტერატურული პროცესების შუაგულში მთარგმნელობითი ღვაწლითაც, ხარვეზებიც სულ უფროდაუფრო რომ ივსება და კვალშიც ვუდგავართ მსოფლიო სამწერლო ცხოვრებას.

დღესაც გვყავს უმაღლესი რანგის მთარგმნელები, რომელთა პროფესიონალიზმითა და მიღწევებითაც იამაყებდა ნებისმიერი ძლევამოსილი სახელმწიფო.

და ამგვარ პირობებში რაოდენ სასიხარულოა ეს ახალი ცნობა:

დაარსება ყოველწლიური პრემიისა „ლიტერა მთარგმნელებისთვის" მწერალთა სახლისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თაოსნობით.

საკუთრივ მთარგმნელებისათვის განსაზღვრული ჯილდო ოთხ ნომინაციაში, ხვალ და ზეგ ნომინაციათა რაოდენობა უსათუოდ რომ გაიზრდება და ცალკე დაჯილდოვდება თუნდ პოეტური კრებულიც — არამარტო ახალგაზრდა მთარგმნელის მიერ გადმოღებული.

მთარგმნელობით საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის ნავარაუდევი ჯილდოსათვის დავით წერედიანის სახელი მიუკუთვნებიათ და ეს გადაწყვეტილებაც განსაკუთრებული სიხარულის მომგვრელია.

დავით წერედიანი ყველა ჩვენგანისათვის, რომელნიც ასეთუისე გარეულნი ვართ მთარგმნელობით საქმიანობაში, ყოველთვის გახლდათ ორიენტირი როგორც მთარგმნელობითი მიღწევების, ისე პროფესიული კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

თარგმნის პროცესში იდუმალი მზერით თუ ვინმესაკენ ვიხედებოდით, თუ ვინმეს გემოვნების ფონზე ვამოწმებდით ჩვენს ნამუშევარს, ერთ უპირველესს სწორედ დავით წერედიანს ვგულისხმობდით.

და თუკი რომელიმე ფრაზა თუ სტრიქონი ძალიან გაგვაწვალებდა და გავიფიქრებდით, რომ ერთი და ორი ჩავარდნილი ფრაზა თუ სტრიქონი განა ისეთსაც რას დააკლებდა თარგმანს, უსათუოდ უნდა ავეწრიალებინეთ დავით წერედიანის გამჭოლ მზერას და... იმ ერთ თუ ორ პასაჟსაც ბოლომდე ჩავკვდომოდით.

დავით წერედიანი კვლავინდებურად ორიენტირად რჩება ჩვენთვის, კიდეც ძველებურად გვამხნევებს და გვაგულიანებს.

და „ლიტერა მთარგმნელებისთვის" ორგანიზატორები ოფიციალურად გააფორმებდნენ ამ საერთო განწყობილებას.

არაერთია დაფასებული მთარგმნელობითი შედევრი ჩვენში, მაგრამ დაუფასებელიც არაერთი შედევრია, აღარაფერს ვამბობ კარგ, ჩინებულ, შესანიშნავ თარგმანებზე, „ლიტერა მთარგმნელებისთვის“ თავის მხრივაც რომ შეეწევა ამ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეს, რადგანაც — ეტიამბლის იმ შეგონებისა არ იყოს — ნამდვილად მხოლოდ ის წაგვიკითხავს, რაც მშობლიურ ენაზე აგვიმეტყველებია მსოფლიო სამწერლო საგანძურიდან.

კიდევ ერთი გზა გაიხსნა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში.

კიდევ ერთი სივრცე გადაიშალა.

და ღმერთმა ინებოს:

ეს გზა, ეს სივრცე ისეთი აღმოჩნდეს, ჩვენს მთარგმნელობით კულტურას, ჩვენი ლიტერატურის ღირსებას რომ ეკადრება.

ოლიმპო აგვისტოს ნათელში

(დღიურის ფურცლებიდან)

აგვისტოს მიწურულს უილიამ ფოლკნერი თავის მეუღლესთან ერთად აივანზე რომ იჯდებოდა, უეცრად მეუღლეს უნდა ეთქვა მისთვის:

აგვისტოს ნათელიაო.

— რას ნიშნავს აგვისტოს ნათელი? — ცნობისწადილი წასძლევდა მწერალს.

და აღმოჩნდებოდა, რომ ეს ყოფილა:

რაღაც იდუმალი და შეუცნობი, დრო, რომელიც არცერთ დროს არ ეკუთვნის და არც ფერი აძევს და არც სახელი აქვს.

ასე უცნაური დრო ნეტა სხვა თვის მიწურულსაც იჩენს ხოლმე თავს?

მიჩხრეკდა, მოჩხრეკდა ფოლკნერი, მაგრამ ვერას დაადასტურებდა, რადგან ასეთი იდუმალი და შეუცნობი აგვისტოს დამლევი გახლდათ, მხოლოდდამხოლოდ აგვისტოსი.

და მეუღლის ეს სიტყვები უბიძგებდა რომანის შესაქმნელად, რომლის სათაურზე ფიქრი არც დასჭირდებოდა: „აგვისტოს ნათელი“ — მის თვალწინ ძველბერძნული დღესასწაულის განუყრელი პერსონაჟები რომ უნდა არიალებულიყვნენ — ფავნები, სატირები და ღმერთები.

ისინი კაცობრიობას კარგა ხნის წინათ გამოეგლოვა, მხოლოდ მითოსსა და ზღაპრებში ჩაეტოვებინა და ყმაწვილებისათვის მიენდო, მაგრამ უილიამ ფოლკნერი არ შეეგუებოდა მათთან გამოთხოვებას, არც ისინი მოეშვებოდნენ მის წარმოსახვას და... კიდეც იხილავდათ, როდესაც ირგვლივ შუქი ისე უცნაურად გაბრწყინდებოდა და ილივლივებდა, თითქოს თანადროული კი არ ყოფილიყო, არამედ დროთა წიაღიდან მომ-

დინარე. ეს სწორედ ის შუქი გახლდათ, რომელშიც ძველი საბერძნეთის ოლიმპოდან გადმოსული ფავნები, სატირები და ღმერთები ბუდობდნენ...

და ამ ხილვას მწერალი ძალდაუტანებლად დაუკავშირებდა ლინა გროუვს, რადგანაც ამ ქალს მოსდგამდა რაღაც წარმართული, ცისქვეშეთში არსებულს შორის ყველაზე დიდი სიამე — ბავშვის ყოლის სურვილი.

ესეც ის, რასაც ეს დასახელება — აგვისტოს ნათელი — აღნიშნავდა, შუქის ათინათი, შუქისა, ჩვენსაზე უფრო ხანიერი რომ არის, წარუვალი და მარადიული.

ეს შეგრძნება, აწ უკვე ფოლკნერული, ადვილად აგვიყოლიებდა და გაგვთანგავდა, ძველბერძნულ მისტერიასა და დღესასწაულში ჩაგვრთავდა, აგვისტოს მიწურული ჩვენთვის კვლავაც გადახსნილ ჭრილობად რომ არა ფეთქავდეს.

1924 წლის მარიამობის დღესასწაული საქართველოს გამოხსნის ბედნიერება უნდა ყოფილიყო, აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ დათქმულ დროს რომ დაწყებულიყო, მაგრამ დანაშაულებრივი გამოხდომა 27 აგვისტოსი, ნაადრევად რომ ამბოხდებოდა ჭიათურა, სისხლში გაბანდა და ტრაგიკულად აქცევდა იმ დღეებს.

ეს სისხლი მოჟონავს და ძალაუნებურად ეწვნის სატირებისა და ფავნების, ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსულ ღმერთთა თავდავიწყებულ ზეიმს და არ გვანებებს, ფოლკნერივით სრულყოფილად განვიცადოთ მისი მადლი, ექსტაზი და ძალმოსილება.

სიცილსა და მხიარულებაში მოწვეთავს ცრემლი და გარემო ითანგება ღრმა ტკივილითა და დარდით.

უილიამ ფოლკნერი კი იმ გაელვებას მოებღაუჭებოდა, რაღაც რომ სურდა დასაყრდენად, როდესაც თვითონაც და მისი პერსონაჟებიც დროის წინაშე დგებოდნენ გამომწვევად და მის გამკლავებას ლამობდნენ, აგვისტოს მიწურული რომ იმარხავდა თავისთავში და ყველასაც გაუმხელდა, ვინც კი მის წამოქროლებას აჰყვებოდა, მის გამოკრთომას მოეჭიდებოდა, იმ იდუმალსა და შეუცნობელში ჩაყურყუმელავდებოდა და ფავნებსაც თვალდათვალ იხილავდა, სატირებსაც და იმ ღმერთებსაც, რომელთა გამოგლოვასაც ძალიან და ძალიან იჩქარებდ-

ნენ, ნაცვლად იმისა, იმ შუქში შელწევა ეცადათ, იმ უცნაურ და საკვირველ დროში.

ვინც მოვინდომებთ აგვისტოს ნათელის ასე თუ ისე განცდას, უკეთეს მეგზურად სხვა რა შეგვეწევა, თუ არა „აგვისტოს ნათელი", რომელიც გადავსებულია იმ იდუმალი და შეუცნობელი შუქით, წარუვალსა და მარადიულს რომ გაზიარებს.

მეგზური და ამისთანა, ამ რომანის ქართული ორეული რომ არის!..

რაღა უილიამ ფოლკნერის ორიგინალშივე გაცნობიხართ ლენა გროუვის გულისშემძვრელ თავგადასავალს და რაღა ზაზა ჭილაძის თარგმანში, „არტანუჯის" ფოლკნერული სერიის ერთერთ დიდებულ ნიმუშში, სტილისტიკაც რომ მარჯვედაა დაჭერილი და გადმოლებული, რიტმიც და ფარული მუსიკაც, ფოლკნერის გარეგნულად თითქოსდა ურთულეს თხრობას წყალივით საკითხავსა და სიმფონიასავით მოსასმენს რომ ხდის.

და აგვისტოს ნათელი ისევე იღვრება ქართულ ენაზე, როგორც უილიამ ფოლკნერი მიაბიჯებდა იმ შუქში და მიიწევდა ღმერთებისაკენ ფავნებითა და სატირებით გარშემორტყმული, და მიმხვდარიყო და ვერც მიმხვდარიყო, თუ რა დროში მოხვედრილიყო.

და იღვრება, იღვრება და იღვრება აგვისტოს ნათელი...

ხილვანი სიზმართა სათავისა

(ია ჯინჭარაძის უცნაური ლირიკა)

— იესოს მოფერებით რას ეძახდა დედა?

ეს შეკითხვა, მოულოდნელი და უჩვეულო, დამაგვირგვინებელ სტრიქონად უნდა წარმოგვიდგეს ია ჯინჭარაძის უსათაურო ლექსში, რომელიც თავიდანვე უცნაური ხილვით უნდა იწყებოდეს:

ლირიკულ გმირს, რომელიც ამჯერად შენა ხარ, მკითხველი, ცეცხლი გიკიდია საბძელივით და საშველად მორბის სოფელი, სათლებით რომ გაყრიან თოვლს და ფიწლებით ღრუბლის წყალს იხვეწებიან. შენ კი დგახარ და ფიქრობ, რომ... ხვალ ბევრი საქმეა — და ნაცარივით უნდა მოაგროვო და შეინახო გადარჩენილ კუნჭულში, რომ მთელი სიმარტოვე პირუტყვივით გამოიზოგო. ხვალ ბევრი საქმეა — შენი ახალი თავი უნდა შეიყვარო, და აღარ გეგონოს, ჭირხლით მოხატული ფანჯრების მიღმა იდგეს ბავშვი ღია თოვლში და საზეიმოდ ჩავლილ ადამიანებს ეკითხებოდეს:

— იესოს მოფერებით რას ეძახდა დედა?

ამ შეკითხვაში ისედაც — და მითუმეტეს იმ უჩვეულო ხილვების ფონზე — საცნაურია და საგრძნობი განსაკუთრებული ინტიმი, ის სიფაქიზეც და გულსამოყოლილი სევდაც, რითაც ჩაგებეჭდვია ხსოვნაში თუნდ ნიკო სამადაშვილის გამაოგნებელი ხილვა ტანას ხეობის სულ სხვა მზერით აღქმისას: ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოსო.

მოულოდნელობანი, უჩვეულობანი ხედვისა და სტილური მანერის ის თავისებურებაა, რაც ასე კანთიელად შეიგრძნობა ია ჯინჭარაძის ახალ ლირიკულ კრებულში: „შეიძლება, სახლში წავიდე, ბატონო?..“ (ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტე-

რატურული სააგენტო, 2019) —უყურადღებოდ არ მიგვრჩენია და გიორგი ლობჟანიძემ ჩვეული პროფესიონალიზმითაც შეაფასა და შესაფერი ადგილიც მიუჩინა ჩვენს ლიტერატურულ მდინარებაში, მაგრამ მისი არაორდინარულობა ძალდაუტანებლად გვიწვევს ფართო განსჯისაკენ, რომლის რკალშიც ჩაეწერება ეს შეხმიანებაც ზღაპრული და ბიბლიური პერსონაჟებით დასახლებულ პოეტურ სამყაროსთან, სადაც მზე თეთრიც არის და გაცინებულიც და სიკვდილთან გათანაბრებულიც, როგორც კეთილი დასასრული ლექსისაც და ცხოვრებისაც, და გასიმბოლოვებული დედასთანაც და თვალებდათხრილ ველურთანაც, რომელსაც ამოუწყვიტეს ყველა ახლობელი ვარსკვლავი.

მზე უნდა შემოეშველოს პოეტს, რომ მოიკრიბოს ის სითამამე, რომელიც ამოათქმევინებს სიჩუმეს ანუ იმ იდუმალებას, სულის გაშიშვლებასაც რომ არ დაერიდება და გარდაისახება იმ ბავშვებადაც, თოვაში ერთმანეთს რომ ეკვრიან, და იმ მარცხენა ავაზაკადაც, მაცხოვრის გვერდით რომ უნდა ეცვათ ჯვარს; და ლოტის ცოლადაც, რომლის სახელიც, მარილის სვეტადქცეულის, სამუდამოდ დავიწყებულია, რაკიღა წყევლამ უწია განწირული ქალაქისაკენ უკან მიხედვისათვის, მაგრამ თუ შემოტრიალდება ჟამი მითოსური ციკლივით, კვლავინდებურად არ შეეპუება წყევლას და შეტრიალდება სოდომისაკენ, რათა ამ ჭირისა და სიკვდილის ჭიდან ერთხელაც ვინმე ამოიყვანოს; და ნოედაც, მწვანედ შეღებილ წყალზე გაწოლილად, ცაზე მიკრულ ღრუბლებს რომ ეკითხება: სად გადაკარგეს ჩემი პლანეტაო?.. და ნაცარქექიადაც, კენჭივით ასხლეტილ სიტყვას გულის ათიანში ხან უსუსურ ფიფქად რომ აქცევს და ხანაც ქვამარილად, ირმები რომ მივლენ, ალოკავენ და მერე მთვარესავით მიატოვებენ. მთავარია ახსოვდეს ყველა, ვინც გამოუვლია, და ეს თამაშიც, რომ არსად წასულა და მხოლოდღა ნაცარში გაჰყავდა გზები...

აი სიზიფეს კი არ გაუიგივდება, სურვილით სურს, რომ გამოელაპარაკოს ამ უცნაურ კაცს, აღმართში ლოდს რომ მიაგორებს, მაგრამ სცხვენია თავისი ცარიელი ხელების.

სიზიფე უნდა გამოუჩნდეს უკიდურესი მოწყენისას, იმ ჩიტივით რომ დაეუფლება ხოლმე, გალიის ღია კარის შემყურემ უკვე

რომ აღარ იცის, საით უნდა გაფრინდეს... და ამ მობუზული ჩიტიდან ფიქრი უნდა მიაწყდეს იმ უცხო ლექსს, სიზმარში რომ შეიყვარებდა ლირიკული გმირი, მაგრამ გამოღვიძებულს აღარ ეცოდინებოდა, სადმე რომ შემოჰყროდა, ნეტა იცნობდა?!.

და მარტო რომ რჩება, ოთხადმოკეცილი თავის მკლავებს რომ ჩაიკრავს, ივედრება, რომ არ აეკრძალოს ბედუინს უდაბნო და უბედურს მოთქმა, რათა არ დაირღვეს ბუნებრიობა და უხეშად არაფერი წაეკაროს იმ იდუმალ ჰარმონიას, რომლის ხილული მშვენიერებაც ყველაზე სახიერად და წრფელად უნდა გაამჟღავნოს შვილების მიერ დახატულმა ფერადმა კვერცხმა, სადაც დაუვანებია დედა-წინწილას... და ლირიკულ გმირს ისღა დარჩენია, ბურთივით სდიოს სასწაულებს.

თუ რაიმეს ინატრებდა და:

წითელ წიგნში შეიტანონ ყარყატივით და თქვან:

რა ლამაზი იყო და ეს უცნაური ლექსებიც როგორ უხდებოდაო!..

თუ რაიმეს არ ისურვებდა და:

არ დამსგავსებოდა ეს წიგნი რკინის ალაყაფიან ანთოლოგიებს.

მაშინ ძველებურად შეინარჩუნებდა სიწრფელესაც და უბრალოებასაც და გათენების ხილვის სიხარულსაც, რადგანაც თავისთან დაიგულებდა ყველა სიტყვას, ხესა თუ ადამიანს, რომელიც გაეცოცხლებინა. და უკვე აღარაფერი დააოკებდა, ამდგარიყო და წასულიყო თავისი მეგობარი ბალახის სანახავად.

ია ჯინჭარაძის უცნაური ხილვა-განწყობილებებით მოქსოვილ მხატვრულ სამყაროში თოკის კიბე როდესაც გაწყდება, აღარ იცი, ციდან მიწაზე დავარდება თუ მიწიდან ცაზე!..

ჯერ მარტო ეს ხილვა ღირს ერთ რამედ, გარშემო შესაფერისი ლირიკული ქარგა რომ შემოგარსვია და ამ ფონზე კიდევ უფრო შემძვრელია, კიდევ უფრო ბევრისდამტევი:

ვერავინ მეტყვის,
სად ვიპოვნო სიზმრის სათავე?
სუფთა, წკრიალა,
ვიდრე ლოცვის სიმრგვალე
და წყევლის შვეულები შეერევა,

ვიდრე შრიალებს,
როგორც ქარი აბრეშუმის.
მეუბნებიან,
რომ ტკივილით სწავლობ ცხოვრებას,
მე კი მგონია,
სიხარულით მეტი ვისწავლე.

ეს ის წამიერად გამოგლეჯილი სიხარულებია, რომელმაც თავისი მოზაიკა უნდა შექმნას, აღმტაცი და ცისაკენ მიმსწრაფი, და აღარ გიკვირდეს, თუ გამწყდარი თოკი ზეცას დაეცემა.

ამიტომაცაა, ამ ლირიკული ხილვების სამყაროში შესულს „სხვაგან მოხვედრილის" შეგრძნება რომ დაეუფლებოდა ქეთევან კოკოზაშვილს — როგორც მისი მოკლე და მოხდენილი წინათქმა გვამცნობს — და ამ მხატვრული სინამდვილის განსაკუთრებული ხედვისა და აღქმის თანამოაზრედ იქცეოდა, მარჯვედ რომ აუღებდა ალღოს კოდირებულ პოეტურ ენას, რომლის წყვეტილი სუნთქვაც ცალკეა გასაშიფრი, პოეტს კი ჩიტობა იმიტომაც მოსურვებია, ხიდან ხეზეც რომ გადაფრინდეს და ციდან ცაზეც...

დაე ჭრელთვალება ელფივითაც ართავდეს ცრემლებს და მღეროდეს შიშსა და ომებზე თუნდ უღრან ტყეებში და თუნდ მიუსაფარ მინდვრებზე, ოღონდ იქ ქრისტე ღმერთმა ჩამოიაროს...

ჩამოიაროს კიდევ ერთხელ, ოდესღაც როგორც დაიარებოდა მიწაზე, და ეფერებოდა დედა, როგორც ეფერებიან დედები შვილებს, ოღონდ ამაზე დუმან მისი ცხოვრების აღმწერნი, თუ რას ეძახდა მარიამი იესოს, და რჩება ესეც საიდუმლოდ, ვიდრე პოეტები მიაგნებდნენ და გაგვიმჟღავნებდნენ, გამწყდარი თოკის კიბისა არ იყოს, რომელიც შესაძლოა დაეცეს ზეცას... ზეცას დაეცეს... ჩვენამდე კი მოაღწიოს სიმღერამ წვიმის წვეთივით სიმარტოვეზე...

მაგალითი ჟურნალისტის ღირსებისა

(სადღეგრძელოს მაგიერ თეა ყიფშიძეს)

ჩემო თეა,

ვერ ვეგუები, როდესაც ყველა ჟურნალისტს ერთ ქვაბში მოაქცევენ ხოლმე და ძრახავენ ჩვენს ჟურნალისტიკას, და ყოველთვის ვცდილობ დავიცვა ჩვენი ჟურნალისტების ღირსება, მათი უკეთესი ნაწილისა, რომელნიც ჰქმნიან სინამდვილეში ქართული ჟურნალისტიკის სახესაც და რაობასაც.

მათამამებს ხოლმე ის, შენ და შენისთანებიც რომ მოღვაწეობთ — სწორედაც მოღვაწეობთ — ამ ასპარეზზე და თქვენს მხრებზე გადაგაქვთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელობის ათასგვარი მხარე, შრე, ბილიკი.

და როგორ არ განვაზოგადო თუნდ შენი არსებობა და როგორ არ ვირწმუნო, რომ:

ჩვენი ჟურნალისტები არიან თავიანთი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალები, წერის ნიჭით დაჯილდოებულნი, ჩინებული მოქართულენი და ორატორები, საუკეთესო ორგანიზატორები, მართალნი, მიუკერძოებელნი და ერთგულნი.

და თანაც ამ ყოველივეს აღასრულებ გადამდები, დაუოკებელი ხალისით, აცოცხლებ და ალამაზებ ყველაფერს, სადაც ჩაერევი.

ბევრწილად განსაზღვრა ეს ყოველივე შენმა ოჯახურმა გარემომაც.

და ბევრწილად განსაზღვრა თემურ მეტრეველმაც, რომელმაც მთელი სკოლა შექმნა შესანიშნავი ჟურნალისტებისა და შენც სხვაგან სად შეიძლება მოხვედრილიყავი, თუ არა მის გვერდით.

და ღირსეულადაც ინარჩუნებ ამ სკოლის ტრადიციას, შენზე უმცროსთათვის ახლა უკვე შენ ხარ ნიმუშიც და მაგალითიც ჟურნალისტის ღირსებისა, რომლის გულისგულიც სიკეთის ფრქვევაა, უშურველი სიკეთისა.

როცა პიროვნება სტილია

(სადღეგრძელოს მაგიერ კახმეგ კუდავას)

ბატონო კახმეგ,

სავსებით ვიზიარებ ტარიელ ჭანტურიას მახვილგონივრულ და ბევრისდამტევ ფრაზას:

უკვდავება უკუდავებოდ შეუძლებელიაო.

ფრაზას, რომელიც აფორიზმივით გაისმის.

ამ აფორიზმს ადასტურებს თქვენი პიროვნული ბუნება:

გულგახსნილი, ხელგაშლილი.

ამ აფორიზმს ადასტურებს თქვენი ცხოვრების სტილი:

ღირსებით, მადლითა და სიკეთით სავსე.

ამ აფორიზმს ადასტურებს თქვენი საგამომცემლო მოღვაწეობის სტილი ანუ:

თქვენი ინტელექტი და „ინტელექტი".

ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრება წარმოუდგენელია „უინტელექტოდ", უკვე საერთაშორისო მასშტაბითაც რომ მოუპოვებია გავლენა და ავტორიტეტი, თორემ ჩვენში კარგა ხანია ვიცით მის მაგალითზე, თუ როგორი უნდა იყოს გამომცემლობა და მისი ხელმძღვანელობა:

აღსავსე საქვეყნო საზრუნავითა და ნამდვილი ლიტერატურული ღირებულებების დასამკვიდრებლად გადამკვდარი, ახალგაზრდობის დიდი ქომაგი და მათი თამამად და გონივრულად შემომყვანი სამწერლო სარბიელზე, ხელოვნური ბარიერების წინაშე შეუპოვარი და უმძიმეს ვითარებათა წარმატებით გადამლახავი...

ოჯახი რომ ქვეყნის მოდელია, ამ სენტენციასაც ადასტურებთ და კანთიელადაც ათვალსაჩინოებთ.

როდესაც პავლე ინგოროყვას ვინმეს შექება ენება, ყველაზე უკეთეს ეპითეტად ეს სიტყვა გამოეძებნა და ასეც ამკობდა:

ეს პიროვნება სტილიაო.

სად ჩამოჰყოლოდა ცალკეულ საუკეთესო თვისებებს, ბარემ ამ ტევად, მრავლისმთქმელ სიტყვას გამოეხატა მისი დამოკიდებულება.

და პავლე ინგოროყვას კვალობაზე ყოველთვის მითქვამს, რომ:

კახმეგ კუდავა სტილია.

და სიამოვნებითა და სიამაყით შემიძლია პირადადაც გაგიმეოროთ.

...უკვდავებას კი უკუდავებოდ რომ ველარც მივაღწევთ, ეს ხომ თავისთავად.

ბარათაშვილურ ეპისტოლეთა გზასავალზე

(მაია ცერცვაძის მონოგრაფიული თხზულება)

1832 წლის შეთქმულების გაცემას იმით გამოიგლოვდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მის ერთ-ერთ მსხვერპლს გრიგოლ ორბელიანს ლექსს რომ მიუძღვნიდა — „ძია გ...სთან“ — და ბარათთან ერთად გაუგზავნიდა 1837 წელს, ვილნოში გადასახლებულს: ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი, წაგართო ავის ენისა გესლმანო.

ვიატკაში გადასახლებული სოლომონ დოდაშვილისადმი, თავისი მოძღვრისადმი, თანადგომას იმით გამოხატავდა, რომ:

თანამოაზრეებთან ერთად რუსულ ენაზე შედგენილ ხელნაწერ ჟურნალში „ტფილისის გიმნაზიის ყვავილი“ შეიტანდა მის ორ თხზულებას: „მეფობა ირაკლი მეორისა“ და „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა და სიტყვიერებისა“.

ელიზბარ ერისთავისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას იმით გამოხატავდა, რომ:

ლექსში „ქეთევან“ მოიხსენიებდა ამილბარად ანუ მთავარსარდლად, როგორც აღიარებულიყო შეთქმულთა წრეში.

როზგით დასჯასაც იწვნევდა მათი გულისათვის:

1833 წელს, 16 წლისა, დაწერდა სატირულ ლექსს 1832 წლის შეთქმულების გამცემლობაზე და ფოსტით გაუგზავნიდა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, ძმას გამცემისა, „დამნაშავის“ გამომჟღავნებას რომ შეეცდებოდა, ფოსტის თანამშრომელი კიდეც მოიპოვებდა დოკუმენტურ დადასტურებას და... იმავე საღამოს სასწავლებელში მივიდოდნენ გამოძიების საწარმოებლად: ჟანდარმის ოფი-

ცერი, პროკურორი და პოლიციის უფროსი. და ნიკოლოზ ბარათაშვილს მხოლოდ არასრულწლოვანება იხსნიდა გაროზგვაზე უფრო მკაცრი სასჯელისაგან.

ეს ყოველივე ცნობილია და ერთ-ერთ მოტივადაც ივარაუდება „მერანის“ ნამდვილი ადრესატის გამოსარკვევად, მაგრამ ამჯერად საგულისხმოა, თუ რამდენად ტრიალებდა შეთქმულთა სახელები პოეტის პირად წერილებში.

ამ გარემოებით საგანგებოდ დაინტერესდებოდა მაია ცერცვაძე, მონოგრაფიული თხზულების — „XIX საუკუნი პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით“ („მერიდიანი“, 2019) — მეხუთე თავში, ეს ბარათები ისტორიულ კონტექსტში რომ არის გააზრებული.

გრიგოლ ორბელიანი თავისთავად.

და კიდევ:

ანტონ აფხაზი, დიმიტრი ყიფიანი, ეგნატე იოსელიანი, ელიზბარ ერისთავი, მანანა ერისთავი-ორბელიანისა, ელენე ორბელიანი, გიორგი ერისთავი (მეტსახელად გლუხარიჩი), ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი (მეტსახელად ბაკლანა), ბიძინა ერისთავი, ლევან ერისთავი, მამუკა ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანი.

მათ გარდა ბარათების ადრესატებიდან და წერილებში არასახელდებით მითითებულ პირთაგან მკვლევარი გამოჰყოფდა მათაც, რომელთა ოჯახის წევრებიც იყვნენ ამ იატაკქვეშა ორგანიზაციის მონაწილენი:

მიხეილ თუმანიშვილი, ვაჟი ბირთველ თუმანიშვილისა. პოეტის უფროსი დის ეკატერინეს მულები: ანასტასია ერისთავი, რომელიც ცოლად გაჰყვა გივი ამილახვარს, ბარძიმის ვაჟს, და მარიამ ერისთავი, დავით ჯორჯაძის მეუღლე. „ახალდანიშნული თუ პატარძალი სოფიო“ — მეუღლე ბაქარი ჩოლოყაშვილისა, რომელიც ძმასთან, ალექსანდრესთან, ერთად მონაწილეობდა ამ ფარულ წრეში. სალომე თარხნიშვილი-დეპნერი — ქალიშვილი დიმიტრი თარხნიშვილისა.

ბარემ აქვე ვიგულისხმოთ გამცემიც — იასე ფალავანდიშვილი, რომლის ვინაობაც ასე გამჭვირვალედაა მინიშნებული

„ავი ენის გესლის“ მეტაფორაში; და რომელიც არამცთუ მონაწილე, ერთ-ერთი მეთაურიც გახლდათ ამ საიდუმლო ორგანიზაციისა.

მაია ცერცვაძე ამ ჩამონათვალს დასძენდა, რომ:

ცხადია ამით არ ამოიწურებოდა 1832 წლის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ბარათაშვილის ნაცნობ-მეგობართა წრე და ის გაცილებით ვრცელი გახლდათ.

ამჯერად მთავარი ის იყო, რომ:

რაკილა მათი რაოდენობა 20-მდე აღწევდა (აჭარბებდა კიდეც!), ეს ვითარება პოეტის ეპისტოლური მემკვიდრეობის ამ მცირე მოცულობის კვალობაზე არცთუ მცირედ გამოიყურებოდა და ირიბად გვიქმნიდა წარმოდგენას 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა სიმრავლესა და მის მასშტაბურობაზე.

მახვილგონივრული და მეტად ფასეული დაკვირვებაა!

ამ ფარული წრის მასშტაბურობაც და მის წევრთა სიმრავლეც საკმაოდ დადასტურებულია და არავითარ ეჭვს აღარ იწვევს, მაგრამ რა სჯობს, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათებიც თვალნათლივ აირეკლავს ამ ისტორიულ სიმართლეს.

მახვილგონივრული, ღრმააზროვანი დაკვირვებანი და მიგნებანი არ აკლია ამ მონოგრაფიას, კვლევა-ანალიზი არაერთ ახალ ასპექტს რომ გადაგვიხსნის თვალწინ და უამრავ რეალიასაც ამოგვიტივტივებს.

მაია ცერცვაძეს არც პოეტური წარმოსახვა და აღმაფრენა აკლია და არც პედანტური ჩხრეკა და გულმოდგინება, დაუღალავი სწრაფვა „წვრილმანების“ მოსაკრებად და გასამთლიანებლად, რისი წყალობითაც მოპოვებული ცნობებითა და მიგნებებით საკმაოდ შეივსებოდა ჩვენი წარმოდგენა — თამაზ ჯოლოგუასა და ნინო ვახანიას ძიებებსა და მონაპოვართან ერთად — იმ ეპოქის ხვეულებსა, სულსა და პერსონაჟებზე.

რამდენი რამ დაზუსტდებოდა თუ გადაფასდებოდა.

თუნდ გახსნა მელანიას ვინაობისა, ზაქარია ორბელიანთან 1844 წლის 18-დან 20 აგვისტომდე გაგზავნილ წერილში რომ იხსენიებოდა.

ეს ენთროპონიმი კომენტირებულ გამოცემებში ან საერთოდ არ დადგენილიყო, ანდა — არასწორად, როგორც აკაკი

გაწერელია ივარაუდებდა: ელიზბარ ერისთავის და, მელნიკოვის მეუღლეო.

ეს შეცდომა იმას გამოეწვია, რომ:

„მელანია“ და „ელიზბარ ერისთავი“ ბარათში ერთად, ერთ კონტექსტში წარმოდგებოდნენ:

— ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში.

ამასთან მელანია არცთუ გავრცელებული სახელი გახლდათ.

მაგრამ მკვლევარი ჩაუკვირდებოდა, რომ იმხანად მელანია ერისთავი-მელნიკოვისა ცოცხალი აღარ იყო. ამიტომაც გააგრძელებდა ძებნას და აღმოჩნდებოდა, რომ იმ ნათლობის მონაწილე ყოფილა მელანია ქობულაშვილი-სუმბათაშვილისა, რომლის ფოტოსურათსაც კი მიაკვლევდა, უკვე ხანდაზმულობისას.

ამასთან შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ეს მელანია უნდა იხსენიებოდეს გრიგოლ ორბელიანის მიერ 1844 წელს გაგზავნილ წერილშიც ქეთევან ორბელიანთან:

— ძალუავ, შენთან უნდა მომეწერა და ისე როგორღაც ყაფლანის ლანძღვა კი დავიწყე. გიორგი ერისთავმაც რაც უნდა დაიწყოს, ბოლოს მელანია უნდა გალანძღოს.

მანამდე მიიჩნევდნენ, რომ აქ უფრო მოსამსახურეზე იყო საუბარი, მაგრამ მაია ცერცვაძეს „მელანიასთან“ ერთად ცნობილი თავადის ყაფლან ორბელიანის ხსენება მისცემდა იმის თქმის საფუძველს: აქ მოსამსახურეზე არ უნდა იყოს საუბარიო.

მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით გამოირჩეოდა მონოგრაფიის მეოთხე თავი — ბარათებში მოხსენიებული პირები და ამ წერილების დათარიღება.

1844 წლის ზაფხულის წერილი აკაკი გაწერელიასა და ივანე ლოლაშვილის მიერ მომზადებული გამოცემის მიხედვით თარიღდებოდა სექტემბრის დამდეგით.

მარიამ ნინიძე 15 აგვისტოთი დაათარიღებდა ალევობის ანუ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის ხსენებაზე დაყრდნობით, ძველი სტილით 15 აგვისტოს რომ იმართებოდა ქსნის ხეობაში, ისტორიულ სოფელ ალევში, მამასთან ერთად პოეტიც რომ დასწრებოდა:

— მე და მამა ალევობას, რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვეწვივენით კატოს.

მაია ნინიძე შეძლებდა ამ დათარიღების კიდევ უფრო დაზუსტებას იმ სტრიქონის მოშველიებით:

— ლუარსაბის ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალი.

იგულისხმებოდა ანა ორბელიანი, სილამაზით ცნობილი მანდილოსანი, რომლის იშვიათ მშვენებასაც გვამცნობენ გრიგოლ ორბელიანიც და ალექსანდრე ორბელიანიც, და ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთსტროფიან მაჯამურ ლექსშიც იხსენიება.

გიორგი ლეონიძის ცნობით:

ანა ორბელიანი გარდაცვლილიყო 21 აგვისტოს, იური ჩიქოვანი კი მეტრიკულ ჩანაწერზე დაყრდნობით 20 აგვისტოდ გაასწორებდა, მაია ცერცვაძეც რომ გაიზიარებდა ამ შესწორებას, და აღნიშნავდა:

ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1844 წლის 15-დან 20 აგვისტომდე. მეტიც: რაკიღა პოეტი რელიგიურ დღესასწაულს წარსული დროით იხსენიებდა, თარიღი კიდევ უფრო შემჭიდროვდებოდა: 18-დან 20 აგვისტომდე.

გრიგოლ ორბელიანთან გაგზავნილ ბარათთა შორის ფრაგმენტული სახით შემონახულიყო წერილის მეორე ფურცელი, რომელსაც ახლდა ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“, ოღონდ თავდაპირველი სახელწოდებით: „საფლავი ივერიისა“.

განსხვავებით პოეტის სხვა ბარათთან, სადაც მრავალი ისტორიული პირი თუ ნათესავ-მეგობარი სახელდებოდა, აქ, მისი ფრაგმენტულობის გამოისობით, მხოლოდ კნიაზი ბარათოვი იხსენიებოდა, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევდა მიხეილ ბარათაშვილად — ისტორიკოსად, ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლად, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერად და პარიზის აკადემიის ნამდვილ წევრად; მეორე ნაწილი მკვლევარებისა კი — სულხან ბარათაშვილად — ისტორიკოსად.

სკრუპულოზურ კვლევას უნდა დაედასტურებინა, რომ უთუოდ და უთუმცაოდ იგულისხმებოდა მიხეილ ბარათაშვილი, ეს მიკვლევა კი მაია ცერცვაძეს საშუალებას მისცემდა დაეთარიღებინა ბარათიც და ლექსიც იმ ცნობის წყალობით, რომ მიხეილი:

— ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურღში.

მაშ ბარათი დაწერილი ყოფილა 1842 წლის 8 ივლისს ანუ პეტერბურგში მიხეილის გამგზავრებამდე — 10 ივლისამდე — ორი დღით ადრე.

დაახლოებით ამავე პერიოდით უნდა დათარიღებულიყო ლექსიც „საფლავი მეფისა ირაკლისა".

აღარ იცი, კიდევ რომელი გარემოება თუ დეტალი წარმოაჩინო, ამ მონოგრაფიის მონაპოვარი, მაგრამ თუ რაიმე არ გამოიტოვება, 1841 წლის გურიის აჯანყების გამოძახილი, მანამდე არასნორად რომ განიმარტებოდა და ჩრდილსაც კი აყენებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, თითქოსდა იგი მაშინდელი თავადაზნაურობის უმრავლესობის საერთო განწყობილებას გამოხატავდა და მოხარულიც გახლდათ, თუკი რუსეთის იმპერატორის ტახტის განსამტკიცებლად იარაღით ჩაიხშობოდა ყოველგვარი ჯანყი საქართველოში.

აბა მაშ რატომ უწონებდა მოქმედებას გრიგოლ ორბელიანს, რატომ აქებდა?

— ხუმრობა ხომ არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას. შაბაშ, მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ვითომ უწონებდა, ვითომ აქებდა?

მაია ცერცვაძე გვიბეჯითებს, რომ:

ვითომდა „შაბაშის" ანუ ბარაქალას ძახილით გამოხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ირონიაც, საყვედურიც და მუნათიც საკუთარი ბიძისა და სხვა ქართველ მხედართა მიმართ, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს გურულთა ამბოხების ჩახშობაში.

კი მაგრამ: ირონიადაც შეგვიძლია გავიგოთ ეს სიტყვები და სავსებით სერიოზულ ნათქვამადაც.

და ამიტომაც ირონიული ქვეტექსტის წარმოსაჩენად მკვლევარს უნდა მოეშველიებინა სხვა პასაჟიც ამავე ბარათიდან:

— მილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში, თუარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვრილებით. მითამ როდის და რაში არა ვჰყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩიმი ქუნიმ! მჯერა სარ-

დლობა არღუთინსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანაც შენ აქებ, მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხვეღოთ...

ჯერ ყურადღებას მიაქცევდა სპარსულ გამოთქმას: ჩინი ქუნიმ (სწორია: ჩე მიქონამ), რაც ნიშნავს: რას ვიზამთ!.. — და კიდეც ადვილი ამოსაცნობია პოეტის წუხილი და გულისტკივილი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და რუსეთის მიერ წარმოებულ იმპერიულ ომებში ქართველი მხედრობის მონაწილეობის გამო.

მერე კიდევ: მინდა ერთი ჩაგიხვეღოთო, — ბიძასა და მის გვერდით მებრძოლთ რომ მიმართავდა, მაია ცერცვაძე მოიხმობდა ამ სიტყვის თედო სახოკიასეულ განმარტებას:

— ჩახველება — მსუბუქი დაცინვა, ნათქვამზე ეჭვის მიტანა.

და „შაბაშ მკვლავთა და განკარგულებათა თქვენთაო“ იმ სპარსული გამოთქმისა და ჩახველების ფონზე სწორედაც ირონიად, საყვედურად, მუნათად აღიქმება, ისე და მხოლოდ ისე, ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან როგორც იყო მოსალოდნელი.

იგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას უყურებდა არა თავისი ბიძების — გრიგოლ და ილიკო ორბელიანების — გადმოსახედიდან, არამედ ალექსანდრე ორბელიანის სამრეკლოდან, კავკასიური ილიადა — გარეგნული გამარჯვების მიუხედავად — ჩვენი ტრაგედია რომ გახლდათ და არა ტრიუმფი, რუს მხედრობასთან ერთად ქართველობაც თავის წვლილს რომ შეიტანდა კიდევ ერთი რგოლის გამოჭედვაში ჩვენს კისერზე შემობმული ჯაჭვისა.

ამ ბარათის ამ პასაჟის მართებული განმარტება, დაუფარავი ირონიის ამოცნობა კიდევ ერთი თვალსაჩინო მინიშნებაა, „მერანი“ სინამდვილეში ალექსანდრე ბატონიშვილს რომ ეძღვნება და არაფრისდიდებით — ილიკო ორბელიანს, თავისუფლებისმოყვარე სულს და არა დაბნეულ, გაორებულ პირს, რომელთა ამქარშიც არასოდეს გარეულიყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვისი პოეტური მემკვიდრეობა პოეტურ მემკვიდრეობად და 18 ბარათითაც ლიტერატურულ განძს დაგვიტოვებდა, ამჯერად მაია ცერცვაძეც რომ შეჰყოლია მის გზა-ბილიკებს და მასაც ამოაქვს და ამოაქვს მარგალიტები და თავის გზამკვლევსაც გვთავაზობს, ცოცხლად საკითხავს.

და ეს იმისდა მიუხედავად, მონოგრაფია გადავსებული რომ არის დამოწმებებით, მითითებებით, წყაროებით, უკიდურესი დეტალიზებით, რაკიღა კვლევა მოითხოვს ამას, მაგრამ მკვლევარის ესთეტიკური ბუნება და სტილის შეგრძნება, რაც ასერიგად თვალსაჩინოვდება მის თარგმანებშიც, იმ სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს თხრობას, იმ ეპოქას რომ შეჰფერის, მის წიაღსა და ლაბირინთებს, მცირეოდენმა ცნობებმაც, მწირმა მონაცემებმაც რომ უნდა გაგვინათოს ეს წიაღი და ლაბირინთები, როდესაც ნამდვილი მკვლევარების ხელთ მოხვდებიან, ნამდვილ მკვლევართა ნაკლებობას კი არ განვიცდით.

კიდევ რამდენ რაიმეს გაგვიმხელენ თუნდ ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები.

გიორგი ლეონიძეც მზის შვილად

(ანონსის მაგიერ)

„მზის შვილებს“ რომ გამოვცემდი, მცირე მონოგრაფიას, რაღაც-რაღაცები გულს დამაკლდებოდა, მაგრამ მაშინ მეტს ველარ გავწვდებოდი და ქართულ ლიტერატურულ ჰელიოცენტრიზმს უწინარესად შემოვფარგლავდი შიო არაგვისპირელით, გიორგი შატბერაშვილით, ოთარ ჩხეიძითა და ნოდარ დუმბაძით, ალექსანდრე აბაშელსა და ანა კალანდაძესაც რომ დავისაჭიროებდი და არც ვანლერ დაისელი გამომრჩებოდა.

არადა შევსებას მოითხოვდა ჰელიოცენტრული ძიებანი.

და ამასობაში კიდეც გაიშლებოდა ალექსანდრე აბაშელისა და ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი მონაკვეთებიც და ვანლერ დაისელიც უკეთ გამოიკვეთებოდა.

მაგრამ მზის შვილებზე ფიქრი და... გიორგი ლეონიძის გარეშე?

მის ესეის „ჩაბნელებული არმაზი“, შექმნილს 1917 წელს, მაშინაც ვუტრიალებდი, მაგრამ მსჯელობა როგორღაც ვერ აეწყობოდა, ახლა კვლავ რომ უნდა მივბრუნებოდი მზის მხურვალებით აღვსილ ამ ნაფიქრალს, გიორგი ლეონიძესაც რომ უნდა დაედასტურებინა პოეტური გუმანითაც და ისტორიაში მოძიებული მარცვლებითაც, რომ:

ქართველი ხალხი ოდითგანვე ადიდებდა მზეს და ჩვენი ერი, მზის მსახური და ნათელმოქმედი, არც იცნობდა ღმერთს გარეშე მზისა.

ჯერ კიდევ ცხელ ქალდეაში გვედიდებინა ასტარტა.

და სარკინეთის მხიარულ მწვერვალებზეც ამიტომ შეგვემკო არმაზი ოქროთი, ზურმუხტითა და ბივრიტებით.

რაო, არმაზს მთვარესთან აიგივებდნენ?

არ ირწმუნებდა და არა გიორგი ლეონიძე ამგვარ გასიმბოლოებას, რაკიღა მის ხილვებსა და წარმოსახვებში არმაზი მზეს და მხოლოდ მზეს ემაგიერებოდა და ისიც პატივსაცემ საფეხურად მიიჩნეოდა იესო ქრისტეს გამოჩენამდე.

რას გაეტეხა არმაზის კერპი და:

ქართველთა სულიერ მომწიფებას, და მზის მოციქულის ნაცვლად — რაკიღა ამაღლებულ კულტურას უკვე აღარ მოუხდებოდა არმაზი — ამიტომაც გვეწამა ნათლის მთავარი, შროშნებზედ მოუბარი ახალგაზრდა ღმერთი.

ქართული პოეზიის ისტორიას ჩაწურავდა ესეიში გიორგი ლეონიძე და საგულისხმოა და დამაფიქვრელი, პოეზიის გზის წარმოსახვას მზე-უმზეობის მეტაფორათა განზომილებაში რომ შეეცდებოდა, მათ მონაცვლეობაში, რომელიც არამარტო ესთეტიკის თავისებურებით აღბეჭდილიყო, არამედ პოლიტიკური ტრაგიკულობითაც, რასაც მოეტანა ბანალობის საშინელება.

ჩვენი პოეზიის ისტორიისათვის თვალის გადავლება უნდა გაგრძელებულიყო ესეიში „პარნასი და სინაი“, რომელშიც გამორჩეულად უნდა გამოეკვეთა და გაეზვიადებინა გრიგოლ რობაქიძის ღვანლი (მერე კი ცისფერყანწელებისაც) ქართული სიტყვისა და ლექსის განახლებაში, მეწამული ზღვის გახსნას რომ გაუთანაბრებდა.

რაღა მოსე წინასწარმეტყველი და რაღა გრიგოლ რობაქიძე!..

არადა უკვე 1920 წელია და გამოცემულია გალაკტიონ ტაბიძის „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, ახალი ჟამის პოეტური სახარება, შექმნილი ჭეშმარიტი რეფორმატორის წყალობით და შემდგომად იმ აკაკი წერეთლისა, რომლის რეფორმატორული ღვანლიც გამოტოვებული აღმოჩნდებოდა გიორგი ლეონიძის სქემატურ მონახაზში...

ეს გარემოება კი თავისთავად მიგანიშნებთ, რომ:

აკაკისა არც პოეტურ ხილვათა მზიანობა აღინიშნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთველის შემდგომ სწორედ აკაკის პოეზიაში უნდა ებრდღვიალა მზეს განსაკუთრებული ძალმოსილებით და თავისი სხივებით დაეფერა ირგვლივ ყველაფერი.

საკამათო თუ ცალმხრივი სხვა მოსაზრებანიც შეგვხვდება იმ ესეებში, მაგრამ დაკვირვებათა და შეხედულებათა მახვილგონივრულობაც და სიღრმეც არ არის ძნელი მოსაძიებელი.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ:

ერთიანობაშია გააზრებული ქართული პოეზიის მდინარება, თანაც მზიურ ემბაზში ამოვლებული, ბევრ რაიმეს რომ გაგვიადვილებს პოეტურ ეპოქებზე თვალის გადავლებისას.

„ჩაბნელებული არმაზი" მზის თავისებური აპოლოგიაა, სულაც ქებათაქებად რომ უნდა აღვლენილიყო „ნატვრის ხის" ნოველების ციკლში, მიწას რომ შეიგრძნობდა გიორგი ლეონიძე უჩვეულო ძალითა და მადლით, მის მხურვალებაში გახვეული სხივებს უნდა აჰყოლოდა მზისაკენ და პირველყოფილი პოეტივით განეცადა მზე ღვთაებად, და მის სადიდებლად შეეერთებინა თავისი ხმაც მზის მოთაყვანე თვისტომთათვის.

ეს „არმაზული მზიანობა და მისტიკური ქორწილი", „მწვანეყვავილას" ახალ ნომერში (#4, 2020) წარმოდგენილი, ამ ხმასაც მოგასმენინებთ და თვალნათლივაც დაგანახვებთ გიორგი ლეონიძესაც მზის შვილთა კოჰორტაში.

არ დაგცდომია ერთიცა

(კიდევ ერთ დეპეშად ნინო სადღობელაშვილს)

ნინო,

შენისთანა მრავალმხრივი ნიჭისა და კოლორიტული მწერალი ძალზე ძნელი მოსაძებნია. ყველა ჟანრს რომ მოხვევდი ხელს და ყველგან წარმატებას მიაღწევდი. რუსთველურად რომ გითხრა: არ დაგცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეგიტყორცია.

ასეა პოეზიაშიც.

ასეა პროზაშიც — ნოველა იქნება თუ რომანი.

ასეა დრამატურგიაშიც.

ასეა სალიტერატურო კრიტიკაშიც — უშუალოდ კრიტიკულ-ესთეტიკური წერილი იქნება, რეცენზია, ჩანახატი თუ, გვირგვინი კრიტიკული აზროვნებისა, ესეი.

ასეა ლიტერატურულ დიალოგშიც.

სწორედ დიალოგია, რამაც ამ შეხმიანებისაკენ მიბიძგა, მისი „ცხელი“ ნიმუში, გამოქვეყნებული „ახალი საუნჯის“ მაისივნისის ნომერში: „ნინია სადღობელაშვილის დედამიწელობა და ხედვის ისრები“ — ცოტა დაგვიანებით რომ მოაღწევდა მკითხველამდე პანდემიური აკრძალვების გამოისობით, თუმც უკვე ხელმისაწვდომია ფეისბუქის მეშვეობითაც და უშუალოდ ჟურნალის ფურცლებზეც, ბევრ საგულისხმო დეტალსა თუ რეალიას რომ გახდიდა საცნაურს.

ცხადია, ეს მარტო შენი დამსახურება არ არის და უნდა აღინიშნოს ელისო მეტრეველის, საუბრის წარმმართველის, ღრმა ჩახედულობა ჩვენს სამწერლო პროცესებშიც და შენს შემოქმედებაშიც, და ამიტომაც შეძლებდა ისეთი შეკითხვების მოფიქ-

რებას, შენს შემოქმედებით ბუნებას ასე თვალნათლივ რომ წარმოაჩენდა — ხელსაყრელ პირობებს შეგიქმნიდა არაერთი მნიშვნელოვანი გარემოების გამოსამჟღავნებლად.

არადა ეს და ამგვარი გარემოებანია სწორედ, დიალოგიდან ლიტერატურული პორტრეტის კონტურებიც რომ ამოიზიდება ხოლმე, თორემ ანალიტიკური განსჯა-შეფასებანი ხომ თავისთავად.

არა, ყველა ჟანრში მაინც რა კანთიელად აღბეჭდე შენი ხელწერა!..

გონივრული გადაწყვეტილება იქნება

(მეგობრულ რჩევად)

ჩემს ნებაზე რომ იყოს:

გიორგი შარვაშიძის პრემიას უსათუოდ მივანიჭებდი მაია ცერცვაძეს — ცალკე და საგანგებოდ, ნომინაციებში არც კი ჩავრთავდი.

და ეს იმიტომ რომ:

მან თარგმნა ინგლისურიდან, კომენტარები, შენიშვნები, გენეალოგიური ტაბულები და საძიებლები დაურთო ბაბო შარვაშიძის „მემუარებს" , გიორგი შარვაშიძის დისა და აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ქალიშვილისა.

„არტანუჯმა" ამ მოგონებების გამოცემით კიდევ ერთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საქმე აღასრულა, რადგანაც წიგნში აღწერილია აფხაზეთის სამთავროს უკანასკნელი დღეებიც, რუსეთის უმაღლესი წრეების ყოფაც და ევროპული ცხოვრების სურათებიც.

ეს არის უაღრესად სანდო წყარო მკვლევართათვის და ცოცხლად საკითხავი ყველა ჯურის მკითხველისათვის.

მის საფუძველზე არაერთი მონოგრაფია შეიძლება დაიწეროს, თორემ ჩვენს ცოდნას რომ ძალიან აფართოვებს, ეს კიდევ ცალკე.

თარგმანია და:

ნიმუში დოკუმენტური პროზის გადმოღებისა.

შენიშვნები და კომენტარებია და:

მეტად მნიშვნელოვანი ცნობებით სავსე. საუკეთესო ფონი ბაბო შარვაშიძის თხრობისათვის.

ამ წიგნის დაჯილდოება ღირსების სხივს შემატებს გიორგი შარვაშიძის პრემიას და გაზრდის მის მნიშვნელობას.

ამისთანა შემთხვევა ყოველთვის კი არ გივარდება ხელთ შენი ჯილდოსათვის ღირსების შესამატებლად.

და თუ ხელიდან არ გაუშვებენ ამ მარჯვე შემთხვევას, ეს ჟიურის წევრთა გონიერებაზეა დამოკიდებული.

ხილვა ქალდეასი

(ანონსის მაგიერ)

აღიარებულია გიორგი ლეონიძის გამორჩეული ტალანტი, შედევრს შედევრზე რომ დაგვილაგებდა: პოეზიაშიც, პროზაშიც, მეცნიერებაშიც... და ესეისტიკაშიც.

თუმც კი მისი ესეები როგორღაც მიყრუვდებოდა და ნაკლებად ვიშველიებდით ამ თეატრალურ თუ ლიტერატურულ ნარკვევებს; და ეს მას შემდეგაც, რაც ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გიორგი ლეონიძის გარჯით შექმნილი და მისივე სახელობისა, 2000 წელს მწერლის საიუბილეოდ გამოცემულ ტომში ესეებსაც მოუყრიდა თავს, ერთიერთმანეთზე უკეთეს ნიმუშებს.

ბოლოსდაბოლოს შევეცდებოდი წამომეწია ცალკეული ნიმუშები მაინც და შემომეტანა სალიტერატურო-სამეცნიერო მიმოქცევაში, მითუმეტეს, რომ ძალიან დამჭირდებოდა ქართულ ლიტერატურულ ჰელიოცენტრიზმსა თუ მესიანიზმზე მსჯელობისას.

და აი გიორგი ლეონიძის მესიანისტური ძიებანი უნდა გამეაზრებინა ესეიში „ქალდეადან ბაზალეთის ტბამდე“, ჟურნალ „თეატრის“ წლევანდელ მე-4, ივლის-აგვისტოს, ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა.

ქართულ მესიანიზმს — იდეოლოგიურ ქვაკუთხედს ძველი საქართველოსი — წამოსწევდნენ და ახალ სიცოცხლეს მიანიჭებდნენ გრიგოლ რობაქიძე და პავლე ინგოროყვა, შესაფერის რეალიებს რომ მოიძიებდნენ ჩვენი ტრაგიკული ერის ისტორიული ცხოვრებიდან და შეეცდებოდნენ განემტკიცებინათ ეს რწმენა რუსული კაბალის ქვეშ მოქცეული ქვეყნისათვის, რათა არაფრისდიდებით არ დაეთმო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წყურვილი.

ისტორიულ ფესვებს რომ მოჩხრეკდნენ, გრიგოლ რობაქიძე წარსულის სიმბოლოდ გამოაცხადებდა ქალდეას, როგორც ქართული მოდგმის პირველსაცხოვრისს, ტიციან ტაბიძე ამ გაიგივებას რომ აიტაცებდა და ლექსების მთელ ციკლს შექმნიდა ქალდეურ თემაზე.

გიორგი ლეონიძისთვისაც მახლობელი აღმოჩნდებოდა მესიანიზმის იდეაც და ქალდეური ძირების რწმენაც, იმ ძველ ნიღბებში ჩაკარგულად რომ იგუმანებდა ჩვენს ხორცსა და საშოს და ჩვენს სულს შეუთანადებდა აფრიალებულ პერანგს. და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

აქედან მოდიოდა თუ მოდიოდა წმინდა კვართის მესიანიზმი.

ხოლო როდესაც ჭანგიანი კავკასიონის ქედი იქით აღარ გადაგვიშვებდა, მაშინ დავირქმევდით ამირანს და რევანშისათვის შევქმნიდით ტიტანურ რელიგიას.

და როდესაც ვიგონებდით ჩვენი დემონური ორბის სიჭაბუკეს, აქედან მოდიოდა ჩვენი მეტაფიზიკური გენეალოგია, თუმც აქ დაგვიშინდებოდა რასის ხერხემალი და შეიქმნებოდა ფსიქოლოგია გადარჩენის.

და საქართველოს შემდგომი პოლიტიკა გიორგი ლეონიძეს ამ დრამატულ ფორმულაში უნდა ჩაეტია:

პოლიტიკა გადარჩენის.

და რასის ხსნა და გადარჩენა უნდა მოეტანა ქალის სუსტ თითებს.

ღვთისმშობელი მტრედისფერი კალთით უნდა დამდგარიყო საქართველოზე, და მის ლურჯ მზერას მოელვედა რასის მაგარი სიმტკიცე.

მარიამ დედოფალს კი ხანჯლით — რუსი გენერლის გამოფატვრით — დაესრულებინა ძველი საქართველო.

მათ შორის მოქცეულიყვნენ:

წმინდა ნინო — სუმბულის თმით, რასაც უნდა დაედნო საქართველოს დუღაბი.

და თამარ მეფე, რომელშიც კვლავ უნდა გაელვიძა ბებერ თესლს და ბეთლემს მყოფელს ეშვა ძე, სწორი ღვთისა.

როგორც უმაღლესი დამტკიცება ქართული მესიანიზმის.

ქრისტიანობა რომ მოაშურებდა საქართველოს, როგორც კულტურულ, ისტორიულ მემკვიდრეს, ამიტომ ყველაზე უკე-

თაც შევიმეცნებდით ქრისტიანობის არსს: როგორც ხსნას ახლობლისა, მეზობლისა.

ამგვარ გაგებას კი ვერ მიაღწევდა ვერც ბიზანტია და ვერც რუსეთი.

და მოადგებოდა ბაზალეთის ტბის ლეგენდას გიორგი ლეონიძე, ტბისა, რომელიც დამსგავსებოდა მეწამულ ზღვას და შიგ იწვებოდა ქართლის მესია — ბავშვად, ისევე, როგორც უბრალელთა მეფეთა წიგნში გამოცხადებულიყო.

ბაზალეთის ტბის ლეგენდას ხალხურ გადმოცემად მიიჩნევდა გიორგი ლეონიძე და არა ილია ჭავჭავაძის მიერ შეთხზულ გამოცხადებად ახალი დროისა, ღვთაებრივი ექსტაზით მოგვრილ ხილვად, სულიერ ხიდს რომ გასდებდა მემატიანესთან, ტაბახმელაში მყოფი თამარ მეფე თითქოს ბეთლემში რომ გადაინაცვლებდა და შობდა ძეს — სწორს ღვთისას.

ბავშვი-მესია კი გიორგი ლეონიძეს წარმოუდგებოდა შედეგებად ორი სულისა: რუსთველისა და სააკაძისა. გრიგოლ რობაქიძის გავლენით, გიორგი სააკაძეს ისიც მაშინ ჯერაც გმირისა და მხსნელის სიმბოლოდ მიიჩნევდა, ვიდრე მოგვიანებით დაინახავდა მის გაორებულ, ტრაგიკულ ბუნებას.

„ქართული მესიანიზმი“ გიორგი ლეონიძისა ესთეტიკური ნიმუშიცაა და მწვავე პოლიტიკური პამფლეტიც, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა სულიერი მხნეობაც და თვითმყოფადობის რწმენაც, ვიდრე კიდევ ერთხელ და აწ უკვე საბოლოოდ ამოვიგებდით სახელმწიფოებრიობას, ქალდეურ სამყაროში ჩაფესვილს.

ავტობიოგრაფიული რომანი ვახტანგ ჯავახაძისა

(დღიურის ფურცლებიდან)

ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“ თავდაპირველად გაცილებით მომცრო წიგნი გახლდათ და ბიოგრაფიული რომანისაც ბევრი არაფერი ეტყობოდა, მაგრამ იზარდა, იზარდა გამოცემიდან გამოცემამდე და ბოლოს მონუმენტურ აპოლოგიად წარმოისახა გალაკტიონ ტაბიძისა — როგორც გარეგნული, ისევე შინაგანი აღნაგობით, და სრულფასოვან, გამორჩეულ რომანად.

მისი ესეისტური და კრიტიკულ-ესთეტიკური ჩანაწერებიც, ზოგიერთიც — დოკუმენტური ნოველა, თავდაპირველად გაცილებით მომცრო კრებულად გამოჩნდა, ამჯერად „ინტელექტმა“ მონუმენტურ გამოცემად რომ შემოგვთავაზა — როგორც გარეგნული, ისევე შინაგანი აღნაგობით, მასაც რომანი რომ შეიძლება დაერქვას, ამჯერად ავტობიოგრაფიული და ხუთ საბჯენს დაყრდნობილი, ხუთ კარს და არა ხუთ რუბრიკას:

„მცირე მემუარები“, „ლექსიდან ლექსამდე“, „პოეზია და პოეტები“, „მისალმება და გამოთხოვება“ და „გასაუბრებანი“, რომლის თანამონაწილენიც არიან: ვაჟა ხორნაული, ნინო ქაჯაია, თამარ გუნაშვილი, ანდრო ბედუკაძე, შურთხია ბეროშვილი, ჯუმბერ თითმერია, ხათუნა ალხაზიშვილი და საქართველოს რადიოს ანონიმად დარჩენილი კორესპონდენტი.

„გალაკტიონის გარეშე“ — ასეა დასათაურებული ეს ორიგინალური ყაიდის რომანი, რომელიც ისეთივე სახალისო, სიცოცხლით სავსე და სევდამორეული საკითხავია, როგორც ვახტანგ ჯავახაძის პოეტური ერთტომეული, კიდევ ერთი მონუმენტი ჩვენი სამწერლო ცხოვრებისა.

რას გულისხმობს ეს სათაური — „გალაკტიონის გარეშე“?

თითქოსდა იმას, რომ წიგნი წარმოსახავს გალაკტიონის გარეშე ყოფას.

მაგრამ მისი შინაარსი რომ არ ეთანხმება სახელწოდების ამგვარ განმარტებას?

თუ ვინმეს სახელი და ლანდი ტრიალებს ამ თავისებურ რომანში, უპირველესად სწორედაც გალაკტიონისა.

მაშ როგორღა უნდა გავიგოთ ეს სათაური?

ისე და მხოლოდ ისე, რომ:

ძალიანაც რომ გვინდოდეს (ანკი რატომ უნდა გვინდოდეს!), თავს ვეღარ დავაღწევთ გალაკტიონს და მის გარეშე ყოფაც აღვსილია მისით — ვახტანგ ჯავახაძის ბიოგრაფია ხომ თავისთავად, და ჩვენი პოეზიის მდინარებაც და საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობაც, რომელიც ყოველთვის დაისაჭიროებს ამ სახელსა და ამ პოეტურ განძს — სულიერ მეგზურად და ორიენტირად.

ასე ვხდებით მოწმე კიდევ ერთი ვახტანგური პარადოქსისა.

ვახტანგ ჯავახაძის ამ წიგნში ყველაზე რელიეფურად და სახიერად მაინც ანა კალანდაძისა და მურმან ლებანიძის პორტრეტები იკვეთება.

საგულისხმოა პორტრეტული შტრიხები თუ სილუეტური მონახაზები გრიგოლ წერეთლისა, პავლე ინგოროყვასი, გიორგი ლეონიძისა თუ სიმონ ჩიქოვანისა.

თუმც ველოდები უფრო შევსებულ მოგონება-ესეებს მათზეც და იოსებ გრიშაშვილსა და დემნა შენგელაიაზეც, ჩაფიქრებული რაცა აქვს და ბოლომდე მისაყვანი.

წიგნი გადავსებულია მახვილგონივრული დაკვირვებებითა და მიგნებებით, ღრმააზროვანი დასაბუთებებით, გაბედული ჰიპოთეზებით, ტევადი ნაკუწებით, წვეთებში არეკლილი სივრცეებით, მარჯვე პარალელებით, დიდი სიფაქიზით გამოვლენილი ნიუანსებით, უცნობი დეტალებითა და გარემოებებით, მათ შორის ამჯერად მაინც რომ მინდა გამოვარჩიო წიგნების ავტოგრაფებზე აგებული ესეი „ნიშნად უღრმესი პატივისცემის“, პოემასავით რომ იკითხება და ერთხელ კიდევ ჩაგვაფიქრებს იმ თავისებურ და უვრცეს სამყაროზე, მიძღვნითი წარწერები რა-

საც ჰქვია, და შესაფერისი ყურადღებითა და პატივისცემით კი ვერ ვეპყრობით (მხოლოდ ლევან ბრეგაძეს არ ეხება ეს საყვედური!).

ეგ კია:

ბევრია ვახტანგ ჯავახაძის ამ ორიგინალურ რომანში დაშიფრვა თუ გასაიდუმლოება ამათუიმ პიროვნების ვინაობისა, მათგან არაერთი გამჭვირვალე მინიშნება თუ ფარული კოდი რომ ამოვიცანი და არაერთსაც მოვჩხრიკავ და გავარკვევ, მაგრამ ვისურვებდი, ამ წიგნის სასაჩუქრე ცალში, რომელსაც მისთვის ჩვეული ორიგინალურ წარწერით უთუოდ მივიღებ ბატონი ვახტანგისაგან, ჩემთვის საგანგებოდ გაშიფროს ყველას ვინაობა, რაც ძალიან წამადგება ჩვენი ლიტერატურული კულისების თანდათანობით ამოზიდვისას მზის სინათლეზე, გალაკტიონს რაც ასერიგად ეოცნებებოდა და ამ ყაიდის წიგნი აუცილებლობად ესახებოდა.

არა რა — როგორც რუსთველის გარეშე ვეღარ წარმოგვიდგენია ჩვენი სულიერი ცხოვრება, ისევე ვეღარ წარმოიდგინება გალაკტიონის გარეშეც.

და ესეც კიდევ ერთი თვალსაჩინო დასტური:

ვახტანგ ჯავახაძის ავტობიოგრაფიული რომანი „გალაკტიონის გარეშე“, რომელიც მონუმენტად უკვე მოვიხსენიე.

სოლომონ დოდაშვილის კვალზე

(დღიურის ფურცლებიდან)

ელვარე და ლომფერი იყო 25 სექტემბერი.

რაო, არ ერითმება?

და საზომიც და რიტმიც დარღვეულია?

აბა ჩაბრძანდით ზემო მაღაროში და მოიხილეთ სოლომონ დოდაშვილის სახელობაზე აშენებული ჰარმონიული განვითარების კერა, რომელსაც უმნიშვნელოვანესი მიზნები დაუსახავს და... დარწმუნდებით, რარიგ ერითმება ელვარებასა და ლომფერობას ამ კერის საზეიმო გახსნა; და რიტმიკაც რარიგ ლაღი და კეთილხმოვანია.

ის ხომ ამ და ახლომახლო სოფლების ყმაწვილებს, აგრეთვე სიღნაღელებს აზიარებს სულიერი და ფიზიკური განვითარების ბევრგვარ საიდუმლოს.

ეს სამსართულიანი სასახლე ხომ ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, შეხვალთ და... გამოსვლა აღარც მოგინდებათ; და კიდეც შეგეძლებათ დარჩეთ რამდენიმე ხანს და ლექციების ციკლი წაუკითხოთ ამ კერის აღსაზრდელებს, სხვა საზრუნავი რომ არც არაფერი გექნებათ.

წლევანდელი 25 სექტემბერი ამთავითვე შეფასდა ისტორიულ დღედ და არც არაფერი გადაგვიჭარბებია, რაკიღა ამ დიდებული წამოწყების თაოსანია „კავკასიური სახლი“ და მისი ხელმძღვანელი ნაირა გელაშვილი, რომლის მიმართაც ჩემი დამოკიდებულება აპოლოგეტურია და არ მომწყინდება მის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ღვაწლზე საუბარი, უამრავ რაიმეს რომ დააჩნია სასიკეთო კვალი და ახლა სოლომონ დოდაშვილთანაც გასდო ხიდი, რათა მისი განმანათლებლური და მისიონერული მოღვაწეობა აღდგეს და გაიშალოს მის მშობ-

ლიურ სოფელში და აქედან მოეფინოს მთელს საქართველოს, რადგანაც ამ კერას აქვს თავისთავადი მნიშვნელობაც და განზოგადებულიც — სავსებით მოსალოდნელია ამ წამოწყებას აჰყვნენ სხვებიც და სოფლებმა აღარ იგრძნონ თავი მიტოვებულებად, და აქაც ძალუმად იჩქეფოს კულტურისა და განათლების ნაკადებმა.

სოლომონ დოდაშვილმა, როგორც ილიამდელმა ილიამ, არსებითად განსაზღვრა ილია ჭავჭავაძის თაობის მოსვლა და ახლა კიდევ ერთი თაობის მოსვლაც უნდა განსაზღვროს მისმა სახელმა და ღვაწლმა, თაობისა, რომელმაც უნდა ააშენოს უკეთესი საქართველო, უშუალო მონაწილე საერთაშორისო ცხოვრებისა, საითაც მიუძღვებოდა ერს სოლომონ დოდაშვილი, ურომლისოდაც არც ნიკოლოზ ბარათაშვილი იარსებებდა, არც დიმიტრი ყიფიანი, არც გიორგი ერისთავი, არც ვახტანგ ორბელიანი, და კიდევ უამრავი ვინმეც და რაიმეც.

მისი პიროვნება და ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივი ღვაწლი ორატორული ხელოვნებითა და ენციკლოპედიური განათლებით წარმოაჩინა ნუგზარ პაპუაშვილმა, რომელმაც დიდძალ წყაროებზე დაყრდნობით ხელშესახებად გამოკვეთა სოლომონ დოდაშვილის ფსიქოლოგიური პორტრეტიც და მისი ეს მოხსენება — გამოქვეყნების შემდგომ — უთუოდ შენაძენი იქნება ჩვენი კულტურისათვის, არამცთუ მეცნიერებისათვის.

მე უფრო სოლომონის იმ მხარეს წარმოვაჩენდი — ეროვნული გმირისა და 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგისა, რომელმაც ალექსანდრე ორბელიანსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად აღასრულა დიდებული საქვეყნო ღვაწლი — დავით აღმაშენებლის შემდგომ საქართველო კვლავ გაიყვანა საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც ეს შეთქმულება, რომანტიკული სულისკვეთებისა, გახლდათ უშუალო ნაწილი და გამოძახილი მსოფლიო-ისტორიული ძვრებისა და სულისკვეთებისა, ერთი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელზედაც ასხმულა:

იტალიის, პოლონეთის, ჰოლანდიის, ბალკანეთისა და სამხრეთ ამერიკის ხალხების ჰეროიკული გაბრძოლებანი მონობის უღლის გადასაგდებად, ზოგი წარმატებთი დასრულებული და

ზოგიც წარუმატებლად, მაგრამ ერთი სულისა და ყალიბისანი, ერთი მისწრაფებისა და იდეალისანი.

ცხადია არ დავივიწყებდით იმ მეცნიერთა გარჯას, რომელთაც გაგვიადვილეს სოლომონ დოდაშვილის სულისა და 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ლაბირინთებში შეღწევა. და დაგვისაბუთეს, რომ ამ სახელის ჯეროვანი დაფასების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სახელმწიფოს წინსვლა.

აგერ ამ დაფასების ასეთი სახიერი ნიმუში:

ჰარმონიული განვითარების კერა, „კავკასიის სახლის“ თანამშრომელთა მუხლჩაუხრელმა გარჯამ და ამ სახლისა და ჩვენი გერმანელი მეგობრების თანადგომამ ეს დიდებული ნაყოფი რომ გამოიღო.

ეს კერა არაერთხელ შეგვახსენებს თავს.

მასთან დაკავშირებული ადამიანები არაერთ შესანიშნავ მიღწევას გვაზიარებენ.

და ბევრი ბრწყინვალე რითმა რომ გვახსოვს და ძალდაუტანებლადაც მოგვადგება ბაგეზე, რითმათა ამ წყებას უკვე თავისთავად შეერთებია გალაკტიონით შთაგონებული ეს შერითმებაც, რიტმიც ლაღად რომ მჩქეფარებს და მოღელავს:

ელვარე და ლომფერი იყო 25 სექტემბერიო.

ბიოგრაფია ალექსანდრე ორბელიანისა: ამბავთა სერიად

(ეპიზოდი წიგნის ფესტივალის ცხოვრებიდან)

რატომ უნდა დამმართნოდა, მაგრამ:

ვერადავერ მოვაბამდი თავს ალექსანდრე ორბელიანზე ბიოგრაფიული რომანის ხელმეორე გამოცემას, ამ ჟანრში ჩემი მეორე ნიმუშისა, 1996 წელს რომ იხილავდა მზის სინათლეს.

არადა აუცილებელია, რაკილა ამასობაში რაღაცებს დავაზუსტებდი, რაღაცებსაც შევავსებდი, ზოგი უკვე გამზადებულიც რომ მაქვს და ზოგიც — მონიშნული იმ გამოცემისათვის, გულს რომ აღარაფერი მაკლდეს.

და აი ბედად უნდა გამომჩენოდა „არტანუჯის“ შემოთავაზება: „თან საკითხავის“ სერიისათვის მომემზადებინა ეპიზოდები ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებისა — რომანის გამოცემამდე კიდევ ერთხელ რომ მიეცემოდა საშუალება მკითხველს, მზერა მიედევნებინა ამ რჩეული პიროვნების ბიოგრაფიისა და ღვაწლისათვის:

1832 წლის გმირი შემდგომ უკვე ზნეობრივ გმირად რომ უნდა აღიარებულიყო ახალთაობის — ილია ჭავჭავაძისა და მის თანატოლთა — თვალში, ერთადერთი შეთქმულების მონაწილეთაგან, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდგომ შეინარჩუნებდა იმ ჰეროიკული გაბრძოლების იდეალებს და არ ჩადგებოდა რუსხელმწიფის სამსახურში; და მთელს თავის ძალასა და ენერგიას მოახმარდა ახალგაზრდების გათვითცნობიერებას, მათთვის ხელშესახებად წარმოჩენას, თუ როგორ მოქმედებდა რუსეთის აგენტურა საქართველოში ათწლეულთა განმავლობაში და როგორ ამზადებდა სამეფო ტახტის დამხო-

ბასა და ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაქრობას, და როგორ შეუწყობდა ხელს რუსეთი აღა-მაჰმად-ხანის გამოლაშქრებას ქართლ-კახეთზე, კრწანისის ტრაგედიის შემდგომ ირანის კი არა, რუსეთის ხელთ რომ აღმოვჩნდებოდით — ესეც ირანის შაჰისა და მისი კარის ყოვლად ბეცი და გაუაზრებელი პოლიტიკის ნაყოფი:

მისწრაფებით რომ ესწრაფოდნენ რუსეთის იმპერიის შეკავებას კავკასიონის ქედს გადაღმა, არადა უნებლიეთ იქცეოდნენ რუსეთის მოკავშირედ, კრწანისით წელში რომ გადაგვტეხდნენ და ჩრდილოეთის მოძალებას წინააღმდეგობას ვეღარ გავუწევდით.

ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილებანი უძვირფასესი წყაროა XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულებისა და XIX საუკუნის პირველი ათწლეულების შესაცნობად, იმ ლაბირინთებში გზის გასაგნებად და შესაფერისი გააზრებისათვის.

სხვადასხვა მიზეზის გამო „თან საკითხავის“ ამ ნიმუშის — „ალექსანდრე ორბელიანი — 150 ამბავი“ — გამომზეურებაც ცოტა გახანგრძლივდებოდა და თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალისათვისაც ვეღარ მოესწრებოდა, ასე რომ, ფესტივალის მესამე დღე ამ წიგნის წარდგენით რომ გაიხსნებოდა, გამოცემა ხელთ არ მეჭირებოდა, მაგრამ გამოსვლას უკვე აღარაფერი უკლდა, დღედღეზე კი არა, წუთიწუთზე რომ უნდა ეხილა დღის სინათლე და ამიტომაც მისი წარდგენა ფესტივალზე სავსებით დროული იქნებოდა.

ახალგაზრდა მკითხველი ბევრ რაიმეს შეიტყობს ამ წიგნიდან — ალექსანდრე ორბელიანის მონუმენტურ, რომანტიკულ ფიგურასაც გაისიგრძეგანებს და ჯეროვნადაც დააფასებს; და ამასთან ჩვენი ქვეყნის დრამატული თავგადასავლის არაერთი შემძვრელი ეპიზოდი გახდება მისთვის საცნაურიც და გზის გამკვალავიც.

თუ რაიმე გვესაჭიროება დღესდღეობით, უთუოდ ალექსანდრე ორბელიანის ზნეობრივი სახებაც და მის მიერ შემონახული საქართველოს წარსული ისეთი, სინამდვილეში როგორიც გახლდათ.

დაე ჯერ ამ წიგნით მოითქვას სული მკითხველმა, ვიდრე გაეცნობოდეს ბიოგრაფიული რომანის ახალ გამოცემას და...

ვიდრე ხელთ ექნებოდეს ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეული, რომელსაც ძირითადად ამზადებს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი გუნდი რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით და... უახლოეს წლებში კიდეც უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის შემსწრე შევიქნებით.

დაე ჯერ ამ წიგნით — ერთიერთმანეთზე საგულისხმო თუ შემძვრელი ეპიზოდები რომ აკინძულა და 150 ამბის სერიით ერთხელ კიდევ ხდება საჩინო, თუ რა სახელები უნდა ამოიზიდონ და თავიანთი ადგილიც დაიკავონ ჩვენი ერის სულიერ თანამდევთა თანავარსკვლავედში.

ჰენრი ფილდინგის გაქართველების მოლოდინში

(დღიურის ფურცლებიდან)

ვახტანგ ჭელიძე 70-იან წლებში „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოცემას რომ წამოიწყებდა 80 ტომად, ცხადია გაითვალისწინებდა ჰენრი ფილდინგის რომანსაც „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბავი“, როგორც მონაპოვარსაც ამ ჟანრისა და როგორც ნიშანსვეტსაც, ინგლისური რომანი სულაც მის კვალს რომ უნდა გაჰყოლოდა.

ცივილიზებული ერი გრქმეოდა და... ფილდინგის ეს შედევრი შენს ენაზე არ აგემეტყველებინა?

შენი ახალთაობები ამ რომანზეც არ აღგეზარდა?

როგორც ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობისა“ და დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ გარეშეა წარმოუდგენელი ახალგაზრდობის სულიერი ფორმირება, ისე „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბისა“, ჯერაც ჩრდილში რომ რჩებოდა ჩვენთვის.

და აი გადაწყდებოდა თუ არა მისი ამეტყველება ქართულადაც, მთარგმნელიც შესაფერისი შეირჩეოდა:

გიორგი ჯაბაშვილი --

ვისაც შეეძლებოდა შეექმნა ჰენრი ფილდინგის ამ რომანის სრულფასოვანი ქართული ორეული, ჩვენს მთარგმნელობით მიღწევებს რომ ამოუდგებოდა გვერდით.

ამ მიღწევათა შორის დაიმკვიდრებდა ადგილს საკაცობრიო საგანძურის კიდევ ერთი მიღწევა: ლორენს სტერნის „ტრისტრამ შენდის, ჯენტლმენის, ცხოვრება და შეხედულებანი“ — გიორგი ჯაბაშვილი რომ გადმოიტანდა იშვიათი ხელოვნებით და სიამაყით შეგვეძლო განგვეცხადებინა:

სტერნიც გავაქართველეთო.

თავის დროზე პაატა ჩხეიძესაც და მეც ეს თარგმანი მართლაც რომ ერთი ამოსუნთქვით გვაქვს წაკითხული, და რარიგ გამეხარდებოდა, როდესაც ვახტანგ ჯავახაძის ავტობიოგრაფიულ რომანში „გალაკტიონის გარეშე“ გიორგი ჯაბაშვილის სილუეტის გაელვებისას იმ ეპიზოდსაც გავეცნობოდი, მთარგმნელს გამომცემლობაში რემინგტონზე გადაბეჭდილი „ტრისტრამ შენდის“ დედანი რომ მიეტანა და მთავარი რედაქტორისათვის დაეტოვებინა.

მერე კი:

— ჩვეულებისამებრ გადავათვალიერე, რათა რედაქტორისათვის გადამეცა. მაგრამ პირველი გვერდებიდანვე დამაინტერესა და ვეღარ მოვეშვი, შვიდასი გვერდი მოულოდნელი ინტერესით წავიკითხე და შემდეგ გადავეცი რედაქტორს. ნახევარსაუკუნოვანი საგამომცემლო მოღვაწეობის მანძილზე მსგავსი შემთხვევა არ მქონია.

უფრო აღმატებული შეფასება რაღა უნდა იყოს!..

ამხელა რომანი ასერიგად რომ ჩაგითრევს, თვალსაც ვეღარ მოწყვეტ.

და ეს ხდება ერთადერთხელ ვახტანგ ჯავახაძის ნახევარსაუკუნოვანი მართლაც რომ მუხლჩაუხრელი მოღვაწეობის განმავლობაში.

იმ უღრმესი შთაბეჭდილების შემდგომ, ქართველ ლორენს სტერნს რომ გავეცნობოდით, პაატაც და მეც სიხარულით შევხვდებოდით იმ ცნობას, ჰენრი ფილდინგის გაქართველებასაც რომ მოვესწრებოდით.

— გიორგი ჯაბაშვილი თარგმნის თუ თარგმნის! — ერთმანეთს ვულოცავდით.

მაგრამ გამოხდებოდა ხანი და...

არა და არ გამოჩნდებოდა ქართული „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბავი“.

მთარგმნელის გარდაცვალების მერე მოვიკითხავდი, თუ მოესწრო გადმოქართულება, ან სადამდე დასცალებოდა...

ვერას შევიტყობდი.

ამ ბოლო ხანს „ინტელექტის“ დავალებით განსაკუთრებით მოვინდომებდი ხელნაწერის მოძებნას — თუკი არსებობდა — მაგრამ...

რაკიღა ხელნაწერი არ აღმოჩნდებოდა, გამომცემლობა გადაწყვეტდა ახალი მთარგმნელი შეერჩია „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბის“ შემომტანად ჩვენს კულტურულ სივრცეში.

და გადაწყვეტილება მართლაც რომ საუკეთესო გამოდგებოდა:

თაკო ჭილაძე —

ვისაც შეუძლია შექმნას ჰენრი ფილდინგის ამ რომანის სრულფასოვანი ქართული ორეული, ჩვენს მთარგმნელობით მიღწევებს რომ ამოუდგება გვერდით.

ჯონ სტაინბეკის „კონსერვის რიგს“ თავიც რომ დავანებოთ, ჯერ მარტო ტომას ვულფის უკანასკნელი რომანის — „შინ ვეღარასოდეს დაბრუნდები“ — ამ მადლისა და ძალის თარგმანი რად ღირს, ვეება რომანს ერთი ამოსუნთქვით რომ წაგაკითხებს — დაიწყებ და... ხელიდან ვეღარ გააგდებ.

ჰენრი ფილდინგსაც გავაქართველებთ.

და მივულოცავდით ერთმანეთს პაატა და მე:

— თაკო ჭილაძე თარგმნის თუ თარგმნის!

დიდხანსაც რომ არ გვალოდინებს, ამაში უკვე ეჭვიც არ გვეპარება.

„დუბლინელებზე“ მსჯელობისას აგონდებოდეთ

(სადღეგრძელოს მაგიერ ზაალ სამადაშვილს)

ჩემო ზაალ,

თუ ვინმემ, შენ იცი, რა არის წიგნი.

თუ ვინმემ, შენ იცი, რა არის წიგნის სიყვარული და მისი გაზიარების საიდუმლოც.

თუ ვინმემ, შენ იცი ჭეშმარიტი ლიტერატურის ფასი და გახარება ყოველი ახალი მხატვრული მონაპოვრით.

თუ ვინმემ, შენ იცი, როგორ აღზარდო ახალთაობები ამ სიყვარულით, ამ მისწრაფებით, ამ რომანტიკული სულით.

დაუფასებელია და ყოვლად დაუფასებელიც ეს სიყვარულიც, ეს სიხარულიც და ეს მზრუნველობაც?

ჩვენ მაინც ხომ გვჯერა — თუნდ ჩვენი მიამიტობით — რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ყოველთვის ჰპოვებს, მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც „და სხვასა“ და მრავალწერტილში ცდილობენ ჩვენს ჩაჭედვას.

ნანა კუციამ — რომლის ლიტერატურულ გემოვნებასა და შეხედულებებს შენც და მეც სავსებით ვენდობით — შენი მინიატურებისა და ნოველების განსჯა-შეფასებისას გაიხსენა ჯეიმზ ჯოისის ნოველების კრებული „დუბლინელები“.

ვისურვებდი, რომ ირლანდიელებსაც „დუბლინელებზე“ მსჯელობისას აგონდებოდეთ შენი იშვიათი სიფაქიზითა და ნიუანსობრივი ჩაღრმავებით შექმნილი, სტილურად ასერიგად ნატიფი და დახვეწილი მცირე პროზა, საამისოდ კი აუცილებელია შენი წიგნების გატანაზეც ვიზრუნოთ საერთაშორისო ასპარეზზე.

შენს ხელთ რომ იყოს ეს პროცესი, ერთადერთი, ვისაც დაჩაგრავდი და ყველაზე უკან გადაწევდი, შენივე თავი იქნებოდა... რაკიღა იმ მორალის ადამიანებს მიეკუთვნები, სხვათა მაზიარებელნი რომ რჩებიან უზიარებელნი.

მაინც სანთელ-საკმევლის იდუმალ მადლსა და ძალას მივენდოთ.

მაინც მისი გვწამდეს დიდი შემობრუნების წინ, რაც გარდუვალია და ქართული ლიტერატურაც ჩადგება სწორად სხვა ერების ლიტერატურათა შორის.

ექიმ-პროზაიკოსთა კოჰორტიდან

(სადღეგრძელოს მაგიერ ჯანო ჯიქიძეს)

ჩემო ჯანო,

პროზაიკოსი შენისთანა უნდა იყოს:

სულ უკმაყოფილო მიღწეულით და ახლისა და ახლის მაძიებელი, მინიატურის, ნოველის, მოთხრობის, რომანის, დოკუმენტური რომანის ჟანრებს შენი კვალი რომ დააჩნიე და კიდეც გახდა შენი შემოქმედება კრიტიკოსებისათვის მეტად ნაყოფიერი ასპარეზი, ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში შენი გამოკვეთილი ადგილი რომ დაადასტურეს. და შენი დაუმცხრალი სტილური ძიებანიც სათანადოდ შეაფასეს.

ჩვენს მწერლობაში არ გვიკვირს სტილური ფოიერვერკი და არტისტიზმი, სტილური თამაშის აპოთეოზი, და თვით ამ ფონზეც შეძელი შენი მხატვრული სამყარო მომხიბლავი ფერებითა და რიტმებით აგეცსო, ორიგინალური და მარჯვე მიგნებებით, მახვილგონივრული აფეთქებებით.

ექიმი შენისთანა უნდა იყოს:

პაციენტებზე გადაყოლილი, მუხლჩაუხრელი და გაუბეზრებელი.

ექიმ-პროზაიკოსთა კოჰორტას თვით ფრანსუა რაბლე რომ უდგას სათავეში და სომერსეტ მოემის, ანტონ ჩეხოვის, მიხაილ ბულგაკოვისა და შიო არაგვისპირელის სახელები ამშვენებენ, შენც ამ კოჰორტის წევრად ეგულები ყველა ნამდვილ მკითხველს, ვისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა იქმნება მათ თვალწინ, რა გზებით მიემართება თანადროული ლიტერატურა და რას წერენ ის მწერლები, რომლებისაც ეიმედებათ და ნამდვილ მხატვრულ ქმნილებებსაც გამოელიან.

ამ კოჰორტის წევრად...

ყელში მოგჯენილი გულით

(საქართველოს ტრაგიკული ლანდი)

მძაფრი დრამატიზმით განმსჭვალულა გიორგი ლობჟანიძის პოეზია.

ტრაგიკული, ხან უკიდურესად ტრაგიკული ნოტებიც ნიშანდობლივია მისი ლირიკული ხილვებისათვის.

და ამ ფონზე ზოგიერთი ლექსი მაინც ისე გამორჩეულად გაბრწყინდება ხოლმე, სათქმელი ისეთ განზოგადებას აღწევს, ამ რანგის პოეტური ნიმუშები უილიამ ფოლკნერს რომანებისთვისაც რომ შეუთანაბრებია.

„Lucky Strike“ იმთავითვე გაგრძნობინებს, რომ ეს მარტოდენ ლირიკული ჩანახატი არ შეიძლება იყოს, მარტოდენ გულისმომკვლელი რეალობის გადატანა პოეტურ განზომილებაში, ავტობუსში ჭუჭყიანპირბადიანი კაცი რომ ამოდის, და ეს პირბადე, ერთ დიდ ნაოჭად გადაქცეული, უფარავს ნაოჭებს; და ჟაკეტიც როგორი შეიძლება ეცვას, თუ არა ისეთივე — ძველი, გახუნებული და ლაქებით მოხატული, თითქოს ისე საგულდაგულოდ, რომ მის ზურგზე ძლივსღა ამოიკითხებოდეს ოდესღაც თეთრი და მოზეიმე წარწერა წრეში: Lucky Strike — ერთ დროს ალბათ სიგარეტის რეკლამა, რომელიც ახლა ამ კაცის მიმართ უზენაესის უსასტიკეს დაცინვად აღიქმება... ეტყობოდა, არასოდეს გამართლებოდა — ამისთანებს კორონა თუ შეხვდებოდათ მხოლოდ. და ლირიკული გმირი წამღერებით რომ იმეორებს გუნებაში: Lucky Strike...

კიდეც სულ უფროდაუფრო მძაფრდება სათქმელი — გარეგნულადაც და კიდევ უფრო მეტად შინაგანი ექსპრესიით, ისე მიექანება სტრიქონები, ისეთი მუხტით, რაღაც განსაკუთრებული თუ არ გაისმა ფინალში, გულნაკლული დარჩები... განსაკუთრებული, სწორედაც განსაკუთრებული...

მაგრამ... ამას მაინც არ ელოდები, უეცრად რასაც უნდა მიხვდეს ლირიკული გმირი.

ასეთ აფეთქებას, აქეთ-იქით რომ მიგაწყ-მოგაწყვეტს:

ეს იქნება ჩემი ჰიმნი,
ჩემი წმინდა მარსელიოზა,
როდესაც შენს სასუფეველს ბრძოლით ავიღებ...

ბიბლიური იობის წიგნის დაკარგული ფრაგმენტიც შეიძლება გეგონოს, მოულოდნელად აღმოჩენილი, ამ სამმა სტრიქონმა, ნოველურმა დაგვირგვინებამ ერთბაშად სულ სხვაგვარად რომ უნდა გაგვინათოს მთელი ლექსი და გამართლებული იყოს სწორედაც იობისებური საყვედური

მამაზეციერის მიმართ, რადგანაც ეს გაუბედურებული კაცი... საქართველოს ხატად უნდა მოგვევლინოს... ის ხომ ავტორიც არის იმავდროულად, მკითხველიც და თვითეული ჩვენი თვისტომიც, ეს აღმოჩენა თანადროულ ტრაგიზმს ასე ხელშესახებად რომ განგაცდევინებს.

საქართველოა — აწ უკვე გაბუნდოვანებული, სადღაც შორს ჩაკარგული წარსულით, რომელიც თავზარდამცემ თანადროულად გარდაქმნილა და უნუგეშო მომავლის მეტს არას გამცნობს, უფსკრულის პირას მოქანავე თუ არ გამოვიტაცეთ...

თავზე გემხობა ეს ქვეყანა, შენს სამშობლოდ რომ გეძვირფასებოდა და... ხელში გაკვდება.

მწვავეა ლექსის პოლიტიკური ქვეტექსტი და კიდევ უფრო მწვავე — ეროვნული სატკივარი, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარის შემაძრწუნებელი განცდები, ოდესღაც იობსაც რომ დაუფლებოდა და ყელში მობჯენილი გულით უფალს მუნათით შეჰღაღადებდა.

ეს ლექსი ჩვენი ღაღადისია, ჩვენი ყელში მობჯენილი გული.

ჩვენი ჰიმნი.

ჩვენი წმინდა მარსელიოზა.

როდესაც უფლის სასუფეველს ბრძოლით ავიღებთ და... ვპოვებთ იმ დაკარგულ სამშობლოს, რომლის მოძებნაც ანდერძად გადმოგვცემია და ყველაზე მძიმე, ყველაზე კრიზისულ ჟამს დაგვკისრებია ის გადამწყვეტი გარღვევა, საითაც მიგვაქანებს ჩვენი ბედისწერა.

მიგვაქანებს ჩვენი ჰიმნი, ჩვენი წმინდა მარსელიოზა...

ალექსანდრე ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანისა და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი საუკუნის პანორამად

(მეგზურად — მაგდა ჭიქაბერიძის მონოგრაფია)

არტილერიის უფროსი გიორგი გურამიშვილი ნაღალატევ, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის პირისპირ შერჩენილ და განწირულ ქართველთა ჯარს რომ გაამხნევებდა და სახელოვანი სიკვდილისათვის შეამზადებდა, ამასაც ეტყოდათ:

— თითით ყველამ მიწა ავიღოთ, შევჭამოთ, ეს იყოს წმინდა საიდუმლოს მაგიერი. მას უკან საიქიოს წავიდეთ სახელოვნად.

და ალექსანდრე ორბელიანი ამ ორატორულ მიმართვასაც რომ შემოგვინახავდა, ვახტანგ კოტეტიშვილი ჩაუფიქრდებოდა:

ეს ამბავი სინამდვილე გახლდათ თუ ავტორის გზნების ნაყოფი?

და მიიჩნევდა, რომ:

ალექსანდრე ორბელიანი ორივე შემთხვევაში დიდ პოეტად მოჩანდა.

პირველ შემთხვევაში: როგორც მხედველობაგამახვილებული და არტისტულად ნაწრთობი ადამიანი.

და მეორე შემთხვევაში: როგორც უზომო გრძნობის მქონე და სიცოცხლის უღრმესი განმცდელი.

დიდ პოეტად მოჩანდაო...

და ეს ის ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ლექსებსაც წერდა სულის მოსათქმელად, თუმც იმ პოეტურ ნიმუშებში არსად შეიგრძნობა დიდი პოეტი.

სამაგიეროდ მემუარებსა და ისტორიულ-დოკუმენტურ პროზაში გამოვლინებოდა მისი დიდი პოეტობა, მისი ღრმა და დახვეწილი არტისტიზმი.

სამაგიეროდ ყოფით რეალობაში გამოვლინდებოდა მისი დიდი პოეტობა, მისი ღრმა და დახვეწილი არტისტიზმი.

ეს დიდი პოეტობა ხიბლავდათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და მათი თაობის ახალგაზრდებს, ალექსანდრე ორბელიანის მონათხრობებს ისე რომ დაწაფებოდნენ, როგორც მაცოცხლებელ წყაროს.

და ეს დიდი პოეტობა გვხიბლავს ჩვენც ალექსანდრე ორბელიანის დოკუმენტური პროზისა და მოგონებების გაცნობისას, უალრესად სანდო მემატიანე გულისშემძვრელადაც რომ გვიამბობს ჩვენი ერის მწუხარე, დრამატულ თავგადასავალს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში.

ეს ის განძია, რომელშიც ყოველდღე უნდა ვურევდეთ ხელს და ახალ-ახალ ძვირფასეულობას აღმოვაჩენდეთ, რათა იმ მღელვარე ეპოქის მაჯისცემა შევიგრძნოთ და ლაბირინთებსაც გაბედულად შევუყვეთ.

და კიდევ ერთი წარმატებული გზამკვლევი ამ განძში ჩასაძირად მაგდა ჭიქაბერიძის წიგნია: „XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა“ („უნივერსალი“, 2020), რომელიც გარდა ალექსანდრე ორბელიანის მემუარებისა, მოიცავს დიმიტრი ყიფიანისა და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებსაც და მთელ საუკუნეს გამოსდევს ერთიან პანორამად.

ამ მხრივაც საგულისხმოა მისი კომპოზიციური აღნაგობა, მკითხველის თვალწინ საბოლოოდ ეს ერთიანი სურათი რომ იკვრის, გარკვეული ხაზები და მოტივები ერთმანეთს რომ აგრძელებს და ავსებს, გარკვეული კი — კიდეც უპირისპირდება. და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს მიამიტი მკითხველისათვის, ეს დაპირისპირება, ეს შინაგანი წინააღმდეგობა თავს იჩენს ალექსანდრე ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის მემუარებში, არამარტო ერთად რომ მონაწილეობდნენ ფარულ ორგანიზაციაში, ყაზარმობის სახელით რომ შემორჩებოდა ისტორიას, არამედ ერთი სულისკვეთებითაც განმსჭვალულიყვნენ

და უანგარობითა და სიწრფელითაც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

მაგრამ დაშორდებოდა მათი პოლიტიკური მრწამსი.

ალექსანდრე ორბელიანისათვის ყოველი დღე რუსეთის პყრობილობაში საქართველოსთვის კატასტროფას მოასწავებდა; და ამიტომაც აღანთებდა ყმაწვილკაცებს პროტესტანტული სულით იმპერატორისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ, სულიერ დაბეჩავებასა და გადაგვარება-განადგურებას რომ გვიქადდა.

დიმიტრი ყიფიანისათვის კი რუსეთის საზღვრებში ყოფნა სულაც არა ნიშნავდა ქართველი ერის ტრაგედიას და ამიტომაც ისწრაფოდა კულტურული თავისთავადობის შესანარჩუნებლად, რაც რუსეთის პყრობილობაშიც სავსებით შესაძლებელი გახლდათ; და ეგონა, რომ იმპერატორის პოლიტიკა მხოლოდღა სასიკეთო იყო ქართველობისათვის, გადაგვარებულ ჩინოვნიკებს რომ არ გაემრუდებინათ იმპერატორის ჰუმანური გადაწყვეტილებანი.

ისე მოხდებოდა, რომ ნება-უნებურად მაინც იმპერატორის პოლიტიკას დაუპირისპირდებოდა, რაკიღა ჩინოვნიკები სწორედაც რუსეთის მონარქის გადაწყვეტილებებს აღასრულებდნენ, დიმიტრი ყიფიანი კი ყოველ ასეთ ძალმომრეობას კრიჭაში ედგა და საბოლოოდ კიდეც შეეწირებოდა თავის შეუპოვრობას, მისი დიდი პოეტობა წმინდანის შარავანდით რომ დადასტურებოდა...

მაგრამ მის გულუბრყვილო შეხედულებებს მემუარებშიც უნდა ეჩინა თავი და ამიტომაც აქვს ამ ჩანაწერებს მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობა ჩვენი ისტორიული და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების შესახებ, და არა უფრო მეტი.

რაც არის და როგორც არის, მონოგრაფიაში თვალნათლივ წარმოჩნდება თუნდ იმ მწირი ცნობების საგულისხმოობა ცალკეული დეტალების დასადგენად თუ ზოგადი ფონის წარმოსახვისას.

მეგზურად თამაზ ჯოლოგუას ნაშრომები და მონაპოვრები წაადგებოდა მკვლევარს დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიასა და სულიერებაში გზის გასაგნებად.

და ნინო ვახანიას ნაშრომები და მონაპოვრები გზის გასაგნებად ალექსანდრე ორბელიანის ბიოგრაფიასა და სულიერებაში.

ცხადია შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სხვა მეცნიერთა დაკვირვებანიც და თვალსაზრისებიც ამ მემუარების მნიშვნელობათა სრულფასოვნად წარმოჩენისათვის.

და მაინც განსაკუთრებული მონაპოვარი მაგდა ჭიქაბერიძის წიგნისა სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებათა ასე ვრცლად შემოტანაა სამეცნიერო მიმოქცევაში, აქამდეც რომ არა ყოფილა მთლად დავიწყებული 1938 წელს გამოცემული და მას შემდეგ აღარ განმეორებული მემუარების ის წიგნი; მაგრამ ამ მონოგრაფიაში მაინც განსაკუთრებულად უნდა გამოკვეთილიყო სოფრომ მგალობლიშვილის დამსახურება მემუარისტიკის ჟანრში, მწერლისა, რომლის გარეშეც არ უნდა გამოდიოდეს ქართული მოთხრობის ანთოლოგია; და რაც მთავარია, ყმაწვილებიც და უფროსი თაობაც საგანგებოდ უნდა კითხულობდნენ მის ნაწერებს, რათა შეიგრძნონ და განიცადონ ქართული ენის უჩვეულო მადლი და სიმდიდრე, ენის მუსიკას მიუგდონ ყური.

და აი მემუარისტიკის ჟანრში მაინც გამორჩეულად რომ წარმომდგარიყო, მისი „მოგონებანი" ერთ საუკეთესო ავტობიოგრაფიულ რომანად წარმოდგება და XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურული სინამდვილის აღდგენასთან ერთად ჩამოამწკრივებს პორტრეტებსა და სილუეტებს ჩვენი დიდებული თუ კოლორიტული მწერლებისა და მოღვაწეებისა: ილია ჭავჭავაძე იქნება თუ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი თუ იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა თუ ალექსანდრე ყაზბეგი, ანტონ ფურცელაძე თუ გრიგოლ ყიფშიძე, პეტრე უმიკაშვილი თუ ვინ აღარ... და ისეთი მარჯვედ მიგნებული შტრიხებით, ისეთი ფსიქოლოგიურ დაკვირვებებით, საგულისხმო ამბებთან ერთად მათი ხასიათის ნაკლებად ცნობილი თვისებანიც რომ ცნაურდება.

შთამბეჭდავია აკაკი წერეთლის მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტების სერია.

შთამბეჭდავია — თუმც ნაკლებად დაფასებული — თედო სახოკიასა და დავით კასრაძის მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტები.

და კიდევ უფრო დაუფასებელი რჩებოდა სოფრომ მგალობლიშვილისეული ხედვა იმ დიდებული და კოლორიტული ხასიათებისა, მაგდა ჭიქაბერიძის წიგნმა ეს ხარვეზიც რომ უნდა ამოავსოს და სოფრომ მგალობლიშვილის მემუარისტული ღვაწლი ყველასათვის საჩინო გახადოს, ღვაწლი, რომელიც აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალს" შთაეგონებინა, სოფრომი წუხილით რომ აღნიშნავდა, არცერთ ჩვენს დიდებულ მწერალს რომ არ დაეტოვებინა თვისი განვლილი ცხოვრების აღწერილობა, დღიურის წერა ხომ წესად არა გვქონოდა. და პატივს ამ მხრივაც მიაგებდა აკაკი წერეთელს, იმ ერთადერთს, რომელსაც გაეხსენებინა თავისი წარსული და მშვენივრად, აკაკურად გადმოეცა მოგონებანი თავისი დიდებული ცხოვრებისა.

და დასძენდა:

ყოველი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი რომ გაგვაცნობდეს თავის წარსულს ცხოვრებას, ნანახსა და გაგონილს, ეს დიდი განძი იქნებოდა ჩვენი აწმყოსა და მომავლისათვისო.

მძიმე და სერიოზული საქმე აღმოჩნდებოდა მემუარების წერა?

მაგრამ მეტად საშურიც შესასრულებლად.

და ამიტომაც სხვებს კი არ მოუწოდებდა მხოლოდ, თვითონაც შეეჭიდებოდა ამ მძიმე საქმეს და ასეთი წარმატებითაც აღასრულებდა.

ლევან ასათიანი თავს რომ მოუყრიდა სოფრომ მგალობლიშვილის მემუარულ ნაწერებს და ერთ წიგნად გამოსცემდა, წიგნში არ შეიტანდა ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობას „წარსულიდან" და ამ გადაწყვეტილებას იმით ახსნიდა:

ის უფრო ბელეტრისტიკის სფეროს ეკუთვნის, ვიდრე მემუარულ ლიტერატურას, თუმცა ნაწარმოები აგებულია ავტობიოგრაფიულ მასალაზეო.

ხელმეორე გამოცემისას „წარსულიდან" უსათუოდ უნდა გაერთოს „მოგონებებს" და კიდევ უფრო გამოიკვეთოს ამ მემუარების განსაზღვრის აუცილებლობა ავტობიოგრაფიულ რომანად.

რედაქტორის შესავალში ლადო მინაშვილი ყურადღებას გაამახვილებდა მაგდა ჭიქაბერიძის წიგნის კიდევ ერთ ღირსებაზეც:

მემუარები აქ განხილულია მხატვრული თვალსაზრისითაც, ამ მხრივ კი ეს მოგონებანი აქამდე საგანგებო ინტერესის საგანი არ გამხდარაო.

და გაიხსენებდა ილია ჭავჭავაძის შეგონებას:

— აწმყო უწარსულოდ უფესვ-უშტოა, რადგან, ერთი მხრივ, უდედმამოა, მეორე მხრივ, უშვილო.

შესაძლოა დიდადაც ვერ დავიკვეხნიდეთ მემუარული ლიტერატურის, დღიურების, ეპისტოლეების სიმრავლით, ამ მხრივ არაერთ ქვეყანას ჩამოვუვარდებოდეთ, მაგრამ მითუმეტეს მოვალენი ვართ, რაც მოგვეპოვება ამ სფეროში, ყველაფერი გამოვამზეუროთ და შესაფერისი კვლევა-ძიებაც მივადევნოთ, რათა ჩვენი აწმყო სრულფასოვნად შეიმკოს ფესვებითაც და შტოებითაც და აღარც უდედმამოთ გვავდეთ და აღარც უშვილოებს.

ცოტა გვაქვს, მაგრამ ყოველგნით სიკეთემიუწვდომელიო, — ფრიდონივით ეს ხომ მაინც შეგვიძლია დავიტრაბახოთ, მაგრამ ფუჭად ჩაგვივლის ეს დაქადნება, თუკი ამ სიკეთემიუწვდომელ მოგონებებს შესაფერისი გზამკვლევებიც არ გაჰყვება ისტორიულ-დოკუმენტური ფონის შემავსებლად და იმ სიცხადისათვის, ამათუიმ ეპოქასა და ისტორიულ პერსონაჟთა გალერეას ბოლომდე რომ გაგვინათებს.

ესეც კიდევ ერთი ჩინებული მეგზური: მაგდა ჭიქაბერიძის „XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მემუარული მემკვიდრეობა“.

ფესვ-შტოთა კიდევ ერთი განათება.

კიდევ ერთი არიადნას ძაფი.

პალენდრომი ვარიანის სანახებიდან

(ანონსის მაგიერ)

სხვა შემთხვევაში ალბათ ასე დაიწერებოდა:

ჯერ ესეი ამათუიმ პიროვნებაზე, მერე პიესა და მერელა ბიოგრაფიული რომანი.

ამ შემთხვევაში კი თანმიმდევრობა ასე უნდა შემოტრიალებულიყო:

ჯერ რომანს რომ დავწერდი იაკობ გოგებაშვილზე — „ბურჯი ეროვნებისა“, მერე პიესას — „იის სურნელი თოვლში“, და მერელა ესეის — „ოთხი ბურჯი იაკობ გოგებაშვილისა“.

ეს — „განთიადის“ რედაქციის დაკვეთით: 2020 წლის გაერთიანებულ მე-11-12 ნომერში რომ აღნიშნავდნენ ამ რჩეული მოღვაწის დაბადებიდან 180 წლისთავს.

დაიწურებოდა, დაიწნეხებოდა რომანის სათქმელი ათ თუ ცოტა მეტ გვერდად, თუმც შესაფერისი ფორმა კი გამოეძებნებოდა და ესეი შეიქმნებოდა და არა ვრცელი ანოტაცია ეპიკური თხზულებისა იმ კაცზე, რომლის მხრებზეც უნდა გადაევლო სკოლის გაქართულებას, ილია ჭავჭავაძის სამ საუნჯეს: მამული, ენა, სარწმუნოება — მეოთხე საუნჯედ სწორედ სკოლას, განათლებას რომ შეჰმატებდა... და ილიასეულ ანბანის რეფორმას დიდად შეუწყობდა ხელს „დედა-ენის“ ფურცლებზე მისი დამკვიდრებით.

ესეი კი უნდა აგებულიყო იმ ქარგაზე:

ასეთი რამ მხოლოდ მითოსში რომ ხდებოდა, ანდა ზღაპარში, ასეთი უთანასწორო ბრძოლა — ერთი მხრივ მარტოკაცი, და მეორე მხრივ — საზარელი ურჩხული, ყოფით რეალობაში იაკობ გოგებაშვილი და რუსეთის იმპერია რომ უნდა შეჯახე-

ბოდნენ ერთმანეთს, იმპერია, უკვე საკმაოდ მომძლავრებული და ლამის უკვე განხორციელებული რუსიფიკატორული პოლიტიკით, და მარტოკაცი — სნეული, სასიკვდილოდ გადადებული, ყოველი დღე უფლისგანა ნაჩუქარს რომ ჰგავდა მისთვის.

თან მთელი დოკუმენტაციაც რომ უნდა დაეწვა და უიარაღოდ, შიშველი ხელებით შებმოდა გველეშაპს.

და ეს უთანასწორო ბრძოლა უნდა დასრულებულიყო ამ სნეული კაცის ტრიუმფალური გამარჯვებით, ამირანივით შიგნიდან რომ უნდა გამოეჭრა გველეშაპის ფაშვი და ამოსულიყო სამზეოზე და ამოეტანა „დედა-ენა", დასათრგუნად ბოროტისა.

ესეის ფინალში ძალდაუტანებლად უნდა გაეელვა ფარნავაზ მეფის სახებას, და ეს მაშინ, როდესაც უნდა გამეხსენებინა, ერთ კურთხეულ დღეს ვარიანში მყოფ იაკობს როგორ უნდა მოესმინა ყმაწვილების ჟივილ-ხივილი, ახალგაზაფხულზე აღტაცებულნი რომ უზიარებდნენ ერთმანეთს უმშვენიერესი ყვავილის ხილვას:

— აი ია!.. აი ია!..

იაკობ გოგებაშვილს გონებაში ჰქონდა ჩამოქნილ-ჩამოყალიბებული მთელი სახელმძღვანელო, სრული სიახლე პედაგოგიკაში და ქართული ახალი აღთქმის სახესხვაობა, მაგრამ ვერადავერ ეპოვნა დასაწყისი, ამ სახელმძღვანელოს კარის შემხსნელი სიტყვა და შეწუხებული აწყდებოდა აქეთ-იქით, ყელზე მომდგარი სათქმელი დაუწერელი რომ რჩებოდა.

და აი უფალს ბავშვების პირით უნდა ეკარნახა ის სიტყვა, ის ფრაზა, ის პალენდრომი.

და უთანასწორო ბრძოლა კიდეც დასრულებულიყო იაკობური ღვაწლით — განსაკუთრებულითა და უჩვეულოთი, აკაკი წერეთელს რომ ათქმევინებდა:

ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლთანო!..

და იმ კურთხეული დღისათვის როგორ არ მეძღვნა დითირამბი:

როგორც ვერცერთი წვიმა ვერ გაბედაწონიდა დიღმის წვიმას, რომელიც სანადიროდ გასულ ფარნავაზს აიძულებდა გამოქვაბულს შეფარებოდა და ეპოვნა განძი, გადამწყვეტი რომ აღ-

მოჩნდებოდა აზოს დამარცხებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, ისევე ვერ გადაწონიდა ვერცერთი პალენდრომი ვარიანის სანახებში შთაგონებულ პალენდრომს.

დანარჩენს ესეიში წაიკითხავთ.

დანარჩენს პიესაში წაიკითხავთ, ანდა რომანში, თუკი სურვილი გაგიჩნდებათ, ანდა კითხვის ონსილა კიდევ შეგრჩენიათ.

ნისლიდან ამომზევებული უჩვეულო სამყარო

(თბილისის აჩრდილები ოთარ ჩხეიძის თვალთახედვით)

ბიოგრაფიული რომანი ოთარ ჩხეიძისა ვასილ ბარნოვზე „რომანი და ისტორია" პირველად 1965 წელს გამოიცემოდა, განმეორებით — 1989 წელს, 2016 წელს კიდევ ერთხელ რომ იხილავდა მზის სინათლეს ერთი საუკეთესო ნიმუში ამ ჟანრისა, მწერალს რომ აღარ მოუხერხდებოდა ჩანაფიქრის აღსრულება და ორი ბიოგრაფიული რომანის ამოყენებაც მის გვერდით: შიო არაგვისპირელსა და მიხეილ ჯავახიშვილზე.

„რომანი და ისტორია" აღმოჩნდებოდა გამხსნელი ოთარ ჩხეიძის რომანების ციკლისა „მატიანე ქართლისაი", ოღონდ ამჯერად სულ სხვა მიზნით უნდა გამეხსენებინა.

მეორე თავი ასე დასათაურებულა: „თბილისის აჩრდილები", ავტორი პირდაპირ რომ გაიმეორებდა სახელწოდებას ვასილ ბარნოვის მოთხრობების წიგნისა „ტფილისის აჩრდილები", ის თბილისი რომ წარმოისახებოდა და შემონახებოდა, რომელიც უკვე სადღაც ნისლში იძირებოდა და იკარგებოდა, ძალზე შორეულ ხსოვნადღა შემორჩენილიყო, ანარეკლებად და ნაკუწებად, და ვასილ ბარნოვი რომ ვერ შეეგუებოდა მის ასე გაქრობას, ამიტომაც შეეცდებოდა იმ უჩვეულო სამყაროს გაცხადებას მხატვრულ სიტყვაში.

იმდროინდელი სულის გადარჩენასა და შემონახვას.

პერსონაჟებს შეთხზავდა და იმ გამოგონილ სახეებს უნდა ეტვირთათ დროის სულის გადარჩენა.

ჟანრობრივი თავისებურება ოთარ ჩხეიძის რომანისა თავისთავად მოითხოვდა ისტორიულ პირებს ეტვირთათ იმ დროის სულის აღბეჭდვა, მწერალი „ტფილისის აჩრდილების" ღრმა

ლაბირინთებშიც რომ ჩაიძირებოდა და უზღვავ დოკუმენტურ მასალაშიც, რათა ისტორიული პერსონაჟებიც და იმჟამინდელი საქართველოს ყოფითი რეალობაც რაც შეიძლება ზუსტად და ტევადად, ცხოვლად და ექსპრესიულად გამოეხატა.

სოფლიდან ახალჩამოყვანილი და აწ უკვე სასულიერო სემინარიის მოწაფე ვასილი რასაც შეჰყურებდა თავისი თვალით, რომელი თბილისიც აღმოჩნდებოდა მის წინაშე, ის უნდა მოეტანა ოთარ ჩხეიძეს ახალი დროის მკითხველამდე, რათა ძირისძირობამდე განეცდევინებინა მათთვის ნისლში ჩაძირული სამყაროს ხიბლი და კოლორიტი; რათა ეგებ მარცვლები მაინც გადარჩენილიყო იმ ძვირფასისა და სანუკვარის, რომელიც ვეღარასოდეს განმეორდებოდა, თუკი ახლა გაქრებოდა.

ვინ აღარ იტრიალებდა მკითხველის თვალთა წინაშე: ალექსანდრე ორბელიანი თუ ირაკლი ბაგრატიონი, გრიგოლ ორბელიანი თუ პლატონ იოსელიანი, გიორგი ერისთავი თუ გიორგი მუხრან-ბატონი, ილია ჭავჭავაძე თუ იაკობ გოგებაშვილი... 1932 წლის შეთქმულების სუნთქვაც რომ შემოიჭრებდა და არიალდებოდნენ სოლომონ დოდაშვილისა და ელიზბარ ერისთავის ლანდებიც და ალექსანდრე ჭავჭავაძის სახებაც გაიელვებდა, თხრობას რეფრენად რომ უნდა გამოჰყოლოდა სოლომონ ლიონიძის, მეფის მსაჯულის ის სატკივარი, ერეკლე მეორის დატირებისას ესეც რომ ამოეთქვა გულდამდუღრულს: ლექსი „მეფე" დადუმდა აქაო?!.

დადუმებულიყო ლექსი „მეფე", იშლებოდა კვალი საქართველოს სახელმწიფოსი და ვინ წინააღმდეგობით ხვდებოდა ამ კვალის წაშლას და ვინ — შეგუებული რუსთა მფლობელობას და მათთან საბოლოო შერწყმის მომლოდინე.

გარდამტეხი ჟამი დამდგარიყო.

და ეს ჟამი უნდა წარმოსახულიყო ეპოქის მაჯისცემადაც და ამავდროულად მოწოდებადაც და შეგონებადაც, კვლავ გარდამტეხი ჟამის წინაშე რომ ვიდექით და, თუ არა დროული გამოხსნა იმპერიის მარწუხებიდან, თუ არა წინააღმდეგობის მოძრაობის გაშლა, ვაითუ მერე ველარაფერს ეშველა...

ეს სულისკვეთება კიდევ უფრო უნდა გაელრმავებინა შემდგომ თავში ალექსანდრე ყაზბეგის გამოჩენას, ისეთი შთამბეჭ-

დაობით წარმოჩენას მისი პორტრეტისაც და მისი „კავკასიური ილიადასიც“, არამარტო გრიგოლ ორბელიანის ძვლებს რომ შეაჟღრიალებდა „ელგუჯას“ გამოქვეყნება, არამედ ახალ დროში ძალუმად გადმოგვწვდებოდა ის ჟღრიალიც, ის სულისკვეთებაც, ის მოლოდინიც იმ დღისა, როდესაც ყველა ხმალს გაავლებდა ხელს.

მითუმეტეს — პირველად ამ ბიოგრაფიულ რომანში გაცხადებულიყო პავლე ინგოროყვას დაკვირვება, ნიკოლოზ ბარათაშვილს „მერანი“ სინამდვილეში ალექსანდრე ბატონიშვილისათვის რომ მიეძღვნა.

ისეთი ლაკონიურობითა და სისავსით წარმოჩნდებოდა თვითეული სილუეტი თუ პორტრეტი, ისეთი ხელშესახები შეიქნებოდა იმჟამინდელი გალერეა, ოთარ ჩხეიძის ხელოვნება მკითხველს ძალდაუტანებლად წამოაგონებდა აკაკი წერეთლის „ჩემ თავგადასავალსა“ თუ გალაკტიონ ტაბიძის „ძვირფას საფლავებს“, თუმც ამჯერად სულ სხვა მიზნით დავისაჭიროებდი რომანის ამ თავის გახსენებას, გარდა იმისა, საკმაოდ მტკიცედ რომ მოთავსებულა „რომანი და ისტორიის“ კომპოზიციურ ქარგაში, თავის დამოუკიდებლობასაც რომ ინარჩუნებს და ცალკეც შეიძლება გამოქვეყნდეს.

ცალკე რა აუცილებლობაა?

ყმაწვილებისათვის, სკოლის მოსწავლეებისათვის — დაახლოებით ორმოცდაათ გვერდს რომ მოიცავს „თბილისის აჩრდილები“ და ამ მოკლე ჩარჩოში XIX საუკუნის თბილისის გარეგნული და სულიერი ყოფა ისეთი ძალითა და სისავსით გათვალსაჩინოვდება, ტომებს გადაწონის.

გაეცნობი, შეითვისებ და... შენს ხელისგულზე აღმოჩნდება კიდეც ნისლიდან ამომზევებული ის უჩვეულო სამყარო, ათასგვარი ფერითა და გირლანდით შემკული.

ამ ცალკე გამოცემას ძალიან მოუხდება ილუსტრაციებიც და ფოტოსურათებიც, ბოლოში კომენტარებიც და ექსკურსებიც რომ დაერთვის, გნებავთ დაწურული და გნებავთ გაშლილი, კიდევ უფრო რომ გაუადვილებს ყმაწვილებს ოთარ ჩხეიძის მონათხრობის შეგრძნებას, მწერლისა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბავშვები იმთავითვე უნდა გეზიარებინა დიდი პოეზი-

ისათვის, დიდი ლიტერატურისათვის და არა ენის მოჩლექით, არამედ საუკეთესო სულიერ მონაპოვრებზე გაგეზარდა...

ტყუილად აშინებდნენ ნაფიცი საბჭოთა მწერლები მკითხველს ოთარ ჩხეიძის სტილის სირთულით, სტილისა, რომელიც ისეთი ჩამთრევია თავისი რიტმულობითა და მუსიკალურობით, თითქოს ორატორიას უსმენდე; და ყმაწვილებიც ისე ადვილად აუღებენ ალღოს ამ სტილურ თავისებურებას, შესაძლოა სხვაგვარი მოსმენა აღარც მოინდომონ ამ შემძვრელი ამბებისა ჩვენი დრამატული და ზნეობრივი ისტორიიდან, სხვაგვარი თბილისის ხილვა აღარც ენებოთ...

თუ არადა:

გამოიცემა და ყველაც ვირწმუნებთ „თბილისის აჩრდილების" გამორჩეულ მადლსაც და ჩვენი ახალგაზრდების მოსალოდნელ აღტაცებასაც, ახალგაზრდებისა, რომელნიც მალე ჩაიბარებენ ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეებს და ეცოდინებათ, რა სულისკვეთებასაც აგრძელებენ, რის მცველებადაც დაუყენებია განგებას...

სადა ხარ, ჩემო ელიკო?!.

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩემი არ იყოს, ალბათ თქვენც ჩაგრჩებოდათ ხსოვნაში ის პასაჟი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „ერთი რამის სიყვარული. დაფარვა რომ სჭირდება, ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“, სიმასთან საუბრისას ფიქრებში რომ წავიდოდა შალვა კეჟერაძე და... ერთბაშად გამოცოცხლდებოდა:

— საერთოდ სპორტს, პოეზიასთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს... ფეხბურთი ავიღოთ თუნდაც. ვინმემ რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის ილეთი რომ გაიმეოროს, გაგიჟდება სიხარულთი ხალხი — დიდისავით ჩაახვია „ხმელი ფოთოლი!“ მიშას ფინტი გააკეთა, ვენაცვალე! უხარია მაყურებელს, რადგან პირიქით, უკეთესია, ფეხბურთელი ვინმეს თუ ჰგავხარ, მაგრამ აბა, თუ კაი ბიჭი ხარ, დაწერე ლექსში სადმე — სადაა ხარ, ჩემო ეელიკოო... — სტვენას დაგიწყებს საზოგადოება, ხალხი.

თუ ამ სტრიქონებს იუმორისტულ ელფერს ჩამოვაცილებთ და პირწმინდად ლიტერატურისმცოდნეობითი თვალითა და ტერმინოლოგიით განვსჯით, შესაძლოა ასე მკაცრადაც არ შევაფასოთ „სადა ხარ, ჩემო ელიკო?!“ თუ მისი ვარიაციები და მოვიხსენოთ არა მაინცდამაინც პლაგიატორობად, არამედ: ალუზიად, რემინისცენციად, გადაძახილად, შეხმიანებად, იმიტაციად...

კონტექსტს გააჩნია, ცხადია...

თუნდ შუა საუკუნეების ებრაული პოეტური ნიმუშების ქართული ვერსიების გაცნობისას არაერთხელ რომ შემოგვანათებს რუსთველური, გურამიშვილური თუ გალაკტიონური მხატვრული სახეები ან ალუზია-რემინისცენციები, კამათის

საგნადაც ქცეულა, ჯემალ აჯიაშვილი თარგმანებს ქმნიდა, ვარიაციებს ებრაული ორიგინალის ქარგაზე თუ სულაც პოეტურ მისტიფიკაციებს, საბოლოოდ ყველა რომ თანხმდებოდა: ეს ყოველივე სრულფასოვანი ლიტერატურული მოვლენააო, — თუმც ეს ხელს არ გვიშლის, ამ ნიმუშებში რუსთველური, გურამიშვილური თუ გალაკტიონური მეტაფორების წარმომავლობა დავადასტუროთ და აღვნიშნოთ.

ასე რომ:

შესაძლოა არც „სადა ხარ, ჩემო ელიკო?!“ თუ „სადა ხარ, ჩემო თამრიკო?!“ თუ „სადა ხარ, ჩემო ზურიკო?!“ ან სულაც პირდაპირი განმეორება „სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“ გაიმეტებოდეს, მაგრამ ის მთლად არ შეიძლება, პირველმთქმელს უსტვინო და უკიჟინო...

ეს ის ანომალიაა, რაც მხოლოდ მოშლილი ლიტერატურული გარემოს პირობებში შეიძლება მოხდეს.

თუმც... ამ და ამგვარ ანომალიებსაც აქვს თავისი მნიშვნელობა, ფსიქოლოგიურიც და სოციალურიც — საშუალება გეძლევა, თეთრი კბილების მიღმა უეცრად აღმოაჩინო, სინამდვილეში ვის რა გული აქვს შენზედა...

არადა:

თუნდ ფეხბურთში რა იოლად არის ეს ყველაფერი, რა ალუზია-გადაძახილი და რომელი იმიტაციები:

დიდისავით ჩაახვია „ხმელი ფოთოლი“!

მიშას ფინტი გააკეთა, ვენაცვალე!

ხოლო აქ, ჩვენთან, პოეზიაში...

ბაზალეთის ტბაში ჩასაყვინთად

(სადღეგრძელოს მაგიერ ნაირა გელაშვილს)

ნაირა, ჩემო ძვირფასო,

თუ ვინმე დასდებს თავს შენს მოწაფეობაზე, უთუოდ მეც.

რა აუცილებელია, შენი სტუდენტი ვყოფილიყავი — რამდენი რამ შემითვისებია შენთან საუბრებიდან, შენი მღელვარე, არტისტული მონოლოგებიდან; რამდენი რამ შემითვისებია შენი ნაწერებიდან, ლიტერატურული განძისაგან რომ არ გამერჩევა შენი მრავალფეროვანი და უჩვეულო ნაყოფიერებით აღსავსე შემოქმედება.

და ეს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც „მნათობში" დაიბეჭდა შენი ორი ნოველა: „მწვანე ჭიშკარი" და „მთვარით განათებული ბაღი" — თორემ „მივემგზავრები მარიდს" ხომ უკვე ისე გახმაურდებოდა, ყველაც იმთავითვე ირწმუნებდა ახალი ტალანტის გამოჩენას ჩვენს ლიტერატურაში.

იმ გამონაკლისთა შორის ხარ, არც მოდურობა და პოპულარობა რომ არ მოჰკლებია და ამავდროულად ნამდვილი ლიტერატურული ღირებულებანიც შეუქმნია.

იშვიათია, შენსავით თავგადადებული ლიტერატურისათვის.

შენსავით თავგადადებული ადამიანსა და მის ბედზე.

შენსავით თავგადადებული ბუნების გადასარჩენად.

შენსავით თავგადადებული განათლებისა და კულტურის წინსვლისათვის.

შენსავით თავგადადებული კავკასიური მთლიანობისათვის.

არც კითხვა მწყინდება შენი ნაწერებისა და არც ხელახლა გადაკითხვა, თარგმანებითაც რამდენ რაიმეს რომ გვაზიარე

და რელიგიურ-ფილოსოფიურ გარემოშიც ისევე ლაღად და ძალდაუტანებლად გრძნობ თავს, როგორც პირწმინდად მხატვრულ სინამდვილეში, რაც შენთვის ფილოსოფიაცაა, რელიგიაც და ეკოლოგიაც — შენი მონოლოგების ერთი უმთავრესი თემა.

მე მივეკუთვნები ადამიანებს, რომელნიც თავს მარადიულ მოწაფეებად გრძნობენ.

რატომაც არა, როდესაც შენისთანა მასწავლებლები ადგანან თავს, ანუგეშებენ და ამხნევებენ, შთააგონებენ და აიყოლიებენ კიდეც იმ ბაზალეთის ტბაში ჩასაყვინთად, რაც ლაიტმოტივია არამარტო შენი ერთი რომანისა „დედის ოთახი", არამედ მთელი შენი არსებისაც და ლიტერატურული მემკვიდრეობისაც.

დაე „ფიროსმანითაც“ გაგვიცნონ დასავლეთში

(სადღეგრძელოს მაგიერ შორენა ლებანიძეს)

ჩემო შორენა,

ვინც იმთავითვე ადევნებდა თვალს შენს ჟურნალისტურ სტატიებსა თუ რეპორტაჟებს, მიხვდებოდა, მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრშიც მტკიცედ რომ დამკვიდრდებოდი, რაკიღა ის პირველი ცდებიც გამოირჩეოდა სტილური დახვეწილობისაკენ სწრაფვითაც და კომპოზიციურ აგებულებაზე ბრუნვითაც, ცალკეული ნიმუშები დოკუმენტურ ნოველებსაც რომ მოაგონებდა მკითხველს.

და აი კიდეც უნდა შეგექმნა მთელი წყება დოკუმენტური ნოველებისაც და სულაც რომანებისაც, შენს კვალს ასე მკაფიოდ და შთამბეჭდავად რომ აღბეჭდავდი ამ ჟანრზე, „მანანა ანუა (ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე)“ თუ „პენელოპე მგზავრი“ უკეთეს ნიმუშთა შორის რომ აღმოჩნდებოდა, ევგენი მიქელაძის ცხოვრების ქრონიკა კი ბიოოგრაფიული რომანის ნიმუშად წარმოდგებოდა.

ჩვენი გარდასული ჟამისა თუ აგერ-აგერ მომხდარი ტრაგიკული თუ დრამატული ამბები შენი ხელის შეხებასაც უნდა შემოენახა შთამომავლობისათვის მთელი სიმძაფრითა და გულისგულის ამოტანით ზედაპირზე, რათა მკითხველს ბოლომდე ისე განეცადა ეს ყოველივე, თითქოს თვითონაც უშუალო მონაწილე ყოფილიყოს იმ დრამატიზმისა და ტრაგიზმისა, თუნდ იური ანუასა და მამა ანდრიას რაც დაატყდებოდათ თავს, და ექიმთა საქმესაც ისე უნდა გაცნობოდა, სინამდვილეში როგორც მომხდარიყო, და ნაზი შამანაურის სახებასაც შემოენათებინა შენი ნაწერებიდან.

სანიმუშოა ეს ყველაფერი ახალბედა ჟურნალისტებისთვისაც და დოკუმენტალისტებისთვისაც, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ სტილურ დახვეწილობასა და კომპოზიციურ მთლიანობას, თხრობის გულისშემძვრელობას განსაზღვრავს არამარტო ავტორის ღრმა ესთეტიკური ხედვა, არამედ ის სიმართლე, მიუკერძოებლობა, შეულამაზებლობა, რაც საფუძვლად უდევს შენს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებს.

ცალკე უნდა მომეტოვებინა ბიოგრაფიული რომანი ნიკო ფიროსმანზე, ამ ჟანრის უდავო შედევრი, ბიოგრაფიულ ქრონიკათა უკეთეს ნიმუშთა შორის რომ გვეგულება მხოლოდდამხოლოდ და დაარწმუნებს უცხოელ მკითხველსაც, რა დონისათვის მიგვიღწევია ბიოგრაფიულ ჟანრში, რომელი ქვეყნის ლიტერატურის რანგს გამოხატავს თუნდ შორენა ლებანიძის „ფიროსმანი", სწორედაც რომ ამ დიდებული ხელოვანის შესაფერისი და სათავგადასავლო რომანივით საკითხავი, დეტექტივის ალღოსა და დაუმცხრალობას ღრმად დაფარული საიდუმლოც რომ უნდა ამოეზიდა და მთავარი გმირის სულის ხვეულებშიც ჩაგვეხედა, ურომლისოდაც ბიოგრაფიული ქრონიკა თუნდ საგულისხმო და მნიშვნელოვან ცნობათა კრებულად დარჩება, არა უფრო მეტად.

დაე ამ წიგნითაც გაგვიცნონ დასავლეთში.

დაჩაგრული მოთხრობების საპატრონოდ

(დღიურის ფურცლებიდან)

ისე გამეხარდებოდა, ერთხელაც ნაირა გელაშვილი ბასილ მელიქიშვილს გამორჩეული პატივით რომ მოიხსენიებდა რამდენიმე სტუმართან:

— მე მგონია, რომ ის უფრო ბუნებრივია, ვიდრე გრიგოლ რობაქიძე თუ კონსტანტინე გამსახურდია, აშკარა მანერულობა რომ დაჰკრავთ... ბასილს რომ დასცლოდა და ასე ნაადრევად არ გარდაცვლილიყო, რა სიმაღლეებს მიაღწევდა!..

და მომაჩერდებოდა, რაკიღა იფიქრებდა, რომ სტუმართა შორის ბასილ მელიქიშვილის პროზა მხოლოდ ჩემთვის იქნებოდა ნაცნობი.

და გაბრწყინებული თვალებით რომ დავუდასტურებდი, დასძენდა:

— შეიძლება განა მისი „თურმანი" არ შეჰქონდეთ ქართული მოთხრობების ანთოლოგიურ გამოცემებში?

— ეგ მეც მაწუხებს.

და უეცრად აქეთ გადმოინაცვლებდა, 20-იანი წლების ლიტერატურიდან 80-იანი წლების ლიტერატურაზე:

— ან ლეილა ბეროშვილის „ლილი" არ უნდა იყოს დაფასებული? ასე გახსნა ქალის ფსიქიკისა იშვიათია და ჩვენ თუ არა, სხვა ვინ მოუფრთხილდება.

ეს მოთხრობაც მიყვარდა და ახლა უნდა მეგრძნო, რომ ისიც უსამართლოდ იჩაგრებოდა. და უეცრად ეს აზრი უნდა გამჩენოდა:

— რამდენი მოთხრობაა კიდევ ჩვენს ლიტერატურაში, საანთოლოგიოები, მაგრამ მათ მიღმა დარჩენილები, ეს ხომ მხო-

ლოდ აღარიბებს ჩვენს წარმოდგენას ქართული პროზის მიღწევებზე... ისე კარგი კი იქნებოდა, ცალკე შედგენილიყო დაჩაგრული მოთხრობების ანთოლოგია, ეჭვიც არ მეპარება, სასიამოვნო აჟიოტაჟსაც გამოიწვევს და ამ მოთხრობებსაც გადაარჩენს მიყრუება-მიჩქმალვისაგან.

თავის დროზე ოთარ ჩხეიძე შეადგენდა რედაქციებისაგან დაწუნებული მოთხრობების კრებულს „ხელეური“, და ვითომ რატომ არ შეიძლებოდა დაჩაგრული მოთხრობებისთვისაც შესაფერისად გვეპატრონა? მითუმეტეს — ზოგიერთი ნიმუში შესაძლოა იქიდანაც შეგვემატებინა:

გიორგი შატბერაშვილის „მამალხინეს სიკვდილი“, სერგო კლდიაშვილის „ცხელი დღე“, მურმან ლებანიძის „დიდი პულკა“, თამაზ ნატროშვილის „ჩიხი“.

იქ მაშინ ამდენს აღარ ვილაპარაკებოდი, საუბარი სულ სხვაგვარად რომ წარიმართებოდა, ჩემთვის კი მერედამერე გუნებაში მოვინიშნავდი ამ ნიმუშებსაც:

ადამ ბობღიაშვილის „სიკვდილი კაკლიანში“, კოტე ხიმშიაშვილის „გლობუსი“, გრიგოლ აბაშიძის „ეგარსლან ბაკურციხელი“, ლადო ავალიანის „სულუაგას ქუდი“, ედიშერ ყიფიანის „ოქროსფერი ანაფორები“, დავით ჯავახიშვილის „ხვალ“, გურამ სხირტლაძის „უცხო ქალაქში“, ჯუმბერ ტიკარაძის „ბერბიჭა“, ბადრი ჭოხონელიძის „ზამთრისპირა ჩანაწერები“, თემურ აბულაშვილის „მთვარის აღმოსავლეთით, მზის დასავლეთით“, გია ლომაძის „კაცი გალავანზე“...

არ გამოიტოვება არც თამაზ ნატროშვილის „ხვალ დოღი იქნება ხეობაში“ და რამაზ შენგელიას „შენი სიყვარული დამიფარავს!“

საგულისხმო სურათი გამოიკვეთებოდა, და შემდგომი შეხვედრისას ნაირას გავუზიარებდი ჩემს სურვილს, ის იდეა ჰაი-ჰარად რომ არ მეთქვა და მართლაც შეიძლებოდა, ამგვარი ანთოლოგიის მომზადება, უიმედოდ ჩაიქნევდა ხელს: არავინ გამოიდებს თავსო.

და მართლაც ვერცერთ გამომცემლობას ვერ ავიყოლიებდი — ვერც იმხანად, ვერც მოგვიანებით.

ჩემით ამდენსაც ვეღარ გავწვდებოდი, თუმც გუნებაში სულ მიტრიალებდა.

და დღესაც მჯერა, დაჩაგრული მოთხრობების ანთოლოგია თუ ვერ გადააჭარბებს, წამოყელყელავებით წამოუყელყელავდება კანონიკურად ქცეულ ანთოლოგიებს — ყოველგვარი შეღავათის გარეშე.

იდეა იმისაა, ადრე თუ გვიან კიდეც უნდა ახდეს, და უსამართლობის ჯადო ნაწარმოებებსაც ისევე უნდა აეხსნათ, როგორც ადამიანებს — ეს ყოველივე ერთმანეთს განსაზღვრავს იდუმალი კანონზომიერებით.

ეს ჩამონათვალი ვიგულისხმოთ პირველსაფუძვლად, რომელიც შეივსება მდუმარებისაგან დახსნილი სხვა ნიმუშებითაც და ერთხელ კიდევ შეგვახსენებს აუცილებლობას ჩარჩოდან, ხელოვნური მიჯნიდან და საზღვრიდან შორს გადახედვისა, რათა არ დაგვიჩლუნგდეს ლიტერატურულ ღირებულებათა გადარჩენის აღლო და სწრაფვა.

დრო კი მაინც რა უცნაურად გარბის, ლამის ვეღარაფერი ვეღარ მოგისწრია.

საბრალოსა საუბრისად

(დღიურის ფურცლებიდან)

დავჯდებოდი წერად ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად... ეგებ ეს მაინც მომესწრო...

ავთანდილურისა ალიკვალიც რომ არ იქნებოდა, ეს კი წინასწარვე მეცოდინებოდა, მაგრამ რაღაც როგორ არ მექნებოდა დასარიგებელი...

მიმოვავლებდი დაბინდულ მზერას და... მთლად ვიიონური რეალობის წინაშე აღმოვჩნდებოდი, წარმოსახვითი ქონების იქით ბევრი არაფერი რომ მებადა.

„მცირე ანდერძში" ჩახედვა არც დამჭირდებოდა, რადგანაც დავით წერედიანის აჩრდილი — ახლა იმ სამყაროსთან უფრო მაქვს ურთიერთობა! — შემომაშველებდა შესაფერის სტრიქონებს:

მაშ სახელითა მამისაითა,
ძისაითა და სულისაითა
წმიდისაითა (სახლი საიდან!
კარი საიდან! ფული საიდან!)

ამ რეალობის გაცნობიერება მიბიძგებდა, შეგონება, სენტენცია თუ რაღაც ამგვარი მომეძია ჩემს ნაწერებში და ანდერძში გადმომეტანა იმ ფიქრით, რომ აქ უფრო საიმედოდ დაბინავდებოდა, მაგრამ... ვერაფერს დავადასტურებდი და იმ იმედსღა მოვეჭიდებოდი, სადმე, რომელიმე წიგნში როგორ არ აღმოჩნდება შემალული და ოდესმე ვინმე როგორ არ მიაგნებს-მეთქი.

დიდ არს ძალა იმედისა!..

და ძალიანაც რომ აღარ გადავიქანცო და ტყუილუბრალოდ არ ვიჩილთიფილთო, შემიძლია ჩემს წარმოსახვით ანდერძს, რომელიც ბევრს არას შემატებს ანდერძნამაგებს, უკვე მოვაბა ვიიონური ფინალი:

გასცა საჭურჭლე, სამკვიდრო სრული,
ახლა კი ზის და აცეცებს თვალებს,
ჯიბეში ჩარჩა სპილენძის ფული
და ხვალის იჯრა მაგასაც გალევს.

შენისთანა ძმა მისცა ყველას

(სადღეგრძელოს მაგიერ პაატა ჩხეიძეს)

პაატა, ჩემო ძმაო!

გრიგოლ რობაქიძე ძმად რომ მოიხსენიებდა პავლე ინგოროყვას, დასძენდა:

კარგია საქართველოს რომ დარჩა სიტყვა „ძმა“ მიმართვისთვის. ამ შემთხვევაში იგი კიდევ უფრო გამართლებულიაო.

და რაღა უნდა ითქვას, როდესაც სულიერ ძმობას ემატება სისხლისმიერი ძმობაც, ერთმანეთს გადაჭდობილი, როგორც ჩვენი სახელები გადაეჭდო ერთმანეთს მას შემდეგ, რაც ერთად მოვსინჯავდით ქართულ ვერსიას შერვუდ ანდერსონის ნოველისა „ნეტა მაცოდინა“.

ის ასაკობრივი განსხვავება, რაც ჩვენ შორის არსებობს, სათქმელადაც არა ღირს ამჟამად, ის კი არა, ორი-სამი ათწლეულიც აღარაფერია, მაგრამ ხომ არის დრო ბავშვობაში, როდესაც ერთი და ორი წელი კი არა, ორიოდე თვეც მნიშვნელოვანი განსხვავებაა?!.

ჯერ კიდევ იმ დროიდან აეწყობოდა ჩვენი ურთიერთობა ისე, ეს განსხვავება სრულიად არ მიგრძვნია.

მე მყავდა ჩემი ტოლი ძმა, რომელთანაც საუკეთესოდ ვგრძნობდი თავს.

და იმავდროულად მყავდა ჩემზე უფროსი ძმა, რომლისგანაც ბევრს ვსწავლობდი, ბევრს ვითვისებდი და მეიმედებოდა და მეამაყებოდა, რომ ასეთი სანდო მეგზური მიმიძღოდა... და მინდოდა, რომ ღირსი ვყოფილიყავი ამ ნდობისა.

საქართველო ყოველთვისაც დარჩება სიტყვა „ძმა“ მიმართვისათვის.

და თუ რაიმეს ვისურვებდი, შენისთანა ძმა მისცა ყველას — ზოგს სისხლისმიერი, ზოგსაც — სულიერი.

და თუ ორივეა, სულიერება და სისხლისმიერობა ერთმანეთს შეზავებული, — ეს მე მკითხეთ, რასაც ნიშნავს. მკაფიოდ თუ ვერ აგიხსნით, მიგახვედრებთ მაინც, შორეულად, მაგრამ ვარსკვლავთა იდუმალი ციმციმივით.

ავტობიოგრაფიული რომანი ნეკროლოგიდან ამოფხეკილ წლებზე

(ანონსის მაგიერ)

ამ ავტობიოგრაფიულ რომანს გამოხმაურების გარეშე ისედაც არაფრისდიდებით არ გავუშვებდი:

მიხეილ ზანდუკელის „ჩემი ცხოვრების გზაზე" („აზრი", 2015), გამოცემას მომხიბლავ შტრიხს რომ შესძენდა საოჯახო ფოტოკოლექციიდან გამოყენებული მასალა.

იგი გახლდათ თვალსაჩინო სახელი ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობისა, ჯერ მარტო სამ ტომად გამოცემული „ახალი ქართული ლიტერატურა" რად ღირს. და მოვალენი ვართ, ხშირადაც ვიხსენებდეთ, ხშირადაც ვიმოწმებდეთ და სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიურადაც ვიყენებდეთ მის საგულისხმო დაკვირვებებს, მიგნებებს, დასკვნებს.

აგერ დოკუმენტური პროზის ოსტატადაც უნდა წარმომდგარიყო, მისი მოგონებანი ჩინებულ ნიმუშად რომ გამოჩნდა ამ ჟანრისა და შეგვივსო ცოდნა ქართულ ციხე-გულაგიანაზეც.

არც პარადოქსულობა მოაკლდებოდა მის ბიოგრაფიას,

ნოდარ შამანაძეს რომ უნდა შემოენახა მემუარების წიგნში „აკრეფილი თავთავები" აკაკი შანიძის სამგლოვიარო სიტყვის ის დამაფიქვრელი ნაწყვეტი, მიხეილ ზანდუკელის დასაფლავებისას რომ წარმოთქვამდა უნივერსიტეტის ეზოში, სადაც 1988 წლის 7 აპრილს უამრავი ადამიანი მოიყრიდა თავს:

— ნეკროლოგში რამდენიმე წელიწადი გამოტოვებულია. მოაშორეს თავის საყვარელ საქმეს და სადღაც ცივ მხარეში მიუჩინეს ადგილი. ვინც ეს საქმე მოუწყო, 70 წლის იუბილეზე ალბათ სადღეგრძელოებს ეუბნებოდა.

ეს სიტყვები ზოგადად არ ითქმოდა — ადვილი შესაძლებელია აკაკი შანიძეს კიდეც ამოეცნო სახეგადაბადრულ მიმლოცველებში ის ადამიანები, ოდესღაც ასე უღმერთოდ რომ გაემეტებინათ ეს კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება, მოქალაქე, მეცნიერი.

დიახ, გამოხმაურების გარეშე ანკი ისედაც როგორ გავუშვებდი, მაგრამ ამ ავტობიოგრაფიულ რომანში არის პასაჟები, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რაკილა ეხება 1942 წლის შეთქმულების მონაწილეებს, მის ასპირანტებს: გიორგი ქადაგიძეს, გიორგი იმერლიშვილსა და კოტე ჯოგლიძეს — რომელთა ზანდუკელისეული დახასიათებაც მეტად მნიშვნელოვანია და ძალიანაც გამომადგება იმ ჰეროიკული გაბრძოლების ქრონიკების ხელმეორე გამოცემისას, ისედაც საკმაოდ რომ არის შევსებული, მაგრამ კვლავდაკვლავ დავეძებ ახალ-ახალ მარცვლებს, დეტალებს, შტრიხებს, ეპიზოდებს, რათა 1942 წლის შეთქმულებაც და სამანური მოძრაობაც რაც შეიძლება კანთიელად და სრულყოფილად გამოიკვეთოს.

იმ გამოცემის შემავსებლადაც დაიწერებოდა „ნეკროლოგიდან გამქრალი წლები (ტუსაღობის ხანა მიხეილ ზანდუკელისა)", თავდაპირველად „მწვანეყვავილას" მე-5 ნომერში რომ მიეჩინებოდა ადგილი.

მიხეილი გამომძიებლების წინაშე უარყოფდა იმ ბრალდებას: უნივერსიტეტში არალეგალური ორგანიზაცია არსებობს და შენ ხელმძღვანელობო, — და არც იმ სამი ასპირანტის მონაწილეობას დაადასტურებდა იატაკქვეშა მოძრაობაში, საქებარ სიტყვებს კი არ დაიშურებდა მათ მიმართ.

გიორგი ქადაგიძეს დაახასიათებდა როგორც: ნიჭიერ, უნარიან, ენერგიულ; ნაწარმოების, მწერლისა და ლიტერატურული მოვლენის არსის სწრაფ და სწორ მიმხვედრს, ორიგინალურ მოაზროვნეს, გარეგნულად თითქოს უხეშს — რაც ახასიათებთ მთიელებს — მაგრამ იშვიათი, დახვეწილი მხატვრული გემოვნების პატრონს.

როდესაც გიორგი იმერლიშვილი მოინდომებდა

მიხეილთან ასპირანტურის კურსის გავლას, ლექტორი გაანუცხადებდა, რომ აუცილებლად მოეთხოვებოდა რუსული

ენის კარგად ცოდნა. და ეს ღარიბი, ობოლი ბიჭი გაემგზავრებოდა მოსკოვში, იქ ბიბლიოთეკაში იშოვნიდა ადგილს ქართული წიგნის განყოფილებაში და, ნახევრად მშიერ-მწყურვალ-შიშველი, აითვისებდა რუსულ ენას. და ეს იმიტომ, რომ მთელი ძალ-ღონე მოეხმარა ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათვის.

სტატიაში ჩავრთავდი საგულისხმო ცნობებს რევაზ კვერენჩხილაძის შესანიშნავი ორტომეულიდან „წამების გზა (დახვრეტა, გადასახლება, დევნა)", კერძოდ:

ნაცისტთა ტყვეობიდან გამოსული შოთა კეკელიას დაკითხვას შინსახკომში, ის რომ გაიხსენებდა ტყვეობაში მყოფ ვიღაც ჯოგლიძეს, რომელსაც აინტერესებდა ამბავი თავისი ბიძაშვილი ჯოგლიძისა, ავჭალის სამხედრო ნაწილში რომ იმყოფებოდა, და როდესაც შეიტყობდა, დაუჭერიათო, მის გალანძღვას არ მოერიდებოდა:

ფაშისტურ ორგანიზაციაში შედიოდა, პროფესორ ზანდუკელთან იყო დაკავშირებული, მერე ტყვედ უნდა ჩავარდნოდა გერმანელებს და აქეთ ისე გადმოსულიყოო.

ეს ამონაწერი მიხეილის საქმეშიც რომ გაჩნდებოდა, გამოძიებას მიეცემოდა საშუალება, იგი შეთქმულ ასპირანტთა სატრიბუნალო საქმესთან დაეკავშირებინათ.

მიხეილი უარყოფდა რაიმე ფარულ მოლაპარაკებას კოტე ჯოგლიძესთან, და დაადასტურებდა მხოლოდ, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, როგორც მასწავლებელსა და მოსწავლეს.

თუმც მიხეილის საქმეს მიუმატებდნენ 1942 წლის შეთქმულების წევრის აბო ფარეშიშვილის სიტყვებს:

— ზანდუკელი თავისი ლექციებით ხელს უწყობდა სტუდენტთა ნაციონალისტურ აღზრდას.

რაც რევაზ კვერენჩხილაძეს სავსებით მართებულად ავარაუდებინებდა:

ეს ჩვენება საგანგებოდაა გამოგლეჯილი ამ ორი საქმის გადასაბმელადო.

როდესაც ცივ შორეთში გადასახლების დადგენილებას წაუკითხავდნენ, მისი მოსმენა პატიმარზე სამწუხარო შთაბეჭდილე-

ბას სულაც არ მოახდენდა, ის კი არა, თითქოს რაღაც სიმსუბუქესაც იგრძნობდა — მოეშვებოდა ამ ციხის საშინელ, სულისა და გულის შემხუთავ მძიმე რეჟიმს და იქნებოდა თავისუფალ გადასახლებაში — ცასა და მიწას მაინც შეხედავდა თავის ნებისად.

ხოლო როდესაც სასჯელის ვადა გაუთავდებოდა და დაუბრუნდებოდა თბილისსა და უნივერსიტეტს, ფარული თვალყურის დევნება გაგრძელდებოდა; და თუმც მიხეილი ფრთხილი და ჩაკეტილი ცხოვრებით იცხოვრებდა, ოპერრწმუნებული წარადგენდა დასკვნას უშიშროების კომიტეტში: მაინც დაპატიმრება მიმაჩნია საჭიროდო.

თუმც უფროსობა არ გაიზიარებდა ამ მოთხოვნას და 1948 წლის 13 დეკემბრის რეზოლუცია ამგვარი იქნებოდა:

— დაპატიმრებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავეთ და აქტიურად ადევნეთ თვალი.

ამასობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ისე უნდა შემოტრიალებულიყო, რომ:

მიხეილ ზანდუკელი შინაგან საქმეთა მინისტრის ავქსენტი რაფავას გასამართლებასაც უნდა მოსწრებოდა, თვითონ მას კი საქართველოს უმაღლესი სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოუტანდა 1856 წლის 19 სექტემბერს.

ეგ არის:

მისი ნეკროლოგიდან ამოიშლებოდა ის ავადმოსაგონარი წლები — ვითომ არც ყოფილიყოს, ხოლო 80 წლის იუბილესაც რომ მოსწრებოდა, სადღეგრძელოებში — ეჭვიც არ შეგეპაროთ — ყველაზე მეტად ისინი გამოიდებდნენ თავს, ეს სატანჯველი რომელთაც გამოეტარებინათ მისთვის.

...საბჭოთა ეპოქის პარადოქსებში თუ რაიმეა ჩვეულებრივი მოვლენა, მათ შორის:

წიგნები ამოშლილ წლებზე, ამოფხეკილ წლებზე, გამქრალ წლებზე, წიგნები, რომლებიც არ ეპუებიან დროის მსახვრალ დინებას და ქმნიან სურათებად და პანორამად იმ მხატვრულ-დოკუმენტურ რეალობას, ეპოქის სულში რომ გვამოგზაურებს და ბნელ ჯურღმულებს გამოგვიმზეურებს, მიხეილ ზანდუკელის ავტობიოგრაფიული რომანი — „ჩემი ცხოვრების გზაზე“ — რის დრამატულ და სახიერ ნიმუშადაც წარმოგვიდგება.

წარმატებული გარღვევა დასავლეთისაკენ

(დეპეშად შოთა იათაშვილს)

ჩემო შოთა,

მე გადავიტანე კრიზისი იმ სნეულებისა, რომელიც შენც შეგყრია (ვიმედოვნებ — ბევრად იოლი ფორმით), სისუსტე ჯერაც გამომყვა და ამიტომაც გამიჭიანურდებოდა წაკითხვა შენი მაქსიმალისტური რომანისა „დამწყები“, რომელიც წარმომიდგებოდა თავისებურ შეჯამებად (შენ კი გემახსოვრება ამ სახელწოდების — „შეჯამება“ — ავტობიოგრაფიული რომანი სომერსეტ მოემისა) იმ მხატვრულ-ესთეტიკური ძიებებისა, რითაც ასეთი მკვეთრი კვალი დააჩნიე ჩვენს სალიტერატურო პროცესს:

ლექსით, ნოველით, მოთხრობით, კრიტიკულ-ესეისტური თხზულებით, ლიტერატურული დიალოგით, რედაქტორული მოღვაწეობით, შენივე სახითა თუ დიანური ნიღბით, თამაშის ესთეტიკაც ასერიგად რომ გემშობლიურება.

ისეთ სითბოდ ჩამელვრებოდა გულში, ამ რომანს რომ უძღვნი სულს იოანე ბატონიშვილისა, „ხუმარსწავლის“ ავტორისა.

ჩემს შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს უსათუოდ მივაწიჭებ ლიტერატურულ ფორმას, განსაკუთრებით მთავარი გმირის ხასიათი რომ წარმომიდგებოდა ორიგინალურ და შთამბეჭდავ მოვლენად — თან შენ რომ ხარ და თან არცა ხარ... თუმც ეს ისე, თორემ თვითონ ხასიათია ისეთი ხელოვნებით წარმოსახული, ჯერ მარტო მისი ხვეულებისათვის თვალის მიდევნება ღირს ერთ რამედ და...

თუმც ამ ყოველივეს ჩაფიქრებული გამოხმაურებისათვის შემოვინახავ.

ამჯერად მხოლოდ ამის თქმას ვიკმარებ:

„დამწყები" იმ რანგის მოვლენათაგანია, როდესაც აღარ იცი, ჯერ ავტორს მიულოცო წარმატება თუ ჯერ ლიტერატურას — ახალი შენაძენი.

მე მაინც მირჩევნია, ჯერ ქართულ მწერლობას მივულოცო ამ რომანის გამოჩენა.

და როგორ არ ვუძღვნა მადლობა მწერალთა სახლსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერისათვის და გამომცემლობას „პალიტრა ელი", რომელიც ასე ენერგიულად ამოგიდგებოდა გვერდით, მე და ჩემისთანებს კი მოგვეცემოდა საშუალება, ერთხელ კიდევ განგვეცადა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ლიტერატურა, რას ნიშნავს თანამედროვე ქართული რომანის დონე, რას ნიშნავს წარმატებული გარღვევა დასავლეთისაკენ...

ოჯახიშვილობის მადლი

(სადღეგრძელოს მაგიერ ლაშა თაბუკაშვილს)

ჩემო ლაშა,

როგორ განვიცდით, როდესაც იფიტებიან, უსახურდებიან თუ უფასურდებიან ძვირფასი სიტყვები, ჰკარგავენ არამარტო ღირსებას, არამედ მნიშვნელობასაც.

ასე გაუსახურდა გვარიშვილობა.

ოჯახიშვილობაც ასე გაუსახურდა.

მაგრამ საბედნიეროდ არიან ადამიანები, ის მცირენი, ქვეყნის მარილად რომ იწოდებიან მაცხოვრის მიერ, და კიდეც უბრუნებენ სიტყვებს დაკარგულ ღირსებასაც და მნიშვნელობასაც და თავიანთ ზურგზე გადააქვთ ეს ზნეობრივი მოვალეობა — მძიმე და მსუბუქი ტვირთი ერთსადაიმავე დროს.

და შენ გვეგულები ყველას იმ მცირე კაცთაგან, რომელნიც უბრუნებენ გვარიშვილობას თავის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

ოჯახიშვილობასაც აღუდგენენ თავის უპირველეს დანიშნულებას.

და კიდევ არაერთ სიტყვას ასხურებენ მაცოცხლებელ წყალს და მთელი თავიანთი სიღრმითა და ტევადობითაც გადაგვიშლიან თვალწინ.

ეს ხდება მათი ცხოვრების წესით.

და რაოდენ ღირებულია, როდესაც ცხოვრების წესს ემატება მხატვრული სიტყვის ოსტატობაც, მოხდენილ ნოველებად, მელოდრამატულ თუ მძაფრი სულისკვეთებით განმსჭვალულ პიესებად, აგერ კიდევ გამორჩეულ რომანად „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!" გადმოღვრილი.

როდესაც გერონტი ქიქოძე თავისი ავტობიოგრაფიული რომანის „თანამედროვის ჩანაწერები" ფურცლებზე ლაკონიურ

და ტევად დახასიათებაში მოაქცევდა გიორგი ლასხიშვილის სილუეტს, ერთი რჩეულ კაცთაგანისა, რომელიც ძალზე თავმდაბლად აფასებდა თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას, მკითხველს ამცნობდა, რომ:

ეს პიროვნება თავისი გულთბილობით, გონებამახვილობითა და ტაქტით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც საზოგადოების სამკაულს წარმოადგენდნენ.

ეს სტრიქონები, ეს მეტაფორული გააზრება პირდაპირ შეიძლება განმეორდეს შენზეც, როგორც საზოგადოების სამკაულზე, თავისდაუნებურად ბევრ რაიმეს რომ განსაზღვრავ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების მდინარებაში და რჩები იმ ორიენტირად, რამაც უნდა შეგვახსენოს ხოლმე:

რასაც ნიშნავს გვარიშვილობა.

ოჯახიშვილობა რასაც ნიშნავს.

ასწლოვანი თარიღისა და მეგვარტომეობისათვის

(დღიურის ფურცლებიდან)

ასი წელი მაინც ასი წელია.

თუმც ოთარ ჩხეიძეს საუკუნე რომ ამოეთავებინა, კვლავაც ისეთივე წინააღმდეგი იქნებოდა იუბილის აღნიშვნისა, თუნდ ყოველგვარ ზეიმს მოკლებულისა, როგორც მთელი თავისი ცხოვრება.

როდესაც შეუსრულდებოდა 50, 60 და 70 წელი, საქართველოს მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარეები — გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე და მუხრან მაჭავარიანი — მოინდომებდნენ ოთარ ჩხეიძის საიუბილეო თარიღის აღნიშვნას, მაგრამ „ბორიაყის" შემოქმედი შორს დაიჭერდა.

ის კი არა:

„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზეც კი არ გაააჭაჭანებინებდა ვახტანგ ჭელიძეს რაიმე მისალოცს.

მუხრან მაჭავარინის ხელმძღვანელობისას მწერალთა კავშირის სამდივნო გულს ატკენდა ოთარ ჩხეიძეს და მუხრანი სთხოვდა:

— დამიჯერე, უნებურად მოხდა ის ყველაფერი და მომეცი საშუალება, გამოვასწორო და გამოვხატო შენდამი ჩემი დამოკიდებულება.

აირიდებდა საბოდიშო სიტყვებს ოთარ ჩხეიძე:

— გამოსასწორებელი განა რა შეიძლება გქონდეს, ჩემი ერთი ყველაზე საყვარელი პოეტი ხარ... უბრალოდ არ შეიძლება იუბილეების გაუფასურება. თუ გაიმართება, რაღაც განსაკუთრებული მოვლენა უნდა იყოს ერის ცხოვრებაში... რაფიელ

ერისთავის იუბილემ როგორც შეჰკრა მთელი ერი, აკაკი წერეთლის იუბილემ როგორც შეჰკრა მთელი ერი... ისე იუბილის აღნიშვნა პოეტისათვის უფრო შესაფერისია... აი შენი საიუბილეო საღამო თუ გაიმართება, სიამოვნებით გამოვალ სიტყვით, გნებავს მოხსენებით... სხვა თუ არაფერი, როგორღაც მიიკარგა შენი ის პოეტური ციკლი „1832“ და შესაფერისი წამოწევა და დაფასება ესაჭიროება...

ასი წელი მაინც ასი წელია.

მაგრამ ოთარ ჩხეიძე სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა — აირიდებდა, ყოველნაირად აირიდებდა თუნდ ყოველმხრივ მოწესრიგებულ საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობაშიც...

გავითვალისწინებდით მის პიროვნულ ბუნებას და, არამცთუ ახლავე, საერთოდაც არ მოვინდომებდით რაღაც განსაკუთრებულს, მისი მწერლური, საზოგადოებრივი და ზნეობრივი ღვაწლისათვის შესაფერისს.

თუმც სულ უხმოდ და უკვალოდაც როგორ უნდა ჩაევლო ამ თარიღს!..

ამჯერად „ლიტერატურული გაზეთის“ გამოხმაურებას გამოვარჩევ, ორიგინალურს და ისეთს, ოთარ ჩხეიძის სახელს რომ დაშვენდება.

გაკვრითაც არ გაიელვებდა, 100 წელი რომ უნდა შესრულებოდა მწერალს 28 ნოემბერს.

რედაქციის პოზიცია გამოიხატებოდა იმით, რომ:

27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდებოდა ფრაგმენტები ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიული რომანიდან „დროდადრო“ — გაზეთის პირველ გვერდს რომ გახსნიდა და კიდევ სამი გვერდი დაეთმობოდა.

მცირე ნაწილს ამ 1000-გვერდიანი ქმნილებიდან ცალკე წიგნადაც გამოსცემდა „ინტელექტი“ 2010 წელს სერიით „ჩანაწერები“, ცალკეულ ნაწყვეტებს კი მკითხველი გაეცნობოდა ჟურნალების — „თეატრი და ცხოვრება“ და „გორის უნივერსიტეტი“ — ფურცლებზე.

და ახლა კიდევ ეს სოლიდური პუბლიკაცია, რომელიც მოიცავს 1995 წლის ბოლო ორი დღისა და 1996 წლის აპრილის დამდეგის შთაბეჭდილებებს.

მიუხედავად მცირე მონაკვეთისა:
მინიატურების ასხმულა.
მიუხედავად მცირე მონაკვეთისა:
სილუეტების გალერეა.

გარდა ოთარ ჩხეიძის ამ უცნობი ჩანაწერებისა, ამავე ნომერში დაიბეჭდებოდა თქვენი მონა-მორჩილის წერილიც: „გორის ინსტიტუტი: დოკუმენტური თავგადასავალი“ — შესანიშნავი მკვლევარის იოსებ ალიმბარაშვილის წიგნზე: „გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიიდან (ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი)“, საარქივო მასალებზე რომ ამოიზრდებოდა და წარმოსახავდა ერთიან პანორამას, მრავალმხრივ საგულისხმოსა და დამაფიქვრელს, აღსავსეს დრამატიზმითაც, რაკიღა ამ ინსტიტუტის ცხოვრებასაც უნდა აერეკლა არამარტო გორის, არამედ მთელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობა ათწლეულთა განმავლობაში.

იოსებ ალიმბარაშვილის წიგნის რამდენიმე თავი: ორ ნაწილად გაყოფილი ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტის ყოფა: 1935-65 და 1966-85 წლების მომცველი, აგრეთვე „სერგი მაკალათია და ისტორიის კათედრა“ და „მარისტების“ საქმე“ არსებითად აღადგენდა იმ სურათებს, რის შესახებაც მოგვითხრობდა ოთარ ჩხეიძის რომანი „ჩემი სავანე“, ხასიათებისა და პორტრეტების ქარგაზე გაშლილი და მოგონებათა ძაფით შეკრული.

ჩემი სტატია მიეძღვნებოდა უშუალო გადაკვეთის წერტილებს ამ ორ წიგნს შორის, როგორ ავსებდა ერთიმეორეს მემუარები და საარქივო მასალები; და თავისთავად გამოიკვეთებოდა, რარიგ დაშვენდება „ჩემი სავანის“ ახალ გამოცემას ამონარიდები იოსებ ალიმბარაშვილის მიერ ასეთი გარჯით, ასეთი რუდუნებით შეგროვებული მასალებიდან — კომენტარებად თუ ვრცელ ექსკურსებად.

მონოგრაფიის ავტორი ძიებებს კვლავაც განაგრძობს ამ მიმართულებითაც და მაშ „ჩემი სავანის“ დანართი კიდევ უფრო ვრცელიც იქნება.

27 ნოემბრის ნომერი 27 ნოემბრის ნომრად და:

13 ნოემბრის „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდა ნანა კუციას„მეგვარტომობის იგავი“, მიძღვნილი თქვენი მონა-მორჩილის წიგნისადმი: „ჩემი საგვარეულო შტო (ჩხეიძეთა ბიოგრაფიული ნატეხები)“ — რომელიც ერთი გვარის თავგადასავლის მაგალითზე წარმოსახავდა იმ რწმენასა და სულისკვეთებას, რომ:

არც ადამიანი ვარგა უგვაროდ და არც სახელმწიფო!..

ანუ:

მის სულისკვეთებას განსაზღვრავდა ოთარ ჩხეიძის შეგონება:

— უგვაროდ ერიც რო არ იქნება რაღა თქმა უნდა.

და კიდევ ის, რომ:

— გვარი უნდა გადარჩეს. გვარი, კეთილი ნერგი.

„ჩემი საგვარეულო შტო“ გულისხმობდა ქართლის ჩხეიძეების შტოს, რომელსაც სათავეში ედგნენ გორგასალ ჩხეიძე და მისი ვაჟი ბეჟანი (ლევან გოთუას „უგზო ქარავანის“ პერსონაჟებადაც გარდასახულნი!), და არაერთ სხვა ღირსეულ პიროვნებასა და მოღვაწესთან ერთად ამშვენებდა სეხნია ჩხეიძეც, ისტორიკოსი და მეომარი, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი გიორგი მეთერთმეტისა, მასთან ერთად მყოფი ირანსა თუ ავღანეთის უდაბნოებში, უცხოელი ისტორიკოსები საუკუნეებია რომ დაწაფებიან მის მატიანეს, რომლის გამორჩეულ მნიშვნელობასაც ასე შთამბეჭდავად წარმოაჩენდა ქართველი კარლაილი თამაზ ნატროშვილი.

სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ ბოლო ხანს უნდა გამოექვეყნებინა თამაზ ლაცაბიძეს, რომლის მონოგრაფიულ თხზულებასაც — „ქართლის ჩხეიძეები“ — უნდა დაყრდნობოდა „ჩემი საგვარეულო შტო“.

ჩინებული მკვლევარის მიერ მოძიებული საარქივო მასალები, სრულიად უცნობი დოკუმენტური ცნობები ძალიან წამადგებოდა ჩხეიძეთა ბიოგრაფიული ნატეხების ამოსამზეურებლადაც და კომპოზიციური ქარგის შესაკვრელადაც.

კომპოზიციური ქარგისა:

დრამატული გზა იტრიიდან ყელქცეულამდე, ქართულ იოკნაპატოფამდე.

ნანა კუციას სტატიას „მეგვარტომობის იგავი“ კი უნდა წარმოეჩინა, თუ როგორ მექცია თამაზ ლაცაბიძის ისტორიული ნარატივი პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ნარატივად.

და თუ როგორ აგრძელებდა ოთარ ჩხეიძე სეხნია ჩხეიძის გზას, როგორც მემატიანისას.

სტატიის სათაური კი ავტორს მსჯელობისას ამგვარად უნდა გაეშიფრა ბოლომდე მკითხველისათვის:

„მეგვარტომობის იგავი“ — გურამიშვილისეული დეფინიცია არქეტიპად ექცევა ყველას, ვინც ისტორიის ლაბირინთში პირად-გვაროვნული სივრცის მონიშვნას მოიწადინებსო.

და კიდევ:

გვართა ფერადოვნება ქმნის ერის ფენომენს. ამადაც ამოწერს წიგნთა წიგნის ორივე აღთქმა დეტალურად გამორჩეულ მოდგმათა ნუსხასო.

ნანა კუციასათვის ნიშანდობლივი ღრმა სტატიაა, თავისებურად ქრესტომათიულიც თავისი მასშტაბურობითა და შინაგანი სივრცით, „ჩემი საგვარეულო შტო“ ფართო მსჯელობის საშუალებას რომ მისცემდა.

თუმც ამჯერად იმის თქმა უნდა ვიკმარო:

წინარე საფეხურად რომ მოგვეევლინებოდა „მეგვარტომობის იგავი“ ოთარ ჩხეიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომრისა, შესაფერის შემამზადებლად თარიღისა, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო ზერელე, ვალმოსახდელი, დითირამბული, არამედ — საქმიანი და მხოლოდ საქმიანი.

სწორედ ეს განზოგადებული მხარეა ჩემთვის მნიშვნელოვანი და ამადაც მოვინდომებდი შეხმიანებას რედაქციასთან ამ ჩანაწერის ფორმით, თორემ სუბიექტურად ძალიანაც რომ გამეხარდებოდა ამ ორი ნომრის გაცნობა, ამას ირაკლი ჯავახაძესთან ტელეფონის ზარითაც გამოვხატავდი.

ასი წელი მაინც ასი წელია.

და ოთარ ჩხეიძის სახელსაც „ლიტერატურული გაზეთის“ ამგვარი გამოხმაურება შეჰფეროდა — გარეგნულად თავდაჭერილი და შინაგანად ბევრისმთქმელი, გარკვეული ნიმუში და თარგი, ლიტერატურული ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას რაც წაადგება, და ამ ბუნებრიობის სილამაზესა და განსაკუთრებულობასაც ხელშესახებად განგვაცდევინებს.

რას ბუბუნებენ თუშეთის ტყეები

(შეხმიანება გიორგი იჩუაიძის „თუშეთთან“)

რა არის მაინც პოეტური სიტყვა, მარჯვედ მოქნეული სტრიქონი, გონებამახვილურად მიგნებული მეტაფორა.

რამდენ რაიმეს იტევს და განგვაცდევინებს, იმ უცნობი მელექსის სტრიქონისა არ იყოს:

ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისიაო!..

დალევა მხარისა მტერსა და ავსაც არა, მელექსე ამ საშიშროებას იმიტომ რომ მიგვანიშნებდა, რათა ეს მხარე უპირველესად მაინც ზეცის ნაპირად გაეაზრებინა.

მოტეხილ ნაპირად: თუკი საქართველო ასე გაიწირებოდა.

და შემამაგრებელ, განმამტკიცებელ ნაპირად: თუკი საქართველო სახელმწიფოდ შეინარჩუნებდა თავს და ტოლ-სწორობასაც შეეცდებოდა სხვა ერთა შორის საერთაშორისო სივრცეში.

მიწის, სახელმწიფო ტერიტორიის საზღვარს ამაგრებდი?

მაშ ცის ნაპირადაც შენვე უნდა დაგვეგულებინე, რადგანაც უხილავი ძაფები აკავშირებს მიწასა და ზეცას და არც არასოდეს გაწყდება, ვიდრე რწმენიდან არ გაგვიქრება მათი არსებობა; და ვიდრე ამ თვალთახედვით არ გავზომავთ ჩვენს ამქვეყნიურ ვალსა და მისიას.

ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისიაო..

რამდენ რაიმეს იტევსო და:

წიგნებსაც იუნჯებს თავის უბეში, აუცილებლად დასაწერ წიგნებს, ამ უბეში რომ უნდა იპოვნო შთაგონება და ფურცლებზე გადმოღვარო შენთვის შესაფერისი ჟანრის კვალობაზე.

ოღონდ თუშეთის უბეში იპოვნო ერთი პირობით:

ბოლომდე შეთვისებული, შეგრძნებული, გააზრებული უნდა გქონდეს ეს მხარე, მისი თვითეული ხე და ბუჩქი, მისი თვითეული ლოდი და კენჭი...

რაო, მინდიასებურად?

დიახაც მისი სული უნდა ჟოლავდეს შენში, გიორგი იჩუაიძისა არ იყოს, ერთბაშად რომ მოხვევდა ყველაფერს ხელს, თუშეთის წარმოსაჩენად რასაც დაისაჭიროებდა, და კიდეც გარდასახავდა მონოგრაფიულ თხზულებად, სანდო და საიმედო გზამკვლევად მოგზაურთა და ტურისტთათვისაც, ეს მარშრუტებიც რომ უნდა დაეზუსტებინა და განესაზღვრა ერთ-ერთ ქვეთავში.

ამ მონოგრაფიული თხზულების „თუშეთი" („უნივერსალი", 2020) მესამე თავს გიორგი იჩუაიძე თუშეთის ტყეების ძირფესვიან შესწავლას რომ დაუთმობდა, ანუ აუცილებლად მიიჩნევდა სამეცნიერო-პოპულარული ყაიდის წიგნში ამ პანორამის წარმოდგენასაც, თან დასძენდა:

ძალზე სპეციფიკური სფეროა და ბევრისათვის უინტერესო, მაგრამ საჭიროო.

რაკიღა თუშეთი ჩრდილოეთ კავკასიას წარმოადგენდა, ამიტომაც მისი ფლორა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან სრულიად განსხვავდებოდა.

და ავტორს კიდეც უნდა წარმოეჩინა საქართველოს სხვა ტყეებისაგან განმასხვავებელი ნიშნები.

აგერ ტყის ტიპი — ფიჭვნარი დეკით.

დათვის თხილის კორომი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ვრცელდებოდა, ფიჭვი — 2700 მეტრზე.

და თუ რაიმეს მიიჩნევდა ამ მონოგრაფიის მონაპოვრად გიორგი იჩუაიძე:

თუშეთის ფიჭვნარების ზრდის მსვლელობის ცხრილს რომ გამოაქვეყნებდა.

ამ ცხრილის მეშვეობით:

ხის მხოლოდ დიამეტრის გაზომვით შეიძლებოდა ხისა და კორომის ყველა ნიშნის — სიმაღლე იქნებოდა, მარაგი, შემატება თუ სხვა — დახასიათება.

მესამე თავი წიგნის ნახევარს მოიცავდა და, თუ პირველ ორ თავში, ბუნებრივ-ისტორიული პირობები და ეთნიკურ-ისტორიული საკითხები რომ წარმოისახებოდა, მეცნიერული ანალიზი შეზავებულიყო და გახალისებულიყო საგულისხმო ამბები-

თა და ეპიზოდებით, ეს ნაწილი მკაცრ მეცნიერულ სტრუქტურაზე აგებულიყო.

და გულს ამიტომაც აკლდა მკვლევარს:

ბევრისათვის უინტერესოო.

თუმც უთუოდ გადაჭარბებული უნდა იყოს ეს შეგრძნება, რადგანაც თუშურ სამყაროში შესული მკითხველი, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი კვლევა-ძიებისა და თხრობის შუაგულში მოქცეული, ამ ნაწილსაც დიდი ინტერესით ჩაჰყვება ბოლომდე.

მითუმეტეს ის მკითხველი, რომლისთვისაც მახლობელი და გზისგამკვალავია ერნესტ ჰემინგუეის ესთეტიკური შეხედულებანი.

იმ ჰემინგუეისა, ერთ საუკეთესო სტილისტად რომ აღიარებულა, თხრობის დიდოსტატად, ახლებური მანერის მამამთავრად.

არადა მიიჩნევდა:

საუკეთესო თხრობა ისაა, დოკუმენტური ცნობებით რომ გადავსებულა და სულაც ცხრილებად ჩამოყალიბებულაო.

თავისი თხრობა, რაც ჩვენ სტილურ ზეიმად მიგვაჩნია, ნაკლული ეჩვენებოდა იმ სტილისტიკასთან შედარებით, ამიტომაც მისკენ მიისწრაფოდა მთელი არსებით და... თურმე ამაოდ აწყდებოდა ცხრილების კედლებს.

პირდაპირ არ უნდა გავიგოთ ჰემინგუეის ეს სიტყვები და რაღაც სხვას უნდა გულისხმობდეს?

აბა რა სხვას — რასაც ამბობს, უშუალოდვეც უნდა გავიგოთ და... ბოლოსდაბოლოს დავაფასოთ ცხრილების ფარული სილამაზეც და მომხიბვლელობაც. ცხადია უტყუარი, სანდო ცხრილებისა, რომლებზე დაყრდნობითაც საგულისხმო მტკიცებანი და სურათები, ყოველმხრივ დამაჯერებელი დასკვნები შეიძლება გადმოიშალოს.

ჰემინგუეის ეს მოსაზრება რამდენჯერმე გამომიყენებია — პავლე ინგოროყვას მიერ შედგენილი დემოგრაფიული თუ სხვადასხვა დანიშნულების ცხრილები ამ თვალსაზრისის ფონზე სულაც პოემებად მეჩვენებოდა! — და ამჯერადაც ის უნდა გავიხადოთ გზამკვლევად, რათა გიორგი იჩუაიძის წიგნის ამ მონაპოვრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩავწვდეთ, შევიცნოთ, შევიგრძნოთ და გავისიგრძეგანოთ.

და ვიგულისხმოთ, რომ:

ჰემინგური გადმოსახედიდან ეს ვრცელი მონაკვეთი გვირგვინია მთელი წიგნისა, რომელიც უნდა გახსნილიყო თუშეთის ამჟამინდელი გარეგნული იერის წარმოჩენით — მისი გეოლოგიური აგებულების, ნიადაგებისა და მცენარეულობის ზოგადი მიმოხილვით.

დიდ დროს წაიღებდა და დიდ ენერგიასაც მოითხოვდა ტერმინთა და სახელწოდებათა დაზუსტება, არადა უამისოდ გაფერმკრთალდებოდა მთელი ეს კვლევა-ძიება, ეს დაზუსტებანი, თხრობაში მიმობნეული, წიგნის კიდევ ერთ მონაპოვრად რომ წარმოგვიდგება.

დაწურულად წარმოდგენილი დიდძალი ცნობები, ჩართული ცხრილებით, უკვე შექმნიდა საყრდენსაც და პირველსაფეხურსაც წიგნის ორიგინალური და მომხიბლავი აღნაგობისა, რაც უმთავრესად მეცნიერულ სფეროში მოექცეოდა, რომ არა მისი პოპულარული სულისკვეთების განმსაზღვრელი ისტორიული პანორამა, აშენება და დაცლა ამ მხარისა, სოფლები და მათი ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოება, ტურისტული მიმზიდველობა და ნოსტალგიური ამბები, გულისშემძვრელი ასხმულა ეპიზოდებისა და გადმოცემებისა, მზამზარეულ სიუჟეტებადაც რომ გამოადგებათ მწერლებს, თორემ თუშეთის რეალობას ხომ აირეკლავენ და აირეკლავენ, შემთხვევითი მხედრის თავგადასავლისა არ იყოს:

ქვემო ალვანელი ქალი ცხენით ტახტის გორაზე რომ წავიდოდა ზღმარტლის მოსაკრეფად, ხურჯინში ჩაჰყრიდა და აჰკიდებდა ცხენს, შინ გამობრუნებულს კი უნდა წამოწეოდნენ დოღის ცხენები, ლალისყურიდან რომ გამოქცეულიყვნენ. დედაკაცის ცხენიც ნაჩვევი ყოფილიყო დოღებში, დალაობის ხმაზე აღელვებულიყო და გარეულიყო დოღის ცხენებში. ქალი ცხენს ვერ დაიმორჩილებდა და ალამთან მეორე მივიდოდა. შავი მანდილი ეჭირებოდა ხელთ და სირცხვილისაგან ტირილს ვერ შეიკავებდა. გაუყვანდნენ ცხენს მოშორებით და წავიდოდა.

ტრაგიკომიკურობის ჩინებული ნიმუში, დასაკარგავად ისევე დასანანი რომ იქნებოდა, როგორც სხვა ნოსტალგიური ამბები.

თუმც თხრობაში ჩართული გადმოცემებიდან განსაკუთრებით მაინც გამოვარჩევდი ეთერ თათარაიძის მიერ ჩაწერილ ამბავს დიკლო-შენაქოს აოხრების ეპოპეიდან, გიორგი იჩუაიძე ამ ჩანაწერს რომ გამოიყენებდა:

თუ როგორ შეყრიდნენ ერთ ოთახში დიდოები პატარა ბიჭებს, რომელთა უმეტესობასაც ხელები ექნებოდა გაკრული. კარი დაიკეტებოდა და კართან ერთი თოფიანი დიდო დადგებოდა ყარაულად, ერთ ქალს რომ დაუძახებდა: წყალი მოგვიტანეო.

ქალი რომ წავიდოდა და თუნგით მოიტანდა წყალს, დიდო აღარ დახვდებოდა გარეთ, ამიტომ შიგნით შევიდოდა და დაინახავდა, დიდო სისხლში რომ ცურავდა.

იქვე იწვებოდა მომაკვდავი დაჭრილი ბიჭი, ამ ქალის ძმისშვილი, მამიდის დანახვაზე რომ ამოიკვნესებდა:

— დაო, ეს დიდო მე მოვკალიდ, სახელსაღ ნუ დამიკარგავენ!..

ეს უკვე სიუჟეტი კი აღარ, გამზადებული მინიატურაა, ნიკო ლორთქიფანიძის „გულის“ სიმაღლემდეც რომ უწევს.

რა მხატვრული ძალისაც არის რუკისა თუ ფოტოსურათის გახმიანება იმ ქრესტომათიულ მინიატურაში: მე დავწვი, მე დავფერფლეო, — გამქრალი გულის შემყურე ექიმები ამ სიტყვებს რომ ვერც გაიგონებდნენ, იმავე დრამატიზმისა და მხატვრული ეფექტისაა:

სახელსაღ ნუ დამიკარგავენო...

ჩანაწერად სახელდებული ეს მინიატურა, სიამაყით აღსავსე ეს ამონაკვნესი თვალნათლივ მიგვანიშნებს იმ ჰეროიკულ სულზე, რითაც განმსჭვალულიყო თუშეთის მხარე, და ეს გმირული შემართება და კვეთება ზეზვა გაფრინდაულის პიროვნებასა და თავგადასავალში გასიმბოლოვებულიყო, გიორგი იჩუაიძე საკმაო ადგილს რომ დაუთმობდა ამ ისტორიულ პიროვნებას; და იმ ხალხური ლექსის „მეტი ვარ საღირის შვილი“ შინაარსს რომ გახსნიდა, მეტი საღირისშვილს ვიღაც სხვა თუშ მეომრად კი არა, ზეზვა გაფრინდაულად მიიჩნევდა.

ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისიაო...

ხოლო ისტორიის ლაბირინთებს რომ გაჰყვებოდა, მოგვაწვდიდა ბერძენი მოგზაურის კლაუდიოს პტოლომაიოსის გეოგრაფიული თხზულებიდან ცნობას:

კავკასიისა და კერაუნის მთებს შორის არიან თუშები და დიდოელებიო.

რაც ადასტურებდა ვახუშტი ბატონიშვილის უწყებას:

მეფე ფარნავაზს რომ დაესვა კახეთისა და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დაესვა ჰერეთის ერისთავი სხვა და თუშთა, დიდოთა და ხუნძახთა სხვა.

იქ კიდევ ლეონტი მროველს უნდა შემოენახა:

მირიან მეფე წმინდა ნინოს ერისთავის თანხლებით რომ გაგზავნიდა მთიელთა გასაქრისტიანებლად ჟალეთსა და ფხოვს, ერწო-თიანელნი ნათელიღებდნენ, ხოლო ფხოველნი დაუტევებდნენ ქვეყანას და გადავიდოდნენ თუშეთს.

ასეთივე ცნობას მოგვაწვდიდა ჯუანშერიც, ვახტანგ გორგასლის შთამომავლის არჩილ მეფის მოგზაურობას რომ აღწერდა კახეთში, მოიხსენიებდა უხუასროს, რომელიც ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა.

გამოხდებოდა ხანი და:

თუშთა უმეტესობა თავს მოსულად მოიხსენიებდა, თავთავისი გვარის წარმოშობაზე კი გეტყოდნენ: ჩემი წინაპარი ხევსური იყო, ფშაველი, კახი, ის კი არა — ქისტი და დიდოო, — რომელთაც თავიანთ მხარეში ვიღაც შემოკვდომოდათ და შურისძიებას გამოქცეოდნენ.

ამ გადმოცემაში სიმართლის ნატამალს დაინახავდა გიორგი იჩუაიძე, რაკილა ამანათობის ინსტიტუტი თუშეთში მაღალ დონეზე განვითარებულიყო და საკანონმდებლო ძალაც შეეძინა.

ამანათობის ინსტიტუტი ანუ:

უცხო მხარიდან მოსულ პირსა თუ ოჯახს სოფლის გარეთ რომ გამოუყოფდნენ საარსებოდ საკარმიდამო მიწის ნაკვეთს და ამ დღიდან მიგრანტს დაერქმეოდა ამანათი. მას სოფელი რამდენიმე წელიწადს აკვირდებოდა და შემდგომ უკვე დაინიშნებოდა თავიანთ წევრად მისი მიღების დღე.

ეს გადმოცემა რამდენად დასაჯერებელი იყო, თუშეთი ძნელსაცხოვრებელი პირობების გამოისობით სასჯელაღსრულების ადგილად რომ მიიჩნეოდა და, საქართველოს მეფეები დამნაშავე პირებს ქვეყნიდან გაძევებას რომ უსჯიდნენ, მათ თუშეთში ასახლებდნენ?

ვერ გაიზიარებდა ავტორი ამ უბრალო მოსაზრებით:

დასასჯელად თუშეთში გადასახლების ფორმა შეუძლებელია იმდენად ყოფილიყო დამკვიდრებული ჩვენს სამეფო კარზე, რომ მას ერთი ეთნიკური მხარე შეექმნაო,

ხოლო ტურიზმის განვითარების პერსპექტივას რომ გახედავდა, თუკი შესაფერისადაც ვიზრუნებდით ამ კუთხეზე, თუშეთს ამ მხრივაც დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო მთელი ქვეყნისათვის, ავტორს... ვენეცია და იქაური 400-ზე მეტი გონდოლა რომ უნდა გახსენებოდა:

როგორც ისინი არიან ვალდებულნი იცოდნენ ვენეციის ისტორია, ასევე უნდა მოეთხოვებოდეთ გიდებსა და მძღოლებს თუშეთის ისტორიის ცოდნაო.

და წიგნის ფურცლებზე გადმოიტანდა ქვემო ალვანიდან თუშეთის ხეობებში მიმავალ გზების მიმართულებებს, ჩამონათვალში სოფელი დართლო და დართლოს აკლდამებიც რომ უნდა შემოცურებულიყო.

ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში უკვე მტკიცედ ჩაჭედილა ანატორის აკლდამები, არადა დართლოს აკლდამებსაც იგივე დანიშნულება ექნებოდათ, 1830-32 წლებში აშენებულთ შავი ჭირის პირველი გავრცელებისას, სნეულნი, რაკიღა დამმარხავი აღარავინ ეგულებოდათ, თავიანთი ფეხით მიდიოდნენ აკლდამაში, წვებოდნენ სიპის საწოლებზე და ელოდნენ სიკვდილის გამოცხადებას.

ჩამონათვალი კი — ანუ თუშური ტოპონიმები — ისეთივე მუსიკალურობით იღვრება ყურში, როგორც საქართველოს ყოველი მხარის ტოპონიმები, ზოგი ადვილად ასახსნელი, ზოგი — ძნელად, ზოგიც — აუხსნელი, თუმც ამითაც არა შავდება რა — ბოლოსდაბოლოს მელოდიას რა ახსნა-განმარტებანი ესაჭიროება.

და ელამუნება ყურსაც და გულისყურსაც:

ალვანიო და ლალისყურიო და ლეჩურიო და სტირიო და გელიას ჭირკეანაო და ფურთკალოო და თორღვას აბანოო და ფიცაროო და სამხევიო და ურცევხიო და აგოხიო და ხისოო და კესელოო და ქუეო და ბოჭორნაო და დოჭუო და წოვათაო და ფარსმაო და ჰელოო და...

ისე სტივენ კრეინსაც მოხიბლავდა მინდიასებური ხასიათი, ლირიკულ გმირს ამ გადმოსახედიდან რომ წარმოგვიჩენდა:

იცოდა, ტყე თუ რას ბუბუნებდაო.

ეს უჩვეულო მადლი, ეს განსაკუთრებული ნიჭი დიდად დაფასდებოდა კრეინის თვალშიც, ბუბუნის ცოდნა იმას რომ ნიშნავდა, ლირიკული გმირი შიგნიდან რომ იცნობდა ტყესა და მის იდუმალებას.

გიორგი იჩუაიძე ტყეს რომ შეთვისებია და შერწყმია, ამიტომაც მოეხსენება, თუ რას ბუბუნებენ ხეები, და არსებითად მის შესწავლას მიუძღვნიდა თავის ცხოვრებას, იმ კვლევა-ძიების მონაპოვარი შემცირებული სახით ამ წიგნშიც რომ შევიდოდა, როგორც მისი ერთ-ერთი საყრდენი, ავტორს გულს რომ დააკლდებოდა, გასაცნობად ცოტა უინტერესო ხომ არ გამოვიდაო.

უინტერესო კი არა, ეს არის წიგნის მთავარი ძარღვი, თხრობაში ჩართული ცხრილები ხომ სულაც მისი მშვენებაა, — დაბეჯითებით შეგვაგონებს ერნესტ ჰემინგუეის რომელიმე მოთაყვანე, ხელთ თუ ჩაუვარდება გიორგი იჩუაიძის არაორდინარული „თუშეთი“.

არა რა:

ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისიაო...

ლელა ხოჭოლავას კომენტარი:

ემოციით ვკითხულობ ხოლმე თქვენს ყველა გამოხმაურებას, მაგრამ ამ ემოციასთან სხვა არაა მოსატანი... სულ რაღაც ერთი თვეც არ იქნება, ბატონ როსტომს ამ წიგნზე მოკრძალებულად ვთხოვე გამოხმაურება, შეგუებულიც ვიყავი, ამდენი საქმით თვალშეუქცევარს დიდი დრო დასჭირდებოდა ამ წიგნის გასაცნობად, რადგან ვიცით მისიი აქტუალობისა, ყველას რომ მისი კალმით დამწყალობნება სურს და არც მეგონა ასე მალე თუ მოახერხებდა... პირველ რიგში ამ ოპერატიულობისთვის გიხდით მადლობას ავტორის სახელით და მერე იმ ხედვისთვის რითაც თითოეული „ჯერწიგნუნახავი“ მკითხველისთვის საშურწასაკითხთა რიგში ჩააყენეთ ეს წიგნი... ვისაც უნატრია და ჯერ ვერ მოახერხა ამ შეუდარებელი კუთხის ხილვა, უცილოდ პირველი მგზავრი გახდება გაის გაზაფხულს, უფრო

დაინტერესებით ამ ყოველივეს ნატურალობაში, ამ ხალხის ცხოვრებაში, ავტორის მოკრძალებულ ხასიათში და რამდენი რამის წარმოჩინებისთვის კიდევ დიდ-თავშეკავებაში. ათეული წლებია გიორგი იჩუაიძე თვითთონაც ქმნის თუშეთის ისტორიას, თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას, აუცილებლად დამემოწმება მის შეუდარებელ ადამიანობაში... მოკრძალებითაც არ ახსენებს თავის ურთიერთობას თითოეულ „მტკაველ თუშეთთან" რომ აკავშირებს, წლების განმავლობაში ნაკრძალის დირექტორს თუშეთის ტყიდან მოჭრილი ერთი მორი სხვებისგანაც რომ არ შეუსყიდია, დღედაღამ ფშაველი-ომალოს გზას გაკიდებულს არც ავიწყდებოდა ლალისყურში როდის უნდა გაესხლა — გაეშენებინა ვაზი თუ ვარდი, კვლევებით დაადგა თავს არყის ახალ სახეობას რომელსაც პირობითად „იჩუაძეც" დააქვეს. თვითონ არც გვიყვება ამაზე, სამეცნიერო ლიტერატურაში თუ მიაკვლევ.... ჯერ რამდენია კიდევ სათქმელი, რამდენი გაცხრილა, ეს წიგნი ზღვაში წვეთია, თვითთონ მის მიერ მოპოვებულ დაშუშავებულ მასალასთან შედარებით. მარტო ფოტოებით წარგტაცებთ თვალს მისი ესთეტიკური ხედვა; ნისლით დაბურული ხეობებისა, კლდეებზე „მობიბინე" ფხიჯაებისა, ლოდინით თვალამოღამებული კოშკებისა, კლდიდან მოვარდნილი ღვარისა თუ ნაზვარი თოელისა...

„ვიორგი იჩუაიძე ტყეს რომ შეთვისებია და შერწყმია, ამიტომაც მოეხსენება, თუ რას ბუბუნებენ ხეები"

მუზა გიორგი ლობჟანიძისა

(დღიურის ფურცლებიდან)

სიმონ ჩიქოვანს იმ მხრივაც გამოარჩევდა ოთარ ჩხეიძე:

მუზა მისი მეუღლე რომ გახლდათ — მარიკა ელიავა.

და დასძენდა:

ამდენი ლექსი მეუღლისათვის რომ მიეძღვნას პოეტს, ამდენი და ასე ხანგრძლივად — არ მაგონდება სხვა მაგალითიო.

და ესეისაც ასე დაასათაურებდა: „მუზა სიმონ ჩიქოვანისა“.

ფრანჩესკო პეტრარკასაც რომ მიეძღვნა ბევრი ლექსი მეუღლისათვის, მთელი სიცოცხლე რომ სულაც ცოლს უმღეროდა?

მაგრამ უმღეროდა სხვის ცოლს, სატრფოდ რჩებოდა ის პეტრარკასათვის და უმღეროდა სატრფოს თავისას.

პიერ რონსარსაც რომ მიეძღვნა ბევრი ლექსი ცოლისათვის?

მასაც სხვისი ცოლისათვის.

და ოთარ ჩხეიძე მათთან ერთად ტრუბადურებსაც რომ გაიხსენებდა, ამავე მიზეზითა და მოტივით:

უმღეროდნენ სხვების ცოლებს, მხოლოდ სხვებისა, ამათთვის მხოლოდ სატრფოებად რომ იგულისხმებოდნენო.

ნამდვილი პოეზიის დონეს ასე და მხოლოდ ასე ინარჩუნებდნენ, თორემ თავიანთი მეუღლეებისათვის რომ მიეძღვნათ, საალბომო დანიშნულებას ვერ გაცდებოდა ის ნიმუშები.

და აი სიმონ ჩიქოვანი ამ მხრივაც გამოირჩეოდა, რომ თავის მეუღლეს მიუძღვნიდა ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებებს — არც გაბეზრდებოდა და არც სიმძაფრე და აღმაფრენა რომ არ მოაკლდებოდა ამ ნიმუშებს.

დარწმუნებული ვარ, ძალდაუტანებლად მიმოავლებდით თვალს ამ კუთხიდან ქართულ პოეზიას და ცალკეულ შესანიშ-

ნავ ლირიკულ ქმნილებებსაც მოინიშნავდით გუნებაში, ნამდვილი პოეზიის მადლი რომ არ მოაკლდებოდათ.

ოღონდ ამჯერად აღარ გავყვები ამ დინებას და გამოვარჩევ გიორგი ლობჟანიძესა და მის ლირიკულ ციკლს — მიძღვნილს მეუღლისადმი, ირინე ლობჟანიძისადმი, მუზადაც რომ უნდა გარდასახულიყო პოეტისათვის და ჩვენს პოეტურ გალერეაშიც დაემკვიდრებინა მისთვის და მხოლოდ მისთვის შესაფერისი ადგილი — ღრმა და დიდი განცდითა და შთაგონებით შობილი.

მომხიბლავი.

გამორჩეული.

შენაძენი ქართული პოეტური აზროვნებისა.

ხან უშუალოდაც მოხსენიებული მიძღვნაში.

ხანაც გამჭვირვალედ მინიშნებული.

გრძელდება ციკლი, ერთმანეთს ემატება შესანიშნავი პოეტური ნიმუშები და დადგება დრო, როდესაც გიორგი ლობჟანიძის ამ ლირიკულ სერიასაც მოიხსენიებენ როგორც სახიერ მაგალითს მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსების სიმრავლისა და ხანგრძლიობისა.

სხვა განცდები ამღერებდათ ტრუბადურებსაც, სხვა შთაგონებას გაჰყოლოდნენ ფრანჩესკო პეტრარკაც თუ პიერ რონსარიც.

ნამდვილ პოეზიად კი აქცევდნენ თავიანთ სულიერ აღმაფრენას.

და სხვა განცდები რომ აამღერებდათ სიმონ ჩიქოვანსა თუ გიორგი ლობჟანიძეს, სხვა შთაგონებას რომ გაჰყვებოდნენ, ჭეშმარიტ ლირიკულ განცდებად გადმოიღვრებოდნენ, ტოლს რომ არ დაუდებდნენ არავის — მათაც, რომელთაც ეგონათ, რომ სატრფოს შერთვა ცოლად აფერმკრთალებდა პოეტურ შთაგონებას; და მათაც, რომელთაც არ განერჩეოდათ სატრფო და მეუღლე.

და რჩებოდნენ მათ ლირიკაში სატრფოები მუზებადაც, თვალნათლივ, ხელშესახებ მუზებადაც, ის იდუმალებაც კვლავინდებურად რომ მოჰყვებოდათ, შთაგონებას რაც აღავსებს და სიზმარ-ცხადის გადაკვეთაზე ჩამოქნის გულისშემძვრელ სტრიქონებად, განზოგადებულ-გასიმბოლოვებულებად, სიყვარულის ძალმოსილებასა და წარუვალობას ერთხელ კიდევ რომ გვაზიარებს.

პოეტი და მეცნიერი

(სადღეგრძელოს მაგიერ დოდო ჭუმბურიძეს)

დოდო, ჩემო ძვირფასო,

საუკეთესო ხანად ჩემი არსებობისა ის დრო მაგონდება, ის ხუთ წელიწადნახევარი, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში რომ მომიწევდა მუშაობა; და ჩემთვის სულ სხვა სამყაროს კარი რომ უნდა გახსნილიყო, განმსაზღვრელი ჩემი ცხოვრებისა.

და ეს იმ ადამიანების წყალობითაც, ვახტანგ ჭელიძეს რომ შემოეკრიბა გარშემო და ესწრაფოდა ახალი დროის „ივერია“ შეექმნა — საბჭოთა რეალობის მარწუხებში.

ეს ადამიანები იყვნენ თვალსაჩინო თუ კოლორიტული სახეები ჩვენი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ყოფისა, ერთერთ დამამშვენებლად ამ გალერეისა შენც რომ წარმოდგებოდი.

როგორც პოეტს, უკვე დაგემკვიდრებინა შენი ადგილი პირველივე პუბლიკაციებითა და კრებულებით.

და როგორც ისტორიკოსი, სწორედ მაშინ ამუშავებდი მონოგრაფიას, საკანდიდატო დისერტაციად რომ დაიცავდი და იშვიათი წარმატებითაც სულ მალე.

და კვლავაც გამოიცემოდა შენი ლირიკული კრებულები — ხანგამოშვებით, ლექსს რაც უხდება, იშვიათად რომ უნდა იწერებოდეს, იმ აუცილებლობისას, მდუღარე განცდები და ორიგინალური ხილვები როდესაც უნდა მოექცეს ნატიფ, დახვეწილ ფორმაში.

და დახვავდებოდა შენი მეცნიერული ნაშრომები — კვლევაძიებას რაც უხდება: შეუსვენებელი შექმნა ახალ-ახალი ნარკვევებისა და წიგნებისა.

შენი პოეტური გზნება მეცნიერულ ნაშრომში ვლინდებოდა რთული თემების არჩევასა და სრულქმნილ დამუშავებაში, მკაცრ მეცნიერულ მეთოდს არსად რომ არ გადაუხვევდი.

სამაგიეროდ ეს გზნება ამოსკდებოდა ისტორიული პორტრეტების სერიის მომზადებისას, ისტორიული ესეისტიკის ჩინებულ ნიმუშადაც რომ წარმოდგებოდა ეს ორიგინალური წიგნი, შენი ასერიგად მნიშვნელოვანი ღვაწლის ერთ-ერთი ნიშანსვეტი, მეორე ნიშანსვეტად აკაკი ჩხენკელისადმი მიძღვნილი ვეება მონოგრაფია რომ გამოჩნდებოდა.

შესანიშნავ გზამკვლევებს შემოგვთავაზებდი 1918-21 წლების დამოუკიდებლობის ხანის რაობაში გასარკვევადაც და მის სიღრმეში სამოგზაუროდაც.

არ დამკლებია შენგან თანადგომა თუ გულუხვი შეფასებანი, საპასუხოდ რომ ვერას მოგაგებდი.

და თუ დაუფასებელია შენი დამსახურება, როგორც პოეტისა და ისტორიკოსის, ამაში ჩემს ბრალეულობასაც ვხედავ, და ამიერიდან მაინც შევეცდები გამოსწორებას, რასაც მავალებს არა ჩვენი პირადი მეგობრობა, არამედ ლიტერატურისა და მეცნიერების მოთხოვნები.

ჩვენ და ჩვენი მოზარდები

(თამარ გეგეშიძის „საშლელების“ კვალზე)

„ინტელექტის“ გამოცემებისათვის ნიშანდობლივ, გემოვნებით შედგენილ ანოტაციაში თამარ გეგეშიძის „საშლელებზე“ ესეც ითქმოდა:

— მისი წაკითხვის შემდეგ მეგობრები, მშობლები და შვილები, მასწავლებლები და მოსწავლეები ცოტა უფრო უკეთ გაუგებენ ერთმანეთს.

ანოტაციებისათვის დამახასიათებელია რეკლამური პათოსი, ხან სულაც რეკლამებადაც რომ წარმოდგებიან და... ამჯერადაც ეს პათოსი ხომ არ იჩენს თავს?

განა რა წიგნი შეიძლება იყოს ასეთი მხატვრული ძალის იმ ახალბედა ავტორისა, მანამდე ერთადერთი წიგნი რომ გამოუცია, მალევე გააუკეთესოს ურთიერთობა მოზარდებსა და უფროს თაობას შორის?

განა რა ხდება ამისთანა „საშლელებში“?

განსაკუთრებული არც არაფერი:

ჩვეულებრივი ყოფაა — ერთი მხრივ ოჯახური, მეორე მხრივ კი სკოლის გარემო, მთავარი გმირი, ანა ყიფიანი, ყოფის დინებას რომ მიჰყვება...

თუმც არა სურს და ყოველმხრივაც ეწინააღმდეგება ჩათრევას ყოფით მდინარებაში, რაკიღა ხელახლა აღმოუჩენია თავი თოთხმეტი წლის გოგონას და ამ გაფართოებული თვალებით შეჰყურებს ყველას და ყველაფერს, მის წინაშეც რომ წამოიჭრება მარადიული კითხვები, ყველა მოზარდს რაც აწუხებდა, და ესწრაფის თვითონ გასცეს პასუხი ამ კითხვებს, საბოლოოდ ამ მთავარი შეკითხვის ირგვლივ რომ იყრის თავს:

ვინ ვარ და რა მინდა? — გვერდი არ აუაროს, რითაც ცხოვრებას კი გაიიოლებს, მაგრამ დაჰკარგავს პიროვნულობას.

და... მეტიც რაღა უნდა ხდებოდეს წიგნში?

მაინცდამაინც უცნაურმა თუ თავბრუდამხვევმა ამბებმა უნდა მიიტაცოს ჩვენი გულისყური?

სულიერი ფორიაქი, მოზარდის მიმოწყდომა, საკუთარ თავსა თუ გარემოსთან ჭიდილი განა სწორედაც უცნაური და თავბრუდამხვევი არ არის?

ოღონდ გარეგნულად არ გამოიყურება ასე.

და მითუფრო საძნელოა მწერლისათვის, შინაგანი დუღილი წარმოსახოს ისე, გატაცებით წაგაკითხოს თხზულება, რომელსაც რატომღაც არ აწერია რომანი, თორემ ჟანრობრივად ასე და მხოლოდ ასე თუ განისაზღვრება მისი თხრობის ეპიკური მდინარება.

და გოგონას სიყვარულიც რარიგ ფაქიზად, როგორი იდუმალი ხელოვნებით არის ჩაქსოვილი რომანში, თავის თავსაც რომ არ უმხელს, მითუფრო — სხვას როგორ გაანდობს, მაგრამ მკითხველი მიუხვდება ამ სანუკვარ განცდას და აქედანაც გახსნის მის არაორდინარულ ხასიათს, მეამბოხური სულით გაჟღენთილს.

მოზარდი და ამბოხი გარემომცველი რეალობის წინააღმდეგ:

ჯერომ სელინჯერის რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — გამოქვეყნების შემდგომ ეს ხასიათი ჰოლდენ კოლფილდად გასიმბოლოვდებოდა და... კიდეც მოედებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურას მისი ასლები.

თუმც ასლების გარდა — მისით შთაგონებული პერსონაჟები, ანდა სულიერ ნათესაობას რომ ამჟღავნებდნენ სელინჯერის ბედუკულმართ გმირთან, მაგრამ სურვილი ჰქონდათ შეხმიანებოდნენ — პერსონაჟები პერსონაჟს, და მის შემოქმედსაც — ჯერომ სელინჯერს, რომელთან დარეკვაც ისევე შეიძლება მოსდომებოდათ პერსონაჟებს, როგორც ჰოლდენ კოლფილდს უჩნდებოდა სურვილი, ტელეფონით შეხმიანებოდა მისთვის საყვარელ მწერლებს.

წლების წინათ ქეთი ნიჟარაძის მოთხრობის — „ავტოპორტრეტი“ — გმირი, მეამბოხე მოზარდი, შეეხმიანებოდა ჯერომ სელინჯერს, დითირამბსაც რომ მიუძღვნიდა და ხელშესახებად მიგვანიშნებდა, ჰოლდენთან სულიერი სიახლოვე რომ აკავშირებდა.

თამარ გეგეშიძის თხრობაში დითირამბისმაგვარიც არსად გაიელვებს, თუმც ხსენებით მასაც უნდა ეხსენებინა „თამაში ჭვავის ყანაში“ და სწორედ იმ სულიერ ნათესაობაზე მისანიშნებლად.

მხოლოდდამხოლოდ სულიერ ნათესაობაზე, რადგანაც „საშლელების“ გმირი ყოფითი რეალობიდან არის ამოზრდილი და წიგნური წარმოშობისა არაფერი ეტყობა, და მისი დაუნდობლობაც და უკომპრომისობაც საკუთარი თავის მიმართ ყოფით-რეალური წარმომავლობისაა, ეგაა — უხარია, მისი ბუნებისა სხვაც რომ ყოფილა, ამერიკელი ყმაწვილი, მაგრამ ანასთვისაც გამშობლიურებული და ქართველ ყმაწვილკაცად გარდასახული, იმასაც რომ დაებადებოდა ხოლმე სურვილი, ეშოვნა ვეება საშლელი და თავისი არაერთი საქციელი წაეშალა.

მეამბოხური სულიო და:

კიდეც უნდა შემოცურებულიყო თხრობაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი, პერსონაჟი პირველად რომ უნდა ეზიაროს მის სახებასა და ბიოგრაფიას ნატალი მასწავლებლის წყალობით — კაცისა, რომლის ჰეროიკული ეპოპეაც მოგვათქმევინებდა სულს იმპერიულ მარწუხებში და ყოველთვისაც დარჩება თავისუფლების წყურვილის სიმბოლოდ, ისეთი გრძნობა რომ გიჩნდება, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ მასაც არანაკლებ ეძღვნება, ვიდრე მის დიდ წინამორბედს — ალექსანდრე ბატონიშვილსო.

და ანა ყიფიანისა და მისი მეგობრების ამბოხი იმით უნდა გამოიხატოს, რომ არ შეეგუონ ლიტერატურული კლუბის გაუქმებას და სკოლის დირექტორისაგან მოითხოვონ მისი აღდგენა.

უიმედოდ მოჩანდა ეს მცდელობა?

მაგრამ ყმაწვილებს თავისი უნდა გაეტანათ, მკითხველს კი ეგრძნო, რომ ლიტერატურული კლუბი ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ყმაწვილების ზიარებაა წიგნთან... და წიგნიც ბევრად მეტს ნიშნავდა...

ეს ის სულიერებაა, ურომლისოდაც სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა და მექანიკურ არსებობადღა გადაიქცეოდა.

ეს ის სულიერებაა, ურომლისოდაც გაწყდებოდა შემაკავშირებელი ძაფები ისტორიულ ფესვებთან და ადამიანის ყოფა აღარაფრით განსხვავდებოდა ქვებში გარჩენილი და ლაყუჩებახეული კალმახის სულთმობრძაობისაგან.

ეს ის სულიერებაა, რამაც ამბოხს მნიშვნელობა უნდა შესძინოს და გარდატეხის წლები აღანთოს, გაალამაზოს და ბუნებრივი სადინარისაკენ უბიძგოს.

და გაუცნობიერებელი განცდები და შეგრძნებანი მომწიფებულ აზროვნებად და მისწრაფებად აქციოს.

ბუნებრივი სადინარიო...

თამარ გეგეშიძის წარმატებული მცდელობა პერსონაჟის სულიერ ყოფაში ჩასაძირად სწორედ იმ ბუნებრიობით სუნთქავს, თხრობას სილაღით რომ აღავსებს, სტილურ მანერას კი სინატიფესა და დახვეწილობას ანიჭებს და თითქოსდა ჩვეულებრივი ამბები მოზარდების ცხოვრებიდან მომხიბლავ ეპიზოდებად იკინძება.

და მკითხველი უკვე ვეღარ შეამჩნევს წიგნის ანოტაციაში რაიმე გადაჭარბებასა თუ რეკლამირების კვალს, რადგანაც „საშლელების" წაკითხვის შემდგომ თავიანთ თავზე გამოცდიან, მეგობრებიც, მშობლებიც და შვილებიც, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, ცოტა უფრო უკეთ რომ უგებენ ერთმანეთს, ვიდრე მანამდე — თამარ გეგეშიძის ჩარევამდე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„გვიანი მგზავრის“ შემოფეთება

(ეკა ქაჯაიას ცხრამეტწლიანი დუმილის ნაყოფად)

ლიტერატურული ცხოვრების მდინარებაში რა აღარ ხდება და ესეც უნდა მომხდარიყო:

წარმატებული პოეტური დებიუტის შემდგომ... 19-წლიანი პაუზა, ვიდრე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და „ჩვენი მწერლობა“ მკითხველს კვლავ შესთავაზებდნენ ეკა ქაჯაიას ლირიკულ კრებულს „გვიანი მგზავრი“, მოხდენილად გაფორმებული ქრისტინე რობაქიძის მიერ..

ავტორის მინაწერში თვითონ ამგვარად ახსნიდა ასეთ ხანგრძლივ პაუზას:

— ეს იყო დიდი შესვენება, — ცარიელი ფურცლის შიშის, თვითცენზურის, ყოველდღიური ოჯახური საზრუნავის გამო...

ამხელა პაუზის კვალობაზე კრებული მეტად მომცროა, მკაცრად შერჩეული პოეტის მიერვე, რედაქტორს ბევრი არაფერი ჩარევა რომ არ დასჭირდებოდა; ეკა ქაჯაია კი წიგნის კომპოზიციური მთლიანობის შესანარჩუნებლად არაერთ ლექსს უსამართლოდ რომ გაწირავდა, ზოგის ბედსაც სამომავლოდ გადადებდა.

ზოგიც ვერ გავიმეტე, მიხვდებითო, — დასძენდა, რაკილა მოეჩვენებოდა, რომ ერთი-ორი პოეტური ნიმუში შესაძლოა მთლად საერთო დონისათვის შესაფერისი ვერ ყოფილიყო, მაგრამ თავისი სულიდან ვერ ამოეშალა და... დაე დაბინავებულიყვნენ „გვიანი მგზავრის“ ფურცლებზე, დაკარგვით რომ არ დაკარგულიყვნენ.

მაგრამ რას გინდა მიხვდე, როდესაც კრებულში ვერ შეხვდებით ვერცერთ ნაკლებ ლექსს, ის კი არა, ჩავარდნილ სტრიქონსაც და... „გვიანი მგზავრი“ კიდეც ძალდაუტანებლად ჩად-

გებოდა ლირიკული წიგნების იმ წყებაში, პოეტები დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებენ კომპოზიციური და შინაგანი მთლიანობის შენარჩუნებას, რათა კრებული მართლაც კრებული იყოს და არა ლექსების ჯამი — წარმატებულისა და წარუმატებელის მონაცვლეობა.

.ამხელა დროის განმავლობაში ეკა ქაჯაიას ლექსები შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ დაიბეჭდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკაში და ამიტომაც მკითხველს გაუძნელდებოდა თვალის მიდევნება მისი შემოქმედებითი ზრდისათვის, სამაგიეროდ „გვიანი მგზავრის“ სახით ხელთ გვაქვს წიგნი, რომელიც უშუალოდ ჩაერთვის სამწერლო პროცესში, როგორც აწ უკვე მისი განუყოფელი ნაწილი.

ამ მნიშვნელობას კრებულისა დაადასტურებდა წინასიტყვაობად დართული ესეი ნინო ვახანიასი „ზეცისკენ გაქცეული მიწა“, ამ უმაღლესი რანგის კრიტიკოსის ანალიტიკურმა განსჯამ ამთავითვე რომ უნდა შეუწყოს ხელი „გვიანი მგზავრის“ დამკვიდრებას მკითხველის ცნობიერებაში, მკითხველისა, რომელიც თავისითაც შეიგრძნობდა ეკა ქაჯაიას პოეტური მეტყველების სინათლეს, ჰარმონიულობასა და სიმსუბუქეს, კრიტიკოსი თავის მხრივ ამასაც რომ დასძენდა:

აქ სევდაც ღიმილად, სითბოდ და სიყვარულად გარდაისახება. ყოველ სტრიქონში სილაღე, თავისუფლება იგრძნობა; ყოველი ლექსიდან ჭიკჭიკი ისმის, თუმც ჩიტი არსადაა ნახსენები; მოჩანს, ცა როგორ მჭვირვალებსო.

აღნიშნავდა თავისებურ, გამორჩეულ რიტმს, მელოდიურობას, თითქოს მუდმივად რომ ენაცვლებოდა ერთმანეთს აკორდები და გამები და ერთიანობაში „გარეგანი ფრინველის“ სასიამოვნო გალობა ისმოდა.

„გარეგანი ფრინველის“ ხსენებისას ადვილად მიხვდება მკითხველი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სტრიქონებსა და მის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსთან გადაძახილს.

მითუმეტეს გოეთეს სახება ერთ ლექსში კიდეც გამოჩნდებოდა: „გაზაფხული — ერთადერთი რევოლუცია“ — რომლის ანალიტიკური გააზრებითაც უნდა დასრულებულიყო ესეი, ამოზრდილი იმ ისტორიულ ეპიზოდზე, საფრანგეთის რევოლუციით

აღფრთოვანებული ჰაინრიხ ჰაინე როგორ უამბობდა გოეთეს ქვემეხთა გრუხუნის ამბავს პარიზში, ტკრციალს ცეცხლისმფრქვეველი ენებისა, და მიიჩქაროდა, რათა მეგობრისათვის ეამბნა დადგომა იმ ჟამისა, ცრემლი ზღვად რომ ამოხეთქავდა და მთა მოსწორდებოდა ტყვიამფრქვევთა ქარიშხლით...

და პასუხად გოეთე:

— ვაიმარის გზად, ჰაინე, თუ იცი, გზისპირს ხომ არ აყვავილდნენ ტყემლებიო...

გოეთესათვის იმთავითვე ნათელი გახლდათ რევოლუციების დანაშაულებრივი, ღვთისა და კაცის მგმობელი ბუნება, რასაც სხვები — ჰაინე იქნებოდა თუ სემუელ ტეილორ კოლრიჯი — მხოლოდ მერე თუ მიხვდებოდნენ.

გზისპირს ტყემალთა ყვავილობა კი სუნთქავდა იმ ბუნებრიობით, რის მოშლასაც ესწრაფოდა საფრაგეთის რევოლუციაც.

და სევდა შემოაწვებოდათ ტყემლებს დაუნახაობისაგან.

თავისი სევდა შემოსწოლოდათ გვირილებსაც, ეკა ქაჯაია მათი სევდის კვალს რომ გაჰყვებოდა და მზის სხივებსაც მიადევნებდა მზერას, ამ ყვავილებშიც რომ ჩაწურულიყვნენ, ეგაა — სხვა ყვავილთაგან განსხვავებით გვირილა იმ შეკითხვას უნდა შენირვოდა ფურცელ-ფურცელ: უყვარდი თუ არ უყვარდი?..

ესეც მისი ბედი, არაერთხელ რომ გაელვებულა პოეტურ წარმოსახვებში ამ ხვედრის გამო, ეკა ქაჯაიას თავისი ნიუანსი რომ უნდა შეემატებინა, თავისი ხილვა შეეშველებინა გვირილას ბედისათვის და კიდეც გაერღვია ტრაფარეტი:

თვალე ბევრი არა, კი და
ხელისგულით მოწვდილ მნათობს
სხივებს აცლი და თან გინდა,
სიყვარულზე დაითანხმო...

თურმე გვირილას დაფურცვლა შეიძლება შეადარო მზის სხივთა გადარჩევასაც, უშუალოდ რომ გააბამ ძაფებს სიყვარულის ზეციურ წარმომავლობასა და წუთისოფლურ გამოვლინებას შორის.

სხივებსვე უნდა გაეკვალა გზა ლირიკული გმირისათვის ზღვისკენაც, ამ სტიქიაში ნაბიჯის შედგმა ახალშეთენებაში შეცურებისაგან რომ აღარც შეიძლება განერჩეოდეს.

ყოფითი სურათები კი, მზის ალმურში გაბანგული, უეცრად უნდა გარდაისახოს მესამე თვალის ხედვად, რომლის შუქშიც მართლაც სასწაულივით უნდა იელვოს უცნაურმა შეგრძნებამ, გარეგნულად სრულიად დაფარულმა და მხოლოდ პოეტისათვის გადახსნილმა:

და გაოგნებულ სიმწიფით
მთვრალი
შევადუღდები ღვინისფერ
მასას,
სასწაულია!
პირველი კვალი
როგორ ემჩნევა ამხელა
ზღვასაც...

თუ ზღვა ღვინისფერია, მაშ ჰომეროსული ყოფილა, მისი ხილვითა და მეტაფორით სამუდამოდ დაბეჭდილი, და სასწაულიც მოსალოდნელია ამ გადმოსახედიდან, სასწაული ზღვაზე დაჩნეული პირველი კვალისა — ყოველი ახალი შეთენება ამ კვალითაც რომ უნდა გაბრწყინდეს.

სიზმარეულია ეს ხილვა, ამგვარმა განწყობილებებმა კი თავისთავად უნდა ამოზიდოს გალაკტიონურ ლურჯ მოგონებად ქუთაისი, როგორც სიზმრების ქალაქი, რომლის ყოველი გახსენებაც ლირიკულ გმირს იმ დრამატული განცდებით აღავსებს:

როგორც ჰაერში გაშლილი კვამლი, ველარ შევგროვდი ისევ თავიდან, რადგან წავედი შენგან და კარიც გამოვიხურე ჩემი თავიდანო...

და დარჩებოდა მისთვის ქუთაისი გულში ჩარჩენილ ისრად.

ყოველი წამის თანმდევ სევდად.

და ისეთ ცხად სიზმრად, უფრო რომ ველარ აუცხადდებოდა.

და რა გასაკვირია, ქალაქი მის მზერაში თავით ბოლომდე იდუმალებას რომ შთაენთქა და მიწიერ არსებობას ზეციური შარავანდი შემოვლებოდა:

უსმენ ვარსკვლავთა წკრიალს ზეციდან,
ამოივსება ცაზე მთვარე როს, —
ანგელოზები ესიზმრებიან
მწვანეყვავილას მთავარ ანგელოზს...

და ნატრობს, ნატრობს პოეტი, ქალაქი სიზმრის კარს რომ გაუღებდეს, რათა კვლავ ამოჰყოს თავი ბავშვობის გარემოსა თუ სულიერ სანახებში, იმ სინამდვილეში, სადაც უნდა შეჰყროდა პოეზიის ბაცილა და კეთილ მრჩევლად მოვლენოდა ელგუჯა თავბერიძე, რომლის უცთომელ მხატვრულ გემოვნებასაც და თანადგომასაც ბევრწილად უნდა განესაზღვრა ყმაწვილი შემოქმედის არაორდინარული მომავალი — რაც მთავარია ჭეშმარიტი პოეტური სულით აღბეჭდილი.

იმ პირველი კრებულისათვის — „არენა“ — შერჩეულ ლექსებს მძივივით აკინძულ განწყობილებებად მოიხსენიებდა კრიტიკოსი, ამ მეტაფორას ბაღათერ არაბული — თვითონ ჩინებული პოეტი და არაერთი ახალგაზრდა შემოქმედის დამკვალიანებელი — თავისი მცირე სტატიის სათაურად რომ გადმოიტანდა, ბოლოსიტყვად რომ უნდა დართვოდა „გვიან მგზავრს“, ეკა ქაჯაიას პოეტურ ხილვათაგან კი ამ სტრიქონებსაც რომ გამოარჩევდა, თუ როგორ იცინის ღამეში თოვლი, ანდა როგორ შერჩენიან მხოლოდ ხურმები დეკემბრის ხეებს უჭაღო ნათურებივით.

და მოედინება „გვიანი მგზავრის“ ლირიკული სამყაროდან სინათლე, სიმსუბუქე და ჰარმონიულობა.

და იღვრება სევდაც ღიმილად, სითბოდ და სიყვარულად.

და იგრძნობა ყოველ სტრიქონში სილაღე და თავისუფლება.

და მოისმის ყოველი ლექსიდან ჭიკჭიკი და გალობა თავდავიწყებული.

და მჭვირვალებს ზეცა პოეტურ ხილვებსა თუ მწვანეყვავილას მთავარი ანგელოზის სიზმრებში.

სინანულისათვის

(დღიურის ფურცლებიდან)

თუ რაიმეს ვერიდები, ადამიანების შეწუხებას: ახლობელი იქნება თუ შორებელი, ნაცნობი თუ უცნობი.

თუმც სხვაგვარადაც რომ არ გამოდის?!. ცხოვრებაა, წუთისოფელია...

მაგრამ ეს მაინც ნამეტანი მომივიდოდა, ჩემი ავადმყოფობით უამრავ ადამიანს რომ შევაწუხებდი და ავაფორიაქებდი.

მოიხადე რა ეს ავადობა ისე, მაინცდამაინც არ გაახმაურო და თავზე არ მოახვიო ყველას; უნებლიეთ, მაგრამ მაინც...

არიქა, რა მოხდა!..

ვერ გამოვდგებოდი „მაგარი ბიჭი“, ჟარგონული ტერმინოლოგია რომ მოვიშველიო.

ყველაფერი მაინც იმის ბრალია, ძალიან რომ დავითრგუნებოდი — დავსუსტდებოდი ისე, არაფრის თავი რომ აღარ გექნება ადამიანს, ეს გაუთავებელი ხველა და ჟანგბადის უკმარისობა კიდევ ცალკე და... გამიჩნდებოდა შეგრძნება, რომ საავადმყოფოდან ველარც გამოვაღწევდი...

ჯერ მიხეილ ჯავახიშვილის აჩრდილი ამომიჩნდებოდა და... კიდეც მოჰყვებოდა სხვათა აჩრდილებიც, ნატანჯ-ნაწამები ადამიანებისა, ციხე-კატორღა მოვლილებისა თუ იქიდან ველარც გამოღწეულთა და... ამეკვიატებოდა ფიქრი: მე წამებას როგორ გავუძლებდი-მეთქი!.. აგერ სნეულებისათვისაც ველარ გამეძლო...

ადრე ბუნებრივი მეჩვენებოდა, ახლა კი ისიც გამაოცებდა, რა ძალას პოულობდნენ თავიანთ თავში გილიოტინის წინაშე მდგარი განწირულნი, რომ რაღაც ჰეროიკული გადმოეძახათ სეირის საყურებლად თავშეყრილი ბრბოსათვის.

და ისე მწარედ, ისე გაუსაძლისად შევიგრძნობდი წუთისოფლის ხანმოკლეობას, კიდევ უფრო დამცრობილისა, ვიდრე წამია წამთა წამისა და წამწამისა მსწრობელი!..

და თავზარი დამეცემოდა, რამდენი რამ მრჩებოდა მოუსწრებელი და გაუკეთებელი, ხელთ ბევრი არაფერი რომ მეჭირებოდა — მხოლოდღა წამოწყებანი, მხოლოდღა ფრაგმენტები, გამთლიანებასაც რომ ველარ ვახერხებდი, არამცთუ ბოლომდე მიმეყვანა თუნდ ერთი წამოწყება მაინც...

ყველას ვთხოვ, სწორად გამიგოს:

ანუ — კანცელარიულად რომ ითქვას — „ცნობად მიიღოს“ ეს სიტყვები და ნურავინ მოინდომებს ჩემს გამხნევებას და ჩამოთვლას, თუ რაიმესათვის მომიბამს თავი.

არა ვარ ის კაცი, წუწუნითა თუ მოჩვენებითი თვითგვემით რომ ლამობს საქებარი სიტყვა თუ ეპითეტი გამოსძალოს ვინმეს.

ძალიან კარგად ვიცი, რაც გამიკეთებია.

მაგრამ ისიც ძალიან კარგად ვიცი, რაც ვერ გამიკეთებია და... ბევრი დროც რომ დამიკარგავს ფუჭად და აუნაზღაურებლად, გამოსწორება კი შეუძლებელია, რადგანაც ყველაფერს თავისი ჟამი აქვს და თავისი ასაკი.

ამქვეყნიური მისიის აღსრულებას ვინ ჩივის, იმისთვისაც კი არ მეყოფოდა ეს წლები, ყველას მიმართ გამომეხატა შესაფერისი მადლიერება, ამაგი ვისაც მიუძღოდა ჩემზე, და ბევრისათვის კი დამედასტურებინა ჩემი პატივისცემა და სიყვარული...

და უნდა გამეცნობიერებინა მწარე რეალობა, რომ:

ჩემი ცხოვრება უმთავრესად შედგებოდა იმედგაცრუებისა და სინანულთა წყებისაგან...

და ეს ფიქრები და განცდები კიდეც მიმიყვანდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ...

თუმც ასე როგორ გამექცა სიტყვა.

მე ხომ მხოლოდ ის მინდოდა, გამომეთქვა მადლიერება სამედიცინო პერსონალისადმი ხომ თავისთავად, და კიდევ უამრავი ადამიანის მიმართ, რომელთა თვალნათლივი თუ უჩინარი თანადგომითაც, რომელთა უშუალო თუ სიმბოლური ლოცვა-

კურთხევითაც კვლავ სამზეოს უნდა დავბრუნებოდი... ოღონდ მადლიერებისათვის დამერთო ბოდიშიც შეწუხებისათვის.

ეს გამაგებინა, სხვა აღარა მინდა რა:

როგორ ასწრებდნენ ადამიანები ამ წამუსწრაფესად გაქროლილ წუთისოფელში, თავიანთი ამქვეყნიური მისიაც აღესრულებინათ და არც არავინ დარჩენოდათ პატივის მიუგებელი გარშემო, უპირველესად კი თვითონ არ ეგრძნოთ გულნაკლულობა, მადლიერება და სიყვარული მაინც გამომეხატაო...

ვინ მეტყვის, ვინ ამიხსნის, ვინ გამაგებინებს?!.

ტრადიციიდან ტრადიციამდე

(როლანდ თოფჩიშვილის ეთნოლოგიური პორტრეტები)

როლანდ თოფჩიშვილის მრავალრიცხოვან წიგნებს, მათ შორის რამდენიმე ფუნდამენტურ მონოგრაფიას შორის ერთი მომცრო გამოცემაცაა: „ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან“ — ექვსი მოღვაწის ნააზრევზე დაყრდნობით თვალს რომ მიადევნებს ჩვენი ეთნოლოგიის ჩამოყალიბებისა და სამეცნიერო დისციპლინად გარდაქმნის ისტორიასაც და შემდგომ გზებსაც.

ეს არ არის მონოგრაფიული თხზულება, პორტრეტების სერია უფროა, თორემ წიგნი გაცილებით მოზრდილი იქნებოდა და მკვლევარის თვალთახედვაში მოექცეოდა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, მოსე ჯანაშვილის, თედო სახოკიას, ბესარიონ ნიჟარაძის, გიორგი ბოჭორიძის, სერგი მაკალათიასა თუ სხვათა ეთნოლოგიური მონაპოვარიც.

ჯერჯერობით ექვს პორტრეტს იკმარებდა, სათავეში ილია ჭავჭავაძე რომ მოექცეოდა, როგორც საქართველოში ეთნოლოგიური კვლევის ორგანიზატორი, 1887 წელს საპროგრამო ნერილის — „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ — გამოქვეყნებას პრაქტიკულ მოღვაწეობასაც რომ მოადევნებდა და არაერთ მწერალსა თუ მკვლევარს ჩართავდა ამ უმნიშვნელოვანეს საქმიანობაში, ეროვნულ თავისებურებათა შესწავლასა და შენარჩუნება-გადარჩენას რომ ისახავდა მიზნად.

წიგნის შესავალში ეთნოლოგიას განგვიმარტავდნენ როგორც ხალხური ანუ გლეხური კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას, თუმც „გლეხური“ უკვე მოძველებული ტერმინია და სჯობს ხალხური კულტურის ფესვები დავინახოთ არისტოკრა-

ტულ წარმომავლობაში — მითოსური აზროვნებაც და ზნე-ჩვეულებანიც თავისთავად კი არ აღმოცენდებოდა, მისი შემქმნელი და დამამკვიდრებელი უნდა ყოფილიყო მოწინავე ნაწილი ყოველი ერისა, უამრავი გარემოების გათვალისწინებით რომ შემუშავდებოდა ამათუიმ ერის უმთავრესი ნიშნები, და აზროვნებასა და ტრადიციათა ზოგად კულტურას ერები რომ შეითვისებდნენ, კიდეც მოხდებოდა მათი გახალხურება და ერთგვარი დაქვეითება, თუმც მთავარი ძარღვი და ნიშატი ყველგან ასე თუ ისე შენარჩუნდებოდა; და დღესდღეობით ხალხურ კულტურებად ეს „ზემოდან“ წამოსული ნაკადები წარმოგვიდგება.

შეგვახსენებდა როლანდ თოფჩიშვილი, რომ ქართული ეთნოგრაფიული რეალიები დაცულიყო V საუკუნის ძეგლშიც — იაკობ ხუცესის„შუშანიკის წამება“, მის მონაცემთა სიუხვით კი გამოირჩეოდა XVIII პირველ ნახევარში შექმნილი თხზულება ვახუშტი ბაგრატიონისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

პირველს სწორედ ვახუშტის უნდა დაეხასიათებინა საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი, ტიპი, ჩაცმულობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, გადასაყვანი თუ გადასაზიდი საშუალებანი, საქორწინო ურთიერთობანი, სისხლ-მესისხლეობა, რელიგიურ-კონფესიური ვითარება, ოჯახი და გვარი, მეურნეობის ფორმები.

უნდა შეხებოდა საქართველოში უცხო ეთნიკურ ერთეულთა მიგრაციის ფაქტებსაც — თუნდ ოსებისა, და მისი გამომწვევი მიზეზებიც მიეთითებინა.

არც ფეოდალური გვარების წარმომავლობის საკითხი დარჩენოდა უყურადღებოდ.

იმავე საუკუნის ბოლოს კი იოანე ბაგრატიონს უნდა შეექმნა ამავე შინაარსისა და სულისკვეთების ვეება თხზულება „კალმასობა“.

და აი ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას საფუძველი უნდა ჩაეყარა ქართული ეთნოლოგიისათვის ამ სფეროში იმდროინდელი ცოდნის გათვალისწინებით — მორგანის ნაშრომები იქნებოდა თუ ტეილორისა, სპენსერისა თუ ლებოკისა...

მკვლევარი წარმოაჩენდა, რომ:

ილია კარგად ფლობდა მაშინდელ ეთნოლოგიაში დამკვიდრებულ ევოლუციონიზმის პრინციპებსაც და ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც, რომელსაც ხშირად იყენებდა პუბლიცისტურ თუ პოლემიკურ წერილებში, ქართულ ეთნოლოგიურ თავისებურებათა განხილვისას უხვად რომ მოიხმობდა მონაცემებს სხვა ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფიდან.

როდესაც ქართველი ერის გადარჩენის პრობლემას ჩაუკვირდებოდა, შესაფერის გზასაც დასახავდა, მისთვის მთავარი რომ შეიქნებოდა ეკონომიკური წყობის, მიწამთმოქმედების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის კვლევა ანუ გუთნისა და ხმლის ერთობლიობა; ამაში კი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტებს გულისხმობდა და ამიტომაც გაგზავნიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში სწავლულებს ამ მოვლენის შესასწავლად და აღსაწერად.

მზერას მიადევნებდა წინარექრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებსაც და არც მსხვერპლშეწირვის ტრადიცია გამორჩებოდა; და ერის ხასიათს რომ ჩაუკვირდებოდა, ღირსებას ღირსებად გამოჰკვეთდა და არც უარყოფითი ნიშნების თქმას მოერიდებოდა, უმთავრეს საფიქრალ-სატკივრად ჩვენი ხასიათის ორბუნებოვნება რომ წარმოუდგებოდა, რაც დაღს ასვამდა ქართველი ერის ისტორიას და მის განვითარება-წინსვლასაც ხელს უშლიდა.

როლანდ თოფჩიშვილი გაათვალსაჩინოებდა, რომ:

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენოდა XIX საუკუნისა და XX ს-ის დასაწყისის საქართველოს ეთნოლოგიის არცერთი საკითხი. ცხადია ყველა საკითხს ჩაღრმავებით ვერ შეეხებოდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ეთნოლოგიურ მოვლენებზე გარკვეულ კომენტარს, ახსნას დაგვიტოვებდა.

იაკობ გოგებაშვილს პედაგოგად და სახელმძღვანელოების ავტორად რომ ვიცნობდით უმთავრესად — განსაკუთრებით მაინც „დედა-ენას“ მივაგებდით პატივს, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ გვერდითაც რომ მიეუჩნდით ადგილს — დაე დაგვეფასებინა მისი პუბლიცისტიკის ის მხარეც, რომელიც ეთნოლოგიის ფართო სპექტრს მოიცავდა — უმთავ-

რესად ეს ეხებოდა ეთნიკურ და რელიგიურ ურთიერთობებს, სოციალურ პრობლემებსა და ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას.

მკვლევარის დაკვირვებით:

იაკობ გოგებაშვილის მსჯელობანი და დასკვნები არამარტო იმდროინდელი მეცნიერების სათანადო დონეზე იდგებოდა, არამედ დღევანდელ გამოწვევებსაც პასუხობდა.

საქართველოში მცხოვრებ სომეხთა და ქართველთა ეთნიკური ურთიერთობის შესახებ იაკობ გოგებაშვილი გვამცნობდა:

სომეხთა რელიგია, ენა, ეროვნულობა ხელშეუხებელი ხდება და არავის მოსდის თავში ველური აზრი — წაართვან მათ ეროვნული თავისებურებანი, გაუპიროვნონ და გააქართველონ ისინიო.

ძალადობრივი გაქართველება არა ხდებოდა არც სომეხთა და არც სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა, თორემ თავისთავადი და ბუნებრივი გაქართველების პროცესიც თვალნათლივი გახლდათ და ამას არც არავინ უარყოფდა.

ამასთან ხდებოდა ის უცნაური და მეტად სამწუხარო მოვლენაც, როდესაც საქართველოში ქართველებს...

ასომხებდნენ — სომხური ეკლესიის მოძღვარნი არაერთ ქართველს მონათლავდნენ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე.

იაკობ გოგებაშვილისათვის გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეთნოსის ანუ ერის არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს — ტერიტორიას, ამიტომაც ჩვენი გადარჩენის მთავარ პირობად ამ მიწა-წყალზე მკვიდრად ცხოვრებას მიიჩნევდა და მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა მიწის გასხვისებას უცხოელებზე, თორემ მიწა-წყალთან გამოსალმებას გარდუვალად მოჰყვებოდა ჩვენი გაქრობაც, თუნდ პირველ ხანებში მრავალი სამოხელეო ადგილიც გვჭეროდა ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და ჯარში.

— მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია.

მკვლევარი ყურადღებას გაამახვილებდა იმ საგულისხმო დეტალზე, რომ:

იაკობ გოგებაშვილი ჩვენი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების აღსანიშნავად გამოიყენებდა ტერმინს — „თემი“, ხოლო დიალექტებს, მათ შორის მეგრულსა და სვანურსაც, „თემურ კილოებს“ უწოდებდა.

ამავე ტერმინებს მიმართავდა ივანე ჯავახიშვილიც.

შეგვახსენებდნენ, რომ:

პირველა ეს ტერმინი საისტორიო თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გვხვდებოდა, მოგვიანებით ბერი ეგნატაშვილსაც რომ გამოეყენებინა თავის ისტორიულ ქრონიკებში, და დასტურდებოდა „ძეგლშიც ერისთავთა“.

ერთ უმთავრეს ღვაწლად იაკობ გოგებაშვილის ეთნოლოგიური ძიება-დაკვირვებებისა მოიხსენიებოდა მნიშვნელოვანი პრობლემატიკის შემოტანა მიმოქცევაში; და მისი მეცნიერული ინტერპრეტაციები თანამედროვე მეცნიერების ინტერესებსაც რომ პასუხობდა, დაე დღევანდელ მეცნიერთათვის მაგალითი ყოფილიყო მისი მსჯელობისა და დასკვნების ჰუმანური, ტოლერანტული ხასიათი.

არც ივანე ჯავახიშვილი უნდა მიგვეჩნია მარტოდენ ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებლად; და მთელ რიგ სხვა ჰუმანიტარულ დარგებსაც რომ მისცემდა დასაბამს, არც მისი დიდი წვლილი უნდა გამოგვრჩენოდა ეთნოლოგიის წინაშე, რომლის გაუთვალისწინებლადაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ისტორიის არაერთი მოვლენის ახსნა თუ გააზრება... მითუმეტეს, რომ ქართული წყაროები ძირითადად საქართველოს მოკლე პოლიტიკურ ისტორიას გადმოგვცემდნენ.

როლანდ თოფჩიშვილი ივანე ჯავახიშვილის ეთნოლოგიური ძიებებიდან მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს გამოჰყოფდა:

ეთნოლოგიური მასალის მოპოვების მეთოდოლოგია, ქართველი ხალხის წარმომავლობა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა და სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობები, საქართველოს სხვადასხვა თემებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები...

განუსაზღვრელად მოიხსენიებდა „ქართველი ერის ისტორიის“ შემოქმედის ღვაწლს ჩვენი ხალხის სამეურნეო ყოფის, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო კულტურის საქმეში, იმ

მდიდარ ტერმინოლოგიასაც რომ გამოავლენდა, რაც ამ სფეროში შეგვექმნა.

იქ კიდევ სამიწათმოქმედლო იარაღებისა და ინვენტარის მეცნიერული შესწავლა, იქ კიდევ სახვნელი იარაღებისა და მათი სხვადასხვა ნაწილის სახელწოდებათა გამოვლენა, იქ კიდევ სამუზეუმო საქმიანობა, მოწაფეებს ეთნოგრაფიული კოლექციების მოძიებასა და მუზეუმისათვის შეძენასაც რომ ავალებდა...

ყურადღების მიღმა რომ არ დარჩებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც, განსაკუთრებით ვრცლად უნდა გამოეკვლია მევენახეობა-მეღვინეობა. და დაყრდნობოდა ვახუშტი ბაგრატიონის კონცეფციას, მთისა და ბარის გამმიჯვნელად ვაზის კულტურის გავრცელება-არგავრცელებას რომ მიიჩნევდა.

როდესაც ივანე ჯავახიშვილის დებულების ირგვლივ გაშლიდა მსჯელობას, დებულებისა საქართველოს მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის შესახებ, არ დაუკარგავდა წვლილს პავლე ინგოროყვას, რომელსაც ერთი წლით ადრე — ანუ 1918 წელს — გამოეთქვა ეს მოსაზრება საქართველოს ტერიტორიის საზღვრების დადგენისას:

ისტორიას აქ ქმნიდა გეოგრაფიის ლოგიკა, ისტორიას გენეტიკური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანულ ეკონომიკურ და ტერიტორიულ მთლიანობასთანო.

პავლე ინგოროყვას სახელი გამოჩნდებოდა გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილ ნარკვევშიც — ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებლისა, რომლის სახელსაც უნდა დაკავშირებოდა სისტემური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებაც და სამეცნიერო კადრების აღზრდაც.

საგანგებო სტატიას „ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ" გიორგი ჩიტაია დაწერდა „გიორგი მერჩულეს" გამოქვეყნების შემდგომ, მაგრამ იმჟამად დაბეჭდვა ვერ მოხერხდებოდა და მხოლოდღა მოგვიანებით გამოქვეყნდებოდა გიორგი ჩიტაიას თხზულებათა ხუთტომეულის მეორე ტომში.

დაუბეჭდაობის მიზეზი კი ის იქნებოდა, რომ გამოჩენილი ეთნოლოგი სავსებით გაიზიარებდა პავლე ინგოროყვას შეხედულებებს აფხაზთა წარმომავლობისა და აფხაზეთის მოსახ-

ლეობის ეთნიკური რაობის შესახებ და მთელი რიგი ეთნოგრაფიული ფაქტების გაანალიზებითაც დაადასტურებდა.

გიორგი ჩიტაიას იდეით უნდა დაარსებულიყო თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმიც და შექმნილიყო საფუძველი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის, კავკასიის ეთნოგრაფიული ატლასის მომზადებაზეც რომ ოცნებობდა.

წიგნში წარმოჩნდებოდა ღვაწლი ალექსი რობაქიძისაც, როგორც საქართველოში კავკასიის ეთნოლოგიის კვლევის საფუძველჩამყრელისა.

იგი არ იფარგლებოდა ეთნოლოგიის ერთი რომელიმე მიმართულებით და მისი ინტერესების არეში ამ მეცნიერების ყველა სფერო შედიოდა.

ალექსი რობაქიძის პირველი ნაშრომები ნადირობის, მეფუტკრეობის შესწავლას რომ მიეძღვნებოდა, ამ კვლევა-ძიების ღირებულებას როლანდ თოფჩიშვილი მოიხსენიებდა არა მხოლოდ სამეცნიეროდ, არამედ პრაქტიკულისაც, რაკიღა დღესდღეობით მიმდინარეობს ქართული მეფუტკრეობის აღორძინება და წარმატებაზე მეოცნებე მეფუტკრეები უსათუოდ დაისაჭიროებენ ალექსი რობაქიძის ამ ნაშრომსაც.

ალექსი რობაქიძე წიგნს რომ მიუძღვნიდა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიას XIX საუკუნიდან XX-ის 80-იან წლებამდე და სათანადოდაც შეაფასებდა ყველას ღვაწლს ამ დარგში, გარკვეულ ამაგს დასდებდა არაერთი ავტორის გამოცემის საქმესაც, ეთნოლოგიური მეცნიერების სათავეებთან რომ იდგნენ. და ამ მხრივ სანიმუშო იქნებოდა თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის) ორტომეულის გამოცემა.

გიორგი ჩიტაიას მოწაფეთაგან კი როლანდ თოფჩიშვილი განსაკუთრებით გამოარჩევდა მიხეილ გეგეშიძეს, როგორც ქართული ეთნიკური კულტურის მკვლევარს, რომლის ნაშრომებიც მოიცავდა საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიას, აგრეთვე ზოგადად კულტურის ისტორიის კარდინალურ პრობლემატიკას.

ხოლო მისი წიგნის — „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ — მნიშვნელობა განისაზღვრებოდა არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, არამედ მეთოდურ-პრაქტიკულითაც,

ამასთან წარმოადგენდა შესანიშნავ სახელმძღვანელოსაც ეთნოსის, ეთნიკური კულტურის, ტრადიციების რაობის შესახებ.

მოზრდილი სტატიის მნიშვნელობა კი ივანე ჯავახიშვილზე იმით უნდა გაცხადებულიყო, რომ მონოგრაფიის ტოლფარდად მოხსენიებულიყო, მეცნიერის ზემოხსენებულ კონცეფციას რომ წარმოაჩენდა საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობების შესახებ.

მიხეილ გეგეშიძე 80 ჩამონათვალისაგან შემდგარ ხელნაწერს რომ გაამზადებდა იმ ნაშრომებისა, აუცილებლად რომ უნდა დამუშავებულიყო ეთნოლოგიაში, როლანდ თოფჩიშვილს საკანდიდატო დისერტაციის თემას ამ ჩამონათვალიდან შეურჩევდა: „მთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“ — ახალგაზრდა მკვლევარი გამორჩეული მონდომებითა და ენერგიულობით რომ გაჰყვებოდა ამ გზას და თანდათანობით ერთიერთმანეთზე უკეთეს მონოგრაფიებსაც დაახვევდა შიდამიგრაციების, გვარ-სახელთა ჩამოყალიბებისა და გვარების თავგადასავალთა ირგვლივ, მისი თვალთახედვა ქართველი ერის ეთნოგენეზის პრობლემასაც რომ მიწვდებოდა, ჩვენში უცხო ეთნიკურ ერთეულთა მიგრაციასაც და დაკარგული დვალეთის მხარის ტრაგედიასაც შეგვახსენებდა.

და ასი წლის შემდგომ რომელიმე ეთნოლოგიც რომ შექმნის ამ ყაიდის წიგნს — რჩეულ წინამორბედთა პორტრეტების სერიას — იქ უკვე როლანდ თოფჩიშვილის ღვაწლიც ისეთივე ჩაღრმავებითა და ტევადობით წარმოისახება, როგორი რუდუნებითაც თვითონ ქმნიდა „ქართული ეთნოლოგიის სათავეებს“.

თელავური მადლი,
თელავური გაკვეთილები

(სადღეგრძელოს მაგიერ როინ ჭიკაძეს)

ბატონო როინ,

ვალიაროთ, რომ ლინგვისტები უმეტეს შემთხვევაში მაინცდამაინც ვერ გამოირჩევიან მხატვრული გემოვნებით და ამ ყაიდის თვით სწორუპოვარ ქმნილებებსაც — რომელთაც ტექსტებს უწოდებენ ჩვენი სნობი პოსტმოდერნისტებივით თუ რაც არიან — ანატომიურად უფრო შეისწავლიან, პირწმინდად ენობრივი თვალსაზრისით.

უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის, თორემ არაერთი ენათმეცნიერი მახსენდება, არამცთუ ახლო წარსულისა თუ უფრო ადრეული დროისა, არამედ ჩვენს გარშემოც, საუკეთესო მხატვრული გემოვნება რომ მომადლებიათ და ლიტერატორებს კიდეც გაგვახუნებენ ამათუიმ თხზულების სიღრმეებში წვდომითა თუ თავისებურებათა შემჩნევა-წარმოჩენით.

და ასეთ ლინგვისტებს შორის თქვენ ხომ იგულისხმებით და იგულისხმებით!..

ამიტომაცაა თქვენი თუნდ პირწმინდად ენათმეცნიერული დაკვირვებანიც მასშტაბური და სტილური ხვეულების წარმომჩენიც, თორემ ლინგვისტურ ქარგას მოხდენილი ლიტერატურული წიაღსვლებითაც რომ ალამაზებთ და ამრავალფეროვნებთ, ეს თქვენი ნარკვევების ერთი მთავარი ნიშანთაგანია, მკითხველს ასე რომ უადვილებს რთულ პრობლემატიკაში გარკვევას და ლინგვისტური ცოდნის შეძენასთან ერთად მხატვრულ გემოვნებასაც უხვეწავს და უვითარებს.

იდეა „კლასიკოსთა გაკვეთილებისა“ თქვენი არა ყოფილა, თბილისი შემოგთავაზებდათ თელავს, ენათმეცნიერების ინს-

ტიტუტი — პედაგოგიურ ინსტიტუტს, მაგრამ უთქვენოდ რომ ბევრი არაფერი გამოვიდოდა, ესეც თვალნათლივია:

ვერც ასეთ სიმაღლეზე აიზიდებოდა და ვერც ასეთი შეუფერხებლობით გაგრძელდებოდა, ამასობაში მეცნიერთა თაობებსაც რომ გამოზრდიდით და „კლასიკოსთა გაკვეთილებიც“ არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნარკვევითაც დაშვენდებოდა.

როდესაც რექტორობის ვადა ამოგეწურებოდათ, ვერც თქვენ შეელეოდით იქაურობას და ვერც ისინი შეგელეოდნენ, და ამერიკის პრეზიდენტივით კეთილ მრჩევლადა და გზის მაჩვენებელ-გამკვალავადაც დარჩებოდით აწ უკვე უნივერსიტეტის კედლებში.

აღტაცებას ვერა ვფარავ ხოლმე, რვა ათეულ წელიწადს რომ მოიტოვებს მწერალი თუ მეცნიერი და კვლავინდებურად აგრძელებს დაუმცხრალ მოღვაწეობას, ამ მხრივ თქვენც იმედად და ბურჯად რომ გვეგულებით, მტკიცე ხიდის გამდებად კლასიკოსთა გაკვეთილებთან, რაც მართლა გაკვეთილებად მაშინ იქცევა ხოლმე, თქვენისთანა მეცნიერნი რომ კისრულობენ შუამავლობას.

და რაც მთავარია — დიდხანს და დიდხანს.

ნამი ბალახის ფოთლებზე

(ნატვრა ნანა ეხვაიასი)

თქვენი „მგლის საათი"
სასთუმალთან მიდევს
და შიგ მიწყვია
თეთრი ფურცლები,
რომ გადმომესხას
თქვენი წყალი
ლექსთა წყობისა.

ლია სტურუასადმი მიძღვნილი ეს ერთიბეწო ლექსი ჩაერთობოდა ნანა ეხვაიას ახალ პოეტურ კრებულში „მეორე სუნთქვა" („ჩვენი მწერლობა" და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2020), თავით ბოლომდე რომ აიგებოდა, პოეტისათვის ყველაზე მახლობელ ლირიკულ ნაირსახეობაზე: მცირე თუ წვრილ ლექსებზე.

წინა პოეტური კრებულის „ცა და მიწა" შესავლად დართულ სტატიაში გიორგი ლობჟანიძე მინიმალისტური ლექსის ნამდვილ ოსტატად მოიხსენიებდა ნანა ეხვაიას, ხშირად რამდენიმე მონასმით, სულ რამდენიმე სიტყვით რომ გადმოსცემდა თავის განწყობას, რომელიც მკითხველს კარგა ხანს მიჰყვებოდა, მორევივით აბრუნებდა საკუთარ თავში და თავს თითქოს ხელახლა აღმოაჩენინებდა.

მეტაფორულად კი ამ პაწია ლექსების თავისებურებასა და მნიშვნელობას ასე განსაზღვრავდა:

როგორც ნამი ბალახის ფოთლებზეო...

ბალახის ფოთლების ხსენება დიდებული წიგნის სახელწოდებასა და მის შემოქმედს ნამოგაგონებთ?

შესავალი შეგნებულად გამოიწვევდა ამ ასოციაციას, რათა სტატიის ბოლოსაკენ ამ მხრივ საგანგებოდ დავფიქრებულიყავით:

ვერლიბრის ის ინტონაციური მოტივები, რაც მსოფლიო პოეზიაში პირობითად უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლებით“ დაიწყო, ნანა ეხვაიას ლექსებში უაღრესად თავისებურად გაიელვებს და ახალ ესთეტიკურ ღირებულებად გადატყდება, რადგანაც ანგლოამერიკული პოეზიის ეს ნეიტრალური ინტონაცია ნანა ეხვაიას ლექსებში ქართული და კოლხური მოტივებით არის განონასწორებულიო.

ის მხატვრული მრწამსი და უმთავრესი განწყობილება კი წინა კრებულისა, სათაურშივე გაცხადებული: „ცა და მიწა“ — ამ ახალ წიგნშიც გადმოინაცვლებდა, ამის კვალობაზე რომ გაიყოფოდა კრებული ორ განყოფილებად, ერთში წიგნის სახელწოდება განმეორდებოდა: „მეორე სუნთქვა“, მეორე ნაწილს კი ეს სათაური მიესადაგებოდა: „ჟამი არს უკვე“.

და ლირიკული გმირი კვლავინდებურად ამ სულიერ მისწრაფებებში იტრიალებდა: მიწიდან ზეცამდე და ზეციდან მიწამდე.

და ედებოდა სასთუმალთან „მგლის საათი“, რათა მისი მოუწყობარი კითხვის წყალობით გადმოსხმოდა წყალი ლია სტურუას ლექსთა წყობისა.

ცოტა არ იყოს გასაკვირია ამგვარი შეხმიანება, თაყვანების ეს გამოცხადება?

ლია სტურუას ხომ არამცთუ არავითარი მიდრეკილება არ გააჩნია მინიმალისტური პოეზიისაკენ, მისი ლექსის რთული სახეობრივი სისტემაც მეორე პოლუსზე დგას ნანა ეხვაიას უბრალო და სადა პოეტური მეტყველებისაგან.

მაგრამ გარდა უშუალოდ პოეტიკასა თუ აღნაგობაში გამჟღავნებული ზეგავლენისა, არსებობს ბიძგის იდუმალი შეგრძნებაც, შთაგონებას რომ გიფორიაქებს და დაგუბებულ განცდებსა და ფიქრებს ამოგათქმევინებს ლექსთაწყობის ის თავისებური მანერა, რომლის წყლის გადმოსხმაც გაპოვნინებს შენი ლირიკული მეტყველების სადინარს.

ოღონდ შენვე თუ არ გათქვი ეს ერთ-ერთი შთაგონება შენი ლექსისა, სხვა ვერც ვერავინ მიაკვლევს, შორეულადაც ვერ ივარაუდებს, აგერ ისე დაცილებია ერთიმეორეს ამ ორი პოეტის მხატვრული ხედვა და აზროვნების მანერა.

ნანა ეხვაია არ მოერიდებოდა ამ გათქმას, ის კი არა, ლია სტურუასადმი მიძღვნილი ლექსების სერიასაც შემოგვთავაზებდა, თავისებურ რკალად რომ გამოიყოფა ეს ხუთი ლირიკული ნიმუში.

პატივს მიაგებდა ამ მხრივაც:

პირველ სართულზე,
თქვენი საყვარელი
ხეების გარემოცვაში
ბ ი ნ ა დ რ ო ბ თ
და ლექსებს უწვდით
უსიყვარულოდ გამოფიტულ
ჩვენს საუკუნეს.

და ამ მხრივაც დაუმადლებდა:

თქვენ რომ ახსენეთ
თქვენი ვულკანები,
მე ჩემი ქოხმახები
და გორაკები გამახსენდა,
რომელთა წიაღშიც
ვთესავ სიტყვებს
გულმოდგინებით,
რათა არ გამკიცხონ
მ თ ხ ზ ვ ე ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს
და არც სტრიქონები
დავაზარალო
გაუგებრობათა ხიწვებით.

სულ უფრო თვალსაჩინო შეიქნებოდა ლია სტურუას ზეგავლენა თანამედროვე სალიტერატურო პროცესში, მისი ლექსის გარეგნული სირთულისა და ხშირად „აუხსნელობის" მიღმა ძალუმად რომ ფეთქავდა ის პოეტური მუხტი, ის სწრაფვა იდუმალების ხვეულებში ჩასაძირად, ის ინტონაციური და რიტმული თავისებურებანი, ბევრს რომ აიყოლიებდა და უპირველესად მაინც გარეგნული მხარის გადმოღება-განმეორებას მოინდომებდნენ — იმთავითვე მარცხისათვის განწირულ მცდელობას,

რადგანაც მაცთურია გარეგნობა და მიმბაძველობის მეტი არც არაფერი შეგრჩება ხელთ, მაშინ, როდესაც სულიერი თანაზიარობა და შთამაგონებელი იმპულსები მხოლოდ დაგეხმარება ან შენივე თავის პოვნაში, ანდა შენი მხატვრული ძიებების გადახალისება-გამრავალფეროვნებაში.

ასეთ დროს კვალი ხან თვალნათლივია, ხანაც უფრო შებურული, და ისიც კი შეიძლება მოხდეს, კვალი საერთოდაც დაიკარგოს, და რომ არა პოეტის სიწრფელე და კეთილსინდისიერება, ჩვენით ვერც ვერასოდეს დავადასტუროთ.

ნანა ეხვაიასა და ლია სტურუას სულიერი თანაზიარობისა არ იყოს, უმცროსი თანამოკალმის აღფრთოვანებას ისიც რომ იწვევდა, სტრიქონი სტრიქონს ისე რომ მიჰყვებოდა ლია სტურუას ლირიკულ კრებულებში, კომპრომისი არსად იჩენდა თავს, „ცეცხლი ისევ ორლობეებში დაურბოდა“, რაც მოწმობდა, რომ:

ჯერ არ მოღლილიყო მისი კალამი, სული მისი მოუთვინიერებელ მგლად რჩებოდა კვლავინდებურად „რძეში ჩამხობილი მარწყვის ჟრუანტელით“ და „ყურიდან ყურამდე გაჭიმული სევდა“ კვლავაც ბობოქრობდა — რაც კანთიელად ადასტურებდა, რომ:

არ ელეოდა სიტყვის მადანი.

და ლია სტურუას მორიგ ლექსებსაც რომ წაიკითხავდა, როგორც ყოველთვის შიშისმომგვრელად დიდი სამყარო გადაეშლებოდა თვალწინ — გაჯერებული გულისა და გონების რთული გრაფიკით.

დაწერდა „გრაფიკას“ და... აღარ მოეწონებოდა და თავს შეუწყრებოდა:

თუმც გრაფიკა რა სახსენებელია, უფრო ალბათ მოზაიკური პანოო.

და აღფრთოვანებას ამჯერად ასე გამოხატავდა:

ყოველ ჯერზე ისე მაღალ
თამასას დებთ, რომ
შეუძლებელია
თქვენი ინტეგრალების
ადვილად ამოკითხვა.

ადვილად რომ არ იშიფრებოდა ლია სტურუას რთული მეტაფორისტიკა, ამიტომაც ედებოდა „მგლის საათი“ თავსასთუ-

მალთან, კვლავდაკვლავ რომ დაბრუნებოდა, კვლავდაკვლავ რომ ჩაკვირვებოდა და მიეკვლია პოეტურ ინტეგრალთა მეორე პლანისათვის, კიდევ უფრო მძაფრად რომ შეეგრძნო ამ მხატვრული მეტყველების მადლიც და სილამაზეც, რათა უფრო სიღრმისეულად დაეგდო ყური თავის სულში მიმდინარე ჭიდილისათვის ზეცასა და მიწას შორის.

ეს მუდმივი ჭიდილი, ეს ერთგვარი დაპირისპირება ორგანული რომ არის ნანა ეხვაიას მსოფლხედვისათვის, საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას მარინე ტურავაც შესავლად წამძღვარებულ ესეიში „სულისთვის სრბოლა“, და დაუკვირდებოდა, რომელი უფრო იყო ნამდვილი, უფრო რეალური — „სიზმარეთი“ თუ „კატაპულტივით“ გადმოვარდნა ანუ ამქვეყნიური გაღვიძება?!. კაცი, რომელსაც ესიზმრებოდა თავი პეპელად, ხომ არ იყო პეპელა, რომელსაც ესიზმრებოდა, ადამიანი ვარო?!.

და ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მოდერნულ-პოსტმოდერნული ეპოქის ეს კითხვები ისევე რომ აწუხებდა ნანა ეხვაიასაც, როგორც პოეტთა უმრავლესობას; და თვალს რომ ადევნებდა, თუ როგორ მიჰქონდა თავისი წილი მიწას და თავისი წილი ზეცას, ბედნიერად მიაჩნდა ყველა, ვისაც შეეცნო ამ იდუმალი გაცვლა-გამოცვლის ნამდვილი აზრი.

იდებოდა ლია სტურუას ლირიკული კრებული ნანა ეხვაიას თავსასთუმალთან, მოხიბლულისა, როგორ უნდა დასდებოდა მალამოდ ეს ლექსები უსიყვარულოდ გამოფიტულ ჩვენს საუკუნეს, პოეტური ინტეგრალების მიღმა კი ახალ-ახალი ელფერით ილანდებოდა შიშისმომგვრელი დიდი სამყარო, გაჯერებული გულისა და გონების მოზაიკური პანოთი...

და იმ ვულკანების ფონზე ახსენდებოდა თავისი ქოხმახები და გორაკები, რომლის წიაღშიც თესავდა სიტყვებს გულმოდგინებით... და ვაჟა-ფშაველასავით ნატრობდა, რომ:

ბალახი ყოფილიყო.

ოღონდ არამარტო სათიბი, არამედ ადამიანის ნაფეხურებით გადათელილიც, და მისი ღვაწლი ყოფილიყო მოთმენა — ჯილდოს მომცემი სასუფეველში, იქ, სადაც უნდა მორიგებულიყვნენ მიწა და ზეცა, ნამისა არ იყოს, კვლავდაკვლავ რომ უნდა აიკრიფებოდეს ხოლმე ბალახის ფოთლებიდან.

ქართლის ჭირის მემატიანედ

(გურამ გეგეშიძის ექვსტომეული)

ჩემი სიყმაწვილის ერთი ყველაზე დიდი და შემძვრელი შთაბეჭდილება იქნებოდა გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, რომელსაც „მნათობის“ ადრეულ ნომრებში გავეცნობოდი და კიდეც გახდებოდა ეს რომანი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი საკითხავი, რომელსაც დროდადრო მივუბრუნდებოდი ხოლმე.

ცალკეული პასაჟები და ეპიზოდებიც კი თავისთავად დამაზეპირდებოდა, ვამეხისა და შამილას შერიგების სცენა ახლაც კი შემიძლია აღვიდგინო სიტყვაშეუშლელად, ერთ-ერთი უძლიერესი ეპიზოდი, რომელსაც — მიუხედავად სიდიდისა — თავით ბოლომდე გადმოიტანდა თავის წერილში ოტია პაჭკორია.

მოგვიანებით აღმოვაჩენდი, რომ „ცოდვილი“ კნუტ ჰამსუნის გავლენით შექმნილიყო — დასაწყისი მაინც პირდაპირ მეორდებოდა; და თუმც მთავარი გმირის, ვამეხ გურამიშვილის, პროტოტიპი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ, ძალიან დავალებულიყო იუჰან ნაგელის ხასიათითაც.

მიუხედავად იმისა, რომ „ცოდვილის“ მხატვრულ ღირსებებზე უკვე აღარ ვიქნებოდი მთლად ძველებური შეხედულებისა, სიყვარულით კვლავაც ძალიან მეყვარებოდა, დღემდე რომ არ გამნელებია.

მომდევნო რომანი „სტუმარი“ კი მართლაც გამორჩეული ქმნილებაა და ყოვლად უსამართლოდ მიყრუვდებოდა, მკითხველთა წრეებში უფრო მნიშვნელოვნად რომ აღიარებდნენ ტეტრალოგიას „ქართლის ჭირი“, რომელიც მოიცავდა ოთხ რომანს: „ხმა მღაღადებლისა“, „სისხლის წვიმები“, „ნაცრის კოშკი“ და „ცეცხლისქრობა“ — ქრონოლოგიურად რომ შემოჰყვებოდა საქართველოს ისტორიას XIX საუკუნის მეორე ნახევ-

რიდანXX-ის მიწურულამდე და მრავალმხრივ მნიშვნელოვან მხატვრულ მატიანედ წარმოდგებოდა.

მოთხრობებიდან განსაკუთრებით მაინც „ჟამი“ გახმაურდებოდა — მწვავე, გამჭვირვალე პოლიტიკური ქვეტექსტების გამოც, საერთოდ კი მართლაც ერთ-ერთი მონაპოვარი ქართული მოთხრობისა, გურამ გეგეშიძე ამ ჟანრშიც ძვირფას მემკვიდრეობას რომ დაგვიტოვებდა, სიყმაწვილეში „დევნილი“ რომ იქნებოდა ჩემთვის გამორჩეული და დრო უნდა გასულიყო, ვიდრე შესაფერისად დავაფასებდი „აპრილის“ განსაკუთრებულ სიმაღლესა და მსოფლიო მნიშვნელობას.

გურამ დოჩანაშვილი მწერალთა კავშირის პროზის სექციის თავმჯდომარე რომ გახდებოდა, განხილვას განხილვასა და საღამოს საღამოზე გამართავდა და განიზრახავდა გურამ გეგეშიძის ახალგამოსული რომანის „ხმა მღაღადებლისა“ — განხილვასაც, მოხსენების მომზადებას მე რომ შემომთავაზებდა:

არც გეკითხები, წაკითხული გაქვს თუ არა, ვიცი, უეჭველად წაკითხული გექნებაო!..

ჰოი რა გატაცებით ჩავუჯდებოდი მოხსენებას, მითუმეტეს საშუალება მეძლეოდა პირადადაც გავცნობოდი ჩემს ერთ უსაყვარლეს მწერალს, მაგრამ... გურამ გეგეშიძე არ მოინდომებდა განხილვის გამართვას, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაზე განაწყენებულიყო და იმ შენობაში ფეხის შემოდგომასაც არ აპირებდა. მოხსენების მზადების პროცესი კი ესიამოვნებოდა და უმცროს სეხნიას ეტყოდა:

თუ დაიბეჭდება, ძალიან გამეხარდებაო.

განებივრებული არა ყოფილა კრიტიკისაგან, თუმც ამას საკმაოდ მშვიდად უყურებდა.

გაცნობით რამდენიმე წლის მერეღა უნდა გამეცნო, პირველ ფრაზას ამას რომ მეტყოდა:

მამაშენის დიდი პატრიოტი ვარ, დიდი პატრიოტი, რამდენჯერ მაქვს „კვერნაქი“ წაკითხული, ვერ დავთვლი, მსოფლიო რომანიაო.

ისიც „კვერნაქს“ გამოარჩევდა, ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელისა არ იყოს, და არა „ბორიაყს“, უფრო მნიშვნელოვნად რომ აღიარებულა ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისას“

რომანების ციკლში, რომლის გავლენითაც უნდა შექმნილიყო „ქართლის ჭირი“, ტეტრალოგიის ოთხივე ნიმუშს თავისი გამოკვეთილი კომპოზიციური ქარგა რომ აქვს, თუმც პერსონაჟები გადმოდიან რომანიდან რომანში.

უმნიშვნელოვანესი საქმე აღსრულდებოდა, „პალიტრა ელი“ გურამ გეგეშიძის ექვსტომეულს რომ გამოსცემდა:

ქართული პროზის სიმაღლისა და დიდებულების თვალსაჩინოებად, „ცოდვილი“ და „სტუმარი“ ერთ ტომში რომ გაერთიანდებოდა, ერთი ტომი ნოველებსა და მოთხრობებს დაეთმობოდა, ოთხი წიგნი კი — „ქართლის ჭირს“.

ბარემ დართვოდა მეშვიდე ტომიც — გნებავთ დამატებად, რომელიც მოიცავს მწერლის ლიტერატურულ წერილებს, ესეებსა და დიალოგებს, რაც ძალიან წაადგებოდა მკითხველს; ისევე როგორც გულს დამაკლდებოდა თვითეული ტომის დასაწყისში კრიტიკულ-ესთეტიკური სტატიებისა თუ ნარკვევების არარსებობა — გურამ გეგეშიძის შემოქმედების მცოდნე ლიტერატორები სანთლით საძებარნი სულაც არ არიან.

შესაძლოა ბატონმა გურამმა თვითონ არ მოინდომა წინასიტყვაობათა ეს სერია, მოერიდა ცალკეულ პირთა შეწუხებას, თუმც გამომცემლობას კი უნდა გამოედო თავი და შესანიშნავი ექვსტომეული ამ შტრიხითაც გაემდიდრებინა.

სასაყვედუროდ ენა არ მიბრუნდება და ეს მხოლოდ გასათვალისწინებელ რჩევად ჩამომერთვას, როგორც „პალიტრა ელის“, ისე სხვა გამომცემლობებისადმი.

მთავარია, რომ:

ლიტერატურული განძი გვიპყრია ხელთ გურამ გეგეშიძის ამ წიგნების სახით.

და ამ ექვსტომეულის არსებობა იმ მხრივაც წაგვადგება, რომ გაგვიადვილებს სამეცნიერო სესიის გამართვას, რომანებს ექვსი სხვადასხვა მომხსენებელი რომ ეყოლება, მოთხრობებს კი — ორი, თანამედროვე და ისტორიული თემატიკის კვალობაზე.

მართალია ისტორიული მოთხრობა სამად სამი აქვს: „ჟამთან“ ერთად „საყდარი“ და „დიდება“, მაგრამ საგანგებო შესწავლა-წარმოჩენას საჭიროებენ, თავისებურ გზამკვლევად თამაზ ნატროშვილის ვრცელ სტატიას რომ დავისაჭიროებთ.

რომ ვუფიქრდები, ალბათ „შეწირულიც“ ამ რკალში უნდა გავიაზროთ. 1921-24 წლის ამბები ჩვენი უფროსი და ჩემი თაობისთვისაც გახლავთ ბიოგრაფიის ნაწილი, თორემ ახალგაზრდებისათვის, XXI საუკუნის შვილებისათვის ის უკვე ისტორიაა.

დაე ის სამეცნიერო სესია, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით მომზადებული, თავისებური ნიშანსვეტი იყოს გურამ გეგეშიძის ისე დასაფასებლად, ქართულ ლიტერატურას როგორც ეკადრება, მსოფლიო სამწერლო პროცესებში ჩართვას რომ ვესწრაფვით და ამ გზაზე ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად გურამ გეგეშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობაც გვეგულება.

შთამბეჭდავიც, საქმიანიც, ნაყოფიერიც

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩამთავრდებოდა გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის თაოსნობით გამართული სამეცნიერო კონფერენცია — მიძღვნილი ოთარ ჩხეიძის 100 წლისთავისადმი.

დროის შესაფერისად:

ონლაინ რეჟიმს რასაც უწოდებენ და... მხოლოდღა ანარეკლია სრულფასოვანი სამეცნიერო თავყრილობისა.

ესეც ანარეკლი თუ იქნებოდა.

ოღონდ:

ანარეკლი სახიერი, შთამბეჭდავი, საქმიანი, ნაყოფიერი.

მთლად ანარეკლიც აღარ გამოდის, არა?

უბრალოდ იმ ნამდვილს რომ ვადარებთ, თორემ...

კონფერენცია იქნებოდა გამომხატველი ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მაღალი დონისა, არცერთ დასავლურ სამეცნიერო თავყრილობას რომ არ დაუდებდა ტოლს და ახალგაზრდებიც ისევე წარმატებით მიიღებდნენ მონაწილეობას, როგორც მათი უფროსი კოლეგები და ხშირ შემთხვევაში — აღმზრდელები.

დაბეჯითებით ვერ იტყოდი, მოხსენებებიდან რომელი რომელს სჯობდა, ერთმანეთს ძალდაუტანებლად რომ აგრძელებდნენ და ჰქმნიდნენ ერთიან პანორამას, ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყაროს სხვადასხვა ასპექტით გამნათებელს, უამრავი სიახლის მოწმენი რომ შევიქნებოდით, სიახლეთა, რაც მნიშვნელოვანი გახლავთ როგორც ერთი კლასიკოსი მწერლის შემოქმედებაში გზის გასაგნებად, ისე ზოგადლიტერატურული თვალსაზრისითაც.

მეტიც:

საზოგადოებრივ-პოლიტიკური კუთხითაც, ძალიან რომ წაგვადგება მწერლის მოსაზრებანი თუ წინასწარმეტყველებანი უკეთესი საქართველოსაკენ სწრაფვისას.

თვალის ჩავლებაც კი მომხსენებელთა სიისა და მეცნიერულ ნაშრომთა სათაურებისათვის მკაფიოს ხდის თავყრილობის შინაგან სივრცესაც და აქტუალურობასაც.

გიორგი სოსიაშვილი — გახსნა, შესავალი სიტყვა

მარიამ მირესაშვილი- ოთარ ჩხეიძის „იოკნაპატოფას საგა“ — საბჭოური ტოტალიტარიზმის ეპოქის გზამკვლევი. სოხუმის უნივერსიტეტი

იოსებ ალიმბარაშვილი — ოთარ ჩხეიძე და გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი გორის უნივერსიტეტი

ნანა კუცია — ქართველთა პორტრეტები ოთარ ჩხეიძის რომანში „იტალიური დღიურები ბაირონისა“. სოხუმის უნივერსიტეტი

გიორგი ხორბალაძე — რომანი „ჯებირი“ თანამედროვე გადასახედიდან გორის უნივერსიტეტი

ეკა ხანიშვილი — ოთარ ჩხეიძის ესეისტიკის რამდენიმე ასპექტი სოხუმის უნვიერსიტეტი

მაგდა ჭიქაბერიძე- დოკუმენტური ფონი ოთარ ჩხეიძის ნოველების რკალში „შესანდობარნი“. ტექნიკური უნივერსიტეტი

სოფო ჭუმბურიძე — გენდერული პრობლემა ოთარ ჩხეიძის რომანში „კვერნაქი“ ქათაისის უნივერსიტეტი

ლია კუხიანიძე — ხსოვნა პატარა ბიჭსა ოთარ ჩხეიძის „გამდელისა“ და უილიამ ფილკნერის „ხვალის“ მიხედვით ქუთაისი, დოქტორი

მარინე ცერცვაძე — ოთარ ჩხეიძის მოთხრობების პრობლემატიკა — „ისევ დადიანი“, „პროზის სემინარი“ გორის უნივერსიტეტი.

ნელი პეტრიაშვილი — დარღვეული სული ოთარ ჩხეიძის „ბერმუდის სამკუთხედის“ მიხედვით სოხუმის უნივერსიტეტი Topic: ოთარ ჩხეიძის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

თამარ გოგოლაძე — ტიტანი და ბრბოი (ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“ გორის უნივერსიტეტი

თამარ სიდამონიძე — „რაღაა სიცოცხლე, ლამაზიც თუ აღარ იქნება“ (ესთეტიკური განცდა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში). გორის უნივერსიტეტი

თამილა ზვიადაძე — ოთარ ჩხეიძის ენობრივი ცნობიერების ასპექტები („მეჩეჩის“ მიხედვით). სოხუმის უნივერსიტეტი

მარიამ მარჯანიშვილი — სინამდვილისადმი ოთარ ჩხეიძის მიდგომის ტენდენციები („გამოცდა“) ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ნესტან ფიფია — უნივერსუმი ნარატიულ მდინარებაში (ოთარ ჩხეიძის ორი ნოველის მიხედვით „მიწა“ და „ნისლა“) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანა იმნაძე — ისტორიული ფაქტი და ლიტერატურული რეფლექსია ოთარ ჩხეიძის ერთი რომანის მაგალითზე. გორის უნივერსიტეტი

მარინე კაკაჩია — მწერალი და იდეოლოგია (ოთარ ჩხეიძის რომან „თეთრი დათვის“ ენობრივ თავისებურებათა მაგალითზე). სოხუმის უნივერსტეტი

ლუკა დვალიშვილი — მწერლისეული იდეისა და სათაურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ოთარ ჩხეიძის რომანში „ბერმუდის სამკუთხედი“ ქუთაისის უნივერსიტეტი

მარინე ტურავა — ნოველის კონცეპტები ოთარ ჩხეიძის წერილში „სიბრძნე-სიცრუის“ აღნაგობისათვის“. სოხუმის უნივერსიტეტი

ნინო ვახანია — ყოფის რეალისტური სურათები ოთარ ჩხეიძის ერთი მოთხრობის მიხედვით („რამდენი კილომეტრი იქნება გრაკლიდან ქახვრელამდისა“). სოხუმის უნივერსიტეტი

ქარდა ქარდუხი — მწერლის უტყუარი წინასწარმეტყველება (ოთარ ჩხეიძის რომანი „არტისტული გადატრიალება“) მწერალი. ბათუმი

სამეცნიერო შეკრებას თავისებურ შტრიხს შემატებდა სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტის დავით სახელაშვილის მიერ წაკითხული ჩანახატი „სიბრძნე სიმართლისა (ოთარ ჩხეიძე ჩემს წარმოსახვაში)“.

მთავარია, რომ კონფერენციის მასალები კრებულადაც გამოიცემა და ხელმისაწვდომი იქნება ყველასათვის, ვისაც აინ-

ტერესებს არამარტო ამ მწერლის მხატვრული მემკვიდრეობა, არამედ აღელვებს ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების ბედი და მომავალი.

ოთარ ჩხეიძის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თავყრილობის მომზადებას თავთავის ამაგს დასდებდნენ:

მარინე გიგაშვილი, ანი იმნაძე, გიორგი ხორბალაძე, ნინო ვახანია, ელგუჯა თავბერიძე, დაგვირგვინებით კი დააგვირგვინებდა გიორგი სოსიაშვილი. არამარტო როგორც გორის უნივერსიტეტის რექტორი, არამედ შესანიშნავი ისტორიკოსი და პროზაიკოსი, მოღვაწეობისათვის შემართული პიროვნება, ვინც უნივერსიტეტს აქცევდა არამარტო საგანმანათლებლო კერად, არამედ კულტურული ცხოვრების განმსაზღვრელადაც, გორის ტრადიციებს რომ შეჰფერის, ტრადიციებს, რომლის შენარჩუნებასაც დიდ ამაგს დასდებდა ოთარ ჩხეიძე.

სიზმრად ნანახი სიზმრები

(რუსუდან რუხაძის მოთხრობების კრებული)

სიყვარულს თუ შეიძლებოდა წონა ჰქონოდა, თქვენი არ იყოს, ამაზე არც მე მიფიქრია. და ასეთი სიტყვათშეთანხმებისათვის რომ მომეკრა ყური, პაროდიად თუ აღვიქვამდი.

მაგრამ რუსუდან რუხაძის მოთხრობა, სწორედ ამგვარად დასათაურებული: „სიყვარულის წონა“ — აღმოჩნდებოდა რომანტიკული სულით გაჟღენთილი და იმ სიფაქიზით შესრულებული, რომანტიკულ განწყობილებებს რომ სჩვევია, თვით უამურ ამბებშიც რომ არ იკარგება ამ სულიდან, ამ განწყობილებებიდან მონაბერი სუნთქვა.

— ჩვენ დიდხანიი შევწყვიტეთ სიყვარულზე საობარ, — ეთერ თათარაიძის ანუ ეთეროს სტრიქონები უნდა წამძღვარებოდა ეპიგრაფად მოთხრობას, ღრმა სევდითა და ტკივილით აღვსილი და დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი სიყვარულის, იმ გაწყვეტილი ძაფების გამო, რომანტიკულ საუფლოსთან რომ გვაკავშირებდა...

თუმც მოთხრობას უნდა დავეიმედებინეთ, რომ ყველა ძაფი არ გამწყდარიყო და კვლავინდებურად გრძელდებოდა სიყვარულის უწყვეტობა — ეგებ მთლად მდინარესავით ვეღარ, ნაპირებს რომ გადმოდის და წალეკვით ემუქრება ყველასა და ყველაფერს, მაგრამ ნაკადულად ხომ მაინც მოედინებოდა, ნაკადულის ტალღების ლივლივი კი — მოგეხსენებათ პოეტებისაგან — წარღვნას ირეკლავს, მის სუნს გვაგრძნობინებს და ადრე თუ გვიან რაღაც დიდსა და გრანდიოზულთან შესახვედრად განგვაწყობს.

სიფაქიზესა და სევდასთან ერთად ღიმილსაც უნდა შემოენათებინა ამ მოთხრობიდან, რუსუდან რუხაძის ბელეტრისტი-

კისათვის ასერიგად ნიშანდობლივს, ჯერ მარტო ქვეთავების სათაურებშივე რომ გამჟღავნდებოდა, „ჩანაწერთა“ ნაცვლად „ჩაწერიკოებად“ რომ მოინათლებოდა და აიგებოდა დეკამერონულ ხერხზე — სხვადასხვა ადამიანთა ნაამბობებზე, რაც კომპოზიციურ ქარგაში უნდა მოქცეულიყო მთხრობელის ნაამბობის წყალობით, მთელ მოთხრობას რომ გამოსდევდა ჩიტებად გასიმბოლოვებულ ქალთა გალერეის შემავსებლად, ფინალური აკორდი კი ისეთი შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო, სიყვარულის ტრაგიზმსაც რომ გვაზიარებდა, რაკილა გულწითელად სახელდებული ქალის ნაამბობიდან ეს მრავლისმეტყველი ნაწყვეტი უნდა დარჩენილიყო, დიდ მსჯელობაზე მეტს რომ გაგვიცხადებდა:

— წაკითხვისთანავე დანვი — ჩემი ყველა წერილი ასე იწყებოდა...

გვირგვინი კი მოთხრობისა იქნებოდა გარიელად სახელდებული ქალის ნაამბობი, უთქმელი გოგოსა და უთქმელი ბიჭის სიყვარული, ერთმანეთს რომ ვერ უმხელენ უღრმეს გრძნობას და... სკოლის გამოსაშვებ ბოლო ზარზე ბიჭს ეს სიტყვა უნდა მიეწერა გოგოს წინსაფარზე: მეც!.. ხოლო როდესაც წლების შემდგომ ჟურნალისტად ჩამოყალიბებული ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილ რკინიგზელთა მემორიალზე იმ ბიჭის გვარ-სახელსაც ამოიკითხავდა, სურვილი გაუჩნდებოდა იქვე მიეწერა: მეც!.. და მხრებჩამოყრილი რომ წამოვიდოდა, სტატიის დასაწყისზე ბევრი ფიქრი აღარც დასჭირდებოდა...

სასკოლო ქრესტომათიაშია შესატანი ეს „ჩაწერიკო“.

ესეც ის ზნეობრივი სასწორი, ამ და სხვა „ჩაწერიკოებსა“ და მთხრობელის ნაამბობში ასეთი სიფაქიზითა და დახვეწილობით წარმოსახული, რომელზედაც შესაძლებელია აიწონოს სიყვარული, ეს სათაური მოთხრობისა რუსუდან რუხაძის მთელს კრებულსაც რომ მოუხდებოდა („ინტელექტი“, 2020), ლაღი იუმორით მონათხრობსაც — „ადმირალის დაბრუნება“ იქნებოდა თუ „შიშველი აკაკი“ — რომ მსჭვალავდა იდუმალი სევდა, თორემ სხვა ნიმუშებში — „მეორე წაკითხვა“, „ჩიტი ქვაზე“ თუ განსაკუთრებით „ნესი გერცენი" — ეს განცდა კიდევ უფრო მძაფრად იჩენდა თავს.

ამიტომაც აღარ გიკვირს ნოველის „ჩიტი ქვაზე“ პერსონაჟებს კაეშანი რომ აკავშირებთ, რის გამოც მათ ყველაზე დიდ მხიარულებასაც მსუბუქი სევდა ახლავს. და ჰგონიათ, რომ მათზე უკეთ არავინ იცის, რომ ამაოების თანდაყოლილ დარდს ვერაფერს მოუხერხებ და სხვასაც ძნელად თუ გააგებინებ, რას შეიძლება ნიშნავდეს დასასრულის დაუძლეველი შიში და საგანგაშო ბედნიერება.

ხოლო სიფაქიზეს ჰქმნის ნახევარტონები და მინიშნებანი, სტრიქონებს შორის გამჭვირვალედ ჩაბუდებული გაელვებანი, რომელთაც თუ არ მიჰყევი და დროდადრო მათ მიღმა გასვლაც არა სცადე, დაგეკარგება ამ მოთხრობების ფარული მადლი და სილამაზე; და ველარც იმ სულიერი ტრაგედიის მიზეზს ამოიცნობ, თუ რატომ შეიძლება ქმრის ღალატით განაწყენებულმა ქალმა თავი დაიხრჩოს მდინარეში... მერე ამ ყოველივემ დედის გადასარჩენად ამაოდ გაკიდებული ბავშვის ცხოვრებაშიც რომ უნდა იჩინოს თავი... თუმც საბედისწეროდ აღარ დასრულდეს, რაკიღა წარსულმა გამოცდილებამ უნდა უკარნახოს, რომ თავისი მწვავე შინაგანი განცდები თამაშად გარდასახოს.

ეს „ნესი გერცენის“ სიუჟეტური ქარგაა, კრებულის საუკეთესო მოთხრობისა და ამ ჟანრის ერთი უკეთესი მონაპოვრისა ჩვენს სამწერლო დინებაში, მისტიკური ფონიც რომ გამოსდევს, ყველაზე ხელშესახებად გამჟღავნებული იმ ეპიზოდში, დაღუპული ქალის სულს რომ მოეზიდებიან ძაფით მდინარიდან შინისაკენ.

ამ ხალხურ ჩვეულებას, ასეთი სიმძაფრითა და გაუხუნარობით შემონახულს სამეგრელოს მხარეში, საფუძვლად დაუდებდა ქარდა ქარდუხი თავის პირველ რომანს, სათაურშივე რომ გამოიტანდა: „ძაფზე მოფარფატე სული“ — და მთელი თხრობა ამ იდუმალი პროცესის ირგვლივ დატრიალდებოდა.

და აგერ რუსუდან რუხაძე კვლავ უნდა მიბრუნებოდა ამ ჩვეულებას მისტიკური სუნთქვის გასაძლიერებლად, მიბრუნდებოდა უშუალოდ ყოფითი რეალობით შთაგონებული, მის ნაამბობს წიგნური წარმოშობის კვალი რომ არ ატყვია და ასე ბუნებრივად ამიტომაც ჩართულა მოთხრობაში დრამატულ კვანძად.

სტრიქონებს შორის გამჭვირვალედ ჩაბუდებული გაელვებანიო...

ეს გაელვებანი ჰქმნიან საყრდენს ცარიელი ანუ „თეთრი სივრცისათვის“, მკითხველის წარმოსახვას რომ უბიძგებს შესავსებად.

რასაც ათქმევინებდა მწერალი პერსონაჟს მოთხრობისა „მეორე წაკითხვა“, არსებითად თავის ესთეტიკურ მრწამსს გაამჟღავნებდა:

— კითხვისას შეიძლება სულაც ვერ ამჩნევდეთ, როგორ მონაცვლეობენ დიდი და პატარა აბზაცები, ან ვრცელი და მოკლე წინადადებები... მკითხველს უყვარს თეთრი სივრცეები.

ამ ამონარიდს საგანგებოდ მოიხმობდა რედაქტორის წინასიტყვაობაში თეა ყიფშიძე, კიდევ ორ საგულისხმო ციტატასაც რომ მოადევნებდა:

ერთს ამას:

— ტექსტის მუსიკა თუ ჩაგესმით? ამჩნევთ ხოლმე სიტყვებს შორის ხმოვნებით და თანხმოვნებით შეთამაშებას?..

მეორეს კიდევ ამას:

— წიგნის უხილავი ხიბლის დანახვა ყველას არ შეუძლია. ქვეტექსტები, ფარული ციტატები და ალუზიები ფსკერზეა, უნდა ჩაყვინთოთ.

და დასძენდა:

ასე რომ, თამამად ჩაყვინთეთ და ფსკერზე თქვენებურად აღქმული „სიყვარულის წონა“ თავადვე შეიგრძენითო.

იმავე მოთხრობაში იმავე პერსონაჟს კიდევ ეს ფრაზა უნდა ეთქვა:

— ტექსტს თავისი ალგებრა და გეომეტრია აქვს.

რას გულისხმობდა?

თუნდაც იმას, ფინალი ხშირად დასაწყისისაკენ რომ გაბრუნებს და წრეც იკვრის. ეს წრე კი სათამაშო მოედანს შემოსაზღვრავს და... ლიტერატურაც განა სხვა რა არის, თუ არა თამაში.

ხოლო თამაშისას იუმორთან ერთად მისტიკური სუნთქვის შემოჭრასაც უნდა ელოდე, გარეგნულად ამ სუნთქვას საფლავის ქვებზე დალაგებული ქაღალდის ჩიტებიც რომ გვაგრძნობინებენ.

ერთგან რუსუდან რუხაძეს უნდა ეხსენებინა სიზმრად ნანახი სიზმრები, რაც მისთვის მარტოდენ მეტაფორული გააზრება

სულაც არ არის და უნდა გულისხმობდეს მიდრეკილებას ამგვარი მხატვრული ხედვისაკენ.

ამ ხედვას კი თავისი სტილისტიკა უნდა მოეყოლებინა და გზა გაეხსნა სწორედაც მისტიკური ნაკადისათვის, ყოფით რეალობაში მარჯვედ რომ უნდა მონაცვლებულიყო.

ნიშანდობლივია, „მეორე წაკითხვა" თავისთავად რომ გვიმჟღავნებს ავტორის საყვარელ მწერალთა ვინაობას: რიუნოსკუ აკუტაგავა, ხუან რულფო და გაბრიელ გარსია მარკესი — რომელთათვისაც სწორედ ეს ხედვაა ნიშანდობლივი — სიზმრად ნანახი სიზმრების კიდევ უფრო ნისლეული გარემო და იდუმალება, რეალისტურ, სულაც ნატურალისტურ სურათებსა თუ ეპიზოდებს გადაჭდობილი.

ეს ხედვა მოითხოვს თავის ალგებრასა და გეომეტრიას, თამაშის თავის წესებსა და თავის მუსიკასაც...

და ეს ხედვაა, მწერალს რომ აარიდებდა ჟურნალიზმის შემოჭრას თხრობაში — რუსუდან რუხაძე ჟურნალისტიკიდან უნდა მოსულიყო პროზაში, ოღონდ თან არ უნდა მოეყოლებინა ჟურნალიზმის ელემენტებიც კი, თორემ ეს ჟურნალიზმია, ბელეტრისტიკას რომ აზიანებს, არამცთუ მისი დიდი დოზით გამოყენება, ნამცეცებადაც კი, რადგანაც ეს სწორედ ის კუპრია, მთელი კასრი თაფლიც რომ შეუძლია წაახდინოს.

და მერე ამაოდღა დაუწყებთ ძებნას ფსკერისმაგვარსაც, რაკიღა მაშინ ალგებრაც და გეომეტრიაც, ქვეტექსტიც, ფარული ციტატებიც და ალუზიებიც მოჩვენებითი თუ იქნება, წამხედურობით გამოწვეული და გულისგულში გამოუტარებელი.

არადა ქვეტექსტებსაც, ფარულ ციტატებსაც და ალუზიებსაც მაშინ აქვთ ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულება, როდესაც სტილურ დახვეწილობასა და ექსპრესიას იდუმალებისაგან შობილი მუსიკა მოჰყვება, სიტყვებს შორის ხმოვნებისა და თანხმოვნების შეთამაშებასაც ამოსდევს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იმ იდუმალ მადლს, თხრობას არა ტექსტად, არამედ მხატვრულ ქმნილებად რომ აქცევს, იმ ახალ სინამდვილედ, რომლის ფსკერზეც მოქმედებენ რუსუდან რუხაძის არაორდინარული, კოლორიტული, სევდით გათანგული პერსონაჟები.

ისტორიული ჭეშმარიტება და საკრალური სინამდვილე

(შეხმიანება ხვთისო მამისიმედიშვილის „საკრალურ ისტორიებთან“)

„ბეოვულფი“ გამოუყენებიათ იახსარის ანდრეზზე მსჯელობისას.

გამოუყენებიათ ამირანის თქმულების ანალიტიკური განსჯისას — და საკმაოდ დეტალურადაც.

და ახლა ეს ანგლო-საქსური საგმირო ეპოსი უნდა შემოეტანა მსჯელობაში ხვთისო მამისიმედიშვილსაც ნარკვევის — „ვეფხისტყაოსნის მითოლოგია“ — იმ თავში, გამოქვაბულისა და საკრალური იარაღის მითოსს რომ უნდა ჩაკვირვებოდა და ხელშესახები საერთო დაენახა გველეშაპის წიაღიდან გამოსულ მითოსურ თუ ზღაპრულ გმირებსა და ტარიელს შორის, რომელიც გამოქვაბულს შეცვლილი სულიერი მდგომარეობითა და ფიზიკური გარეგნობით ტოვებდა, და ნაცვლად ვეფხისტყავისა, უკვე ეცვა ჯადოსნური აბჯარი, დიდხანს რომ ინახებოდა გამოქვაბულში და ქაჯებთან მებრძოლ გმირს ელოდებოდა.

და მკვლევარი გაიხსენებდა, რომ ასეთ აბჯარს, ქართული მითოსის მიხედვით, გველეშაპი ჩუქნიდა თორღვას.

ხოლო ჯადოსნური და საკრალური იარაღის ფლობა ბოროტების შავბნელ ძალებზე გამარჯვების აუცილებელი წინაპირობა რომ გახლდათ, ნიმუშად მოიხმობდა არტურ მეფის ჯადოსნურ ხმალს ესკალიბორს, ამირანის ალმასის დანას, დედის მუცლიდან რომ დაჰყოლოდა და რომლითაც გველეშაპი უნდა გამოეფატრა, და „ბეოვულფშიც“ გმირს გოლიათთა ნაქონი ხმლით უნდა მოეკლა დემონური არსება, გველეშაპ გრენდელის დედა.

ეს საგმირო ეპოსი მკვლევარს მაშინაც გამოადგებოდა, როდესაც დევების გამოქვაბულში აღმოჩენილი საგანძურის ეპიზოდში დაინახავდა, თუ რარიგ ითვალისწინებდა შოთა რუსთველი მითოლოგიურ ტრადიციას.

ამჯერადაც ტიპოლოგიური მსგავსება უნდა გამოევლინა „ვეფხისტყაოსნის“ ამ პასაჟსა და „ბეოვულფის“ იმ საარაკო განძეულს შორის, საიდუმლო კოშკში რომ ინახებოდა მოოჭვილი მუზარადები, აბჯრები, ხმლები, ჯაჭვის პერანგები და მას ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი იცავდა.

ეს დეტალიც — „ბეოვულფი“ რომ უნდა დაეტრიალებინა სამეცნიერო მიმოქცევაში — ადასტურებს და ათვალსაჩინოებს ხვთისო მამისიმედიშვილის სწრაფვას, ახალი და ახალი მასალებით, პარალელებით, ფოლკლორული თუ მეცნიერული წყაროებით გაამდიდროს თავისი კვლევა-ძიება და მონაპოვარი და ამიტომაც არის მრავალმხრივ საგულისხმო თუნდ „ვეფხისტყაოსნის მითოლოგია“, რომელიც უმთავრესად წარმოაჩენს, როგორ იზიარებს ფოლკლორული ტრადიცია „ვეფხისტყაოსნის“ დემონოლოგიურ მისტიკას; და რომ პოემის იდეოლოგიური სამყაროს შემეცნება შუა საუკუნეთა მოდელს ემყარება.

ხალხურ ტრადიციაში ჩამოყალიბებული ქაჯისა და ეშმაკის მითოლოგიური სახე კარგად მოერგებოდა ფეოდალური საზოგადოების მსოფლხედვას, თუმც „ვეფხისტყაოსნისათვის“ საერთოდ უცხო დარჩებოდა შუა საუკუნეებისათვის ესოდენ ნიშანდობლივი კუდიანი ქალის სახე და ზოგადად ანტიფემინისტური ისტორია, რომელიც მოგვიანებით მთელ დასავლეთ ევროპას მოიცავდა.

დემონებსა და მასთან ერთად კუდიანებსა და მაქციებს მკვლევარი საგანგებოდ უნდა დაბრუნებოდა ნარკვევში, რომელიც ძირითადად მაინც კუდიანთა კვალს გაჰყვებოდა და მათი შეთქმულებისა თუ წამების ამბებს ამოკრებდა ქართულ თუ ჩრდილოეთ კავკასიის გადმოცემებიდან, წამებისა, ხალხურ ინკვიზიციას რომ უწოდებდა ზურაბ კიკნაძე ხალხში გავრცელებულ ამ ჩვეულებას, საზოგადოების დაკვეთას რომ ასრულებდა, საზოგადოებისა, რომელსაც სჯეროდა, რომ ნამდვილად არსებობდნენ კუდიანები, რომელნიც ათასგვარ ბოროტებას

სჩადიოდნენ და ამიტომაც მათი დევნაც და წამებაც ხალხის თვალში უმაღლეს სამართლიანობად მიიჩნეოდა.

ხვთისო მამისიმედიშვილის ძიებანი ეყრდნობა და აგრძელებს ზურაბ კიკნაძის მიგნებებს და დაკვირვებებს, მის მიერ სრულიად ახლებურად გააზრებულ რწმენა-წარმოდგენებს, ჩვენს აღმოსავლეთ მთიანეთში შემონახულსა და ან ლამის უკვე დალევაზე მიმდგარს, ნაშთებს იმ საკრალური სამყაროსი, ანდრეზულ გადმოცემებში რომ ჩაწურულა, იმ ძვირფას ფოლკლორულ სიუჟეტებში, რომელთა ზურაბ კიკნაძისეულ გამოცემასაც მიეძღვნებოდა ხვთისო მამისიმედიშვილის რეცენზია „საკრალური ისტორიები", გამხსნელად რომ წარმოგვიდგება ამავე სახელწოდების წიგნისა („უნივერსალი", 2017), რეცენზია, რომელიც არამარტო თვალნათლივ წარმოსახავს ანდრეზების მნიშვნელობას, არამედ მოხაზავს ზურაბ კიკნაძის ზოგადი პორტრეტის იმ მხარეს, მოსახლეობისაგან თითქმის უკვე დაცლილ და გაუკაცრიელებულ საყმოებში, თითოოროლა კომლიან სოფლებში როგორ მოიპოვებდა ტრადიციული საზოგადოების ყოფისათვის ფუძემდებლური შინაარსის მასალებს გადმოცემათა მცოდნეთა და მახსოვართაგან, რომელნიც მითოსურ დრო-ჟამს იმ ნახევრადსაკრალურ სივრცეში მეტ-ნაკლებად და ჯვარ-ხატთა დღესასწაულზე აღადგენდნენ, როდესაც მამაპაპური სამკვიდროდან აყრილი და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაფანტული, მაგრამ საერთო წარსულის ხსოვნით შეკავშირებული საყმო მფარველი ღვთისშვილის მყუდრო კარზე იყრიდა თავს.

ანდრეზული კულტურის ამსახველ კრებულში 420 ანდრეზი რომ მოიყრიდა თავს, ამ რაოდენობის გაზრდას ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევდა რეცენზენტი, ყოველ შემთხვევაში თემატურად მაინც აღარაფერი შეიცვლებოდა, რადგან კრებულში ზურაბ კიკნაძეს შეეტანა ყველა საარქივო ტექსტი, მათ შორის ყველაზე სრულყოფილი და ფასდაუდებელი 95 საკრალური შინაარსის გადმოცემა — XX საუკუნის 30-იან წლებში ჩაწერილი ალექსი ოჩიაურის მიერ. კრებულში შევიდოდა თინა ოჩიაურის მიერ შეკრებილი 35 ანდრეზიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამართული ფოლკლორული ექსპედიციე-

ბის შედეგად მოპოვებული მასალებიც და თვითონ ზურაბ კიკნაძის მიერ ჩაწერილი ათეულობით ტექსტიც, მათ შორის ისეთებიც, რომელთა აღმოჩენაც მას ეკუთვნოდა. თუნდ ზეგარდის წმინდა გიორგის დაარსების ანდრეზი თავისი ვარიანტებითურთ.

რეცენზენტი ზურაბ კიკნაძის დამსახურებად მიიჩნევდა არამარტო ანდრეზული ტექსტის გამოცემას, არამედ იმას, რომ:

ქართულ ფოლკლორისტიკაში მას პირველს გამოეყო ცალკე ჟანრად ანდრეზები და ამ რელიგიურ-მითოლოგიური ტექსტებისათვის კუთვნილი ადგილიც მიეჩინა ხალხური სიტყვიერების ჟანრულ სისტემაში.

მასვე ზუსტად და მკაფიოდ განესაზღვრა ანდრეზული ტექსტების ფუძემდებლური როლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოების საკრალურ ყოფაში.

ამასთან ყველასაგან მივიწყებული დიალექტური ფორმებიდან შეექმნა სამეცნიერო საკრალური ტერმინოლოგია.

ვრცელი რეცენზია-ნარკვევი მიეძღვნებოდა გერმანელი მთამსვლელის, მოგზაურისა და მეცნიერის გოტფრიდ მერცბახერის ორტომიან ნაშრომს „კავკასიის მაღალმთიანი რეგიონებიდან“, 1901 წელს რომ გამოქვეყნდებოდა ლაიფციგში და ქართულად დღემდე უთარგმნელი რჩება (ორიოდე ნაწყვეტს თუ გააცნობდა მკითხველს ნარკვევის ავტორი), რაც კიდევ უფრო ზრდის ხვთისო მამისიმედიშვილის ამ ნაშრომის მნიშვნელობას, მკითხველს საკმაოდ რელიეფურ წარმოდგენას რომ უქმნის ამ ენციკლოპედიური ყაიდის ორტომეულზე, თვითეული დაახლოებით ათას გვერდს რომ შეიცავს და კავკასიის თვითეული კუთხის დეტალური აღწერის გარდა დამშვენებულია შთამბეჭდავი ილუსტრაციებითაც — ნახატები იქნებოდა, ესკიზები, რუკები თუ მეტად მნიშვნელოვანი ფოტომასალა კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ.

რეცენზენტი თვალნათლივ წარმოგვიდგენს დიდი მეცნიერული დიაპაზონის, დაუღლელ, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებულ ერუდირებულ მკვლევარს, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა კავკასიის მეცნიერულ შესწავლას და გერმანელ და

საერთოდაც დასავლელ მკითხველს მიაწვდიდა კავკასიის შესახებ პირველ სრულყოფილ, მიუდგომელ სამეცნიერო ნაშრომს, რითაც გამორჩეულ წვლილს შეიტანდა კავკასიის რეგიონის კვლევის პოპულარიზაციაში.

გულმოდგინედ დაძებნიდა „საკრალური ისტორიების“ ავტორი აკაკი წერეთლის ისტორიული ჟანრის თხზულებებში მითოლოგიურ ელემენტებს და საგანგებო ნარკვევშიც განიხილავდა მწერლის შემოქმედების დიდ სიახლოვეს ხალხურ სიტყვიერებასთან. აკაკის ხომ არამარტო განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა ფოლკლორული მასალის შეკრებაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაში გააცოცხლებდა ფოლკლორულ მოტივებსა და ტრადიციულ ელემენტებსაც.

აკაკის რომ ახასიათებდა ისტორიული მოვლენების პანორამული ხედვა, ამასთან იყენებდა საისტორიო ჟანრის შესაბამის სტილისტურ და ნარატიულ ფორმებსაც, და ნაციონალური განწყობის შესაქმნელად მხატვრულად გარდაქმნიდა მითოლოგიურ არქეტიპებსა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ სტერეოტიპულ მოდელებს. მათი საშუალებით კი შეიმუშავებდა ისტორიის ეროვნულ კონცეფტს და განსაზღვრავდა ერის ფასეულობათა ორიენტირს.

ცხადია აუცილებელია აკაკი წერეთლის ხელხვავიანი შემოქმედების რაც შეიძლება ჩაღრმავებული კვლევა-შესწავლა და კვლავდაკვლავ მიბრუნება მის შემოქმედებასთან ჯერ მარტო ზეპირსიტყვიერებასთან მიმართებით, მაგრამ ასევე აუცილებელია მიყრუებულ, მიჩქმალულ მწერალთა დაფასებაც, თუნდაც ისეთისა, ნიკოლოზ ნათიძე რომ გახლდათ, მელანიას ფსევდონიმით ცნობილის, რომლის მოთხრობაც „ბნელო“ ერთ დროს საკმაოდაც გახმაურებულიყო პროფესიონალ და მოყვარულ მკითხველთა წრეებში.

ხვთისო მამისიმედიშვილი „ბნელოს“ ფოლკლორული კუთხით დაუკვირდებოდა და მივიდოდა დასკვნამდე, რომ:

მელანიას ჩვენს მწერლობაში პირველს შემოეტანა და ლიტერატურულადაც დაემუშავებინა დემონოლოგიურ თქმულებათა ეს სიუჟეტები — ავსულებთან შეხვედრა იქნებოდა თუ მოთვინიერებული ავსული და მისი წყევლა, ეშმაკთა ფერხული თუ წმინ-

და გიორგის სახელით ეშმაკების დაწყევლა, ნატვრისთვალის მოპოვება თუ დემონურ არსებასთან სატრფიალო ურთიერთობა, კუდიანთა შეკრება ტაბაკელას მთაზე თუ ბარაქის დალევა.

იმ გარემოებამ, რომ მელანიას მართლაც არაერთი ფოლკლორული სიუჟეტი პირველს გადაემუშავებინა ლიტერატურულად და კარგადაც იცნობდა არამარტო კახეთში გავრცელებულ თქმულებებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ფოლკლორულ რეპერტუარსაც, არ უნდა გვაცთუნოს და არ უნდა დავუკარგოთ პირველობა ალექსანდრე ორბელიანს, რომლის ლიტერატურულ ზღაპარში „არაკი ტარტაროზისა და კუდიანების ღამე" ავსულებთან შეხვედრაც გვხვდება, ეშმაკთა ფერხულიც და კუდიანთა სერობაც ბრუტსაბძელაზე, თავიანთ შესაკრებელ ადგილას.

„საკულტო ტექსტების პოეტიკას" საგანგებოდ უნდა განეხვავებინა რელიგიურ დღესასწაულზე კულტმსახურთა მიერ აღვლენილი ტექსტები მათი დანიშნულების კვალობაზე: ეს ხუცობანიო, ეს კურთხევანიო, ეს მოხსენებაო, ეს დამწყალობნებაო, ეს კურთხევანიო, ეს სადიდებლებიო.

და გამოეცალკევებინა ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებისაგან შესრულების ხასიათით, სინკრეტული ბუნებით, წარმოთქმის ფორმით, ტროპული მეტყველებით, ლექსიკით.

რაც მთავარია:

თავისი საკრალური შინაარსით, პოეზიისათვის ნიშანდობლივი მხატვრული გამოსახვის საშუალებებით, პოეტური სინტაქსითა და მყარი სტრუქტურით საკულტო ტექსტები სრულქმნილ პოეტურ თხზულებებად უნდა მიგვეჩნია, ხალხური პოეტური შემოქმედების ნაყოფად, როგორც საზეიმო რიტუალის შემადგენელი ნაწილი.

წიგნში უნდა წარმოჩენილიყო ძველი დროისა — ეგნატე გაბლიანი — თუ ჩვენს გვერდით მოღვაწე — გურამ კარტოზია, ზურაბ ჭუმბურიძე, გურამ ქერაშვილი — მეცნიერთა ფოლკლორული მონაპოვარი, აგრეთვე გიგი ხორნაულის, ნანა კოტეტიშვილისა და ნათია ხორნაულის მიერ შედგენილი კრებული „მზიანი რწმენის საუფლო" — რწმენის ზეპირსიტყვიერებასა და ხატ-სალოცავთა მსახურებაზე.

იქ კიდევ გმირის ინიციაციისათვის თვალის მიდევნება ქროლლის აზერბაიჯანულ დასთანში, თუ როგორ იკვეთებოდა მსოფლიოს ხალხთა მითოსებისათვის ნიშანდობლივი პერსონაჟის გმირად გარდასახვის უნივერსალური ელემენტები.

როვშანის ინიციაცია, მისი მისტიკური სიკვდილი და ხელმეორე დაბადება წარმოადგენდა სამყაროს საკრალური ისტორიის, კოსმოგონიის გრანდიოზული გამეორების ნაწილს.

იქ კიდევ ლუდვიგ ჩიბიროვის წვლილის წარმოჩენა ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურის შესწავლაში, ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ზეპირსიტყვიერებასაც რომ გამოიყენებდა განსაკუთრებული სიუხვით.

საფუძვლიანად განიხილებოდა ოსი ხალხის საგმირო ეპოსი ნართებზე — ნაირა ბეპიევას თარგმანში ეს ეპოსი მთელი თავისი დიდებულებით რომ უნდა ამეტყველებულიყო, თუმც ამ ეპოსის ოსურ პირველწყაროს ყოველმხრივ რომ გაიაზრებდა ხვთისო მამისიმედიშვილი მონოგრაფიაში „ოსური ფოლკლორი“, ხოლო მისი გავრცელების არეალს კიდევ ცალკე მონოგრაფიას მიუძღვნიდა — „ჩეჩნური და ინგუშური თქმულებანი ნართებზე“, ბარემ ამ წიგნებთან შეხმიანებისას დავუფიქრდეთ უფრო გულდასმით ამ ეპიკურ ქმნილებას, „საკრალური ისტორიებისათვის“ თვალის გადავლება კი აქ შეიძლებოდა შეგვეწყვიტა და ფინალურ აკორდად ხორხე ლუის ბორხესის ის სიტყვები მოგვეშველიებინა, წიგნის ავტორს ეპიგრაფად რომ წაუმძღვარებია:

ისტორიული ჭეშმარიტება ის კი არ არის, „რაც მოხდა“, არამედ რაც გვჯერა, რომ მოხდაო!..

ბარაქიანი მოსავალი „ბარაქიანი მიწისა“

(დღიურის ფურცლებიდან)

უკვე მეხუთე სამეცნიერო სესიას გამართავდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება — ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად და იმ 93-ე აუდიტორიაში, რომლის ტრადიციასაც აღადგენდა ამჟამინდელი რექტორი გიორგი შერვაშიძე და მასთან ერთად აღადგენდა კრებულსაც „პირველი სხივი“, რომლის წარდგინებასაც რამდენიმე დღეში იხილავენ ლიტერატურის მოყვარულები.

დღევანდელი სესია კი მიეძღვნებოდა დათო მაღრაძის პოემას „ბარაქიანი მიწა“, თავისებურ გადაძახილს ტომას სტერნზ ელიოტის „ბერწ მიწასთან“, საუკუნის წინათ მოდერნისტული ესთეტიკა რომ უნდა განესაზღვრა ჯეიმზ ჯოისის „ულისესთან“ ერთად.

პოემა უკვე ნაცნობია არამარტო ქართველი, არამედ იტალიელი, ინგლისელი, ამერიკელი, რუსი მკითხველისათვის და სულ მალე შვედეთშიც გამოიცემა, თუმც უკვე ვიცნობთ შვედი პოეტის კრისტიან კარლსონის წერილს „ბარაქიანი მიწის“ შესახებ, პოემის მისეულ თარგმანს რომ წაემძღვარება.

სესიაზე შესავალი სიტყვით გამოვიდოდა გიორგი შერვაშიძე.

პირველ მოხსენებას წაიკითხავდა ირმა რატიანი, რომლისთვისაც მახლობელია არამარტო ქართული ლიტერატურული პროცესები, არამედ დასავლური სამწერლო ნაკადებიც და ამიტომაც მისცემდა მისი გამოსვლა შესაფერის ტონს სესიის მთელ მსვლელობას, მაღლა აწეული თამასა ოდნავადაც რომ არ მოეშვებოდა.

თემურ კობახიძე, ერთი საუკეთესო მცოდნე ტომას ელიოტის შემოქმედებისაც და მოდერნისტული მწერლობისაც — და არამარტო ჩვენში — წარმოსახავდა „ბერწი მიწის“ ეპოქალურ და მარადიულ მნიშვნელობას.

თამილა ზვიადაძე, იმ ყაიდის ლინგვისტი, ლიტერატურაშიც ღრმად რომ ერკვევიან, ენობრივი თვალსაზრისით გაიაზრებდა „ბარაქიან მიწას“.

ახალი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ქეთი გახოკია დეტალურად განიხილავდა გაბრიელ გრიფინის ინგლისურ თარგმანს, საგულისხმო შენიშვნებსაც გამოთქვამდა, თუმც საბოლოოდ მაინც დაუფასებდა მთარგმნელს წვლილს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაში.

რადგანაც „ბარაქიანი მიწა“ ეძღვნება ოთარ ჩხეიძის ხსოვნას, ბელა წიფურია მსოფლიო მწერლობის გადმოსახედიდან გაიაზრებდა აწ უკვე კლასიკოსის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსსა და ცალკეულ ასპექტებს, უმთავრესად მაინც ანტიკოლონიურ ღვაწლს.

მიძღვნის საბაბი გახდებოდა ის გარემოება, ოთარ ჩხეიძესაც რომ გადმოელო ქართულად „ბერწი მიწა“ (მის გარდა არსებობს ზვიად გამსახურდიას, მედეა ზაალიშვილის, ზვიად რატიანისა და გია ჯოხაძის ვერსიები), თუმც მიძღვნა, უპირველესად მაინც უნდა გამოეწვია მამების იმ თაობის დამსახურებას ქვეყნის წინაშე, უმძიმესი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში რომ შეინარჩუნებდნენ სულიერებისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის უწყვეტობას და მოამზადებდნენ საფუძვლებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

მიძღვნაში განზოგადებული და გასიმბოლოვებულია ოთარ ჩხეიძის სახება მთელი თაობის სულიერ პორტრეტად. ამასთან მიძღვნა მამაშვილობის ინსტიტუტის აპოლოგიაც რომ არის.

ამიტომაც მივიჩნევდი აუცილებლად სამეცნიერო სესიის მსვლელობაში ჩამერთო ელგუჯა მაღრაძის თავისებური პორტრეტიც — აგებული იმ უჩვეულო ჟანრზე, რომლის ზუსტი განსაზღვრაც ჭირს და... არც არის აუცილებელი დავადგინოთ, რა სჭარბობს მის ფორმაში — ესეი, მოგონება, პორტრეტი, პუბლიცისტური წახნაგები, ნოველური მონახაზები, ჩანახატი

თუ კიდევ რა. მთავარია, რომ ეს ყოველივე ეკლექტურად კი არ გადაბმია ერთმანეთს, არამედ ჰარმონიულად შეზავებიან, ქართულ მწერლობაში პირველ საამისო ნიმუშებს აკაკი წერეთელი რომ შექმნიდა, ელგუჯა მაღრაძის ამ ყაიდის თხზულებანი კი უნდა მიძღვნოდა ლევან გოთუასა და კონსტანტინე გამსახურდიას.

პირველი მკითხველი „ბარაქიანი მიწისა“, მისი ხელნაწერისა, იქნებოდა პაატა ჩხეიძე, რომელიც ისეთ მოსაზრებებს გაუზიარებდა პოეტს, ის კიდეც გაითვალისწინებდა და შესაფერისი პასაჟებითაც შეავსებდა პოემას. და სამეცნიერო სესიაზეც თავის ერთ საუკეთესო ანალიტიკურ განსჯას წარმოადგენდა მკვლევარი და მთარგმნელი.

სესია ნახევრად ვირტუალურ რეჟიმში რომ მიმდინარეობდა, ვერ მოუხერხდებოდათ ზუმში ჩართვა ნანა კუციას — ნიკოლაი გოლის რუსული თარგმანი რომ უნდა განეხილა — და ინგა მორგოშიას, რათა მსმენელისათვის გაეცნო ქართული ვერსია იგორ ებანოძიის წინასიტყვაობისა რუსული გამოცემისათვის.

ამ ერთგვარ გულნაკლულობას შეავსებს ამ ორი სტატიის პუბლიკაცია ამ სამეცნიერო სესიისადმი მიძღვნილ წიგნში, რომელშიც — გარდა წაკითხული მოხსენებებისა — შევა ჯულიანო ლადოლფის — იტალიელი პოეტის, კრიტიკოსისა და რედაქტორის — წერილის ნუნუ გელაძისეული თარგმანიც და კრისტიან კარლსონის სტატიაც.

საგულისხმო აღმოჩნდებოდა პოეტ ზურაბ რთველიაშვილის ჩართვაც, შვედ პოეტსა და მთარგმნელზე რომ ისაუბრებდა, როგორც ჩვენი ლიტერატურის პოპულარიზატორზე.

ჩვენში კარგად მოეხსენებათ ნუნუ გელაძის ამაგიც და ჯულიანო ლადოლფისაც, და აი ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებას შვედი ჩვენიანიც უნდა შემოემატოს.

წრე სულ უფროდაუფრო იზრდება ჩვენი დასავლელი მეგობრებისა და თვალსაჩინოა დათო მაღრაძის წვლილი მათ შემომატებაშიც.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ უკვე გამოსცა ამ სერიის სამი წიგნი და რიგში დგას მეოთხე და მეხუთე სესიის

მასალები, ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკული აზროვნების საკმაოდ მაღალი დონის დამადასტურებელი.

„ბარაქიანი მიწა“ ჩვენი სახელმწიფოსა და კულტურის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია დასავლეთში, პოემის ასეთი წარმატებით დაწყებული გზა სულ უფრო რომ შეივსება და გამდიდრდება, მისი ბიოგრაფიის ერთ-ერთი დამამშვენებელი კი უსათუოდ იქნება უნივერსიტეტის სახელოვან 93-ე აუდიტორიაში გამართული სამეცნიერო სესია, პოეტის რწმენით — ის ჯადოსნური ადგილი, სადაც ნათქვამი სიტყვა იმთავითვე წვდება მთელ მსოფლიოს.

ია, ვარდი და გზა

(დღიურის ფურცლებიდან)

არაერთი სასიკეთო საქმე, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობისას აღასრულებდა გიორგი შარვაშიძე, უნდა გაეგრძელებინა და დაემშვენებინა ლიტერატურული ალმანახის აღდგენასაც: „პირველ სხივს“ კვლავ უნდა შემოენათებინა ჩვენთვის და შემოენათებინა უჩვეულო ძალითა და ბრიალით.

და ეს იმიტომაც:

საუკეთესო გადაწყვეტილებას რომ მიიღებდა რედაქტორის არჩევაში და ალმანახის გაძღოლას დაავალებდა გიორგი ლობჟანიძეს, სამწერლო პროცესების შუაგულში მყოფს, შორსა და შორს რომ წვდება მისი თვალსაწიერი; ალმანახის წარდგინებისას კი ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა მურმან ლებანიძის სტრიქონები, თავისებური პერიფრაზით რომ გაახმიანებდა:

რაც ამ ალმანახის გამოცემა შეწყდა, არაერთი რექტორი შეიცვალა უნივერსიტეტში, პირმოცინარი სახითა აქ მრავალს ჩაუვლია, მაგრამ „პირველი სხივის“ აღდგენა მხოლოდ გიორგი შარვაშიძემ იდო თავსო.

თავყრილობას, რომელიც უნივერსიტეტის მუზეუმში გაიმართებოდა, გახსნიდა და გაუძღვებოდა ნატა ასათიანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მრჩეველი, თავისებურად რომ დაამშვენებდა ამ საზეიმო მსვლელობასაც, მისი მეტყველებაც მელოდიასავით რომ მოედინებოდა.

გიორგი შარვაშიძის გამოსვლა იქნებოდა თავისებური ანგარიში მისი მოღვაწეობისა და უნივერსიტეტის მჩქეფარე ცხოვრებისა, სულ უფროდაუფრო მეტი ახალგაზრდა რომ არის მო-

სურნე ამ კედლებში სწავლისა, საუკეთესო პირობებითა და პერსპექტივებით დაიმედებულნი.

სიტყვით გამოვიდოდა ზურაბ გაიპარაშვილი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რომლის დიდი მოწადინებითა და გულშემატკივრობითაც მომზადდებოდა 93-ე აუდიტორიის აღდგენაც და „პირველი სხივის“ განახლებაც.

გიორგი ლობჟანიძე ალმანახის შინაარსს გააცნობდა დამსწრეთაც და ყველა იმ მოყვარულსაც ლიტერატურისა, ზუმის მეშვეობით რომ ადევნებდნენ თვალყურს თავყრილობას, შინაარსი კი მეტად მრავალფეროვანია, ყველა თაობა რომ მიიღებდა მონაწილეობას მისი ასეთი შესანიშნავი სახის ჩამოყალიბებაში:

პოეზია და პროზა თავისთავად.

და დრამატურგიასაც ცალკე რუბრიკა დაეთმობოდა, რედაქტორი რომ განაცხადებდა: ეს ჟანრი როგორღაც დაუფასებელია და შევეცდები ყველა ნომერში დაიბეჭდოს პიესაცო.

თარგმანები — როგორც პოეტური, ისე პროზაული, და როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური.

ამასთან ცალკე რუბრიკა დაეთმობოდა მასტერკლასს — თარგმანისა და საერთოდ შემოქმედებითი ლაბორატორიის კარის შეღებას.

ლიტერატურული გამოცემის სახესა და მნიშვნელობას უპირველესად მაინც კრიტიკულ-ესთეტიკური სტატიების სიუხვე და რანგი განსაზღვრავს და ალმანახის პირველივე ნომერში ეს ყოველივე შესაფერისად წარმოდგებოდა.

ამავე ხაზს თავისებურად გააგრძელებდა რუბრიკები:

„ჩვენი ერთი პუბლიკაციის გამო“,

„მწერლის არქივიდან“

და „გამოხმაურება“.

სახელდებით გამოვარჩევ პაატა ნაცვლიშვილის პოემის „წერილი“ არაჩვეულებრივ თავგადასავალს, მართლაც დეტექტივივით რომ იკითხება, და გამოვარჩევ არამარტო იმიტომ, პაატასთანა მწერლები სანიმუშონი რომ არიან ახალგაზრდებისათვის თავიანთი დაუმცხრალი მაძიებლობისა და ექსპერიმენტატორობის გამოისობით, არამედ იმიტომაც — თავის გამოსვლას განსაკუთრებული საჩუქრით რომ დაასრულებდა:

რედაქტორს გადასცემდა „პირველი სხივის“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ პირველ ხუთ ნომერს.

საგულისხმო იქნებოდა ახალგაზრდა კაცის, ნომრის ერთერთი ავტორის ლევან კაკლიანის გამოსვლა.

გამორჩეულ ელფერს შემატებდნენ თავყრილობას:

ტარიელ ხარხელაური, მისალმებას ლექსით რომ დაამშვენებდა.

და რაულ ჩილაჩავა, უკრაინიდან გამოგზავნილი მისი ვიდეომიმართვაც ლექსით რომ გალამაზდებოდა.

ჩემს გამოსვლაში ყურადღებას მივაქცევდი დამსწრეთა უჩვეულო სიმრავლეს, უჩვეულოს — პანდემიის პირობებისათვის (ცხადია — ყველა წესისა და მოთხოვნის დაცვით!), თორემ სხვა დროს არამცთუ მუზეუმის გარემო ვერ დაიტევდა ყველა მსურველს, სააქტო დარბაზიც ვერ აუვიდოდა... თუმც ამის მომსწრენიც შევიქნებით, „პირველი სხივის“ მომდევნო ნომრების წარდგინებისას რა აჟიოტაჟიც იტრიალებს უნივერსიტეტის კედლებშიც და არა მხოლოდ აქ!..

მითუმეტეს გიორგი შარვაშიძე შეგვპირდებოდა:

მერმის უკვე ორი ნომერი გამოიცემაო.

ეჭვიც არავის გვეპარება, ეს თამასა კვლავაც რომ შენარჩუნდება და „პირველი სხივის“ მომდევნო წიგნებსაც ისევე გავეცნობით პირველიდან ბოლო პწკარამდე, როგორც ეს განახლებული პირველი, საერთო ნუმერაციით კი 31-ე ნომერი, წავიკითხე მასალის გამოუტოვებლად.

შთაბეჭდილება მეტიც კი აღმოჩნდებოდა, ვიდრე მოველოდი.

და კიდევ უფრო დავრწმუნდი და დავიბეჯითე, რასაც თავყრილობისას შევპირდი მსმენელს — მუზეუმის კედლებშიც და კედლებს მიღმაც:

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება უსათუოდ გამართავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით „პირველი სხივის“ საფუძვლიან განხილვას — ხუთი ჯერ მარტო მომხსენებელი რომ გვეყოლება, ამ დარგში პროფესიონალების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით.

და დაე თვალნათლივ დააღასტურონ ის, რაც რედაქტორის სურვილი გახლდათ, ამ მძიმესა და მსუბუქ ტვირთს რომ შეებმოდა ერთდროულად:

„პირველი სხივის“ ყოველი ახალი ნომრის გამოცემა ქცეულიყო ჭეშმარიტ ლიტერატურულ მოვლენად.

ეს კი უპირველესად გულისხმობს, რომ:

ამ ლიტერატურული ალმანახის ფურცლებიდან არაერთი ახალი მწერალი უნდა მოგვევლინოს, რომელთა მხრებზეც უნდა გადავიდეს ჩვენი მწერლობის მომავალი პროცესები.

2021 წელი

ჩვენი დროის ოდისეა

(სადღეგრძელოს მაგიერ გიგლა ბარამიძეს)

გიგლა, ჩემო ძმაო,

გაიხუმრებ ხოლმე: ალბერ კამიუს სულია ჩემში გადმოსულიო, — რაკილა სწორედ იმ წელსა და იმ დღეს დაიბადებოდი, „უცხოს“ შემოქმედი რომ აღესრულებოდა. ვითომ უბედური შემთხვევით, სინამდვილეში კი — როგორც უილიამ ფოლკნერი განჭვრეტდა — ვერ გაუძლებდა ღმერთის პოვნის სიხარულსა და თავზარს ერთსადაიმავე დროს.

ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტობისას მოგეხსენებოდა რუსულ კაბალაში მყოფი საქართველოს ბედკრული ისტორია, ის იატაკქვეშა ნაკადი, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ოფიციალური ისტორიისაგან და რომელიც ჩვენი მამებისაგან გადმოგვცემოდა, სანდო პირთაგან რომ შეეთვისებინათ ადრეული ხანა, დანარჩენი კი საკუთარი თვალით ეხილათ და ანდერძივით მოეტანათ ჩვენამდე, უცთომლად რომ გაიაზრებდნენ და აფასებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, ყველაფრის გულისგულს წვდებოდნენ და არ არსებობდა არავითარი სიცრუე თუ სიყალბე, არ არსებობდა არავითარი მოჩვენებითობა, რაც ოდნავ მაინც დაუბინდავდათ მზერას.

ასე გადმოგვცემოდა ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ისტორიაც და სწორი ხედვაც ჩვენს თვალწინ დატრიალებული მოვლენებისა.

შენ მთლად შუაგულში აღმოჩნდებოდი დიდი მღელვარებებისა, სამცხე-ჯავახეთის ცხოვრების მდინარებას სასიკეთო

კვალს რომ დააჩნევდი არამარტო როგორც გუბერნატორი, არამედ უპირველესად მაინც ის ქართველი კაცი, საქართველოს იატაკქვეშა ისტორიიდან რომ ამოზრდილიყო.

შენი სილუეტის ჩახატვა რომ მომიხდებოდა ესეიში „ზარი, ზარები, ზარი", მოულოდნელად ედუარდ შევარდნაძე უნდა შემოგხმიანებოდა ტელეფონით: შენ თურმე რა ბიჭი ყოფილხარ, აქამდე არ ვიცოდიო!..

მღელვარება მღელვარებად და, ისეთი თავგადასავალი გადაგხდებოდა, ოდისევსისას ძალიანაც რომ არ ჩამოუვარდება, შენი მარტვილობაც ლამის ათ წელიწადს რომ გაგრძელდებოდა უცხო ქვეყნებსა და ათასგვარი სახელით და ოდისეაც იმას ერქვა, თუ ერქვა.

დიდი ინტერესით მოველი შენი ავტობიოგრაფიული რომანის გასრულებას, ბარე ორი სათავგადასავლო რომანი რომ ვერ დაუდგება გვერდით, მითუმეტეს — შეთხზვა თუ გაზვიადდება არაფრისა გესაჭიროება და რეალისტური სურათები თავისთავად იღალადებენ სათქმელს, რომელსაც ის წლები გამოკვებავს, ძმადნაფიცობისაკენ რომ გვიბიძგებდა და ბოლომდეც შეგვაგნებინებდა ჩვენ-ჩვენს მოვალეობას... წლები, რომელთაც მივდევთ და ვებღაუჭებით და არაფრისდიდებით არ ვუშვებთ ხელიდან, რათა არ ჩაგვიქრეს, არა და არ ჩაგვიქრეს სიცოცხლის რომანტიკა.

თხუთმეტ საუკეთესოს შორის

(დეპეშად გიორგი ლობჟანიძეს)

ჩემო გიორგი,

ძალიან მახარებს ყველა მოპოვებული გამარჯვება ჩვენი ლიტერატურისა საერთაშორისო ასპარეზზე, ცხადია ნამდვილ გამარჯვებებს ვგულისხმობ და არა მოჩვენებითს, გამიზნულს მარტოდენ პირადი სარგებლისათვის და საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად.

ბევრია ეს მოჩვენებითი.

ცოტაა ის ნამდვილი.

მაგრამ ეს ცოტა რაოდენ ფასეულია და მრავლისმეტყველიც და მრავლისმომცველიც.

შენი ყოველი გარღვევა საერთაშორისო სივრცეში სწორედ იმ ნამდვილ ფასეულობათა შორის იგულისხმება და ამიტომაცაა ძვირფასიც და სიხარულის მომტანიც ჩვენი მკითხველების იმ ნაწილისათვის, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი სნობიზმისა და წამხედურობისაგან.

და რაოდენ მნიშვნელოვანია, იმ ქვეყნებში რომ მაინც ესმით შენი პოეზიის მხატვრული ღირსებანიც და ძალმოსილებაც.

და აგერ ახლახან ლიტვაში შენს ლირიკულ კრებულს 15 საუკეთესო პოეტურ წიგნს შორის რომ მიუჩინეს ადგილი, ანუ ყველაზე მაღალ თაროზე შემოსდეს, ეს მოვლენა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს:

თუ ვის უნდა დავუჭიროთ მხარი, ვის უნდა შევუწყოთ ხელი, ვის უნდა მივანდოთ გასატანად ჩვენი თანადროული ლიტერატურის ღირსება საერთაშორისო სარბიელზე...

და ვისი დაფასებაც გვმართებს ჩვენშიც, რათა საზღვარგარეთის ქვეყნებმა არ გვაჯობონ ჩვენი ნამდვილი სამწერლო მონაპოვარის აღიარებაში.

თავისი მივაგოთ მთარგმნელებსაც: ნანა დევიძესა და ვიქტორას რუდზიანსკასს.

და შენც შენი მოგაგოთ, თორემ რაღაც ძალიან დაგვჯაბნეს ამ იტალიელებმა და ლიტველებმა!..

მარცვალ-მარცვალ ბიოგრაფიული მარგალიტები

(ნიკოლოზ ბარათაშვილის სახება ასი ამბის ჩარჩოდან)

ზოგმა არც ვიცოდით, ზოგსაც ყურადღება არ მიგვიქცევია, მიხეილ ყაზბეგის პირველი ცოლი, ქეთევან საგინაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილი რომ გახლდათ და მაშ მიხეილი და ნიკოლოზი სიძე-მოყვარედ მოუდიოდნენ ერთმანეთს.

საგულისხმოა, პოეტი მთელი ზაფხულობით რომ სტუმრობდა ყაზბეგების ოჯახს და ბევრი ლექსი სტეფანწმინდაში ამიტომაც დაეწერა.

ისე რა აღარ ხდება:

ნიკოლოზ ბარათაშვილი სტეფანწმინდაში წერს ლექსებს.

ალექსანდრე ყაზბეგი კი — მიხეილის ვაჟი მეორე ცოლისაგან, ელისაბედ თარხნიშვილისაგან — თბილისში უზის თავის კავკასიურ ილიადას.

ეს სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა ყაზბეგების ოჯახთან ცხადია მხოლოდ ბიძაშვილ-მამიდაშვილობით არ იქნებოდა გამოწვეული და დიდად შეუწყობდა ხელს ამ გულითად ურთიერთობას მიხეილ ყაზბეგის პიროვნული ბუნებაც — სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა... არც განათლება აკლდა და შესაფერის პატივს მიაგებდა მოყვარის პოეტობასაც, მისი ერთი პირველი მკითხველი და დამფასებელიც რომ შეიქნებოდა.

საუკეთესო პირობებში რომ არ ეგრძნო თავი, ნიკოლოზ ბარათაშვილს ყოველ ზაფხულს სტეფანწმინდაში ანკი რა გაატარებინებდა.

ამგვარი რეალიები თუ ეპიზოდები, მიყრუებული თუ ნაკლებად წამოწეული, უხვადაა „არტანუჯის“ მიერ „თან საკითხა-

ვის“ სერიით გამოცემულ წიგნში: „ნიკოლოზ ბარათაშვილი — 100 ამბავი“, რომელსაც მაია ცერცვაძე შეადგენდა და სწორედ ამ მასალებზე ააგებდა, წინათქმაში ასერიგად რომ დაუფასებდა პოეტის პირველ ბიოგრაფოსებს, მკვლევარებსა და რედაქტორ-გამომცემლებს დიდ ჯაფასა და ფასდაუდებელ ღვაწლს, რადგანაც მათ შრომას ართულებდა პოეტის ეპოქისა და საზოგადოების საკვლევად მეტად მწირი მასალის არსებობა.

მაქსიმე ბერძნიშვილის მოწმობისა არ იყოს, იმ ეპოქის გზამკვლევის შედგენით დიდად რომ გაგვიადვილებდა XIX საუკუნის საზოგადოებრივ ლაბირინთებში გზის გაგნებას:

იმხანად არც პრესა გაგვაჩნდა, არც დღიურები, მემუარები თუ სხვა ჩანაწერები მოგვეპოვებოდა მაინცდამაინც, და ის მწირი მასალაც ან გამოუქვეყნებელი რჩებოდა, ანდა კრიტიკულ შესწავლას საჭიროებდა.

მას შემდეგ არაერთი რამ რომ გამომზეურდებოდა და კრიტიკულადაც დამუშავდებოდა ათწლეულთა განმავლობაში, აგერ ჩვენს თვალწინ მაია ცერცვაძეც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა მიკარგული მასალების მოძიება-წარმოჩენაშიც და კრიტიკულად შესწავლაშიც... და ამჯერადაც ისეთ შტრიხებსა თუ ამბებს ამოკრეფდა პოეტის ბიოგრაფიიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მცოდნეც კი სიამოვნებით რომ გაეცნობა მარგალიტთა ფარლულის ამ მომხიბლავ ასხმულას, თორემ ახალწამოჩიტულ მკითხველთათვის ხომ პირდაპირ მისწრებაა.

ის პირველმკვლევარები მარცვალ-მარცვალ რომ აგროვებდნენ ცნობებს ნიკოლოზ ბარათაშვილზე ჯერ კიდევ ცოცხალ მის თანამედროვეთა თუ მათ შთამომავალთაგან — ნათესავთაგან, მეგობართაგან... ასე უნდა შეეკოწიწებინათ პოეტის ბიოგრაფია, და ეს უნიკალური მასალა ამჯერად მაია ცერცვაძის ხელით უნდა განლაგებულიყო და ისეთი მარჯვე სიუჟეტური ქარგით, საბოლოოდ თვალნათლივ წარმომდგარიყო ეს ბუმბერაზი ფიგურა, რომელიც მოდებულიყო მთელ ნათესაობასა და ნაცნობ-მეგობრებს, გარეგნულად დიდად მოყვარული გართობისა — მასხარაობისა თუ ჭორიკანობისა, თუმც მდუმარებაც და ფიქრებში მიკარგვაც უცხო არა ყოფილა მისთვის, ხან გუ-

ლიც რომ ამოუჯდებოდა ხოლმე, გარეთუბანში იმ გასეირნებისა არ იყოს, ჩვეულებისამებრ მხიარულად რომ იქნებოდა და თავისებურად მშვენივრადაც მოჰყვებოდა ხუმრობას, მაგრამ მერე ლაპარაკი უნდა ჩამოვარდნილიყო ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე და ტრაგიკულ დასასრულზე XVIII საუკუნისა, მეფე ერეკლეს უღონობაზე მოხუცებულობის გამო, ტფილისის წახდენაზე 1795 წლის 12 სექტემბერს... და ამ ლაპარაკისას ნიკოლოზს მხიარული და მოცინარი სახე უნდა გამოცვლოდა, დაეწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულს ეთქვა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა!

და ოხვრით დაემატებინა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

როგორც სამეფო ოჯახის წევრს, კარგად მოეხსენებოდა, შიდაუთანხმოება-წინააღმდეგობებმა და შინაგამცემლობამ რომ გვიმსხვერპლა იმ საბედისწერო დღეს და კიდეც შეგვაგდო რუსეთის კაბალაში; და საიდან იმართებოდა ერეკლე მეორის დასამხობად შექმნილი ოპოზიცია, ამ სათავესაც წვდებოდა მისი მზერა.

და ამიტომაც ერთ-ერთი ქორწილისას ოროველასა და სხვა სიმღერებს რომ შემოსძახებდნენ, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი კი გაუწყრებოდათ:

— თქვე დურაკებო, ბრიყვებო, ხელმწიფე მომკვდარა, რა გემღერებათ!

ნიკოლოზი, რომელიც იმ წუთას ღვინოს სვამდა დიდი ყანწით, შემოუყვირებდა:

ვინ ხელმწიფე მისი დედაცო...

და ვინ იცის, რამდენსართულიანსაც მიაჭედებდა.

რუსი სალდათებისა და ოფიცრებისაგან შემოსულიყო გინება საქართველოში, მანამდე ჩვენში უფრო მეტი გინება რომ არც იცოდნენ, ვიდრე ეს გამოთქმაა: შე ასეთო, შე ისეთოო, — შემოვიდოდა სართულ-სართულ დაწყობილი და ახალი პოეტი იმათ დათესილს იმათზევე გამოცდიდა, იმპერატორის დედას რომ გაიბურთავებდა.

რას მოითმენდა გენერალი:

შეიპყარითო!..

მაგრამ სიმკვირცხლითა და სიჩაუქით ცნობილი ნიკოლოზი გარეთ გამოვარდნასაც მოასწრებდა, ცხენზე შემოხტომასაც და გაუჩინარებასაც, გენერალს აქეთ-იქიდან რომ მიაძახებდნენ სიცილით:

ახლაც უბრძანე, კნიაზ, შეპყრობაო...

გრიგოლ ორბელიანს ძალიან რომ ჰყვარებოდა თავის დისწული, პატარა ტატოც კეთილშობილთა სასწავლებლიდან თითქმის ყოველდღე ბიძასთან დაიარებოდა სადილად და ნასადილევსაც მასთან რჩებოდა, მხოლოდ საღამოზედ მიდიოდა შინ, ანჩისხატის უბანში.

და გრიგოლი სასეირნოდ რომ დაიარებოდა, ხშირად მიჰყავდა თან ტატოც.

ნიკოლოზი ლექსს რომ დაწერდა, გრიგოლ უკითხავდა და თუკი ის დაუწუნებდა, დაუნანებლად დახევდა.

მოგვიანებთი გრიგოლ ორბელიანს რომ შესთავაზებდნენ 50 წლიანი მწერლობის სახსოვრად იუბილის გადახდას, ის შორს დაიჭერდა ამ შეთავაზებას და წყრომის გამოხატვასაც არ მოერიდებოდა:

— რას გაუგიჟებია ესენი, რის იუბილე, რის დღესასწაული და მასხარაობა... დასწყევლოს ღმერთმა, ეს რაებს იგონებენ, ბატონო... თუ მაინცდამაინც არ იშლიან, აგერ რუსთაველი, აგერ გურამიშვილი და ბარათაშვილი...

ესეც გრიგოლ ორბელიანისეული რეიტინგ-ლისტი, მის მიერ შედგენილი სამეული ქართული პოეზიისა, გალაკტიონ ტაბიძის შვიდეულში სამივე პოეტი რომ გადაინაცვლებდა, თუმც თვითონ გრიგოლი კი იქ ვეღარ ჰპოვებდა ადგილს...

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ჩამოყალიბება დავით გურამიშვილის სულიერი გაკვეთილების გარეშე ჩაივლიდა, რაკილა ვერ მოესწრებოდა „დავითიანის" გამომზეურებას, სამაგიეროდ რუსთველურ სამყაროში გრძნობდა თავს შინაურ კაცად, ბლომად ადგილები რომ ეცოდინებოდა ზეპირად, და „მერანით" ავთანდილთან რომ გასდებდა სულიერ ხიდს, „ვეფხისტყაოსანს" სულაც გადაწერდა და დაასურათებდა კიდეც, ამ კალიგრაფიულ შედევრს თავის ნათესავსა და სათაყვანო პიროვნებას, თავისი ერთ-ერთი ლექსის ადრესატს ქეთევან

ერისთავს რომ აჩუქებდა ქორწილში, როდესაც იგი ელიზბარ ერისთავს მისთხოვდებოდა, 1832 წლის აჯანყების სამზადისის მეთაურსა და მთავარსარდალს.

ხოლო ნიკოლოზს ახალგორშიც ჰყვარებოდა სტუმრობა, ქსნის ხეობაში, თავისი დის ეკატერინეს ოჯახში, პირველი ცოლი რომ იქნებოდა რევაზ ერისთავისა.

მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე ფართო აივნიდან რომ გადახედავდა ქსნის მთელ წარმტაც ხეობასა და დიდ ბაღს, რომელშიც ამოზრდილიყო უშველებელი, მაღალი ჭადრის ხეები, მათ ქვეშ კი დიდი ქვის მაგიდა იდგებოდა, მიუბრუნდებოდა კოლა ერისთავს, ერთ საუკეთესო დეკლამატორს, და ჰკითხავდა:

— ეს ქვებია, რომელზედაც წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი?

ტატო კი ქეიფსა და დროსტარებას რომ არ აკლდებოდა და სუფრების სული და გული გახლდათ, გასათხოვარი ქალების ამბებიც წვრილად ეცოდინებოდა და ბევრი სხვა რაიმეც, ჭორაობაშიც ბადალი ძნელად რომ მოეძებნებოდა, ხუმრობითაც ჰყვარებოდა ახლობელთა წაკიდება ერთმანეთზე და არც ირონიულ ნესტარს იშურებდა, განსაკუთრებით თავისი ბიძა ილიკო ორბელიანი და პლატონ იოსელიანი რომ ამოეღო მიზანში და გაუთავებლად აქილიკებდათ...

მის მწვავე ხუმრობებს, დამცინაობასა და შესაძლო გაჭორვას ბევრი ერიდებოდა და ამიტომაც ხდებოდა ხოლმე, ზოგჯერ კარს რომ არ უღებდნენ და შინამოსამსახურეს აბარებდნენ:

— უთხარით, შინ არ არისთქო.

სიყვარულით ხდებოდა ასეო, ირწმუნებოდნენ ამ ამბის მომგონებელნი, თუმც გიორგი ლობჟანიძე ამ მემუარისტულ ცნობას თავისებურად გაიაზრებდა და გაასიმბოლოვებდა ლექსში „იყო ჩვენთან...“ — მისტიკური შინაარსით განმსჭვალავდა და გამჭვირვალე სარჩულად დაუდებდა სახარებისეულ სენტენციას: სოფელსა შინა იყო და სოფელმა იგი ვერ იცნაო...

ეს სენტენცია საგანგებოდ გახმიანდებოდა მაია ცერცვაძის წინათქმაშიც, რათა ამ თვალთახედვით შეგვეხედა პოეტის ბიოგრაფიის ამ ასი ეპიზოდისათვის და მათ მიღმა გადახედვაც გვეცადა, ანუ გარეგნული ამბების მიღმა უფრო ღრმად ჩავწვ-

დომოდით იმ სულიერ თავგადასავალს, იმ სულიერ ლტოლვას, ნიკოლოზ ბარათაშვილს ასერიგად რომ მიაჯაჭვავდა სოლომონ დოდაშვილს, ყოველდღე რომ დაიარებოდა მასთან — როგორც შინ, ისე „ტფილისის უწყების“ რედაქციაშიც, სტამბაშიც და ყველგანაც, სადაც კი მისთვის ძვირფასი პედაგოგი იქნებოდა.

ამიტომაც ეჩვენებოდა ბუნებრივი თუნდ ზაქარია ჭიჭინაძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილიც რომ ყოფილიყო განდობილი ფარული საზოგადოების წრეში.

ყოველ შემთხვევაში ამ სულის პოეტური მესიტყვე რომ გახლდათ, აჯანყების სამზადისისას რომ ტრიალებდა, ეს უკვე უდავოა.

ეს მისწრაფება დააახლოვებდა პოლონელ პროფესორებთანაც, პოლონეთის ამბოხებაში რომ მონაწილეობდნენ და დასასჯელად საქართველოში გადმოასახლებდნენ — ისინიც ხშირად დადიოდნენ ნიკოლოზთან შინ სადილად და ესეც სტუმრობდათ, არაერთ წიგნს სწორედ მათი რჩევითა და ჩაგონებით რომ წაიკითხავდა.

რუსეთის აკადემიის თანამშრომელი იული ფრიჩე რომ ეწვეოდა საქართველოს და დაეძებდა ადამიანს, რომელიც გაუმზადებდა ნუსხას მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა და კიდევ მათი, რასაც აკადემია სთხოვდა, ასეთი კაცი აღმოჩნდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვინც იდებდა თავს ამ დამჯაფავ და უმადურ შრომას, პედანტიზმი რომ ესაჭიროებოდა, თვისება, რომელიც არ აკლდა პოეტურ აღმაფრენასთან ერთად.

დიმიტრი ყიფიანს რომ ესტუმრებოდა, დროს ველარც იგებდნენ საუბარში გართულნი და მხოლოდღა მამლის ყივილისას გაახსენდებოდათ ხოლმე ძილის დრო...

როდესაც ტატოს გარდაცვალებას შეიტყობდნენ, დიმიტრის ოჯახიც ისევე იგლოვდა, როგორც ამისი უახლოესი ნათესაობა, დიდხანს რომ იქნებოდა დიმიტრი ყიფიანის სახლი გლოვის ოჯახად გამოცხადებული, დიმიტრი კი ტატოს ყოველი გახსენებისას ფერსა ჰკარგავდა და დაიგმენდა: სამშობლომ დაჰკარგა დიდი კაცი და მე — მეგობარიო.

დაიკარგებოდა პოემა „ივერიელნიც“.

დაიკარგებოდა ძველ ხელნაწერთა ის ნუსხაც.

ცეცხლში ჩაიბუგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ეს უნიკალური, ნახატებით შემკული ხელნაწერიც.

ცეცხლი იმსხვერპლებდა პოეტის სურათსაც.

დრო გადაიყოლებდა მის სახლსაც, სადაც ბობოქრობდა ეს მღელვარე სული.

კიდევ ბევრი რამ წაიშლებოდა და მოსწორდებოდა, რაც მის სახელსა და ბიოგრაფიას უკავშირდებოდა... და კვლავინდებურად გააგრძელებდა დინებას ის სოფელი, რომელსაც ვერც ნიკოლოზ ბარათაშვილი ეცნო...

ლინგვისტური ძიებანი რომანად

(ანონსის მაგიერ)

ეს უკვე მესამე სამეცნიერო სესია იქნებოდა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება რომ გამართავდა და მიეძღვნებოდა ჩემს ლინგვისტურ რომანს „ჟარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმიკა და ხეთური სამყარო".

მოხსენებები თავს მოიყრიდა ამ სერიის მესამე წიგნში, რომლის შინაარსსაც არსებითად განსაზღვრავდა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის იმ დღის სამეცნიერო თავყრილობა, ენათმეცნიერები ამ ლინგვისტურ რომანს რომ გადაინაწილებდნენ და საფუძვლიანად გააანალიზებდნენ და შეაფასებდნენ იმ ცალკეულ მონაკვეთებს.

ტარიელ ფუტკარაძე ისე შეარჩევდა მკვლევარებს, თვითეულს მისთვის ყველაზე ახლობელი სფერო მისჩენოდა.

ნათია იაკობიძე წარმოადგენდა ჟარგონული ქართულის ჭაშნიკს, სლენგის ლექსიკონის შექმნის ისტორიის ჩემს მიერ წარმოსახულ სურათს რომ გახედავდა, ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონით" შთაგონებულსა და მის ერთგვარ შემავსებელს.

მანანა ხვინგია მეტსახელთა სრულიად განსხვავებულ სამყაროს დაუკვირდებოდა და საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა მხატვრულ ქმნილებათა მიხედვით მეტსახელთა ლექსიკონის შექმნას.

ხატია ჯანგავაძეს, რომელიც უპირატესად დაინტერესებულია ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული არეალის ტოპონიმიკით, ამჯერად ქართლის გეოგრაფიულ არეალშიც უნდა მიმოეხედა და ჯერ მარტო ერთი სოფლის — ყელქცეულის — მაგა-

ლითზე დაედასტურებინა ტყუპისცალ ადგილთა სახელების არსებობა.

მიხეილ ლაბაძისათვის საგულისხმო აღმოჩნდებოდა ის ერთგვარი გზამკვლევი, რომელსაც მკითხველს შევთავაზებდი პავლე ინგოროყვას გამოუქვეყნებელ მონოგრაფიაზე — „ხეთურ-ქართველური მსოფლიო, ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თობელ-მესხური) ენა“ — სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად, მანამდე „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია რომ დაინტერესდებოდა მისი გამოქვეყნებით.

მანანა ტაბიძე ფორმალურად მხოლოდ პარონომაზიული მოვლენის გააზრებას შეეხებოდა, სინამდვილეში კი ფართოდ განაზოგადებდა და შემოქმედებითი ლაბორატორიის ირგვლივ ჩამოაგდებდა სიტყვას, ჯერ მარტო ლექსიკა-ფრაზეოლოგიის თვალსაზრისით რომ არის ხელახლა შესასწავლი მთელი ქართული კლასიკური მწერლობაც და საფუძვლიანად დასაფიქრებელი მიმდინარე ლიტერატურული პროცესებიც.

სერიის ეს ახალი კრებული წინა წიგნებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ:

გარდა უშუალოდ სესიაზე წაკითხული მოხსენებებისა, ჩაერთვოდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული განხილვის მასალებიც:

გია ხოფერიას ლიტერატურული რეპორტაჟი „ჟამი დადგა „ჟარგონისა...“, რომელშიც რელიეფურად აირეკლებოდა პროფესორთა თუ სტუდენტთა გამოსვლები, ერთი მხრივ: ავთანდილ ნიკოლეიშვილის, მარინა ქაცარავას, ლუკა დვალიშვილის, ეკა დადიანისა და ლუიზა ხაჭაპურიძის; და მეორე მხრივ: ლიკა თეგეტაშვილის, ხატია კვერეხაძისა და მიხეილ აბულაძის.

ამათგან ორი გამოსვლა სტატიის სახესაც შეიძენდა, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოქვეყნების შემდგომ ამ კრებულში ხელახლა რომ განმეორდებოდა:

ხატია კვერეხაძის „უკვალოდ ანკი რა იკარგება წუთისოფელში“

და

ლიკა თეგეტაშვილის „ვიდრე ლინგვისტურ ზვავად გადაიქცეოდა“.

ლინგვისტური რომანის გამოქვეყნების შემდგომ კვლავაც გავაგრძელებდი ამ თემატიკის დამუშავებას და, ვიდრე კიდევ ერთი ლინგვისტური რომანი მომზადდებოდეს, ამ ნარკვევებსაც დავურთავდი კრებულს და ამ მხრივაც გავამრავალფეროვნებდი.

საგანგებოდ რომ ჩავუჯდებოდი იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონს“, პოეტისა და მკვლევარის გარდაცვალების შემდგომ მომზადებულსა და გამოცემულს რუსუდან კუსრაშვილის მიერ, ორი ნარკვევი ამოვიდოდა ამ შესწავლა-დაკვირვებებიდან, საკმაო მასალას რომ ვპოვებდი როგორც ჟარგონისა, ისე მეტსახელებისას.

ერთი ეს:

„ლიბრეტოდ შორეული ჰანგების (იოსებ გრიშაშვილი და ქალაქური სიტყვარი)“, რომლის შემოკლებულ ვერსიასაც წავიკითხავდი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რუსუდან კუსრაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

და მეორე ეს:

„მეტსახელთა გრიშაშვილური კონა“.

თავისებური ხმოვანება რომ შეეძინა თბილისურ კილოკავს, იოსებ გრიშაშვილსღა შემორჩენოდა სულ ბოლოს დეკლამაციისას, მერე ისიც რომ აღარ კითხულობდა ლექსებს გაგრძელებული ხმოვნებით, არადა მისი ქალაქური ლექსიკონი სწორედ ამ გაგრძელებული ხმოვნებით უნდა წარმოვიდგინოთ და ჟარგონული ნაკადიც ჰანგად და მელოდიად უნდა განვიცადოთ, ის გონებამახვილი, მხიარული და დარდიმანდი თაობები როგორც განიცდიდნენ და მთელს სილამაზესა და სინატიფესაც ამიტომ შეიგრძნობდნენ თბილისური კილოკავისა.

ჩემს ნარკვევებსაც უნდა დაედასტურებინა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ ნატიფი რომანული იერი და პროფილი, ჟარგონულ ნაკადსაც და მეტსახელებსაც თავთავის შესაფერისი ადგილი რომ ეპოვნათ სიტყვათა ამ ფერხულში და მათაც მოჰქონდათ თავთავის წილად ის შორეული ბუბუნი, სიტყვების წამღერებით წარმოთქმა ამ რომან-ლექსიკონს ჰანგად და მელოდიადაც რომ გარდაგვისახავს თვალდახელშუა.

და ინახავს სევდასაც, იდუმალსა და გამოუთქმელს, იოსებ გრიშაშვილს თვალებშიღა რომ ჩარჩენოდა, და ვის-ვის და ოთარ ჩხეიძეს არ გამოეპარებოდა.

დავით წერედიანის დამოკიდებულებას ჟარგონთან, სწორედაც რომ სანიმუშოსა და გასათვალისწინებელს, მკითხველი ერთხელ უკვე გაეცნობოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, აქ განმეორებასაც რომ დავისაჭიროებდი, როგორც კიდევ ერთ დასტურს მისი ნატიფი გემოვნებისა.

ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძისა და მეტსახელთა მაგიის ირგვლივ დაკვირვებებისა: „პოემა — ჰომეროსის სიუხვით მოზმული“, პირველად „მწვანეყვავილა“ რომ გამოამზეურებდა და სახელოვან მწერალს იმ კუთხით წარმოადგენდა, მანამდე არავის რომ არ მიექცია ყურადღება, არადა მეტსახელებიც მაგიურ შარავანდში გაეხვია.

და რეცენზიისა „არტანუჯის“ მიერ „თან საკითხავის“ სერიით გამოცემულ და დავით მაისურაძის მიერ შედგენილ კრებულებზე: „დამწერლობა — 100 ამბავი“, მთლად მისწრება რომ არის ჩვენი ახალგაზრდებისათვის და პირველად ინტერნეტგამოცემა „ქართული კულტურა“ იდებდა თავს მის გამოქვეყნებას.

ესეც მესამე რგოლის ზოგადი შინაარსი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების იმ წამოწყებისა, ორი წიგნი უკვე რომ არის გამზადებული გამოსაცემად, ამასობაში კი ახალი სამეცნიერო სესიები ახალ კრებულებსაც მოიყოლებს.

ის ძველი, შორითშორეული ხმები

(ანონსის მაგიერ)

ელისაბედი XIX საუკუნის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მკითხავდა ზოგიერთ რაიმეს და ლაპარაკს რომ შევყვებოდი, უეცრად აღმოვაჩენდი, რომ:

ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის კვალს მივყვებოდი ვასილ ბარნოვზე, კერძოდ იმ თავს „რომანი და ისტორიისა“, რომელიც იმ ეპოქის საქართველოს გარეგნულ და სულიერ პორტრეტს წარმოსახავდა:

“თბილისის აჩრდილები“, აკაკი წერეთლისებური ხელოვნებით რომ გადაგვეშლებოდა გალერეა დიდებულ თუ კოლორიტულ სახებათა, მრავლისდამტევი ლაკონიურობით რომ ჩაიწურებოდა სულ რაღაც ორმოცდაათ გვერდში, ტომებს რომ გადაწონიდა.

და ვურჩევდი ელისაბედს:

წაეკითხა ეს თავი რომანისა და სრული შთაბეჭდილებაც შეექმნებოდა მთელ XIX საუკუნეზე.

და ასე ძალდაუტანებლად დამებადებოდა იდეა:

ეს მონაკვეთი წიგნისა ცალკეც გამოცემულიყო ყმაწვილებისათვის, ანკი უკეთესი რა შეიძლებოდა ყოფილიყო მოსწავლეებისათვის კლასგარეშე საკითხავად და იმ ეპოქის სულის შესაცნობადაც და განსაცდელადაც.

გამოცემას ძალიან მოუხდებოდა ილუსტრაციებიც და ფოტოსურათებიც.

და ეს იდეა დაედებოდა საფუძვლად ჩემს ესეის:

“ნისლიდან ამომზევებული უჩვეულო სამყარო (თბილისის აჩრდილები ოთარ ჩხეიძის თვალთახედვით)“.

რომლითაც გახსნიდა „მწვანეყვავილას“ რედაქცია ამ ჟურნალის 2020 წლის მე-6 ნომერს — ოთარ ჩხეიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილს, გარეკანის პირველ გვერდზეც მისი პორტრეტი რომ აღიბეჭდებოდა და მეოთხე გვერდზეც, ამირან არაბულის მიერ გადაღებული ფოტოსურათები ყელქცეულში, მწერლის მშობლიურ სოფელში:

ერთი — დევების მაგიდასთან.

მეორე კი — ბაღის ბოლოს, მწერლის მიერ გაშენებულ ნაძვნარ-ფიჭვნარში.

ამ მეორე ფოტოს დაერთვის ლუკა დვალიშვილის მინაწერი, რომელშიც ამ სტრიქონებსაც შეხვდებით:

— არცთუ იშვიათად ფოტოსურათი, გარკვეული მიზეზების გამო, პიროვნების პორტრეტს შელამაზებულად ან პირიქით, არარეალური რაკურსით წარმოაჩენს (ფოტოგენურობის ეფექტი), მაგრამ ამ ფოტოზე რეალურადაა წარმოდგენილი დიდი მწერალი დიდებულ ბუნებაში. ხშირი ჭაღარა თმის დარღვეული ვარცხნილობა, ბუნებაში ბუნებრივად მყოფი ადამიანის რეალური ყოფა.

ზომიერად გაღეღილი მკერდი, აკაპიწებული მკლავები, თითებში ალბათ ახალმოწყვეტილი ბალახის სიმწვანე და სურნელი აგვირგვინებს ამ დიდებულ ფოტოს. მოზაიკური შინაარსის სურათი, რომელიც უნებურად გაგახსენებს გალაკტიონს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული?!“

თემურ ამყოლაძის „დიდი“ ესკიზური მონახაზია ესეისათვის საეტაპო წიგნების შემქმნელსა და საკუთარი სივრცის დამამკვიდრებელ მწერალზე, რომლის ნებისმიერ ტექსტშიც:

— მონუმენტურად ჩანს ღრმა ეროვნულობასა და გვარიშვილობაზე დაფუძნებული დიდი, მთლიანი პიროვნება, შეურყეველი ზოგადსაკაცობრიო პრინციპებით, ამიტომ მოჰყვება ის დიდი მადლი მის ნაწერს.

გამოთქმულია რწმენა, რომ:

მომავალში მეტად დაფასდება მისი დიდი შემოქმედება — როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ფაქტიც და როგორც ისტორიულად ღირებული, მამულიშვილის თვალით ცხელ კვალზე დანახული და დახატული ეპოქალური მოვლენე-

ბის მხატვრული გალერეაც — „მატიანე ქართლისაის“ მისეული საგა.

და აქვე გამხელილია ის ჩანაფიქრიც:

თვალი გაადევნოს და მონოგრაფიულ თხზულებად აქციოს დაკვირვებანი ოთარ ჩხეიძის სტილზე 1940 წლიდან „პაგანინის თითებამდე“ — არა მხოლოდ თანამედროვე, არამედ ზოგადადაც — ქართული პროზის ამ ახალ შედევრამდე.

ლია კუხიანიძე ესეიში „ქართული სახელმწიფოს მოტრფიალე და ერთგული შვილი“ გაიხსენებდა, მწერლის გარდაცვალებას ანტონიო მაჩადოს იმ სიტყვებით რომ გამოეხმაურებოდა, მიგელ დე უნამუნოს აღსასრულისათვის რომ მიეძღვნა:

— იმათ, ვისაც ვერ გაუგია, რომ მისი სიკვდილი მასშტაბურად ეროვნულ კატასტროფას უტოლდება, ესღა შეგვიძლია ვუთხრათ: მიუტევე მათ, უფალო, რამეთუ არა უწყიან, ვინ დაკარგეს.

და როდესაც ამასაც აღნიშნავს:

არ დარჩენილა თანამედროვეობისა და ერისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, ოთარ ჩხეიძე რომ არ გამოხმაურებოდა. მისი, როგორც ქართლის მემატიანის, თვალი ყველაფრის აღქმა-გააზრებას ასწრებდაო, დასძენს:

— მწერლის ნასვლის შემდეგ ვაი-ვაგლახით გრძელდება ქართლის ცხოვრება, იმ ყველაფრის გაუთვალისწინებლობით, რის გამოც დიდი მწერალი გვაფრთხილებდა. გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანს ახალი მემატიანე, რომელიც ოთარ ჩხეიძის დადებულ კალამს აიღებს და „მატიანე ქართლისას“ გააგრძელებს.

არადა დრო არ იცდის, „დრო უცნაურია: დგას, დგას და უეცრად გადაბრუნდება. დიდხანს ფიქრსაც ვეღარ მოითმენს“.

იგულისხმება:

როგორც მიხეილ ჯავახიშვილმა აიღო ილია ჭავჭავაძის მიერ დადებული კალამი.

და როგორც ოთარ ჩხეიძემ აიღო მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დადებული კალამი.

ისევე დაწვდეს ვინმე ოთარ ჩხეიძის მიერ დადებულ კალამსაც.

ელგუჯა თავბერიძე მინიატურების ციკლს — „მოგზაურობა საზანოში“ — „მახარობელით“ რომ გახსნიდა, მის ამ პირველ ნიმუშს ოთარ ჩხეიძეს მიუძღვნიდა, რაკიღა სოფლად გაგონილი ამ ამბის მოყოლა მაშინ ჩაეფიქრებინა, როდესაც ოთარ ჩხეიძე თავის ოჯახში თამადობისას დაახლოებით ასეთ რაიმეს ეტყოდათ ქუთათურ სტუმრებს:

— ვაზის გამშენებელი და ღვინის დამყენებელი უკვდავია, იმიტომ, რომ ვაზია უკვდავი.

90-იან წლებში ქეთევან სადღობელაშვილი მთელ ციკლს რომ მოამზადებდა სატელევიზიო გადაცემებისა საერთო სახელწოდებით „ეპოქა“, ერთ-ერთი გადაცემა ოთარ ჩხეიძესაც მიეძღვნებოდა; და ახლა „მწვანეყვავილას“ რედაქცია მის ლიტერატურულ ვერსიას: „ვწერ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე“ — შესთავაზებდა მკითხველს, ჟურნალისტს შეგნებულად რომ აერჩია გადაცემისათვის მონოლოგის ფორმა, რადგანაც ოთარ ჩხეიძეს ისედაც წლები დაეკარგა ახსნა-განმარტებებსა და გაურკვეველ კითხვებზე პასუხისათვის. მას ხომ სიგიჟის ეპოქაში მოუწევდა ცხოვრება.

თუმც მწერალს ამაზეც თავისი პასუხი მოეძევებოდა:

— ეს ძალიან დიდი ეპოქაა, დიდი მოვლენების წინაშე ვდგავართ. რაც დღეს ჩვენს თავს არის, მიუხედავად, რომ სისხლიანია, მიუხედავად, რომ უბედურია, ჩვენი გადარჩენის მაუწყებელია. მე ასე მგონია, მართლა მგონია, მე ამას ცენზურისთვის კი არ ვამბობ...

დიალოგში გახსენებულია, როგორ დაავალა მასწავლებელმა მეოთხეკლასელებს დაეწერათ ‘წელიწადის დრონი~ და პატარა ოთარი აირჩევდა შემოდგომის სევდას — ნისლებსა და ხმელი ფოთლების შრიალს. და მეორე დღეს მასწავლებელი რვეულებს რომ შემოიტანდა, საზეიმოდ უნდა განეცხადებინა:

— ბავშვებო, თქვენს შორის ზის მომავალი მწერალი!..

და უნდა გაოგნებულიყვნენ თანაკლასელები, რადგანაც ის არ გამოირჩეოდა არც კარგი სწავლით, არც სითამამით, არც გარეგნულად, ერთი ჩია და გაყვითლებული, სუსტი ბავშვი იქნებოდა. და რათა დაერწმუნებინა ბავშვები, მასწავლებელი წაიკითხავდა ამ ნაწერს, წაიკითხავდა ძალიან კარგი დიქციით,

ოთარ ჩხეიძეს დიალოგისას ის წუთები ასე რომ უნდა განეზოგადებინა:

— ის ხმა ახლაც მახსოვს, ის ხმა ძველი იყო, ძალიან ძველი ხმა, ჩვენი წინაპრები იმ ხმით ლაპარაკობდნენ. ახლა ის ხმა აღარ გაისმის. სად დაიკარგა ის ხმა, სად გაჰქრა, საკვირველიც არ არის, იმდენი ხმები, იმდენი ენა აირია ჩვენს დროს, რომ ის ხმა დაიკარგა, ის თაობაც გაჰქრა, ვთქვათ, რომ გაანადგურეს. და ის ხმაც აღარ გაისმის ახლა. შორეული ხმა იყო, ძალიან შორეული, ტრაგიკული ხმა იყო, ძალიან ტრაგიკული. თან სიოსავით რაღაც იმედიც მოსდევდა. ასე ლაპარაკობდა ყველა, ბევრი, უფროსი თაობა და მისი ხმაც ასე გაისმოდა და ასე მესმის კიდე.

თავისი მხრივ სწორედ ის ხმა უნდა შეენარჩუნებინა:

ზეპირი მეტყველებისასაც.

და წერისასაც.

ძარღვი მისი სტილური თავისებურებისა სწორედ ის ძველი და მიკარგული ხმაა, ის შორეული და ტრაგიკული, თან სიოსავით რაღაც იმედიც რომ მოსდევს.

დიალოგისას ისიც უნდა ეთქვა, ახალგაზრდობაშივე ფართოდ რომ მოეხაზა თავისი შემოქმედება, ვიდრე ერთი-ორი წიგნი იქნებოდა.

მაშინ განიზრახავდა დაეწერა ნოველებისა და მოთხრობების სერია „ჩემი სოფლის ეტიუდები“, რომელსაც უნდა აესახა სოფლის ტრაგედიაც და საერთოდ ადამიანური ტრაგედიაც, „სოფელი“ საკუთრივ სოფელსაც რომ გულისხმობდა და წუთისოფელსაც.

ახალგაზრდა კაცის დიდი გაბედულებით გადაწყვეტდა დაახლოებთი ორმოცდაათი რომანისაგან შემდგარი სერიაც დაეწერა — ეს უნდა ყოფილიყო თანადროული ცხოვრება, 20-იანი წლებიდან მოკიდებული, ვიდრე შეძლებდა ამქვეყნად ყოფნას.

ამასთან განიზრახავდა ტრაგედიების სერიასაც, რომელსაც უნდა აესახა ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია. ის უბედურება, რაც ჩვენს ხალხს გადაეტანა, და ის, თუ როგორ გადაეტანა, რას მიეცა ძალა და რითი მოეხერხებინა, რომ აქამდის მოსულიყო.

მწერლობას რომ მოჰკიდებდა ხელს, ძალიან გაუბრალოებული დახვდებოდა სტილი.

გრიგოლ რობაქიძე გაქცეულიყო.

კონსტანტინე გამსახურდიაღა შერჩენოდა:

— კაცი, რომელიც ცდილობდა და მართლაც თავგადაკლული იყო ქართული ენისა და მხატვრული სტილისათვის.

სხვა დანარჩენი მეტისმეტად გაუბრალოებულიყო და ისეთი მწერლები წერდნენ, რომელთაც წერა არ იცოდნენ და რედაქცია-გამომცემლობებში სტილისტები უსწორებდნენ და ზოგჯერ თავით ბოლომდეც. და ეს გასწორებულიც ან უარესი იყო, ყოველ შემთხვევაში უკეთესი არ გახლდათ.

— აი ამ ცუდს და უგემოვნობას დაპირისპირება სჭირდებოდა რაღაც მკვეთრი, მკვეთრი, მკვეთრი სტილით.

და ოთარ ჩხეიძის სტილური არჩევანი ამ გარემოებასაც უნდა განეპირობებინა, გარდა იმისა, რომ შინაგანი, ბუნებრივი მოთხოვნილება იყო მისთვის.

საბჭოთა რეჟიმი არ მოუთმენდა არც მკვეთრ სტილურ თავისებურებას, ესეც მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიასთან დაპირისპირებად რომ აღიქმებოდა ხელისუფლებისა და მისი ცერბერი კრიტიკოსების თვალში... და კაცმა რომ თქვას — ასეც გახლდათ!..

ოთარ ჩხეიძეს კი უკვირდა თავისი კრიტიკოსებისაგან — უფრო მოგვიანო ხანის კრიტიკოსებისაგან, როდესაც კრიტიკა უკვე აღარ იქნებოდა მთლად ჩეკისტური ყაიდისა

— უკვირდა, როცა სტილზე ედავებოდნენ:

— ჩვენი ლიტერატორები ძალიან თამამად ლაპარაკობენ ჯოისზე, მანზე, კაფკაზე, ვისზე აღარ გნებავთ, მათი სტილი არ უეხერხულებათ და ეს ჩემი სტილი რატომ ეუხერხულებათ, არ ვიცი. შეიძლება ეს ზოგჯერ იმის ბრალიც არის, რომ რაღაც სტერეოტიპი შემუშავდება, მწერალია, ხელოვანია თუ ვინ არის, და ამას უფრო ადვილად იმეორებენ, უფრო ძნელია საფუძვლიანი, ღრმა ლაპარაკი და უფრო ადვილია შენიშნონ, რომ: „ოთარ ჩხეიძე, ოოოოოო, ემფატიკური ა“. თითქოს უკვე ყველაფერი თქვეს, თითქოს უკვე ახლოს იცნობენ ამ მწერალს. მიუხედავად იმისა, რომ ახლა მწერალს აღარაფერი აღარა

ზღუდავს, მე მაინც ერთგული ვრჩები ჩემი როგორც მხატვრული, ისე ენობრივი სტილისა.

ამ სტილს უნდა შეენარჩუნებინა და სასტიკ თავდასხმებში გამოეტარებინა ის შორეული, შორითშორეული, მიკარგული ხმები, იმ ტრაგიკული ელფერისა, სიოსავით რაღაც იმედიც რომ მოჰყვებოდა.

არეულიყო ხმები?

მიესილა და მიეყრუებინა ამ ქაოტურობას ის ძალიან ძველი ხმა თავისი ათასგვარი დანაშრევით?

პატრონი ხომ მაინც გამოსჩენოდა, მხსნელი ხომ მაინც მობღაუჭებოდა, თავის სულიერ და შემოქმედებით ქურაშიც გამოეტარებინა და ხელმეორედ დაებრუნებინა ხალხისათვის დვრიტად, ნიშატად, საყრდენად, რათა სტილურ ფოიერვერკსა და დღესასწაულში აღბეჭდილი უკვე აღარასოდეს გამქრალიყო, შეწინააღმდეგებოდა ადამიანის შინაგან გარდაქმნას ანუ ბუნებრიობიდან ამოგდებას, კეთილშობილური ტრადიციებიდან გადაცდენის უბოროტეს მოვლენებს და დაემკვიდრებინა ეს რწმენა, რომ:

— ერთადერთი ჭეშმარიტება არის ერი... მშვენიერებაც ერია, ერი... სხვა ყველაფერი სიცრუეა...

და გაისმის ეს ხმა, ეს ძველთაძველი და მარადიული, ოთარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ „მწვანეყვავილას“ ახალ ნომერშიც, ქუთათურებს არაფრისდიდებით რომ არ გამორჩებოდათ ეს თარიღი — როგორც ლიტერატურული, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისა და ასე ღირსეულადაც შეეგებებოდნენ.

როცა კაცი ამშვენებს ჯილდოს

(დეპეშად ნიკა წულუკიძეს)

ჩემო ნიკა,

სულ უფრო თვალსაჩინოვდება შენი მრავალმხრივი ნიჭიც და ერუდიციაც, ერთსა და ორ სარბიელს რომ არა კმარულობ და ბევრგან მიგიწევს გული XIX საუკუნის თეატრალებივით:

მსახიობებიც რომ იყვნენ, წამყვანებიც, რეჟისორებიც, თეატრალური კრიტიკოსებიც და მკვლევარებიც, ლიტერატურისმცოდნეებიც, დაუმცხრალი მოგზაურებიც, საქართველოში ფეხდაუდგმელს რომ არა ტოვებდნენ არცერთ ადგილს და მოეზიდებოდნენ და მოეზიდებოდნენ ხალხში გაბნეულ მარგალიტებს, დაეძებდნენ ღირსეულ მოღვაწეთა კვალს და უამრავ ბიოგრაფიულ რეალიასა თუ ფსიქოლოგიურ შტრიხსაც აღადგენდნენ.

თეატრალები, რომელთათვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანი გახლდათ სცენაც და კულისებიც, მთავარი როლიც და სუფლიორის ჯიხურიც...

თითქოს იმ დროიდან მოდიხარ, გარდასული ხანის სურათებიც არანაკლებ რომ მოგეხსენება, ვიდრე შენს თვალწინ დატრიალებული ამბები.

უკვე რამდენი რამ გინახავს, რამდენი რამ შეგითვისებია, რამდენი ძვირფასი თვალი შეგიგროვებია, სად აღარ წვდება შენი მზერაც და ცნობისწადილიც.

უშურველადაც აფრქვევ ამ მონაპოვარს სცენიდანაც, რადიო თუ ტელეეთერიდანაც და არაერთი შენი პატივისმცემელი მოველით დოკუმენტურ ნოველებად გადაქცევას ამ ყოველივესი, მემუარული ყაიდის ჩანაწერებად, რომელიც ბოლოს ავტობიოგრაფიულ რომანადაც გამთლიანდება და ერთი საუკე-

თესო საკითხავი იქნება თუნდ ვასილ კიკნაძის მემუარული კონისა არ იყოს: „გამოთხოვება მოგონებებთან „— უამრავი რამ რომ შემოუნახავს მკითხველისათვის და ენაწყლიანადაც მოუთხრობს; იმ ვასილ კიკნაძისა, რომელსაც შენი ასერიგად ეიმედებოდა და ყოველნაირადაც უწყობდა ხელს შენი მრავალმხრივი ნიჭისა და ინტერესების გახსნა-გაღრმავებას.

თქვენი ურთიერთობა იყო საუკეთესო მაგალითი მასწავლებლისა და მოსწავლის მეგობრობისა.

და რა გასაკვირია, გამორჩეულად რომ გაგხარებოდა ის ჯილდო, რომელიც შენი მონდომებული გარჯისათვის მოგენიჭებოდა და ვასილ კიკნაძის სახელით აღიბეჭდებოდა.

ეს იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როდესაც ჯილდო კაცს ამშვენებს და კაცი — ჯილდოს — გამომხატველს არა ერთი რომელიმე ორგანიზაციის მხარდაჭერისა, არამედ სახალხო აღიარებისა.

გაბედულ ჰიპოთეზათა კვალზე

(სადღეგრძელოს მაგიერ ლადო ჭელიძეს)

ლადო, ჩემო ძმაო,

თუ ვინმეს სწამდა პავლე ინგოროყვას რჩეულობა - შენც მათ შორის.

თუ ვინმეს სჯეროდა პავლე ინგოროყვას გაბედული ჰიპოთეზები, მიგნებანი, აღმოჩენები, დასკვნები - შენც მათ შორის.

თუ ვინმე ცდილობდა პავლე ინგოროყვას სახელისა და ღვაწლის შესაფერის დაფასებასა და გამობრწყინებას - შენც მათ შორის.

ამ ყოველივეს იმიტომ ვიხსენებ, იმთავითვე რომ უპირისპირდებოდი შაბლონსა და ტრაფარეტს, იმთავითვე რომ არად აგდებდი გაბატონებულ ცრუ თუ ზერელე აზრებს, იმთავითვე რომ გაერიდებოდი იოლი გზებით სიარულს და გულმოდგინე ძიებისას გაჰყვებოდი იმ გაბედულ ჰიპოთეზათა კვალს, იმ მიგნებებს, იმ აღმოჩენებს, იმ დასკვნებს, რისთვისაც ისევე წაეცხოთ კირის სქელი ფენა პარტიულ ბოსებსა თუ მეცნიერებაში გაბატონებულ პერსონებს, როგორც ფრესკებს გადაგვიღებავდა საქართველოში ახალდამკვიდრებული რუსული მმართველობა.

დადგებოდა დრო იმ კირის გადაფხეკისა ფრესკებზე.

და პავლე ინგოროყვას „ქართული ცივილიზაციის ისტორიაზეც“ თანდათან რომ გადაიფხიკებოდა კირი შენი მონაწილეობითაც, იმ აღმოჩენების დასამკვიდრებლად თუ იმ ჰიპოთეზათა დასადასტურებლად გახდებოდა აუცილებელი ახალ-ახალი მასალების მოძიებაც და ახალ-ახალი დაკვირვებებით შევსებაც.

ასე მიემატებოდა ერთიმეორეს შენს მეცნიერულ ნააზრევშიც ნარკვევები, ხელოვნურად დადგენილ მიჯნას რომ არღვევდა და მის მიღმა გადასახედად მიისწრაფოდა.

და დღესდღეობით ვეღარავინ ილაპარაკებს ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობაზე, ქრისტიანობამდელი იბერიის მეფეთა ჩამონათვალზე, ლეონტი მროველზე, ქართულ რენესანსსა და შოთა რუსთველზე, და კიდევ რაზე აღარ, შენი ნაშრომების გაუთვალისწინებლად, „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად ახალი განზომილებაც რომ უნდა მიგეკვლია და საგულისხმო პერსპექტივაც დაგესახა იმ მიმართულებით კვლევისა...

შენი მრავალმხრივ საგულისხმო ნაწერები და არანაკლებ საგულისხმო საჯარო გამოსვლები ის მონაპოვარია, სადაც უნდა იმყოფებოდე, ქართული კულტურის დესპანად რომ წარმოგაჩენს, თავისთავად და ძალდაუტანებლად.

და ამჟამად საქართველოსა და ისრაელს შორის გაგიდია ის სულიერი ხიდი, დღითიდღე რომ განამტკიცებ მის ბურჯებს შენი დაუმცხრალობით, გადამდები რომ არის და სხვათა ამყოლიებელიც სასიკეთო საქმეთათვის, ბევრწილად რომ განსაზღვრავს პავლე ინგოროყვას კვალზე სიარული და რწმენა ჩვენი ქვეყნის ღირსეული დამკვიდრებისა საკაცობრიო ცხოვრების მდინარებაში.

ნეკროფილობა და მისი ნიღაბი

(დღიურის ფურცლებიდან)

ძალიან რომ წამოიწევდა ჯეიმზ ჯოისის, მარსელ პრუსტისა და ფრანც კაფკას სახელები, სულაც XX საუკუნის პროზის მამებად შერაცხავდნენ მათი განსაკუთრებული მხატვრული მონაპოვარისა და ზეგავლენის გამო სამწერლო პროცესებზე.

და აღმოჩნდებოდა, რომ:

არცერთს არ მინიჭებოდა ნობელის პრემია — ოფიციალური დასტური მწერლის გამორჩეული ღვაწლისა.

და დარჩებოდა ხარვეზად და მნიშვნელოვან ხარვეზადაც ამ პრემიის გაცემის ისტორიაში, მაგრამ არავის მოაფიქრდებოდა — არც ნობელის კომიტეტის წევრთაგან კერძოდ და არც დასავლური ლიტერატურული წრეებიდან საერთოდ — გამოესწორებინათ ეს მძიმე შეცდომა სიკვდილისშემდგომი დაფასებით მათი განსაკუთრებული როლისა და ნობელის პრემიის ჩამორიგებით ჯოისის, პრუსტისა და კაფკასათვის.

გარდაცვლილი უკვე სხვა განზომილებაში გადადის, განზომილებაში, სადაც აღარ მიჰყვებათ ამქვეყნიური თარიღები და სულეთის იმ სამყაროში ერთნაირი უფლებებით ტრიალებენ მათი აჩრდილები — რაღა ჯეიმზ ჯოისი და რაღა თუნდ ჰომეროსი.

და მაშ — თუკი მაინცდამაინც სიკვდილისშემდგომ გადაგიწყვეტია პრემიის მინიჭება — ჯოისზე მეტად ჰომეროსს ეკუთვნის.

და მაშ ჩამოერიგებინათ ნობელის კომიტეტის წევრებს ეს ჯილდო ჰომეროსისათვის, ფირდოუსისათვის, დანტე ალიგიერისათვის, უილიამ შექსპირისათვის, ონორე დე ბალზაკისათვის, იოჰან ვოლფგანგ გოეთესათვის და ვისთვის აღარ — რა, ამოწურავ ვითომ მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურს?!.

მაგრამ ეს იქნებოდა არა დაფასება მწერლებისა და მწერლობისა, არამედ ერთი მხრივ გაკომიკურება და მეორე მხრივ ნეკროფილური ინსტინქტებისა თუ სულაც მისწრაფების გამოვლინება, რისგანაც თავისუფალია დასავლური საზოგადოებრივი აზრი, და შესაბამისად — ნობელის კომიტეტიც.

მართალია რამდენი ხანია მოშლილია ამ კომიტეტის წევრთა აზროვნება და პრემიის გაცემა ხდება არა მხატვრული ძალმოსილების დასაფასებლად, არამედ პოლიტიკური თუ სხვა კონიუნქტურული მოსაზრებებით, მაგრამ ისეც არ აცდენილან მორალის მოთხოვნებს, გარდაცვლილებს ჩამოურიგონ ნობელი.

ის, რაც ყოვლად მიუღებელი გახლდათ დასავლური აზროვნებისთვის, ჩვეულებრივი მოვლენა გახდებოდა საბჭოთა რეალობისათვის, სადაც სხვა ველურ ინსტინქტებთან ერთად წაქეზდებოდა ნეკროფილური ვნებანიც.

ცხადია ეს ვნებანი ამოეფარებოდა კეთილშობილურ ნიღაბს:

დახმარება გაეწიათ გარდაცვლილი მწერლის ოჯახისათვის.

მაგრამ დახმარება ბევრგვარად შეიძლება, ისე, რომ მორალური კანონები არ დაირღვეს. გარდაცვლილის ოჯახზე შეიძლება იზრუნო ისე, კეთილშობილურ საზოგადოებას რომ შეჰფერის და არა კეთილშობილებით მოთამაშეს.

თორემ გარდაცვლილს აღარაფრად ესაჭიროება აღარავითარი პრემია.

თუ იმსახურებდა ჯილდოს, სიცოცხლეშივე გაგემეტებინა, მაშინ გამოგეხატა პატივისცემა და სიყვარული — გული გაგეთბო, გაგემხნევებინა, შემოქმედებითი მისწრაფებანი გაგეცხოველებინა მისთვის.

ახლა გვიანია, ძალიან გვიანი, თუკი კონიუნქტურული თუ ნეკროფილური ინტერესები არ გამოძრავებს, მათ შორის ის უმთავრესი ინსტინქტი, გარდაცვლილი წააფარო ცოცხლებს, გარდაცვლილი, რომელიც კიდეც შეგყვარებია, რაკიღა უკვე ველარაფერში შეგიშლის ხელს, ცოცხლებისაგან კი ყველაფერია მოსალოდნელი და ხელს არ გაძლევს მათ გვერდში ამოდგომა.

საშინელებაა ეს ნეკროფილობა!..

საბჭოთა რეჟიმი ამ ინსტინქტითაც საზრდოობდა, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც რომ გადმოინაცვლებდა და... გაგრძელდებოდა და გაგრძელდებოდა ჩვენდა სავალალოდ და სავაგლახოდ...

და ძნელი სათქმელია, როდის მოეღება ბოლო ამ ინსტინქტის წაქეზებას.

როდის ჩამოვარდება „კეთილშობილების" ეს ნიღაბი.

როდის ვიგრძნობთ, რომ ჩვენი საზოგადოება გათავისუფლდა ნეკროფილური ვნებებისაგან.

როდის ვისწავლით ღირსეული მწერლებისა და მოღვაწეებისათვის სიცოცხლეშივე მიგებას შესაფერისი პატივისა.

თორემ გარდაცვლილის კუბოს მზესა და მთვარეს რომ დაახლიდნენ, ესეც კი ამაზრზენად ეჩვენებოდა აკაკი წერეთელს, და... ჯილდოს დახლა რაღაა — მთლად ბელტივით!..

თუ ნანობ, სიცოცხლეშივე რომ ვერ დააფასე ჭეშმარიტი შემოქმედი, გამოსასწორებლად ბევრგვარი საშუალება მოგეპოვება, და გაითვალისწინე დასავლური გაკვეთილები, რომლის მორალური კანონებითაც:

თუნდ ჯეიმზ ჯოისი, მარსელ პრუსტი და ფრანც კაფკა XX საუკუნის პროზის მამები არიან და არა ნობელის პრემიის კავალერები.

ფრთები, ფრთები გვინდა

(გლოვად მარიამ მღებრიშვილისა)

ნატოსა და მე ლელა დისაგან არც გამოგვერჩეოდა. რაც თვალს გამოვახელდით, ერთად გავიზრდებოდით — როგორც სიმბოლური, ისე პირდაპირი მნიშვნელობითაც. და საერთო გვექნებოდა ის უკიდეგანო, თვალშეუდგამი, ფათერაკებითა და თავგადასავლებით აღსავსე სამყარო, რომელსაც ბავშვობა ერქვა, და ამით შევიკვროდით სამუდამოდაც.

და აი რა ტრაგედიას გვიმზადებდა წუთისოფელი:

ლელას ერთადერთი ქალიშვილი, მარიამი, ზეცას მიაშურებდა.

მიზეზი რთულია და კომპლექსური, რომლის დაშლაც ცალკეულ მიზეზებად ცხადია შესაძლებელია, მაგრამ რაღა დროს... რაღა ეშველება ნაადრევად გაფრენილ სიცოცხლეს...

— 33 წელს ვერ გადავცილდები, — იტყოდა ერთხელ, და გაუკვირდებოდა, რომ გადასცილდებოდა... თუმც სულ რამდენიმე თვით... და დღიურში გაჩნდებოდა იმ წუთას მხოლოდ მისთვის საცნაური ფრაზა:

„2021 წელი — სიკვდილი“.

ისეთი ჟამი და ჟამიანობა გვიდგას, ბევრი მისი ახლობელი ვერც გაიგებდა ამ ტრაგიკულ აღსასრულს და ვერც უკანასკნელ განსასვენებლამდე მიაცილებდა და ვერც ცრემლს გააყოლებდა.

ყველაზე შემზარავი მაინც უმწეობის შეგრძნებაა, ვერაფერს რომ ვერ შველი სულიერ ტკივილებს, ვერ უამებ, ვერ შემოგიბრუნებია განწირულნი ამქვეყნისაკენ...

ერთხელ უკვე ამოვთქვამდი ამ საწუხარს, უფსკრულში რომ გვიცვივიან ბავშვები და შენ კი... შენ ვერ დგები უფსკრულის პირას ისე, ეს გადავარდნა ააცილო.

უფსკრულისაკენ მიისწრაფიან ჩვენი ახალგაზრდები.

და რა იღონო, აღარ იცი:
მხოლოდღა გმინავ.
მხოლოდღა მოთქვამ.
მხოლოდღა გულს აწყდები.
და გრძელდება და გრძელდება საბედისწერო ცვენა... საბედისწერო ფრენა გრძელდება...

ფარული ინსპირატორი

(სადღეგრძელოს მაგიერ ნიკა სანებლიძეს)

ნიკა, ჩემო ძმაო,

ჩემს გარშემო ბევრი განათლებული ადამიანი ყოფილა და არის, რომლებთან ურთიერთობაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ტოლფასია. თუმც შედარებით ნაკლებნი არიან უგზოუკვლოდ განათლებულნი, და კიდევ უფრო ნაკლებნი ისინი, უაღრესი თავმდაბლობით რომ ატარებენ უზომო ერუდიციის ტვირთს.

და შენ ერთ-ერთი ნიმუში ხარ ამგვარი თავმდაბლობისა, ყოველთვის ძალიან რომ გერიდება, ცოცხალ ენციკლოპედიას როდესაც გიწოდებენ.

ლიტერატურა ლიტერატურად და, თავისუფლად ტრიალებ ფილოსოფიის სამყაროშიც, და ფსიქოლოგიისაც, გეოპოლიტიკისაც, პოლიტოლოგიისაც, სოციოლოგიისაც, მხატვრობისაც, არქიტექტურისაც, თეატრალური ხელოვნებისაც, კინოხელოვნებისაც, მუსიკისაც, ფიზიკისაც, ეკონომიკისაც და მგონი მელიორაციისაც...

როდესაც რაიმე საკითხზე დახმარებას გთხოვენ, იქვეც შეგიძლია საგულისხმო მოსაზრებანიც თუ რჩევებიც გაუზიარო და ოთხი-ხუთი წიგნიც ისე დაუსახელო, თითქოს იმ წუთას შენც მხოლოდ ამ სფეროთი და ამ თემატიკით იყო გატაცებული.

შენი აწყობილი, ღრმადლოგიკური და მრავალფეროვანი საჯარო გამოსვლებიც ერთ რამედ ღირს და შენისთანა ორატორსა და ერუდიტს, ჩვენ რომ მოწესრიგებული ქვეყანა ვიყოთ და განათლების სისტემაც მოგვარებული გვქონდეს, უმაღლესი სასწავლებლები ერთმანეთს უნდა ეცილებოდნენ.

თუმც სადამდეც მიგიწვდება ხმა, ყველას განაწყობ ახალ-ახალი საქმის საკეთებლად — შთააგონებ, აიყოლიებ ხოლმე,

და ამიტომაცაა, არაერთი ნარკვევისა თუ სტატიის ფარული ინსპირატორიც რომ ხარ, თორემ არაოფიციალური ხელმძღვანელი ხომ კიდევ უფრო მეტისა.

მახსოვს, რა მღელვარებაც გამოიწვია შენმა გამოსვლამ პავლე ინგოროყვას საღამოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სცენაზე იმ ღირსსახსოვარ 1980 წლის 22 ნოემბერს, საღამოზე, რომელიც უშენოდ ვერ გაიმართებოდა.

იმ დაბრკოლებების გადამლახავი მარტო მე არ ვიყავი.

და აი მაშინ, როდესაც პავლე ინგოროყვას სხვა დიდებულ მიგნებებსა და აღმოჩენებთან ერთად დამცირებული — და გამასხრებულიც კი — იყო მის მიერ გაშიფრული შუა საუკუნეების ქართული სანოტო დამწერლობაც, შერაცხული მისტიფიკაციად, შენ დაასაბუთე ამ აღმოჩენის მსოფლიო მნიშვნელობა და ღიმილით დასძინე:

თუკი ეს გაშიფრული მუსიკა პავლე ინგოროყვას ეკუთვნის და არა შუა საუკუნეების ბრწყინვალე ჰიმნოგრაფებს, მაშ გამოდის, რომ თვითონ პავლე ინგოროყვა ყოფილა იოჰან სებასტიან ბახის რანგის კომპოზიტორი და ეს მაინც დავუფასოთო.

დღესდღეობით მუსიკალურ წრეებში საკმაოდ ბევრი ადამიანი იზიარებს ამ თეორიას, შენ კი, ჩემო ნიკა, კიდევ არაერთი მოვლენის წინასწარ დამნახავი თუ გზის გამკვალავი აღმოჩნდები.

მოლოდინი მარადქალურის გამოცხადებისა

(ანონსის მაგიერ)

მხოლოდ დეტექტივი კი არ არსებობს.

არსებობს ლიტერატურული დეტექტივიც, დამოუკიდებელ ჟანრად და მოვლენად, იმ ნაირსახეობად კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნებისა თუ მეცნიერული ძიებებისა, რომელიც ზედაპირზე ამოზიდავს კვლევის მთელ პროცესს.

ცხადია ასეთ დროს აუცილებელია არამარტო ეს პროცესი იყოს მძაფრიც და მიმზიდველიც, დამაინტრიგებელიც და ჩამთრევიც, არამედ დაწერითაც დახვეწილად და ექსპრესიულად წარმოსახული, რათა მკითხველი გაიტაცოს თვითონ ძიების პროცესისათვის თვალის მიდევნებამ — თხრობის მღელვარებამ, ეფექტურმა გადახვევებმა, ერთიერთმანეთზე მოულოდნელმა სიუჟეტურმა სვლებმა, ამათუიმ ჩიხიდან უეცრად გამოსვლის სიხარულმა — და არ იკმაროს მარტოდენ საბოლოო დასკვნები, რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ეს საბოლოო შედეგები.

ამ ჟანრის მონაპოვრებს უხვად ჰპოვებს მკითხველი პავლე ინგოროყვას მეცნიერულ ნააზრევში, კლასიკურ სიმაღლეზე რომ აზიდავდა კვლევა-ძიების ამ მანერას და თავისებურ თარგად და ნიმუშადაც დაგვიტოვებდა.

ხოლო დღევანდელ ლიტერატურაში თუ ვინმე წარმოგვიდგება ლიტერატურული დეტექტივის ოსტატად, ერთი უპირველესი უთუოდ თეიმურაზ დოიაშვილი, რომელიც მთელ ციკლს შექმნიდა ამ ნაირსახეობისა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ურთულესი სახეობრივი სისტემისა და მინიშნება-მეტაფორისტიკა-სიმბოლიკის შესწავლა-ახსნა გაშიფრვისას.

საგულისხმოა, რომ:

მისი მეცნიერული სკოლის წარმომადგენელნი ანუ გალაკტიონოლოგთა ახალი თაობა — ნათია სიხარულიძე იქნება თუ ლევან ბებურიშვილი — მარჯვედ აითვისებდნენ ამ მანერას და ამავე გზასაც დაადგებოდნენ თავიანთი კვლევა-ძიებისას.

და აი ბოლო ხანს თეიმურაზ დოიაშვილი გამოაქვეყნებდა ყველაზე ზუსტ და შეუმცდარ ახსნას ლექსისა „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, რომელიც მანამდე ურთიერთგამომრიცხავად განიმარტებოდა და... ლამის უკვე შეუძლებელი ხდებოდა ამ ლირიკული შედევრის სიღრმეში მეცნიერული შესვლა და ინტუიციურად ნაგრძნობისათვის შესაფერისი სახელის დარქმევა.

ჩემთვისაც მახლობელია ლიტერატურული დეტექტივის მანერა და ამიტომაცაა, საგანგებოდ რომ წარმოვაჩენდი პავლე ინგოროყვას ღვაწლს ამ ჟანრის დასამკვიდრებლად ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“; და კვალში ჩავუდგებოდი თეიმურაზ დოიაშვილის ამ ყაიდის თხზულებებსაც, რათა ხელშესახები გამეხადა მკითხველისათივს, დასკვნებზე არანაკლები თვითონ ძიების პროცესიც რომ გახლდათ.

და ამჯერადაც ხელიდან არ გავუშვებდი შესაძლებლობას, დამეფასებინა და შემეფასებინა შედევრის „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ მომხიბლავი მეცნიერული ფონი ნარკვევში: „გზა, ვარდი, სიზმარი და სილაჟვარდე“, რომლის ქვესათაურშიც გავაცხადებდი ლიტერატურული დეტექტივის მთავარ დებულებასა და დასკვნას: „გალაკტიონური საგალობელი ღვთისმშობლისა“ („თეატრი“, 2020, №5).

მანამდე ენიგმური სახე — ვარდი სილაში — უმეტესწილად ორგვარად რომ განიმარტებოდა:

ერთი — რეალობის კონტექსტში: როგორც მტვრიან გზაზე დაცემული ყვავილი, რომელსაც ბრბოს მიერ ფეხით გათელვა მოელის.

ამ განმარტებას პირწმინდად გამორიცხავდა მკვლევარი, რაკიღა გალაკტიონი სილაჟვარდისა და სილაში ვარდის იდუმალ მსგავსებაზე მიგვანიშნებდა, არადა მათ შორის არარსებულ კონტრასტს აღმოაჩენდნენ, თითქოს სილაჟვარდე და სი-

ლაში ვარდი ურთიერთდაპირისპირებული პოლუსები ყოფილიყოს.

მეორე — რეალობისათვის უჩვეულო და ლოგიკურად გაუმართლებელი მოვლენა, მაგრამ სავსებით ბუნებრივი და დამაჯერებელი მხატვრული პირობითობის დონეზე: სილაში ვარდის ამოსვლა.

ეს მეორე განმარტება — სახელდობრ ელიზბარ ჯაველიძისა — უფრო მოეწონებოდა თეიმურაზ დოიაშვილს, ოღონდ აქ შეჩერებას არ იკმარებდა და გაჰყვებოდა იდუმალებას შრიდან შრემდე და ხრტილიდან ხრტილამდე, და კვლევა-ძიებას სნორედაც რომ დაშვენდებოდა დეტექტიური ყაიდა თხრობისა.

უპირველესად მკვლევარს უნდა მიეგნო, რომ:

გალაკტიონის ლექსი სიახლოვეს ამჟღავნებდა ვლადიმირ სოლოვიოვის მითოპოეტურ სიუჟეტთან სოფიას შესახებ.

რუსი მისტიკოსის ეს ფილოსოფიური მრწამსი ირწმუნებოდა ღვთაებრივი სიბრძნის, ტრანსცენდენტური ინტელექტის, სოფიას არსებობას; და თანმიმდევრულად ნერგავდა მარადქალურის, როგორც მხსნელის, გამოცხადების რწმენას ახლო მომავალში.

კაცობრიობის ისტორიაში ამას დასაბამი უნდა მიეცა ახალი ერისათვის — დუალიზმის დაძლევის, მატერიალურ და სულიერ საწყისთა შეერთებისათვის — იმ სინთეზისათვის, წარმავლობის დამარცხებისა და მარადისობის დამკვიდრების მაუწყებელი რომ უნდა გამხდარიყო.

დეტექტიური ჩაღრმავება და ნიუანსობრივი კვლევა გაათვალსაჩინოებდა, რომ:

„სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ვლადიმირ სოლოვიოვის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მრწამსს იზიარებდა და სოფიას მითოპოეტური სიუჟეტის ძალზე დრამატულ მონაკვეთს გადაგვიშლიდა — ქალწულის გამოცხადების მღელვარე მოლოდინსა და დაეჭვებას, იმედგაცრუებას აღთქმის შეუსრულებლობის გამო, რაც მსოფლმხედველობრივი კრიზისის მიზეზი ხდებოდა.

და ჩემს ვრცელ გამოხმაურებაში უნდა წარმოჩენილიყო თეიმურაზ დოიაშვილის ამ ლიტერატურული დეტექტივისა და

უმთავრესი მიგნების მნიშვნელობა, მიგნებისა, რომლის წყალობითაც ეს ლირიკული შედევრი ღვთისმშობლისადმი აღვლენილ საგალობლად წარმოგვიდგება.

მასში გამოვლენილ უკვდავების ძიების მოტივთან დაკავშირებით კი მსჯელობაში შემოვიტანდი იმ უხვ მასალას, რასაც თავის დროზე ანალიტიკურად შეისწავლიდა და გაიაზრებდა აკაკი ბაქრაძე ნარკვევში: „ბუნების კანონზომიერება ანუ უკვდავების მაძიებელი კაცი“.

იდუმალ სიოდ პოეტური ზეიმისა

(სადღეგრძელოს მაგიერ ლაშა გვასალიას)

ჩემო ლაშა,

მახსოვს ზუგდიდში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ გასვლით თავყრილობაზე გამოსვლას რამდენჯერმე რომ შეგაწყვეტინებდა ტაშით ლია კუხიანიძე, და როდესაც ჩაამთავრებდი, ნიკანდრო ქილია-კარლო საკანდელიძესავით აღმოხდებოდა:

— დედა, რა იყო ეს ა?!.

და წყრომით გადმოგვხედავდა ნინო ვახანიას, ელგუჯა თავბერიძესა და მე:

— თქვენ რაღაც მშვიდად უკრავთ ტაშს!..

შეჰღიმებდა ნინო:

— შენ პირველად მოუსმინე და მაგიტომაც გიკვირს, აბა სხვაგვარად როგორ უნდა გამოსულიყო; პირველად რომ მოვუსმინე, მეც შენსავით გავოგნდი და ტაშისცემით კინაღამ ბისზეც გამოვიძახე.

— ეგ კი, — დაეთანხმებოდა ლია და კვლავ ვერ შეიკავებდა თავს, — დედა, რა იყო ეს ა?!.

სიტყვები წყაროსაებრ რომ მოედინება, ეს თავისთავად, და თვალდათვალ ვხედავთ, როგორ მჩქეფარებს და მდუღარებს შენი გული, რომელიც ლიტერატურით, ხელოვნებით, ქართული სიტყვით, თავისი ქვეყნის სატკივარითა და სიხარულით მღელვარებს და ამჯერადაც აფრქვევს იმ მადლს, რასაც ხან ლექსად გადმოღვრი ხოლმე, ხან პროზად, ხანაც კრიტიკულესთეტიკურ ნააზრევად.

შენი პოეტური კრებული „ფიქრების ქარი“ რომ გამოიცემოდა, ტარიელ ფუტკარაძე შემომეხმიანებოდა ტელეფონით:

— ეს ვინ ყოფილა, ეს რა პოეტი გვყოლია თურმე, აქამდე როგორ არ ვიცოდი... დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის განხილვა გენდომება, მაგრამ მოდი ეს მე დამითმე — საღამოს ორგანიზებაც და მთავარი მოხსენებაც, ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტში გავმართოთ, ოღონდ მე ისე არ ვიცნობ და იქნებ შენ მოელაპარაკო!..

მაშინ კიდეც შევთანხმდებოდით და 14 აპრილსაც დავნიშნავდით შეკრების თარიღად.

ტარიელი თუ რაიმეს მოჰკიდებდა ხელს, კიდეც უმაღლეს დონეზე უნდა აღესრულებინა, მაგრამ ამჯერად კოვიდის გამო შემოღებული შეზღუდვები შეგვიშლიდა ხელს, შემოდგომაზეც კვლავ რომ უნდა გადაგვედო საღამო, მერე კი... მერე...

შეუფასებელი არ დაგვრჩება „ფიქრების ქარი“, თბილისშიც და ზუგდიდშიც თავყრილობა ქართული სიტყვის თავისებურ დღესასწაულადაც რომ გადაიქცევა და ამ ზეიმს იდუმალ სიოდ შემოჰყვება ტარიელ ფუტკარაძის ის აღტაცება:

ეს რა პოეტი გვყოლია თურმე!..

ლიოსას კიდევ ერთი მეგზური

(დღიურის ფურცლებიდან)

„ლიტერატურული გაზეთის“ 5 თებერვლის ნომერი ამასაც გვაცნობებდა, რომ:

მალე უნდა ველოდეთ — „ინტელექტის“ მეშვეობით — მარიო ვარგას ლიოსას რომანს „დეიდა ხულია და ჯღაბნია“, ნინო ფიფიას მიერ თარგმნილს.

და საჭაშნიკოდ შემოგვთავაზებდა საკმაოდ მოზრდილ ფრაგმენტს რომანიდან, გაზეთის სამგვერდნახევარი რომ დაეთმობოდა და მკაფიო წამოდგენას შეგვიქმნიდა თარგმანის სტილისტიკაზეც და მხატვრულ რანგზეც.

რასაც მოველით ნინო ფიფიასაგან, სწორედ ისეთი ხელოვნებითაა შესრულებული, სულმოუთქმელად რომ წაგაკითხებს თავს, და გრძნობ, მთელი რომანიც — მიუხედავად მისი რთული აღნაგობისა და სტილისტიკისა — ასევე გაგიტაცებს ქართული ორეულის ლაღი მდინარებითაც.

ეს რომანი ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ეთარგმნა ამირან გაბესკირიას — რუსულიდან. და გარდა შუალედური ენისაგან გამოწვეული უხერხულობისა, ცენზურის მძვინვარება ავალდებულებდა მთარგმნელებს, ისე უხეშად ჩარეულიყვნენ ხოლმე ტექსტებში, თხრობა რაც შეიძლება მოერგოთ მარქსისტული დოგმებისა და მოთხოვნებისათვის. ამის გამო ძალიან ზიანდებოდა უცხოური თხზულებანი — ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები ან შერბილდებოდა თუ გადასხვაფერდებოდა, ანდა სრულიად ამოიშლებოდა ხოლმე.

შედეგად კი:

მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური მრწამსი ან ბუნდოვანდებოდა, ანდა სრულიად იკარგებოდა და ალღო და

განჭვრეტა გესაჭიროებოდა, რათა შორეულად მაინც მიგეკვლია ამათუიმ თხზულების მთავარი სათქმელისათვის, მაინც ვარაუდებში რომ იტრიალებდი.

ეს მოზრდილი ფრაგმენტი კი გაგრძნობინებს, რომ ოდნავადაც არ დაგრჩება გულნაკლულობის განცდა და მარიო ვარგას ლიოსას ამ რომანს — „დეიდა ხულია და ჯღაბნია“ — გაეცნობი ისეთს, ამ მხატვრული ძალმოსილების თხზულებას როგორც ეკადრება.

საჭაშნიკო ფურცლები გვარწმუნებს, ნინო ფიფიას სახით კიდევ ერთი სანდო მეგზური რომ ამოუდგა გვერდით ლიოსას წარმატებულ მეგზურებს: ლანა კალანდიასა და ელისაბედ ყვავილაშვილს... და საერთოდაც — ესპანურსა და ესპანურენოვან ლიტერატურას, რომელსაც სულ უფრო მეტი პატრონი უჩნდება და თითოოროლა მთარგმნელის ანაბარა აღარა ვართ.

„ლიტერატურული გაზეთი“ კი კვლავინდებურად განაგრძობს თავისი მოვალეობის აღსრულებას, რათა ყველა იმ ლიტერატურული მოვლენების შუაგულში გვამყოფოს, რაც ხდება და რაც მოხდება.

სცენას რარიგ დაშვენდება

(დეპეშად ელგუჯა თავბერიძეს)

ელგუჯა, ჩემო ძმაო,

შარშანდელი პანდემიური შეზღუდვები რომ არა, მაისში ქუთაისის თეატრის სცენაზე უნდა წარმოდგენილიყო შენი მხატვრულ-დოკუმენტური ნოველების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, მომზადების პროცესში „ეჭვის პერანგისაკენაც“ რომ გაუწევდათ გული, XIX საუკუნის ფსევდოგალაქტიკურ ქრონიკად რომ წარმოგესახა მეორედ მოსვლასა, კუდიან ვარსკვლავსა და კუდიანებზე; მთავარ ძარღვად მაინც იქ ჩართულ პოსტმოდერნისტულ ყაიდის ნოველას რომ შეარჩევდნენ ლუარსაბ თათქარიძეზე — შესანიშნავ გადაძახილს ილია ჭავჭავაძესთან.

ძნელი სათქმელია, რა სიკეთეს გვპირდება წლევანდელი პანდემიური შეზღუდვები, თეატრებიც რომ დაგვიდუმა, მაგრამ განა როდემდე გასტანს ეს აბურდული ვითარება და შვებით ამოვისუნთქებთ თუ არა, შენი მოთხრობების მიხედვით შექმნილი სპექტაკლითაც აღინიშნება ის სასიკეთო შემობრუნება, სპექტაკლით, რომელიც ყველა თაობას აიყოლიებს, განსაკუთრებით კი ჩვენს ახალგაზრდობას — სანახაობრივადაც და შემეცნების თვალსაზრისითაც.

ამის თქმის უფლებას მაძლევს ამ ათი წლის წინათ ქუთაისის თეატრის სცენაზე დადგმული „ნისლის ტიხარიდან“ ამოკრებილი ეპიზოდები — რამხელა წარმატება ხვდა პრემიერაზე და მაყურებლის ცნობისწადილი არც მერე განელებულა.

მაყურებელს სულის საზრდო ძალიან და ძალიან რომ ესაჭიროება, ამ საზრდოს იწოვდა სცენიდან. და ამ საზრდოს შეიწოვს ყველა იმ სპექტაკლიდანაც, სადაც კი სცენარის საფუძველი შენი მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშები იქნება.

ჩვენ რომ ნამდვილი თეატრალური ცხოვრება გვქონდეს, ხელიდან როგორ უნდა გაუშვან ამისთანა მადლიანი მასალა!..

მიხეილ ანთაძე, მწერალიც და თეატრალური და კინორეჟისორიც, ირწმუნება:

ელგუჯა თავბერიძის ნაწერები საუკეთესო მასალაა კინოსცენარებისთვისაც, ფილმების მთელი სერიაც რომ დაეყრდნობაო.

სავსებით ვეთანხმები, მაგრამ ჩვენს ამჟამინდელ პირობებში თეატრი უფრო რეალურია კინემატოგრაფზე და დაე ჯერ აქ გაგეკვალოს გზა ჩინებული რეჟისორებისა და მსახიობების თავგამოდებით.

არ გაკლია მკითხველი თუ კრიტიკოსთა შეფასება-დაფასება, და ბოლოსდაბოლოს უნდა დადგეს ის დროც, როდესაც დაფუძნდება პოლიტიკური თეატრი, რომლის ერთ მძლავრ ნაკადადაც შენი მხატვრულ-დოკუმენტური პროზა წარმოდგება, შემეცნებით-ესთეტიკური სკოლა უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მაყურებელთათვის.

გვერდი-გვერდ: ესეი და თარგმანი

(ანონსის მაგიერ)

სტერეოტიპი არაერთი გადმოგვყვებოდა საბჭოთა ეპოქიდან, ზოგი რომ დაიმსხვრეოდა, ზოგიც მიმკრთალდებოდა და მიიმქრეოდა, თუმც არაერთი ჯერაც განაგრძობს სუნთქვას და მეტ-ნაკლებად აზიანებს ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ყოფას საერთოდ და ლიტერატურის მდინარებას კერძოდ.

ხომ თითქოს ისეთიც არაფერი:

გაზეთისა თუ ჟურნალის ერთ ნომერში გამოქვეყნდეს ერთიდაიმავე პიროვნების ორი სხვადასხვა მასალა — და ორივე ხელმოწერით.

არადა ამას წინ აღუდგება ხოლმე ის სტერეოტიპი.

თუ რედაქტორს გადანაწილება ურჩევნია, ეს სულ სხვა საქმეა, მაგრამ ამათუიმ მოსაზრებით სწორედაც ერთ ნომერში მიაჩნია საჭიროდ მათი გამომზეურება და... რაღაცას ერიდება. ან რაღა „რაღაცას" — სწორედ იმ სტერეოტიპს, ჩვენს ფსიქიკაში ღრმად გამჯდარს, რომელიც ჩაგვჩიჩინებს: ეს არაფრისდიდებით არ შეიძლებაო!..

რატომ არ შეიძლება ვითომ?

ეს ხომ ბოლშევიკური და ლუმპენპროლეტარული სულია, გათანაბრებას, ყველაფრის ერთნაირად გაკრეჭას რომ მოითხოვს, ერთმანეთისათვის დამსგავსებას, ოღონდ ეს მაშინ, თუ უპირატესობა სხვას აქვს — თუნდ შენზე მეტს წერს. ოოო — ეს როგორ, რა უფლებით, ვისი ნებართვით!..

ამიტომ ყოველნაირად უნდა შევიწროვდეს და ერთ ნომერში ორი მასალა კი არა, წელიწადშიც ძლივს უნდა გაიმეტო მისთვის რამდენიმე პუბლიკაცია. რაო, რედაქტორი მხარს უჭერს? მაშ რისთვის არსებობს ინტრიგა, ცილისწამება, ათასგვარი

მდაბალი ხერხი... და მითუმეტეს ერთ ნომერში ორ პუბლიკაციას მთლად პირად შეურაცხყოფად იღებდნენ და აბა როგორ გაპატიებდნენ.

ხელსაც შეგიშლიდნენ და ძალიანაც შეგიშლიდნენ, რედაქტორები ცალკე რომ დაშინებულიყვნენ, თითქოს რაღაც დანაშაულს სჩადიოდნენ, ნომრების გაუკეთესებაზე რომ ზრუნავდნენ.

ის დრო კი ჩაბარდებოდა წითელ წარსულს, მაგრამ...

დღესდღეობით ინტრიგა და ცილისწამება ველარა ჭრის, რაკიღა რედაქციებსაც და გამომცემლობებსაც დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ, მაგრამ რედაქტორები სტერეოტიპთა ტყვეობაში თუ იმყოფებიან, იძულებულნი ხდებიან თუნდ თავისდაუნებურად გაითვალისწინონ საბჭოთა ეპოქის სუნთქვა.

არად ჩააგდებდა იმ სუნთქვასა და იმ სტერეოტიპებს გიორგი ლობჟანიძე და „პირველი სხივის“ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განახლებული ალმანახის — ფურცლებზე არც ერთი პიროვნების მასალების სამ პუბლიკაციას მოერიდებოდა — პაატა ნაცვლიშვილის — და არც თქვენი მონა-მორჩილის ორი თხზულების გამომზეურებას:

ერთი რეცენზია-ესეია: „თავისუფლების კუნძული (კოლხური კოშკი და მისი ბინადარნი)“

და მეორე კი თარგმანი — პაატა ჩხეიძესთან ერთად — ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ ერთი თავისა „ინგლისის ჰენრი მეორის მმართველობისას“.

რეცენზია მიეძღვნებოდა დალი ლოლუას მემუარული ყაიდის წიგნს „13 წელიწადი კოლხურ კოშკში“, რომელიც განსხვავებული კუთხით წარმოსახავდა კონსტანტინე გამსახურდიასა და მის ოჯახს — მეუღლეს: მირანდა ფალავანდიშვილსა და შვილებს — თამარსა და ზვიადს — სავსეს საგულისხმო ფსიქოლოგიურ შტრიხებითა და ისეთი დეტალებითა და ცნობებით, სხვაგან ვერსად რომ ვერ ამოვიკითხავთ, არადა მოიცავს ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ყველაზე ნაკლებად ცნობილ ხანას, მის ინტენსიურ სულიერ ძიებებს; თხრობაში სახალისო და კურიოზული ეპიზოდებიც რომ ჩაერთვის, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა ჩვენს წარმოდგენას ამ ოჯახურ გარემოზე,

სადაც, როგორც ეროვნულობის ციტადელში, თავისუფლების სული განაგრძობდა არსებობას და დიდი შეთქმულებაც მზადდებოდა წითელი იმპერიის დასამხობად.

ეს წიგნი ერთხელ უკვე გამოიცემოდა 90-იან წლებში, მაგრამ ამჯერად კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი მემუარებს შეავსებდა დოკუმენტური მასალითაც, ფოტოსურათებიც რომ დაამშვენებდა და „არტანუჯი“ ასე გამდიდრებულს შემოიტანდა ხელახლა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ხოლო „ინტელექტი“ მალე რომ გამოსცემს ჩალზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“, ცალკეული თავები გამოქვეყნდებოდა „მწვანეყვავილას“, „ახალი საუნჯისა“ და აგერ „პირველი სხივის“ ფურცლებზეც, ერთი-ორი პუბლიკაცია კიდევ რომ არის მოსალოდნელი.

ვახტანგ ჭელიძის ხუთტომეული — „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ — ჩარლზ დიკენსის ამ წიგნის შთაგონებით რომ შეიქმნებოდა, ეს არაერთხელ აღნიშნულა და ჩემსა და პაატა ჩხეიძის მიერაც.

და ისიც — ლადო ასათიანი რომ ოცნებობდა „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ დაწერას დიკენსურად — ზღაპარივით საამო სასმენელი რომ იქნებოდა; ესეც ხომ თვალნათლივ ცნაურდებოდა მისი დღიურის ჩანაწერთა გამჭვირვალე ქვეტექსტებიდან.

მაგრამ აი კონსტანტინე გამსახურდიასაც რომ ჰქონია ეს განზრახვა და მზადაც გახლდათ წამოსაწყებად, ეს მისწრაფება აქამდე არავის წარმოეჩინა, რაკიღა პირდაპირ არსად უთქვამს; არადა ფარულ მინიშნებათა ამოკითხვა ვისაც არ გვეძნელება, ისე თვალნათლივაა გაცხადებული მის ერთ სტატიაში ეს ჩანაფიქრიც და ეს შემართებაც...

გული მწყდება, აქამდე როგორ ვერ უნდა მიმეკვლია.

რომელ სტატიაში და...

რომელი ფარული მინიშნება იგულისხმება და...

ამის გაცხადების დროც დადგება, ამ ჩანაწერის ჩარჩო კი იმით შემოირკალება, სტერეოტიპთა მსხვრევა რომ გრძელდება — და ხან ისე მშვიდად და აუღელვებლად, თითქოს ისეთიც არაფერი მომხდარიყოს.

შექსპირს როგორც წარმოესახა

(ანონსის მაგიერ)

„რიჩარდ მესამეს" რომ ვნახავდით რუსთაველის თეატრის სცენაზე, რობერტ სტურუას იმ დადგმას, მძაფრ კამათსა და შეხლა-შემოხლას რომ გამოიწვევდა მისი სტილისტიკა, მამას ძალიან მოეწონებოდა სპექტაკლი: შესანიშნავიაო, — იტყოდა, ოღონდ დასძენდა:

— ერთადერთი იქ ვერ არის რიგზე, რიჩარდი მთელ სამეფოს ერთ ცხენში რომ იმეტებს, ეს კი ისეა წარმოსახული, თითქოს ბრძოლის ველიდან გაქცევას აპირებდეს და ერთბაშად თმობდეს იმ სახელმწიფოს, რომლის ტახტის ხელში ჩასაგდებადაც ამდენი სისხლი დაღვარა. არადა შექსპირს სულ სხვაგვარად აქვს, არ უნდა მეშლებოდეს, იქ რიჩარდი ცხენს ითხოვს და სამეფოსაც თმობს იმისთვის და მხოლოდ იმისთვის, რათა რიჩმონდი დაამარცხოს და ერთხელ და სამუდამოდ შემუსროს. ცხენი გასაქცევად კი არა, საბრძოლველად ესაჭიროება, შურისგებისათვის ესაჭიროება. ეს სატანის მძვინვარებაა, რიჩარდი რასაც წარმოადგენს. თუ ბრძოლის ველს გაეცლება და სამეფოსაც თავის გადასარჩენად დათმობს, რიჩარდიც აღარ იქნება. ჩახედე აბა პიესას.

შინ დავბრუნდებოდით თუ არა, ივანე მაჩაბლის თარგმანს გადმოვიღებდი (ზურაბ კიკნაძის თარგმანზე, რომლის მიხედვითაც დაიდგმოდა სპექტაკლი, ხელი არ მიმიწვდებოდა, რაკიღა არ გამოქვეყნებულიყო, ბატონ ზურაბს კი მაშინ პირადად არ ვიცნობდი) და ადვილადაც მოვძებნიდი იმ ადგილს, რიჩარდ გლოსტერი კატესბის რომ შეუყვირებს:

— ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!

კატესბის ეგონებოდა, ცხენს მეფე-ტირანი გასაქცევად ეძებსო, მაგრამ რიჩარდი დაუზუსტებდა და გონებასაც გაუნათებდა.

— რას ჩმახავ, მონავო, — სასტიკად დატუქსავდა და აუხსნიდა, რომ სიცოცხლე მთლად მიენდო ბედის კამათელისათვის და სურდა ეცადა აწ გაგორება, რაკიღა:

ვგონებ ამ ველზედ ექვსი რიჩმონდ ერთად იბრძოდა,
ხუთი მოვკალი დღეის ომში ერთის მაგივრად.
ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!
ესეც შურისგების დაუოკებელი ჟინი!..
ესეც სატანის მძვინვარება!..
ესეც რიჩარდ გლოსტერი!..

ეს ხასიათი არ უნდა დაირღვეს, არ უნდა შეიცვალოს, არ უნდა გადასხვაფერდეს, თავგანწირული ბრძოლისათვის შემართული კაცი გასაქცევად გამზადებულ კურდღელს არ უნდა დაემსგავსოს შექსპირისდა გასაკვირად.

რამაზ ჩხიკვაძე იმ გმინვა-ხავილისას უკვე აღარ იქნებოდა რიჩარდი, სამეფოს სიცოცხლის გადარჩენის ფასად რომ თმობდა.

ისე მოხდებოდა, რომ აკაკი ბაქრაძეს ყურს არ მოჭრიდა ეს სცენა, შეფასებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც რომ მიანიჭებდა.

ხოლო ოთარ ჩხეიძე თავის ამ დაკვირვებასა თუ მოსაზრებას არსად გამოთქვამდა და მე გამოვიყენებდი მონოგრაფიაში „შურისგება“, 1995 წელს რომ გამოიცემოდა, ოღონდ ეს პასაჟი იქ ჩაიკარგებოდა.

გამოხდებოდა ხანი და ავთანდილ ვარსიმაშვილს უნდა დაედგა „რიჩარდ მესამე“ თავისუფალი თეატრის სცენაზე, რიჩარდის როლს ორ მსახიობს რომ მიანდობდა: გოგა ბარბაქაძესა და აპოლონ კუბლაშვილს.

და კვლავ განმეორდებოდა ის სურათი, სპექტაკლის რიჩარდი ცხენს გმინვით რომ ითხოვდა და სამეფოს სიცოცხლის გადასარჩენად თმობდა, თუმც აღარაფერი უშველიდა და კიდეც იღუპებოდა — ოღონდ არა თავგანწირულ ბრძოლაში, არამედ — უცხენოდ გაქცევა რომ ვერ მოეხერხებინა.

ბოლოსდაბოლოს საჭიროდ მივიჩნევდი, რომ იმ სცენის შექსპირული შინაარსი ცალკე და საგანგებოდ წარმომეჩინა, რათა ქართველ რიჩარდთა ხასიათის მთლიანობა მოულოდნელად არ ირღვეოდეს, და იღუპებოდეს სატანა თავისი მძვინვარების ჟამს, შურისგებისათვის სისხლში ამოვლებულ ტახტს დაუნანებლადაც რომ შეუძლია შეელიოს.

ასე გაჩნდებოდა „ცეცხლისპირული ჩაფიქრებანის“ ციკლში ეს ესეიც: „რისთვის იცვლებოდა სამეფო ცხენში“, რომელიც „თეატრის“ 2020 წლის ბოლო, მე-6 ნომერში გამოქვეყნდებოდა ერთგვარ გაფრთხილებადაც, რათა მომავალმა რეჟისორებმა მაინც გაითვალისწინონ და „რიჩარდ მესამის“ ფინალური სცენის ტრაგედიის სიღრმე არ გაუფერმკრთალდეთ; და რიჩარდ გლოსტერიც დაგვამახსოვრდეს იმ მთლიანობით, უილიამ შექსპირს როგორც წარმოესახა სწორუპოვარი ხელოვნებით.

საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის

(ორიენტირად ჩარლზ დიკენსი და იაკობ გოგებაშვილი)

მწერალთა სასახლეში გამოსვლისას 1951 წლის 25 სექტემბერს კონსტანტინე გამსახურდია გაიზიარებდა ნინო ნაკაშიძის გულისტკივილსა და საყვედურს:

მიხედეთ ბავშვებს, საბავშვო ლიტერატურასო!..

და თავის მხრივ მოადევნებდა:

მე პატარა ბავშვების მამა ვარ და ხშირად მიხდება იმის დათვალიერება, რას კითხულობენ ბავშვები, და გარდა ირაკლი აბაშიძისა და გრიგოლ აბაშიძის შესანიშნავი პოემებისა და ლექსებისა, კარგს ვერაფერს ნახავთ საბავშვო ჟურნალებში. „პიონერი" და „ოქტომბრელი" ყოვლად უმწეო მდგომარეობაშია. მე ხანდახან ვათვალიერებ რუსულ საბავშვო ჟურნალებს, შესანიშნავად, კულტურულად არის გაკეთებული. ეტყობა, რომ მართლა მწერლების მიერ არის გაკეთებულიო.

და გაიხსენებდა ამავე ტრიბუნიდან თავის მიერ ნათქვამს ხუთი წლის წინათ, დაგმობას მრავალ ცრურწმენას შორის გავრცელებული ერთი ცრურწმენისაც: ყმაწვილთათვის ყმაწვილებმა უნდა წერონო.

დაე ყველას სცოდნოდა, რომ:

ლევ ტოლსტოიც, ჩარლზ დიკენსიც და ვაჟა-ფშაველაც საუკეთესო მწერლები იყვნენ ბავშვებისათვისაც.

1952 წლის 28 ნოემბრის გამოსვლისასაც დაუბრუნდებოდა საყმაწვილო ლიტერატურის თემას, „საბლიტგამს" რომ დაამუნავებდა:

ჩვენს მოზარდ ახალგაზრდობას არა აქვს საშუალება ქართულად წაიკითხოს ჰომეროსის უკვდავი პოემები თუ ჯონათან სვიფტისა და ფრანსუა რაბლეს შედევრებიო.

და წამოჭრიდა ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს:

— განა ქართველი ერის ბრწყინვალე წარსული, ჩვენი ხალხის თავგამოდებული ბრძოლების ისტორია ღირსი არაა იმისა, რომ რომელიმე შესანიშნავ მწერალს მიენდოს — დასწეროს პოპულარული წიგნი საქართველოს ისტორიისა, ინგლისელი მწერლის დიკენსის ანალოგიით.

იგულისხმებდა ჩარლზ დიკეპსის იმ უნიკალურ წიგნს: „ინგლისის საყმაწვილო ისტორია".

„რომელიმე შესანიშნავი მწერალი" ვინღა უნდა იყოს, ისე, ზოგადად არის ნათქვამი?

არა, რასაკვირველია.

ქვეტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა და ცხადი, „რომელიმე შესანიშნავ მწერალში" თავის თავზე რომ მიანიშნებდა მათ, რომელთაც ეს წიგნი უნდა დაეკვეთათ და ავანსიც წინასწარვე გაეღოთ, რათა მუშაობისათვის შესაფერისი პირობები შექმნოდა, მიანიშნებდა საბავშვო გამომცემლობის ხელმძღვანელობასა და უფრო ზემოთ, რაკიღა „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის" გამოცემას „საბლიტგამი" თავისით ვერ გაბედავდა.

საჯაროდ ასე გაცხადდებოდა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი განზრახვა:

„ინგლისის საყმაწვილო ისტორიის" ანალოგიით ქართველი ერის თავგადასავლის მოთხრობა ბავშვებისათვის.

საჯაროდ, თორემ ეს ჩანაფიქრი ლადო ასათიანსაც აწვალებდა და აფორიაქებდა, შთააგონებდა და აღანთებდა, „უბის წიგნაკში" რომ ჩაინიშნავდა:

— მინდა მქონდეს საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის... ისე, დიკენსმა რომ დაწერა და შეადგინა.

„მინდა მქონდეს" აქაც ზოგადად ითქმოდა, თითქოსდა ვინმესგან მოელოდა ამ ყაიდის წიგნის შექმნას, თუმც ძნელი ამოსაკითხი სულაც არ არის გამჭვირვალე მინიშნება, თვითონ რომ ელირსებოდა თავი საამისოდ.

ისტორიულ პოემებსაც გააგრძელებდა, რომ დასცლოდა, და „ბასიანის ბრძოლას“ სხვა ეპიკურ ქმნილებებსაც ამოუყენებდა გვერდით, მაგრამ პოემების მთელი ციკლიც კი ვერ შეცვლიდა მის თვალში საქართველოს იმ ისტორიას, ყმაწვილთათვის რომ დაწერდა და შეადგენდა ჩარლზ დიკენსივით.

ამ სახელის ხსენება ცხადყოფს, ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენას რომ არ ეპირებოდა, ამისათვის დაე სხვებს მიეხედათ, სავარაუდო სტილისტიკასა და აღნაგობას, ზოგად იდეას კი უკვე მოინიშნავდა და მკაფიოდაც განსაზღვრავდა, ეს ლაკონიური ჩანაწერი ამ მხრივ მეტად მეტყველი რომ არის, თუ როგორ ესახებოდა ყმაწვილთა და სახალხო საკითხავად ჩვენი გარდასული ჟამის ერთიანი პანორამა.

მიუკერძოებლად — დაწერილიყო, რაც ყოფილიყო, რაც მომხდარიყო — შეულამაზ-შეუფერავად.

და უბრალო ენით, ზღაპარივით საკითხავად.

ესეც ორი არსებითი დებულება, მთავარი საყრდენი, რაზეც და როგორც უნდა ამოზრდილიყო თხრობა.

ამასთან ის თეზისიც მეტად საგულისხმოა, ისტორიული რომანის მნიშვნელობას რომ ახსენებდა კიდევ ერთ ჩანაწერში „უბის წიგნაკისა“, ერის ამამაღლებელი ისტორიული რომანისა, ნამდვილისა და არა გამოგონილის.

და მკვეთრად უნდა დაპირისპირებოდა მარქსისტულ-საბჭოურ ნორმებს, მცირერიცხოვან ერთა — და მათ შორის ქართველთა — ასიმილაციისათვის რომ მოემარჯვებინა რუსეთის იმპერიას და მკაცრად მოითხოვდა, რომ:

შენი მეფეები მხოლოდდამხოლოდ გარყვნილები ყოფილიყვნენ, თავადები — მოღალატენი და გლეხობა — აჯანყებული და გაყაჩაღებული.

მწარედ ეცინებოდა ამ მოთხოვნაზე ლადო ასათიანს:

ასეთი ქვეყანა აქამდე დაიღუპებოდაო.

ჩარლზ დიკენსი კი განსაკუთრებულად იზიდავდა და უილიამ თეკერეის ვეება რომანს — „ამაოების ბაზარი“ — რომ გაკილავდა: რამდენი მისისი და მისტერ კროულია აქ! ვინ ვისი შვილია, ვინ ვისი ძმა, ვინ ვისი მამიდა თუ ბიძაშვილი? უნდა იფიქრო და ტვინი იღრძოო, — უკეთესის ნიმუშად გაიხსენებდა

თუნდ თეკერეისავე „ჰენრი ედმონდის თავგადასავალს“, ფრანგულ ნოველებს, მთელ პროსპერ მერიმესა და ფრანსუა რენე შატობრიანის „უკანასკნელ აბენსერაჟს“, და ამ ფრაზასაც რა აღტაცებით ჩაურთავდა:

— რა კარგები არიან დიკენსის ბავშვები!

რარიგ ღრმად წვდებოდა ბავშვის ფსიქიკას „დავით კოპერფილდის“ შემოქმედი, კონსტანტინე გამსახურდიასაც ფარზე რომ აეზიდა მისი საყმანვილო ნაღვაწი და ნიმუშად უსახავდა თანამოკალმეებს.

ხოლო 1939 წლის ცხელ ზაფხულს, ლადო ასათიანიც და ვახტანგ ჭელიძეც თბილისში რომ შერჩებოდნენ, ყოველ საღამოხანს — შეთანხმებისამებრ — ერთად მიდიოდნენ იმჟამინდელ კიროვის პარკში, განაპირა კორდზე ჩამოსხდებოდნენ და რაზე აღარ საუბრობდნენ — ახალწაკითხულ წიგნებზე, ჩვენს ლიტერატურაზე, საქართველოს ისტორიაზე, თანადროულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაზე.

იმჟამად აღმოეჩინა ვახტანგს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორია“, რომელიც ჯერაც არ თარგმნილიყო რუსულადაც, და ლადო დაინტერესებულიყო:

— როგორ არის მოთხრობილი, გაიდეალებულია წარსული თუ ყველაფერი სიმართლით არის გადმოცემული?

გაბმული თხრობაა თუ ცალკეული მნიშვნელოვანი ეპიზოდებია მოთხრობილი?

ცალკეულ ადგილებს კიდეც აამბობინებდა. ძალიან დააინტერესებდა ის ფაქტი, რომ დიდი მწერალი ბავშვებს ერის ისტორიას მოუთხრობდა — უბრალოდ, მიმზიდველად...

იქ ლადო ასათიანი აენთო დიკენსის ამ წიგნს.

აქ ვახტანგ ჭელიძე შთაგონებულიყო.

ვის-ვის და ოთარ ჩხეიძეს მოეხსენებოდა მეგობრის ეს განზრახვა, სიჭაბუკიდანვე რომ აპირებდა ქართლის ცხოვრების ქრონიკების შექმნას ბავშვებისათვის, მაგრამ უამრავ საქმეში ჩაფლულს — უმთავრესად მაინც მთარგმნელობით მოღვაწეობაში — ვერა და ვეღარ დაეწყო ეს წიგნი და ლამის გადაქცეოდა უნაყოფო ოცნებად...

მაგრამ ბოლოს მაინც უნდა აღესრულებინა ეს ჩანაფიქრი, თუმც გასრულება კი ვეღარ უნდა მოესწრო.

არ აკლია უბრალოება და მიმზიდველობა მის თხრობას, თავიდან კი სწორედაც ზღაპარივით საკითხავია.

ეს ყველაზე ზუსტი ინტონაცია და ზოგადი სტილისტიკა დიდი ხელოვნებითაა წარმოსახული.

ოღონდ... ზღაპარივით საკითხაობას მერედამერე ვეღარ შეინარჩუნებდა, რაკიღა კვლევაში ჩაეფლობოდა და სიღრმესა და სიღრმეში წავიდოდა, უმაღლესი რანგისა რომ იქნებოდა ეს კვლევა-ძიება და შთამბეჭდავადაც გადმოცემული, მაგრამ დროულად მოთავებას კი დააბრკოლებდა და ძალიანაც დააბრკოლებდა...

უკვე თავიდანვე იგრძნობოდა ეს თანდათანობითი დაშორების გარდუვალობა დიკენსური სტილისტიკისაგან, „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ სამ ტომად რომ ივარაუდებდა... მერე ვეღარც ხუთში ჩატევდა და — დასრულება რომ დასცლოდა — თხრობის ამ მანერით ათ ტომსაც ვეღარ იკმარებდა.

ამიტომაც ურჩევდა და უმეორებდა ოთარ ჩხეიძე:

— ერთ წიგნად მოათავე, დიკენსივით.

საქართველოს ისტორია უფრო ხანგრძლივი გახლდათ, ვიდრე ინგლისისა?

დაე ის წიგნი უფრო დიდტანიანიც ყოფილიყო, ვიდრე დიკენსისა, მაგრამ მაინც ერთი, უსათუოდ და აუცილებლად ერთი.

ზღაპარივით თხრობას არც უხდება ტომებად ჩამორიგება.

ყმაწვილებისათვის მონათხრობი ერთ წიგნს არ უნდა გასცდეს.

— პავლე ინგოროყვას რომ მოენდომებინა საქართველოს საყმაწვილო ისტორიის შექმნა, ალბათ კიდეც შეეტოლებოდა დიკენსს, ჰოი რა თხრობას გაშლიდა, — დარწმუნებით ვიტყოდი, თუმც ოთარ ჩხეიძე არ გაიზიარებდა ჩემს დაბეჯითებას:

— საუკეთესო სტილისტი კი იყო, მაგრამ სიღრმეში და სიღრმეში ისე ჩაეფლობოდა, ფარნავაზის ეპოქას ვერც გამოცდებოდა... ჰადაჰა ქრისტიანობამდე მოსულიყო რამდენიმე ტომში... ერთ წიგნს აბა რას იკმარებდა!..

მოთავებით ვერაფრისდიდებით ვერ მოათავებდა.

ნეტა კონსტანტინე გამსახურდია თუ ჩაეტეოდა ერთ წიგნში?

„გოეტეს ცხოვრების რომანს“ რომ წერდა, წარმოიდგინეთ, რამდენი საცთური ეწეოდა, გაეშალა და გაეშალა თხრობა,

ჩაღრმავებოდა და ჩაღრმავებოდა ამ მღელვარე და უაღრესი სულიერი და გარეგნული ინტენსივობით აღვსილ ცხოვრებას, შემოეზიდა და შემოეზიდა ახალ-ახალი მასალები, მოაკლდებოდა თუ რა, რაკიღა ხელი ყველაფერზე მიუწვდებოდა...

მაგრამ ხომ ჩატევდა ერთ, არცთუ მოზრდილ, წიგნში?

თუმც... „დავით აღმაშენებელი“ რომ გაუჭიანურდებოდა და ძალიანაც გაუჭიანურდებოდა? და მთლად ოთხ ტომადაც რომ გადაექცეოდა თხრობა?

ამიტომაც ვერ გაუმართლებდა ჩანაფიქრი, პირველი ტომი მისებური ძალითა და ხელოვნებით რომ არის შექმნილი, მეორე კი ვეღარ შეთანასწორებია, მესამე საერთოდაც დაშორდებოდა ამ რომანის კომპოზიციურ აღნაგობას და წარმოდგებოდა მხატვრულ-დოკუმენტურ ქრონიკად ჯვაროსანთა ამბებისა. ნეტა მართლაც ცალკე დაეწერა და სწორედაც ქრონიკად და „დავით აღმაშენებლის“ კომპოზიციური მდინარება არ მოეშალა... მეოთხე ტომი აშკარად რომ დაქანდებოდა ქვემოთ.

ერთ წიგნად უნდა მოთავებულიყო და კიდეც შეეტოლებოდა კონსტანტინე გამსახურდიას უკეთეს რომანებს.

და... „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ დაწერა-შედგენისასაც უნებურად ხომ არ გაექცეოდა ხელი?

თარგად კი დაიდებდა „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“, მაგრამ ეს თარგი აკი ვახტანგ ჭელიძესაც მოემარჯვებინა.

და... ნეტა ლადო ასათიანი როგორღა გაწვდებოდა, დროულად თუ შემორკალავდა თხრობას?!.

ეს ვარაუდები მხოლოდ იმიტომ, გასათვალისწინებელი რომ ექნება „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ დამწერს, თორემ როგორი შესანიშნავი თხრობაც უნდა გაიშალოს, დიკენსურად მაინც ვერ აღსრულდება ეს უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი წამოწყება, თუ ერთი წიგნის ჩარჩოს გაცდება.

გასათვალისწინებელია ჩარლზ დიკენსიც და... იაკობ გოგებაშვილიც, რომლის პატარ-პატარა ისტორიულ მოთხრობათა

ციკლი შეიძლება მივიჩნიოთ „ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ თავისებურ ქართულ ანალოგად, თავისებურ, რადგანაც ფრაგმენტულია და — ისტორიის სრული პანორამის კვალობაზე თუ განვსჯით — არაერთი ეპიზოდი აკლია.

აკლია იმიტომაც, რომ ჩანაფიქრი იაკობ გოგებაშვილისა არცა ყოფილა „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ შექმნა, უბრალოდ აღადგენდა ზოგად მონახაზს ჩვენი წარსულისა, ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში რომ მოათავსებდა: მამასახლისების დროიდან რუსულ ოკუპაციამდე — მთავარი და მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ზუსტადაა მიგნებული თხრობის ინტონაციაც და ზოგადი სტილისტიკაც, ზღაპარივით სასმენელს რომ აქცევდა უმთავრესად „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოკრებილ და მომხიბლავ მოთხრობებად ქცეულ ისტორიულ ეპიზოდებს:

„სხივი წარსულისა“ იქნება, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „ცოტნე დადიანი“, „თავდადებული ქართველი ეჯიბი“, „იოთამ ზედგინიძე“, „საშინელი სასჯელი მოღალატისა“, „ქართველი მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „გლეხი ბოსტაშვილი“, „ასპინძის ომი“ თუ „სამასი თავდადებული გლეხი“.

ესეც მთავარი ძარღვი „საქართველოს საყმაწვილო ისტორიისათვის“.

იაკობ გოგებაშვილის ამ კომპოზიციურ ჩარჩოში სწორედაც რომ მშვენივრად ჩაემატება აკაკი წერეთლის ისტორიული მოთხრობებიც:

„ოთია მესხი“, „კორინთელი“, „რაჭის ერისთავი როსტომ“ თუ „დათუნა გოცირიძე“.

და კიდევ ილია ჭავჭავაძისა:

„ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი“.

მართალია ამ სამეულს ფოტოსურათი ერთად არასოდეს გადაეღო, მაგრამ ხომ არსებობს ფოტომონტაჟი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის გამოსახულებით, როგორც ერთგვარი სიმბოლო და ხატი ჩვენი ქვეყნისა?

და რატომ არ შეიძლება შეიქმნას ლიტერატურული მონტაჟიც ჩვენი ქვეყნის წარსულის სურათთა აღსადგენად ბავშვები-

სათვის, ზღაპარივით რომ შევათვისებინოთ ქართველი ერის თავგადასავლის ცალკეული ეპიზოდები, სულის მოსათქმელი გამოცემა, ვიდრე „საქართველოს საყმაწვილო ისტორია“ ჰპოვებდეს იმ სახეს, გვერდით რომ ამოუდგებოდეს ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“.

ერთ წიგნად ძნელია და ძნელზეც ძნელი?

სწორედ სიძნელენი ჰქმნის მიზნის მომხიბვლელობასაც და მისი აღსრულების აუცილებლობასაც, თუკი ძალიც შეგწევს ქადილისა.

სტერეოტიპის ჰიპნოზური ძალა

(დღიურის ფურცლებიდან)

ძნელი ასახსნელი არ არის ფსიქოლოგიური მიზეზი, თუ რატომ აღიქვამენ უილიამ შექსპირის იმ სტრიქონს „რიჩარდ მესამედან“: „ოჰ, ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!“ — კონტექსტისაგან მოწყვეტილად, მომდევნო სტრიქონებს არავითარ ყურადღებას რომ არ აქცევენ და ჰგონიათ, თითქოს რიჩარდი სამეფოს თავის გადასარჩენად იმეტებდეს, ოღონდაც გაიქცეს, გაეცალოს ბრძოლის ველს და სიცოცხლე შეინარჩუნოს.

არადა ამგვარი აღქმა ამ ფრაზისა სრულიად არღვევს რიჩარდის ხასიათს, მის სატანურ მძვინვარებასა და მიზანს: თვით სამეფოს შეელიოს ერთი ცხენისათვის, რომელზე ამხედრებულიც შურს იძიებს და ორთაბრძოლაში განგმირავს რიჩმონდს.

მიზეზი ჩვენს ფსიქიკაში გამჯდარი სტერეოტიპია, ცხენი გასაქცევად რომ გესაჭიროება და სიცოცხლის გადასარჩენად; და ველარ ვუკვირდებით ველარც მომდევნო სტრიქონებს და ველარც რიჩარდის ხასიათს, თვალნათლივ დაწერილზე ზერელედ გადარბის თვალი.

ამ ფსიქოლოგიურ მიზეზს კარგა ხნის წინათ მიეძღვნებოდა ლევან ბრეგაძის სტატია: „შეცდომა? — სტერეოტიპი!“ — სწორედ ამგვარ მაგალითებზე რომ აიგებოდა, თუ როგორ მოსდიოდათ მთარგმნელებს შეცდომები შტამპის, სტერეოტიპის ჰიპნოზური ძალის გამოისობით (განმეორებით დაიბეჭდებოდა კრიტიკოსის წიგნში „მარგინალიები“, „ინტელექტი“ რომ გამოსცემდა „ჩანაწერების“ სერიით).

აგერ ერთ თარგმანში ამოვიკითხავდით, რომ:

საფლავის ქვები დუმდნენ და ამ დუმილით შიშს ჰგვრიდნენ ადამიანს.

არადა ორიგინალში პირიქით ეწერა:

საფლავის ქვები ვერ აკრთობდნენ ამ პერსონაჟს, რომელსაც ფრონტზეც და ცხოვრებაშიც უამრავი უბედურება გადაეტანა.

კრიტიკოსი ცხადია არ მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ მთარგმნელმა, რომელსაც სწორად გაეგო ამ წინადადების თითქმის ყველა სიტყვა, არ იცოდა უარყოფითი ნაწილაკის მნიშვნელობა. მაგრამ რაკიღა სასაფლაო ჩვეულებრივ მართლაც შიშსა ჰგვრის ადამიანს, სწორედ ამ ჩვეულებრიობის ტყვეობაში უნდა აღმოჩენილიყო მთარგმნელი და ვეღარ აღექვა უარყოფითი ნაწილაკი.

სხვა თხზულებაში პერსონაჟს ეკითხებოდნენ: თუ ღვთის მიმართ ასე სკეპტიკურად ხარ განწყობილი, მაშ რატომღა ისწრაფი სიბრძნისკენ, რა სარგებლობა მოაქვს სიბრძნესო?

- რაზედაც იგი პასუხობდა: დიდი სარგებლობა მართლაც არ მოაქვს მოვლენათა ორაზროვნებისა და მათი შინაგანი წინააღმდეგობის შეცნობას, მაგრამ მე თვით ეს შეცნობა მეხალისება.

თარგმანში კი რას ამოვიკითხავდით?

რას და... პირიქით:

— უდიდესი სარგებლობა, რადგან იგი საოცრად ეხმარება ადამიანს, არსებული მდგომარეობის ორაზროვნება და მისი შინაგანი წინააღმდეგობა დაინახოს.

დიახ, ეს ასეა ობიექტურად, ასე ფიქრობს ჩვეულებრივი ადამიანი, ყველა, ვინც ცოდნის შეძენას ესწრაფისო, — დასძენდა კრიტიკოსი და ფსიქოლოგიურ მიზეზსაც გადაგვიშლიდა მთარგმნელის შეცდომისა:

— ეს პერსონაჟი ორიგინალური მოაზროვნეა, სკეპტიკოსი, პარადოქსების მოყვარული ადამიანია და ის სიტყვები, რასაც მთარგმნელი მიაწერს — სიბრძნის სარგებლიანობის ამგვარი აღიარება — მეტად ყალბად ჟღერს მის ბაგეთაგან.

ასე დაარღვია სტერეოტიპმა გმირის ხასიათის მთლიანობა.

ამავე რომანში ერთ საეკლესიო მოღვაწეზე ითქმოდა:

— არც ისე განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა...

მთარგმნელი კი გვთავაზობდა:

— ესოდენ განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა...

თურმე ამჯერადაც აზრი უკუღმა იმიტომაც გადმოტანილიყო, არქიეპისკოპოსობა მაღალი საეკლესიო თანამდებობა რომ არის და ჩვეულებრივ დიდად განათლებულ მოღვაწეებს უჭირავთ.

ერთ მოთხრობაში ჯორდანო ბრუნოს გასამართლების ამბავს რომ გვიყვებოდნენ, გვამცნობდნენ, რომ მისი დაპატიმრების შემდგომ ეჭვის თვალით დაუწყებდნენ ყურებას ყველას, ვისაც კი რაიმე, თუნდ სრულიად შემთხვევითი, ურთიერთობა ჰქონოდა ერეტიკოსთან, მათ შორის ერთ სავსებით უდანაშაულო თერძსაც, რომელსაც მოსასხამი შეეკერა ბრუნოსათვის.

თერძს ქუჩის ბიჭები შეურაცხყოფას მიაყენებდნენ და ერთი ლაწირაკი ქვასაც კი ესროდა, მაგრამ თერძს გამოექომაგებოდა ერთი ქალი, რომელიც სილას გააწნავდა იმ ლაწირაკს.

თარგმანში კი რა ხდებოდა?

ქალი სილას გააწნავდა... თერძს.

ერეტიკოსი ყურადღებას მიგვაქცევინებდა ინკვიზიციის ძალაზე, ადვილად რომ ახერხებდა უბირი ბრბოს მხარდაჭერის მოპოვებას; და რომ შუა საუკუნეებისათვის ტიპობრივი და ჩვეულებრივი გახლდათ ის ამბავი, მასის ამათუიმ წარმომადგენელს, რომელიმე გულუბრყვილო მდაბიოს თავისი უანგარო წვლილი რომ შეჰქონდა მწვალებლად შერაცხილი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

მაგრამ ყველა რომ ასეთი არ იქნებოდა, ამ მოთხრობაშოიც ერთ-ერთი ამგვარი „არატიპური“, ტოლერანტულად განწყობილი, უბრალო, ღარიბი გლეხის ქალი ამიტომაც გახლდათ გამოყვანილი, მაგრამ...

იმდროინდელ ადამიანებზე მთარგმნელის სტერეოტიპულ წარმოდგენას ემსხვერპლებოდა.

და დასძენდა კრიტიკოსი იმ მთავარს:

სიტუაცია, რომელიც თარგმანში დახატულიყო — ამ ქალის აგრესიული გამოხდომა, თერძთან გაბედული მისვლა და სახეში გალაწუნება — მეტად ყალბი იყო და ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი. ის სუსტი მწერლის ნაკალმარს მოგვაგონებდა, მაშინ, როდესაც ამ ნაწარმოების ავტორი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსად შერაცხულიყო.

კრიტიკოსი ერთი გერმანელი პოეტის ლექსის შინაარსს ასე გადმოგვცემდა:

— ცუდია, მაგრამ ხშირად კი ხდება, რომ სიმართლე სიცრუისაკენ მიილტვის, ზოგჯერ მას სიამოვნებს სიცრუესთან დაკავშირება. ასეთ მშვენიერ ქალბატონს (როგორიც სიმართლეა) ვინ მოსთხოვს ამისთვის პასუხს.

მაგრამ თუ ბატონი სიცრუე თვითონ, საკუთარი ინიციატივით მოინდომებს სიმართლესთან დაკავშირებას, ამას ქალბატონი სიმართლე ძალიან უკადრისობს ხოლმე.

თარგმანში კი ამოვიკითხავდით:

— ცუდია, როცა ბატონი ბრალი ქალწულ სიმართლეს შეაცდენს, მყრალი, ვნებით დაათრობს, დაფარავს კვალსა, ვინ რას მოჰკითხავს მშვენიერ ქალსა? აეტომასნება ბრალი სიმართლეს და გამოულევს ბრაზით სინათლეს.

კრიტიკოსი არ მოიწონებდა, ორიგინალის „სიმართლე" რომ შეცვლილიყო „სამართლით", ხოლო „სიცრუე" — „ბრალით", მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მთარგმნელი სავსებით უკუღმა გადმოგვცემდა დედნის აზრს:

იგი ელემენტარულ ჭეშმარიტებას გვაუწყებდა — ცუდია, როცა ბრალი სამართალზე იმარჯვებსო.

ორიგინალში კი პირიქით: დაჩაგრული, „დისკრიმინირებული" სიცრუე გამოდიოდა, სიმართლე თვითონ ახვევდა მას თავზე ცოდვას.

მთარგმნელს რატომ ვერ შეემჩნია ამ ლექსის ირონია?

კრიტიკოსი იოლად განგვიმარტავდა:

რადგანაც წინასწარვე შემუშავებული, სტანდარტული აზრი უტრიალებდა თავში: სიმართლე მუდამ უმწიკვლოა, ბრალი (ან სიცრუე) — ვერაგი!..

არადა ამჯერად პოეტს ორიგინალურად, სულ სხვა კუთხით, დიალექტიკურად შეეხედა ამ საკითხისათვის.

კრიტიკოსი ყურადღებას მიგვაქცევინებდა ერთ დეტალსაც:

მთარგმნელი „სიმართლის" ეპითეტად იყენებდა სიტყვას „ქალწული", ორიგინალში კი სიმართლე მსუბუქი ყოფაქცევის ქალად გამოყვანილიყო!..

ესეც სტერეოტიპის ჰიპნოზური ძალა და ზეგავლენა, ამგვარი მაგალითები კიდევ მრავლად რომ ამოიკრიბება თარგმანებში... თუმც თარგმანი თუ სწორად გადმოგვცემს დედნის აზრს, როგორც ივანე მაჩაბელს გადმოეტანა „რიჩარდ მესამის“ ის სტრიქონები, რად გინდა — მაინც მცდარად და უკუღმართად აღვიქვამდით...

ისე ამ თარგმანებს რომ ჩავაცივდი, ყველგან და ყოველთვის ასე არ არის?

გარკვევით, ნათლად, არაორაზროვნად წერია და... პირიქით ვიგებთ.

გარკვევით, ნათლად, არაორაზროვნად გვეუბნებიან და... პირიქით გვესმის.

და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ ვირწმუნებთ სტერეოტიპთა მანკიერ ზეგავლენას, არ შევეწინააღმდეგებით და მის ჰიპნოზს თავს არ დავაღწევთ!..

ლამპარი ჩაუქრობელი

(ამბროსი ხელაიას სარევიზიო ანგარიშის კვალზე)

სამონასტრო ცხოვრებაში არაერთი საჭირბოროტო მოვლენა რომ დაგროვდებოდა არამარტო იმერეთის ეპარქიაში, არამედ რუსეთის იმპერიის საეკლესიო მმართველობაში, იმპერატორი ნიკოლოზ მეორე პირადად ჩაერეოდა ვითარების გამოსასწორებლად. როდესაც შეიტყობდა ბერ-მონაზონთა და მორჩილთა გახშირებულ დანაშაულებზე, ამას სამონასტრო ყოფაში დისციპლინის შესუსტებად მიიჩნევდა და უწმინდეს სინოდს შესაბამისი მითითებებით დაავალებდა საჭირო ზომების მიღებას მდგომარეობის შემოსატრიალებლად უკეთესობისაკენ.

ასე შემუშავდებოდა უწმინდესი სინოდის ბრძანებულება, დათარიღებული 1901 წლის 25 სექტემბრით, მისი ერთ-ერთი მუხლი ეპარქიათა ხელმძღვანელებს რომ ავალებდა:

რწმუნებული ეპარქიის ყველა მამათა მონასტერსა და სავანეში არსებულ უწესრიგობათა დაუყოვნებლივი აღმოფხვრისათვის მოეხდინათ შინაგანი ყოფის, მეურნეობისა და ქონების მკაცრი და გულმოდგინე რევიზია თვითონვე, ვიკარისა ან კეთილსაიმედო პირის მეშვეობით და შედეგებისა და მათ მიერ მიღებულ განკარგულებათა შესახებ მოეხსენებინათ უწმინდესი სინოდისათვის.

ამ ბრძანებულების კვალობაზე საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდს უბრძანებდა შესაბამისი რევიზიის ჩატარებას მის ეპარქიაში.

ეპისკოპოსი ლეონიდი კი რევიზიას მიანდობდა ჭელიშის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაიას),

რომელიც ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ის-ისაა დაედგინათ ამ თანამდებობაზე.

და ისიც სამ თვეში მოივლიდა იმერეთის ეპარქიის ხუთ მონასტერს: გელათის, მოწამეთის, ჯრუჭის, კაცხისა და ნამარევის.

ვისთვისაც ცნობილია ამბროსი ხელაიას დიდი მოწამებრივი ცხოვრება, ადვილად მიხვდება, რომ მის მიერ შედგენილი ანგარიში არ იქნებოდა უბრალო სამსახურეობრივი მოვალეობის მოხდისათვის მასალების მოკვლევა. და რუსულ ენაზე შედგენილი ანგარიში, რომელსაც მამა ამბროსი 1903 წლის 18 ივლისს წარუდგენდა ეპისკოპოს ლეონიდს, მხოლოდ ასე თუ შეფასდებოდა:

აქ კარგად ჩანდა ავტორი, რომელიც სამსახურეობრივი დავალების მაღალ დონეზე შემსრულებელი პიროვნებაც გახლდათ და მაღალკვალიფიციური მკვლევარიც, ფაქტობრივად რომ შეძლებდა რევიზიის შედეგებთან ერთად მოეთხრო მონასტერთა დაარსების ისტორიაც, უცნობი ფაქტების აღნიშვნით, რითაც კიდევ ერთხელ მოახერხებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლის წარმოჩენას.

შემფასებელი კი იქნებოდა მერაბ კეზევაძე, ყველა ნაშთისა თუ თვითეული ქვის ისტორია რომ მოეხსენება, უმთავრესად მაინც იმერეთში, და საარქივო მასალების ზღვაში შინაურულად გრძნობს თავს, მათგან დიდძალი დოკუმენტი კიდეც რომ გამოემზეურებინა შესაფერისი კომენტარებითა და ისტორიული ფონის შექმნით.

რა აღარ შეუსწავლია და მრავალმხრივი მნიშვნელობის წიგნებადაც უქცევია:

ქართული გვარსახელები რაჭასა თუ იმერეთში, გვარსახელები XIX საუკუნის ქუთაისში, რაჭასა და ლეჩხუმში, იმერეთში საეკლესიო გალობის ისტორია, ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები, ნიკო ნიკოლაძე და „ფოთის საქმე", წმინდა გიორგის ეკლესიები ქუტირის, ჯვარისის და ქვედა ჭყეპისა, ქუთაისის საფიჩხიის მაცხოვრის ამაღლების ეკლესია, განსაკუთრებით მაინც ყველაზე ბურუსით მოცული ეპოქისა და ყოფით-სულიერი რეალობის წარმოჩენას რომ დასდებდა ღვაწლს — ეგზარხოსობის დროინდელს:

რაჭის ეკლესიებსა და მღვდლებს, გელათის მონასტერს, ლეჩხუმისა და სვანეთის ეკლესიებსა და მღვდლებს, იმერეთის ეკლესიებსა და მღვდლებს.

გელათის მონასტერს არამარტო ეგზარხოსობის დროინდელს წარმოაჩენდა, არამედ ქუთაის-გაენათის ეპარქიასაც წარსულიდან მოჰყვებოდა თანადროულობამდე და სრულქმნილ შეხედულებასაც შეგვიქმნიდა გელათზე, როგორც ქართველ წმინდანთა სავანეზე.

კვლევა-ძიებას კვლავინდებურად დაუმცხრალად აგრძელებს მერაბ კეზევაძე და ამ უძვირფასეს მონაპოვარს კიდეც რამდენი მნიშვნელოვანი გამოკვლევა და წიგნი შეემატება.

მასთან ერთად მოგზაურობა ხომ უღრმესი და დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა, განსაკუთრებით მაინც გელათის სამყაროში, რომელიც უვრცეს ტერიტორიას მოიცავს და ორი დღის მუხლჩაუხრელი სიარული მაინც დაგჭირდებათ, გულმოდგინედ რომ მოიაროთ და დააკვირდეთ იქაურობას ღვთისაგან გამოგზავნილი მეგზურის წყალობით, საუკეთესო მცოდნისა და ორატორის — მერაბ კეზევაძისა.

და აღმოაჩენთ, რომ ეს ყოველივე ყოფილა სახელმწიფო სახელმწიფოში!..

ხოლო არქიმანდრიტ ამბროსის რევიზიის ანგარიშის დიდ ნაწილს, რომელიც იმერეთს ეხებოდა, გამოაქვეყნებდა ჯერ კიდევ 2003 წელს იმჟამინდელი საქართველოს საარქივო დეპარტამენტის კრებულში „საისტორიო მოამბე“, მოგვიანებით კი — ქართულ ენაზე ინგა კიკვიძესთან ერთად თარგმნილს — სრული სახით წარმოადგენდა ცალკე წიგნად გელათის მეცნიერებათა აკადემიის გრიფით, დაურთავდა წინათქმას, კომენტარებსა და საძიებელს (ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი, 2019).

ამ გამოცემით მცირედ მაინც რომ გამოესწორებინა ის ხარვეზი, რაც არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში წმინდა აღმსარებელი ამბროსის მიმართ.

რევიზიის ანგარიში დაიწყებოდა იმერეთში სამონასტრო ცხოვრების ზოგადი მიმოხილვით და აღინიშნებოდა, რომ:

ახალი სახე სამონასტრო ცხოვრებას ძირითადად მიეღო XIX საუკუნის 20-იან წლების საეკლესიო რეფორმის გამოისობით,

როდესაც მონასტრებში დაწესდებოდა შტატები და წინამძღვრებსა და ძმებს დაენიშნებოდათ ხელფასები ანუ მოხდებოდა ნამდვილი გადატრიალება სამონასტრო ცხოვრებაში. წარმოჩნდებოდა იმერეთის მონასტრების უკიდურესი სიღარიბე და შტატების სიმცირე, რაც განასხვავებდა მათ რუსეთის ეპარქიების მონასტერთაგან.

გამოჰკვეთდა იმ საფიქრალ-სატკივარსაც:

ყველა ბერი რომ განმარტოებულად, დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და მოცულიყო მხოლოდ პირადი საზრუნავით; და ამიტომაც ნაკლები შეხება ჰქონდა საძმოს დანარჩენ წევრებთან.

საძმოს წევრთათვის არ არსებობდა რაიმე საერთო საქმიანობა, რაც მათ ინტერესებს გააერთიანებდა, მხოლოდ სალოცავად თუ მოიყრიდნენ თავს ეკლესიაში დადგენილ დროს. მონასტერში ცხოვრების ასეთ წესს ანუ პირად ინტერესთა გაბატონებას საერთო სამონასტრო ინტერესებზე, შეუძლებელია არ მოჰყოლოდა ცუდი შედეგები, რაც აისახებოდა თუნდ სამონასტრო მეურნეობის მოშლასა და გაღატაკებაზე.

ანგარიშში პირველად განიხილებოდა გელათის მონასტერი — მისი მდებარეობა და სამონასტრო ნაგებობანი. დაწვრილებით აღიწერებოდა გელათის საეპისკოპოსოს დაარსება და აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრის გადმოტანა ბიჭვინთიდან გელათში.

დიდ ყურადღებას დაუთმობდა მონასტრის გაძარცვის ამბავს 1859 წლის 19 მაისს. დაწვრილებით აღიწერებოდა გაძარცვის გამოძიების საქმეც, შენობა-ნაგებობანიც და მათში დაცული ძვირფასეულობაც.

უაღრეს აუცილებლობად მიიჩნევდა მოწესრიგებას დავით აღმაშენებლის საფლავისა, სამწუხარო შთაბეჭდილებას რომ ახდენდა. როდესაც იმპერატორი ალექსანდრე მესამე იხილავდა წმინდანის საფლავის სავალალო მდგომარეობას, განაცხადებდა, რომ უნდა დადგმულიყო დავით აღმაშენებლის შესაფერისი ძეგლი, მაგრამ ეს წამოწყება საკმაოდ წარუმატებლად შესრულდებოდა — კომიტეტის მთელი სამუშაო შემოიფარგლებოდა საფლავის ქვის დადგმით, წმინდანის საფლავის ძველ

ქვას რომ დაფარავდა. არადა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო თვითონ იმ ძველი ნაგებობის სათანადო მოწესრიგებაზე, რომელიც აშენებულია საფლავზე, უნდა გალამაზებულიყო და შეკეთებულიყო როგორც შიგნიდან, ასევე გარეთა მხრიდან, და გადაქცეულიყო სამლოცველოდ, სადაც დაესვენებოდა ხატები.

შემდეგ განიხილებოდა კაცხის მონასტერი, რომლის აგების თარიღადაც არქიმანდრიტი — ერთ ძველ დოკუმენტზე დაყრდნობით — 1047 წელს დაასახელებდა.

დიდი ადგილი დაეთმობოდა ანგარიშში ჯრუჭის მონასტერს, რომლის მთავარი ტაძრის კედლის წარწერის მიხედვითაც არქიმანდრიტი აღნიშნავდა, რომ ის აეგო გიორგი ფალავანდიშვილის შვილს აბაშს — აბაშიძეთა გვარის ფუძემდებელს.

დეტალურად აღიწერებოდა მონასტრის სიძველენი, განსაკუთრებით მისი სიამაყე — ძველი ხელნაწერები და მათ შორის უპირველესი — 939 წელს გადაწერილი ჯრუჭის ოთხთავი.

მოწამეთის მონასტრის განხილვისას მოიხმობდა მისი დაარსების სამ ვერსიას, რომელთაგანაც არქიმანდრიტი გაიზიარებდა მესამეს — მონასტერი უნდა აშენებულიყო არაუგვიანეს VIII საუკუნისა.

გამოთქვამდა რჩევას, რომ მეტი ყურადღება მიქცეოდა ხელნაწერი წიგნების დაცვას; შეკეთებულიყო და გალამაზებულიყო მონასტერში შემავალი ქვის გალერეა, კეთილმოწყობილიყო მონასტრის ირგვლივ ტერიტორია, კერძოდ — სასურველი იქნებოდა რკინიგზის პლატფორმასთან გაშენებულიყო ბაღი...

კომპლექსურად განიხილავდა არქიმანდრიტი ნამარნევის მონასტერს. მართალია რევიზია მხოლოდ ამ მონასტერს ეხებოდა, მაგრამ მის დაარსებაზე მსჯელობის კონტექსტში ისაუბრებდა ცაგერისა და საირმის მონასტრებზეც.

ახსნიდა ნამარნევის მონასტრის დაარსების მიზეზსა და პირობებს, რომ ეს განეპირობებინა საირმის მონასტრის შენობის ნგრევის დაწყებას და ვითომც ამ მონასტრის ეზოს ცუდ გეოლოგიურ პირობებს.

მკაფიოდ წარმოაჩენდა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანისა და მისი მეუღლის, დედოფალ მართასა და არქიმანდრიტ გიორგის (კუხალაშვილის) დამსახურებას ამ მონასტრის დაფუძნებაში.

მარტოდენ აღწერას არ იკმარებდა ამბროსი ხელაია და ანგარიშის დასასრულს წარმოადგენდა იმერეთის ეპარქიაში სამონასტრო ცხოვრების ზოგად ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მისეულ ხედვას და საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

თუკი ძველად მონასტრები და ბერ-მონაზვნები დიდ მსხვერპლსა და ბევრი სისხლის დაღვრასაც არ ერიდებოდნენ მართლმადიდებლობის დასაცავად, ამ მონასტრებს ახლაც არ დაეკარგათ საფუძველი ასეთივე ბრძოლისათვის მართლმადიდებლობის გადასარჩენად ურწმუნოების ძლიერი შემოტევისაგან.

არქიმანდრიტს სრულიად უსაფუძვლოდ ეჩვენებოდა აზრი, თითქოს მონასტრებს თავიანთი დრო მოეჭამოთ და ანაქრონიზმსღა წარმოადგენდნენ ხალხის ცხოვრებაში.

იგი მონასტრებს შეადარებდა ლამპრებს, რომელთაც უნდა გაენათებინათ ხალხისათვის ცხოვრების გზა, მიეცათ ამ ცხოვრებისათვის გარკვეული მიმართულება.

მაგრამ რათა მონასტრებს აღესრულებინათ თავიანთი დანიშნულება და სარგებლობა მოეტანათ ხალხისათვის რელიგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ამისათვის აუცილებელი გახლდათ სათანადო სიმაღლეზე აყვანილიყო მათი კეთილმოწყობა და გამოცოცხლებულიყო ბერმონაზვნური სულისკვეთება, რომელიც განიმსჭვალებოდა არა მხოლოდ საკუთარი ცხონების, არამედ გარშემო მყოფი საზოგადოების ინტერესებისადმი მსახურების იდეით.

საამისოდ კი ყველა წინამძღვარი უნდა განმსჭვალულიყო იმის შეგნებით, რომ ისინი გამწესებულიყვნენ არამარტო უფროსობისათვის, არამედ მონასტრის ინტერესთა მსახურებისათვის. და როდესაც ეს მიიღწეოდა ანუ ყველა წინამძღვრის ქმედებანი აღიივსებოდა მეგობრული, ერთსულოვანი და სოლიდარული სწრაფვით დასახული მიზნისაკენ, მონასტერთა კეთილმოწყობის საქმეც უსათუოდ წინ წავიდოდა სწრაფი და მტკიცე ნაბიჯებით.

თავისთავად ხომ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა „იმერეთის ეპარქიის მამათა მონასტრების რევიზიის ანგარიშის“ გამომზეურება აპარატურითურთ, და იმ მხრივაც მეტად ფასეულია, რომ მოსამზადებელი გვაქვს ამბროსი ხელაიას სასულიერო თხზულებათა აკადემიური გამოცემა — იგი ხომ მხოლოდ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, მოწამებრივი ცხოვრებით მცხოვრები და ეროვნული გმირი არა ყოფილა, არამედ — მეცნიერიც, და მისი პიროვნებაც და ღვაწლიც რაც შეიძლება სრულყოფილად უნდა გამომზეურდეს შესაფერისი სამეცნიერო აპარატის დართვით, ამ მხრივ სწორედ სანიმუშო რომ არის მერაბ კეზევაძის ეს ნამუშაკევიც და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც იმ სრულყოფილი პორტრეტის გამოსაკვეთად, თვითონვე რომ წარმოგვიდგება ლამპრად გრიგოლ ხანძთელის ეს სულიერი მემკვიდრე, ხანძთის ზარების ჩამომრეკავად და იმედოვნებისა და სიმხნევის შემანარჩუნებლად.

ეს მართლაც სენსაცია

(დღიურის ფურცლებიდან)

დიდი მღელვარება მოჰყვებოდა თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ ტელესპექტაკლს „ჯაყოს ხიზნები“. გადმოცემით რაც ვიცოდით, მიხეილ ჯავახიშვილს რომ დაატყდებოდა თავს აღშფოთება ამ რომანის გამოქვეყნების გამო 30-იან წლებში, ახლა ჩვენს თვალწინაც უნდა განმეორებულიყო 70-იანი წლების მიწურულს.

აკაკი ბაქრაძე მოახერხებდა გარკვეულ კალაპოტში მოექცია ტელესპექტაკლის მოწინააღმდეგეთა რისხვა და გაძღოლოდა ტელედისკუსიას, მომხრეთაც რომ დაუთმობდა სიტყვას და მოპირისპირეთაც, თავის მხრივ კი ჩვეული ორატორული ოსტატობით, ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების ღრმა ცოდნით, გაბედულებით შეაჯამებდა დისკუსიას და გაათვალსაჩინოებდა, რომ ტელესპექტაკლის მოწინააღმდეგენი არსებითად ჯაყოობას იცავდნენ. ანდა არ სურდათ მზერა გაესწორებინათ თეიმურაზ ხევისთავის არანაკლები დანაშაულისათვის (მისი უმოქმედობისა და ცარიელი ლაპარაკის გამო), ვიდრე ჯაყოს ჩაედინა ძალმომრეობით.

ეროტიკული სცენების ღრმა ალეგორიულ შინაარსსაც თვალნათლივს გახდიდა და მის აუცილებლობასაც.

ეს მოსაზრებანი პირწმინდად ლიტერატურული თვალსაზრისით გამოთქმული აქვს სტატიაში „ტრაგიკული ანუ მოუხმარებელი თავისუფლება“, მაგრამ ის შემაჯამებელი სიტყვა კიდევ სხვაგვარადაც დამუხტულიყო და ხელშესახებად აირეკლავდა იმ დაუნდობელი ქარბორიის წინააღმდეგ შემართებას საკმაოდ უთანასწორო პირობებში, უმძიმეს 70-იან წლებში — რევოლუციასა და მის შექმნილ ჯაყოობას რომ არ დაგაგმობინებდნენ, ამიტომაც ისე უნდა გამოგეთქვა შენი უარყოფითი

დამოკიდებულება ამ მოვლენისა და მისი შედეგების მიმართ, შარი ვერ მოედოთ და ვერც ამოეჭრათ.

იმ გადაცემას ჰქონდა განსაკუთრებული, ის კი არა, სულაც ისტორიული მნიშვნელობა და რაოდენ დასანანია, რომ ფირი აღარ არსებობს.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ ლევან ბრეგაძეს აღმოაჩნდა აკაკი ბაქრაძის შემაჯამებელი სიტყვის ჩანაწერი მაგნიტოფირზე, ამ მრავალმხრივი ინტერესების კაცს, ამ სიტყვის ჩამწერიც და შემომნახავიც მარტო ის რომ გახლდათ და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის თანამშრომელთა დახმარებით კიდეც შემოიტანდა ლიტერატურულ-თეატრალურ და საზოგადოებრივ მიმოქცევაში როგორც ლიტერატურულ და პოლიტიკური დოკუმენტს, ამიერიდან თავის კუთვნილ ადგილს რომ დაიკავებს ეს უდავო აღმოჩენა აკაკი ბაქრაძის თხზულებათა სრულ კრებულშიც და სხვადასხვა გამოცემებშიც — შესაფერისი კომენტარ-ექსკურსებით.

დროდადრო კი მოვისმენთ ხოლმე გამომაფხიზლებლად, ზარის თავისებურ ჩამორეკვად, რაკილა ჯაყო და ჯაყოობა დროებითი მოვლენა მართლაც არ არის და ყოველთვისაც შეიძლება იჩინოს თავი ჩვენი უნიათობით, წაყრუებითა თუ გადამეტებული მიამიტობით.

მაინცდამაინც განებივრებულნი არა ვართ სენსაციებით, მაგრამ ხომ ყოველთვის მოსალოდნელია მათი გამოჩენა, რასაც ლევან ბრეგაძის ეს მნიშვნელოვანი მონაპოვარიც ადასტურებს.

აბა როგორ გინდა!..

(სადღეგრძელოს მაგიერ გიორგი ლობჟანიძეს)

გიორგი, ჩემო ძმაო,

იმ მრავალ სასიკეთო და სასახელო საქმეთა შორის, რაც ასეთი წარმატებით აღგისრულებია, თავისებურად გამორჩეულია ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევი", ტომებად რომ უნდა ჩამოგვირიგდეს და დაგვიმშვენოს წიგნების უკეთესი თაროები.

გამორჩეული არამარტო იმიტომ, რომ ექვს მოზრდილ წიგნს მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის ეს შედევრი და მისი თარგმნის გასასრულებლად ამ გრანდიოზული საქმის წამომწყებს ბოლომდე უნდა ეყოს ძალ-ღონე და მაღლა აწეული თამასა შენარჩუნებით შეინარჩუნოს.

ესაჭიროება იმხელა ერუდიცია და მრავალმხრივობა, რაც თვით ყურანის მთარგმნელსაც არ მოეთხოვება.

ერთნაირად უნდა იცოდეს როგორც სპარსული, ისე არაბული ენები.

უნდა იცოდეს ყურანი.

და უნდა იცოდეს სუფიზმიც.

დანარჩენი თავისთავად:

უნდა იყოს პოეტური ნიჭით დაჯილდოებული.

უნდა იყოს მკვლევარი — არც პოეტური აღმაფრენა რომ არ აკლია და არც უაღრესი პედანტიზმი.

უნდა იცოდეს საუკეთესო ქართული, მთელი თავისი დანაშრევებით, ძალითა და მადლით, ანუ — დაბადებული იყოს ქართლის ხეობებიდან ერთ-ერთში, თუნდ ფრონეს ხეობაში.

ასეთი კაცი კი ქართულ სამყაროში მხოლოდ შენ ხარ, შენ თუ შეებმოდი ამ დამტანჯველ და სულის აღმამფრენ საქმეს და... კიდეც მოჰკიდებდი ხელს შენებური თავდადებით, პირველი წიგნი „არსთა მესნევისა“ უკვე ხელთ რომ გვაქვს და მოუთმენლად ველოდებით, გამომცემლობამაც მხარი აგიბას და დროულად მიგაყვანინოს ბოლომდე ჩვენთვის ეს თავმოსაწონებელი მონაპოვარი, ქართული ლიტერატურის, საერთოდაც მთელი ჩვენი კულტურის ერთ-ერთ მიღწევად რომ შეირაცხება.

თან ისე, რომ:

არც ლირიკული შედევრები მოგვაკლო.

არც რეცენზიები, მიმოხილვები თუ ესეები.

არც ავტობიოგრაფიული რომანის — „ჩემი ფანჯრებიდან“ — გაგრძელება შეაფერხო, პირველი წიგნი ძალდაუტანებლად რომ ითხოვს მეორე და მესამე წიგნებს და... ეგებ კიდევ მეტსაც.

და არც სხვა თარგმანების წასაკითხად გვალოდინო.

აბა როგორ გინდა, ჩემო ძმაო, თუ გიორგი ლობჟანიძედ დაბადებულხარ!..

პოეზია
თემურ ნიკოლაძის
ფოტოებისა

ფოტოსურათი მხოლოდ წამს არ აქვავებს, მხოლოდ წამს არ ამარადიულებს — ისტორიკოსებისათვის იქნება თუ გარდასულ დროებათა სხვა მოყვარულთათვის, ფოტოებში არაერთი საგულისხმო შტრიხისა თუ დეტალის ამოკითხვას რომ ესწრაფიან.

ფოტოგრაფსა თუ ფოტოგადაღების მოყვარულს გააჩნია, მისი თვალის სიმახვილეს, მის ესთეტიკურ ხედვას, მისი გემოვნების დახვეწილობას, მის ინტერესთა ჰორიზონტს, მის ზოგად განათლებას, ხელოვნების რანგში რომ შეუძლია აიყვანოს ფოტოსურათი; და კიდეც მოიხსენიება ფოტოხელოვანად, მისი ნამუშევარი კი — ფოტოეტიუდად, მხატვრული ჟანრი ასე თავისთავად და ძალდაუტანებლად რომ მოერგება.

არაერთი შესანიშნავი ფოტოხელოვანი წამოგვაგონდება.

და არაერთი ფოტოეტიუდი ამოგვიჩნდება თვალთახედვაში, ლექსებს რომ არაფრით ჩამოუვარდება, არამცთუ ნახატებს, მთლად ნახატიც რომ შეიძლება გეგონოს, ისეთი შთამბეჭდაობით გამოიყურება, ფერადი იქნება თუ შავ-თეთრი.

ამ შესანიშნავ ფოტოხელოვანთაგან უთუოდ გამოგვერჩევა თემურ ნიკოლაძეც და მისი ფოტოეტიუდებიც — ნახატებისა თუ ლექსებისაგან რომ ვეღარც განგვისხვავებია, ანკი რატომ უნდა განვასხვავოთ, როდესაც ეს ფერწერული თუ ლირიკული ნამუშაკევნი ქუთაისის მშვენიერებას გვაზიარებენ, ერთიერთმანეთზე მომხიბლავ და შემძვრელ პეიზაჟებს გადაგვიშლიან თვალწინ, ამ ქალაქის სულს განგვაცდევინებენ, უხილავს სახილველად ხდიან, იდუმალს კი შესაფერისი იერით მოსავენ.

არ გვიკვირს ფინანსისტისა თუ ბანკირის სულში ასე ძალუმად ჩაბუდებული პოეტური საწყისი, პოეტური სწრაფვა, პოე-

ტური მოთხოვნილება, ისეთი სახელებით აღბეჭდილა მსოფლიო საბანკო-საფინანსო სისტემა საერთოდ და ქართული შენაკადი კერძოდ, იქ დანიელ დეფოს ფიგურა რომ წამოიმართება და აქ — დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა თუ ივანე მაჩაბლის...

და ეს სული, მისი ჟოლვა, ჩაბუდებული თემურ ნიკოლაძის არსებაშიც, ამ მხრივ უნდა ამოხეთქილიყო, რომ ფოტოეტიუდთა სერიად გადმოღვრილიყო, უამრავი ადამიანი რომ აღტაცდებოდა მათი ხილვისას ფეისბუქზე; და აგერ „მწვანეყვავილას“ კარი უნდა გაეღო მისთვის ლიტერატურულ სამყაროში შემოსაბიჯებლად.

და ეჭვიც არ მეპარება, ეს ჩინებული წამოწყება შესაფერის გაგრძელებასაც ჰპოვებს და თემურ ნიკოლაძე მალე შემოგვთავაზებს ფოტოეტიუდების ალბომს, როგორც თავისებურ პოეტურ კრებულს.

ერთი, უსათუოდ ერთი

(დღიურის ფურცლებიდან)

70-იან წლებში შევესწრებოდი მძაფრ, გავეშებულ კამათს, რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის მომხრენი რომ შეებმოდნენ ერთმანეთს. ეს არ ყოფილა დავა მხოლოდ იმაზე, თუ რომელი რომელს სჯობდა, არამედ — ერთ-ერთის სრულ დამცირებას ისახავდნენ მიზნად, თითქოს არ შეიძლებოდა, რომ ორივეს გვერდი-გვერდ შეექმნა სპექტაკლები და შენთვის რომლის დადგმებიც უფრო მახლობელი აღმოჩნდებოდა, იქიდან უფრო აღტაცებული წამოსულიყავი.

მაინცდამაინც აქ უნდა ეტრიალა ვნებათაღელვას, ამ გზაბილიკზე — ვინ ვის!..

შინ რომ დაბრუნდებოდი გაოცებული, მამას არ გაუკვირდებოდა:

— ასეა და რას იზამ, ასე მგონია ეს ჩვენი ეროვნული ხასიათის ნიშნადაც ჩამოყალიბდა, ორს, მითუმეტეს — რამდენიმეს, რომ არ ჰგუობ და აუცილებლად ერთი, ერთადერთი უნდა გყავდეს. გავეშებული კამათი კი არა, ხელჩართულ ჩხუბამდე მიდიოდა საქმე. კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მომხრენი რომ შეჰყვებოდნენ დავას. ასე იყო: მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის რომ არჩევდნენ უკეთესსა და იმ ერთადერთს, ანდა კორნელი კეკელიძესა და პავლე ინგოროყვას შორის. ხელჩართული ჩხუბი კი არა, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მომხრენი სულაც ხანჯლებით მიიწევდნენ ერთმანეთზე. ეს ყველაფერი გასაგებია, პოლიტიკაა, ხელოვნებაა და ბევრი ადამიანი ერკვევა მეტ-ნაკლებად, ყოველ შემთხვევაში, ჰგონია, რომ ერკვევა, მაგრამ ილია ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილის მომხრეები რომ დაერეოდნენ ხოლ-

მე ერთმანეთს, ნეტა იმათგან ვის გაეგებოდა უმაღლესი მათემატიკა, სულ ინტეგრალებში ჩაფლულიყვნენ, როგორ არა.

— როგორ, ვეკუასა და მუსხელიშვილს შორისაც ერთ-ერთი უნდა დაეკნინებინათ?

— აბა?!. და გგონია ის შეხლა-შემოხლა რაიმეთი ჩამოუვარდებოდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის მომხრეთა შეტაკებებს?!.

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის კამათი საბანკო-საფინანსო საკითხებს არ გასცილდებოდა, მთელი საზოგადოება რომ არ ჩარეულიყო ამ — თავდაპირველად სრულიად უმტკივნეულო — დავაში და მომხრეთა ჯგუფებად და დასებად არ დაყოფილიყო, თანდათან მთელ თბილისსაც რომ მოედებოდა და საქართველოსაც გადაწვდებოდა ეს განწყობილება.

რაღა სამოქალაქო ომი და რაღა ის დაპირისპირება, დამღუპველი რომ აღმოჩნდებოდა ერთისთვისაც და მეორისთვისაც.

ბანკობიადა, შვიდწლიან ომადაც რომ შეფასდებოდა ისტორიის მიერ, ყველასათვის სახილველია უამრავი დოკუმენტური მასალის წყალობით — პოლემიკური სტატიები იქნება, მემუარები თუ კერძო წერილები, შემდგომი შეხლა-შემოხლანი კი უფრო მიბინარებულია და შესაძლოა აქა-იქ იჩინოს თავი, მასშტაბით რომ ჩამოუვარდებოდა ბანკობიადას, თორემ სიმძაფრითა და გავეშებით არცთუ მაინცდამაინც.

დადგენით ვერა დაედგინათ რა.

ეგაა — მრისხანება და გაბოროტება ძლიერდებოდა და ენერგიაც ასე ფუჭად და უაზროდ იფლანგებოდა.

ორი და მეტი არ შეიძლებოდა, არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა, მხოლოდ ერთი, ერთადერთი.

იქნებ მართლაც ჩვენი ხასიათის განუყრელ ნიშნად ჩამოყალიბებულიყო დაპირისპირების ეს ჟინი, ვერაფერი რომ ველარ აკავებდა!..

თორემ ილია ვეკუასა და ნიკო მუსხელიშვილს შორის აუცილებლად ერთ-ერთის არჩევის გამო მაინც რატომ უნდა დაესისხლიანებინათ ერთმანეთისათვის თავპირი?!.

ნეტა რა გიბიძგებს, ნეტა რა გაქეზებს და გიყოლიებს, ნეტა რას ეძებ და რას გამოელი?..

ბულბულის მონატრება სამოთხეში

(დეპეშად ნათია გიორგაძეს)

ნათია,

ეს რა ჩინებული პოეტური რკალი შეგითავაზებია „ლიტერატურული გაზეთისათვის", 5 მარტის ნომერში რომ გავეცნობოდით და ერთხელ კიდევ მოვიხიბლებოდით.

დრამატიზმი არასდროს ჰკლებია შენს ლექსებს, თვით იმ პირველ ლირიკულ კრებულსაც, რომლის შესახებაც ზურაბ კიკნაძე გეტყოდა სიტყვებს, დღემდე რომ შემოგინახავს და ენდობი, და აგერ ერთი ლექსის ბირთვადაც გიქცევია. დრამატიზმი კი ამ რკალში ძალზე გამძაფრებულა, თითქოს გულში სიცივე დასადგურებულა და დღეებიც ისე დავიწროებულან, ლამის ნემსის ყუნწშიც გაეტიონ.

დრამატიზმს შიგადაშიგ ანელებს და ანათებს სევდაც და ღიმილიც, რათა მონოტონურობის საფრთხე აარიდოს და მკითხველსაც განაცდევინოს ბულბულის მონატრება სამოთხეში და ამერიკელი პოეტებისა — თავქვეშ...

ვით სამართებლის ალესილ პირზე

(ირინა ტაბაღუას უჩვეულო დებიუტი)

ეს წიგნი ერთადერთი ფიქრით უნდა ამოეთავებინა ირინა ტაბაღუას, ლირიკული გმირის ამ დაუშოშმინებელი, დაუმცხრალი შეგრძნებებით:

საწოლი მაშინ არის მყარი, როცა მხოლოდ ზეწარია მრავალფეროვანი და არა სხეულიო.

და კიდევ:

ერთ ღამესაც, დილამდე რომ გავიდე უხეირო სააქაოდან, ჯავრი არ გამყვება იმ კაცის, მხოლოდ მოკვდავებთან რომ უგორავია. ჩემს საფლავზე დაღვრილი ღვინით მისი მკვდრებიც ცხონდებიანო.

უცნაური და მოულოდნელი ხილვებია, და ასე ცალკე სტრიქონებად, ანდა თუნდ მთელ ლექსადაც: „სულ ძიებაშია ქალი" — აუხსნელი რჩება, როგორ უნდა განსაზღვრავდეს ეს ხილვები პოეტური კრებულის კომპოზიციურ მთლიანობას და გამოჰკვეთდეს მის მხატვრულ მრწამსს, მაგრამ გაცნობა ამ არაორდინარული წიგნისა — „ტელეფას ცხვარი" („ინტელექტი", 2020) — ასე ნაგვიანევი და ასე წარმატებული დებიუტისა, ხელშესახებს ხდის ამ სტრიქონებში ჩაბუდებული ნერვის ძალუმ ფეთქვასაც და მათ აუცილებლობასაც კომპოზიციის სისრულისთვისაც და მხატვრული მრწამსის გამოკვეთისთვისაც.

კრებულისათვის დართულ მინაწერში გიორგი ლობჟანიძე ალესილ სამართებელს გაუიგივებდა წონასწორობის შენარჩუნებას მხურვალე განცდებსა და მათი გამოხატვის ფორმებს შორის. და „ტელეფას ცხვარს" შეადარებდა სვლას ამ ალესილ სამართებელზე, და თან ისეთ სვლას, ოდნავი ბორძიკიც, სულ მცირე განაკაწრიც რომ არსად იჩენდა თავს.

და პოეტის ნიჭისა და ოსტატობის დასტურად მიიჩნევდა, რომ:

ისე ჰყვებოდე შენი ყველაზე ინტიმური განცდების შესახებ, რომ უხერხულობის შეგრძნებას არავის უტოვებდე, და ყველაზე საწინააღმდეგოდ განწყობილ ადამიანსაც თანამგრძნობლად და თანამოაზრედ აქცევდე, პოეზიის დიდებულებასა და უალტერნატიობაში არწმუნებდე.

ნიჭისა და ოსტატობის გარეშე ვერც აიზიდებოდა ის ყველაზე ინტიმური განცდები ნამდვილი ლირიკის სიმაღლეზე და ვერც შემძვრელი გახდებოდა ყველა იმ მკითხველისათვის, რომელსაც შეუძლია კვალდაკვალ მიჰყვეს სულისა და ფსიქიკის ყველაზე ფაქიზ თრთოლვას, პირველქმნილების, პირველამოთქმის შეუბღალაობას.

ანი ჯაფარიძის ნახატი გარეკანზე კანთიელად მიგანიშნებდა ამ ლირიკული წარმოსახვების საწყისსა და თავისებურებას.

ამ ბოლომდე გაშიშვლებას სულისა და ფსიქიკისა, ამოზიდვას ყველაზე ფარული, ყველაზე ინტიმური განცდებისა იზა ორჯონიკიძე გაბედავდა, ჭეშმარიტ პოეზიად რომ გარდასახავდა იმ სიღრმისეულის, იმ ფარულის ამომზევების პროცესს, სამართებლის პირზე სიარულს ოდნავადაც რომ არ შეუკრთებოდა.

სიტყვისადმი მის იშვიათ მგრძნობელობას ამ პოეტური მეტყველების ერთ უმთავრეს ნიშნად გამოარჩევდა გურამ ასათიანი, რომლის დაკვირვებითაც:

იზა ორჯონიკიძე განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობოდა უსახელო, დავიწყებულ სიტყვებს — მოთმინებით რომ ელოდნენ თავიანთ დღეს, სათუთად აცლიდა მტვერს, ჩემი ცრემლით ნამავდა და ეს უსახელო, უჩინო სიტყვები, როგორც წვიმის შემდეგ აკაშკაშებული ფერადი კენჭები, მოულოდნელი სხივით ავსებდნენ მის სტრიქონს.

და ეს დაკვირვება უმეტნაკლებოდ მიესადაგება ირინა ტაბაღუას ლირიკული მეტყველების თავისებურებასაც.

ეს ორი ზოგადი ნიშანი აახლოებს ამ ორ პოეტს, თორემ ორივე სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული სამყაროა, ჯერ მარტო იმით განსხვავებულნი:

იზა ორჯონიკიძის პოეტური სტილისტიკა ჰარმონიული რომ არის, შესაფერისი მელოდიითა და რიტმით.

და ირინა ტაბაღუას პოეტური სტილისტიკა კი — დისჰარმონიული, შესაფერისი რიტმითა და მელოდიით.

ორ პოლუსად მოჩანს და ეგ არის.

მაგრამ ის კი, ის მთავარი:

ალესილი სამართებლის პირზე სიარული უბორძიკოდ და უგანაკანროდ პოეზიის საუფლოში ერთმანეთს აპოვნინებთ.

გადახსნა, გადმოფარჩავება სულის ყველაზე ფარული ხვეულებისა ძალდაუტანებლად გააიგივებინებდა თავს ლირიკულ გმირს ცხვართან — როგორც მსხვერპლთან და ზვარაკთან ამ ულმობელ წუთისოფელში, ეს სიმბოლიკა არამარტო ერთ-ერთი ლექსის სათაურად რომ შეირჩეოდა, არამედ მთელ კრებულსაც ყველაზე მარჯვედ მიესადაგებოდა: „ტელეფას ცხვარი“ — და ლექსიდან ლექსშიც გადავიდოდა მათი უმწეო ბღავილი თუ კიდევ უფრო უმწეო დუმილი, ახალი აღთქმის მოლანდებას რომ უნდა განემსჭვალა ეს სიმბოლური ხატი და ყოფით სურათებსაც მარჯვედ შერეოდა... და იმ ტაძარში ეგალობა, სადაც ცხოვრობდა!..

და უხეირო სააქაოს მწუხარე საბურველი გაეფატრა განწირულების გმინვა-ძახილს:

ვინ ვარ მე, ღმერთო?!.

ლექსის სათაურადაც და ფინალურ აკორდადაც იმ საფიქრალსატკივარისა, პირველად რომ უმტყუნებდა გაზაფხული, როცა მის ქალობაში დიდ ეჭვს შეიტანდა და წყლებთან ერთად ნაადრევად დაიღვრებოდა ტკივილიც, ემოციაც, სიტლანქეც, და:

შემდეგ მივხვდი, რომ ცარიელი მუხლით არა — დღეებს,
არამედ წლებს უნდა გამოვკიდებოდი და
მეპოვა მკვრივი ძარღვი,
რომელიც ჩემს სისხლში უცნაურ და ახალ ამბავს
შემოიტანდა.
ამ ყველაფერზე ფიქრში ან თმას ვიგრეხ, ან კაბას
ვიჭმუჭნი...

ვენახადაც უნდა წარმოედგინა თავი, გამეტებით რომ უსრესდნენ სველ ბურთულებს და ის კი ყველა გოდორს ჩასძახო-

და: სად მიმარბენინებთ, ვის ჩასანიხლად მიმეტებთ და ვის პირის სათრობადო?!.

ამ ლირიკულ გმინვაში — „მე რომ ვენახი ვიყავი" — ზოგჯერ ხმელი ტოტიც დაენანებოდა ცულის დასარტყმელად: მერე რა, რომ აღარ იფოთლებოდა, ნაყოფით პირს არ გისველებდა, ყოველ მოქმედებაში ჭირისუფალი უნდა ყოფილიყავი.

ან ვინ უშლიდა აჰყოლოდა სიმღერას, კიბეს, მთის აღმართს, ცუდ ხმასაც აჰყოლოდა?! კაცის აყოლას რა მოეტანა, თორემ...

გულში ჩაყოლა, სხეულზე ჩაყოლა,
შემდეგ — შვილის ყოლა,
და მაინც, დიდი არაფერი ყოფილა თურმე ქალი
ამ აყოლა-ჩაყოლაში.
ვინც ბაწარს ყელი მისცა, ყველა ცხონდა,
მე კი კაცის დასაბმელადაც არ გამომადგა.

ბოლო ორი სტრიქონი ნოველური ფინალიც არის ლექსისა და... იმავდროულად ნოველის სიუჟეტური ბირთვიც — შესაფერისი გაშლაღა რომ აკლია, მაგრამ პოეტს საამისოდ ვერ მოუცლია, რაკიღა უეცრად გამოცხადების წინაშე უნდა აღმოჩნდეს: „გახედე, ირა, ღმერთი მოსულა!" — და ამ სასწაულებრივ წუთებში იმ ტრაგიზმმა უნდა ამოხეთქოს გულიდან, დაუნანებლად რომ გაამატებინებს თავს, მაინც ხომ მსხვერპლია და მაინც ზვარაკი:

ჰკითხე ერთი, რა ვირუსზე ლაყბობს ეს ქვეყანა, განა ქალზე მეტი ვირუსი რა შეუქმნიაო?!.

მაგრამ ხომ გეგულება პოეტური სიტყვა მაშველ თოკად და სულის მოსათქმელად, რათა გადაწმინდოს დარდი შენი აწმყოს ბილიკზე:

რა მარტივია, გასძახებ ლექსებს,
ჯერ არდაწერილს,
მოდიან და, დაუკითხავად,
ხელებივით გიფათურებენ კაბაზე, მუხლისთავებზე,
შემდეგ...

რა მარტივია, თავიც მოიკლა,
არც თავს უნდა მოაკლო რაიმე,
უქენი, რაც გინდა, სხვის მხრებს როდი ამძიმებს.

სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე სვლა თუ ბორიალიც ნიშანდობლივია ზვარაკის ცხოვრების ყაიდისათვის, უმძაფრესი განცდა ცოდვისა, რომელიც ყველას ნაცვლად უნდა იტვირთოს, და უკიდურესი სიმწვავით შეიგრძნოს რეალობის რღვევა — ზღვა ზღვას რომ აღარ ჰგავს და მთა — მთას, და ამ რღვევაში უპირველესად თავი დაიდანაშაულოს:

ზოგი ვიხოცებით, ზოგიც უსინდისოდ ვცოცხლობთო!..

და ამიტომაც წარმოუდგება ლირიკულ გმირს თავისი გარდაცვალების დღე მხოლოდდამხოლოდ ლხინის დღედ, ეს რომ ურჩევნია ამ ფარისევლურ გარემოში, ეს ესახება ყველაზე ნეტარ წუთებად, როდესაც იმქვეყნიური თვალით გამოჰყურებს წამხდარ ყოფას და ივედრება, არ გააყოლონ მკუხე და უგემური სიტყვები, და უკანასკნელი მზერა შეავლებინონ მზისათვის, ვიდრე ეზოს მიჰფარებია.

და ამჯერადაც — „დღეს ლხინის დღეა“ — ლექსის სათაურადაც შეირჩეოდა და ფინალურ აკორდადაც.

და ეს ლირიკული ნიმუშიც ისევე უნდა დასტვენილიყო ორი თითითა და მარტივად, როგორც ყველა დანარჩენი, ენის წვერს რომ ამოჰყვებოდა ჩიტის სიმღერა; და სადაც წარსულ ამბავს ისევე მოაბრუნებდი, როგორც შინიდან გასულ მამას, ტალახიანი ჩექმებით რომ გაესტუმრებინა მეუღლეს („ჩიტის სიმღერა“).

ეს სიმღერა უნდა ჩამოქნილიყო პოეზიად, რომლის დანიშნულებაც გაგეგო და ვეღარც გაგეგო, და ამიტომაც უნდა შეჭიდებოდი, პირი გაგეღებინებინა და ამოგეწიწკნა ენა, გეთქმევინებინა ის, რაც ჯერ არ თქმულიყო.

ვითომ ადვილი იყო, მაგრამ...

ეს ხილვები, ამოხვეულნი ლექსში „რატომ ჰქვია პოეზია?“ ერთხელ კიდევ მთელი არსებით განგაცდევინებდა ამ სირთულესა და ლამის შეუძლებელს, რაკიღა:

სიმართლე შიოდა, შენივე ნაფიქრი სუფთა კერძი შიოდა, და თავს არ მოგატყუებინებდა ღმერთს შეტოლებული, რადგან

სიტყვა და ღმერთი ერთარსად და ერთარსებად ქცეულიყო იმთავითვე.

და ღმერთიც რომ შეგიწყალებდა და დროც, ეს უკუღმართი — არა და არა!..

ამიტომაც სულ სხვა გზა უნდა გამოძებნილიყო, უჩვეულო, პარადოქსული, ამ უჩვეულობისა და პარადოქსულობის ყოფით და სიმბოლურ ხატად ფუჟერი რომ მოგევლინებოდა და ეს ხატი და ეს სათაური — „ფუჟერი“ — გაგათამამებდა და იმ გზასაც გაგაცხადებინებდა:

თქვენ ჩემს პოეზიას წუნს ვერ უპოვნით,
არანორმალურია,
ვერც — კბილთა წყობას,
ვერც — სითბოს ცვლას სასურველ კაცთან,
ვერც — მუხლებს შორის საცალფეხო ბილიკს,
სადღაც, ნავმისადგომზე რომ გაჰყავხართ.

ეკალს წვის დროს ქაფი რომ გამოსდიოდა, ლირიკული გმირი უსმენდა, როგორ შიშინებდა, თითქოს რაღაცას ჰყვებოდა მასზე, თუ რამდენი გამოკვლევა ჩაეტარებინა ერთგულებისა; და ემტკიცებინა, ცეცხლში სულ ორი ფერი რომ ელვარებდა:

მელნისფერი ერწყმის მხურვალე მზისფერს,
როგორც ხელები წელსა და ბოქვენს,
ჩემს ვიწრო თვალებს აცოფებს ღამე,
ასე გრძელი და ასე ხანმოკლე.

იზა ორჯონიკიძე დაატარებდა საიდუმლოს, როგორ უნდა გამოგეხატა ეროტიკა ლექსში ისე, არც პორნოგრაფიაში გადაზრდილიყო და არც ბანალურობაში, და მხატვრული ძალა და ცეცხლი შეენარჩუნებინა.

და ირინა ტაბაღუაც დაატარებს საიდუმლოს, როგორ უნდა გამოხატოს ეროტიკა ლექსში ისე, არც პორნოგრაფიაში გადაიზარდოს და არც ბანალურობაში, და მხატვრული ძალა და ცეცხლი შეინარჩუნოს.

თუ როგორ იაროს სამართებლის ალესილ პირზე და ატაროს „ტელეფას ცხვარი“.

მზისმეტყველება ანას ხილვებისა

(ანონსის მაგიერ)

როდესაც ქართველ მწერალთა ჰელიოცენტრიზმს მივადევნებდი თვალს მონოგრაფიაში „მზის შვილები“, ცხადია არ გამომრჩებოდა ანა კალანდაძის პოეტურ ხილვათა ეს ნაკადიც, მაგრამ გულს დამაკლდებოდა, რომ უფრო მეტადაც შეიძლებოდა ანას მზის საგალობელთა წარმოჩენა და შევსებას მეორე გამოცემისათვის ვივარაუდებდი.

და აი უნდა წამომშველებოდა როინ ჭიკაძის ნარკვევი „ანა კალანდაძის პოეზია — მზის საგალობელი“ (წიგნში: „ლინგვისტური სჯანი“, „მერიდიანი“, 2017), რომელშიც სრულ პანორამად უნდა აღმდგარიყო ანას ჰელიოცენტრიზმი, და მასზე დაყრდნობით შეიძლებოდა უფრო ხელშესახებად ამოზიდვა ზოგიერთი შრისა, საამისოდ თამაზ ჩხენკელისა და ზურაბ კიკნაძის ესეისტური თუ მეცნიერული თხზულებანიც რომ უნდა ჩართულიყო მსჯელობაში.

რაღა წარმართ ქურუმთა ღაღადისი მზისადმი და რაღა ამ ლირიკული გმირის თვალთახედვა და შეგრძნებანი, როდესაც ირმის ტყავით შემოსილი ხამლით ანთებდა ცეცხლს, სწირავდა მსხვერპლს გაღმერთებულ მზეს და:

აქ ურარტუს ქვაბებს მოეფინებოდა რძისფერი კვამლი და იქ ზეცისკენაც წაესწრაფებოდა.

ეს ირემი, ეს მზე და ეს რძე შემთხვევით დაკავშირებოდნენ ერთმანეთს თუ რაღაც ღრმა კანონზომიერება არსებობდა, განმსაზღვრელი ამ ხატებათა მაინცდამაინც ერთად ყოფნისა?

ხომ არ ეპოვნა პოეტურ გუმანს, წარსულის იშვიათი განცდის უნარსა და მხატვრულ წარმოსახვას ეს იდუმალი კანონზომიერება?

ანას სულის წარმართული ხვეული სწორედაც რომ მიწვდენოდა ამ ფარულ კავშირს, და ამ ხვეულზე ამოზრდილიყო დიდი მყუდროებითა და დუმილით დაყურსული მზიური და ღამეული პანორამები, ლანდშაფტის გრანდიოზულობა და არქაული მონუმენტურობა — გოლიათური მზით განათებული ქვის დევები და მათ შორის, მათზე უფრო ძლიერი, თითქოსდა ბიბლიური ადამისა და ევას უგზოუკვლოდ ხეტიალი.

ამ უგზოუკვლოდ ხეტიალში უნდა ჩაზიარებოდა პოეტს თამაზ ჩხენკელიც და მასთან ერთად ესმინა ცისა და ქვეყნის უცნაური მუსიკა, და წარმოსახვებში ძალდაუტანებლად შემოცურებულიყო ფრიდრიხ ნიცშესეული დიდი შუადღის ხატის ქართული ვარიაციაც, როგორც ვიზიონერული ხილვის, დიდი გონის დაუნჯებისა ან ზეგარდმო შთაგონების ბუნების ამსახავი.

როინ ჭიკაძის ნარკვევში უშუალოდ არსად აღინიშნებოდა დიდი შუადღის ხილვა თუ გამჭვირვალე პარალელი, თუმც მისი ძიებანი ზენიტში დაყუდებული მზის ელვარებით დაიფერებოდა, რადგანაც ანას პოეზიის წილნაყარობა მზესთან ძალდაუტანებლად განაწყობდა მკვლევარს მზის საუფლოში ისე სამოგზაუროდ, თვითონაც ბოლომდე განეცადა პოეტის დაუმცხრალი სწრაფვა სამყაროს მნათობისაკენ: სულ ახლოს მზესთან, სულ ახლოს მზესთანო!..

ამ გადმოსახედიდან უნდა განეჭვრიტა გრძნეული ძალით ანას ეგვიპტეც, ურარტუც, ხეთაც, ქალდეაც, მიდიაც, ეს უძველესი ქვეყნები, უმეტესობა კიდეც გამქრალი წუთისოფლის მდინარებიდან, და ამ მზიურ კვალს გამოყოლილს შეევლო მზერა არაბთა ტომებისთვისაც, ოაზისთან თავმოყრილთათვის: როს სილის ზღვაში ჩაეშვებოდა მხურვალე შამსუ.

ხოლო მზე, ირემი და რძე ერთხელ უკვე გადაჭდობოდნენ ერთმანეთს ფარნავაზის ეპოსში, ფრაგმენტად რომ ჩაეკერებოდა ლეონტი მროველის საისტორიო ქრონიკას, მის პოეტურ აღნაგობას კი პავლე ინგოროყვა მიაგნებდა და სხვა მკვლევარებიც სავსებით ირწმუნებდნენ, პირველ ყოვლისა: რევაზ ბარამიძე და სარგის ცაიშვილი.

და აი ზურაბ კიკნაძეს მითოსური სარჩული უნდა მოენახა ფარნავაზის სიზმრის სიმბოლიკისათვის და შეეთანადებინა

მისი ყოფითი ბიოგრაფიისათვის, სამეფოს დაარსებამდე რომ უნდა მიეყვანა გმირი.

ფარნავაზის სიზმარში მზე მხსნელი გახლდათ, რომელსაც „უკაცური სახლიდან“ გამოჰყავდა გმირი და აცოცხლებდა მას თავისი ცვარის ცხებით, რითაც ფარნავაზი უნდა ზიარებოდა მზის ბუნებას, გამხდარიყო მისი წილი, რაც მომავალში — ანუ ცხადში — მის მეფობას მოასწავებდა.

ცხადში კი მზეს უნდა ჰყოლოდა თავისი ორეული — ირემი, რომელსაც უნდა გასდევნებოდა ველად სანადიროდ გასული ფარნავაზი, და მზის ამ მიწიერ ჰიპოსტასს — ირემს — უნდა აეხდინა სიზმარი იმის წყალობით, რომ გმირისათვის მეფობა და გამარჯვება მოეტანა იმ გამოქვაბულში მიყვანით, სადაც მზე ოქროს განძის სახით უნდა ეპოვნა.

„მზის ცვარს“, რომელსაც სიზმრად იცხობდა პირზე ფარნავაზი ჯერ სასიცოცხლოდ და მერე სამეფოდ, უნდა მივეყვანეთ რძესთან, რძეს კი — ირემთან, და საბოლოოდ კვლავ მზესთან.

და კიდეც შეკრულიყო წრე.

მკვლევარი მზე-რძის ფორმალური პარალელიზმისათვის საგულისხმოდ მიიჩნევდა ხევსურულ სასტუმარმასპინძლო ორსტრიქონედს:

ცხვარი დავწველე მინდორში, სულ შავი ცხვარისა რძე არი, თქვენიმც ძე ნუ დაილევის, სანამ ე ცა და მზე არი!..

დასტურად მზისა და რძის ერთბუნებოვნებისა უნდა გაეხსენებინა რიგვედას ერთი ჰიმნი, სადაც წევრთა პარალელიზმის საშუალებით უნდა გამხელილიყო ეს მითოსური ჭეშმარიტება, ჰიმნოგრაფი რომ მიმართავდა ინდრას:

შენ ჩააყენე თბილი ნოტიოში, შენ აიყვანე მზე ცაში!

სადაც „თბილი“ ნიშნავს რძეს, ხოლო „ნოტიო“ — ფურს.

ამ ორი საგნის ერთბუნებოვნების ინტუიტიური წვდომის მაგალითად კი მოიხმობდა პასაჟს ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ცხრაწყარო“:

— და ელავდა რძეცა, თითქოს ხელები აელვარებდა, თითქოსდა რძე აელვარებდა მზესაცა, თვითონ მზესაცა... შეჰყურებდნენ და იყნოსავდნენ მზით დამთვრალ რძესა... გამკრთალიყო თუ მოეშალა სხივსა სინათლისა, დილის მზის სხივსა,

რძესა მზიანსა, გახურებული ფერდობების რძესა, მზით გალეშილი ბალახის რძესა... და გადმოდიოდა ნაღებიცა მზედა, მზის ნატეხებად გადმოდიოდა...

ხოლო ირემი მზიური ცხოველი რომ გახლდათ და მზეს ენაცვლებოდა ცხადში, როგორც მისი ორეული, „ცხრაწყაროშიც" უსათუოდ უნდა გამოჩენილიყო ირმები მზისა და რძის მითოსური სიმბოლიკის თავისებურ გაგრძელებადაც ანუ იმ ტრიადის შესავსებად, უერთმანეთოდ რომ არ გაეძლებოდათ მზეს, ირემსა და რძეს არც ყოფით სინამდვილეში და არც მხატვრულ რეალობაში.

რა კანთიელად აღბეჭდილიყო, რა შემძვრელად ეს სიმბოლიკა, ეს განუყრელი სამთა კავშირი ფარნავაზის ეპოსში, „ცხრაწყაროშიც" მძაფრად და მთელი სისავსით რომ უნდა ეჩინა თავი.

და ძიებათა ამ რკალში ძალდაუტანებლად უნდა ჩაერთოს ანა კალანდაძის ხილვაში გასაგნებული მზე, რძე და ირემი, როგორც სულიერი ხიდის გადება ფარნავაზის ეპოსის უცნობ შემოქმედთან, ასე ბუნებრივად რომ უნდა შეხვედროდა ერთმანეთს ორი პოეტი იქ, სივრცეებში.

ხოლო მზეც რომ უნდა გაქრისტიანებულიყო — ვიკტორ ნოზაძის თქმისა არ იყოს — როინ ჭიკაძეს აღარც ის უნდა გაჰკვირვებოდა, „ნაწარმართევი" პოეტი, მზის ქურუმქალი, პირჯვარს რომ გარდაისახავდა და შინაგანი ხმის მიწოდებით წაესწრაფებოდა მზისაკენ:

ჩავყურებ უფსკრულს, პირჯვარს ვისახავ...

ჩამძახის ვიღაც: — აქეთ, მზისაკენ.

მზე იესო ქრისტეს რომ გაუიგივდებოდა ღვთისმეტყველებაში, არც ანა გაუშვებდა ხელიდან ამ სიმბოლიკას, და მის ჰელიოცენტრულ სისტემაში მზედ უნდა გარდასახულიყვნენ წმინდა ნინოც და თამარ მეფეც, როგორც მაცხოვართან წილნაყარნი.

კიდევ არაერთ შრესა და ნიუანსს რომ იმარხავდა ანას მზისმეტყველება, ასე ხელშესახებად გადმოშლილი როინ ჭიკაძის ბევრგვარად საგულისხმო ნარკვევში, თვალნათლივ რომ განგაცდევინებს ამ იდუმალების მხატვრულ ძალმოსილებასაც და

მონუმენტურობასაც მზიური ხილვების ერთად შეკონვის წყალობით.

„მზისმსახურება ქურუმქალური" ერთ-ერთ თავად რომ დაიწერებოდა „მზის შვილების" ხელმეორე გამოცემისათვის, ცალკე ნარკვევად გამოქვეყნდებოდა „ილიას ფონდის" ლიტერატურული ჟურნალის — „საგურამო" — ფურცლებზე: 2019 წლის მე-16 ნომრად რომ დათარიღებულა, მისი ეს დაგვიანებული გამოსვლა კი — რა ახსნა უნდა — პანდემიას უნდა გამოეწვია — მის მიერ შებორკილ რეალობას, თითქოსდა მითოსური ხილვის დასტურად ბოლოს მაინც რომ უნდა დაეღწია თავი ჟურნალს უკუნისათვის, როგორც მზემ უნდა გამოფატროს გველეშაპის წიაღი და დაუბრუნდეს ცარგვალს.

და ეს ყოველთვის ასე ხდება, როდესაც:

რაღაც იდუმალ, რაღაც იდუმალ, რაღაც იდუმალ იღვიძებს შენშიც!..

ბულვარის ხატად, ბულვარის საგალობლად

(მცირე მატიანე ელგუჯა თავბერიძისა)

პირველ ქართულ ბულვარულ რომანს დაწერდა ალექსანდრე ყაზბეგი: „განკიცხული“.

პირველად ბულვარულ რომანს თარგმნიდა ილია ჭავჭავაძე: ალექსის ბუვიეს „იზა“.

ალექსანდრე ყაზბეგმა ჩინებული ფრანგული რომ იცოდა და თვალსაც ადევნებდა ფრანგული ლიტერატურის მდინარებას, ალღოს აუღებდა ბულვარული რომანის საჭიროებასაც, მასობრივი მკითხველისათვის გამიზნულს, და „კავკასიური ილიადას“ გვერდით ამ სახეობასაც მოსინჯავდა, და რომ დასცლოდა, ეგებ ერთი და ორი ნიმუშიც არ ეკმარა.

ილია ჭავჭავაძე „ივერიისათვის“ დაისაჭიროებდა „იზას“ თარგმნას გაგრძელებებით, სწრაფად და სახელდახელოდ, ჩაუსწორებლად რომ გზავნიდა სტამბაში თარგმანის ახალ-ახალ მონაკვეთებს და ამ სიჩქარეში ველარ ახერხებდა თავისი მადლიანი ქართული გადმოელვარა, ერთი იმდენი, მოესწრო და დიასახლისებს საშუალება ჰქონოდათ მალე დაეკმაყოფილებინათ ცნობისმოყვარეობა. დიასახლისთა მეშვეობით გაზეთის ნომრები ოჯახებში ხვდებოდა და იქ ქმარიც ჩახედავდა რაღაც-რაღაც მასალებს, იქ შვილები დაინტერესდებოდნენ, და მკითხველი უმრავლდებოდა „ივერიას“, „იზას“ მეშვეობით ილია ჭავჭავაძეს აუდიტორია რომ უფართოვდებოდა და მისი პუბლიცისტიკის ზეგავლენაც მატულობდა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე.

მიხეილ ჯავახიშვილის უჩვეულო პოპულარობაც იმას მოჰყვებოდა, უხვად რომ დაესესხებოდა თავის რომანებში ბულვა-

რული პროზის ხერხებს. ვერც „ჯაყოს ხიზნებს“, ვერც „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ ბულვარულ რომანს ვერ დაარქმევ, მაგრამ საკმაოდ რომ არის ორივე ეპიკური ნიმუში ნასაზრდოები ამ ჟანრობრივი თავისებურებით, ესეც აშკარაა, და ნიშანდობლივია, ამ ხერხების გამოყენებას, ფრანგული ლიტერატურის ჩინებული ცოდნითაც გამოწვეულს, პოლიტიკურ ბრალდებადაც რომ აუყენებდნენ, როგორც ბოლშევიკურ-კომუნისტური აზროვნებისათვის საზიანოსა და მიუღებელს.

ბულვარული რომანი არ მიიჩნევა პირველხარისხოვან ლიტერატურად, თუმც მისი ხერხები შეიძლება მოიმარჯვოს საუკეთესო მწერალმაც სწორედაც პირველხარისხოვანი თხზულების შესაქმნელად, თან მასობრივ მკითხველსაც რომ გაიტაცებდა.

ჭორები დაახრჩობდა ბულვარულ ლიტერატურასაც და — მითუფრო — პერიოდიკასაც.

ვულგარულობა წაახდენდა.

მაგრამ ნუ ჩაჰყვებოდი ბოლომდე ჭორებსა და ვულგარულობას და ალექსანდრე ყაზბეგივით და მიხეილ ჯავახიშვილივით მხოლოდ დასესხებოდი და დიდი ლიტერატურის რანგში აგეზიდა ბულვარში მოძიებული, შესწავლილი და შემეცნებული საზოგადოებრივი ცხოვრება.

ბულვარსაც არ უნდა ჩაეთრიე და ჩაეყურყუმელავებინე, თორემ იქ სეირნობა და ყურისგდება ბევრ საგულისხმოს მოგაწვდიდა, შენს სულიერ ქურაში რომ გამოატარებდი და სწორ შთაბეჭდილებასაც შეიქმნიდი საზოგადოების ყველა ფენის ყოფაზე, მათ ჭირ-ვარამსა თუ სიხარულზე, მათ მისწრაფებებსა თუ იდეალებზე...

ბულვარი მაშინ დიდ, თვალშეუდგამ და მეტად საჭირო გარემოდ გარდაისახებოდა, სულაც სამყაროდ, რომლის წიაღში გაშინაურებაც მხოლოდ წაგადგებოდა.

არამარტო პარიზის ბულვარი.

ქუთაისისაც — ქალაქად რომ წარმოგვიდგება ქალაქში XIX საუკუნიდან მოკიდებული და ძალიან ასაზრდოებდა აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკას, ქართლის ცხოვრების ორი გაგრძელება რომ გვაქვს ხელთ მათი პუბლი-

ცისტური თხზულებების წყალობით, ორი მატიანე — ქუთაისის ბულვარის შემწეობითაც.

აქ ფეთქავდა ქალაქის მთავარი ძარღვი.

აქ დულდა და ტრიალებდა ათასგვარი განცდა და ვნება — ფოირვერკივით რომ ელვარებდა და ტკაცუნობდა და საიდან აღარ მოჩანდა და ექოც საიდან აღარ მოისმოდა.

აქედან იტოტებოდა ბევრგვარი გზაბილიკი.

რიონი ერთ კალაპოტში მოედინებოდა, ხოლო ბულვარიდან ყოველდღე ახალ-ახალი კალაპოტი იჭრებოდა.

და ამოზრდილიყო ქალაქის შუაგულშ უფიცარნაგო, მაგრამ ყველაზე მაღალ სცენად.

ყველა ახსენებდა ამ ადგილს, როგორც მეტად მნიშვნელოვანს ქალაქისათვის, არაერთი ეპიზოდიც აღიბეჭდებოდა პერიოდიკასა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებებში, შტრიხი თუ დეტალი კიდევ უფრო მეტი, უმეტესწილად მაინც ქუთაისური იუმორის ასპარეზად რომ წარმოგვიდგებოდა, მაგრამ ადრე თუ გვიან უსათუოდ უნდა გამოსჩენოდა თავისი მემატიანე, თავის ისტორიკოსი, ისეთი დადინჯებული მკვლევარი, მთელ იმ დოკუმენტურ მასალებს რომ „შეჭამდა“, დეტალს დეტალზე აასხამდა, შტრიხს შტრიხზე, ეპიზოდს ეპიზოდზე, სურათს სურათზე, პორტრეტს პორტრეტზე და მოაქცევდა ეპიკურ თხრობაში, გარედანაც რომ შეხედავდა იმ ყოველივეს და შიგნიდანაც, როგორც იმ სამყაროს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავი ტყისასაო...

და ვინც დამწერი გახლდათ, კიდეც დაწერდა და აქცევდა მიმზიდველ, სახალისო თხრობად, ჭეშმარიტი ლიტერატურის მონაპოვრად — ის ელგუჯა თავბერიძე, ქუთაისის მემატიანედ რომ ჩამოყალიბდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX ასწლეულის პირველი მეოთხედისა, აგერ ბულვარს ცალკეც რომ გამოარჩევდა და ფრანგული დასახელებით შექმნიდა არცთუ დიდტანიან, მაგრამ საკმაოდ ტევად თხზულებას, თვითონ ბულვარის ბულვარულ ქრონიკად რომ მოიხსენიებდა და „მწვანეყვავილას“ სამ წიგნს ასერიგად დაამშვენებდა: 2020 წლის მეხუთე და მეექვსე ნომრებსა და 2021 წლის პირველ ნომერს.

ამ თხზულებას უნდა დაეტია ქუთათურთა ყველა ფენის განცდა-მისწრაფებანი, დარდიც და სიხალისეც, დაუშრეტელი იუმორიც და არანაკლებ გაუნელებელი დრამატიზმიც, დიპლომატიაც და აყალმაყალიც, ჩხუბიც და შერიგებაც, სცენად უნდა წარმომდგარიყო მკითხველის წინაშე, სწორედ ისევე, როგორც თვითონ ბულვარი იყო და რჩება ვეება თეატრად, ახალ-ახალი, ერთიერთმანეთზე შთამბეჭდავი სპექტაკლებით...

და თავისებური პარლამენტიც გახლდათ, ილია ჭავჭავაძე ბანკის სხდომებს რომ აქცევდა პარლამენტად და აკაკი წერეთელი — ქუთაისის ბულვარს.

აქ ყველაფერია, ელგუჯა თავბერიძის ამ ორიგინალურ თხზულებაში, საქართველოს გასაბჭოების ხანამდე რომ მოდის, და მოითხოვს იმ გაგრძელებას, რომელიც შესაძლოა მანვე ითავოს, ანდა სხვებს დაუთმოს — თარგი შექმნილია, გზა გაკვალულია და ახალ-ახალი მასალებით შევსება აღარ უნდა იყოს დიდი ბედენა, თუმც შრომა და გარჯა მცირე არ ესაჭიროება და შესანიშნავი მთხრობელის ნიჭიც უნდა მოგმადლებოდეს...

და თეატრალის ხედვაც.

თორემ მისი თეატრალური ბუნება შეუმჩნეველი დაგრჩება და არ ივარგებს.

მითუმეტეს:

იმ თეატრმა უნდა მიგიყვანოს ხელშესახებ განცდამდე, ქუთაისის ბულვარი ქალაქი რომ არის ქალაქში.

ამ განცდამდე და ამ ხედვამდე, რასაც უნდა განესაზღვრა ელგუჯა თავბერიძის კიდევ ერთი წიგნის სიცოცხლისუნარიანობა — იმ ძეგლად რომ იგულისხმებ, ბულვარის ყველა კუთხე-კუნჭულში რომ ამოგიჩნდება, როგორც მარადგანახლებადი სამყაროს ხატიც და საგალობელიც.

„ოქროს წიგნის“ ოდისეა გაგრძელდება

(ანონსის მაგიერ)

ეს ვრცელი გამოხმაურება, ნარკვევად გადაზრდილი რეცენზია: „ძეგლად ვახტანგ ღამბაშიძისა („ოქროს წიგნი“ მზის სინათლეზე)“ — გამოქვეყნებამდე მოხსენებად უნდა ნაკითხულიყო ამ უჩველო წიგნი-ალბომის განხილვაზე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას რომ უნდა გაემართა ჯერ თბილისში, მაგრამ... პანდემიური ხანა ამ წიგნის ბიოგრაფიასაც მწვავედ დაეჩნეოდა.

მხოლოდ წარდგინება მოესწრებოდა მისი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თაოსნობით მის მუზეუმად წოდებულ დარბაზში, კიდევ ერთი სახიერი დღე რომ შეემატებოდა არა მხოლოდ ამ უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრებას, არამედ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფასაც.

ეს უნდა ყოფილიყო დასაწყისი იმ ოდისეასი, წიგნისა ზოგან წარდგინება და ზოგან განხილვა რომ უნდა გაგვემართა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში, რომელიც კი აჰყვებოდა ამ წამოწყებას. ეს ისე, სიტყვის მასალად ითქმის, თორემ რომელი ქალაქი არ აჰყვებოდა.

ვახტანგ ღამბაშიძე, ქართული კურორტოლოგიის დამფუძნებელი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, თავის დროზე წარმატებით რომ გაუმკლავდებოდა ეპიდემიას, „ოქროს წიგნად“ რომ მოიხსენიებდა ამ უნიკალურ ხელნაწერს ალბომს, ნახატებითაც შემკულს და მომცველს 1904-1946 წლებისა, ამგვარ შეფასებას უყოყმანოდ გაიზიარებს ყველა, ვინც საქართველოს ხელმეორე დაპყრობის შემდეგ ემიგრაციაში გადახვეწილ პატ-

რონთან ერთად რომ მოუწევდა მოგზაურობა, ვიდრე დადგებოდა ის ნანატრი წუთი, როდესაც თავს დავაღწევდით რუსულ კაბალას და ემიგრანტული ლიტერატურაც და რელიკვიებიც თანდათანობით დაგვიბრუნდებოდა.

ვახტანგ ღამბაშიძისათვის ბიძგი ამ უნიკალური ალბომის შესაქმნელად უნდა მიეცა აკაკი წერეთლის ლექსს, მიძღვნილს ცემის ამ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კერისადმი, უამრავი ადამიანი რომ უნდა გამოეკეთებინა და სიცოცხლის ხალისი ხომ კიდევ უფრო მეტისათვის დაებრუნებინა, დამსვენებელთაგან თუ პაციენტთაგან არაერთს საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერი მოღვაწეობით რომ უნდა გამოეჩინა თავი და თავიანთი განცდანი თუ შთაბეჭდილებანი — ზოგი სულაც ლექსად თუ მინიატურად, — თავიანთი ხელრთვანი ალბომის ფურცლებზე დაეტოვებინა და... ასე შედგენილიყო ეს „ოქროს წიგნი".

ზოგიერთს კიდეც დაასახელებდა ექიმი თავის მოგონებებში:

ვუკოლ ბერიძეს, პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე აბაშელს, გიორგი ნიკოლაძეს, არჩილ ხარაძეს, დიმიტრი არაყიშვილს, იაკობ ნიკოლაძეს, შალვა ღამბაშიძეს...

შეიძლებოდა კიდევ დაგვემატებინა:

კიტა აბაშიძე, ეკატერინე გაბაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სპირიდონ ჭავჭავაძე, შალვა ამირეჯიბი, ელიზბარ ვაჩნაძე, გრიგოლ რობაქიძე, რევაზ გაბაშვილი, მიხაკო წერეთელი, ვიკტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, გიორგი გვაზავა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ნიკოლოზ ნათიძე (მელანიას ფსევდონიმით ცნობილი), სიმონიკა ბერეჟიანი, ლუარსაბ ბოცვაძე...

უცხოელთა ჩანაწერები კიდევ ცალკე ნაკადად რომ გამოირჩევა.

ეს უნიკალური წიგნი-ალბომი ადრე თუ გვიან გაიკვლევდა გზას საგამომცემლო სივრცეში, რათა არაერთი ადამიანის თავსასთუმალთან დაედო ბინა, წამდაუწუმ რომ მოგანდომებს ხელში აღებას, ჩახედვას, სულის მოთქმას... მაგრამ ცხადია რაც შეიძლება ადრე უნდა მომხდარიყო ეს, და სწორედ ბედად გამოუჩნდებოდა ჯულიეტა გაბოძე მეგზურად, რომანტიკული

სულის მკვლევარი და არაერთი სასიკეთო, უმნიშვნელოვანესი საქმის აღმსრულებელი, თითქოსდა შემთხვევით რომ მოხვდებოდა მის ხელთ ეს „ოქროს წიგნი", როგორც აკაკი წერეთლის შემოქმედების მკვლევარსა და მის თხზულებათა ოცტომეულის მომზადების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილესთან.

ამ შემთხვევითობაში ღრმა კანონზომიერება იფარებოდა და... კიდეც აქცევდა „ვახტანგ ღამბაშიძის ალბომს" არამარტო ფოტოტიპურ გამოცემად, არამედ თავისებურ ენციკლოპედიადაც, გვერდით რომ ამოიყენებდა ქართული ემიგრაციის ერთ საუკეთესო მცოდნეს რუსუდან კობახიძეს, და უამრავი მკვლევარისა და მთარგმნელის ჩართვა რომ დასჭირდებოდათ წიგნის გამოცემის მოსამზადებელ პროცესში.

გასაშიფრი და სათარგმნელი იქნებოდა სხვადასხვა ენაზე შესრულებული ჩანაწერები, წარმოსაჩენი გახდებოდა მათ ავტორთა ბიოგრაფიები — მოსაძიებელი, დასადგენი, დასაზუსტებელი... და ფილოლოგისა და ისტორიკოსის შეკავშირება — ჯულიეტა გაბოძისა და რუსუდან კობახიძის — „ოქროს წიგნს" შესაფერისი მეცნიერული აპარატურითაც დაამშვენებდა — კომენტარებითა და ექსკურსებით, რაც უნდა დაეგვირგვინებინა ჯულიეტა გაბოძის ნარკვევს: „ოქროს წიგნის" ოდისეა" — ხელთ რომ გვიბოძებდა ამ არაორდინარული პიროვნების ცხოვრებისა და ღვაწლის მთლიან ქარგას, წვეთ-წვეთობით შეგროვილსა და უდავო სანდოობით აღბეჭდილს.

ამ ჩინებულად წამოწყებულ საქმეს შესაფერისი გაგრძელებაც უნდა მოჰყვეს და ხელი მიგვიწვდებოდეს ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებებზეც და სამედიცინო და საგანმანათლებლო სტატიებზეც, მათაც რაც შეიძლება მალე რომ ჰპოვონ წიგნისმიერი სიცოცხლე.

და შესაფერისი მიხედვა რომ ესაჭიროება ცემსაც და მის საკურორტო სახლსაც, „ოქროს წიგნი" ამასაც ძალდაუტანებლად ითავებს, რათა აკაკისებურად განვიცადოთ, თუ რას ნიშნავს, როდესაც მიწაზე გადმოსულს შეჰყურებ ზეციურ სასუფეველს!..

გადაივლის ეს პანდემიაც, როგორც ვახტანგ ღამბაშიძის ძალისხმევითაც გადაივლიდა ის პანდემია, და ჩანაფიქრი — მოგ-

ვეტარებინა ამ უნიკალური გამოცემისათვის მთელი საქართველო — უსათუოდ აღსრულდება, მანამდე კი მკითხველს შეუძლია სული მოითქვას იმ რეცენზია-ნარკვევით, რომელიც „განთიადის“ წლევანდელ პირველ-მეორე გაერთიანებულ ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო და ქუთაისი უკვე აქედანვე ჩართულიყო ამ მნიშვნელოვან წამოწყებაში — „ვახტანგ ღამბაშიძის ალბომის“ ოდისეაში, შარავანდად რომ ადგას აკაკი წერეთლის სახელი.

მარცვალ-მარცვალ გადარჩენილი სულიერება

(ანონსის მაგიერ)

90-იან წლებში გივი ალხაზიშვილთან ერთად წამოვიწყებდი გამოცემას ჯიბის ფორმატის სერიისა: „ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა“ — რომლის პირველი ნიმუშიც იქნებოდა ხოსე ორტეგა ი გასეტის ტრაქტატი „ხელოვნების დეჰუმანიზაცია“, ბაჩანა ბრეგაძის მიერ ამეტყველებული ქართულად; და თამასა თავიდანვე ისე მაღლა აიწეოდა, ის უნდა შენარჩუნებულიყო, კიდეც შენარჩუნდებოდა, ერთიერთმანეთზე დიდებული ფილოსოფიური და ესთეტიკური თხზულებანი რომ მიეწყობოდა და სულს მოათქმევინებდა მკითხველს ერთი დიდი მსოფლიო გონის დინება სხვადასხვა სახელით.

ამ სერიას საგანგებოდ უსათუოდ დავუბრუნდები, ამჯერად კი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, მიუხედავად დუხჭირი პირობებისა, 38 წიგნაკს რომ გამოვცემდით იმ საუკუნის მიწურულამდე და ახალი ასწლეულის დამდეგისათვის, მერე საკმაო პაუზა რომ გამოგვივიდოდა, ვიდრე 2008 წელს 39-ე ნიმუში შეემატებოდა: ვერჯილ ნემოიანუს, კრიტიკოსის, კულტურის ფილოსოფოსისა და ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის, ტრაქტატი „მოკლე თეორია მეორადისა“, რომელსაც პაატა ჩხეიძესთან ერთად გადმოვიღებდი ქართულად.

პაწია წიგნში შევიდოდა პაატას მიერ აღებული ინტერვიუებიც ვერჯილ ნემოიანუსთან, არაერთ ისეთ საკითხსა და თემას რომ დაიტევდა თანამედროვე ამერიკის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, სხვა წყაროებიდან რომ არ გვეცოდინებოდა და ამ ამერიკელ პროფესორს უნდა გაეკვალა გზაბილიკი ქართველი მკითხველისათვის, რათა გარკვეული

წარმოდგენა შეგვექმნოდა ამერიკელთა ესთეტიკურ მისწრაფებებსა თუ განწყობილებებზე.

გულდაწყვეტას გამოთქვამდა, რომ:

ოქროს ხანის შემდგომ, რაც მოიცავდა XX საუკუნის 10-60-იან წლებს, ამ ქვეყანაში გაქრებოდა დიდი პოეზია, საკაცობრიო მნიშვნელობისა.

შედარებით მაინც სამხრეთელ პოეტთა შემოქმედება შეინარჩუნებდა თავს, ისევე როგორც სამხრეთული პროზა, რეალისტურ-ეგზისტენციური მიმართულებით რომ განვითარდებოდა.

ამ მიმართულების საპირისპიროდ განაგრძობდა არსებობას ბრწყინვალე სკოლა ამერიკული პოსტმოდერნიზმისა, ნემოიანუ საუკეთესოდ რომ მიიჩნევდა მსოფლიოში.

გაიზრდებოდა სამეცნიერო პროზის მნიშვნელობაც, საკმაოდ რომ შეეთვისებინა როგორც ისტორიული, ისე სათავგადასავლო რომანის მხატვრული ხერხები და შიგადაშიგ ექსპერიმენტულ პროზასაც მიმართავდა.

მთლიანობაში ამერიკულ ლიტერატურას ახალი ასწლეულის დამდეგისა რაოდენობრივად მეტად მდიდრად მოიხსენიებდა, საღად და მრავალფეროვნად, მაგრამ გაუძნელდებოდა გამოკვეთილი სტრუქტურის გამორჩევა.

იმ ტენდენციასაც გამოჰკვეთდა, რომ:

70-90-იან წლებში კრიტიკა ლამის დათრგუნავდა თვით ლიტერატურას და სტუდენტებსაც უფრო მეთოდებსა და ინტერპრეტაციებს ასწავლიდნენ, ვიდრე თვითონ მწერლობას.

თუმც ამაში სასიკეთო გავლენაც უნდა დაენახა:

ლიტერატურული ანალიზი უფრო სისტემურიც გახდებოდა და უფრო მეცნიერულიც.

და კიდევ ერთი უპირატესობა:

ლიტერატურაში წვდომის გაძლიერება — უფრო კანთიელად გამოიკვეთებოდა ტექსტის სირთულეც და მრავალფეროვნებაც.

ამერიკელი სწავლულისათვის მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ:

იდეალისტები ჯერაც არ გამქრალიყვნენ დედამიწაზე.

და ამიტომ პესიმისტურად არც თვითონ განწყობილიყო და არც სხვას მოუთმენდა.

დიალოგებთან ერთად წიგნაკში ჩაერთობოდა ესეიც „ვასწავლოთ ქრისტიანული ჰუმანიზმი", რომელშიც ამ მოვლენას დეზის ამოკვრას უფრო შეადარებდა მომავალი განსჯისათვის, და მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ურჩევდა, რომ უპირველესად ჩაკვირვებოდნენ ლუკასა და იოანეს სახარებებს, რადგან ლუკას ტექსტი უშუალოდ მიმართულიყო განათლებული საზოგადოებისადმი, და იოანეს სახარებაც, მაღალინტელექტუალობის ნიმუში, სულიერ, სიმბოლურ და ფაქტობრივ მასალებს აერთიანებდა.

მთავარი ძარღვი ამ მცირე წიგნისა მეორადის თეორია რომ გახლდათ, ეს ნააზრევი ამოიზრდებოდა ნეოპლატონიზმსა და ნეოკანტიანიზმზე, რომელთაც ვერჯილ ნემოიანუ გამოიყენებდა თანადროულობის დამახინჯებული ნაკადების — მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ზღვარგადასულობისა და აბსურდულობის — დასახასიათებლად, მოსარჯულებლად და სწორ სადინარში მისაშვებად.

ორიენტირად იმთავითვე იოჰან ვოლფგანგ გოეთესა და გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის ინტელექტუალურ ჰორიზონტს აირჩევდა და ამ გზას უერთგულებდა.

მეორადის თეორია რას ესწრაფოდა და:

გადარჩენას ტექნიკური ცივილიზაციის ყოვლისწამლეკავი მოძალებისაგან.

რას გვირჩევდა და:

ამ შეურიგებელი დაპირისპირებისას ჩვენი მზერა მიმართული უნდა ყოფილიყო არა წინ ან უკან, არამედ — და თანაც რაც შეიძლება ხშირად — გვერდით.

ანუ სამხედრო მეტაფორის ენაზე რომ თქმულიყო:

ტოტალურ ბრძოლაში კი არ უნდა ჩაბმულიყავი მთავართან, არამედ მიგემართა პარტიზანული თავდასხმებისათვის, რომლის მიზანიც იქნებოდა არა განადგურება, არამედ შეფერხება და ხელის შეშლა მტრისათვის.

თვალსაჩინოებისათვის მეტაფორისტიკას მოიშველიებდა:

შეჰყურებ, როგორ მიშლიგინობს პროგრესის კომბაინი ყანაში და მუსრს ავლებს თავთავებს, მაგრამ პირწმინდად ხომ ვერ შთანთქავს — რჩება ნაწვერალი და უამრავი მარც-

ვალი, განწირული გასაფანტად, ასაკენკად თუ მიწაში ჩასაბრუნებლად.

და თუკი რომანტიკული და იდეალისტური სული მოგმადლებია, უკან უნდა მიჰყვე ამ ვითომდა ნარჩენებს, კომბაინისათვის სრულიად არარად ქცეულს, გულმოდგინედ წამოკრიფო და შეინახო იმ უკეთესი დღისათვის, რომელსაც უთუოდ დაისაჭიროებს კაცობრიობა, პროგრესის კომბაინის სწრაფვაში თანდათან უარყოფით მხარეებსაც რომ აღმოაჩენს და შეფიქრიანდება და შეძრწუნდება კიდეც ამ თავზარდამცემი რეალობის ხილვით.

და სწორედ ამ გადამწყვეტ ჟამს გამოაჩენდი იმ შენახულს, იმ წუთას მეორადს, მაგრამ უკვე ახლებურად აელვარებულს, გზა ხსნისა ასე რომ უნდა გეპოვნა, მეორეული წინა პლანზე რომ გადმოინაცვლებდა და შეგანარჩუნებინებდა იმ სულიერებას, ტექნიკურ პროგრესს უკვე იქით რომ დაიმორჩილებდი.

ესეც მოკლე ვერსია ჩემი იმ სტატიისა: „რომანტიზმისა და იდეალიზმის მარცვლები (ვერჯილ ნემოიანუ და მისი თეორია მეორადისა)“ — „მწვანეყვავილას“ წლევანდელ პირველ ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა და შესაფერისი შეგულიანებითაც დაგვირგვინდებოდა, გულმოდგინედ, ჯიქური სიჯიუტითა და თავდადებით, მეტიც — თავგანწირვითაც რომ უნდა ვაგროვოთ რომანტიზმისა და იდეალიზმის მარცვლები დიდი სულიერი ფერისცვალების მოსამზადებლად, სასიკეთო შემობრუნებისა საკაცობრიო ცხოვრებაში, რადგან რაც მეტ სულიერ მარცვალს გამოარიდებ პროგრესის კომბაინის ყოვლისმშთანთქმელ მადას, მითუფრო ახლოს იქნება მეორადის ტრიუმფისა და ძლევამოსილების ხანა!..

ხოლო დღეს, აქ...

(დღიურის ფურცლებიდან)

ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაპირისპირება უკიდურესობას მიაღწევდა, საბანკო საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებანი თანდათან რომ გაიზრდებოდა, გაიზრდებოდა და... სამოქალაქო ომისაგან აღარც განსხვავდებოდა ამ ორი პიროვნებისა და მათ მომხრეთა ჭიდილი.

ერთხელაც ივანე მაჩაბელს აგდებულად მოიხსენიებდნენ ილიასთან, ეგონათ, ვასიამოვნებთო, ის კი გაწყრებოდა:

— როგორ ბედავთ ვანოს ასე ხსენებას, ჩვენ პრინციპული ბრძოლა გვაქვს, თორემ უზრდელობა არავის ეპატიება, ეს საქმეს არ წაადგება, მხოლოდ ჩვენ დაგვამცირებს. მითუმეტეს მისი ღვაწლი არ უნდა გვავიწყდებოდეს!..

ილიას შეეძლო რაინდული სიმაღლე შეენარჩუნებინა ყოველგვარი დაპირისპირებისას, ნაკლებმნიშვნელოვანი იქნებოდა თუ სამკვდრო-სასიცოცხლო, რადგანაც უზრდელობა, უხამსობა და აგდებული დამოკიდებულება მხოლოდ აზიანებდა და თავქვეზე მიაქანებდა საზოგადოებრივ მორალსა და შეგნებას.

მოგვიანებით მთლად ასე დაპირისპირებულნი არა, მაგრამ არცთუ კეთილგანწყობილნი იქნებოდნენ ერთიმეორის მიმართ მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე, რომელიც მას შემდეგ განსაკუთრებით გაგულისდებოდა, როდესაც ერთხელ რესტორანში ცისფერყანწელებთან ერთად ქეიფისას მეზობელი სუფრიდან მიხეილ ჯავახიშვილს მიამსგავსებდნენ (ისე კი მართლაც ჰგავდნენ ერთმანეთს!), ღვინოსაც გამოუგზავნიდნენ და თვითონაც ეახლებოდნენ მოწიწებით:

— ჩვენ თქვენი დიდი თაყვანისმცემლები ვართ, ბატონო მიხეილ!

რაო, მიხეილო?

და წამოვარდებოდა ფეხზე ნიკო და ცივცხელად დატოვებდა იქაურობას.

მოხდებოდა ისე, რომ მწერალთა სასახლეში ერთ-ერთი თავყრილობისას ერთი პროლეტარული მწერალი აგდებულად მოიხსენიებდა მიხეილ ჯავახიშვილს, და დაჯდებოდა თუ არა, ნიკო მოითხოვდა სიტყვას, გამოვიდოდა და განაცხადებდა:

— როგორ შეიძლება მიხეილ ჯავახიშვილზე ამის თქმა, ასეთი თავაგდებული გამოსვლა ყველა ჩვენგანისა და პირადად ჩემი შეურაცხყოფაა! და ამიტომაც ბოდიშის მოხდას მოვითხოვ.

გარეგნულად სუსტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ინტელიგენტებს როგორც აღიქვამდნენ მაშინდელ რეალობაში, მის სულიერ სიფაქიზეს და დახვეწილობას ადვილად შეიძლებოდა შეცდომაში შეეყვანა რომელიმე მუტრუკი, მაგრამ ყველასთვის ცნობილი გახლდათ, ტყვიისაც რომ არ ეშინოდა და დამიზნებული დამბაჩის წინაშე ისე შეეძლო დადგომა, ნირი არ შეცვლოდა.

ამიტომაც პროლეტარული მწერლებიც უფრთხოდნენ და ამჯერადაც პირადად მას მოუბოდიშებდა ის მწერლობაში გამორეული, წუთის წინათ ცა ქუდად რომ არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. თუმც მერე ამას მაინც წამოიკნავლებდა:

— „ჯაყოს ხიზნები“ ხომ თქვენც არ მოგწონთ...

— მე პრინციპული დავა მაქვს მიხეილთან, განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლებას ან თქვენ ვინ წაგართმევთ. უზრდელობა არ უნდა შეგრჩენოდათ, თორემ სხვაგვარად რომ გამოგეხატათ თქვენი შენიშვნა, პროტესტის სურვილი არ დამებადებოდა.

შესაძლოა ნიკო ლორთქიფანიძეს სცოდნოდა ილია ჭავჭავაძის ის სიტყვები, მაგრამ რომც არ სმენოდა, მაინც ილიას შთამომავალი გახლდათ სულიერად და თავისითაც არ დაუშვებდა ძირს რაინდულ სიმაღლეს.

ხოლო დღეს, აქ...

არაგვის ხეთა ჩრდილებში

(სადღეგრძელოს მაგიერ მარიამ წიკლაურს)

მარიამ,

თავის გადაშლილ წიგნად დაიგულებდა გუდამაყრის ხეობას გოდერძი ჩოხელი, შენ კი შენს გადაშლილ წიგნად დაიგულებდი და იმ განცდებიდან, იმ ხილვებიდან, იმ სიზმრებიდან, იმ გადმოცემებიდან უნდა მოქსოვილიყო შენი პოეტური სამყარო, იმ უჩვეულობითაც აღბეჭდილი, ძალდაუტანებლად რომ უნდა შემოჭრილიყო შენს მხატვრულ ძიებებში ის ხატიც და ის შეგრძნებაც, „ქართლის ცხოვრებითა“ და ზეპირგადმოცემებით ნასაზრდოები:

მტკვარ-არაგვის შესართავთან წყალში უცნაური შავი ფრინველები რომ გამოჩნდებოდნენ — ეს იმ დროს, წმინდა ნინო მაყვლოვანში რომ დამკვიდრდებოდა. ფრინველები კი ჩავიდოდნენ წყალში და... იქიდან ფერნაცვალნი და თეთრები უნდა ამოსულიყვნენ.

ესეც მართლა პირველი ხილული სასწაული, ბუნების ენით გაცხადებული და ნათლობის მადლზე მაუწყებელი, ძალაუნებურად რომ გაფიქრებინებდა:

ჩვენებურების ქრისტიანობაც — ვინ იცის — იმავე დროისაა, როცა კენჭს, ბალახს, ხეს, მზეს, მთვარესა და ყველაფერს ირგვლივ ღმერთად მიიჩნევდა მთის კაცი და ყველაფერი სულიერი იყო მისთვისო.

ჩამონათვალს ვარსკვლავები აკლია?

როგორ შეიძლება დაკლებოდა, როდესაც ეს მოგონება თუ ნოველა ვარსკვლავთა ხმებით უნდა ავსილიყო. და ამ ხმათა წკრიალში გადაშლილიყო საირმე-ხატისმთიდან დანახული

ზღვა — უნაპირო, ცისკიდემდე მისული და თითქოს ზეცას შეყუდებული, ოღონდ ზღვა არა წყლისა, არამედ მწვერვალებისა, მთებისა, მთაგრეხილებისა, ქედებისა, და აღელვებული, აზვირთებული, ატოტვილი და გაშეშებული, როგორც ხმელეთი, მყარი, მაგრამ მზისა და ჰაერის მეორე დიდ ზღვაში სილურჯის, სიმწვანის, თოვლისფერისა და ოქროსფერის ათინათში მონანავე... მწვერვალებით არილის გამპობი და ყველა ცის ერთდროული ნაპირი...

ეს ხელშესახები ხატიც და სულიერებაც უნდა მოგეტანა ჩვენამდე, განგეცდევინებინა და აგეყოლიებინეთ ლექსით, ვიდრე „ჰეფისოვიეტიკუსის“ ციკლშიც ამოიზიდებოდა და თავის მადლს მიმოაფრქვევდა ამ ორიგინალური აღნაგობის წიგნს, ყრმობის მოგონებანიც რომ არის და ნოველებიც ერთდროულად, კვალში რომ უნდა ჩადგომოდა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“ და იორის ხეთა ჩრდილებს არაგვის ხეთა ჩრდილები შემორეოდა.

როგორღაც რომ მიყრუვდებოდა ეს წიგნი, მისი მხატვრული ძალმოსილება სალომე კაპანაძეს არ გამორჩებოდა და გვერდით ამოუყენებდა შენს პოეზიას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ლიტერატურის ის უკეთესი ნაკადი, დასავლური სამწერლო პროცესების სრულუფლებიან მონაწილედ რომ უნდა გვაქციოს ჩვენი ფიქრით, ტკივილით, სიხარულითა და პოეტური დღესასწაულებით.

დიკენსიანას აღორძინება

(დღიურის ფურცლებიდან)

— ვერანაირი სქელი ნისლი, ვერანაირი ღრმა ტლაპო და ჭაობი, სადაც კაცი გზააბნეული ფართხალებს, ვერ შეედრება ყველაზე გამანადგურებელი და დაობებული ცოდვის — საკანცლერო უზენაესი სასამართლოს ამჟამინდელ მდგომარეობას ღვთისა და კაცის წინაშე.

ამხელა იუმორი, ამხელა სარკაზმი რომ მომმადლებოდეს, დიკენსური, ეს სტრიქონები ჩემი დაწერილი მეგონებოდა.

თუმც ჩემი ნათქვამი უკვალოდ ჩაიკარგებოდა.

ინგლისის მთავრობამ კი იცოდა, რომ მწერლისათვის ანგარიში უნდა გაეწია და ამიტომაც უგდებდნენ ყურს ჩარლზ დიკენსისა თუ სხვა შემოქმელთა კრიტიკულ მოსაზრებებსა და შეხმიანებებს.

არ გაუწევდნენ და, ჩარჩებოდა მათი უზენაესი სასამართლო იმავე ყოფაში, ვერანაირი ტლაპო და ჭაობი, ვერანაირი გამანადგურებელი ცოდვილი რომ ვერ შეედრებოდა, თორემ სქელ ნისლს კიდევ ვინ ჩივის!..

დიკენსური შეფასება შეფასებად, მაგრამ „ლიტერატურული გაზეთის" 19 მარტის ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია „საკანცლერო სასამართლოში" — ფრაგმენტი რომანიდან „ცივი სახლი" — გვაუწყებს, რომ ჩარლზ დიკენსის ამ რომანსაც უნდა ველოდეთ ჩვენს მშობლიურ ენაზე.

თანაც რარიგ ამეტყველებულს:

რაკიღა ნინო ქაჯაია მოჰკიდებდა ხელს, კიდეც უნდა ვიგულისხმოთ — და ეს ფრაგმენტიც ადასტურებს — თარგმანი სწორედაც დიკენსის შესაფერისი იქნება, ანუ — მოხდენილად შეენაცვლება ერთმანეთს დრამატიზმი და იუმორი, ეს ორი გა-

მოკვეთილი ნაკადი დიკენსურ თხრობაში, ერთ-ერთის გაფერმკრთალება — რომ აღარ ითქვას მიყრუება თუ დაკარგვა — ძალიან რომ დააზიანებს ამ თხრობის დიდებულებასა და შთამბეჭდაობას.

იყო დრო ქართველ მკითხველ საზოგადოებაში, ჩარლზ დიკენსი მოდურ მწერლად რომ მიიჩნეოდა.

მერე ძველმოდური გახდებოდა.

ძველმოდურობა უმეტესწილად მიანიშნებს, რომ მერე მთლად უკანა პლანზეც უნდა გადაინაცვლოს მწერალმა, მაგრამ სწორედაც უმეტესწილად და არა ყოველთვის, ბედნიერი გამონაკლისთა შორის რომ აღმოჩნდებოდა ჩარლზ დიკენსიც, კვლავ რომ მოდურ მწერალთა შორის დაიკავებდა ადგილს, გამომცემლობებიც ძალიან რომ დაინტერესდებოდნენ.

და „ცივი სახლიც" თავის ლაზათსა და მომხიბვლელობას შეჰმატებს დიკენსიანას აღორძინებულ ნაკადს.

განა რამე

(დღიურის ფურცლებიდან)

— მიყვარს ხათუნა ცხადაძის მიერ ნათარგმნი იტალიური რომანები.

ჯერ ისედაც საგულისხმო ფრაზაა, სანატრელი შეფასება, უმთავრესად მაინც ალბათ უმბერტო ეკოს რომანებს რომ გულისხმობს: „ვარდის სახელი“ და „პრაღის სასაფლაო“; და მთლიან კონტექსტში კიდევ უფრო მეტყველიც ხდება.

მთლიანი კონტექსტი კი ისაა, კიდევ ერთხელაც რომ უნდა გაეხსენებინა ზაალ სამადაშვილს ლუის ბიუნუელის წიგნში ამოკითხული ამბავი სიურრეალისტთა ძველი თამაშის შესახებ „რა მიყვარს და რა — არა“ და ორივე სია შეედგინა.

რა უყვარდა და:

ბორხესის მიერ შეგროვებული ჯადოსნური ამბები; ძველი, ჟანგიანი ბლუზი; ირლანდიური ლუდი; ფურნის პურის დაჭრა მკერდზე მიბჯენით; გოლფის კეპი; წიგნების კითხვა ბავშვებისათვის; სეზანის „ბანქოს მოთამაშეები“; ნეორეალისტური კინო; საუბარი წიგნის მაღაზიის კონსულტანტებთან; ხაზებიანი საწერი ფურცლები; რბილგრაფიტიანი ფანქრები; აკორდეონი; ფეხით სიარული; მრგვალძირიანი და სქელლანჩიანი ბათინკები; ჯიბის საათი ძეწკვით; ზამთარი...

და ამ ფონზე უნდა ჩართულიყო იმ ერთი ტევადი ფრაზით შეფასებული მთარგმნელობითი ღვაწლი ხათუნა ცხადაძისა.

რა არ უყვარდა და:

ქარიანი ამინდი; საშინელებათა ფილმები;

თვითმფრინავით მგზავრობა; კაკაო; მდიდრული სასტუმროების ჰოლები; მარიხუანა; ლიტერატურული ტექსტის „მოჩუქურთმება“; ისტორიები ეგრეთწოდებული კოლორიტების

შესახებ; ყოვლისმცოდნეობა; დომინოს თამაში; გვიანობამდე ძილი; ჰემინგუეის დაკნინება; ფიოდორ დოსტოევსკის განდიდება; ჰალსტუხი; სამეჯლისო ცეკვები; წვეტიანი, პრიალა ფეხსაცმელი; დღის მონაკვეთი ოთხიდან შვიდამდე; აფორიაქებასთან ბრძოლა აბებით; „მონანიებისა“ და „დათა თუთაშხიას“ ფრთიანი ფრაზები...

სურვილი გიჩნდება, შენც აჰყვე მწერალს ამ სიურეალისტურ თამაშში და შენი სიაც ჩამოწერო ერთი ნაწილისა იმ ყველაფრიდან, რა გიყვარს და რა — არა, თავისებური ფსიქოლოგიური ტესტის მნიშვნელობა რომ ექნება, მაგრამ ლიტერატურული — უკვე აღარ, რაკიღა მთავარი ეს მიგნება გახლდათ, სიურრეალისტური თამაში მინიატურის ქარგაში რომ უნდა მოქცეულიყო, ერთ-ერთ ჩინებულ ნიმუშად იმ რკალისა „მოკლედ და მარტივად“ — 19 მარტის „ლიტერატურულ გაზეთს“ რომ უნდა გამოექვეყნებინა და ერთხელ კიდევ განგვეცადა თავისებურებაც და მომხიბვლელობაც იმ ჟანრისა, რომლის საზღვრების დადგენაც ძნელია და... არც არის საჭირო, რაკიღა ეს ჟანრობრივი ნაზავი — მოგონებაც რომ არის, ნოველაც, ესეიც, კრიტიკული განსჯაც, პუბლიცისტიკაც — უკლექტურად კი არ წარმოგვიდგება, არამედ შინაგანი ჰარმონიით გაწონასწორებულად.

სხვა ნიმუშში — „განა რამე...“ — ზაალ სამადაშვილი ინატრებდა ისეთი ციკლის არსებობას, რომელშიც ერთი შეხედვით უბრალო, უმნიშვნელო ამბები და შთაბეჭდილებანი გაერთიანდებოდა, ისეთები, სხვა თუ არაფერი, გუნებას რომ გამოგიკეთებდა დადარდიანებულს.

და ინატრებდა იმიტომ, რომ ეს ამბავიც იქ შეეტანა:

გვიან ღამით შინისაკენ აჩქარებული თავის ქუჩაზე ვიღაც კაცს უნდა დასწერდა, რწევით მიმავალს, სავარაუდოდ — ნასვამს, და რამდენიმე ნაბიჯით მიახლოებულს უნდა გაეგონა მელოდია, რომელსაც ის უსტვენდა...

ძველ კინომუსიკას — ნიუ იორკში, დილაადრიან, ტიფანის მაღაზიის ვიტრინასთან რომ საუზმობდა ულამაზესი გოგო, იმ სცენის თანმხლები...

რაღაცნაირად უნდა ესტვინა, გულმოდგინედ, გემოს ჩატანებით...

და ესეც აღარ იჩქარებდა, ნელა გაჰყვებოდა უკან...

და გაუჩნდებოდა სურვილი, რომ იმ ნანატრი ციკლისათვის ამ ამბის სახელი დაერქმია: „განა რამე...“

თუმც... რაღა ნანატრი:

ეს რკალი ასეც შეიძლებოდა დასათაურებულიყო, და თუ სხვა სახელწოდებას შეურჩევდა, თავით ბოლომდე მაინც ამ განწყობილებებზე მოიქსოვებოდა, თითქოსდა არაფრიდან ამოზრდილ მძაფრ, გაუნელებელ, დაუვიწყარ, გადამდებ შეგრძნებებზე.

ასე „არაფრიდან“ შეეძლო შეექმნა შთამბეჭდავ მინიატურათა მთელი წყება თუნდ რევაზ ინანიშვილს.

ასე „არაფრიდან“ შეეძლო გამოეწურა თავისი სათქმელი თუნდ ჯემალ ქარჩხაძეს.

ასე „არაფრიდან“ შეთხზული ზაალ სამადაშვილის არაერთი მინიატურაც შეიძლება მოგვაგონდეს, მაგრამ ეს რკალი მთლიანად ასეთია, თავისი მოულოდნელი გადასვლებით:

სიყმაწვილეში ნანახი ფილმები იქნება, თანდათან ჟან გაბენის სახებამაც რომ უნდა შემოგვანათოს, ნაპოლეონ ბონაპარტისაც, ერნესტ ჰემინგუეისაც, გალაკტიონ ტაბიძისაც — რეზო ჭეიშვილის ნოველის პერსონაჟად, „ლაზარილიო ტორმოსელის თავგადასავალმაც“ უნდა ამოჰყოს თავი და ფეხბურთელთა სილუეტებიც ჩაიხატოს — ალექსანდრე დოროხოვი იქნება თუ სტენლი მეთიუზი.

ძველ ფოტოსურათზე შემორჩენილ, აწ კი გამქრალ იმ მოედანსაც უნდა მიეძღვნას თავისებური რეკვიემი, რუსთაველის გამზირი, უფრო სწორად — მისი დიდი და ხალხმრავალი მონაკვეთი რომ იწყებოდა და ქალაქის ის ერთადერთი ყავახანაც ამშვენებდა — „შავი ყავა“ — რომელზეც ყმაწვილობისას ბევრჯერ სმენოდა, იქ მხოლოდ კალაპოტიდან ამოვარდნილი და საზოგადოებისაგან განაპირებული ხალხი დაიარება — ქუჩის ბიჭები, მოგიჟო მწერლები და ლოთი მხატვრებიო...

დედასთან ერთად არაერთხელ რომ დაელია ამ კაფეში სურნელოვანი კაკაო, ვერადავერ გაიხსენებდა ირგვლივ მსხდომთა შორის ვინმე ისეთს, ვინც შლეგის, სახიფათო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

და თავისებური დითირამბი უნდა მიძღვნოდა იმ ქალებსა და კაცებს, რომელნიც ხელმოკლეობას არ ეპუებიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავიანთ შვილებს ცხოვრება გაულამაზონ. და მთელი დღის ჯაფით გადაღლილ-გადაქანცულები ხანდახან იმასაც რომ ახერხებენ, ერთი ზღაპარი, ერთი თავი წაუკითხონ ფერადყდიანი წიგნებიდან, რათა პატარებმა მხიარული სიზმრები ნახონ.

თვითონ კი რას ნატრობს ზაალ სამადაშვილი?

პატერსონი რომ იყოს პატარა ქალაქ პატერსონიდან, ის ახალგაზრდა კაცი, ავტობუსს რომ დაატარებს ქუჩებში და მგზავრების საუბრებს ისმენს, ლექსებსაც წერს და... იმ ლექსებით საავსე ბლოკნოტის განადგურების შემდეგ ახალი, ცარიელი რომ უნდა აჩუქონ... და ახლა იქ განაგრძოს წერა...

ეს ან ამდაგვარი ნატვრა თუ მოუხდებოდა მინიატურათა ამ რკალს, აღვსილს ყოფითობის პოეზიის, სიზმრებისა და ოცნებათა ნაპერწკლებით...

განა რამით... განა რამით...

დაბვენილი და ფეთქებადი თხრობით

(დეპეშად ეკატერინე ტოგონიძეს)

ეკატერინე,

ქართველ ქალთა პროზის ნამდვილი ბუმია, მხოლოდ მოთხრობები კი არა, იმისთანა რომანები ლაგდება ერთიერთმანეთზე აგერ ჩვენს თვალწინ, დიდ და ძლევამოსილ ქვეყანას რომ შეჰფერის; და თუ სახელმწიფოებრივად ვერადავერ გავმართულვართ წელში, მხატვრული აზროვნებით — პოეტური და ბელეტრისტული მიღწევებით — არავის დავუვარდებით.

და ამ მდინარებაში ისე კანთიელად, ისე ხელშესახებად უნდა გამოკვეთილიყო ჩვენი ქალების წარმატებული ნაბიჯები რომანისტიკაშიც.

პროზის ბუმი და... უშენოდ?

და ამიტომაც მოელოდა მკითხველი „ასინქრონის“ შემდეგ კიდევ ერთ ჩინებულ ეპიკურ ქმნილებას შენგანაც.

და „ლიტერატურულმა გაზეთმა“ 19 მარტის ნომერში ჩვეული გულუხვობით დაუთმო შენს მეორე რომანს — „შინ — შენ“ — სამი ფურცელი და კიდეც გაგვიღვივა ცნობისწადილი, გამორჩეული სიამოვნება რომ მოგველის.

თხრობის ხელოვნება, ფსიქოლოგიური ჩაღრმავება თუ ყოფითი დეტალების ზუსტი შემჩნევა-წარმოჩენა ამ მოზრდილ ფრაგმენტშიც საკმაოდ თვალნათლივ ცნაურდება, ამ ურთულეს თემას რომ შებედავდი: საკენ-ჭუბერის ტრაგიკული, ჯოჯოხეთური გზის წარმოსახვას — კინოფილმში მონაწილე გმირის, ნიას, თვალითა და ხელშესახები განცდით, ბოლომდე რომ შეიგრძნობს იმ ტრაგიკულ მსვლელობას, რაც ისედაც შიგნიდან ჰქონდა დანახული იმ გზაზე გადმოსული დედამთილისა და ქმრის — იმხანად პატარა ბიჭის — ნაამბობების გამოისობით.

და უკვე ველარც გაურჩევია, დროდადრო რომ ესმის გამწარებული ბავშვების ტირილი, ქალების კვნესა-გოდება და კაცების გმინვა, ჩანაწერია ჩართული თუ მართლა ბღავიან ეპიზოდური როლისათვის დაქირავებული გაწამებული ბავშვები.

და კიდეც უნდა წაიშალოს ზღვარი სამუშაო საათებსა და აქ გაჩერებულ დროს შორის, პროფესიასა და ადამიანის უფლებებს შორის, რეალობასა და ფილმს შორის.

და ამ ყოველივეს დეკლარაციულად კი არ გვაუწყებ, არამედ განგვაცდევინებ კიდეც, შენს დახვეწილ და ფეთქებად თხრობას როგორც შეშვენის.

და გვეიმედება „სულაკაურის გამომცემლობისა“, დიდხანს რომ არ გვალოდინებს.

ჩვენი ცხოვრება სკილასა და ქარიბდას შორის

(დღიურის ფურცლებიდან)

შეიძლება განა, ერთ რკალში რომ მოექცნენ ჰომეროსი, ლევ ტოლსტოი და ჯორჯ ორუელი?

რატომაც არა, თუკი თემურ გაბუნია გადაწყვეტს, ასე რომ ეხერხება ორიგინალური მიგნებაც თემისა და ღრმააზროვანი გაშლაც, თან სტილურად ისე დახვეწილად, ესეის ჟანრს რომ შეჰფერის.

და „ლიტერატურულ გაზეთსაც“ თუ რაიმე ამშვენებს, მათ შორის თემურ გაბუნიას ესეების ხშირი გამოქვეყნებაც, 19 მარტის ნომერში სწორედ ამ მწერლურ რკალს რომ გავეცნობოდით: „ორადობის მიღმა“, აგებულს იმ საფიქრალ-სატკივარზე, თანამედროვე ადამიანს ხშირად რომ უწევს შეხება ორ მკვეთრად განსხვავებულ თვალსაზრისსა თუ მსოფლმხედველობასთან, რომელთაგანაც არც ერთია სულიერებისათვის სასარგებლო და არც მეორე. და თითქოს ადრეული ასაკიდან რომ გვამზადებენ ხელოვნურად შექმნილ ორადობასთან შესაგუებლად, საყმაწვილო თხზულებებსა და ანიმაციურ ფილმებში ამიტომაც სიკეთე კი აღარ უპირისპირდება ბოროტებას, არამედ: თეთრი მაგია — შავს.

და თემურ გაბუნია შეეცდებოდა წარმოეჩინა, თუ როგორ მიისწრაფოდნენ სხვადასხვა ეპოქის ეს დიდი მწერლები ორადობის მიღმა გასაღწევად, ოქროს შუალედის საპოვნელად, იმ საფრთხეებისა და დაბრკოლებათა აღმოსაჩენად, ადამიანსაც რომ ემუქრება და სახელმწიფოსაც.

ჰომეროსი თითქოს მრავალთვალა ქერუბიმივით ორ სივრცეში რომ ჭვრეტდა მარადიულ დაბრკოლებებს — შინაგანსა

და გარეგანში, მოხეტიალე კლდეები, სკილა და ქარიბდა, იმ სიმბოლოებად უნდა დაესახა, რომელთაგან თავდაღწევაც ოდისევსს თუ შეეძლებოდა და არგონავტებს.

ამ და სხვა საშინელ განსაცდელებზე მეტად ის შეთავაზებანი უნდა ყოფილიყო ოდისევსისათვის ყველაზე მაცთური, ერთი მხრივ უკვდავებას რომ ჰპირდებოდნენ და მეორე მხრივ დოვლათითა და სიუხვით სავსე ქვეყნის ბასილევსობას.

ახალ დროებაში სკილასა და ქარიბდას შორის მოქცევას დაედარებოდა იმ თეორიების ირგვლივ ამტყდარი პოლემიკა, ორად რომ ხლეჩდა საზოგადოებას.

მკეთრი დაპირისპირებებისას თავის როლს ასრულებდა საიდუმლო ღვთისმსახურება, ლევ ტოლსტოიც რომ წარმოსახავდა რომანში „ომი და მშვიდობა", თუ როგორ იზიდავს ასეთ საძმოში გაწევრიანებულ პიერ ბეზუხოვს ბრჭყვიალა ლოზუნგი: ძმობა, ერთობა, თავისუფლება — რომელსაც 1917 წლის სისხლისღვრამდე უნდა მიეყვანა რუსეთი.

ხოლო ჯორჯ ორუელის რომანს „1984" უნდა ეწინასწარმეტყველა ის რეალობა, რომელშიც საქართველოც აღმოჩნდებოდა ჩათრეული, როგორც რუსეთის წითელი იმპერიის ნაწილი, შემდგომ კი პოსტსაბჭოთა ხანაც ვერ მოგვიტანდა სიკეთეს, რაკილა სამხედრო გადატრიალების გამოისობით დამოუკიდებელი ქვეყნის ცხოვრება ველარ წარიმართებოდა ბუნებრივი გზით.

და ჩვენც უნდა გვეწვნია, თუ რას ნიშნავს:

მოაზროვნე ადამიანის შერაცხვა პარტიის მტრად.

საზოგადოების ზომბირება.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ადამიანის დასამონებლად.

გამუდმებული თვალთვალის შიშით ადამიანში ადამიანურობის ჩაკვლა.

ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ.

ოჯახის ინსტიტუტის გაუქმების მცდელობა.

მასობრივი რეპრესიების მეშვეობით ცრუ, მორჩილი ელიტის შექმნა — მოწამეობრივი სიკვდილი რომ უნდა გაუქმებულიყო, რადგანაც მთავარი გახდებოდა არამარტო მოწინააღმდეგის მოკვდინება, არამედ დისკრედიტირებაც.

თვისობრივად ახალი, უწარსულო, უმეხსიერებო საზოგადოების შექმნის მცდელობა.

ღვთის რანგში აყვანა ლიდერისა.

საიდუმლო ინფორმაციასა და ადამიანის მეხსიერებაზე სრული კონტროლი.

ესეც ის მისწრაფებანი, რასაც ორი ურჩხული — მმართველი პარტია და ანალიტიკური ცენტრი — საკუთარი მოსახლეობის დამონებას ესწრაფოდნენ ჯორჯ ორუელის ორაკულური ხედვით.

მეტად საგულისხმოა თემურ გაბუნიას ესეის ბოლო მონაკვეთიც, რომელიც თომას მანსა, მაქსიმე აღმსარებელსა და სოკრატეზე დაყრდნობით ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ შესაძლოა უამრავი ადამიანი ცდებოდეს, ერთეულები კი — არა.

მთელ ესეის კი შინაგანად ანათებს მაქსიმე აღმსარებლის შეგონება, შემაგულიანებელიც და დამანამუსებელიც ერთსადაიმავე დროს, გააჩნია, ვისთვის როგორ:

— ჭეშმარიტებაზე გაჩუმება იგივეა, რაც მისი უარყოფა.

გარეგნული ქარგაც კოშკს დასადარი

(გალაკტიონოლოგიის კიდევ ერთი შენაძენი)

მძიმე, დამჯაფველ, ლამის გაუსაძლის და ყოვლად უმადურ გარჯად მიჩნეულიყო: ლექსიკონის, ენციკლოპედიის, სიმფონიის, საძიებლის, ბიბლიოგრაფიის, მატიანის შედგენა.

რამდენადაც სახალისოდ იწყებოდა, იმდენადვე მოსაბეზრებელი ხდებოდა, ძლივას რომ უნდა მიგეტანა ბოლომდე... და დამფასებელი აქა-იქ თუ გამოუჩნდებოდა: ვინ აღარ გამოიყენებდა, ვინ აღარ შეირგებდა მზამზარეულს, ამ გადამქანცველი შრომის შემსრულებლებს კი მეცნიერებად არც მიიჩნევდნენ — უკეთეს შემთხვევაში მეორეხარისხოვან როლს არგუნებდნენ.

მაგრამ დადგებოდა დრო, როდესაც ეს დამჯაფველი გარჯა შესაფერისადაც დაფასდებოდა და თუნდ მცირე ლექსიკონის შემდგენელსაც, ისევე როგორც მცირე ენციკლოპედიის, სიმფონიის, საძიებლის, ბიბლიოგრაფიისა, შესაფერი პატივი მიეგებოდა.

ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონოლოგიური მატიანე კი როგორლაც დაიჩაგრებოდა.

ალბათ იმიტომაც, ბევრი არ მოგვეძევება ამ ყაიდის წიგნები — და თუმც რაც არის, უდავოდ ფასეულია — თავი გაქვს გადასადები ამ რკალისათვის ახალი ნიმუშის შესამატებლად.

და აი მამუკა შელეგიას უნდა ედო თავს „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის“ შედგენა მას შემდეგ, რაც გალაკტიონოლოგია სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდებოდა და თეიმურაზ დოიაშვილი ყველას თავთავის სამოქმედო ასპარეზს შეურჩევდა.

ხომ უნდა გვქონოდა ხელთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემული ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ამ რჩეული შემოქმედისა, ერთმანეთს მიწყობოდა დეტალურად, გამოწვლილვით მოძიებული ფაქტები, მოვლენები, თარიღები, და გამოკვეთილიყო ისტორიულ-ბიოგრაფიული დოკუმენტური სურათი, უფრო კი პანორამა, მკვლევარის საქმიანობის წლებს რომ წაიღებდა.

და ასე მალე (მალეა განა?!) ბოლომდე ვერც მივიდოდა და ორ წიგნად გაიყოფოდა, პირველი წიგნი 1891-1933 წლებს რომ მოიცავდა. და რა კარგია, რომ ეს მონაკვეთი უკვე ხელთა აქვს მკითხველს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის წყალობით.

„მატიანეს“ დაერთვოდა გალაკტიონის ნაწარმოებების ანბანური საძიებელი, ფსევდონიმთა ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები.

ნეტა პირთა საძიებლის დართვაზეც ეზრუნა მკვლევარს, კიდევ უფრო რომ გააადვილებდა „მატიანით“ სარგებლობას.

შესაძლოა ამგვარი საძიებელი მეორე ტომის ბოლოშია გათვალისწინებული, მაგრამ რაკიღა ორწიგნეული ერთად არ გამოცემულა და მეორე ტომს ჯერაც უნდა ველოდოთ, ბარემ აქვე გვქონოდა ხელთ გზის მაჩვენებლად.

წიგნში გათვალისწინებულია პერიოდიკაც, საარქივო მასალებიც და გამოკვლევებიც, წვეთ-წვეთობით და ნაბიჯ-ნაბიჯ რომ არის გამოწურული თვითეული რეალია, რათა ხელშესახებად გამოიკვეთოს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და მწერლური ღვაწლის გარეგნული ქარგა, ეს გარეგნულიც რომ გრანდიოზულ კოშკს მოგვაგონებს, არამცთუ მისი პოეტური სამყარო.

ერთი ლაფსუსი კი გაიპარებოდა:

მამუკა შელეგია დაეყრდნობოდა ვახტანგ ჯავახაძის დაკვირვებას, რომ:

ფსევდონიმი პეტრონიუსი — ლათინური დაწერილობით — ეკუთვნოდა გალაკტიონ ტაბიძეს, და ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სამი ფრანგი პოეტის — გიიომ აპოლინერის, ჟან კოკტოსა და ბლეზ სანდრარის — ლირიკული ნიმუშებიც —

„კროკსები“, „მუზები (ოდა პიკასოს)“ და „კოშკი“ — მის მიერ გადმოღებულიყო.

ეტყობა ველარ მოესწრო გათვალისწინება ვახტანგ ჯავახაძისავე შესწორებისა, დაბეჯითებით რომ დაადასტურებდა ამ ფსევდონიმის ნამდვილი ავტორის ვინაობას, და შესაბამისად ამ სამი ლექსის მთარგმნელისა:

პავლე ინგოროყვა რომ აღმოჩნდებოდა.

ისე მოხდებოდა, რომ:

პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში მეც გავიზიარებდი ვახტანგ ჯავახაძის იმ პირველ დაკვირვებას, თუმც მისტიკურ რომანში „თვითმკვლელობა ქართულად“ უკვე გავითვალისწინებდი იმ ასერიგად მნიშვნელოვან შესწორება-დაზუსტებას.

ესეც არის:

„გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ არამარტო მკვლევარები გამოიყენებენ, არამედ ისეა აწყობილი ეს გარეგნული ქარგა, რომანივით იკითხება, და მამუკა შელეგიას ცოტა ამბიციურობა რომ აწუხებდეს, „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ პოსტმოდერნისტულ რომანადაც გამოაცხადებდა.

ჩვენს ფსევდოპოსტმოდერნისტებს ამ წიგნის მეათედიც რომ გაეკეთებინათ, ყურებს გამოგვიჭედავდნენ ცისფერი ეკრანებიდან, ჯერ ისედაც არ გვაკლია მათი გნიასი.

თუმც რა დროს ფსევდოებია, იმისთანა წიგნი გვიპყრია ხელთ — მეორე ტომის მოლოდინში.

ისე ეს წიგნი ნამდვილად არ გამერჩევა პოსტმოდერნისტული რომანისაგან და... თქვენი შეფასებისა კი თქვენ იცოდეთ!..

სნობური სულის ბრწყინვალება და სიღატაკე

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩარლზ დიკენსის პოპულარობა ყველასა და ყველაფერს რომ წააჭარბებდა დიდ ბრიტანეთში და უამრავი ადამიანი მოინდომებდა მასთან დაახლოებასა თუ მასთან გახახუნებას, უილიამ თეკერეიც გაერეოდა მარაქაში და მოიწადინებდა დაესურათებინა „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, რომელიც ნაკვეთ-ნაკვეთ ქვეყნდებოდა.

მაშინ თეკერეის მხატვრად მოჰქონდა თავი და მიაჩნდა, რომ ყველა ხელობაზე მეტად ხატვა ემარჯვებოდა და ეხალისებოდა; მაგრამ არ გაუმართლებდა დიკენსის რომანის ილუსტრატორობა, სხვა რომ აჯობებდა ამ ხელოვნებაში; თუმც მათი სახელები მაინც უნდა გადაჯაჭვოდა ერთმანეთს, სადაც ერთს ახსენებენ, უსათუოდ მეორედ რომ უნდა გაიხსენონ ხოლმე, და ეს იმიტომ, თეკერეი ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნებდა თავის ნამდვილ საქმეს — თუმც მხატვრობაში ხელისმოცარვის შემდეგ იურისპრუდენციის შესწავლას ჩაუჯდებოდა და როდის-როდის გაიხედავდა მწერლობისაკენ — და ლიტერატურულ კარიერას დააგვირგვინებდა სახელგანთქმული რომანით „ამაოების ბაზარი“, რომლის შესანიშნავი ორეულიც მოგვეპოვება ქართულად ალექსანდრე გამყრელიძის წყალობით.

„ამაოების ბაზარი“ აზიდავდა სწორედ თეკერეის დიკენსის გვერდით, თავისი წარსული, როგორც მხატვრისა, იმ მხრივ რომ იჩენდა თავს, რომანს ქვესათაურად რომ მიაწერდა: კალმითა და ფანქრით ნახატი სურათებიო.

ქართულად პირველად რომ დაიწერებოდა სტატია თეკერეიზე, ნიკო ნიკოლაძე ასე დააწყვილებდა ამ ორ მწერალს სათაურშივე: „დიკკენსი და ტეკკერე“.

მოგვიანებით მარიკა ოძელის მონოგრაფიული ნაშრომიც ამ ორ მწერალს უნდა მიძღვნოდა: „ჩარლზ დიკენსი და უილიამ თეკერეი ქართულ ლიტერატურაში“.

და ასევეც გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთის უზღვავი იუმორი მსუბუქი ირონიისაკენ უფრო იხრება, მეორისა კი — სატირისაკენ.

ალექსანდრე გამყრელიძე უილიამ თეკერეისადმი მიძღვნილ სტატიაში იმასაც გაიხსენებდა, რომ:

როგორც კი პოპულარული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „პანჩი“ დაარსდებოდა — 1841 წელს — მწერალი მაშინვე მისი თანამშრომელი გახდებოდა და პირველად აქ გამოაქვეყნებდა მოთხრობების სახით „სნობების წიგნს“ 1846 წელს — ასეც რომ იხსენიება ეს ორიგინალური თხზულება „ინგლისელი სნობები“.

და გვამცნობდა იმასაც:

სიტყვა „სნობის“ თანამედროვე მნიშვნელობა თეკერეის დადგენილი რომ გახლავთ.

თავდაპირველად — როცა კემბრიჯში ამ სახელწოდების ორგანოს ბეჭდავდნენ — ის თავისი ცხოვრებით კმაყოფილ, უბრალო, ჭკუაშეზღუდულ მოქალაქეს აღნიშნავდა.

მაგრამ უილიამ თეკერეი ამ სიტყვას გაცილებით ფართო, განმაზოგადოებელ მნიშვნელობას მიანიჭებდა და მის გამოსარჩევ მთავარ ნიშნად მიიჩნევდა სნობის დამოკიდებულებას ამა სოფლის წარჩინებულთა და მდაბალთადმი.

სნობი დიდებულთა წინაშე მიწას უნდა გართხმოდა.

მდაბალნი კი ჩაეწიხლა.

თავი გამოედო სიმდიდრითა და წარჩინებულობით, ცდილიყო გამოჩენილი კაცის სახელის დაგდებას, სინამდვილეში კი ერთი უბადრუკი რეგვენი ყოფილიყო.

და მწერალს „სნობების წიგნში“ ამ ტიპის ადამიანთა მთელი გალერეა უნდა შეექმნა.

ალექსანდრე გამყრელიძე „ამაოების ბაზრის“ პერსონაჟთაგან საგანგებოდ გამოარჩევდა ჯოზეფს, როგორც ტიპურ სნობს:

ზარმაცს, დონდლოს, ბაქიას, ღორმუცელას, ჯაბანსა და თანაც ერთობ პატივმოყვარეს, მამამისიც კი ასე რომ დაახასიათებდა მეუღლესთან საუბრისას:

— ეს ბიჭი სულ მხოლოდ თავის თავისთვის ოცნებობს და ფიქრობს, რა კარგი ვარო... ამ ჯეელს ჩემი ქონების ნახევარი უნდა დავუტოვო და თავის საკუთარიც ბევრი ექნება... მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენ, მე და მისი და ხვალვე რომ დავიხოცოთ, იტყვის „ღმერთო, შემიწყალეო“, და წინანდებურად არხეინად მიაძღება სადილს.

და არ უკვირდა მთარგმნელს, ასეთი უნიათო და მშიშარა ყმაწვილი ცხოვრებაში ყოველი მტკიცე ნაბიჯის წინაშე რომ კრთებოდა, და სწორედ ეს აარიდებდა რებეკა შარპის მიერ გადაგდებულ ანკესს.

საგულისხმო და დამაფიქვრელია „ინგლისელი სნობების“ ქვესათაური:

„ერთი მათგანის მიერ დაწერილი“.

მთხრობელი სნობად გამოჰყავდა მწერალს, ხორცი ხორცთაგანად და სისხლი სისხლთაგანად იმ კარიკატურული გარემოსი, მაგრამ... თვითონაც თუ წაისნობებდა?

ონორე დე ბალზაკისა არ იყოს, ასერიგად რომ დასცინოდა და „შიგნავდა“ ზეპურ საზოგადოებას „ადამიანური კომედიის“ ფურცლებზე, ყოფით რეალობაში კი თავგამოდებთი ცდილობდა როგორმე მორგებოდა მათი ცხოვრების წესს.

ყოველ შემთხვევაში თეკერეი თავს სდებდა, რომ სნობების ყოფასა და ფსიქოლოგიას შიგნიდან წარმოსახავდა — არა მხოლოდ ქირურგის დაკვირვებით, არამედ — პაციენტისაც.

ამ ორმაგი ხედვის გამოისობით გადაგვიშლიდა თვალწინ მრავალფეროვან და გულისშემძვრელ გალერეას, იმისთანა ტიპაჟს ჩაგვიტარებდა დაუსრულებელ ნაკადად, მოუწყინარ საკითხავად რომ აქცევდა სატირულ პერსონაჟთა დაუმცხრალ სწრაფვას, ბევრად უკეთესებად მოეჩვენებინათ თავი საზოგადოებისათვის, ვიდრე სინამდვილეში ბრძანდებოდნენ.

ყოფილიყვნენ მინას გართხმულნი ძალაუფლების მქონეთა წინაშე.

სამაგიეროდ ჯავრი ეყარათ სოციალურად დაბლა მდგომებზე.

ჩარლზ დიკენსისა და უილიამ თეკერეის სახელები უნდა გადაჯაჭვოდა ერთიმეორესო...

და როდესაც პაატა ჩხეიძესთან ერთად მოვათავებდი ჩარლზ დიკენსის „ინგლისის საყმაწვილო ისტორიას“, რა გული გაგვიძლებდა, უილიამ თეკერეიც არ ამოგვეყენებინა მის გვერდით „სნობების წიგნით“.

ან გამომცემლობა „ინტელექტს“ როგორ გაუძლებდა გული, მხოლოდ „ინგლისის საყმაწვილო ისტორია“ გამოეცა და „ინგლისელი სნობების“ გამომზეურებაზეც არ ეზრუნა.

ჩიტი ნარზე იჯდა და ხელის აქნევასღა ელოდაო...

და ჩავაბარებდით თუ არა ჩარლზ დიკენსის იმ წიგნს, მაშინვე დაგვავალებდნენ უილიამ თეკერეის ამ წიგნის გადმოქართულებას, უკვე რომ მოვსინჯავდით სტილურ კამერტონს და მგონი... მგონი უკვე კიდეც ვიპოვნიდით თხრობის შესაფერის მანერას.

ისე დიდი გაბედულება კი უნდოდა ამის გაცხადებას:

ერთი მათგანის მიერ დაწერილიო!..

33 წვეთად სისხლისა

(დღიურის ფურცლებიდან)

რაზეა ეს წიგნი და:

როგორც მოკლე მინაწერიც გვაუწყებს:

უფრო ომზე, ვიდრე მშვიდობაზე!

შვილებდაკარგულ მშობლებზე, მერე თვითონაც რომ უნდა შეწირვოდნენ ომში დაღუპულ შვილებს!

ბავშვებზე, რომელნიც ერთ საათსა თუ ერთ დღეში უნდა გაეზარდა ომს, ხოლო გაზრდილთათვის სამუდამოდ მიესაჯა განგებას ბავშვის თვალები!

იმ ჭრილობებზე, ომი რომ აჩენს, მაგრამ მშვიდობა ხომ აშუშებს!

და კიდევ იმაზეა ეს წიგნი:

რომ უკვე დროა, ვილაპარაკოთ!

ასეცაა დასათაურებული:

„ვილაპარაკოთ — 33 ამბავი აფხაზეთზე".

იდეა და კონცეფცია ირაკლი შამათავას უნდა მოეფიქრებინა, შემდგენელ-რედაქტორად გვერდით რომ უნდა ამოეყენებინა ინა არჩუაშვილი, პროექტის კონსულტანტობა ირმა ბერიძეს მინდობოდა, და „ინტელექტს" დაელოცა გზა მკითხველისაკენ ამ მრავალმხრივი მნიშვნელობის გამოცემისათვის, მის მხატვრულ და პოლიტიკურ მიზანდაახულებას სულიერი ხიდის მისიაც რომ უნდა დაჰკისრებოდა.

ამ მისიას კი ამ რანგისა და სულისკვეთების წიგნი თუ შეასრულებს.

რანგის:

თანამედროვე ქართული პროზის სიმაღლეს ასე ხელშესახებად რომ აირეკლავს, მისი ზემოქმედების ძალას, მის სიღრმეს,

მის მასშტაბურობას, მის გაქანებას, მის შთამბეჭდაობას, ამხელა კრებულში — გააზრებული შედგენის წყალობით — ერთი ჩავარდნაც რომ არ შეინიშნება და მხოლოდ კარგ და უკეთეს ნიმუშებს მოუყრია თავი.

და სულისკვეთების:

„ვილაპარაკოთ — 33 ამბავი აფხაზეთზე“ სრულიად რომ გარიდებულა პუბლიცისტურობას და თავით ბოლომდე მხატვრული სულით აღვსილა.

და ის დოკუმენტური პროზის ნიმუშებიც, მოხდენილად რომ ჩართულა მათი ფრაგმენტები ნოველებისა და მოთხრობების ნაკადში.

რა ბევრი საერთოც უნდა ჰქონდეს დოკუმენტურ პროზასა და პუბლიცისტიკას, შეუიარაღებელი თვალით ხან ძალიანაც რომ ჭირს მათი გარჩევა, ერთი უმთავრესი ნიშანი მაინც განასხვავებთ:

ის, რაც შიშვლად და დაუფარავად, პროკლამაციის დაურიდებლობით უნდა ითქვას პუბლიცისტურ სტატიაში, უსათუოდ შეფარული უნდა იყოს დოკუმენტურ მოთხრობასა თუ რომანში — მხატვრულ პროზას როგორც სჩვევია, და მინიშნებებში, ქვეტექსტებში იყოს შესაძლებელი მათი ამოკითხვა.

ამ მხრივ სწორედ რომ სანიმუშოა ნაირა გელაშვილისა თუ შორენა ლებანიძის დოკუმენტური პროზა, აცილებული მათივე პუბლიცისტიკას, ამ წიგნსაც ასერიგად რომ დაამშვენებდნენ, მათ გარდა ეს ამდენი სახელიც რომ უნდა დატრიალებულიყო იმ სულიერი ხიდის აგების მონაწილეებად:

გურამ ოდიშარია თუ ირაკლი სამსონაძე, ვახტანგ კომახიძე თუ თამრი ფხაკაძე, ბექა ქურხული თუ ნინო გუგეშაშვილი, დათო ქარდავა თუ ირაკლი კაკაბაძე, კობა ცხაკაია და ირაკლი ლომოური, ნინო სადღობელაშვილი თუ მიხო მოსულიშვილი, ილია ჭანტურია თუ მანანა მენაბდე, გელა ჩქვანავა თუ დათო ტურაშვილი, კოტე ჯანდიერი თუ მარინა ელბაქიძე, რეზო თაბუკაშვილი თუ თეონა დოლენჯაშვილი, ბესო პაპასქუა თუ ნანა აკობიძე, ლადო კილასონია თუ მანანა დუმბაძე, ანდრო ბუაჩიძე თუ მარიანა ნანობაშვილი, ბესო ხვედელიძე თუ თეა თოფურია, ირმა მალაციძე, ბესო სოლომანაშვილი თუ მაკა მიქელაძე.

სწორედ რომ საუკეთესო მასალაა სალიტერატურო კრიტიკისათვის, ჯერ მარტო სოხუმური ფრთა რომ არ გაუშვებს ხელიდან და შემოგვთავაზებს მის დეტალურ, გამოწვლილვით ანალიზსა და შეფასებას.

33 ამბავი აფხაზეთზე — უმნიშვნელოვანესი, იქნებ გადამწყვეტი მოლაპარაკების საწინდრადაც.

შემთხვევითია ვითომ, მაინცდამაინც 33 ამბავი რომ უნდა თავმოყრილიყო?

იქნებ წინასწარგანზრახვით, იქნებ იდუმალი კანონზომიერებით...

ეს სულერთია — ამბავი ოცდაცამეტია და წარმოგვიდგება სიმბოლურ სურათად — თითო ნიმუში მაცხოვრის მიერ დადენილი სისხლის გაგრძელებად რომ აღიქმება, დიდ ტკივილებში გამოტარებულ სისხლის წვეთებად, ხელშესახებ შეგრძნებად იმისა, ეს ტრაგედია კვლავაც რომ გრძელდება და არც არასოდეს მოთავდება, თუკი გაწყვეტილი ძაფები არ აღდგება და აფხაზეთის მხარე კვლავაც განუყოფელი ნაწილი არ შეიქნება საქართველოს სახელმწიფოსი — აფხაზთა ერთადერთი გადამრჩენისა რუსული წყალდიდობისაგან.

33 ამბავი — 33 წვეთი სისხლისა და 33 ჭრილობა, გამზადებული და გამიზნული მოსაშუშებლად.

„პირველი სხივის“ პირველი შეფასება

(დღიურის ფურცლებიდან)

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ასეთი საფუძვლიანი განხილვა პერიოდული გამოცემის ერთი ნომრისა დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ისტორიაში აქამდე იშვიათზე იშვიათად თუ მომხდარა: „გალაკტიონოლოგიის“ ნომრების შეფასებისას.

წლის შეჯამებაც კი არ მოგვაგონდება. ერთი რა არის, ერთიც კი...

და საგულისხმოა და ნიშანდობლივიც, „პირველი სხივის“ განახლებულ პირველ ნომერსაც რომ ერგებოდა ეს პატივი.

თავყრილობა გაიმართებოდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ 93-ე აუდიტორიაში, რომლის სისხლსავსე ყოფასაც ასეთი ხელოვნებით, ასეთი დაუშრეტელი იუმორით წარმოსახავდა ნოდარ დუმბაძე რომანში „მზიანი ღამე“, ამჯერად კი ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ითავებდა ამ პროცესის წარმართვას.

გიორგი შარვაშიძე, უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი, „პირველი სხივის“ განახლების პირდაპირ ნიკო კეცხოველთან რომ გასდებდა ხიდს (მისი შესანიშნავი პორტრეტიცაა ჩახატული „მზიან ღამეში“), შეპირებული გახლდათ, თუკი კარგად აეწყობოდა საქმე და გაამართლებდა ეს წამოწყება, ერთის ნაცვლად, წელიწადში ორი ნომრის გამოცემა ეთავა, და რაკიღა რედაქტორი გიორგი ლობჟანიძე სავსებით გაუმართლებდა (და კიდეც გადააჭარბებდა მოლოდინს!) და „პირველი სხივის“ პირველ წიგნს ასერიგად მოიწონებდა მკითხველი საზოგადოება, შეხვედრაზე გამოსვლისას განაცხადებდა:

— წელს შესაძლოა სამი, ის კი არა, ოთხი ნომერიც გამოვცეთ!..

თუ ასე აიყოლიებს მკითხველს „პირველი სხივი“, რატომაც არა!..

იმ მომხსენებელთაგან, რომელნიც გადაინაწილებდნენ ალმანახის რუბრიკებს, თვითეულსაც შეეძლებოდა მთელი ნომრის მიმოხილვა, მაგრამ ვამჯობინებდით, ნაცვლად ერთი გამომსვლელის ერთსაათიანი მოხსენებისა, ხუთი გამომსვლელი გვყოლოდა, რათა მსმენელსაც კი შემდგომ უკვე მკითხველსაც — ამ მოხსენებების გამოქვეყნება განზრახულია „პირველი სხივის“ მომდევნო ნომერშივე — უკეთ მოედევნებინა თვალი იმ მრავალფეროვანი მასალის შეფასებისათვის, ეს გამოცემა რასაც გვთავაზობს — რეცენზენტთა განსხვავებული ხედვის წყალობით.

პოეზიის მიმოხილვა ერგებოდა ნინო ქუთათელაძეს — პოეტს, კრიტიკოსსა და მთარგმნელს, ანდრეი ბელის სტილურად მეტად რთული რომანის — „პეტერბურგი“ — შესაფერის გადმომქართულებელს.

პროზისა და დრამატურგიისა — სალომე კაპანაძეს — მკვლევარსა და კრიტიკოსს, ამ ბოლოო ხანს უკვე მშვენიერი ლიტერატურული ზღაპრების ავტორსაც, აგრეთვე დიდად თავგამოდებულს ახალგაზრდებისათვის ხელის შესაწყობად — მის მიერ მომზადებული და გამოცემული კრებულის — „დებიუტი“ — წყალობით არაერთ ნიჭიერ და პერსპექტიულ მწერალს რომ გავეცნობოდით.

ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკისა — ადა ნემსაძეს — მკვლევარსა და კრიტიკოსს, ლიტერატურის ცოცხალი პროცესის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს.

თარგმანისა და მასტერკლასისა — გოჩა კუჭუხიძეს — მკვლევარს, კრიტიკოსსა და მთარგმნელს არაბული ენიდან. რეზო ჭეიშვილის კვალობაზე რომ გავიღიმოთ: განა რამდენი გვყავს არაბულიდან მთარგმნელი ან მიწის ზემოთ, ან მიწის ქვემოთ!..

ლიტერატურული დეტექტივის, საარქივო მასალებისა და გამოხმაურებისა — თამარელა წოწორიას — მკვლევარსა და კრიტიკოსს, ლიტერატურული პროცესის ერთ თავგამოდებულ პოპულარიზატორს.

გამოსვლებს გააერთიანებდა უმთავრესი ნიშანი:
პროფესიონალიზმი!..

ამიტომაც მოხდებოდა, ასე თვალნათლივ რომ წარმოაჩენდნენ „პირველი სხივის“ განახლების მნიშვნელობასაც და ჩვენი სამწერლო ყოფის გარკვეულ ტენდენციებსა თუ მიდრეკილებებზეც მოუწევდათ მსჯელობა. ამასთან რედაქციისათვის საგულისხმო მოსაზრებებსაც გამოთქვამდნენ — დამაფიქვრელს, გასათვალისწინებელს...

მათ გამოსვლებს შეაჯამებდა გიორგი ლობჟანიძე — ცხადია დიდი მადლიერებით, რაკიღა მიმომხილველებს არავინ გამორჩებოდათ ალმანახის ავტორთაგან და საბოლოოდ „პირველი სხივის“ სრული სურათი გვექნებოდა ხელთ.

ჯერჯერობით ჩინებულად მიედინება განახლების ეს პროცესი და გაგრძელებაც უთუოდ შესაფერისი მოჰყვება — ახალგაზრდა მწერლების დაოსტატების ეს კერა ანკი როგორ უნდა გაგვემეტებინა მოსაშლელად!.. და მითუმეტეს — პერსპექტივა ასეთი საიმედოა.

წელს „პირველი სხივის“ ორი ნომერი ხომ გაგვახარებს, და შესაძლოა — სამიც და ოთხიც, ესეც წელსვე, თორემ მერედა-მერე ხომ სულაც გარდუვალია!..

საკუთარი თავით უკმარისობის განცდა

(სამადლობლის მაგიერ)

ეს უზღვავი სიყვარული და თანადგომა, რაც გუშინ მერგებოდა, 1 აპრილს, ერთი მხრივ ადამიანს გავსებს მადლიერებითა და სიმხნევით;

მეორე მხრივ კი გიმძაფრებს საკუთარი თავით უკმარისობის განცდას;

და გიჩნდება სურვილი:

რაც შეიძლება მეტი სასიკეთო მოიმოქმედო შენი ლიტერატურისათვის, კულტურისათვის, ქვეყნისათვის, თვითეული ადამიანისათვის, სადამდეც კი ძალ-ღონე მიგიწვდება, რათა არავის გაამეორებინო თვით გალაკტიონ ტაბიძის ტკივილიანი ამონაკვნესი, თავის მეორე მეს რომ მიმართავდა სასოწარკვეთილების წუთებში:

ნდობა გვქონდა მეტისმეტი და გზას გაგიანკარებდით, არ გამართლდა ის იმედი, ჩვენ რომ შენზე ვამყარებდითო...

ალეპოს ნანგრევებში

(დღიურის ფურცლებიდან)

— ქალებმა ჯიბეში ჩაგვისვით, — ეტყოდა პირადი საუბრისას გიორგი ლობჟანიძე ეკატერინე ტოგონიძეს, და იგულისხმებდა ზედიზედ გამოქვეყნებულ ოთხ რომანს: თეონა დოლენჯაშვილის, თამთა მელაშვილის, ნინო სადღობელაშვილის, თამარ ბართაიასი და თვითონ ეკატერინესი, რომელიც ხელიდან არ გაუშვებდა ამ მარჯვე შემთხვევას:

— საჯაროდაც იტყვი?

— რატომაც არა.

— პირობას დებ?

— პირობის გარეშეც.

და მართლაც განაცხადებდა საჯაროდ, ჩვენი რომანისტიკის ბოლოდროინდელ ამ ოთხ მონაპოვარს რომ ჩამოთვლიდა:

— ჩვენმა ქალებმა ჯიბეში ჩაგვისვეს კაცები.

რეალობას ანკი სად წაუხვალ!..

პირობას კი სხვას დადებდა:

— ვერ ვიტყვი, რომ მე თვითონვე ვთარგმნი, იმდენი საქმე დამაწვა, ამას ველარ ავუვალ, მაგრამ აქტიურ მონაწილეობას მივიღებ თეონას ამ რომანის არაბულად თარგმნასა და გამოცემაში.

ეს ითქმოდა თეონა დოლენჯაშვილის რომანის „ჩიტი არ გამოფრინდება“ წარდგინებაზე, მწერალთა სახლის ბაღში რომ გაიმართებოდა და ერთი კარგი სპექტაკლის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

ამას ბევრწილად განსაზღვრავდა წამყვანის — ეკატერინე ტოგონიძის — არტისტული ხელოვნება, შემთხვევით შემოსწრებულ ადამიანს რომ აფიქრებინებდა: მგონი ჰოლივუდში მოვხვდიო!..

ხოლო არაბულად ამეტყველების აუცილებლობა იმ გარემოებითაცაა გამოწვეული, რომ:

რომანის სიუჟეტური ქარგა გაშლილია სირიის ომის — და მასთან ერთად აფხაზეთის მხარეში მომხდარი ომის — ტრაგედიაზე, ორივეგან რუსეთი რომ ჩაერეოდა და, არამხოლოდ მთავარი გმირის თავგადასავლით, ამითაც დაკავშირდებოდა ეს ორი საზარელი მოვლენა, ალეპოს ნანგრევებით გასიმბოლოვებული; თუმც უამისოდაც ომი, სადაც უნდა ხდებოდეს, შენგან რაოდენ დაშორებულ ტერიტორიაზე, გინდა-არ გინდა შენც გეხება და შენს პირად ტრაგედიადაც იქცევა, მითუმეტეს აფხაზეთში მომხდარი რუსეთ-საქართველოს ომი ჯერაც გახსნილი ჭრილობაა და, ღმერთმა ინებოს, ამ ჭრილობამ მანამდე არ შეიკრას პირი, ვიდრე ამ მიწა-წყალს დავიბრუნებდეთ, თორემ ვაითუ ახალი თაობებისათვის ეს მხარე ისეთივე შორეულ, მხოლოდღა ისტორიულ მოგონებად გადაიქცეს, როგორც ტაო-კლარჯეთია ჩვენს ბევრწილად მოშლილ ცნობიერებაში.

ამის თაობაზეც ითქმოდა წარდგინებისას.

იმის თაობაზე, ქართველები იმთავითვე სხვის ომებში რომ ვიყავით ჩაბმულნი და, თვითონ დაპყრობილნი, სხვათა დამპყრობლურ ომებში ვმონაწილეობდით იძულებით.

ყველა გამოსვლა — ზვიად კვარაცხელიასი იქნებოდა თუ გვანცა შუბითიძის, „ინტელექტის“ წარმომადგენლების, „ჩიტი არ გამოფრინდება“ რომელი გამომცემლობის ეგიდითაც გამოიცემოდა, და კიდევ: ლაშა ბუღაძის, მამუკა ხაზარაძის, თამარ ბელქანიასი თუ ხათუნა თავდგირიძის — თავისებურად საგულისხმო იქნებოდა, არც ემოციურობა რომ არ მოაკლდებოდა და არც ჩინებული დაკვირვებანი თუ მოსაზრებანი, უმეტესად მაინც რომანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონის ირგვლივ რომ იმსჯელებდნენ, მაგრამ არც მისი მხატვრული მხარე დარჩებოდა ყურადღების მიღმა.

თუმც ამ მხრივ უფრო რომანის აკადემიური განხილვისას ითქმის.

იქ წარმოჩნდება პარალელური თხრობის ხელოვნებაც, რაც წარდგინებისას ზოგადად რამდენჯერმე აღინიშნებოდა; და ცალკეულ ამბავთა გამორჩეულობაც, „ჩიტი არ გამოფრინდე-

ბა“ შინაგანი სივრცით რამდენიმე რომანის მასალასაც რომ დაიტევდა, მასალას, ისე გულდასმით შესწავლილსა და გააზრებულს, დოკუმენტური სანდოობის მხრივაც მნიშვნელოვან მოვლენად რომ წარმოგვიდგება ეს რომანი.

მთავარი კი ისაა, რომ დოკუმენტურ ნაკადში ოდნავადაც არ არის შემოჭრილი ჟურნალიზმი, რაც დააზიანებდა მხატვრულ ქსოვილს, და ყოველთვის საფრთხილოა, როდესაც ჟურნალისტი პროზაში გადაინაცვლებს ხოლმე, ან ჟურნალისტობის თანადროულად აგრძელებს პროზაიკოსობას.

თუმც ამ საფრთხეს თეონა დოლენჯაშვილი იმთავითვე გაერიდებოდა, როდესაც პირველ მოთხრობებს გამოაქვეყნებდა.

ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით მივაგებდით პატივს გურამ დოჩანაშვილის ხსოვნას, თეონა დოლენჯაშვილი კი განაცხადებდა:

— როდესაც მოსწავლეობისას წავიკითხე „სამოსელი პირველი“, მაშინ ვთქვი, მწერალი უნდა გავხდე-მეთქი.

და ეს ფრაზა თავისებურ გვირგვინად დაადგებოდა ამ მომხიბლავ სპექტაკლს.

გადახსნილი სივრცე ქართული სიტყვისათვის

(სიახლის კვალზე)

20-იანი წლების დასაწყისში კონსტანტინე გამსახურდიას შესთავაზებდნენ გერმანელები:

გადასულიყო მათთან საცხოვრებლად და ეწერა გერმანულად, გამოცემასა და პოპულარიზაციას კი თავიანთ თავზე იღებდნენ.

საქართველო ხელმეორედაა დაპყრობილი და, თუმც ჯერ ისე მძლავრად არ წაგვჭერია ყელში, მაგრამ ყველა გრძნობს, ბოლშევიკები თანდათან რა ამბებსაც დაატრიალებენ.

და აგერ კონსტანტინეს სთავაზობენ საუკეთესო პირობებს ემიგრაციაში, ოღონდ ენობრივ ემიგრაციაშიც უნდა გადასახლდეს.

სახელი და პოპულარობა არ დააკლდებოდა.

ეჭვიც არ მეპარება:

კონსტანტინე გამსახურდიას გერმანულად რომ ეწერა, ჯეიმზ ჯოისის, მარსელ პრუსტისა და ფრანც კაფკას გვერდით დაიმკვიდრებდა ადგილს, როგორც მოდერნისტული რომანის ერთ-ერთი თავკაცი, სხვებს უკანაც რომ მოიტოვებდა.

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია ამჯობინებდა თავის დაკაბალებულ სამშობლოში დარჩენასა და უამრავი ტანჯვის გადატანას, რადგანაც ვერ წარმოედგინა სახელ-დიდებისათვის ან ქართული ენა გაემეტებინა და ან უბედურ დღეში ჩავარდნილი ქართული მოდგმა.

ილია ჭავჭავაძე როგორც მოიქცეოდა!..

დაე ისიც ვიცოდეთ, რომ:

არც გრიგოლ რობაქიძე გახიზნულა ენობრივ ემიგრაციაში — ემიგრაციაში იძულებით აღმოჩენილი რომანებს კვლავაც

ქართულად წერდა და მხოლოდ პწკარედებს უმზადებდა გერმანელებს, საბოლოო რედაქციას თვითონ რომ კითხულობდა, მაგრამ მშობლიურ ენას კი არაფრისდიდებით არ მოწყდებოდა და არ გაწირავდა.

და დღესდღეობითაც არაერთ ქართველ მწერალს მოუხდებოდა ემიგრაციაში ყოფნა, მაგრამ — გამონაკლისის გარდა — არავინ გადასახლდებოდა ენობრივ ემიგრაციაშიც.

არ გადასახლდებოდნენ და... სიახლეც შემოიჭრებოდა ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში, ნინო დარბაისელი არამარტო ლიტერატურისა და ხელოვნების მცოდნეთა და შემოქმედთა საერთაშორისო ცენტრს რომ შექმნიდა ფეისბუქზე „აგორას" სახელწოდებით, არამედ ზედიზედ გამართავდა ორ პრეზენტაციას მსოფლიო სივრცეში ქართულ ენაზე.

ამერიკაში მცხოვრები პოეტი გერმანიაში მცხოვრებ თანამოკალმეებს — ბელა ჩეკურიშვილსა და ირმა შიოლაშვილს — ჩართავდა ამ დიდებულ წამოწყებაში, „ნანას ცხენისა" და „ოქტომბერის" განხილვაში საქართველოში მცხოვრები ლიტერატორებიც რომ მიიღებდნენ მონაწილეობას, და ის უცხოელებიც, რომელნიც თავიანთ ენაზე აამეტყველებდნენ ამ არაორდინარულ ლირიკულ ნიმუშებს.

ამის მომფიქრებელიც და შემძლეც ნინო დარბაისელი თუ იქნებოდა და კიდეც შესაფერისად აღასრულებდა:

თავისი ორგანიზატორული უნარის, ხედვის სიფართოვის, დაუშრეტელი ენერგიისა და, რაც ყველაზე მთავარია, დიდი და უშურველი გულის წყალობით.

თუ ვინმე ეგულებოდათ ახალგაზრდა შემოქმედთ თავიანთ თანამდგომად და გზის გამკაფავად საქართველოში ყოფნისას, ერთი უპირველესი სწორედ ნინო დარბაისელი, ვისაც ყმაწვილქალობისას ტარიელ ჭანტურია გამოუჩნდებოდა გულშემატკივრად და ლიტერატურულ სამყაროს ამცნობდა:

თვალი ედევნებინათ ნინო დარბაისელის პოეტური ზრდისათვის, ამ უაღრესად ნიჭიერი გოგონასათვის.

იმედი საესებით გამართლდებოდა.

და ნინო დარბაისელი არამარტო ერთი საუკეთესო პოეტია და კრიტიკოსი, არამედ სულითა და გულით მონაწილე ლიტე-

რატურული ცხოვრებისა, ქართულ სატკივარ-საფიქრალს ამ გზითაც რომ გაიტანდა საერთაშორისო ასპარეზზე და მოწმეს გაგვხდიდა ამ ისტორიული და შთამბეჭდავი მოვლენისა, გაკვეთილის მნიშვნელობაც რომ აქვს, უფრო ზუსტად — კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ რობაქიძის გაკვეთილების შეხსენებისა:

ემიგრაცია არ უნდა ნიშნავდეს ენობრივ ემიგრაციასაც, თუ არადა ისევ აქ უნდა დარჩე და გაიმეტო ევროპაში გახმაურება და პოპულარობა, ოღონდ მშობლიური ენა — არაფრისდიდებით.

შთამბეჭდავი სიახლის წინაშე კი აღმოვჩნდებოდით, გაგრძელებაც შესაფერისი რომ მოჰყვება და კიდევ სხვებსაც გაუღვივებს სურვილს, ახალ-ახალი ნაკადები შესძინონ ამ სივრცეს, სხვებსაც — რომელთაც მომადლებიათ ორგანიზატორული უნარიც, ხედვის სიფართოვეც, დაუშრეტელი ენერგიაცა და ის მთავარიც — დიდი და უშურველი გული!..

და წვიმა ვერ შლის ნაკვალევს

(დისერტანტთა დასახმარებლად)

თამაზ ბაძაღუას ხსოვნის საღამო ამჯერად ამ ახალი წიგნის ქარგაზე აიგებოდა: მისადმი მიძღვნილი წერილებისა და მოგონებების კრებულზე „დრო და ილუზიები“, სახელწოდება წიგნისა პირდაპირ რომ განმეორდებოდა თამაზის ჩაშლილი ჩანაფიქრის კვალზე: მოემზადებინა ამ სათაურის პოეტური კრებული, თავდაპირველად ამგვარ სახელწოდებას რომ განიზრახავდა და ასეც წააწერდა ერთ საქაღალდეს: „დრო, წვიმა და ილუზიები“, შემდგომ „წვიმა“ რომ ეხამუშებოდა და გადაშლიდა.

მაგრამ მალხაზ ბაძაღუა იმ დაუწერელ წიგნს სრულიად ახალ სიცოცხლეს მიანიჭებდა და საუკეთესო მასალებსაც მოუმზადებდა მომავალ დისერტანტებს, რომელთაც არავითარი გარჯა აღარ მოუწევთ თამაზ ბაძაღუაზე შექმნილი სტატიების ბიბლიოგრაფიის შესადგენად და მასალების თავმოსაყრელად — მზამზარეული რომ ექნებათ ხელთ.

და ჩემი გახუმრებისა არ იყოს:

დისერტაციისა თუ მონოგრაფიის თანაავტორად მალხაზ ბაძაღუა უსათუოდ რომ უნდა მიაწერონ!..

ეს წიგნი 2020 წლის ზაფხულში გამოიცემოდა, სასექტემბროდ რომ ვაპირებდით მის წარდგენას, მაგრამ პანდემიის მკაცრი პირობები საკმაოდ გადმოგვივადებდა, თუმც ბოლოს-დაბოლოს მაინც გახდებოდა შესაძლებელი ამ თავყრილობის გამართვა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში, წლების განმავლობაში ახალგაზრდა მწერალთა წრის შესაკრები რომ იყო და თამაზ ბაძაღუა ამ შეხვედრების სული და გული გახლდათ — ჯერ როგორც აქტიური წევრი და მერე სულაც თავმჯდომარე.

და გიორგი შარვაშიძე, უნივერსიტეტის რექტორი, ამ აუდიტორიას რომ აღადგენდა მწერალთა თავყრილობებისათვის, პირველი სხდომა ამ ორი წლის წინათ სწორედ თამაზ ბაძაღუას ხსოვნას მიეძღვნებოდა: საბაბი იმჟამად გახდებოდა ტორკვატო ტასოს დრამატული პოემის „ამინტა“ თამაზისეული თარგმანის გამოცემა.

ამჟამინდელი თავყრილობა, წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთობლივი პროექტი, რომ ჩამთავრდებოდა, მინდია უგრეხელიძე, რომელიც მისთვის ჩვეული ორატორული ხელოვნებით მოხიბლავდა აუდიტორიას, მეტყოდა:

— ასეთ აკადემიურ შეხვედრას დიდი ხანია აღარ დავსწრებივარ, ყველაფერი კი სწორად შერჩეულმა ტონალობამ განსაზღვრა — საქმიანმა და პათეტიკურობას სრულიად გარიდებულმა.

თავყრილობა ერთხელ კიდევ დაადასტურებდა, რომ თამაზ ბაძაღუა კვლავინდებურად მონაწილე რჩება ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მდინარებისა, ახალი თაობის მკაცრ საცერსაც იოლად და წარმატებით რომ დააღწევდა თავს და გააგრძელებდა სასიკეთო ზეგავლენას მკითხველის გემოვნების დახვეწაზე ლექსითაც, პიესითაც, თარგმანითაც...

მისი შემოქმედება უხვად იძლევა საზრდოს განსჯისათვის და ამიტომაც დაამახსოვრდებოდა მსმენელს ყველა გამოსვლა, მწერლებისაც და არამწერლებისაც, ტოლს რომ არ დაუდებდნენ შემოქმედთ კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯით: ნინო გვენეტაძის, ალექსანდრე მოწერელიასი, მარინე ტურავასი, გურამ ბათიაშვილის, ნიკა სანებლიძის, ბადრი ქუთათელაძის, ერეკლე საღლიანის, ანდრო ბედუკაძისა და ნანა გაფრინდაშვილის, რომელსაც სიურპრიზითაც უნდა გავეხარებინეთ:

მას აღმოაჩნდებოდა სტუდენტთა ხელნაწერი ჟურნალი, რომელიც თამაზ ბაძაღუას ლექსებით იხსნებოდა, შედგენილი 1978 წელს, როდესაც ყოველი ამგვარი ცდა იატაკქვეშა აქციად მიიჩნეოდა.

როგორც გაირკვა:

ეს ხელნაწერი ჟურნალი ფოტოტიპური სახით გამოიცემა და მკითხველს დაურიგდება, დედანი კი უნივერსიტეტის მუზეუმში დაიდებს ბინას.

„დრო და ილუზიების“ გარეკანის გამფორმებელი დავით ბაძაღუა ამჯერად თავს შეიკავებდა სიტყვით გამოსვლისაგან და ფოტორეპორტიორობას დასჯერდებოდა, თავყრილობას ფირზე აღბეჭდილსაც რომ შემოგვინახავდა.

არ დარჩებოდა მოუხსენიებელი არავინ თამაზ ბაძაღუას მეგობარ-ახლობელთაგან თუ პატივსმცემელთაგან, რომელთაც კი ამაგი მიუძღოდათ თამაზის სახელისა და ღვაწლის დასამკვიდრებლად: უჩა შერაზადიშვილი იქნებოდა, ლევან თითმერია, კახმეგ კუდავა, ანდრო ბუაჩიძე, შადიმან შამანაძე, ირაკლი სამსონაძე თუ ვინღა აღარ...

ეს სახელი ხომ ძალიან ესაჭიროება ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს კულტურას, ჩვენი ახალგაზრდა თაობის გემოვნების ჩამოყალიბებას.

ილუზიები იმისაა, რომ ადრე თუ გვიან უნდა გაიფანტოს, მაგრამ მანამდე საკმაოდ უნდა ასულდგმულოს ადამიანთა შთაგონებაც და ათასგვარი წამოწყებაც, უკეთესობისაკენ გამიზნული.

და დრო კი ის მკაცრი მსაჯულია, რომელმაც უნდა შეაფასოს იმ წამოწყებათა მნიშვნელობა და დაადასტუროს ან უარყოს ილუზიებზე ამოზრდილი მისწრაფებანი; და რომელსაც ასეთი წარმატებით უმკლავდება თამაზ ბაძაღუას ლიტერატურული მემკვიდრეობა.

დაშვენდება
ივანე აბაშიძის მემორიალი

(სიახლედ ქუთათურთა ბულვარის ცხოვრებაში)

ელგუჯა თავბერიძის „ბულვარი“ ცალკე წიგნად რომ გამოიცემოდა ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის ეგიდით, დაერთვოდა ჩემი გამოხმაურება: „ბულვარის ხატად, ბულვარის საგალობლად“ — რომელიც დაიწერებოდა ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების „მწვანეყვავილაში“ გამოქვეყნებული საჟურნალო ვერსიის კვალზე, წიგნად მომზადებისას საკმაოდ რომ შეივსებოდა და უპირველესი ამ შევსებათაგან აბაშიძის ბაღის თავგადასავალია.

ვინ აბაშიძის და:

ივანე აბაშიძის,

რომელიც ჩვენს წარმოდგენაში უფრო რჩება სოლომონ პირველის შვილიშვილად და აკაკი წერეთლის პაპად, მაგრამ ხომ უნდა დადგეს ის დრო, როდესაც მას სათანადო ადგილს მივუჩენთ ჩვენს ისტორიულ ანალებშიც და საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც როგორც ეროვნულ გმირს: 1819-20 წლების იმერეთის აჯანყების მეთაურს, ტრაგიკულად რომ აღესრულებოდა ახალციხეს თავშეფარებული დაქირავებული მკვლელის ჭუმბურიძის ხელით, ეს ცნობა აკაკისაგან რომ შემოგვრჩენია.

ივანე აბაშიძეს დარჩებოდა მემკვიდრეობით სოლომონ მეფისაგან ქალიშვილის — დარეჯან ბატონიშვილისათვის ბოძებული ბაღი — ვეება ტერიტორიაზე გადაჭიმული, დედა-შვილი ამ ბაღს შესაფერისადაც რომ უპატრონებდა და საბოლოოდ აღმოსავლურ ყაიდაზე გაიმართებოდა — ხილნარისა და დეკორატიული მცენარეების რაღაც თანაფარდობით.

ამ გარემოებას ელგუჯა თავბერიძე დააზუსტებდა მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით და იმ ფსიქო-

ლოგიურ საწყისსაც მიაკვლევდა, ბულვარს ადგილობრივი ხელისუფლება აბაშიძის ბაღის ალტერნატივად რომ განიზრახავდა და ათი წლის განმავლობაში გვერდი-გვერდაც იარსებებდა ეს ორი კოლორიტული ადგილი, ვიდრე რუსი მმართველობა საბოლოოდ არ მოინდომებდა ივანე აბაშიძის ხსოვნის ამოძირკვას მისი ბაღის სრული გაქრობით — იაკობ მარისა და ივანე ვაიხნერის უშუალო ხელმძღვანელობით თანდათან ფრანგული სტილის ბაღს რომ დაემგვანებოდა:

მინის ნაკვეთები თანაბარი პარალელოგრამის მსგავსად დანაწილდებოდა და მათ შორის ბილიკები მოეწყობოდა. რამდენიმე მოედანიც გამოცალკევდებოდა, სადაც ქვის სკამები და ამნაირივე ძელსკამები ჩაიდგმოდა. ჩაიდგმოდა ჯიხურიც, სადაც ხილის ცივი წვენი იყიდებოდა. მებაღის შენობას დაასრულებდნენ და მოკრეფილი ხილის ჩასაყრელად კი დაამაგრებდნენ ჰოლანდიურ კასრს...

და აი ბულვარი მთლად ფრანგულ ყაიდაზე გაიმართებოდა და სახელიც ფრანგულის კვალობაზე შეერქმეოდა.

აბაშიძის ბაღში კი შენობებს ჩადგამდნენ და მის კვალს სრულიად წაშლიდნენ, რაკიღა ქუთათურები სასეირნო და გულისგადასაყოლებელ ადგილად უკვე ბულვარს დაიგულებდნენ.

კი მაგრამ:

როდემდე უნდა იყოს გადაფხეკილი ივანე აბაშიძის ხსოვნა ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერებიდან და ქუთაისის ლანდშაფტიდან?

მის ბაღს თუ ვეღარ აღვადგენთ ანუ იმ შენობებს აღარ გავასწორებთ მიწასთან, ხომ შეიძლება — და აუცილებელიცაა — ბულვარში დაიდგას იმერეთის აჯანყებისა და ივანე აბაშიძის მემორიალი და ბულვარის სახელს თავისთავად შემოერიოს სახელი ეროვნული გმირისა!..

ეს სურვილი უშუალოდ ბულვარში უნდა გაცხადდეს იმ დღეს, როდესაც იქ გაიმართება ელგუჯა თავბერიძის „ბულვარის“ წარდგინება.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას — იმ ალექსანდრე ორბელიანისა, რომელიც ნათესავი და უშუალო პოლიტიკური მემკვიდრეც გახლდათ ივანე აბაშიძისა და აკაკი წერეთლის

აღმზრდელი — სად აღარ გაუმართავს თავყრილობები ქუთაისსა და მის შემოგარენში: უნივერსიტეტის, სკოლის, ბიბლიოთეკის კედლებშიც, ქუჩაშიც, მდინარის ნაპირასაც, ტაძრის ეზოშიც, გამოქვაბულშიც...

ერთადერთი ბულვარი გვრჩებოდა აუღებელი.

და აჰა საუკეთესო საშუალება:

ბულვარისადმი მიძღვნილი საგალობელი პირველად ბულვარშივე აღსრულდეს.

და შემოგვეშველნონ არამარტო აჩრდილები იმ დიდებულ მოღვაწეთა, აქ რომ დაიარებოდნენ და ქვეყნის ჭირ-ვარამზე ბჭობდნენ, არამედ ივანე აბაშიძისაც, რომელმაც — ალექსანდრე ბატონიშვილის თავგადაკლული ბრძოლისა არ იყოს — ლამის გამოგვგლიჯა რუსეთის იმპერიის ხელიდან... თუმც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ხომ მაინც დაჰკირავდა თავისი სისხლით.

და დაე წიგნების წარდგინებაც დამკვიდრდეს ქუთაისის ამ კოლორიტული ცენტრისა და თავისებური სიმბოლოს

— ბულვარის — ერთ უმნიშვნელოვანეს დანიშნულებად.

ჭრილობები ხელისგულზე

(ქეთი გაბინაშვილის წარმატებული დებიუტი რომანისტიკაში)

„ზღვარს“ საგულისხმო მოვლენის შემსწრე უნდა გავეხადეთ.

თუმც მანამდე:

ნარკვევში „სულის ზრდა“ აკაკი ბაქრაძე წუხილს გამოთქვამდა, რომ:

1983 წლის წყობილსიტყვაობის მიხედვით პოეტები გულგრილნი ჩანდნენ სიყვარული-ეროსისადმი.

და იმ საერთო ხარვეზსაც წარმოაჩენდა, სატრფიალო ლირიკის კითხვისას თვალში რომ ეცემოდა მკითხველს:

ლექსებში სიყვარულის პოეზიის ადგილი სიყვარულის დახასიათებას დაეკავებინა, განცდა შეცვლილიყო მსჯელობით.

სხვა წერილში კი — „ქალვაჟიანი“ — პოეტებს შესთხოვდა: საწყენად ნუ დაგრჩებათო, — მაგრამ სათქმელი უნდა თქმულიყო:

მათ არ დაეხატათ სიყვარულით ანთებული და დაფერფლილი იმდენი ქალი, რამდენიც ქართულ პროზას.

სანიმუშოდ გაიხსენებდა ალექსანდრე ყაზბეგს, მისი ეროსით მთელი სამყარო რომ გადაშლილიყო ჩვენს მწერლობაში.

და მიიჩნევდა, რომ ვასილ ბარნოვის პერსონაჟებიც იმსახურებდნენ ეროსის თვალსაზრისით შესწავლას.

უფრო აქეთ ლეო ქიაჩელის თავადის ქალი მაია მიიპყრობდა მის ყურადღებას, როგორც მითოსური მედეას ღვიძლი და.

ამ კუთხით უთუოდ დასაფიქრებელი და შესასწავლია თანადროული სალიტერატურო პროცესიც, თავის პროზაპოეზიანად, და ამ ნაკადში სათანადო უნდა მივუზღათ ქეთი გაბინაშ-

ვილის წარმატებულ დებიუტს რომანისტიკაში: „ზღვარი“ („ილიას ფონდი“, 2020).

რომანში ერთმანეთს უნდა გადაჯაჭვოდა რომანტიკული სიყვარული, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ქართული მიწის გადარჩენის თავზეხელაღებული მცდელობა უცხოტომელებზე გაყიდვისაგან, მიწა ვენახად რომ უნდა გასიმბოლოვებულიყო და ეგულისხმა არა ერთი საკარმიდამო ნაკვეთი, არამედ მთლად ჩვენი ქვეყანა, ასე უღვთოდ გამეტებული.

განწირულების ზღვარზე დგას საქართველო.

განწირულების ზღვარზე დგას სიყვარული, სწორედ იმ ეროსით აღვსილი, იმ რომანტიკული სულით, ასე რომ დაეძებდა აკაკი ბაქრაძე და გული ნყდებოდა, რომ ვერ პოულობდა, ანდა — უკეთეს შემთხვევაში — სიყვარულის განცდა ჩანაცვლებულიყო სიყვარულზე მსჯელობით.

იმ ანალიტიკურ განსჯასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, განა არა, მაგრამ მსჯელობამ არ უნდა შთანთქას განცდა და მარტო რიტორიკის ამარა არ უნდა დაგვტოვოს.

და აი ქეთი გაბინაშვილის გმირმა, ევიმ, ორივე აღმაფრენა უნდა გამოსცადოს მთელი თავისი მადლითა და სიძლიერით, მთელი თავისი ტკივილითა და მდუღარებით:

როგორც სიყვარულის, ისე მიწის გადარჩენისათვის ბრძოლის დრამატიზმი და სულაც ტრაგიზმი.

და ინატროს, რომ ეს სამი სიტყვა ჩაეწეროს მისი საფლავის ქვას:

— უშელავათოდ... უსაზღვროდ... თავდავიწყებით...

თუნდ ეს სიტყვები, ერთი შეხედვით ასეთი უწყინარნი, ამოქმედებულ ნაღმზე უფრო საშიშნიც გამხდარიყვნენ და ნაფლეთებადაც დაეგლიჯათ მისი სხეული.

და მაინც ამ სამ სიტყვაში უნდა დაენახა სიცოცხლის არსიც და აზრიც, ამ სიტყვების ძალმოსილება განეცადა თავის თავზე და... კიდეც ჩაძირულიყო რუსთველურ და ყაზბეგურ სამყაროში სიყვარულისა, ეროსი და მიწა სულაც რომ უნდა შეერთებულიყო წარმოსახვაში და ამ განცდების ირგვლივ ამოხვეულიყო რომანის კომპოზიციური ქარგა, ცოტა ბანალური, ცოტა ბულვარული, მაგრამ თხრობის ეს მანერა — მომარჯვებული მკითხველის ჩასათრევად — უნდა გადაეწონა იმ სულიერ აღ-

მაფრენას, უთანასწორო ბრძოლაში ჩასაბმელადაც რომ აგანთებენ და განიჭებენ ძალას, არ დათმო მიწის ის მცირე მონაკვეთი, რომელიც ქვეყნის ხატად და სიმბოლოდ ქცეულა შენს აღქმაშიც და ყველა იმ ადამიანის შეგრძნებაშიც, თავი რომ არ ეზოგებათ ამ თითქოსდა ნაფლეთის გამოსაგლეჯად ძალმომრეობისაგან.

მთავარი გმირიც და ავტორიც გაურბიან ხაზებსა და ჩარჩოებს და მიელტვიან სულის ისეთ თავისუფლებას, როდესაც ბოლომდე ვერც გაგირკვევია, სად მთავრდება რეალობა და სად იწყება ზღაპარი, სადაა ცხოვრება და სად ილუზია, როდის გეცხოვრა და როდის გსურდა გეცხოვრა, როდის იყო ნამდვილი და როდის შენი სიცხიანი წარმოსახვის ნაყოფი...

ამ სულისკვეთებით უნდა განმსჭვალულიყო „ზღვარი", როგორც მოხდენილ ფორმაში მოქცევა თავაწყვეტილი ვნებით გაჟღენთილი სიზმრებისა, გახსენება იმისა — რა მომხდარიყო და რა ვერ მომხდარიყო, რა ეთქვა გმირს და რისი თქმა გამორჩენოდა...

ამიტომაც ტრიალებს რომანში ტკივილი ვერთქმული სიტყვების, გაურითმავი ლექსების, დაუსრულებელი პოემების, როდესაც კალმისტარი ანკესზე წამოგებული კალმახივით გიფართხალებს თითებს შორის.

და რაც მთავარია:

ტკივილი ორ ადამიანს შორის ჩაწოლილი განმზიდავი სამყაროსი.

და ეს იმიტომ, რომ:

მიწა არ იქნებოდა მზად მათი სიყვარულისათვის, დედამიწა ძალიან პატარა აღმოჩნდებოდა მათი სიყვარულის დასატევად, და ალბათ ამიტომაც გახდებოდა საჭირო სხვა მიწისა და სხვა ზეცის გამოგონება.

და ასე უნდა იქცეს ცხოვრება ერთ გრძელ, სევდიან მელოდიად — სიკვდილის მოლოდინად.

სიყვარულისაგან გაძარცული უკეთესს ანკი რას შეიძლება მოელოდე, მითუმეტეს, რაღაცები მუდმივად რომ იცვლება, არ ცვლილებებს — სამწუხაროდ გარდუვალს — ესაჭიროება მსხვერპლი.

მკაცრი, დაუნდობელი რეალობა აღარას გიტოვებს, თავგანწირვის, თვითშეწირვის გარდა, იმ სხვა მიწამ და სხვა ზეცამღა რომ უნდა იხსნას სიყვარული — ეროსიც და მშობლიური მიწის სიყვარულიც, ბოლო ამოსუნთქვამდე გამოუცნობზე ოცნებამ და მოლოდინმა რომ უნდა გასულდგმულოს, რათა გაუძლო შენს დასანამცეცებლად შემოჭრილ ათასგვარ საცთურსა თუ სატანჯველს და არ შეეგუო ოცნებების დახვრეტას და არც შენი თავი აქციო სარკოფაგად — სურვილთა უსასრულო ბნელ სასაფლაოდ.

ეპიკურ თხრობაში სიყვარულის აპოთეოზი თავისთავად მოიხმობს ლირიკულ ჩანართებსა თუ პასაჟებს, ერთ-ერთი ამგვარი ჩანართი ხელისა და თითების აპოლოგიად რომ უნდა წარმოგვიდგეს:

— მხოლოდ ხელები არ იტყუებიან. მხოლოდ თითებს არ შეუძლიათ ტყუილის თქმა. შემთხვევით შეეხებიან ერთმანეთს და ჟრუანტელი დაუვლით, გეგონება შეპყრობილები იყვნენ. ხელებს ყველაზე უკეთ ესმით ერთმანეთის. მათ სულ სხვა ენა აქვთ, გულისკარსმიღმიერი სათქმელის გადმოცემა შეუძლიათ.

ეს ლირიკული პასაჟი უეცრად ტრაგიზმამდე რომ უნდა აიზიდოს, რადგანაც ხელები იმიტომ არ იტყუებიან, ხელისგულებზე ყველას საკუთარი ჭრილობა რომ გვაჩნევია:

დასტური საკუთარი ჯვარცმისა...

და ხელებმა უნდა გითხრან საკუთარი ტკივილის შესახებაც, ხელებმა უნდა გაგანდონ დარდიც და არამარტო შეგახსენონ, არამედ განგაცდევინონ ჯვარცმის მისტერიის სუნთქვაც და ჭრილობებიც...

და დაგარწმუნონ, რომ:

ზღაპრები ბავშვებისათვის კი არა, უფროსებისათვის იწერება!

და ერთხელ კიდევ ძალუმად განგაცდევინონ, რომ სადღაც შორს სულაც არ დარჩენილა რუსთველური თუ ყაზბეგური სიყვარული და კვლავაც მოწვეთავს და მოწურწურებს იესო ქრისტეს გადახსნილი ჭრილობებიდან სიყვარულის უზენაესობის გადმოფენად:

ხან ქალვაჟური სიყვარულის ტკივილად და აღმაფრენად.

ხან ტკივილად და აღმაფრენად მშობლიური მიწის სიყვარულისა.

და ხანაც შესაძლოა შემსწრეც გავხდეთ მათი ურთიერთგანმსჭვალვისა, შერწყმისა და შენივთებისა, „ზღვარი" რასაც გვითვალსაჩინოებს, ქეთი გაბინაშვილის ეს წარმატებული მცდელობა რომანისტიკაში.

სისხლი კი მოწვეთავს და მოწურწურებს და გვაგულიანებს მისი მადლის შესაგრძნობად, შესაწოვად და შესათვისებლად.

პარადოქსის სიკეთე და სილამაზე

(დღიურის ფურცლებიდან)

— ტომას ერნესტ ჰიუმი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ძალიან არ მოეწონებოდა ბევრი რამ, რაც ხდება დღეს მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც, — იტყოდა თავყრილობის მიწურულს პაატა ჩხეიძე, — იგი, როგორც კონსერვატორი, ვერაფრისდიდებით ვერ შეეგუებოდა ლიბერალურ ტენდენციებს, მის ასეთ მოძალებას, ამიტომაც ჰიუმის საღამოს გამართვა პარადოქსად აღიქმება, — და ერთხელ კიდევ გაიმეორებდა, — პარადოქსად.

ძალიანაც კარგი — პარადოქსები შვენის ლიტერატურას, და ჰიუმის გახსენებაც ჩაგვაგონებს, სამყარო ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მაინც რომ ტრიალდება დაკარგული დროისაკენ და ადრე თუ გვიან სწორედ ამგვარი პარადოქსები იძალებენ და დავიბრუნებთ უფალსაც და ჩვენს თავსაც, როგორც არასრულს, მაგრამ მიმსწრაფს ღვთიური სრულყოფილებისაკენ, და არა სამყაროს მბრძანებელს, თავის ნებაზე რომ შეუძლია მოექცეს ბუნებასაც.

ტომას ერნესტ ჰიუმი აღვსილიყო რწმენით და უპირისპირდებოდა ყველას, ვინც ღვთიურ სინამდვილეს მოძველებულად მიიჩნევდა, და ღმერთდაკარგულ რეალობას ჟან-ჟაკ რუსოში ასიმბოლოვებდა და მისი სახელის შემუსვრით ცდილობდა ამგვარი აზროვნების შემუსვრას, განმანათლებლობის ხანას დამღუპველად რომ მიიჩნევდა კაცობრიობისათვის, მაინცდამაინც არც რომანტიზმი ეხატებოდა გულზე და შუა საუკუნეების შემობრუნებისაკენ მიისწრაფვოდა.

ბნელი შუა საუკუნეებიო, — განმანათლებლები რომ დაამკვიდრებდნენ ამ გამოთქმას, ჰიუმისათვის ბნელი სწორედაც განმანათლებლობის ხანა გახლდათ, შუა საუკუნეები კი — სინათლით გაბრწყინებული.

დარჩებოდა ერთი პატარა წიგნი:

„განსჯანი და ლექსები“,

რომელიც პაატა ჩხეიძისა და თქვენი მონა-მორჩილის წყალობით განმეორდებოდა ქართულ ენაზეც, როგორც აუცილებელი მოვლენა ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერების დადგენისთვისაც.

ამ წიგნში ხომ პირველად უნდა გამოხატულიყო მოდერნიზმის ესთეტიკა, სრულიად რომ უნდა შემოეტრიალებინა XX საუკუნის დასავლური აზროვნება, არამარტო ლიტერატურა, არამედ მთელი ხელოვნება.

ჰიუმი ყოველივეს შეჰყურებდა პოეტის, მხატვრის, ფილოსოფოსის, ის კი არა — სამხედრო სტრატეგის თვალითაც, და „განსჯანში“ ჩაწურავდა უმთავრეს თეზისებს იმ აზროვნებისა, რომელიც თანდათან მთლიანადაც უნდა გადმოფენილიყო, რომ დასცლოდა სიცოცხლე და პირველ მსოფლიო ომში არ დაღუპულიყო — ყუმბარა რომ აქცევდა ნაფლეთებად, თუმც შეეძლო აღარ წასულიყო ომში — დაჭრილს ჯერაც უნდა ემკურნალა, მაგრამ დაუდეგარი ბუნება და თავზეხელაღებული ხასიათი წაასწრაფებდა იქით, საიდანაც დაბრუნება აღარ ეწერა.

და ეს ახალგაზრდა კაცი კიდეც შეირაცხებოდა მოდერნიზმის მამად.

სიცოცხლეში პოპულარობით ვერ სარგებლობდა, მაგრამ როდესაც ეზრა პაუნდი და ტომას სტერნზ ელიოტი გამოგიჩნდებიან დამფასებლებად, კიდეც ჰპოვებ შესაფერის ადგილს ლიტერატურის ისტორიაში.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ:

„განსჯანი და ლექსები“ კვლავინდებურად სიცოცხლით აღვსილი წიგნია და გამოსადეგი არამარტო სტუდენტებისათვის, რომელნიც ლიტერატურის ისტორიას შეისწავლიან, არამედ ყველა თაობის მკითხველისათვის, უამრავ საზრდოს რომ მიაწვდით.

საგულისხმოა, რომ არაერთი რამ, რაც შემდგომ ასერიგად გაიშალა და გაღრმავდა ტომას ელიოტის ესეისტიკაში, ჰიუმის მიერ არის შემჩნეულიც, მონიშნულიც, წამოწყებულიც...

პირადად ვერ ეგუებოდნენ ერთმანეთს ჰიუმი და პაუნდი, ჰიუმი ძლივს იკავებდა ხოლმე თავს, კამათის ეშხში შესული პა-

უნდი კიბიდან რომ არ დაეგორებინა, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ სწორედ ეს მისი შეურიგებელი მოკამათე უნდა მოვლენოდა ერთ უპირველეს დამფასებლად.

„არტანუჯის" მიერ გამოცემულ ქართულ ორეულს წაემძღვარებოდა თემურ კობახიძის წინასიტყვაობა მოდერნიზმის ამ თეორეტიკოსზე, მომხსენებელი — დავით ხიზამბარელი — რომ იტყოდა:

— ჰიუმი გზას გაუკვალავს მკითხველს დასავლური მოდერნიზმისაკენ, ჰიუმისაკენ გზას კი თემურ კობახიძის ეს ნარკვევი გაუკვალავს.

ახალი ტალღის წარმომადგენელი ეს ახალგაზრდა კაცი სულ უფრო კანთიელად მოჩანს საზოგადოების თვალში და ამიტომაც მივანდობდით მოხსენებას, რომელსაც დავით ხიზამბარელი ჩვეული ოსტატობით გაგვაცნობდა.

ამ გამოსვლის წყალობით ერთ კარგ წერილს იშოვნიდა ქართული ლიტერატურა.

და ისე მოხდებოდა, რომ ამ ლიტერატურული თავყრილობის გამოისობით არაერთ ჩინებულ წერილს შევიძენდით:

მაია მირესაშვილის,

დარიკო ფიფიასი,

ნინო ვახანიასი,

და დავით სახელაშვილისა, იმ ახალგაზრდა კაცის, რომელიც ბოლო ხანს შემოემატებოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას, ჩუმად იჯდებოდა ბოლო რიგში და თავისთვის ჩაინიშნავდა შთაბეჭდილებებს, რომელთაც თანდათან მინიატურების ციკლად აქცევდა, ორიგინალურ და მშვენიერ სერიად, რომელიც მალე იხილავს მზის სინათლეს.

ტომას ერნესტ ჰიუმის თეორიული ნააზრევი გადაფარავდა მის პოეზიას, რომლის შექმნასაც მაშინვე შეწყვეტდა, როგორც კი თეორიულ განსჯაზე გადაინაცვლებდა, თუმც ლექსები არ არის ასე ადვილად მისაჩუმათებელი, თავის დროზე გამაოგნებელ შთაბეჭდილებასაც რომ მოახდენდა მკითხველზე თავისი სიახლითა და უჩვეულობით, და ამ თავყრილობის ერთ-ერთი მნიშვნელობა ისიც იქნებოდა, ლექსებიც რომ მოექცეოდა განხილვის შუაგულში.

ყველა გამომსვლელი შეეხებოდა მეტ-ნაკლებად — დარიკო ფიფია, თვითონაც პოეტი, ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ შემთხვევას, მაია მირესაშვილის გამოსვლა კი თავით ბოლომდე პოემის პოეტურ თავისებურებაზე აიგებოდა, სამ ლექსს რომ გამოარჩევდა და დეტალური განსჯით განაზოგადებდა.

პარადოქსად ჩაიწერებოდა ეს ლიტერატურული საღამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორის ცხოვრებაშიც, და ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაშიც?

ამგვარი პარადოქსებია, ყოფითი რეალობიდან შორს გადასახედად რომ გვაგულიანებს და გვიბეჯითებს, რომ არაფერიც არ დაკარგულა და ბუნებრიობა ისევე დაიბრუნებს თავის უფლებებს, როგორც ეს ასე ცხადლივ დასტურდება თუნდ ტომას ერნესტ ჰიუმის მცირე და მრავლისმომცველ წიგნში „განსჯანი და ლექსები“.

ხსნის გზად:
სიყვარულის აპოთეოზი

(დღიურის ფურცლებიდან)

ის კარგი ტრადიცია „ლიტერატურული გაზეთისა", წინასწარვე გამოაქვეყნოს საკმაოდ მოზრდილი ფრაგმენტები მომავალი რომანებიდან, საშუალებას გვაძლევს გარკვეული შთაბეჭდილებაც შევიქმნათ და ცნობისწადილითაც დაველოდოთ ახალ ეპიკურ ქმნილებას, ბექა ქურხულის „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დეშთი-ყიფჩაღი" იმთავითვე რომ ძალიან დაგვაინტერესებდა, ნაწყვეტებს როდესაც გავეცნობოდით.

და „ინტელექტსაც" — მწერალთა სახლის თანადგომით — ჩვეულებისამებრ უნდა გაეხსნა გზა ამ ახალი რომანისთვისაც, მნიშვნელოვანი მოვლენა რომ აღმოჩნდებოდა.

ბექა ქურხულის პირველი რომანი — „სამოთხიდან გაქცეულები" — საკმაოდ რომ გაიტაცებდა მკითხველს თხრობის დინამიზმითა და შემძვრელი ამბების ფოიერვერკული სიუხვით, სიუჟეტში ალაგ-ალაგ შემოიჭრებოდა ჟურნალიზმი — მწერალი ბოლომდე ვერ მოერეოდა თავის ჟურნალისტურ პრაქტიკას.

მოგეხსენებათ, რომანი ტევადი ჟანრიცაა და მძლავრიც, და ამიტომაც შეუძლია შეიწოვოს და გადახარშოს სხვადასხვა ჟანრები ისე, ოდნავ ამობურცულობადაც არ დაეტყოს თხრობას. ერთადერთი ჟურნალიზმია, რაც ერთგვარ ლაქად აჩნდება სიუჟეტის მდინარებას — მისი შეწოვა და გადახარშვა რომ ვერა ხერხდება.

თვით ერნესტ ჰემინგუეისაც ვერა უსაშველია რა ჟურნალისტური ჩანართებისათვის, უნებურად რომ შემორევია თხრობაში, თუმც მის საუკეთესო თხზულებებს ცხადია ოდნავადაც არსად დაჩნევია ჟურნალიზმის გავლენა.

და დარწმუნებით უნდა ითქვას:

„თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერებსაც“ არსად ეტყობა ჟურნალიზმის კვალი, და თხრობის დინამიზმსა და ექსპრესიას არაფერი აფერხებს თუ ანელებს — ისტორიული პარალელის მონაცვლეობას XIII საუკუნის ყივჩაღეთსა და XXI საუკუნის საქართველოში, მთავარი გმირები იქ, სივრცეებში თავისთავად რომ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და კიდევ ერთხელ დაგვიბეჭითონ, არაფერი რომ არ იცვლება მზისქვეშეთში და რაც ყოფილა, იგივ იქნება უკუნითი უკუნისამდე.

ამ რომანის მნიშვნელობა ჯერ მხოლოდ სახელდახელოდ გამოიკვეთებოდა „მზიურის“ ამფითეატრში, ღია ცისქვეშ წარდგინებისას, ზვიად კვარაცხელია რომ გაუძღვებოდა თავყრილობას, მწერალი და „ინტელექტის“ მთავარი რედაქტორი, და საგულისხმო შთაბეჭდილებებს გამოთქვამდნენ: კატო ჯავახიშვილი, მანანა დოიაშვილი და რეზო თაბუკაშვილი, მეც რომ გავერეოდი გამომსვლელებში და... ისე მოხდებოდა, რომ თვითეული ჩვენგანის სახით თითო დარგი ლიტერატურისა სიმბოლურად გამოხატავდა სიხარულს ამ არაორდინარული რომანით — პოეზია, დრამატურგია, პროზა და სალიტერატურო კრიტიკა.

ნეტა მთარგმნელიც შემოგვმატებოდა.

თუმც „თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები“ ისეთი რანგის ქმნილებაა, არც მთარგმნელები დაიშურებენ ძალისხმევას მის ასამეტყველებლად ამათუიმ უცხო ენაზე, ასე რომ, ამ მხრივ გააგრძელებენ ამფითეატრში ჩვენს მიერ დაწყებულ განსჯას.

ცალკე მინდა გამოვარჩიო გამომსვლელთაგან ლექსო ქურხული, ბექას ძმა და კიდევ ერთი ბელეტრისტი ამ შემოქმედი ოჯახიდან, რომლის მოთხრობების კრებულიც „მეწამული პლანეტა მარსი“ მთლად უყურადღებოდ არ დაგვრჩენია, სოფო წულაია რომ გამოეხმაურებოდა „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე , თუმც კიდევ უნდა ითქვას მასზე კეთილი სიტყვა და ითქმის კიდეც.

ყივჩაღის სახება გიორგი ლეონიძეს უნდა ამოეზიდა ხალხური ბალადიდან და მოძალადე ერთბაშად სიყვარულისაგან გა-

ხელებულ და აღმაფრენით ცას მიწევნილ ჭაბუკად გარდაესახა და გაესიმბოლოვებინა, ამგვარ გააზრებაში — თამაზ ნატროშვილის მახვილგონივრული დაკვირვებით — აკუტაგავას მოთხრობა „უსიერ ტყეში“ რომ წაადგებოდა, ის უბიძგებდა და შთააგონებდა.

და სიყვარულისაგან ანთებულ ჭაბუკს ახლა ბექა ქურხულის რომანშიც უნდა გადმოენაცვლებინა და ქართველ ჭაბუკს არა მოსისხლედ შეჯახებოდა, არამედ ეს ორნი ერთსულ და ერთხორც უნდა ყოფილიყვნენ, წუთისოფლის მოუწყობლობა ერთსაც და მეორესაც არც ხიფათს რომ არ მოაკლებდა და აქეთიქითაც მიაწყვეტ-მოაწყვეტდა, მაგრამ ორივეს უნდა ეპოვნა გადარჩენის გზა — სიყვარულის ის ეპოთეოზი, რაც „თვალდაკარგული ყივჩალის ჩანაწერებში“ ასეთი ცხოველმყოფელობით უნდა გადმოშლილიყო მოქმედებებში და არა მედიტაციებში, რაც სხვა მწერლებისათვის მახლობელიცაა და მარჯვედაც იყენებენ, ბექა ქურხულის სტილისტიკა კი თავით ბოლომდე მოქმედებებზეა მორგებული და მათ გამოსდევს ფარული სიმბოლიკაც და ის იდუმალებაც, რაც შეგვაძლებინებს ღრმად ჩავწვდეთ პერსონაჟთა ბუნებას და ჩავყვეთ ყველაზე ღრმა და ინტიმურ შრეებამდე, საიდანაც უნდა მოირღვეს დროის მიჯნები და ეს მორღვევა იყოს სარწმუნოც და შემძვრელიც, და იმ საიდუმლოებით აღვსილი, რასაც გვაგრძნობინებს დაკარგული თვალის ბუდიდან გამომჭვირვალე ნათელი...

ვარსკვლავები ხის ტოტებზე

(იაპონური ნიღბის მიღმიდან)

ხშირად მომხდარა:

როდესაც პოეტები მიაგნებენ რაღაც ორიგინალურსა და განსაკუთრებულს, იქ ჩერდებიან და კმარობენ მხოლოდღა ვარიაციებს, რის გამოც მათი მომდევნო კრებული ახალია ხოლმე გამოცემის თვალსაზრისით, მაგრამ აღარ სუნთქავს სიახლით.

და რაოდენ დასაფასებელია ყოველი პოეტის სწრაფვა:

არ იკმაროს მიღწეული და ყოველი ორიგინალური მიგნება გაამდიდროს ახალ-ახალი ინტონაციებით, ხედვით, შტრიხებით.

საამისოდ არაერთი პოეტი და წიგნი შეიძლება გაგვახსენდეს, მათ მწკრივს კი შეემატოს იაკი კაბეს პოეტური კრებული „ამაღლების ქუჩა", მიძღვნილი დანიელისადმი, რომელიც პოეტს გაუსაძლის დღეებს გადაატანინებდა; კრებული, რომელსაც „ინტელექტი" არა მხოლოდ ახალ წიგნად, არამედ პოეტურ სიახლედაც შემოგვთავაზებდა, ირაკლი კაკაბაძე თან რომ შეისწორებდა იაპონელი პოეტის ნიღაბს და თან მის მიღმიდან ხელშესახებად შემოგვანათებდა მისი ქართული სახებაც, მანამდე ისე მარჯვედ რომ მორგებოდა ამომავალი მზის ქვეყნის შვილის ნიღაბი, მაკა ჯოხაძე გავლენაზე მეტად სულთა ნათესაობას რომ დაინახავდა სამყაროში; და რომ თარგმნილიყო, ეჭვიც არ ეპარებოდა, იაპონელებს გაუჭირდებოდათ იმის დაჯერება, რომ სადღაც, დედამიწის რომელიღაც წერტილში არსებულ სხვა ქვეყანაში, სხვა ეროვნების კაცს დაეწერა ეს ლექსები, იმდენად თავისიანად, თავიანთი მიწა-წყლის შემოქმედად მიიღებდნენ მას, უბრალოდ გაუკვირდებოდათ, სად იყო ამდენ ხანს, იაკი კაბეს აქამდე რატომ არ ვიცნობდითო...

ხოლო ნიღბის გადაწევა თუ რაიმეს, უპირველესად მაინც ნოსტალგიას გამოეწვია: ნოსტალგიას სტამბოლში მცხოვრები კაცისა სამშობლოსადმი, და ზრდასრული კაცისა — ბავშვობისადმი, ამ მძაფრ მონატრებას თბილისის შვიდი ქუჩის სიზმარეული გახსენებით რომ გამოხატავდა — ამ სახელებსა და ამ მონატრებას რომ უნდა განემსჭვალა „ამაღლების ქუჩის“ განწყობილებანი, დრამატიზმშემორეული, ამ სტრიქონებისა არ იყოს:

ძალიან ხშირად ამ აღმართზე ავყავარ შვილებს,
იხსენებენ თავის ბავშვობას ძველი სახლის წინ,
რომელიც მე გავუყიდე...

ვარსკვლავების ხსენება — მოგეხსენებათ — პირველ ყოვლისა უსაზღვროების შეგრძნებას იწვევს, მარადისობის განცდას, ანდა გვიმძაფრებს სხვადასხვა წუთიერ განწყობილებას, თუმც მეტად იშვიათია, რომ ვარსკვლავის ხსენებამ შეგვირხიოს სულის ის ყველაზე ღრმა, ყველაზე სათუთი, ყველაზე ინტიმური სიმი, ის შეგრძნება, ჩვენივე თავსაც რომ ვერ გავუმხელთ:

ბესიკ ხარანაულის იმ მინიმალისტური ლექსისა არ იყოს, „ქენჯნა“:

ის როგორღაა,
როცა შენს თავსაც ემალები,
ვარსკვლავებსაც —
და იატაკი მაინც ჭრიალებს.

იაკი კაბესთანაც ასევე რომ უნდა შემოგვანათონ ვარსკვლავებმა, თითქოსდა პეიზაჟური სურათი იხატება და მათ ფონზე ცნაურდება პოეტის წამიერი განწყობილება, მაგრამ უეცრად უნდა ვიგრძნოთ ის უფრო მეტიც, სულის ყველაზე ღრმა და ინტიმური, ყველაზე სათუთი სიმის შერხევა:

აპრილის საღამოს სიო,
ხის შიშველ ტოტებზე
ჯერ მხოლოდ ვარსკვლავები შეირხევიან...

ვარსკვლავები — იმ სულიერ სიმებად გარდასახულნი, შენი თავისთვისაც რომ ვერ გაგიმხელია.

შესაფერისად — ძალზე ფაქიზად ნათქვამი, ნიშანდობლივი მანერა იაკი კაბესათვის, რომლის ლექსებსაც ზაალ ჩხეიძე არამარტო ქართული მინიმალისტური პოეზიის საუკეთესო კრებულად მიიჩნევდა, რაც კი ოდესმე გამოცემულიყო, არამედ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფაქიზ წიგნადაც, ჩემთვის ამ უაღრესი სიფაქიზის გამოხატულებად რომ რჩებოდა პოეტის სწრაფვა — ყოფილიყო ციცინათელების სასაფლაოს მომვლელი, ხოლო ამ ახალ კრებულში ბაბუაწვერების ველის ხატიც უნდა შემატებოდა ღრმაინტიმურრობის კიდევ ერთ საყრდენად:

ბაბუაწვერების ველზე,
შეყვარებულების ხათრით,
ქარი ფრთხილად დაიარება...

აქ კი სიფაქიზეს ტრაგიკული ნოტებიც უნდა შემორეოდა, სოხუმის ამოტივტივებას მეხსიერებაში:

კენჭები,
ზღვა,
ჰორიზონტი
თოლიების ფრთებმა წაშალა...

იაკი კაბეს ლექსებში ხშირად ტრიალებენ, გალობენ და ჟივჟივებენ ჩიტები, და პოეტის გაკვეთილადაც თუ რაიმეს, სწორედ ამას იგულისხმებდა:

შემოღობილ პარკებში,
დაკეტილ სკვერებში,
გაყიდულ ტყეებში
ჩიტები სტვენას არ იშლიან...

და არც „მზიურის“ სივრცეში დაიშლიდნენ ფრთოსნები სტვენას, ამფითეატრში „ამაღლების ქუჩის“ წარდგენისას მათი სტვე-

ნა-ჟივჟივი რომ გამოჰყვებოდა მუსიკალურ ფონად ზვიად კვარაცხელიას, ნატო ინგოროყვას, შორენა ლებანიძის, ტორესა მოსისა და თქვენი მონა-მორჩილის გამოსვლებს, აპრილის საღამოს სიოც რომ მოელამუნებოდა ხეების შიშველ ტოტებს...

„ამაღლების ქუჩას“ კი — როგორც მინიმალისტური ლექსების კრებულს — დამატებადაც მინიმალისტური კრიტიკულ-ესთეტიკური სტრიქონები მოუხდებოდა, კრებულს რომ დაერთვოდა სხვადასხვა გამოხმაურებიდან ამოკრებილი შეფასებანი.

თუნდ მაკო ჯანჯიბუხაშვილისა:

— ვერცერთი წერილი და რეცენზია ვერ იტყვის პოეტზე უკეთ, ამიტომ, ვისაც „სუფთა ჰაერი“ მოგენატრათ და ლექსებში ეძებთ სულის მშვიდობას, ეძიეთ ირაკლი კაკაბაძის „სამწერტილები...“

თუნდ ნუგზარ ზაზანაშვილისა:

— ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ვწერდი, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში შემოსულია ახალი მძლავრი „ნაკადი“, და ამავე წერილში კიდეც შევეცადე მომენიშნა ამ ნაკადის კონტურები თუ ასაკობრივი ზღვარი: ირაკლი კაკაბაძე 35 წლისაა და, ჩემი შეხედულებით, მისი პოეზია თავსდება ამ ნაკადში, მის ქვედა ასაკობრივ „სეგმენტში“, ანუ ისიცაა ამ „დატოტვილი ნაკადის“ ორგანული ნაწილიცა და შემქმნელიც; რატომ? თვალშისაცემი პოეტური ნიჭის გამო.

თუნდ გოგი გვახარიასი:

— არ არის ადვილი გამოიცვალო სახელი, იაკი კაბე დაირქვა და დაწერო ისე, როგორც იაპონელი დაწერდა, ე. ი. მიმართო სრულ თვითუარყოფას სიყვარულის ნიშნად. მითუმეტეს, რომ სად ქართული კულტურა და სად იაპონური, სად დასავლეთი და სად აღმოსავლეთი, ვერ გაუგებენ ერთმანეთსო, ვერ გაერთიანდებიანო, ამბობდა ოდესღაც ჭკვიანი ხალხი. ირაკლი კაკაბაძემ — იმავე იაკი კაბემ — დაამტკიცა, რომ ნაჩქარევი იყო ეს დასკვნა...

რადიარდ კიპლინგს იგულისხმებდა გოგი გვახარია, საწყის სტრიქონებს მისი „აღმოსავლური და დასავლური ბალადისა“, ამ უკიდურეს დაშორებას რომ ირწმუნებოდა, ამ სრულ გაუცხოებას, მაგრამ ბალადის შინაარსი სულ სხვას იღაღადებდა — ხელდებას გადაკვეთის წერტილებისა, ღრმა შინაგანი სიახლოვისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, თვითონვე რომ

აბათილებდა რადიარდ კიპლინგი თავისივე შეხედულებას, და აგერ ქართველ პოეტსაც ერთხელ კიდევ უნდა წარმოეჩინა ეს სიახლოვე თვითუარყოფის წყალობით — სიყვარულის ნიშნად, ნიღაბი და სულის დაფარული შრეები ასე მარჯვედ რომ შეეთვისებოდა ერთიმეორეს.

ბევრ სხვა დეტალსა თუ გარემოებასაც უნდა გაეთვალსაჩინოებინა თუნდ ქართული და იაპონური კულტურებისა და მსოფლგანცდის იდუმალი სიახლოვე, ქართველ მთარგმნელთა წყალობითაც ჯერ მარტო ტანკასა და ჰაიკუს ჩინებული ორეულები რომ შეიქმნებოდა და ლევან ბრეგაძე საგანგებოდაც შეისწავლიდა ამ მოვლენას ნარკვევში „ტანკა და ჰაიკუ საქართველოში“, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემის „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“ პირველ წიგნში რომ გავეცნობოდით, და დეტალური ანალიზისას გაიხსენებდა 1960 წელს დაწერილი და 1968 წლის ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ოთარ ჩხეიძის რომანის — „აღმართ-დაღმართი“ — იმ პასაჟს, პერსონაჟი იაპონელ პოეტს აოკურა გეკაის რომ ახსენებდა, და დასძენდა:

— იაპონური პოეზია თავისებურია. ერთი სტუდენტი თარგმნის, აღტაცებულია.

და ნიმუშად ამ სტრიქონებსაც მოიხმობდა:

ადვილად, მჩატედ ბეჭედს მიასვამს
თხელ ფურცელს...
და გასრესს კაცსა, როგორც ჭიასა.

და მკვლევარი რომ შეუდგებოდა აოკურა გეკაის მოძებნას, მას ინტერნეტსივრცეში ვერ აღმოაჩენდა, და ვერც ჩვენი იაპონელი მეგობრის, ქართველოლოგ ჰაიატე სოტომეს დახმარებით მიაკვლევდა, და ამგვარ დასკვნას გამოიტანდა:

— თუ ასეთი ავტორი მართლა არსებობს, შესაძლოა ეს იაპონური ჰაიკუს პირველი თარგმანი იყოს ქართულ ენაზე, ხოლო თუ მისტიფიკაციაა, მაშინ ეს ალბათ პირველი ორიგინალური, თუმც მისტიფიკაციის საბურველში გახვეული, ქართული ჰაიკუ იქნება.

ასე რომ:

ოთარ ჩხეიძე ან თამაზ ჩხენკელს უსწრებს, როგორც ჰაიკუს პირველი მთარგმნელი ქართულად.

და ან ირაკლი კაკაბაძეს — როგორც პირველი მისტიფიკატორი იაპონური პოეზიისა.

იქ კი, „მზიურის“ გარემოსა თუ სულიერ სივრცეში სულ უფრო შემოიპარებოდა აპრილის საღამო, და გაძლიერდებოდა მისი სიოც, და — იაკი კაბეს წყალობით — უკვე შეგვეძლო დაგვენახა, ხის შიშველ ტოტებზე ჯერ მხოლოდ ვარსკვლავები როგორ შეირხეოდნენ...

ხოლო იატაკი... იატაკი მაინც ჭრიალებს...

უმცროსი ძმა რომ ნამოგესწრება

(სადღეგრძელოს მაგიერ ზვიად კვარაცხელიას)

ჩემო ზვიად,

ხანდახან წამოტივტივდება ხოლმე გონებაში გადმოცემა თუ სურათი:

კაცს ბევრად უმცროსი ძმა რომ მოესწრება ან შვილი და ტვირთზე შეუვლებს ხელს, მძიმეა ტვირთი, ზედმეტად მძიმე, მაგრამ კაცს არ უნდა გააცნობიეროს მისი სიმძიმე, თავს იმხნევებს და ჯიქურ მიუყვება აღმართს. და აი ტვირთზე წაეპოტინებიან, ჩამორთმევით არ ჩამოართმევენ. რაკილა ზიდვა ჯერაც შეუძლია, მაგრამ შეუმსუბუქებენ კი — საქმითაც, სიტყვითაც, გულს გაუხალვათებენ, გაუმაგრებენ და ერთად გააგრძელებენ გზას.

კაცი ცდილობს გაუფრთხილდეს ახალგაზრდას და ტვირთის მეტი ნაწილი მაინც თვითონ ზიდოს, ხელის აკვრაც დიდ დახმარებად რომ შემოშველებია.

მაგრამ ახალგაზრდა ლამობს იქით გაუფრთხილდეს კაცს და მეტი ტვირთი თვითონ წამოიკიდოს ისე, რომ იმას არა აგრძნობინოს რა, თითქოსდა მხოლოდ ხელის წაკვრას კმარობდეს.

ამასობაში კი ტვირთი კიდევ უფრო მსუბუქდება, რაკილა ის მთავარია ხელუხლებელი და გადარჩენილი, უფროსუმცროსობის ინსტიტუტი რომ ჰქვია და ზნეობრიობას ბალავრად ჩაჰფენია.

ეს ინსტიტუტია მთავარი საყრდენი.

მთავარი განმსაზღვრელი ეს ინსტიტუტია.

მერე ზედ ყველაფერი დაშენდება სასიკეთო.

და ახლაც, როდესაც მოგმართავ, ის სურათი მიდგას თვალწინ — ტვირთის შემამსუბუქებელი და ამზიდავი ახალგაზრდისა, თავისი ქვეყნის ჭირითა და ლხინით რომ სუნთქავს და ტვირთიც ამიტომ ემსუბუქება.

მთავარია, რომ მხნედ მიაბიჯებს და მიეზიდება და მიისწრაფის იმ უკეთესი საქართველოსაკენ, ჰორიზონტზე რომ ილანდება და რეალობადაც გაგვიცხადდება, მის კარიბჭეში იმ ტვირთით რომ შევაღწევთ, სულიერების საგანძური რომ ჰქვია.

ექვსტომეული რვა მოხსენების ქარგად

(ანონსის მაგიერ)

პანდემიური რეალობა რომ არა, აქამდეც უნდა გაგვემართა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გურამ გეგეშიძისადმი — მისი ექვსტომეულის შესაფასებლად, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსის მხატვრული მემკვიდრეობა რომ მოიყრიდა თავს.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მრავალფეროვან ცხოვრებაში გაჩნდებოდა ეს წამოწყებაც — სამეცნიერო სესია, მოხსენებები ცალკე წიგნად რომ იკვრებოდა ხოლმე, და უკვე ხუთი ამგვარი შეკრება გაიმართებოდა.

აქამდე ყოველი თავყრილობა მიეძღვნებოდა მხოლოდ თითო წიგნს, ამჯერად მთელ მწერლურ მემკვიდრეობას რომ მოვხვევდით ხელს და მოვინდომებდით გურამ გეგეშიძის შემოქმედების გააზრებას მთლიანობაში.

თანამედროვე მოთხრობების შეფასებას გია არგანაშვილი ითავებდა.

ისტორიული რკალის მოთხრობების განსჯას მე დავივალებდი.

რომანები დაურიგდებოდათ:
ნინო ვახანიას — „ცოდვილი“,
ქეთევან შენგელიას — „სტუმარი“,
„ქართლის ჭირის“ ციკლი კი:
ნიკოლოზ სანებლიძეს — „ხმა მღაღადებლისა“,
პაატა ჩხეიძეს — „სისხლის წვიმები“,
ირმა რატიანს — „ნაცრის კოშკი“
და
გიორგი ლობჟანიძეს — „ნათლისქრობა“.

ეს ის სახელებია ჩვენი მკვლევარებისა, არამარტო საგულისხმო ნარკვევთა სერიას რომ შექმნიან, არამედ გააცხოველებენ გურამ გეგეშიძის მხატვრული ნაღვაწისადმი ინტერესს და გზებსაც დასახავენ ინტენსიური კვლევა-ძიების გაგრძელებისა, რათა ხელშესახებად წარმოჩნდეს ამ მხატვრული სამყაროს შთამბეჭდაობაც და ძალმოსილებაც, მსოფლიო რანგიც და მონუმენტურობაც.

და შევეცდებით:

მაისს აღარ გადავაცილოთ ამ ძვირფასი სახელის შესაფერისი გახმიანება.

ნიშანსვეტად: 1942 წლის შეთქმულება

(77 ეპიზოდის კოლექციად)

80-იანი წლების მიწურულიდან ინტენსიურად რომ შევუდგებოდი ქართული იატაკქვეშა მოძრაობის შესწავლას, ამასობაში ხელმისაწვდომი გახდებოდა უშიშროების არქივში დაცული საგამოძიებო მასალები, სხვა უამრავ დოკუმენტს რეპრესირებულთა ოჯახებიდან რომ მოვიპოვებდი, და „დაწყევლილი თაობის“ სახელწოდებით გამოქვეყნდებოდა ჩემი ორი წიგნი: 1992 წელს — 1942 წლის შეთქმულებაზე და 1995 წელს კი — სამანზე.

და თვალნათლივ წარმოჩნდებოდა ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის ორი ჰეროიკული და ტრაგიკული ეპიზოდი, ისეთივე ნიშანსვეტები ჩვენი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში, როგორც 1924 წლის აჯანყება, რომლის ტრაგიზმიც ვერა ფარავდა მის ჰეროიკულ სულისკვეთებას, სულს რომ მოგვათქმევინებდა ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობის ულმობელ ხანაში და გვაგულიანებდა რუსული უღლის გადასაგდებად.

და ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემდგომ ასეთი მასშტაბური პროტესტანტული გამოსვლა რომ არ მომხდარა 1942 წლის შეთქმულთა თავგანწირულ მოქმედებამდე, არაერთხელ გავიმეორებდი პერიოდიკაშიც და ტელევიზიის ეკრანიდანაც, კობა იმედაშვილი ორ გადაცემას რომ მიუძღვნიდა ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ამბებს.

მას შემდეგ თანდათანობით შევავსებდი ორივე წიგნს და ადრე თუ გვიან იმ შევსებული ვერსიის გამოსაცემადაც მოვიცლი, ოღონდ მანამდე „არტანუჯი“ ითავებდა „თან საკითხავის“ სე-

რიით „1942 წლის შეთქმულების“ გამოცემას, ეს 77 ამბავი კიდევ ერთხელ რომ შეახსენებს საზოგადოებას ამ ნიშანსვეტურ მოვლენას, ისტორიის სახელმძღვანელოების შემდგენელთ კი დაუბეჯითებს, რომ ამ ისტორიული ეპიზოდის გამოტოვება არაფრისდიდებით არ შეიძლება საქართველოს XX საუკუნის ისტორიიდან — მეტად კოლორიტული პერსონაჟები რომ წარმოდგებიან მის მონაწილეებად,

და ნიშანდობლივია მეთაურად რომ წინაურდებოდა მწერალი — ის კოტე ხიმშიაშვილი, რომელსაც იმედის თვალით შეჰყურებდნენ მიხეილ ჯავახიშვილი თუ ლეო ქიაჩელი...

„თან საკითხავის“ სერიით გათვალისწინებულია „სამანის“ გამოცემაც, ჯერჯერობით კი „1942 წლის შეთქმულებამ“ უნდა გააცხოველოს მკითხველის ცნობისწადილი ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის სიღრმეში ჩასახედად, კიდევ ერთხელ რომ მოვექცეოდით საერთაშორისო ისტორიული პროცესების შუაგულში სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ჭაბუკების წყალობით, იმ საქართველოსაკენ რომ მიისწრაფოდნენ, რომელიც ჯერაც დასამკვიდრებელი გვაქვს იმ ძალმოსილებით, ჩვენს მეობასა და თვითმყოფადობას რომ შეჰფერის.

პუბლიცისტის დაბადება

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩემი ბიოგრაფიული რომანი რომ გამოქვეყნდებოდა ალექსანდრე ორბელიანზე 1995 წელს, მერელა ვნახავდი ნიკო ნიკოლაძის იმ სტატიას, „ქუთაისის მეჭორეობა“, და მისი მოგონებების იმ პასაჟსაც, რომელშიც თავის პუბლიცისტურ დებიუტად სწორედ ამ სტატიას ასახელებდა, მიუხედავად იმისა, რომ:

მანამდე უკვე დაებეჭდა სტატია „ხაბარდა და ლოტტო ქუთაისში“.

სხვათა შორის:

აკაკი წერეთელიც აკი ლოტოს თამაშის ავადმყოფობად გადაზრდის წინააღმდეგ გალაშქრებით გამოვიდოდა პუბლიცისტიკის სარბიელზე.

თავისთავად საგულისხმოა ეს თანხვედრა ინტერესებისა.

ოღონდ ნიკო ნიკოლაძე სათვალავში აღარ ჩააგდებდა თავის იმ სტატიას და დებიუტად სხვას გამოაცხადებდა.

უნებლიე უზუსტობა დაემართებოდა?

არა, არამედ სავსებით შეგნებულად განაცხადებდა, და ამით მკვეთრად მიუთითებდა, თუ რას შთაეგონებინა, რას აღევსო პუბლიცისტური წყურვილით და საიდან მომდინარეობდა მისი დაუცხრალი მცდელობა: ჩარეულიყო და შეეფასებინა საქართველოში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი თუ საჭირბოროტო მოვლენა.

უფრო მნიშვნელოვანი და საჭირბოროტოც რაღა უნდა ყოფილიყო:

„ქუთაისის მეჭორეობა“ აგებულიყო ორი მოკამათის დიალოგზე, ალექსანდრე ორბელიანის სტატიის ირგვლივ: „ქართული უბნობა ანუ წერს“ — ერთი დიდად რომ აფასებდა ავ-

ტორს, რაკიღა ყოველი ძალით ცდილობდა ქართული ენა არ დაკარგულიყო, მეორე კი ფუჭ, ამაო გარჯად უთვლიდა, როგორც დროის ტყუილად კარგვას, თორემ აბა რაღა სასარგებლო უნდა ყოფილიყო ქართული ენა?

ის კი, ალექსანდრე თავისას არ იშლიდა და დიმიტრი ყიფიანს ეაჯებოდა:

შენ შეგიძლია თუ შეგიძლია ქართული ენის გრამატიკის შემოკლებული კურსი შეგვიდგინო და ნუღა გადასდებო.

და ნიკო ნიკოლაძეს ერჩივნა, ალექსანდრე ორბელიანის სტატიაზე გამოხმაურება ყოფილიყო მისი დებიუტი პუბლიცისტიკის სარბიელზე, დაე ყველას სცოდნოდა, ვის გზას აგრძელებდა, ვინ ესახებოდა და ეამაყებოდა თავის უშუალო წინამორბედად.

თორემ რა შეცდომა თუ უზუსტობა შეიძლება მოსვლოდა კაცს, რომლის მეხსიერებაც საარაკოდ მიიჩნეოდა თვით ღრმა სიბერის დროსაც, თორემ 1914 წლის დასაწყისში, როდესაც თავის დებიუტად „ქუთაისის მეჭორეობას“ გამოაცხადებდა, მეხსიერება ჰქონდა — ქვას გახეთქავდა.

ცხადია ეს მრავლისმეტყველი ეპიზოდი ჩაერთობოდა „არტანუჯის“ მიერ „თან საკითხავის“ სერიით გამოცემულ წიგნს: „ალექსანდრე ორბელიანი — 150 ამბავი“.

ხოლო ბიოგრაფიული რომანის ხელმეორე გამოცემისათვის უკვე გავამზადებდი ამ ეპიზოდის გაშლილ ვერსიას, ცალკე თავს რომ დაისაჭიროებდა.

მითუკეთესი:

ამ სულიერ ხიდს, ამ უშუალო ზეგავლენას, ამ შთაგონებასა და შეგულიანებას სწორედაც ცალკე თავი უნდა დათმობოდა.

დასათაურებითაც დავასათაურებდი, თუმც რაღაც გულს მაკლდა და დროდადრო კიდევ და კიდევ ჩავხედავდი ხოლმე, რათა რაიმე უკეთესი მეპოვნა.

და აი უეცრად უნდა ამოტივტივებულიყო ეს სახელწოდება:

„ნიკო ნიკოლაძის დაბადება ალექსანდრე ორბელიანის სტატიის სულიდან“.

რაო, ფრიდრიხ ნიცშეს განთქმული ქმნილება წამოგაგონდათ: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“?

თანაც ერთხელ უკვე გამოყენებული კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნიცშეს პორტრეტის კონტურების მოხაზვისას: „ტრაღედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან"?

აქაც მოუხდება ეს ასოციაცია თუ გადაძახილი, სწორედაც რომ დაამშვენებს ალექსანდრე ორბელიანისა და ნიკო ნიკოლაძის სულიერ ურთიერთობასაც და ნიკო ნიკოლაძის პორტრეტსაც.

და ერთხელ კიდევ დაგვიბეჭითებს:

რამდენი რამ მომდინარეობს სამოციანელთა სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და ცხოვრების წესში ალექსანდრე ორბელიანის სტატიების, ისტორიული ნარკვევების, ზეპირნაამბობების სულიდან, მისი ზნეობრივი გმირობის სულიდან.

და ნიკო ნიკოლაძის ის ვითომდა უზუსტობა შეგვიძლია მივიჩნიოთ განზოგადება-გასიმბოლოვებად იმ დიდი და წარუშლელი ზეგავლენისა, ქვეყნის პატრონობას ახლა მათ რომ გადააბარებდათ, მათ მიანდობდათ და ანდერძად ტოვებდა, აუცილებლად ჩაეძახათ საფლავში მისთვის საქართველოს გამოხსნის სანატრელი წუთის აღსრულება.

მეტს არას სთხოვდა შთამომავლობას!..

დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აუცილებელია

(სადღეგრძელოს მაგიერ ლიკა თეგეტაშვილს)

ლიკა,

შენ და შენი მეგობრები კარგ გუნდად იკვეთებით ქუთაისის საზოგადოებრივ და სალიტერატურო ცხოვრებაში, სულ უფრო კანთიელად რომ გაისმის შენი სახელიც და შესამჩნევია შენი პირველი ნაბიჯებიც:

შენი პოეტური სიტყვაც.

ფართო ერუდიციაც.

დახვეწილი გემოვნებაც.

მკვლევარისა და კრიტიკოსის ალღოც.

უკეთესის ძიების ჟინიც.

უკვე ხელშესახებად უნდა აღიბეჭდოს თქვენი ნაკვალევიც ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ლანდშაფტში, აუცილებელი რომ არის ის თანადგომა, რათა ყოველივე ბუნებრივი გზით წარიმართოს.

თორემ არა კმარა ქუთაისისათვის დინოზავრების ნაკვალევით თავმოწონება.

არა კმარა თავმოწონება დიდებულ მოღვაწეთა ნაკვალევით.

თავის დროზე პეტრე ჭაბუკიანი გამოაკრავდა აბრას:

— დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აკრძალულია!

რაც გურამ ასათიანის ერთი ვრცელი მიმოხილვითი ნარკვევის შთაგონებად და სახელწოდებადაც იქცეოდა.

ასეა — დინოზავრების ნაკვალევზე სიარულმა შესაძლოა დროთა განმავლობაში გაცვითოს თვით ქვადქცეული წარსული და მთლად თუ არ გააქრობს, საკმაოდ წაახდინოს.

დიდებულ მოღვაწეთა ნაკვალევზე სიარული კი, გაუნელებელი და შეუფერხებელი, აუცილებელზე აუცილებელია, რათა მუდმივად განახლდეს ხოლმე, თორემ აქ პირიქითაა — თუ იმ ნაფეხურებზე სიარული შეწყდება, სწორედ ეს გაცვითავს იმ ნაკვალევს და, მთლად თუ არ გააქრობს, საკმაოდ წაახდენს.

ამიტომ უნდა გაგრძელდეს იმ ნაკვალევზე თქვენი სიარულიც, შენ იქნები თუ ხატია კვერეხაძე თუ თამთა შავიანიძე თუ ნანა ჩხობაძე თუ სოფო ჭუმბურიძე... დაკარგვით არ დაიკარგებით, მაგრამ ხომ შეიძლება მეტი საშუალება მოგეცეთ თქვენი ნიჭისა და ენერგიის გამოსავლენად, ქუთაისის კულტურულ ყოფაში სიახლის სიოს შემოსაქროლებად.

ლიტერატურულ დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აუცილებელია და აუცილებელზეც აუცილებელი!..

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

(დღიურის ფურცლებიდან)

ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის შეჩერება უკვე ძალიან შემაწუხებელი გახდა: „ლიტერატურული გაზეთისა“ და „არილისა“ და „ახალი საუნჯისა“.

გასაგებია:

კულტურის სამინისტრომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ეს პროცესი რაღაც ძალიან გაჭიანურდა და ლიტერატურული პერიოდიკის შეჩერება ლამის... ლამის გაყინვაში გადაიზარდოს, 90-იანი წლებში ხელფასს რომ გვიყინავდნენ თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე, იმას ემსგავსება.

თუ ჯერ კიდევ იძიებენ, თუ რითი სუნთქავენ:

შოთა იათაშვილი,

შადიმან შამანაძე,

მალხაზ ხარბედია

და

ირაკლი ჯავახაძე,

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ:

უმთავრესად:

ქართული ლიტერატურით, ქართული კულტურით, საქართველოთი.

ცხადია ცოტა ჟანგბადსაც აშველებენ.

ამასვე დაადასტურებენ კულტურის სამინისტროს აგენტებიც (ლიტერატურულ აგენტებს ვგულისხმობ!), ოღონდ მოგვიანებით.

ამიტომაც აღარ უნდა გაჭიანურდეს ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების სიცოცხლის განახლება და ჩვენმა ლიტერატურამ კვლავ ჩვეული ძალით განაგრძოს გზა დასავლურ სამწერლო ცხოვრებასთან შესაერთებლად.

შენი გედისწერის ჯვარი

(ეკატერინე ტოგონიძის ახალი რომანი)

რომანში „შინ — შენ" („სულაკაურის გამომცემლობა", 20/20), ეკატერინე ტოგონიძის ამ შთამბეჭდავ ეპიკურ ქმნილებაში, ამგვარ შესიტყვებასაც აღმოაჩენთ:

დაუმთავრებელი ჰაიკუ.

რაღაც ფრაზა დაუმთავრებელ ჰაიკუსავით წარმოითქმის.

რა ფრაზაა და...

თუმც დასაფიქვრელი უპირველესად ის შესიტყვებაა, მოულოდნელიც, პარადოქსულიც — ჯერ ჰაიკუ რა არის, სამად სამსტრიქონიანი ორ-სამ სიტყვიანი ლექსი და... დაუმთავრებელი რაღა უნდა იყოს?!. ისედაც მინიშნებებზე, ისედაც ნახევარტონებზე აგებული და... თუ ესეც ჰაერში გამოეკიდა?!.

თუმც... დაე გამოეკიდოს, რაკილა მთავარი ნათქვამია, გალაკტიონური შეგონებისა არ იყოს: სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობაო... ის ფრაზა რომ განსაზღვრავს რომანის მხატვრულ მრწამსსაც, განწყობილებათა ბირთვსაც და თხრობის მდინარებასაც, იმ სტილურ მანერას, რაც ისედაც ნიშანდობლივია ეკატერინე ტოგონიძის პოეტიკისათვის, ამ რომანში კი მთელი სისავსითაც უნდა ეჩინა თავი, მინიშნებანი, ნახევარტონები რომ ჩაფენილა მის ძარღვად, ფარული თუ ხელშესახები გადაძახილები სცენისა სცენასთან თუ ეპიზოდისა ეპიზოდთან; და მიმზიდველმა, წარმტაცმა თხრობამ როგორც უნდა ჩაგითრიოს, გამორჩენით არაფერი უნდა გამოგრჩეს, რათა ბოლომდე ჩაჰყვე ავტორს პერსონაჟთა სულის ხვეულებში და შეიგრძნო და გაისიგრძეგანო ის ურთულესი გზა, აღსავსე მძაფრი სულიერი ტკივილებითა და შემობრუნებებით, და იმ გაუნელებელი გულისჭიდილით,

მთავარ გმირს თავი რომ უნდა აპოვნინოს და ახლებურად დააანახოს რეალობის ლაბირინთებიც და გარშემომყოფთა სულიერი ტკივილებიც, ომისაგან დარჩენილი შინაგანი რღვევა თუ ფსიქიკის ჩავარდნები, და აღმოაჩინოს ის ფსიქოლოგიური მიზეზი, რაც მამას აიძულებს მიწისძვრისას მიატოვოს ათი წლის შვილი და პანიკური შიშით შეპყრობილი გამოვარდეს შინიდან თავის საშველად.

უპატიებელია?

მითუმეტეს, თუ ბავშვი ლეთარგიულ ძილში უნდა ჩაიძიროს და ძნელი სათქმელია, უშველის თუ არა მკურნალობა იმ სნეულებას, რასაც გარიყულობის სინდრომი ჰქვია და მსოფლიოში უამრავი ბავშვია ამ სენით დაავადებული.

გარიყულობის სინდრომი ვისი ხვედრია და:

ლტოლვილ, დევნილ ოჯახთა შვილების, გამოგდებულ, შევიწროებულ, უადგილოდ დარჩენილ, დამცირებულ და დაშინებულ ადამიანთა შვილების.

მშობლების მწარე, გაუსაძლისი ყოფა თავისთავად გადმოდის ბავშვებზე და ისინიც არანაკლებ არიან ომის მსხვერპლნი, თუნდ დაბადებით ომის შემდგომაც დაიბადონ.

რაღაცას უნდა შეეფარონ, რაღაცისაგან უნდა დაიმალონ, რაღაცას უნდა გაექცნენ და... სწორედ მისწრება ხდება მათთვის ლეთარგიული ძილი, რაც მშობლებისათვის მძიმე ჯვრად იქცევა.

ეს სიმძიმე კი იწვევს გაუგებრობებსაც, რის ქსელშიც უნდა მოხვედრილიყო ნია კანდელაკი, ვერაფრისდიდებით რომ ვერ აპატიებდა ქმარს შვილის მიტოვებას მიწისძვრისას, რადგანაც მისი დაბეჯითებით:

გაბრიელას იმ წუთას მიტოვებულობის განცდა რომ არ გასჩენოდა, რაკილა მამა უკანმოუხედავად გავარდებოდა გარეთ, არც ლეთარგიულ ძილში ჩაიძირებოდა.

ნიას იმხანად არ შეუძლია გააცნობიეროს, ღრმად ჩაწვდეს ნამდვილ მიზეზს, შვილი მას შემდეგ რომ არის უკვე განწირული ასეთი ხვედრისათვის, რაც მამას გადახდებოდა აფხაზეთის ომად წოდებულ რუსეთ-საქართველოს ომში, ეთნიკურ კონფლიქტს ამოფარებულ იმპერიალისტურ ძალადობაში... პატარა

ბიჭს, რაღაც სასწაულით რომ გადაურჩებოდა აფეთქებულ ნაღმს, შემდეგ საკენ-ჭუბერის გზის ტრაგედიაც უნდა ეწვნია და თავისი თვალით ეხილა გზადაგზა დაღუპული ადამიანები, მათ შორის -- ბავშვებიც...

და მხოლოდღა მერე უნდა აღმოაჩინოს ნიამ, შინიდან ეს დემნა კი არ გავარდებოდა მიწის შერყევისას, არამედ ის პატარა ბიჭი, ხოლო დემნა, როგორც კი თავს დაიბრუნებდა, მაშინვე შემოტრიალდებოდა ბავშვის საშველად...

ხოლო ის ფრაზა, დაუმთავრებელ ჰაიკუსავით რომ წარმოითქმის...

თუმც მანამდე ნია იმ იმედის ძაფს რომ მოეჭიდება, გაბი თეატრში უნდა წასულიყო და მამას იგი ეგებ უკვე აღარც ეგულებოდა შინო, დემნამ გულწრფელად უნდა აღიაროს, რომ:

იცოდა შვილის შინ ყოფნა.

და ამ აღიარებამ უნდა მიახვედროს ნიაც და მკითხველიც, რომ დემნა გაცილებით უფრო რთული პიროვნებაა, ვიდრე ერთი შეხედვით მოჩანს — ალალმა აღიარებამ, თუნდ ეს მისთვის წამგებიანი იყოს და შესაძლოა საბოლოოდ გაწყვიტოს ის ძაფი ცოლ-ქმარს შორის, ჯერაც რომ აკავშირებთ — მყიფედ, მყიფედ, შორეულად, მაგრამ მაინც...

დიახ, ამ ალალმა აღიარებამ უნდა გახსნას დემნას ფსიქიკისა და ხასიათის ის იდუმალი შრე, ომგადატანილი ადამიანი დროდადრო თავს რომ აღარ ეკუთვნის... და გვაგრძნობინოს, რომ ბავშვისათვის, მისი გამოფხიზლებისათვის ისევე აუცილებელი რომ არის მამის იქ ყოფნაც, როგორც დედის გაუნელებელი ზრუნვა — გულის ორი პარკუჭივით.

ნიას ფსიქიკაში მომხდარი დიდი გარდატეხა კი ნაბიჯ-ნაბიჯ და დახვეწილი და ფაქიზი მწერლური ტექნიკით უნდა შემზადდეს, ღრმა ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებით, თითქოსდა შემთხვევით, არადა იდუმალი კანონზომიერებით რომ უნდა გამოუჩნდეს მთავარი როლი აფხაზეთის ტრაგედიისადმი მიძღვნილ კინოფილმში, მთავარი ძარღვი სიუჟეტური ქარგისა საკენ-ჭუბერის გზა რომ არის და იქ დედის უნებურად გაყინული ბავშვის მწარე ხვედრი, დედა თავის თავს რომ აბრალებს და ლამის ჭკუიდან შეცდეს ამ კოშმარული განცდებით შეპყრობილი...

ორი რეალობა ენაცვლება და გადიგადმოდის ერთმანეთში — ყოფითი და მხატვრული, სწორედ ამ მხატვრულმა რეალობამ რომ უნდა გააკვლევინოს გზა ნიას ყოფით ლაბირინთში. ფილმის სახელწოდებაც — „ძაფის გორგალი“ — სწორედ ამაზე მიანიშნებს, არიადნეს ძაფი თანდათან ხდება შემაკავშირებელი ნიასა და დემნას შორის, ლაბირინთი ერთად რომ უნდა გამოვლონ.

პარალელური თხრობა, მისი მონაცვლეობა ყოფითობიდან მხატვრულ სინამდვილეში თუ აწმყოდან წარსულში, გამდიდრებული შინაგანი მონოლოგებითაც, ეს ყოველივე კი უფრო ფოლკნერულ ყაიდაზე, ფოლკნერული მონტაჟის კვალზე აგებული, სწორედ რომ ფილიგრანულად არის წარმართული და გადასვლებიც მარჯვედ შესრულებული, რაც ასერიგად აუცილებელაი პარალელური თხრობის მეთოდისათვის, თორემ ეს მხატვრული მეთოდი რამდენადაც მიმზიდველია გარეგნულად, იმდენადვე სახიფათოც, რადგან თუ არა დახვეწილობა და უფაქიზესი გადასვლები დროისა და რეალობის მონაცვლეობის კვალობაზე, არამარტო სიუჟეტური ხაზი შეიძლება გაექცეს მკითხველს თვალთაგან, არამედ დიდი განზრახვა უნუგეშოდ ჩაიფუშოს და ხასიათების ნაცვლად ხელთ რეზონიორები შეგვრჩეს, სიუჟეტის ნაცვლად კი — მისი ანარეკლი.

ეკატერინე ტოგონიძე წარმატებით ასწევდა ამ საჯილდაო ქვას და მკითხველს დაუმცხრალი ინტერესის ბურანში ამყოფებდა, ამ ძაფს მთავარი გმირივით რომ უნდა მოსჭიდებოდა და ნიას და დემნასთან ერთად განეცადა ახალი ცხოვრების დაწყების სიხარული, ღია ფინალი დაბეჯითებით რომ გარწმუნებს გაბის გამოღვიძებაში ლეთარგიული ძილიდან.

საკენ-ჭუბერის ტრაგედიის წარმოსახვაში, მის ხელშესახებად განცდაში ავტორს ძალიან რომ წაადგებოდა გურამ ოდიშარიას მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა „დევნილთა უღელტეხილი“, მის ხსენებას მარჯვედ ჩაურთავდა თხრობაში და მიგახვედრებდა, უამრავ დოკუმენტურ მასალაზე მეტად მაინც ეს მოთხრობა რომ იქნებოდა შთამაგონებელი კინოსცენარის შესადგენადაც და რომანის სიუჟეტის ერთი ნაკადის გასაშლელადაც.

ისიც მახვილგონივრულად მიგნებული დეტალია, აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სახლს რომ შეეფარება, სადაც ის საბედისწერო მიწისძვრა უნდა მოხდეს.

ასე გამჭვირვალედაა მინიშნებული, აფხაზეთისა და შიდა ქართლის — პირობითად სამაჩაბლოდ რომ იხსენიება, თუმც ჭრილობად ქცეული ტერიტორია გაცილებით ვრცელია, ვიდრე ისტორიული სამაჩაბლო — ტრაგედიები ერთმანეთს რომ არის გადაჯაჭვული და გაბის ხვედრი შიდა ქართლიდან დევნილი ოჯახების შვილებსაც გულისხმობს, გარიყულობის განცდა ვისზე როგორ მოქმედებს და ვის როგორ, არ არის აუცილებელი, ყველა ლეთარგიულმა ძილმა შეიპყროს.

და რაც მთავარია:

გაბი გულისხმობს არამარტო დევნილ ბავშვებს, არამედ გაცილებით ღრმაა მისი სიმბოლური სახე.

ჯეიმზ ჯოისი ლეთარგიული ძილით დააძინებდა „ფინეგანის ქელეხის“ მთავარ გმირს, რომელსაც ირლანდიად განაზოგადებდა და გაასიმბოლოვებდა.

ამ ჯოისურ მოტივს 60-იან წლებში გამოიყენებდა ედიშერ ყიფიანი რომანში „წითელი ღრუბლები“, და თუმც სამსონი საქართველოდ ვერ გასიმბოლოვდებოდა, რაღაც მსგავსს მაინც აგრძნობინებდა მკითხველს.

და თუმც ვერც ეკატერინე ტოგონიძის რომანის „შინ — შენ“ პერსონაჟი განზოგადდება საქართველოდ, რაღაც მსგავსს მაინც აგრძნობინებს მკითხველს და ღია ფინალით, შთამბეჭდავი ბოლო აკორდით იმედიანი მომავლისაკენაც გაახედებს.

მისტიკურობითაც უნდა აღბეჭდილიყო მაინცდამაინც საკენ-ჭუბერის ტრაგედიაზე გადასაღებ ფილმში მიწვევა მთავარი გმირისათვის, ამ მისტიკურ ფონს იმ ეპიზოდშიც რომ უნდა ეჩინა თავი, მაჩაბლის ქუჩაზე მიტოვებულ სახლში შესულ ნიას ერთადერთ მობინადრედ ლოთი რომ უნდა დახვდეს, არეულად რომ გაიძახის რაღაც ფრაზებს:

— მკვლელი ხარ... შენ მოკალი... არა კაც კლა... შენ კიდე ღმერთი მოკალი...

მოგვიანებთი ნიამ ეს გაურკვეველი, უმისამართო ფრაზები თავისად რომ უნდა განიცადოს და ისეთი გრძნობა გაუჩნდეს,

თითქოს დიდი და ნამდვილი სიყვარულის მოკვლით სწორედ რომ თვითონ ჰკლავს ღმერთს...

თუმც ჯერ კიდევ არ არის გვიან და შესაძლებელია ყველაფერი სასიკეთოდ შემოტრიალდეს.

ხოლო ის ფრაზა, დაუმთავრებელ ჰაიკუსავით რომ წარმოითქმის, რა არის და:

— მე შენ კარგად გხედავ.

ანუ:

— მე შენ მიყვარხარ.

ასეა აფხაზურად.

და ასევეა „ავატარშიც“.

და ასევე უნდა გადმოვიდეს ყოფით რეალობაშიც, ფინალი სწორედ ამ სტრიქონით უნდა გასხივოსნდეს, ეზოში მდგარი და ბავშვახუტებული დემნა ბინდისფერ კაბადონს რომ აჰყურებს, მეცხრე სართულზე — მეცხრე ცასა და მოსალოდნელ სიხარულზე რომ მიგვანიშნებს — რაფას მომდგარ ნიას, რომელმაც უკვე იცის, რომ:

ცხადშია, არ ესიზმრება, არ სძინავს, და აღარც გაბის სძინავს და დასრულებულია ძილის ლაბირინთი, წყენის, შიშის, უსიყვარულობის ლაბირინთი...

მობილური ტელეფონი ის პირობითი ძაფია, ის გამჭვირვალე მინიშნება, ნამდვილმა ძაფის გორგალმა რომ გამოაღწია ლაბირინთს და ანთებულ ეკრანზე უკვე შეიძლება დაიწეროს ორ ხაზად აკინძული რამდენიმე სიტყვა:

„მეც.

მე შენ მუდამ კარგად გხედავ“.

დაიწეროს სწორედ ის რამდენიმე სიტყვა, დაუმთავრებელი ჰაიკუ რომ უნდა მოგვაგონოს, ის სიტყვა ნაწყვეტი, რომელიც გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა...

გზა უხილავი, გზა ხილული

(დღიურის ფურცლებიდან)

ლიტერატურული „კუტოკურობა“ ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა საბჭოთა ეპოქაში.

ეს ყაიდა სამწერლო ყოფისა თვალნათლივ ცნაურდებოდა წიგნების განხილვებზე — ყველას თავთავისი გუნდი, თავთავისი მრევლი რომ ეყოლებოდა, სხვა „კუტოკისა“ თუ „უკუტოკოდ“ მყოფ მწერალთა წიგნების განხილვაზე ფეხს რომ ვერ შეადგმევინებდი.

ხატოვნად ეს ასე ითქმის:

ქუდიც რომ შეგეგდო, ვერ გამოატანინებდიო.

ყოფილა შემთხვევები, ერთ დღეს ზედიზედ ორი განხილვა გამართულა და... ერთი ნაკადი თითქმის პირწმინდად რომ გამოიკრიფებოდა მწერალთა სასახლის დარბაზიდან, სულ სხვა ნაკადი შელაგდებოდა.

სამად სამი ადამიანი ვრჩებოდით:

აკაკი ბაქრაძე, გურამ პეტრიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი.

— ჩვენ ეტყობა მოცლილები ვართ, — ეტყოდა გურამი ბატონ აკაკის და ის მხოლოდ იღიმებოდა თავისი იშვიათი ღიმილით.

მოცლილებად ვრჩებოდით მაშინაც, როდესაც ვცდილობდით ყველაფრისათვის მიგვედევნებინა თვალი, რაც კი სამწერლო ცხოვრებაში ხდებოდა — ახალი წიგნები იქნებოდა თუ საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციები.

მოცლილი დავრჩებოდი პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც, თუმც ამჯერად ნაკლებ საინტერესოა ჩემი ხასიათის ეს თვისება, მთავარი სულ სხვა რამაა:

ბოლო ხანს აშკარად შეინიშნება სასიკეთო ძვრები სამწერლო ცხოვრებაში, „კუტოკებს“ იქით რომ იხედებიან არა ცალ-

კეული პიროვნებანი, არამედ სულ მეტნი და მეტნი, და ყოველი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, ყოველი მნიშვნელოვანი წიგნი საერთო წარმატებად აღიქმება.

ძალდაუტანებლად ირღვევა „ჩემი“ და „შენი“ და წარმოდგება „ჩვენი“.

ეს არის ერთადერთი და აუცილებელი, ყველაზე სანდო და საიმედო გზა საერთაშორისო ასპარეზზე შესაფერისი ადგილის დასამკვიდრებლად ქართული ლიტერატურისათვის, მისი კლასიკური მონაპოვრებისა და იმ დღევანდელობისათვის, ტოლსწორად რომ შეგვიძლია წარვდგეთ მსოფლიო სამწერლო პროცესებში მონაწილეობის მისაღებად და თვით ყველაზე ძნელი გამარჯვებაც ჩვენად ვაქციოთ.

ჭკვიანი კაცი გახლდათ ვახტანგ ქარსელაძე.

აქ რა შუაშია?

რა შუაშია და:

როდესაც ჩაითქვამდა ფანატიკურ, თითქოსდა სრულიად დაუჯერებელ, თითქოსდა იმთავითვე განწირულ განზრახვას: გამოეზარდა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის — მხოლოდ გამორჩეული ტალანტის ძებნას კი არ შეუდგებოდა, უპირველესად მოამზადებდა გოგონების საკმაოდ ძლიერ გუნდს, რაც უნდა ყოფილიყო დასაყრდენი მომავალი ჩემპიონისათვის; მერე კი არა რაღაც ბედად, არამედ სავსებით კანონზომიერად აღმოაჩენდა ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც იმ ძლიერი გუნდის ტალღებზე აცურდებოდა და... კიდეც შემუსრავდა ყველა დაბრკოლებას.

აქეთ მიდის ჩვენი ლიტერატურული პროცესიც „კუტოკური“ ზღუდეების მორღვევითა და ერთიანობის შეგრძნებითა და შეგნებით, პირადი ურთიერთობები გვერდით რომ რჩება და უმთავრეს ადგილს ჩვენს ცნობიერებაში იკავებს ერთიმეორის წარმატებით გამოწვეული სიხარული.

ამ შეგნების, ამ სიხარულის ტალღაზე უნდა აცურდნენ ლიტერატურის ჩემპიონებიც, თორემ ჩავიხარშებით ჩვენს წვენში და ეგ იქნება...

მხოლოდ ამ შეგნების, ამ სიხარულის ტალღაზე...

არტისტიზმი ქართული სულისა

(ანონსის მაგიერ)

კიდევ ერთი თავი იხილავდა მზის სინათლეს „განთიადის“ 2021 წლის მე-3-4 გაერთიანებული ნომრის ფურცლებიდან, „ქალდეას მონატრების“ შევსებული გამოცემისათვის გათვალისწინებულის:

„ქართული ხასიათი იმერული ელფერით ან მიკარგული სათავე“.

და დაიწყებოდა გაკვირვებით, აკაკი წერეთლის ეს უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი „ხასიათები“ როგორღაც რომ მიეკარგებოდა თვალთაგან ყველა მკვლევარს, ვინც კი ჩვენი ეროვნული ხასიათისა თუ ესთეტიკური ბუნების თავისებურებებს ჩაუკვირდებოდა.

ის კი არა, გურამ ასათიანსაც გამოეპარებოდა, ამხელა მონოგრაფიის შემქმნელს ამ თემაზე: „სათავეებთან“, რომლის წინამორბედადაც და შთამაგონებლადაც მოიხსენიებდა გერონტი ქიქოძის ესეის „ძველი იმერიელების ფსიქოლოგიიდან“, თავისთავად მრავალმხრივ მნიშვნელოვანს და ჩვენი ესეისტური აზროვნების მონაპოვარს, მაგრამ განა აკაკის „ხასიათები“ ნაკლები მონაპოვარია, თუ მეტი არა?!. თანაც გაცილებით ადრე შექმნილი, ასე რომ:

ამიერიდან მიჯნად, სათავედ, საწყისად ქართული ეროვნული ხასიათის ანალიტიკური შესწავლა-გააზრებისა აკაკი წერეთელი და მისი ეს ნარკვევი უნდა მოვიხსენიოთ, გერონტი ქიქოძის ესეი კი — მის კვალში ჩამდგარად.

ჯერ მარტო ეს პასაჟი ღირს ერთ რამედ, გამხსნელი იმერული ხასიათის უმთავრესი ნიშნის, არსებითად მისი არსისა:

— შორიდანაც რომ შეგნიშნოთ, თვალი მოგკრათ, ასე უნდა მოგიახლოვდეთ, თითქმის არც დაენახოთ, მერე კი ერთბაშად, უეცრად შეგეფეთოს, მეკრთეს — რასაკვირველია აქტიორულად — და მოიბოდიშოს ალერსიანი სიტყვებით.

ეს არის სწორედ თავიდათავი ამ კუთხის მცხოვრების ხასიათისა, მათი ცხოვრების ნირისა და ყაიდის განმსაზღვრავი:

აქტიორულობა, არტისტიზმი.

და სწორედაც მისწრება იქნებოდა ეს პასაჟი გურამ ასათიანისათვის, რომელიც ამტკიცებდა:

ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. მარტო დარჩენილსაც კი ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებსო.

და ამ ქვეცნობიერი ფაქტორის მოქმედებას პირველად კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟთა ქცევაზე დაკვირვებისას რომ შენიშნავდა, ცოტა არ იყოს შეჭოჭმანდებოდა, ვაითუ რაღაცას ვაჭარბებ, როდესაც ამ მოსაზრების გამოთქმას ვაპირებ: სხვა ქართველ მწერალთა გმირებს უთუოდ მეტი უბრალოება ახასიათებდათ, მაგრამ თავისი არსით ეს მაინც ეროვნული ხასიათის ნიშანია და კონსტანტინემ მხოლოდ უკიდურესი, ჰიპერტროფირებული სახით გამოხატაო.

თურმე საჭოჭმანო არც არაფერი გახლდათ, რაკიღა აკაკი წერეთელს ჯერ კიდევ როდის ჩამოეყალიბებინა „ეს მაინც ეროვნული ხასიათის ნიშანი“ ფორმულის ლაკონიურობითა და ტევადობით, ტიციან ტაბიძესაც რომ გამოეპარებოდა თუ არად ჩააგდებდა აკაკი წერეთლის იმ შეხედულებას და არც წასცდებოდა მისი სახელი, როდესაც ესეში „ცისფერი ყანწებით“ საგანგებოდ დაუკვირდებოდა და გაიაზრებდა ჩვენი ცხოვრების ამ წესადქცეულ ყაიდას:

მიდრეკილებას აქტიუორობისაკენ და თეატრალიზაციას ცხოვრებისა, რასაც გამოეწვია ის, რომ:

ქართველ ხალხს უყვარდა ნიღაბი.

და რაკიღა სიმბოლიზმი სხვა არა გახლდათ რა, თუ არა სწორედაც ფილოსოფია ამ ნიღბისა, ამიტომაც უნდა დამკვიდრებულიყო გარდუვალად სიმბოლიზმი ჩვენში.

აკაკი წერეთელი კი ძირისძირობამდე რომ ჩაჰყვებოდა ქართული ხასიათის ამ იმერული ელფერის გააზრებას, აღმოაჩენდა, რომ:

თანამოსაუბრე რაღაც უცნაური ძალით მოტყუებული რჩებოდა იმერელთან, მაგრამ... არა ნაღვლობდა იმ უნებურ მოტყუებას, რადგანაც ხერხიანობას უფასებდა, აქტიორის ხელოვნებას მიაგებდა პატივს.

დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საზომად იმერლის ბუნებას რომ დაიდებდა აკაკი, მიიჩნევდა, რომ:

მეგრელიც ბევრწილად მსგავსებას იჩენდა მასთან, ოღონდ უფრო წვრილმან საქმეთა ხელმოკიდება სჩვეოდა. ისე არ ბაქიობდა, როგორც ქართლელი, მაგრამ არც ასე განზრახვით იტყუებოდა, როგორც იმერელი.

გურულიც, ბევრი რამით რომ ემსგავსებოდა ამ ორ გვარს, მათსავით ხანგრძლივი და ფეხდადგმული კი არ იქნებოდა, ბევრ შრომას ვერ იტანდა, ყოველთვის და ყველგან თოფის წამალივით ფეთქდებოდა და მოძრაობაში, სიტყვა-პასუხსა თუ საქმეში ყველგან მოსწრებულობას იჩენდა.

და ღმერთს დაე ლხინში მოეცა თქვენთვის გურული, მაგრამ ჭირში...

აკაკი ამ ფრაზას აღარც დაასრულებდა, ისედაც კანთიელსა და გამჭვირვალეს.

ლიხს აქეთაც რომ გადმოიხედავდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

სიცრუე ქართლელებსაც სჩვეოდათ, მაგრამ მათი სიცრუე უმანკო გახლდათ, და ამიტომაც — ბევრიც რომ გეცადა — მის ტყუილში ისეთ მზაკვრულ ნიშნებს ვერ იპოვნიდი, როგორც იმერულ სიცრუეში. და მის სიცრუეში პატიოსანი სულისკვეთების გარდა სხვას ვერას დაინახავდი.

აკაკისებური პარადოქსი, გამხსნელი ქართლელის ბუნების იმ ნიშნისა, ვინმეს მოსატყუებლად რომ არა ცრუობს, არამედ ისე, თავისთვის, გული რასაც ეუბნება...

ამიტომ წრფელი იქნებოდა და ალალი მისი ოცნებაც და ტრაბახ-ბაქიობაც, გარიდებული აქტიორის მოქმედებას და თვალსაჩინო გამომჟღავნებული სიკეთის, ღირსების საწყისისა.

თუ შეაჯიბრებდით ქართლელს და ბარონ მიუნჰაუზენს, ქართლელი — გინდ თავადი, გინდ აზნაური და გინდ გლეხი — წააჭარბებდა ფანტაზიის ფერადოვნებითა და უკიდეგანობითაც, ნაამბობის სილაღითა და სიხალისითაც, იუმორის ფიერვერკულობითა და სიმახვილითაც.

და თუ ვიტყოდით: ყველა ქართველი მიუნჰაუზენიაო, ყველა ქართლელი ორჯერ მიუნჰაუზენი გამოდიოდა.

მთავარი მაინც ისაა, რომ:

მიუნჰაუზენის წარმოსახვის თამაში და გადმოცემის არტისტულობა ზოგადადამიანურ თვისებებს ამჟღავნებდა და არა ეროვნულ — და მასთან ერთად სოციალურ — სატკივარს, რაკიღა გერმანელი ბარონი არ იდგებოდა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე.

მის ქართველ თანამოძმეს კი ამ ზღვარზე უწევდა არსებობა, რაკიღა ძნელი სათქმელი გახლდათ, მისი შთამომავალნი კვლავაც ქართველებად დარჩებოდნენ თუ უზარმაზარ ქვეყანას შეერწყმოდნენ მიწა-წყლით, ენით, ისტორიითა თუ ზნე-ჩვეულებებით.

ამიტომაც აღიბეჭდებოდა მიუნჰაუზენური კომიზმი ქართლური ტრაგი-კომიკურობით, და ნაცარქექიაც — ჩვენი ზღაპრული ეპოსის კომიკური ნიღაბი — ამიტომ იძენდა დრამატიზმის ნიშნებსაც და ქართული ეროვნული სახის ემბლემადაც კი წარმოდგებოდა.

ეს მომავალი თავი „ქალდეას მონატრებისა“ საკმაოდ მოზრდილი რომ გამოდგებოდა, „განთიადი“ ამიტომაც გაჰყოფდა შუაზე, ნახევარს მომავალი ნომრისათვის რომ გადასდებდა, ეს მონაკვეთი კი აქ უნდა მოთავებულიყო:

ნაცარქექიას სახის ტრაგიკომიკურობისა და თავისებური ემბლემურობით.

გზაკეთილი კიდევ ერთ დებიუტანტს

(ანონსის მაგიერ)

„მწვანეყვავილას“ მრავალმხრივი და ნაყოფიერი ბიოგრაფიის დამამშვენებელია გზის გახსნაც დებიუტანტებისათვის, არაერთ მწერალს თუ ლიტერატორს რომ დაულოცავდა გზას სამწერლო ასპარეზზე, ზოგი უკვე რომ გაუმართლებდა და ზოგიც მალე გაუმართლებს:

ქეთი გახოკია
თუ ლევან ინაური
თუ ნათია ჭელიძე
თუ ელენე ჯანელიძე
თუ თამარ ფესვიანიძე
თუ მარიამ მგალობლიშვილი
თუ სალომე სასანია
თუ არსენ არაქელოვი
თუ...

და აი ჟურნალის წლევანდელ მეორე ნომერში უნდა გამოჩენილიყო კიდევ ერთი ახალი სახელი — დავით სახელაშვილი, რომლის დებიუტიც ბევრს გვპირდება სამომავლოდ.

სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი ეს ახალგაზრდა კაციც რომ შემოემატებოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებს თავყრილობებს თავისი ლექტორებისა და თანატოლების რჩევით, ყოველთვის უჩუმრად იჯდებოდა ბოლო რიგში, შინ მისულს კი შთაბეჭდილებან ფურცელზე გადაჰქონდა — უფრო განწყობილებებზე აგებული, ამ კუთხით რომ ცდილობდა გაეხსნა ამათუიმ შეკრების ზოგადი შინაარსი.

მოგეხსენებათ, ლიტერატურული საღამოების ხსოვნას ინახავს:

ინფორმაცია,
მოკლე რეპორტაჟი,
მოზრდილი რეპორტაჟი,
ბელეტრიზებული რეპორტაჟი,
დოკუმენტური ნოველა.

აგრეთვე:

დღიური,
პირადი წერილი,
მემუარები.

ოღონდ არ გვაგონდება, ლიტერატურულ შეკრების ხსოვნა შემოენახოს მინიატურას... ალბათ ვერც წარმოგვედგინა, არადა თურმე შესაძლებელი ყოფილა და ეს გარემოება დავით სახელაშვილს ასე ხელშესახებად, ასე მოხდენილად უნდა განეცხადებინა.

და „მწვანეყვავილა“ ამისთანა შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

აზრისა და სიტყვის სილამაზის ძიებაში

(ლია კარიჭაშვილის რუსთველოლოგიური ნარკვევები)

მაინც როგორი შეიძლება იყოს გზა დუმილიდან იდუმალებამდე?

თუმცა მანამდე:

რევაზ სირაძე თავის ერთ ნაშრომს ასე რომ დაასათაურებდა: „აზრის სილამაზე“ — ლია კარიჭაშვილი ამ შესიტყვების თვალსაჩინოებად მოიხსენიებდა თვითონ ამ გამოჩენილი მკვლევარის წიგნს „ესეები და თარგმანები“, რომელსაც ავტორის სხვა კრებულთაგან იმით განასხვავებდა, რომ ამ წიგნში რევაზ სირაძე წარმოდგებოდა არამარტო მეცნიერად, არამედ პოეტადაც, თანაშემოქმედად იმ მწერლებისა, რომელთა თხზულებებსაც ეხებოდა.

საგანგებოდ გამოარჩევდა თარგმანებს: ქართულად გადმოღებულს — სერგეი ავერინცევის „წმინდა ხარებასა“ თუ ჩერნორიზეც ხრაბრის „ასოთათვის“ — თუ რუსულად ამეტყველებულს — უცნობი ავტორის იამბიკოს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, თამარ მეფის იამბიკოს „ცათა ცათასა“ და ნინო დარბაისელის ლექსს „ლაზარე“.

რატომ, რა ნიშნით შერჩეულიყო ეს ტექსტები?

ლია კარიჭაშვილის დაკვირვებით:

ისინი აღბეჭდილიყვნენ იმ საერთო ნიშნით, რომ მათ სიღრმეში ჩაძირული საიდუმლოებანი, ადამიანური ვნებანი, უმძაფრესი განცდები მოზღუდულიყო დიდი შინაგანი კულტურისა და ესთეტიზმის ჯებირებით და ამიტომაც ზედაპირი ინარჩუნებდა სისადავეს, სიმშვიდესა და წონასწორობას.

რევაზ სირაძის ძიებებში ანუ აზრის სილამაზეში წარმოაჩენდა იმ არსებით შტრიხებს, თუ რატომ ხდებოდა, რომ:

ფიქრი ერჩივნა დასკვნას, მრავალწერტილი — წერტილს... კითხვა მიაჩნდა უფრო სიცოცხლისუნარიანად, ვიდრე ნებისმიერი სწორი პასუხი... და მის ლექსიკაში აქტიური სიტყვა გახლდათ „რაღაც“ — უთუოდ განუსაზღვრელობისა და დაფარული შინაარსის გამო.

და თუ რაიმე მოუხდებოდა მასზე შექმნილ რეცენზია-ნარკვევს, უსათუოდ ეს სათაური: „დუმილიდან იდუმალებამდე“ — რომელსაც ლია კარიჭაშვილი თავისი ესეებისა და მეცნიერული სტატიების კრებულს საერთო სახელწოდებადაც მიუსადაგებდა („ბიბლიო“, 2020).

რევაზ სირაძის აზრის სილამაზეზე დაკვირვებას გაჰყვებოდა თამარ სეფაშვილთან თანაავტორობით შექმნილ ნარკვევშიც, რომელიც მიეძღვნებოდა ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებას გამოჩენილი მკვლევარის წიგნში „ქართული კულტურის საფუძვლები“, ნარკვევი კი რევაზ სირაძის თანაავტორობითაც უნდა დაეწერა: „ავტორის ფენომენი და „ვეფხისტყაოსანი“ — იმ ორიგინალური კუთხიდან, თუ როგორ გარდაისახებოდა რუსთველი ავტორიდან მკითხველად, რომელიც ემოციურად აღიქვამდა ამბის განვითარებასა თუ პერსონაჟთა ქცევებს. ეპიკოსი უზენაესი შემოქმედის პრინციპით თავისუფალ ნებას „ანიჭებდა“ პერსონაჟებს, და ამით აღწევდა იმ გამომსახველობით ეფექტს, რომ გმირები — ვითარცა პიროვნებანი — მოქმედებდნენ საკუთარი თავისუფალი ნებით, თავისუფალი არჩევანით.

ხოლო როდესაც ალექსანდრე ორბელიანის ლექსს დაუკვირდებოდა: „რუსთველი“ — უმთავრესად გაჰყვებოდა რევაზ სირაძის ძიების კვალს და ერთხელ კიდევ ცხადყოფდა, 1832 წლის შეთქმულების მეთაურის კითხვები, შეხედულებანი და შეფასებანი „ვეფხისტყაოსნისა“ დღესაც რელევანტური რომ რჩებოდა და თანხვდებოდა სხვა ქართველ რომანტიკოსთა დამოკიდებულებას პოეტისადმი, რომელიც „შოთა უკვდავად“ იხსენიებოდა, და რომლის პოეტური ხელოვნებაც ყველა დროის დაუძლეველ მწვერვალად რჩებოდა. ახალი რუსთაველის სახება კი აღორძინებულ, ძლიერ საქართველოს უკავშირდებოდა.

მთავარი ძარღვიც ეს არის და სიუჟეტური ქარგაც, ლია კარიჭაშვილის წიგნისა, შოთა რუსთველისა და „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ რომ იქსოვება აზრის იმ სილამაზით, რაც მისთვისაც ისევე ძვირფასია, როგორც მისი მასწავლებლისათვის, ამგვარი აზრი შესაფერისი სიტყვიერი ქსოვილითაც რომ უნდა იმოსებოდეს, და ამიტომაც აქცევს ასეთ ყურადღებას სტილის სიფაქიზესაც და დახვეწილობასაც, ნიუანსობრივი ჩაძიებაც ცალკეული სტრიქონებისა მომხიბლავად რომ წარმოდგება აზრისა და სიტყვის სილამაზის წყალობით და ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმ უდავო ჭეშმარიტებას, მეცნიერს მწერალზე არანაკლებ რომ მოეთხოვება სტილის არტისტიზმიცა და დახვეწილობაც, თხრობისა და ანალიტიკური განსჯის დინამიზმიცა და ექსპრესიულობაც.

პავლე ინგოროყვას მეცნიერული თხზულებანი რისი თვალსაჩინო დასტურიცაა — და ყველაზე სწორი ორიენტირიც!

ხოლო როდესაც ლია კარიჭაშვილი ერთხელ კიდევ ნამოჭრიდა კითხვას, თუ როგორ უნდა გააზრებულიყო რუსთველური ტაეპი: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია — სოციალური თუ ეთიკური თვალთახედვით, მივიდოდა დასკვნამდე, რომ ეს სტრიქონი უნდა გააზრებულიყო ეთიკური კონტექსტის მქონე მეტაფორულ აფორიზმად, რომელშიც განზოგადებულიყო იდეა:

ლომის (გამორჩეული, ღირსეული პიროვნების) ლეკვი (ღირსებათა მემკვიდრე) ლომია, მიუხედავად იმისა, ძუ (ქალი) არის თუ (ხვადი) ვაჟი.

„ვეფხისტყაოსანში" გონებისა და ჭკუის სემანტიკაზე დაკვირვება კი მიაგნებინებდა, რომ:

ამ ენობრივ-მსოფლმხედველობრივ სამყაროში გონების სემანტიკური გააზრება ბიბლიური გახლდათ და სასულიერო მწერლობის ტრადიციას აგრძელებდა. და გარკვეულ კონტექსტებში ამ ცნების სინონიმად ვერ გამოდგებოდა ჭკუა, როგორც რაციონალური, ლოგიკური აზროვნების ნიშნული.

„მკვიდრი მამული" ერთ-ერთი გამორჩეული ნარკვევია არამარტო ამ კრებულში, არამედ ჩვენს სამეცნიერო მდინარებაში, ამ რუსთველური შესიტყვების კვალს ჩვენს დრომდე რომ გა-

მოჰყვებოდა — განსაკუთრებით მაინც ილია ჭავჭავაძისეულ გააზრებას ჩაუფიქრდებოდა — და გაათვალსაჩინოებდა, თუ როგორ გადაეფარა მამულის საერო და საღვთისმეტყველო მნიშვნელობებს ერთმანეთი, მათ შორის რომ გამოირიცხებოდა რომელიმეს უპირატესობა — ჭეშმარიტება თუ სამშობლო; სამშობლო თუ უფალი?!.

არამედ იკვეთებოდა სიმბოლური იგივეობა:

ჭეშმარიტებაა სამშობლო.

ის გარემოება, რომ შემდგომი ეპოქა „მკვიდრ მამულს" თუ უბრალოდ „მამულს" თავისებური ინტერპრეტაციით გადაიაზრებდა და ეს ცნება აღარ იქნებოდა ბინარული, რა გასაკვირია — მისი საღვთისმეტყველო საზრისი ათეისტური ლიტერატურის საზღვრებს ანკი როგორ გადალახავდა?!.

„ვეფხისტყაოსნის" წაკითხვის ისტორიას რომ გამოჰყვებოდა, ამ მრავალპლანიანი ქმნილების ირგვლივ გაგრძელებული კომპარატივისტული ძიებანიც ბუნებრივი ეჩვენებოდა და თანამედროვე ეპოქის დამოკიდებულებაც, როგორც პოსტმოდერნისტული ეპოქისა, როდესაც გაჩნდებოდა ამ მხატვრული მეთოდით შექმნილი თხზულებანი, რომელნიც გამოიყენებდნენ „ვეფხისტყაოსანს", მის პერსონაჟებს, ცალკეულ პერსონაჟებსა და მოტივებს, როგორც კლასიკურ მემკვიდრეობას ახალი სათქმელის გადმოსაცემად.

ეს კი ადასტურებდა, პოემა თანამედროვე მკითხველისთვისაც კვლავ აქტუალური რომ რჩებოდა და ინარჩუნებდა ზნეობრივი სწავლებისა და ქართველი ერის სულიერების საზომის მისიას.

ცალკე უნდა წარმოჩენილიყო ხალხური სიბრძნისა და „ვეფხისტყაოსნის" ურთიერთმიმართება, რუსთველი კიდეც რომ მოიმარჯვებდა ხალხურ შეგონებებს და თავის მხრივაც არაერთ აფორიზმს უბოძებდა თვისტომთ ანდაზად.

ცალკე — როგორ გადავსებულიყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზია რუსთველური ალუზიებით, ასოციაციებით, გადაძახილებით, შეხმიანებებით — ხან თვალნათლივი რომ იქნებოდა ეს ყოველივე და ხანაც მინიშნებული თუ ამოსაცნობი.

ცალკე — როგორ გადავსებულიყო გიორგი ლეონიძის პოეზიაც რუსთველური ალუზიებით, ასოციაციებით, გადაძახი-

ლებით, შეხმიანებებით — ხან თვალნათლივი რომ იქნებოდა ეს ყოველივე და ხანაც მინიშნებული თუ ამოსაცნობი.

ცალკე — როგორ გადმოსულიყო რუსთველური მიჯნურობის პარადიგმა ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი".

ცალკე — აკაკი წერეთლის ლექსის „ქებათა-ქება", შთაგონებულით ბიბლიური წიგნით „ქებათაქება სოლომონისა", სტრიქონთა მიღმა რომ გამოკრთება რუსთველური ტაეპებიც.

აზრის სილამაზის ძიება ძალდაუტანებლად მიიყვანდა ლია კარიჭაშვილს პავლე ინგოროყვასთან, მის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან შოთა რუსთველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს რომ გამოარჩევდა და რუსთველოლოგიურ თხზულებათა მეოთხე ტომის გამოცემის (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობთ) მნიშვნელობას რომ შეაფასებდა, რეცენზია-ნარკვევს იმ სიტყვებით დაასათაურებდა, რითაც პავლე ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედს მოიხსენიებდა: „მზე დგას ზენიტში".

ცალკე წარმოაჩენდა „ვეფხისტყაოსნის" პროლოგზე პავლე ინგოროყვას კონცეფციასა და თანამედროვე დისკურსს იმ საერთო ფონზე, ეპოსის ცნებათმეტყველებისა და სახისმეტყველების კვლევას ბევრი რამ რომ გაეთვალსაჩინოებინა პროლოგის საკმაოდ რთულ ნარატივში, პოემის სწორად აღიქმის უმთავრეს პირობად კი რჩებოდა რუსთველის ეპოქის მწერლობის, კულტურის, ესთეტიკისა და აზროვნების წესის ცოდნა და გათვალისწინება.

საგულისხმო აღმოჩნდებოდა გამოხმაურება ლადო ჭელიძის ნაშრომზე „ჰერეთის ერისთავი შოთა", რომელიც შეიქმნებოდა „რუსთველიანას" კვალზე და წარმოადგენდა ახლებურ კონცეფციას, პოემა ლაშა-გიორგის ეპოქაში რომ შექმნილიყო და თავისებურად არეკლილიყო მეფისა და ველისციხელი ქალის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება სავსებით შესაძლებელი რომ ჩანს, ყოველ შემთხვევაში ამ შეხედულების გადასინჯვას დასჭირდება არგუმენტირებული მსჯელობა.

არამცთუ ეს სტატიაა კრებულის პავლიანური ციკლის გაუყოფელი ნაწილი, არამედ ელგუჯა მარღიას რობაიებისადმი მიძღვნილი რეცენზია-ნარკვევიც „რობაი სულის მკურნა-

ლია...“ — რომელიც წარმოაჩენს თანამედროვე პოეტის მიერ წარმატებით გამოყენებას ამ სპარსული სალექსო ფორმისა.

და ელგუჯა მარღია ხან ომარ ხაიამს რომ ევედრებოდა შეწყალებას და ხანაც ბაბა თაჰერს მათ მიერ მწვერვალზე აზიდული ჟანრის გათავისებისათვის, რეცენზენტს უნდა გაეთვალსაჩინოებისა, თუ როგორ უდგას მის რობაიებს ქართული სული, ეროვნული იარებით აღბეჭდილი და ამაღლებისაკენ მსწრაფველი, ხალასი მეტაფორული სახეები კი როგორ გასდევს ორნამენტებად ამ პოეტურ მინიატურებს.

პავლე ინგოროყვა რა შუაშია?

რა შუაშია და:

„რუსთველიანას“ შემოქმედის დავალებით თარგმნიდა იუსტინე აბულაძე ომარ ხაიამის რობაიების ერთ რკალს „კავკასიონის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად, იქვე რომ დაერთვოდა პავლე ინგოროყვას ესეი „რობაიათის“ შემოქმედზეც და ამ ჟანრზეც — პირველი ამგვარი ცდა ჩვენს სამწერლო და სამეცნიერო ცხოვრებაში.

და კიდეც აქ შეიკვროდა კრებული, დუმილიდან იდუმალებამდე და იდუმალებიდან დუმილამდე განფენილი ნარკვევებით, აზრის სილამაზის მაძიებელი, აზრის სილამაზის დამფასებელი და აზრის სილამაზით განათებული.

მიახლებად „არსთა მესნევისთან“

(დღიურის ფურცლებიდან)

ჰოი რას აქებდა და ადიდებდა გიორგი ლობჟანიძე სპარსულ ენას: უდახვეწილესიო, უმდიდრესიო, უმუსიკალურესიო, — და ჩავერთობოდი: სპარსთა ენისა სიტკბომან ხომ არ გასურვა მუსიკობანი-მეთქი? — არა, არაო, — რატომღაც სერიოზულად მიპასუხებდა, ვაითუ ვინმეს რაიმე ეჭვი გასჩენოდა, — სპარსთა ენის სიტკბოს შეთვისებამდე ვწერდი ლექსებსო.

და კვლავ რომ შეჰყვებოდა სპარსულის ხოტბას: მათი პოეტური მეტყველების ყველა ნიუანსი ისეა დახვეწილი ჯერ კიდევ როდიდან, არაფერი გამორჩენიათო, — კვლავ ჩვენი კლასიკური პოეზია შემომეშველებოდა: მძიმეა ენა ქართველთა? მაშ ბრძანე არაბულითა-მეთქი.

„გაუჭირდება“ — რამდენი გაიფიქრებდა ღიმილით.

ასე ძალდაუტანებლად შემოიჭრებოდნენ თეიმურაზ პირველისა თუ არჩილის ლანდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ 93-ე აუდიტორიაში, ჯალალ ედ-დინ რუმის ეპიკური ქმნილების „არსთა მესნევის“ პირველი და მეორე ტომების წარდგინებაზე, ამ საკაცობრიო ეპოსის ქართულად ამეტყველებას ძალაუნებურად რომ შევუდარებდი ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების ისეთ მონაპოვართ, „ვისრამიანი“ რომ არის და უილიამ შექსპირის ტრაგედიები და პლატონის დიალოგები და „გილგამეშიანი“ და „ოდისეა“ და „ფაუსტი“ და...

„ფაუსტი“ „ფაუსტად“ და, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს გარეშეც როგორ ჩაივლიდა რუმისადმი მიძღვნილი ლიტერატურული თავყრილობა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების შეკრებათა მეოთხედსაუკუნოვანი სერიის კიდევ ერთი გამონათება, „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ შემოქმედის ის სიტყვები რომ არ გახმიანებულიყო:

სპარსელებმა თავიანთი შვიდი პოეტი გამოარჩიეს საუკეთესოებად, თუმც დაწუნებულთა შორისაც არაერთია ჩემზე უმჯობესიო.

გოეთე რომ ყოველნაირად გოეთეა — თავმდაბლობითაც სანიმუშო!..

თავყრილობას ჩვეული მოხდენილი სიტყვით მიესალმებოდა უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე.

ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის ჰამიდ მოსთაფავის გამოსვლა კი (უთარჯიმნებდა მისივე თანაშემწე სოფიო გაბუნია) სულაც მოხსენებას გაუტოლდებოდა, ისეთი ცოდნითა და სიღრმით ისაუბრებდა „არსთა მესნევიზეც“ და ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობების ისტორიაზეც.

გიორგი ლობჟანიძე კი მის ღვაწლსაც წარმოაჩენდა ამ ეპიკური ქმნილების ქართულად გამოცემის საქმეში, საბოლოოდ „სულაკაურის გამომცემლობა“ რომ აქცევდა რეალობად პირველ ორ ტომს. და ახლა მკითხველის ინტერესი განსაზღვრავს ის უმთავრესს — დროულად მივა თუ არა შესაფერის დასასრულამდე ეს წამოწყება ექვსტომეულისა, „არსთა მესნევის“ გრანდიოზული ტექსტი რასაც მოიცავს.

ჩვენი სპარსელი მეგობრის ჰამიდ მოსთაფავის ასეთი პროფესიული გამოსვლა ძალდაუტანებლად მათქმევინებდა:

ასეთი ადამიანები უნდა მოღვაწეობდნენ საელჩოებში-მეთქი.

და დავძენდი:

— ჩვენ რომ უკეთესი ქვეყანა ვიყოთ, გიორგი ლობჟანიძისთანა პიროვნება უნდა იყოს საქართველოს ელჩი ირანში, რათა განამტკიცოს ჩვენს შორის არსებული კულტურულ-საზოგადოებრივი ხიდი.

ამჯერად კი მისგან მოვისმენდით ენაწყლიან საუბარს ჯალალ ედ-დინ რუმისა და „არსთა მესნევიზეც“.

ირანში სწავლის ხანაზეც.

ცალკეულ ეპიზოდთა გახსენება თავისთავად წამომიტივტივებდა გიორგის ავტობიოგრაფიული რომანის — „ჩემი ფანჯრებიდან“ — პირველი წიგნის ფინალურ მონაკვეთს, როგორ იხედება თვითმფრინავის ილუმინატორიდან და ხედავს ვეებერთელა, პრეისტორიული ურჩხულივით გაჭიმულ თეირანს, რომლის მოჩახჩახე სინათლეებიც თანდათან უახლოვდება და ნთქავს უცხოდ, საშიშად და შემპარავად აციმციმებულ მორევში.

და ერთხელ კიდევ შევაგულიანებდი ავტორს, დროულად მოეწოდებინა გამოსაცემად მზადმყოფი „ინტელექტისა“ და მკითხველებისათვის მეორე წიგნი — ირანში სწავლის ხანას რომ მიეძღვნებოდა.

მოვისმენდით ცალკეულ მონაკვეთებს „არსთა მესნევიდან“, ასეთი ხელოვნებით რომ გამოხვეულა ქართულ ენობრივ სამოსელში, და ამ პასაჟებთან ერთად შევიტყობდით არაერთ საგულისხმო შტრიხსა თუ დეტალს თარგმნის პროცესისა თუ ფსიქოლოგიისა, პაატა ნაცვლიშვილს — მისი მოამაგეობა კიდევ ცალკე ღვაწლია — ის სურვილი რომ გაუჩნდებოდა, გიორგი ლობჟანიძეს საგანგებოდ დაეწერა წიგნი „არსთა მესნევის“ თარგმნის შემოქმედებით პროცესზე, თავისებურ სახელმძღვანელოდაც რომ გამოადგებათ მთარგმნელებს, და საერთოდაც ყველა შემოქმედ ადამიანს.

თავის მხრივ კი გაგვაცნობდა ექსპრომტად შეთხზულ პაატაურს, ოღონდ შეხვედრის შემდეგ რომ ვთხოვდი, მეტყოდა:

— ხომ ვიცი, რაღაცას დაწერ ამ შეკრებაზე და გამოხმაურებად მოვადევნებ.

და დაე ის გამოხმაურება ვიგულისხმოთ ამ ჩანაწერის ფინალურ აკორდად.

პაატა ნაცვლიშვილის კომენტარი:

როცა ამ მართლა ყოვლად უნიკალურმა და სამაგალითო გიორგი ლობჟანიძემ, უწინ ალბათ ირანელი სტუმრის გასაგონად თქვა, სპარსული ენა უაღრესად დახვეწილია და მასთან ქართული როგორ მოვაო, ავიჯაგრე და ვინატრე, ნეტა ერთი რამე ქართულ-დახვეწილი მიმალექსინა ამათთვის-მეთქი. და გავიხედე და, იმათი სპარსული მუსიკობანის ფონზე მართლა არ შემომეწერა ერთი ქართული პაატაური?

როგორ შვენის ჯალალ ედ-დინს
ხმალი არა, – ნიგნიო...
სუფიათა ვხვდებით დენდის,
მოუძღვება წინ გიო!

ვით პირველი ქრისტიანები

(დღიურის ფურცლებიდან)

რას ვიფიქრებდით, რიონის ხეობა რუსთაველის გამზირზე თუ გამოჭრიდა თავის გზასავალს.

ნაირა გელაშვილი რიონის ხეობის დამცველებს პირველქრისტიანებს შეადარებდა და არც არას გადააჭარბებდა.

თუ ვინმეს, მას მოეხსენება პირველქრისტიანთა თავგანწირვითა და ჰეროიკით აღსავსე ცხოვრება — დიდი სულიერების სახსნელად ამღელვარებული.

და თუ ვინმეს, მას მოეხსენება რიონის ხეობის დამცველთა თავგანწირვითა და ჰეროიკით აღსავსე ცხოვრებაც — დიდი სულიერების სახსნელად ამღელვარებული.

ეს ერთი ხეობაც არის და — ამავდროულად — სიმბოლოც საქართველოს ყველა ხეობისა.

მისი გადარჩენისათვის ბრძოლა — ამავდროულად — ბრძოლაა საქართველოს ყველა ხეობის გადასარჩენად.

და საერთოდაც:

საქართველოს გამოსაგლეჯად პირაშკმული ურჩხულის ხახისა და წიაღისაგან.

მისი მიწის, მისი ბუნების, მისი ზეცის ამოსაზიდად იმ ბნელეთიდან, რომლისგანაც თავი ვერადაერ დაგვიღწევია; და რიონის ხეობის დაცვა იმ სხივად გვეგულება გველეშაპის სტომაქში მოქცეული მზისა, თავისი ადგილის დასაბრუნებლად რომ მოიწევს და იმედით მისჩერებია მთელი ჩვენი ქვეყანა — გასავათებული ათასგვარი უბედურებისაგან, რიონის ხეობის გადარჩენამ ბევრწილად რომ უნდა განსაზღვროს მისი მომავალი, როგორც სახელმწიფოსი.

ნაირა გელაშვილი კი მემატიანედაც რჩება ბუნების ქომაგობისა და ერთ ყველაზე თავგამოდებულ მონაწილედაც ამ სასი-

ცოცხლო პროცესისა, მისი პუბლიცისტური თუ მხატვრული ქმნილებანი უმთავრესად სწორედ ამ საფიქრალ-სატკივარს რომ უტრიალებს, როგორც ვაჟა-ფშაველას სულიერ მემკვიდრეს შეჰფერის.

და მისი სიტყვა წინასწარმეტყველურადაც გაისმის ხოლმე ქართული რომანისტიკის იმ შედევრისა არ იყოს: „...ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“ — ვერეს ხეობის გადასარჩენად რომ იწერებოდა და... საბოლოოდ იმ ტრაგედიის რეკვიემად გადაიქცეოდა.

და მისი ეს თავგამოდება რიონის ხეობის გადასარჩენად მაინც უნდა ეწიოს საწადელს და არ გადაგვექცეს მოსალოდნელი ტრაგედიის რეკვიემად.

დაე პირველქრისტიანულმა სწრაფვამ გვაგრძნობინოს, რომ ახლო არს გაზაფხული!..

„დამწყები“:
როგორც გულისჭიდილი

(„ხუმარსწავლა“
მაქსიმალისტურობის სათავედ)

საგულისხმოა და დამაფიქვრელი მიძღვნა შოთა იათაშვილის რომანისა „დამწყები“ (2020, „პალიტრა ელი“ — მწერალთა სახლის თანადგომით):

— „ხუმარსწავლას“ ავტორის, იოანე ბატონიშვილის სულს.

საგულისხმოა და დამაფიქვრელი რომანის ავტორისეული ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრებაც:

მაქსიმალისტური.

ჟანრობრივი თავისებურების, რაც უპირველესად მაინც რომანის შინაგან სივრცეზე მიგვანიშნებს და მთავარი გმირის სულის გადახსნილობაზე, ყველაზე ღრმა და დაფარული შრეებიც რომ თვალნათლივ უნდა გაუცხადდეს მკითხველს, მისი მძაფრი შინაგანი ჭიდილი ბოლომდე ამოიზიდოს და დიდი სულიერი დრამა მთელი თავისი მრავალფეროვნებით გადაგვეშალოს თვალწინ.

დიდი სულიერი დრამა — ხელოვანის ბედი პოსტკოლონიურ რეალობაში.

ეს აღარ არის და არც შეიძლება იყოს ის განწირულება, რაც დაატყდებოდათ თავს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენასა“ და ოთარ ჩხეიძის „ლანდების“ მთავარ გმირებს, ყოველმხრივ შეჭირვებულ, სულისამომხდელ ყოფაში რომ უნდა მისდიონ თავიანთ იდეალს, შეუბღალავსა და ამაღლებულს, და დრამატიზმით სავსე სინამდვილეს გამოგლიჯონ სულის ის უკვდავება, ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილება მაინც რომ უნდა ეწიოს თავის გზასავალს და გაარღვიოს შემბოჭველი და დამთრგუნველი გარემომცველი სივრცე.

თუმც სხვა განწირულება დაუფლებია შოთა იათაშვილის გმირს:

მოუწყობელმა რეალობამ უნდა გახვიოს თავის საცეცებში ნიკოლოზი და გაუძნელოს თვითშემეცნების ის გზა, რომლის მიგნებამ და შემდგომ კი მხატვრული ძალმოსილებით ამეტყველებამ უნდა აპოვნინოს საკუთარი თავი, რათა დაუოკებელი სულიერი ძიებანი ბოლოსდაბოლოს გარდაისახოს იმ პოეტურ თუ ბელეტრისტულ ქმნილებებად, რისთვისაც მოწოდებულა.

თუმც მოწოდება სადღაც შეიძლება ჩაიკარგოს, თუკი მიმოწყდომა დაუსრულებელ მიმოწყდომად დარჩება, რისი საფრთხეც ხელშესახებია, და თხრობა სულაც ამ საფრთხეზეა აგებული — გადალახავს თუ ვერ გადალახავს გმირი ერთიერთმანეთზე მიწყობილ დაბრკოლებებს და თვითშემეცნება შეაცნობინებს თუ არა სამყაროს ისე, საითაც უბიძგებს იდუმალი მადლი, რაც არ ანებებს დაცხრომა-დაშოშმინებას, და ან გადაიყოლებს და ან ბოლოსდაბოლოს გამოახატვინებს თავს ისე, თავისი ცხოვრების წიგნს რომ შეაქმნევინებს.

დიდი მდუმარებაც გმირისა სწორედ ამას მიგვანიშნებს.

ნიკოლოზის ეს უცნაური, ერთი შეხედვით სრულიად აუხსნელი განდგომა ყოფითობისაგან სხვა არაფერია, თუ არა წინა საფეხური რაღაც განსაკუთრებულის შექმნისა.

მოკლე მინაწერში დავით ქართველიშვილი „დამწყების“ ჟანრობრივ თავისებურებას იმით განმარტავდა:

ეს არის ერთი ადამიანის მიერ სამყაროს მაქსიმალურად შემეცნების მცდელობაო.

და ცხადია ასეცაა.

მაგრამ მაქსიმალისტურობა რომანისა გმირის სულის გადახსნილობას უფრო უნდა გულისხმობდეს.

თუმც... განა ეს ერთიდაიგივე არ უნდა იყოს?

ჭეშმარიტი შემეცნებითი გზა მარტოდენ გონებას არასოდეს მინდობია და არც გამოუღია შესაფერისი ნაყოფი, თუ გულიც მონდომებით არ ჩარეულა, ანუ — ამ გზაზე შემდგარ ადამიანს რაიმე დარჩენია დაფარული თავის სულში, თუნდ „წვრილმანებიც“, და არ უცდია ამოეზიდა ისეთი შრეებიც, მანამდე თავს გულმოდგინედ რომ უმალავდა.

დაე სულიერად დედიშობილა წარდგეს იმ სამყაროს წინაშე, რომლის შეცნობასაც ეძიებს საკუთარი თავის შეცნობის გზით.

მინაწერში ის საშიშროებაც აღნიშნულა, რაც ამგვარ ძიებას შეიძლებოდა დამუქრებოდა:

მოსაწყენი, არაფრისმთქმელი ეგზისტენციური ბოდვა — ამ მკაცრ განსაზღვრებასაც არ მოერიდებოდა დავით ქართველიშვილი, რათა გაეთვალსაჩინოებინა მკითხველისათვის, რაოდენ რთული გზა აერჩია შოთა იათაშვილს თხრობისა, თითქოსდა — ან რაღა თითქოსდა! — უფსკრულის თავზე გადადიოდა თოკით, ფეხის ერთი გადაცდენაც საბედისწერო რომ შეიქნებოდა მისთვის.

მაგრამ როდესაც იმთავითვე ამ გზას დადგომიხარ:

ან ყველაფერი, ან არაფერი!

შენს გმირსაც ამ საშიშარ გზაზე გაუძღვები და მასთან ერთად ან დაიღუპები და ან ახალი სიმაღლით დააგვირგვინებ შენს პოეტურ თუ ბელეტრისტულ ძიებებს, არაერთი წარმატებით აღბეჭდილს, დიდ გამოცდილებას „დამწყებში" რომ უნდა მოეყარა თავი, კიდევ სხვა განზომილებაში რომ გადაიყვანდა ავტორს, რომლის მთავარი გმირიც თან არის თვითონვე და თან არც არის, ყოველ შემთხვევაში არაერთი ავტობიოგრაფიული შტრიხი თუ ეპიზოდი გამიზნულად არის ჩართული ექსპრესიულ თხრობაში.

სხვა მხატვრულ ღირსებებთან ერთად:

იუმორნარევშიც.

საუკეთესო გზა რომ გამოდგებოდა თვითშემეცნების პროცესების მხატვრული გადმოცემისათვის.

მრავლისმეტყველია ის ეპიზოდი, ნიკოლოზი აბრეშუმის ჭიასა და მის ყოფაზე დაკვირვებას რომ გადაწყვეტს და გუგლის მეშვეობით შეეცდება ამ საფიქრალში გარკვევას, მაგრამ კვლავ ქიმიას უნდა შეეფეთოს მთელი თავისი სტრუქტურებითა და გაუგებარ ტერმინთა ჩამონათვალებით; ამიტომაც სასწრაფოდ უნდა შეეშვას ამ უიმედო წამოწყებას და... მის საპირისპიროდ უეცრად იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი" წამოაგონდეს, შვილი რომ კითხულობდა ამ წიგნიდან მოთხრობებს მცენარეებზე, ცხოველებზე, ფრინველებსა და მწერებზე.

ჯერ კიდევ მაშინ უნდა დაინტერესებულიყო, აელო, ჩაეხედა და... ველარც უნდა მომწყდარიყო, ისე შთამბეჭდავად აღეწერა იაკობ გოგებაშვილს ეს ყველაფერი. და რომ გაახსენდება, იქ აბრეშუმის ჭიაზეც იყო არაჩვეულებრივი მოთხრობაო, „ბუნების კარი“ უნდა გადმოიღოს, საჭირო ტექსტს მიაკვლიოს და... მაშინდელი აღქმა კვლავაც დაუდასტურდეს.

და იაკობ გოგებაშვილი იუმორნარევი იშვიათი მხატვრულობით რომ ასახავდა აბრეშუმის ჭიის ცხოვრებას, ნიკოლოზი უნდა აღფრთოვანებულიყო და პირზე მომდგარი ღიმილით განმეორებით წაეკითხა ეს მოთხრობა.

ამ ეპიზოდში შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად არის გამჟღავნებული „დამწყების“ სტილისტიკის მთავარი კამერტონიც და თავისებურებაც.

და ძალდაუტანებლადაა მიკვლეული „ბუნების კარის“ ამგვარი თხრობის სათავე:

იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა“.

ეს მხატვრულ ძეგლს მხოლოდ ვაჟა-ფშაველას თვითშემეცნებასა და მხატვრულ ძიებებზე კი არ მოეხდინა განსაკუთრებული ზეგავლენა — რასაც „გველის-მჭამელის“ შემოქმედი თვითონვე გვიცხადებდა — არამედ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარზეც“, იუმორის გარეშე მკითხველს მაინცდამაინც რომ ვერ გაიტაცებდა მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა თუ მწერთა თავისთავად არაჩვეულებრივი თავგადასავლები, და საერთოდაც სამყაროს შემეცნების პროცესში ძალუმად უნდა შემოჭრილიყო იუმორი, „ხუმარსწავლა“ რა მანერაზეც გაიშლებოდა, იონა ხელაშვილის ღრმააზროვან საუბრებს ზურაბა ღამბარაშვილის ღიმილი და სიცილი რომ ჩაეფინებოდა იმ აუცილებლობად, ამ გრანდიოზულ თხზულებას ცოცხალ საკითხავად რომ აქცევდა — ყველა მკითხველისთვის და არა მეცნიერთა მცირე წრისათვის.

დაე ყველა ადამიანს განეცადა სამყაროს შეცნობის მშვენიერებაც და თავიანთ თავშიც ჩაძირულიყვნენ.

შოთა იათაშვილი მადლობას რომ გადაუხდიდა ვენსპილსის მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო სახლსა და არტვილა „გარიყულას“ სამუშაო პირობების შექმნისათვის, ერთი

გარემოც და მეორეც საკმაოდ რელიეფურად, მოხდენილი ფერებით ამეტყველებული შემოვიდოდა თხრობაში, „გარიყულას“ ის გამორჩეული მნიშვნელობაც რომ მიენიჭებოდა, მთავარი გმირის იქ ყოფნა დაუჯერებელი, ფანტასტიკური ეპიზოდითაც რომ უნდა აღბეჭდილიყო.

თუ... გასხივოსნება უფრო მოუხდება?

ყოველ შემთხვევაში გმირი ჰაერში უნდა აფრინდეს, და ეს გადაფრენა მხოლოდ ზმანება თუ თვითშთაგონება რომ არ არის, იმითაც უნდა გაცხადდეს, სხვამაც უნდა იხილოს გმირის ეს ფანტასტიკური მოგზაურობა და, ამ უჩვეულობით შეპყრობილმა, თავის მხრივაც მოინდომოს ფრენა, რასაც ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი უნდა გაჰყვეს და პერსონაჟისათვის კი კინაღამ საბედისწეროდაც დასრულდეს, ნიკოლოზის შემოშველება რომ არა და გამოხსნა გოგონასი ამ სულიერი აღტკინებიდან.

მაინც რას ნიშნავს ამ ფანტასტიკური ეპიზოდის გაჩენა სხვა მხრივ რეალისტურ რომანში?

ახსნა უნდა ვეძებოთ ზღაპრის იმ სიუჟეტში, რომელიც ვითომ შემთხვევით, არადა ღრმა ჩანაფიქრით იელვებს და გვაგრძნობინებს, მთავარი გმირისათვის ზღაპარი მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ჟანრი რომ არ არის, არამედ მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული ვერსიებიც, დღეს თუ ხვალ მისთვის სულაც მშობლიურად რომ იქცეს — საამისოდ კი აუცილებელი გახლდათ არამარტო საკუთარ თავზე განცდა ფანტასტიკისა თუ მაგიური რეალიზმისა, არამედ სხვა ადამიანის ჩაზიარებაც ამ გასაგნებულ ხილვა-ზმანებაში, იდუმალად რომ უნდა გამოჰყვეს ეს შეგრძნება თხრობას მუსიკალური აკორდივით, ყველაზე დიდი სიმართლის გასაცხადებლად რომ მიისწრაფის ყველა და ყველაფერი, ნიკოლოზის არსებაში ჩაგუბებული და ამოსამზევებლად მზადმყოფი.

„დამწყები“ უცნაური, დროიდან ამოვარდნილი და ამავდროულად ძალზე დროული რომანი რომ არის დავით ქართველიშვილის თვალთახედვით, ფორმის თვალსაზრისით კი საგანმანათლებლო რომანის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი, ეს ფორმა უპირველესად მაინც „ხუმარსწავლას“ უნდა ეკარნახა, იოანე ბატონიშვილი ყოფილიყო მისი შთამაგონებე-

ლი, მერე უკვე საგანმანათლებლო რომანის გამოცდილების გათვალისწინებაც რომ არ გაუძნელდებოდა რომანის ავტორს — მისი მორგება ახალი დროისათვის.

ზოგად ფორმას გადმოიღებდა „ხუმარსწავლიდან", ზოგად სტილისტიკასაც მასვე რომ დაუმადლებდა — იაკობ გოგებაშვილისა არ იყოს — ოღონდ „დამწყებში" მთავარი გმირი თვითონვე შეითავსებდა იოანე ბატონიშვილის ორივე პერსონაჟს — იონა ხელაშვილიც თვითონ იქნებოდა და ზურაბა ღამბარაშვილიც, მათ დიალოგებს თავის სულიერ ჭიდილად გარდასახავდა და თავის თავგადასავალს კიდეც აქცევდა ჩვენი თანადროულობის სახიერ ნიშანსვეტად.

და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებდა, რაოდენ ცხოველმყოფელი ქმნილებაა „ხუმარსწავლა", როგორც კლასიკური ძეგლი, რაოდან სიცოცხლისუნარიანი, კვლავაც რომ შეუძლია მიგვაქციოს თავის გავლენაში და შთაგვაგონოს არაერთი საგულისხმო ჩანაფიქრი, მთლად „დამწყებივით" თუ ვერ ავზიდავთ, საკმაოდ წაგვადგეს ჩვენი მხატვრულ-ესთეტიკური ძიებების გზაზე.

„ხუმარსწავლა" — ეს გონიერებითა და სიბრძნით, ღრმა განცდებითა და სიხალისით აღსავსე წიგნი, თავისებურად ტრაგიკულადაც რომ წარმოგვიდგება, რაკილა დიდი სახელმწიფოებრივი რეფორმების განსახორციელებლად მოწოდებული უფლისწული ამ ქმნილებასღა შეაფარებდა თავს.

კრწანისის ბრძოლაში დიდად გამოიჩენდა თავს, როგორც მებრძოლი და მეთაური.

და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, შეადგენდა და მამას — გიორგი მეთორმეტეს — წარუდგენდა „სჯულდებას" — სახელმწიფო წყობილებაში თუ რა რეფორმებს უნდა მობმოდა თავი სასწრაფოდ და გადაუდებლად, რათა დახსნილიყო ქვეყანა განწირულებისაგან, მეფე რომ მოიწონებდა უფლისწულის პროგრამას, მაგრამ... გიორგი მეთორმეტის მოწამვლა დაღუპავდა ამ წამოწყებასაც და საქართველოსაც.

და იოანე ბატონიშვილიც გადასახლებაში რომ ამოჰყოფდა თავს, „ხუმარსწავლაღა" შერჩებოდა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა...

ამითღა მოითქვამდა სულს...

და მთავარი და უმთავრესი ისაა, შთამომავლობასაც სულს რომ მოათქმევინებდა, და პოსტმოდერნისტულ თუ სულაც პოსტპოსტმოდერნისტულ ეპოქასაც ძალდაუტანებლად გადმოწვდებოდა, „დამწყებს“ უშუალოდ რომ გაუკვალავდა გზას და უმფარველებდა, შოთა იათაშვილის მაქსიმალისტურ წყურვილს თავის მაქსიმალისტურ წყურვილს რომ შეაშველებდა და XXI საუკუნის მწერლის სულიერ ჭიდილს შესაფერის ბალავარსაც ჩაუყრიდა — ზედ aserigad შთამბეჭდავი ნაგებობის — „დამწყების“ — დასაშენებლად.

ბგერის გრაფიკა

(ნათია გიორგაძის ლირიკული გზასავალი)

ბგერასაც შეიძლება ჰქონდეს თავისი გრაფიკა, თავისი გრაფიკული ნიშანი, და ეს შეიძლება იყოს დრო.

ეს ნათია გიორგაძის პოეტური ხედვის რაკურსია:

დრო — გრაფიკული ნიშანი ბგერის.

და ამ რაკურსს უნდა გაჰყოლოდა მისი „ხმის მატარებელი" („ინტელექტი", 2020), რომელშიც ხმები ბევრგვარი ვარიაციითა და ტონალობით უნდა გაშლილიყო, ბევრგვარი ექოთი დატრიალებულიყო და საბოლოოდ სწორედ ექოებს მოეტანა მკითხველამდე გარეგნული და სულიერი ხმიანობა — დუდუნიდან ძახილამდე და ძახილიდან დუდუნამდე, ამ ფარულ წრეში რომ უნდა ამოხვეულიყო ლირიკული კრებულის კომპოზიციური ქარგა, დროის ტრიალსა და ბგერის გრაფიკას დაყრდნობილი.

კრებულისათვის წამძღვარებულ ესეიში „სავსე მთვარეა პოეზიაში" ნინო ქუთათელაძე საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა ნათია გიორგაძის გამახვილებულ გრძნობას ბგერისადმი:

ბგერა და მეტაფორა ერთ ნასკვშია მოქცეულიო.

ეს ქვეშეცნეულად ხდებოდა თუ ცნობიერად?

ამჯერად მნიშვნელობას არ მიანიჭებდა ამ გარემოებას, რადგანაც მისთვის მთავარი გახლდათ შედეგი ამ სწრაფვისა, ზუსტად გამოხატული ლექსში „ბგერწერის თოკზე", რაც გარწმუნებდა, რომ:

ბგერწერის თოკზე უნდა გაგევლო და არა მხოლოდ გტკენოდა სატკივარი, არამედ მოგესმინა კიდეც მისი ხმა.

და ამას განგაცდევინებდა მეტაფორათა ის ნაკადი, შენი წითელი მძივის გამო მძარცველი რომ მოვიდოდა, მალულად გაა-

ღებდა კარსაც, კარადასაც, მაგრამ ზარდახშის გრძელი სახურავიც რომ გადაეხადა, დაღუპვა არ აგცდებოდა!..

და ნინო ქუთათელაძე ძალდაუტანებლად გაიხსენებდა სათავეს ბგერასთან ამგვარი მიმართებისა, თუნდ XIX საუკუნის ბელეტრისტიკის, მათში თითქმის ყოველთვის რომ იგრძნობოდა ბგერა, როგორც ტექსტში წარმოსახული არსისა თუ სურათის, განწყობის მაუწყებელი, როგორც ენის კეთილხმოვანების დასტური.

წინასიტყვაობის სათაურად პოეტის ის სტრიქონი რომ არის გამოყენებული: სავსე მთვარეა პოეზიაშიო, — ნინო ქუთათელაძე კიდეც მთვარის კვალს გაჰყვებოდა, თუმც შესაძლოა მზის კვალსაც გავყვეთ, მზეს შევესიოთ და დავინვათ, ან არსად ჩადიოდეს მზე, ან მზის სხივების პლატფორმაზე — ცეცხლოვან ღრუბელში მდგარი პოეტი საკუთარ სინათლეს ეწირებოდეს, ან ვიდრე ჩამოიქცეოდეს ყველა ანჯამიდან უფლის კარი, მზე კარაკინით თავქვეშ შემოხაზო, კარგად ყოფნა მოიგონო და გაღიმებულ მზეში ცხედარი გაიტანო...

ვილაც კიდეც შეიძულებს მზეს, სქელ ფარდებს დაუშვებს, და წუთით იმასაც დაუშვებს, რომ აღარაა ქვეყნად საშველი; მერე კი იმ წუთსაც დაივიწყებს, როგორც იმ კაცს, რომლისგანაც სურდა გაქცევა; და ჩაიქნიოს ხელი, და ჩაის სმას მიჰყოს...

და ამ მწუხარე, სასოწარკვეთილ განწყობილებებში შემოიჭრას მოულოდნელი მეტაფორა, როგორც ამ განწყობილებათა დაგვირგვინება შთამბეჭდავი ხატით:

და ჩაიარა ვით ზღაპარში მზეთუნახავმაო!..

ეს იმ მხატვრულ რეალობაში, რომელშიც:

შესაძლოა იდგნენ ქალაქში ჰამლეტები და მეფეები აღარსად იყვნენ — არც მკვდრებში, აღარც მოსაკლავებში.

და აკვიატებული აზრების მოკრებისას ლირიკულმა გმირმა — რა გასაკვირია — მზე შეიძულოს, ამოძირკვოს მზე და მზისგულზე იშვას გეიშასავით — ჰქონდეს ფესვი მზის სამშობლოში და მოიკვეთოს.

ტრაგედია და ამისთანა?!.

მზის სამშობლოში გედგას ფესვი და... ნებითვე მოიკვეთო.

და ჩაიარო ვით ზღაპარში მზეთუნახავმა.

ზღაპარი და მზეთუნახავი ერთადერთხელაა ნახსენები ამ ლირიკულ დღიურში, თუმც შინაგან მოტივს უმთავრესად ზღაპრებიდან დაძრული ხილვები განმსჭვალავს, და ამიტომაც გადადის ლექსიდან ლექსში ფოლკლორული პოეზიის ინტონაციებიც, რითმამდელი ქართული ლირიკის ნაირსახეობანი, და იმ ხილვებიდან და განწყობილებებიდან უნდა მოგვევლინოს ბაყაყიც — ჭაობისა და ოქროსფერი, ვინც ვერასოდეს გახდება პოეტი, მაგრამ... მაგრამ ის, რომ უნდა შეშურდეს მისი პოეტს — ხმების ოსტატსა და ენამახვილს, მზეს, ცეცხლისგამჩენს, რადგანაც თვითონ ვერასოდეს გახდება ასე დაბალწყალზე შეყენებული და ვერ იხტუნებს სხვის დაკრულზეც, სხვის შადრევანშიც...

„ხმის მატარებელს“ ადევნებულა ყველა ხმაური, უმცირესიდან უმაღლესამდე, უნდა გამთლიანებულიყო იმ სიტყვად, რომელიც გაუიგივდებოდა ტყეში პირველ შესვლას, ჰაერს — მოსალოდნელ შედეგებს შორის; და არ მგვანებოდა შაშვის ნაღვლიან სტვენას... ყოფილიყო მოსასმენად შეუძლებელი და შესახედადაც შეუძლებელი — მზის ქვებით სავსე, ვით გამომშრალი მეტაფორები, და ვით აყვირებული ბროწეული ამ შავბნელ ტყეში — გარეთ ატლასი, შიგნით კი...

და ფოლკლორული გამოცანა — გარეთ ატლასი, შიგნით ათასი — ნათია გიორგაძის ხელთ ამგვარად უნდა გარდაისახოს:

შიგნით სამშობლო — მოსაწყენი და ულამაზესი.

რამხელა ტრაგედია ილანდება თამაშ-თამაშით ნათქვამი სიტყვებით.

და პოეტის სიტყვა ყინვაგამძლეც უნდა იყოს, საფრთხეში მყოფიც, ტყვე ქალივით გამოსახსნელი: ენით უთქმელი, პოეტის სიტყვა...

ბექა ახალაია ანოტაციურ მინაწერში „ხმის მატარებელს“ პოემადაც მოიხსენიებდა.

კი მაგრამ... კრებული ფრაგმენტების თავმოყრად რომ უფრო წარმოგვიდგება?

თუმც ეს — ერთი შეხედვით.

მინაწერის ავტორს — პოეტსა და კრიტიკოსს, ნინო ქუთათელაძისა არ იყოს — არ გამორჩებოდა ამ ფრაგმენტთა მილმა

ჩამალული მონოლითურობა, რაც „ხმის მატარებელს“ ერთიან სხეულად აქცევდა.

და მაშ ამ ერთიან სხეულს რატომაც არ მოუხდებოდა პოემად აღქმა?!.

მის სტრუქტურას ხომ ასერიგად აწესრიგებს და ერთმანეთს გადააბამს ერთ ნასკვში მოქცეული ბგერა და მეტაფორა, ხმათა დაუსრულებელ ნაკადებად განფენილი.

მზე და მთვარე კი იმ მძაფრი დრამატიზმით სავსე ლექსში უნდა გადაიკვეთოს, პოეტს მხოლოდღა დანანებით რომ დაცდება: რაკიღა ვერ შენივთებია წვიმის ხმაურს, ვერც ცისარტყელას გააჩენს მზის შემხედვარე.

და თუ არავინ კვდება შემთხვევით, შეუძლია ამოვიდეს ცაზე, როგორც კარლია მთვარე.

და დრო იდგეს, როგორც გრაფიკული ნიშანი ბგერის.

ხოლო „ხმის მატარებელმა“ ჩაიაროს ვით ზღაპარში მზეთუნახავმა...

„ბორიაყი“:
გამონათების ნიმუშად

(დღიურის ფურცლებიდან)

დათო მაღრაძე ლალი პაპასკირთან საუბრისას („კვირის პალიტრა“, 2021, 31 მაისი) ხაზგასმით გამოჰკვეთდა, რომ:

საქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა XIX საუკუნის კეთილშობილ საზოგადოებას, თუმც ჩაებარებინათ და გაეფორმებინათ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც კიდეც უნდა დაეგმოთ და უარეყოთ ჩვენი არისტოკრატიის ღვაწლიც და ქრისტიანული მრწამსიც, რადგანაც ათეისტური მუშურ-გლეხური სახელმწიფო ანტიპათიით განწყობილიყო მათ მიმართ და ვერც ჯეროვნად აფასებდა მათ დამსახურებას საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

არამცთუ სოლომონ დოდაშვილს დაივიწყებდნენ, ილია ჭავჭავაძე ვისზეც ამბობდა: ჩვენ დროშა მისგან მივიღეთო, — აღარც ახსენებდნენ აღარც თვითონ ილიას (და ამ ფონზე რაოდენ დასაფასებელია პავლე ინგოროყვას ღვაწლი, იმ უმწვავეს ჟამს რომ გამოსცემდა ილიას ტომებს ალექსანდრე აბაშელთან ერთად!), აღარც დიმიტრი ყიფიანს, აღარც აკაკი წერეთელს, აღარც იაკობ გოგებაშვილს, აღარც ვაჟა-ფშაველას...

ძალზე მკაცრი და გამმეტებელი რეჟიმი ხომ არისტოკრატული საზოგადოების მიმართ წნეხს კიდევ უფრო გაასასტიკებდა და 1924 წლის რეპრესიებისას სულაც გაწყვეტდა ჩვენს ზეპურ საზოგადოებას... 1937 წელს კი უკვე ხელოვანებსაც მიადგებოდნენ.

შემდგომ რეპრესიები შედარებით რომ შესუსტდებოდა?

სამაგიეროდ იდეოლოგია დარჩებოდა იგივე, ქართული არისტოკრატიის ღვაწლს რომ არ აღიარებდა, რაკიღა მაშინდელი ხელისუფლებანიც წინამორბედთა გზას მისდევდნენ.

დათო მაღრაძეს ამ მსჯელობას ცხადია არ გამორჩებოდა გამონათებებიც.

და ლიტერატურული გამონათების ნიმუშად დაასახელებდა:

ოთარ ჩხეიძის რომანს „ბორიაყი“,

რომელიც იმ თაობის ღვაწლზე ამახვილებდა ყურადღებას.

„ბორიაყს“ არ აკლია დაფასება და აღიარება სალიტერატურო კრიტიკისა თუ მკითხველის მხრიდან, ჩვენი რომანისტიკის მწვერვალადაც რომ არის აღიარებული, მაგრამ ამ მხრივ მასზე ყურადღება აქამდე არავის გაემახვილებინა:

როგორც წარმომჩენისა ჩვენი არისტოკრატიის გამორჩეული ღვაწლისა საქართველოს სახელმწიფოს ამოსაგებად.

და დათო მაღრაძე ამ მხრივაც მიუჩენდა „ბორიაყს“ კუთვნილ ადგილს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებაში.

მოწანიება – მომხიბლავ შტრიხად

(სამეცნიერო სესიათა კიდევ ერთი რგოლი)

თავისებურად გაალამაზებდა გურამ გეგეშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამართულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიხა გეგეშიძე მამის ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუ-დიალოგების კრებულს — „სიტყვები“ — რომ მოიტანდა და გამომსვლელებს დაურიგებდა საჩუქრად.

„პალიტრა ელი“ იმ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-კულტურულ საქმეს რომ აღასრულებდა: ექვს ტომად გამოსცემდა მწერლის მოთხრობებსა და რომანებს — „საზოგადოება ცოდნა“ მიადევნებდა ამ კრებულს მეშვიდე ტომად და არსებითად ხელთ გვექნებოდა გურამ გეგეშიძის თხზულებათა შვიდტომეული.

„სიტყვების“ მოკლე წინათქმაში პოეტი და პროზაიკოსი, გურამ გეგეშიძის სიყრმის მეგობარი ნუგზარ წერეთელი მოიხმობდა ამონარიდს დიდი თანამოკალმის 1987 წელს დაწერილი სტატიიდან „ილიას მაგალითი დღეს“:

— ერთადერთი გზა, ეს არის ილიას მიერ დასახული გზა, რომელმაც შეიძლება უფსკრულს დაგვაცილოს და გადაგვარჩინოს. ეს არის გზა პიროვნულზე უფრო მაღლა ეროვნულ-საზოგადო ინტერესების დაყენებისა, მაგრამ წავალთ ჩვენ ამ მიმართუებით, მზადა ვართ ამისათვის?

და თავის მხრივ დასძენდა:

— დღესაც უცვლელად გაისმის დიდი მწერლის სასიცოცხლო კითხვა — წავიდა თუ არა ამ გზით საქართველო... გურამ გეგეში-

ძის ღრმაშინაარსიანი სიტყვების ემოციური ფონის თანხლებით ვუსურვებ ქართველებს ამ სასიცოცხლო გზით სვლას...

სესიის მოთავებისას კი სიტყვა მიხა გეგეშიძეს რომ დაეთმობოდა — აფხაზეთის ომის მონაწილესა და ჩინებული მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის შემქმნელს იმ ტრაგიკულ ამბებზე, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების რადიოსადგურის ქართულ რედაქციაში „ამერიკის ხმა“ დიდხანს მოღვაწე ჟურნალისტს — გაიხსენებდა ზოგიერთ პასაჟს მამის ჩანაწერებიდან, რომელთა გამოქვეყნებაც დიდად მნიშვნელოვან მოვლენად წარმოდგება, ამ პასაჟებს კი დაუკავშირებდა გამომსვლელთა ცალკეულ მოსაზრებებს.

ნინო ვახანია რომანზე — „ცოდვილი“ — მსჯელობისას საგანგებოდ გამოჰკვეთდა ხასიათებისა და სიუჟეტური ქარგის სიახლოვეს ბიბლიურ სამყაროსთან... და აღმოჩნდებოდა, რომ მწერალს ეს სიახლოვე წინასწარვე ჩაეფიქრებინა და თხრობა სულაც მის გარშემო ამოექსოვა, ვამეხ გურამიშვილს უშუალო ასოციაციები რომ უნდა გამოეწვია იესო ქრისტეს ამქვეყნიური მოღვაწეობისა, ალისას — მარიამ მაგდალელისა, შამილასა და ძუკუს — პირველმოციქულებისა...

აშკარაა:

ამ კუთხით კიდევ უფრო ჩაღრმავებულ და გაშლილ განსჯაშეფასებას მოითხოვს „ცოდვილი“.

ნიკოლოზ სანებლიძე „ქართლის ჭირის“ ციკლის პირველ რომანზე — „ხმა მღაღადებლისა“ — მსჯელობისას ჯამბაკურ ვარდანიძის სახეს საქართველოსა და მის ბედისწერას რომ გაუიგივებდა, აღმოჩნდებოდა, რომ მწერალს სწორედ ასე ჩაეფიქრებინა და გაესიმბოლოვებინა ეს პერსონაჟი.

თავისებურად გაალამაზებდა თავყრილობას მიხეილ ანთაძის გამოსვლაც — მრავალმხრივი ინტერესების მწერლისა და რეჟისორის, ერთხანს „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე — პაატა ნაცვლიშვილის მიწვევით — სალიტერატურო მიმოხილვებსაც რომ აქვეყნებდა. და ისე მოხდებოდა, რომ მწვავედ გააკრიტიკებდა გურამ გეგეშიძის იმხანად გამოქვეყნებულ ისტორიულ მოთხრობას „ჟამი“ იმ თვალსაზრისით: ძალიან ზოგადია, მოწყვეტილი ისტორიულ რეალობასო.

იმ წუთას ველარ გაითვალისწინებდა, მწერალს ეს მხატვრული ხერხი იმიტომაც მოემარჯვებინა, მკითხველს კიდევ უფრო მძაფრად და ხელშესახებად შეეგრძნო, ეს ვრცელი მოთხრობა გარდასული ჟამის გაცოცხლებას კი არა ცდილობდა, მონღოლების ეპოქისა, არამედ 70-იანი წლების უმძიმეს ყოფაში ახედებდა, გარშემო დატრიალებული მოვლენების ღრმა ანალიზს სთავაზობდა.

და ახლა მიხეილ ანთაძე საჯარო აღსარებითა და მონანიებით გამოვიდოდა: ეს შესანიშნავი მოთხრობა მაშინ რამ დამაწუნებინაო?!.

გაიხსენებდა იმასაც:

გურამ გეგეშიძე — რომელთან ერთადაც მუშაობდა კინოსტუდიაში — მას შემდეგ არაერთხელ რომ შეხვდებოდა, დიდხანსაც ისაუბრებდნენ ხოლმე, მაგრამ ის კრიტიკულ სტატიაზე არას ეტყოდა, არამცთუ საყვედური დაცდენოდა.

აღმოჩნდებოდა, რომ თურმე მთლად არ ამტყუნებდა უმცროს თანამოკალმეს:

ზედმეტად გავამუქე ფერებიო.

უთუოდ აჭარბებდა ჩვენი საყვარელი მწერალი, რადგანაც ფერები თვითონ კი არ გაემუქებინა, არამედ გარემომცველი რეალობა სთავაზობდა იმ გამუქებულ ფერებს და მას მხოლოდღა მაღალმხატვრულად უნდა გადაეტანა ფურცელზე.

ჩემი გამოსვლა მწერლის ისტორიული მოთხრობების ირგვლივ თავისებურ აპოლოგიად გადაიქცეოდა „ჟამისა“, რომელიც ქართული ვრცელი მოთხრობის ერთ საუკეთესო ნიმუშად და მიღწევად მეგულება.

თანამედროვე მოთხრობების ირგვლივ ამოახვევდა თავის ანალიტიკურ დაკვირვებებს გია არგანაშვილი, ამასთან შეუფასებელი რომ არ დაგვრჩებოდა გურამ გეგეშიძის არცერთი რომანი, უსამართლოდ მიყრუებული „სტუმარი“ ქეთევან შენგელიას რომ უნდა ამოეზიდა, პაატა ჩხეიძეს კი „სისხლის წვიმების“ შეფასება ეთავა, ირმა რატიანს — „ნაცრის კოშკისა“, გიორგი ლობჟანიძეს — „ნათლისქრობისა“, და ეს ყოველივე იმ სიღრმისა და მახვილგონიერებისა რომ იქნებოდა, დასავლეთის ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდა გურამ გეგეშიძისადმი მიძღვნილი ეს სამეცნიერო შეკრება.

ჩვეული პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა, რომლითაც ის მიესალმებოდა სამეცნიერო სესიის მონაწილეებს.

საგულისხმო იქნებოდა პოეტისა და რუსთაველის საზოგადოების თავკაცის დავით შემოქმედელის მოკლე გამოსვლა, ალექსანდრე ქუთათელის სახელსაც რომ შემოიტანდა საერთო განსჯაში, როგორც გურამ გეგეშიძის ერთ-ერთი წინამორბედისა, და დაიტოვებდა სათქმელს იმ მემუარული ყაიდის წერილისათვის, რომელშიც აღიწერება ის ურთიერთობაც, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ რუსთაველის საზოგადოებაში საქმიანობისას.

ამ სამეცნიერო სესიის მასალებიც — ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ამ კიდევ ერთი წამოწყების ტრადიციისამებრ — ცალკე წიგნადაც მოიყრის თავს, რათა ადვილად მიუწვდეს ხელი მკითხველს, რომლისთვისაც ასერიგად აუცილებელია შეიცნოს და შეითვისოს ის დიდებული მხატვრული სამყარო, ექვსტომეულად რომ შემორკალულა და მეშვიდე ტომიც შემატებია თავისებურ გზამკვლევად, რაც „სიტყვებთან“ ერთად უნდა იკისროს ჩანაწერთა იმ წყებამაც, რომლის გამომზეურებასაც მოუთმენლად დაველოდებით.

ხაშურიდან გადახსნილი ფანჯრები

(დღიურის ფურცლებიდან)

ჰოი რა დინამიურ და მხიარულ დიალოგად გადაიქცეოდა აუდიტორიასთან წარდგინება გიორგი ლობჟანიძის ავტობიოგრაფიული რომანისა „ჩემი ფანჯრებიდან“, „არტანუჯის“ თაოსნობით რომ გაიმართებოდა ხაშურის ბიბლიოთეკაში, ქალაქისა, საიდანაც უნდა დაწყებულიყო მწერლისა და მეცნიერის ის გზა, რომელიც საერთაშორისო აღიარებითაც უნდა დაგვირგვინებულიყო, მისი შემოქმედება ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად რომ გვეგულება იმ ასპარეზზე, რომელზეც ძნელად, შეფერხებებით, მაგრამ მაინც ვიმკვიდრებთ თავს.

რასაც ხელს მოჰკიდებდა, უმაღლეს დონეზე უნდა აღესრულებინა, და კიდეც წარმოდგებოდა: საუკეთესო პოეტად; საუკეთესო მთარგმნელად — როგორც პროზისა, ისე პოეზისა, ამ ორი ჟანრის გადაკვეთაზე ამოზრდილი ყურანიც რომ უნდა ექცია ქართული კულტურის ნაწილად; საუკეთესო მკვლევარად; საუკეთესო ესეისტად და კრიტიკოსად... და მეგობრებისა და გამომცემლობა „არტანუჯის“ შეგულიანებით ავტობიოგრაფიული ყაიდის ჩანაწერებს ერთად რომ მოუყრიდა თავს, საუკეთესო პროზაიკოსთა შორისაც ერთბაშად უნდა ჩამდგარიყო.

შეხვედრას გახსნიდა მაკა დიდებულიძე — ხაშურის მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელი, სიტყვას რომ გადასცემდა ზვიად კვარაცხელიას — მწერალსა და გამომცემელს, თავის ამაგს რომ დასდებდა ამ ავტობიოგრაფიული რომანის გამომზეურებასაც.

თავყრილობის მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებდნენ:

ფატი კურტანიძე — გიორგი ლობჟანიძის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ზურაბ ჩხიტუნიძე — თანაკლასელი და ამჟამად ხაშურის ვიცემერი, მზევინარ რევაზიშვილი — თანაგუნდელი ბავშვთა ვოკალურ ანსამბლში „დისკანტი“ (ხელმძღვანელი ლიანა ტატიშვილი), ხათუნა ჩიტაძე — პოეტი და მხატვარი. და ნატო ჩხეიძესა და მეც მოგვიწევდა გამოსვლა.

დარბაზში ისხდებოდნენ: წიგნის ზოგიერთი პერსონაჟი, ზოგიერთიც — გარდაცვლილი პერსონაჟის ოჯახის წევრი. და თავყრილობას არ მოაკლდებოდა არც ხალისი და არც სევდა გარდასული ამბების ნოსტალგიის გამო. და ისეთ ეპიზოდებსაც გაიხსენებდნენ, ავტორი განაცხადებდა: უსათუოდ შევიტან „ჩემი ფანჯრების“ ხელმეორე, შევსებულ გამოცემაშიო.

და შეგულიანდებოდა, რათა რომანის მეორე წიგნიც დროულად დაასრულოს — თუ პირველ წიგნში ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის იმ ხანაზეა მოთხრობილი, ვიდრე სტუდენტობისას ირანში გაემგზავრებოდა სწავლის გასაგრძელებლად, მეორე ტომი ირანში სწავლა-ცხოვრების წლებს დაეთმობა... შემდგომ რიგში ჩადგება მისი ბიოგრაფიის შემდგომი მონაკვეთები და შესაძლოა მისი ეს ავტობიოგრაფიული თხზულება ისევე გაგრძელდეს სერიად, როგორც გივი მარგველაშვილის „კაპიტანი ვაკუში“.

როცა ასეთი ბიოგრაფია გაქვს, გიორგი ლობჟანიძეს რომ ერგუნებოდა, და ასეთი ხელოვნებითაც შეგიძლია თხრობა, რატომაც არ უნდა ჩამოამწკრივო ტომების რიგი — სავსე მღელვარე სიუჟეტებითა და გამოკვეთილი ხასიათებით, მკითხველისათვის ერთნაირად საყვარელი რომ შეიძლება გახდნენ როგორც ცნობილი, ისე ნაკლებად ცნობილი თუ სულაც უცნობი პირები, ან უკვე ავტობიოგრაფიული რომანის პერსონაჟები, აღბეჭდილნი წიგნისმიერი სიცოცხლის მადლით.

ვატყობ:

ავტობიოგრაფიულ რომანს ავტორთან ერთად ელის მოგზაურობა საქართველოს სხვა ქალაქებშიც, და დაე ხაშურის ბიბლიოთეკაში ეს შეკრება ფეხბედნიერი ყოფილიყოს ამ გზაზე, როგორც ხაშური აღმოჩნდა ფეხბედნიერი გიორგი ლობ-

ჟანიძის მწერლური და მეცნიერული კარიერისათვის გზის გაწალდვაში.

დამჯაფავი გარჯა იქნება ამ წელიწადს მისთვის:

ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ მესამე ტომის თარგმანისა და კომენტარების მომზადება გამოსაცემად.

და

„ჩემი ფანჯრების“ მეორე ტომის დასრულება.

ისე ეს დაწყვილება შესაძლოა შემთხვევითი სულაც არ აღმოჩნდეს და — როგორც ნატო ივარაუდებდა — „არსთა მესნევის“ ექვსტომეულს ავტობიოგრაფიული რომანის ექვსტომეულიც ამოუდგეს გვერდით.

და ორ მეგზურადაც მოევლინონ ჩვენს ახალთაობებს.

მეგზურად და ორიენტირად

(წიგნი-ფიქრი რევაზ სირაძისა)

„წმინდა ნინოს ცხოვრებას“ რევაზ სირაძე ქართული ჰაგიოგრაფიის სათავეში მიუჩენდა ადგილს, თავის დროზე დიდ ვნებათაღელვას რომ გამოიწვევდა სამეცნიერო წრეებში — ადვილად ვერ შეეგუებოდნენ „შუშანიკის წამებისათვის“ პირველობის ჩამორთმევას.

მკვლევარის ეს მოსაზრებანი ჯერ კიდევ მანამ გახმაურდებოდა, ვიდრე საჯარო მოხსენებას წაიკითხავდა ამ თემაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მძაფრ პოლემიკას გამოიწვევდა.

წინა დღეებში მისი სტუდენტები შეატყობინებდნენ ბატონ რევაზს, ადვილად რომ არ ჩაივლიდა ის საჯარო მოხსენება, თუმც იგი ჩვეული სიმშვიდითა და აღუშფოთებლობით შეხვდებოდა მოსალოდნელ შემოტევებს და ახალგაზრდებს აუხსნიდათ, რომ:

მეცნიერის უპირველესი მოვალეობაა, იყოს წრფელი და მართალი საკვლევი თემისა თუ პრობლემის წინაშე და არ შეუშინდეს თუნდ მცდარი მოსაზრების გამოთქმასაც, რადგან თვით მცდარი შეხედულებაც თავის საქმეს აკეთებს — ბოლოსდაბოლოს გაირკვევა, რომ ამ მიმართულებით ძიების გაგრძელება მარცხისთვისაა განწირული, ეს კი სხვა მკვლევარს ხელს შეუწყობს უფრო სწორი გზის არჩევაში.

დღესდღეობით ეს მიმართება კვლევისადმი ყველაზე საიმედო მეთოდადაა აღიარებული დასავლურ მეცნიერებასა და აზროვნებაში — თვით მცდარ მოსაზრებასა და დასკვნასაც თავისი საპატიო ადგილი და როლი რომ ენიჭება.

ეს — თუ არ გამართლდებოდა რევაზ სირაძის ახლებური გააზრება ქართული ჰაგიოგრაფიის სათავისა.

მაშინაც კი მისი ძიება დიდად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რაკიღა მეცნიერის ფიქრთა მდინარება, სავსე ბევრგვარი მახვილგონივრული მიგნებით, ძალიან წაადგებოდა ამ ძეგლის კვლევას კერძოდ და ქართული ჰაგიოგრაფიის ცალკეულ მოტივთა გააზრებას საერთოდ.

არადა დღეისათვის რევაზ სირაძის ეს შეხედულება უკვე გაზიარებულია სამეცნიერო წრეებში და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ადგილი განსაზღვრულია ჩვენი ჰაგიოგრაფიის სათავეში.

კორნელი კეკელიძის მოწაფე კვლევისას უფრო პავლე ინგოროყვას გზას გაჰყვებოდა და სავსებით მათებულადაც ამიტომ შეაფასებდა თუნდ „რუსთველიანას“ შემოქმედის წვლილს რენესანსის თეორიის შემუშავებაში, კორნელი კეკელიძესთან ერთად რომ მოამზადებდა საფუძვლებს შალვა ნუცუბიძის იმ აღმოჩენისათვის, რომელიც თავის დროზე ძალიანაც გახმაურდებოდა და მის კვალობაზე შეიქმნებოდა მუსლიმური რენესანსის თეორიაც, ისედაც არაერთი უცხოელი მეცნიერი რომ მოეჭიდებოდა ამ აღმოჩენას, მერედამერე კი როგორღაც მიბინარდებოდა ქართული რენესანსის კონცეფცია და რევაზ სირაძეს უნდა ედო თავს მისი აღორძინება, ასერიგად რომ დაშვენდებოდა მის სახისმეტყველებით ძიებებს — არამარტო ტერმინს გააცოცხლებდა და „სახეებით აზროვნებას“ სწორედ „სახისმეტყველებით“ ჩაანაცვლებდა, არამედ საფუძვლად დაუდებდა ქართული ესთეტიკის კვლევასა და წარმოჩენას, საბოლოოდ ესთეტიკის ისტორიად რომ აქცევდა, ისეთ პანორამულ სურათად, რაც არამარტო ფილოლოგებისათვის იქნებოდა მნიშვნელოვანი მოვლენა, არამედ მკითხველთა ყველა წრისა და ფენისათვის.

ესეც რევაზ სირაძის გამორჩეულობის ერთ-ერთი ნიშანი.

მისი ნარკვევები და მონოგრაფიები არამარტო გარკვეულ ეტაპს შექმნიდნენ, არამედ ცოცხალ საკითხავადაც დარჩებოდნენ, მეგზურად და ორიენტირად, ახალი თაობების სულიერ ჩამოყალიბებაში დიდ როლს რომ შეასრულებენ.

და აგერ მეტად სახიერი, თვალსაჩინო დასტური მისი ძიებების სიცოცხლისუნარიანობისა:

„ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“ —

„არტანუჯის“ მიერ გამოცემული მოზრდილი კრებული — დახვეწილი გემოვნებითა და ღრმააზროვანი შერჩევის წყალობით შედგენილი ანა ლეთოდიანის მიერ, ნარკვევთა და სტატიათა წყებას იმ თვალსაზრისით რომ დაალაგებდა, რაც შეიძლება კანთიელად გამოკვეთილიყო მეცნიერის საკვლევ საკითხთა, გააზრებათა ფართო დიაპაზონი. კომპოზიციურ რკალს უნდა მოეცვა მრავალფეროვანი თემატიკა — დაწყებულიყო მკითხველის როლის გამოკვეთით და დასრულებულიყო დუმილის ესთეტიკით.

ანა ლეთოდიანი წინათქმაში საგანგებოდ გამოჰკვეთდა, აზროვნებისა და კვლევის სახისმეტყველებითი მეთოდი, რასაც ემყარებოდა რევაზ სირაძის ნაშრომები, თავის დროზე სიახლე რომ გახლდათ; ხოლო რაკიღა სახისმეტყველებითი კვლევის მიზანი კულტურის სახეობრივი აღქმა-გააზრება, მისი დაფარული შრეების წინ წამოწევაა, სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე რომ იკვლევდა მეცნიერი უპირატესად ქართული ქრისტიანული მწერლობის, კულტურისათვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს.

საბოლოოდ კი ასე უნდა შექმნილიყო რევაზ სირაძის სკოლა, რაც თვალნათლივაა გამოკვეთილი და აწ უკვე მისი მოწაფეები აგრძელებენ იმ ძიებებს, რომლის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მონაკვეთიცაა ეს წიგნი, სახელწოდებაც ასე მარჯვედ რომ არის შერჩეული, ყველაზე უკეთ მისადაგებული მეცნიერის პიროვნულ ბუნებასაც და კვლევის მეთოდსაც.

ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს!..

ამ ფრაზის თქმაც ჰყვარებოდა მკვლევარს, ახლა მისი წიგნის გარეკანსაც რომ ამშვენებს.

ეს წიგნი მისწრებაა სკოლის თუ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთათვის.

ნარკვევი „მზის ესთეტიკა“ კი არა დამატებით საკითხავად, არამედ სულაც ქრესტომათიაში უნდა შევიდეს ზოგიერთ სხვა გამოკვლევასთან ერთად.

ამ ორიოდე წლის წინათ ლია კარიჭაშვილის თაოსნობით ერთ კრებულად მოიყრიდა თავს მოგონებანი და სტატიები რევაზ სირაძეზე: „სიტყვა ხატადქმნილი“ — ასე ხელშესახებად

რომ გამოჰკვეთდა მის პიროვნულ და შემოქმედებით პორტრეტს, მის ბუნებასა და აზროვნების მანერას — მისთვის ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური რეალიებითა და ნიუანსებით.

და ახლა თვითონ ბატონი რევაზის წიგნს უნდა გამოეკვეთა მისი პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი, მისი ბუნება და აზროვნების მანერა — მისთვის ნიშანდობლივი ფსიქოლოგიური რეალიებითა და ნიუანსებით.

„ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს“ მიეკუთვნება კრებულთა იმ ყაიდასა და რანგს, ძალდაუტანებლად რომ გაგვამეორებინებს უოლტ უიტმენის სიტყვებს, თავის „ბალახის ფოთლებს“ ყველაზე ზუსტად და ლაკონიურად ასე რომ გაიაზრებდა და შეაფასებდა:

მეგობარო, ეს არ არის წიგნი,
ხელი ახლე და კაცს შეეხები.

ხელს ახლებთ რევაზ სირაძის ამ წიგნსაც და... კაცს შეეხებით — თავისი დახვეწილი, ფაქიზი სულით, თავისი ფიქრის სისუფთავითა და დაუმცხრალობით, თავისი დიდი, ფართო, მრავლისდამტევი გულით, თავისი შეუპოვარი სწრაფვით — უსათუოდ გადაეხედა ხილული თუ უხილავი მიჯნების იქით, საითაც შენც გენევა და გაგულიანებს თუნდ ამ კრებულითაც, რომელიც სავსეა ერთიერთმანეთზე მახვილგონივრული დაკვირვებებით, შთამბეჭდავი მიგნებებით, ღრმააზროვანი აღმოჩენებითა და ფიქრით, ფიქრითა და ფიქრით, რომელიც ასე მნიშვნელობს!..

ვარსკვლავთა დერეფნებში

(თამარ არდიშვილის ლირიკული დღიური)

თუ გააცოცხლებ წყვდიადს ლურჯად, კიდეც შეგეძლება აუყვე ზეცის ბილიკს — ჩუმად და სირბილით. თუმც... თუ უეცრად დაგისხლტა ფეხი?

რა ბედენაა:

ჩაუქროლებ მბრწყინავ ვარსკვლავებს და ვარდნისას ისწავლი ფრენას.

უჩვეულო, მოულოდნელი განცდა და ხილვაა — ნიშანდობლივი თამარ არდიშვილის პოეტური წარმოსახვისათვის, ხედვის ეს უცნაური რაკურსი რომ განსაზღვრავს მისი ლირიკული კრებულის: „დიოფიტები" („ინტელექტი", 2020) მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსსაც და იმ კომპოზიციურ აღნაგობასაც, უამრავ რკალად რომ გაშლილა, სულაც დანამცეცებულა, მაგრამ ეს დაშლილ-დანამცეცებული სტრუქტურა ფინალში ერთბაშად რომ უნდა შეიკრას და ისე გამთლიანდეს, როგორც თვითეული რკალის პოეტური ნიმუშები იჩენენ ერთიმეორესთან მჭიდრო ურთიერთობას.

ის ურთიერთობა იმთავითვე ხელშესახებად უნდა გამოკვეთილიყო.

ეს ურთიერთობა კი თანდათანობით უნდა შემზადებულიყო და „დიოფიტების" ჩამთავრების შემდგომ კიდეც გეგრძნო და კიდეც გაგესიგრძეგანებინა, ლექსების მდინარებას პოემის სახე რომ შეეძინა.

აღარ გვიკვირს დაგვიანებული დებიუტები ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში.

აღარც ლექსების კრებულისა და პოემის შინაგანი თანაზიარობა და ურთიერთშერწყმა გვიკვირს.

მოდერნიზმის ხანაში ეპიკური ძარღვი რომ მოიშლებოდა პოემისა, თავს იჩენდა ჩვენს რეალობაშიც ეს უცნაური სიმბიოზი: ლირიკული პოემა — ერთმანეთის გამომრიცხავი საწყისების გამთლიანება, მყიფე, გარეგნული, და მაინც დროს მოეტანა ეს უცნაურობაც, რასაც წლების შემდგომ ამგვარადაც უნდა ეჩინა თავი:

პოეტი საერთოდ გარიდებოდა პოემის ხსენებას, და ლექსების მდინარებას თავისთავად ეგრძნობინებინა მკითხველისათვის კრებულის მიდრეკილება ეპიკურობისაკენ, რომელიც სადღაც იკარგებოდა, თუმც თავის ნიშანს გვიტოვებდა მთლიანობის გამძაფრებული შეგრძნებით — გაგრძნობინებდა, რომ:

სხვა გახლდათ ლირიკული წიგნის მთლიანობა და სხვა — მთლიანობა პოემობისაკენ მიმსწრაფი ლექსთა წყებისა.

საგულისხმოა ეს ნაირსახეობაც, ასე კანთიელად წარმომდგარი თამარ არდიშვილის დაგვიანებულ სადებიუტო წიგნშიც, რომელშიც ხშირად ჩნდებიან ვარსკვლავები — ხან უშუალოდ და ხანაც — გამჭვირვალე მინიშნებით, ღამე კოშკს რომ დამსგავსებია — ანთებულს მრავალი სარკმლით, კოშკს, რომელსაც დაჰკარგვია რატომღაც კიბე, თუმც პოეტის აღმაფრენა მაინც მიიწევს მხოლოდ იქით, მხოლოდ ზემოთ, რათა ამ უკიბო კოშკსაც ისევე მოექცეს კენწეროზე, როგორც ბავშვობაში — აწოწილ ხეებს, და ყველა შიში, ფრთაშესხმული, დაიფრინოს ამ სიმაღლიდან.

ვარსკვლავებთან ამ იდუმალმა თანაზიარობამ უნდა იჩინოს თავი სოფლის გიჟის მოლანდებაშიც, იმ ექვთიმიასი, გახვრეტილი დიდი სათლით ვარსკვლავებს რომ იჭერდა წყალში.

რაღა ექვთიმია და რაღა ლი ბო, ის ძველჩინელი პოეტი, რომელიც — ეზრა პაუნდის ლირიკულ გმირად გარდასახული — მთვარეს უნდა გადახვეოდა ყვითელ მდინარეში.

კალმის ერთი მოხდენილი მონასმით ასე რელიეფურად უნდა წარმოსახულიყო სილუეტი ცხოვრებისაგან დაჩაგრული, მაგრამ კოლორიტულობაშენარჩუნებული კაცისა, ქართველ გიჟ პერსონაჟთა გალერეას ისიც რომ უნდა შემატებოდა, კიდევ ერთი გიჟისა არ იყოს, რაღაცას რომ გამოექცეოდა, მაგრამ თავის თავს ვეღარ... და კიდეც უნდა გადმოფრენილიყო მერვე სართულიდან...

და რა გასაკვირია პოეტის მიერ მარჯვედ დაჭერილი კოლორიტულობა, როდესაც პორტრეტთა წყებასაც ჩაალაგებდა კრებულში ცალკე რკალად, თავისებურ გვირგვინად რომ უნდა დადგომოდა მამის აჩრდილის აზიდვა ლირიკულ სიმაღლეზე, საიქიოსა და სააქაოს გადაკვეთაზე, უფაქიზესი და უზუსტესი მონასმებით ორი სამყაროს შესაყარი ასე მძაფრად, ასე შთამბეჭდავად რომ უნდა მოგვვლენოდა რაღაც დიდის ნამსხვრევად, იმ დიდს ხელშესახებად რომ აირეკლავდა და მამის აჩრდილს ერთბაშად გაუმშობლიურებდა მკითხველს, ერთი ალალი, გულგახსნილი და ხელგაშლილი კაცისა:

მიტოვებული, მიუსაფარი,
ეს კაცი ალბათ მამაჩემია,
ამ ქოხის კარი ისევ ჭრიალებს,
ქარში ლანდები მიდი-მოდიან...
მაგიდას უზის მისი აჩრდილი,
ბოთლი არაყი და ვაშლის ჩირი,
გრძელ ხელებს შლის და ეძახის სტუმრებს...
მაგრამ სტუმრები აღარ მოდიან...

რამხელა დრამატიზმი ილანდება სტრიქონებსა და სამწერტილს შუა, ლექსში პიესის დარდი და სუნთქვა რომ ჩაწურულა.

რაღა გოდოს მოლოდინი და რაღა სტუმრებისა!..

ხოლო ვარსკვლავებს თავისი დერეფნებიც უნდა ჰქონოდათ, ერთი ლექსი სულაც ასე რომ უნდა დასათაურებულიყო: „ვარსკვლავთა დერეფანი“ — და ამ დერეფანში უნდა შემოცურებულიყო მთვარეც — როგორც ვერცხლის ეჟვანი, რომელიც თან გაგიყოლებდა... და ამ უცნაური ხილვებით მოცულს სურვილი გიჩნდებოდა, შემოეფრქვიათ შენთვის ცეცხლი ლამპრიდან, თუნდაც კაბაზე წაგკიდებოდა, რადგან იქ ხომ ვარსკვლავთა დერეფნები გეგულება, წყლიან ჭალაში ალაპლაპებული ხეთა ლანდები, ხოლო ცაზე უნდა ელიფლიფა მთვარეს ცალთვალას.

სხვა ლექსში მთვარე ფინჯნადაც უნდა მოგვევლინოს — სათაურიც შესატყვისი რომ შერჩეულა: „მთვარის ფინჯანი“ —

ყანწივით მრუდედ, რომელმაც უნდა დაიგუბოს ღამის ლურჯ ჯიქანს ჩამონველილი ვარსკვლავთა ჭავლი.

მთვარის თეფშის მეტაფორა გვახსოვდა ლადო სულაბერიძის ლექსიდან, პოეტურ რკალსა თუ სულაც ლირიულ პოემაში — „ჩრდილოეთის ციალი“ — მოქცეულიყო ის მოულოდნელი ხილვა, ახლა ფინჯნის მეტაფორადაც რომ უნდა გარდასახულიყო და განეცდევინებინა პოეტისათვის, პოეტს კი მკითხველისათვის სხვადასხვა მხრიდან მოწეულ ხმათა ფაქიზი ქსოვა — აბლაბუდასავით, ტოტიდან ტოტზე გადაქსოვილის, და ამ ხმათა ბადეში მოქცეული ამ იდუმალი დუდუნის ტყვედ ექციე.

ეს იდუმალი დუდუნია ჩაფენილი კრებულში სტილურ კამერტონადაც და ენობრივ ქსოვილადაც, ღამეულ ჭაში რომ ჩაგახედებს და შეგთხოვს, შესვა მთვარე ლირიკული გმირის სხეულიდან, სავსე და გლუვი რომ ამოგცქერის, და ხან ისე შეთრთოლდება და შეკამკამდება, თითქოს რაღაცას მიგანიშნებდეს...

ხოლო შიშველ სხეულზე რომ ამოიბურცება ცრემლი ღამისა, შიგ ვარსკვლავი უნდა ამოჩნდეს — ბუნდოვანი ალით მბჟუტავი...

პოეტი ცდილობს როგორმე შეაშველოს სიტყვა გათოშილ სამყაროს, სიცოცხლის ფერხული სადღაც რომ მინამქრულა და ველარ შეწყობია რიტმი და რითმა, და სიცოცხლე კიდეც გამხდარა ისეთი მარტივი, თითქოს დაეკარგოს საიდუმლონი... და ამ უცნაურ სიმარტოვეში, როგორც სამყაროს კარდიოგრამა, გადაიქსაქსოს გზები უკვალო...

და ამ უკვალო გზების გარემოში რაღა გასაკვირია, ქარიც ცივ საგალობლად რომ შემოიჭრას და ხაოდეს გამყინავ ლოცვას, და კიდეც გაფანტოს საიდუმლოდ შესანახი სიტყვაც დ მზენასვამი წმინდა ღერებიც...

მოხდენილი ნეოლოგიზმია ეს „მზენასვამი“, დრამატულ ფონზე რომ უნდა გაჩენილიყო, ლირიკულ გმირს კი თავი განეცადა ისეთ ფარღალალად, როგორც მიტოვებული სახლის ჩონჩხს ტრიალ მინდვრად ქცეულ სოფელში, მის ძვლებში კი ექროლა ღმუილით ქარს და მიხეთქებოდა ზეცის ნაპირებს, და მივიწყებული სარეცხის თოკივით აეფრიალებინა პოეტის სიტყვები გულიდან გაბმულ დაწვიმულ თოკზე...

და ამ გარემოში ხეების რწევა ცეკვას რომ გაგახსენებდა, დაე ისიც გეგრძნო, ეს მხიარულებისა კი არ გახლდათ, არამედ — დიდი განგაშის.

ეს ღმერთდაკარგული რეალობაა, მისკენ სწრაფვის წყურვილით რომ განმსჭვალულა იდუმალი დუდუნი ლექსთა ნაკადის, უღმერთობის იმ მტკივნეულობის მძაფრი შეგრძნებით, შენში, სადღაც, როგორც ბნელ, უღრმეს ჭაში, სინათლის პატარა ჩიტი რომ აწყდება გაუვალ კედლებს...

მაგრამ აღდგომა მაინც უნდა მოგვევლინოს ლურჯი სინათლით, შეჩქვიფებული იასამნებით რომ აივსოს ქუჩა და თბილისმა ალის კვერცხები ჩამოარიგოს — მორწმუნეთა სიმბოლოებად და ურწმუნოთა ურგებ წილებად... და როგორც სკები ნაყოფიერი — აგუგუნდნენ ეკლესიები...

და მზენასვამი წმინდა ღერებიც რომ გაილანდებიან, კიდეც უნდა აყვავდნენ ეკლესიები სიზმარ-ცხადის გადაკვეთაზე, ვით ვაშლის ხე გაზაფხულზე ფიქალ-ყვავილით...

მივიწყებული ლოცვის ბუტბუტი ჩაგიდგეს მთელ სხეულში.

და თეთრ გუმბათზე, როგორც პირიმზე, მზისკენ იწევდეს პატარა ჯვარი!..

ანდერძი – ზარებისრეკვად

(ორი ლექსის სივრცე)

ისე მოხდებოდა, რომ:

გვერდი-გვერდ დაიბეჭდებოდა 4 ივნისის „ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე მურად მთვარელიძის ახალი ლირიკული რკალი და ნინო ვახანიას რეცენზია გიორგი ლობჟანიძის ავტობიოგრაფიულ რომანზე „ჩემი ფანჯრებიდან": „მხოლოდ სიწრფელე, სიხალისე და სიყვარული".

მერედა რა?

მერედა ის, რომ:

მურად მთვარელიძე აქ თუ პოეტად წარმოგვიდგება, იქ — პერსონაჟია, სალიტერატურო ცხოვრების ერთ-ერთი თაოსანი ხაშურში და მოამაგე ახალგაზრდა შემოქმედებისა; და თუ ვინმე გაუმართლებდა, ერთი უპირველესი — გიორგი ლობჟანიძე, მადლიერებით რომ გაიხსენებდა თავის მასწავლებელს ავტობიოგრაფიულ თხზულებაში.

მურად მთვარელიძე კი ამ რკალში თავის მოძღვარს გაიხსენებდა ლექსში „ოთარ ჩხეიძის ლექციაზე", გუთნისდედის გამოჩენად რომ დამახსოვრებოდა მისი შემოსვლა აუდიტორიაში და ზეცის გახსნად — ამ სიტყვის მინდიასი, რომლის სათვალის მიღმა ჩაბუდებულ ბინდიან მზერასაც მამულზე ფიქრი უჩინარი ნათლით მოსავდა.

მხრებზე რა შემოეცვა და: მამულის სადარდელი.

მდინარეს საით მიუყვებოდა და: მხოლოდ აღმა.

როგორ ლოცულობდა და: ასე ჩუმად, ასე უჩინოდ, სადაც წინაპარს მანამდეც უნდა ელოცა.

მისი სავალი რა იყო და: მართლაც ბეწვის ხიდი.

მისი სათქმელი რა იყო და: სამამულე წყლულის შელოცვა.

ჰკითხავდნენ:

— მოძღვარო, ქართველები საით მივდივართ?

და მას სიტყვა უნდა დაეგდო:

— მოუარეთ საქართველოსა.

კი მაგრამ... ეს ხომ ნიკო ლორთქიფანიძის ანდერძი გახლდათ, მისი შეგონება, მისი ვედრება: საქართველოს მოუარეთო?

ოთარ ჩხეიძეს უნდა წამოეწია ეს მიჩუმათებული ფრაზაც და ეს მიყრუებული მინიატურაც „ლიტერატურული საღამო“ ქართული ესეისტიკის ერთ საუკეთესო ნიმუშში „ხატი ნიკო ლორთქიფანიძისა“, რომლის დაწერაც კარგა ხანია ენდომებოდა და ვერადავერ მოება თავი, შემაგულიანებელი რომ აღმოჩნდებოდა ნოდარ დუმბაძის შემოხმიანება ტელეფონით და თხოვნა:

— ბატონო ოთარ, ნიკო ლორთქიფანიძის საიუბილეო საღამოზე თუ ვინმე წაიკითხავს მის შესაფერის მოხსენებას, ეს თქვენ უნდა იყოთ და უარი არ მითხრათ.

— რას ამბობ, უარს ჯერ როგორ გეტყოდი და ნიკოზე ისედაც ვფიქრობ რაღაცას.

— და საღამო კარგი საბაბი იქნება!..

და მხატვრულ-იდეური ქვაკუთხედი ესეისა იმ ჰალუცინაციების ირგვლივ დატრიალდებოდა, თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით აფერილი მყინვარიდან ნაზი ქალწულის ხმასავით რომ ჩაესმოდა:

— მოუარეთ საქართველოს!

და მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები თალხით მოსილი ჭირისუფალივით რომ დასცქერდა ქუთაისს, უხმოდ მეტყველებდა:

— მოუარეთ საქართველოს!

და ზოგჯერ ქუჩაში შესაძლოა წინ გადაგღობებოდა სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ეთქვა:

— მოუარეთ საქართველოს!

და ღამის წყვდიადში ყურს რომ მოჰკრავდი მდინარეთა გალობა-სიმღერას — იწყებდა მკვირცხლი რიონი, შემოსძახებდა გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნებოდა დინჯი მტკვარი:

— მოუარეთ საქართველოს!

და კოკისპირული წვიმა რომ დაასხამდა, ნუთუ არ ჩაგესმოდათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა:

— მოუარეთ საქართველოს!

მოუარეთ,

მოუარეთ,

მოუარეთ საქართველოს!

ოთარ ჩხეიძე ზარის რეკვას რომ მიამსგავსებდა სტრიქონთა ამ ღელვას, ამ მძაფრ რიტმიკას, შორით შორამდე რომ გადაწვდებოდა, ისე დაწერილიყო, ისეთი საოცარი ხელოვნებით.

დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა მსმენელზე ოთარ ჩხეიძის ის გამოსვლა ოპერის თეატრის სცენაზე, და რა დამავიწყებს ნოდარ დუმბაძის აღტაცებას, შესვენებისას გულში რომ ჩაეკვროდა ოთარ ჩხეიძეს:

— ეს მინდოდა, აი ეს მინდოდა!..

ესეი მალევე გამოქვეყნდებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, შემდგომ მწერლის ლიტერატურული წერილების წიგნშიც რომ შევიდოდა: „რკალი“ — და მკითხველის თვალთახედვაში კიდეც სამუდამოდ გადაეჯაჭვებოდა ნიკო ლორთქიფანიძის ანდერძს ოთარ ჩხეიძის სახელი, მის ანდერძადაც რომ აღიქვამდნენ.

სწორედ ამ განწყობილებას შემოინახავდა მურად მთვარელიძის ეს ლექსი.

ამავე ლირიკულ რკალში ჩემთანაც უნდა იყოს ფარული, თუმც საკმაოდ გამჭვირვალე შემოხმიანება ლექსით: „ქალდეას ბინადარნი“ — ქალდეას მზეში გაჭრილი ულაყების ხილვით რომ დაიწყებოდა, უდაბნო და ნილოსიც რომ უნდა შემოცურებულიყო წარმოსახვაში, იქ კიდევ ბაბილონის ცეცხლოვანი კალთა და... კიდეც უნდა ეჩინა თავი ქართლის რიჟრაჟს, პრეისტორიას ისტორია რომ უნდა გადაბმოდა და მზეში გაჭრილი ულაყების განცდა ასე და მხოლოდ ასე შენარჩუნებულიყო, ღადარში გამოტარებული ღველფივით:

არმაზის სიზმრებს მზე ჩაეგება,
ოდეს ბრძანება ციდან გაიცა

და იბერიამ — მოსეს ედემმა —
ტანზე ბიბლიის კაბა ჩაიცვა...

ქალდეათი გაითანგებოდა გრიგოლ რობაქიძისაგან შთაგონებული ტიციან ტაბიძე, ამ ფესვებისაკენ რომ წაესწრაფებოდა მიხაკო წერეთლისა თუ რევაზ გაბაშვილის მზერაც, ივანე ჯავახიშვილისაც და პავლე ინგოროყვასიც, მიხეილ ჯავახიშვილისაც და ოთარ ჩხეიძისაც, ლევან გოთუასიც და გიორგი ლეონიძისაც, ანა კალანდიძისაც და ზვიად გამსახურდიასიც... ივლიდა, ივლიდა ეს სწრაფვა და ხილვა და ჩემამდეც მოატანდა, ქალდეური სულით შთაგონებული წარმოსახვანი „ქალდეას მონატრებად“ რომ გარდაისახებოდა, რომელიც საბოლოოდ ტეტრალოგიის ნაწილად უნდა ქცეულიყო, ხელმეორე გამოცემისას მურად მთვარელიძის ლექსიც რომ იპოვნის მის ფურცლებზე შესაფერის ადგილს, როგორც დამადასტურებელი ამ სწრაფვის უწყვეტობისას შორით შორეული სამყაროსაკენ, ყველა ხილვა, ყველა სწრაფვა, ყველა ნატვრა ამ ანდერძში რომ ერთიანდება:

— მოუარეთ საქართველოს!

გესმით მყინვარის, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების, მდინარეთა სიმღერა-გალობა?!.

კოკისპირული წვიმის ყოველი წვეთის გაუთავებელი, გაბმული ძახილი გესმით?!.

— მოუარეთ საქართველოს!

მოუარეთ,

მოუარეთ,

მოუარეთ საქართველოს!

მოლეკულათა სამყარო და მათი მიწდია

(„ქიმიური რე-აქციები“ ნოველების ასხმულად)

ამ ყაიდის წიგნები ჰაერივით გვესაჭიროება.

რა ყაიდისა და...

თუმც მანამდე:

ერთ-ერთ საპროგრამო ესეიში — „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება — ტომას სტერნზ ელიოტი როდესაც პოეტს მოიხსენიებდა მედიუმად, რომელშიც თავისუფლდებიან განსხვავებული და განსაკუთრებული გრძნობები, რათა ახლებურად შეერწყან ერთმანეთს, შედარებისათვის კატალიზატორს მოიხმობდა:

როცა ჟანგბადი და გოგირდი ერთმანეთს შეერევა კოლბაში, იქვე პლატინის ნაჭერიც რომ არის, გოგირდმჟავა წარმოიშობა, ეს მოქმედება კი მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა პლატინაა იქვე; მიუხედავად ამისა, ახალშექმნილ მჟავას პლატინის კვალი არ ატყვია და თვით პლატინაც ხელუხლებელი რჩება — ძველებურად უმოძრაო, განურჩეველი და უცვლელიო.

და ელიოტისათვის პოეტის გონება სწორედაც რომ პლატინის ნაჭერს ემსგავსებოდა.

მას შესაძლოა ნაწილობრივ ან განსაკუთრებულად ემოქმედა ადამიანის გამოცდილებაზე, მაგრამ უფრო მეტად იმოქმედებდა ხელოვანზე, რადგანაც ხელოვანში მეტი სისავსით იკვეთება კაცი ტანჯული და შემოქმედი. და ამიტომაც მისი გონება მეტი სისრულით გადახარშავდა და აწესრიგებდა მისივე ვნებებს.

მსჯელობა ამგვარად გრძელდებდა, რომ:

გამოცდილება — ელემენტები, რომლებიც გარდამქმნელ კატალიზატორში შედიოდა — ორგვარი გახლდათ: გრძნობა და ემოცია.

და შემდგომაც ესეის ფონად გამოჰყვებოდა ქიმიური რეაქცია, რაც ასერიგად დაესაჭიროებინა პოეტსა და ლიტერატურის კრიტიკოსს მეტად მნიშვნელოვანი შეხედულების რაც შეიძლება კანთიელად გათვალსაჩინოებისათვის.

მრავლისმეტყველია ქიმიური რეაქციის გამოჩენა ესეისტიკის ამ შედევრულ ნიმუშში, ასე მარჯვედ ჩართვა მსჯელობის გასაღრმავებლად, და ამასთან ხელშესახებ დასტურად, რომ ლიტერატურისაგან გარეგნულად დაშორებული მეცნიერული დარგი თურმე შეიძლებოდა ასე მორგებოდა პოეტური ნატურის დახასიათებას, მის მედიუმობას...

და ტომას ელიოტის ესეის ამ მონაკვეთმა როგორ არ დაგაფიქროს, ქიმიური რეაქციებისათვის ლიტერატურული ფონისა და მეტიც — ფორმის მონახვა ზოგჯერ საუკეთესო გზა რომ შეიძლება გამოდგეს მკითხველის მისაზიდად იმ სამყაროში, რომელიც თითქოსდა მხოლოდ მეცნიერთათვისაა შესაცნობიც და მისაწვდომიც.

ამ ყაიდის წიგნიც უნდა მოსინჯულიყო ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში და წარმატებითაც მოსინჯულიყო, ლიტერატურისა და ქიმიის შერწყმის სახიერ და ჩინებულ ნიმუშად: ელიზბარ ელიზბარაშვილის „ქიმიური რე-აქციები“ („ინტელექტი“, 2020) — რომლის წინათქმაშიც ავტორი ხელოვნებას იმაზე მრავალფეროვნად მოიხსენიებდა, ვიდრე ტრადიციულად მივიჩნევდით, რადგანაც საათი, ძრავა თუ რაკეტა ზოგჯერ ხელოვნების ისეთივე ნიმუში გახლდათ, როგორიც ფერწერული ტილო თუ მუსიკალური სონატა...

აბა კარგად დავკვირვებოდით საათს:

მის ერთიციდა მექანიზმშიც რაოდენი სიმეტრია, რიტმი და თვით რითმაც იჩენდა თავს.

თაფლი თუ გვიყვარდა, სკაშიც უნდა ჩაგვეხედა და ფუტკრების ცხოვრებასაც გავცნობოდით.

და თუ სამყარო გვიყვარდა:

დაე გაგვეთვალისწინებინა ავტორის რჩევა და მოლეკულების ცხოვრებაზეც გვქონოდა წარმოდგენა, მათი იდუმალი მეტყველებისათვის მიგვეგდო ყური.

კი მაგრამ... მათი ენა რომ არ გაგვეგება?

ელიზბარ ელიზბარაშვილს ამიტომაც გადაეწყვიტა შუამავლობა, მათი დარდისა თუ სიხარულის ადამიანურ ენაზე თარგმნა და მკითხველთა ყველა წრისათვის გაცნობა.

ფუტკრების ცხოვრებას სასხვათაშორისოდ კი არ ახსენებდა, არამედ იგულისხმებდა მორის მეტერლინკის მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს, რომანივით საკითხავად რომ ექცია ეს მომხიბლავი სამყარო, დიდებული მონუმენტი აეგო ფუტკრებისათვის, მათი ცივილიზაცია ადამიანურ ენაზე რომ ეთარგმნა, როგორც ფუტკრების მინდიას.

ეს უჩვეულო წიგნი ქართულ ენობრივ სივრცეშიც შემოაღწევდა დავით აკრიანის მეოხებით, თუმც აქაც უნდა დახვედროდა ფუტკრების ქართველი მინდიას წიგნი: აპოლონ წულაძის „მეფუტკრეობა" — რომელიც, განსხვავებით მეტერლიკის თხზულებისაგან, სახელმძღვანელოდ განსაზღვრულიყო და არა მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებად, სახელწოდებაც ამას რომ ადასტურებს, მაგრამ ისეთი სტილური ხელოვნებით დაიწერებოდა, გარდა შინაარსობრივი სიღრმისა და ნიუანსობრიობისა, ისიც რომანივით საკითხავი იქნებოდა; და ერთხელ კიდევ დაგვაფიქრებდა, რომ სახელმძღვანელო სწორედ ასე უნდა იწერებოდეს — ამგვარი სილაღითა და მახვილგონიერებით, ამგვარი ექსპრესიითა და გულშიჩამწვდომობით, ჟან-ჟაკ რუსოს ბავშვის აღზრდის სახელმძღვანელოსი არ იყოს: „ემილი" — რომანისაგან რომ არც გაგვერჩევა თხრობის მომხიბვლელობის წყალობით.

ამ თვალთახედვით:

თუკი ასტრონომიის სახელმძღვანელოს შექმნა გვწადია, უსათუოდ ამ სულისკვეთებით უნდა აიგოს, ყმაწვილმა მზე დედად განიცადოს, მთვარე — მამად, ვარსკვლავები კი — დაძმად. და სახელმძღვანელოს ავტორი მინდიასაგან აღარც განერჩეოდეს.

და ქიმიის სახელმძღვანელოც მხოლოდ ასე თუ მიაღწევს ყმაწვილებისა და საერთოდაც ყველა თაობისა და ფენის მკითხველის გულსა და გონებამდე, ავტორი მინდიად მოვლენოდეს, მოლეკულების მინდიად, ამ მომხიბლავი და გრანდიო-

ზული სამყაროსი, რომელშიც მოლეკულები ბავშვებივით ხტიან და ლაღობენ, ერთმანეთს აწყდებიან და თამაშითაც არ იღლებიან.

თამაშის ესთეტიკას ადამიანურ ყოფას რომ მოარგებდნენ და კულტურის განუყოფელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილად აღიარებდნენ, აგერ რარიგ თვალნათლივ დასტურდებოდა ეს ესთეტიკა მოლეკულების ბიოგრაფიაშიც, ხოლო რაკიღა ბავშვობის ხანა ერგუნებოდათ, მაშ დაბადებითაც უნდა დაბადებულიყვნენ და გარდაცვალებითაც გარდაცვლილიყვნენ, ფერისცვალება მათი თანდაყოლილი თვისებაც ყოფილიყო და... არც შარავანდი მოჰკლებოდათ, მათი ნათებაც სახილველი რომ შეიქნებოდა.

ის კი არა, პრინციპი: დაყავი და იბატონე, — თურმე მოლეკულათა სამყაროშიც ისევე ჭრის, როგორც ჩვენს აჭრელებულ პოლიტიკურ რუკაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილს არ ეეჭვებოდა საიდუმლო ენის არსებობა უასაკოთა და უსულოთა შორის.

არც ვაჟა-ფშაველას ეეჭვებოდა.

და მათ კვალზე იწამებდა ელიზბარ ელიზბარაშვილი მოლეკულათა სამყაროს საიდუმლო ენის არსებობას, კიდეც გაერკვეოდა ამ მეტყველების კანონებსა და გრამატიკაში და კიდეც მოიტანდა ჩვენამდე „ქიმიური რე-აქციებით", ნოველების ასხმულად რომ წარმოგვიდგება, ჟანრობრივად ასეც რომ შეიძლება განისაზღვროს: ნოველების ციკლი; და ასეც: რომანი ნოველებად.

და წარმოგვიდგეს ქიმიური სამყაროს „ჩემი სოფლის ეტიუდებად" (ოთარ ჩხეიძე).

ქიმიური სამყაროს „ნატვრის ხედ" (გიორგი ლეონიძე).

ამ რჩევასაც გაგვიზიარებდა ავტორი:

თუ გვსურდა პარტიტურის კითხვისას მუსიკის მთელ ხმოვანებას ჩავწვდომოდით, ნოტად გამოსახული თვითეული ბგერის მიღმა დირიჟორის ხელის მოძრაობაც უნდა წარმოგვედგინა, და ასევე ქიმიაშიც: ფურცელზე „ნოტებად" — ქიმიურ სიმბოლოებად — ჩაწერილი თვითეული რეაქციის მიღმა ქიმიკოს-ექსპერიმენტატორის ხელის მოძრაობაც უნდა დაგვენახა.

ამ ამონარიდს, როგორც ერთ-ერთ გზისგამკვალავ თეზისს, საგანგებოდ მოიხმობდა რედაქტორის წინასიტყვაში ნატო ინგოროყვა, ქიმიისა და ლიტერატურის შეწყვილებად რომ მოიხსენიებდა ამ წიგნს, საუკეთესო ადგილად ანალიზისათვის, ფიქრისათვის, სინანულისათვის, იმედისათვის, წარსულის გაცოცხლებისათვის, თავის დროზე ვერდანახულის დანახვისათვის, მაღლა ახედვისათვის, წელში გამართვისათვის, სხვისთვის თვალებში ჩახედვისათვის, ახალი სიტყვის თქმისათვის, ძველი სიტყვის გაცოცხლებისათვის, შეცდომის აღიარებისათვის, თავმდაბლობისა და შიშების დაძლევისათვის.

რომელი შიშებისა და:

ჩვენი მუდმივი თანამგზავრი რომ არის და თავისუფლების გზაზე დაბადებიდან სიკვდილამდე თან გვდევს.

თუნდ შიში გენმოდიფიცირებული პროდუქტებისადმი, დაუსრულებელი ლაპარაკი მის საშინელებაზე, და... რა გვიქმნის შიშის საფუძველს? რეალურად — არაფერი, უბრალოდ თვალით არ გვინახავს და მონსტრად წარმოგვიდგენია.

პარალელურად და ფონად ამ მიმართულებით დაკვირვებებისა ავტორს უნდა გამოეყენებინა ვაჟა-ფშაველას მართლაც ძალზე ლამაზი, სევდანარევღიმილიანი პიესა ხევსურთა ცხოვრებიდან: „ღამე მთაში" — სათიბში გასული ორი ხევსურის დიალოგში ზარბაზანიც და მეფე ნიკოლოზიც რაღაც უჩვეულო, არაბუნებრივი სიმაღლისებად რომ წარმოდგებიან.

და ეს იმიტომ, რომ: თვალით არ უნახავთ და მხოლოდ სმენიათ, ორივენი დიდნი არიანო.

მოიხმობდა ავტორი რუსთველურ აფორიზმს: კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო, — და... მოხდენილად გადაინაცვლებდა მოქმედ მასათა კანონზე.

გაიხსენებდა ანდაზას: ყველა თავისას ჩიოდა, მენახირე — ბუზანკალსაო, — და... ამ შემთხვევაში თავს მენახირეს გაუიგივებდა, ხოლო ბუზანკალს — ქიმიის ლაბორატორიებს, რომლებიც ბევრ სკოლაში ან არ არის, ანდა უფუნქციოდაა მიტოვებული. არადა ქიმიის სწავლება და... ულაბორატორიოდ?!.

სიტყვისათვის ავტორის გაფაქიზებული დამოკიდებულება თავს იჩენდა თუნდ იმ ნოველის იმ პასაჟში, ძველ, ფშაურ დია-

ლექტში დღემდე შემორჩენილ სიტყვას: „დაჟამკრება“ — ასერიგად რომ დაუკვირდებოდა და ჩაჰყვებოდა ძირისძირობამდე, საქონლისა და მოსავლის საიმედო დაბინავების აღმნიშვნელს, დაცულ კარს იქით შეკრება-განთავსებისა.

და მისი ანალიზის ფონზე უნდა ეცნობებინა მკითხველისათვის, რომ:

ასე, სიტყვებივით იბადებოდნენ ახალი მოლეკულებიც.

ქიმიკოს-ექსპერიმენტატორის ხელის მოძრაობაც უნდა დაგვენახაო...

და ხელის ამ მოძრაობას მითუფრო უნდა ეჩინა თავი ნოველებად აკინძული მოლეკულური სამყაროსათვის მზერის მიდევნებისას, თავდაპირველად ერთ-ერთი პერსონაჟის კვალობაზე ჩვენც რომ შეიძლებოდა გვეკითხა:

— ქიმიაში ამდენი ელემენტი რომ არსებობს, მათ შორის რაიმე წესრიგი არის? რატომ არ შედიან ერთმანეთთან რეაქციაში ყოველთვის? როგორ თანაარსებობენ? ერთმანეთს ეხებიან? შეხებას გრძნობენ თუ ვერა?

პასუხად რომ მოვისმენდით:

— ვერ გრძნობენ, საერთო ენას ვერ პოულობენ, კატალიზატორი სჭირდებათ.

— როგორ, მოლეკულები ადამიანებს ჰგვანან? — გავიოცებდით.

— უფრო სიყვარულს, — მოგვიგებდა ელიზბარ ელიზბარაშვილი და... კიდეც იმთავითვე ვიწამებდით მის მინდიაობას, უხილავი ნათების შარავანდით გაბრწყინებულის, თავის გამოცდილებაზე რომ მოურგია რიტორიკის ის წესი:

თუ გსურს მსმენელამდე მიიტანო შენი ნათქვამი, პირველი აუცილებელი პირობა ის არის, რომ აუდიტორიამ თავისიანად მიგიღოს, თორემ სხვაგვარად მთელი მონდომება ამაოდ ჩაგივლის.

ხოლო ეს კანონი მოლეკულათა იმპერიაშიც რომ მოქმედებს, ამის დასტურია, ქსოვილის უამრავი საღებარი ყველა ბოჭკოს რომ ვერ ღებავს, რადგანაც ქსოვილის შესაღებად აუცილებელი პირობაა საღებრისა და ბოჭკოს სტრუქტურათა მსგავსება. ბოჭკოს მოლეკულებმა თავისიანად უნდა აღიქვან

საღებრის მოლეკულა, თორემ სხვაგვარად არც გულის კარს გაუღებენ და არც თავიანთ სიღრმეში შეუშვებენ, ხოლო უამისოდ საღებარი პირველივე გარეცხვისას მოსცილდება ბოჭკოს ზედაპირს.

მოლეკულების ენის ცოდნას რომ ახსენებდა, ავტორი მათთან გასაუბრების პროცესს კლასში სიის ამოკითხვას შეადარებდა:

როგორც მოსწავლე ადასტურებს კლასში ყოფნას თავისი გვარის გაგონებისას, მოლეკულაში შემავალი ატომები და ფუნქციური ჯგუფებიც ასევე იქცევიან — თვითეულს ტალღის სხვადასხვა სიგრძე შეესაბამება და მხოლოდ მასზე რეაგირებს, ეს რეაგირება კი სპექტოგრამაზე პიკების სახით ჩაიწერებაო.

კალციუმის თავგადასავალი კი თურმე შეიძლებოდა შედარებოდა ბოჰემურ ცხოვრებასაც, რომლის მილმაც მისი სწრაფვა იმალებოდა განმარტოებისა და მშვიდი ყოფისაკენ.

ამ თავგადასავლის ერთ მონაკვეთსაც რომ დავუკვირდეთ: კალციუმის ჰიდროქსიდის ხსნარს.

კამკამად და წყალივით გამჭვირვალედ რომ წარმოგვიდგება, ჩვენი ცხოვრების ამ ელექსირისაგან განსხვავებით, ხელს თუ შევახებთ, სიმწვავეს ვიგრძნობთ, მაგრამ თუკი სულს შთავბერავთ — ანუ მასში მილს ჩავუშვებთ და ჩავბერავთ — ხსნარი უმალ აიმღვრევა და გამჭვირვალებასა და სისპეტაკეს დაჰკარგავს...

მერე კი ცხოვრების ქარტეხილებისაგან დაქანცულმა კალციუმმა კარბონატის — ანუ ცარცის — სახით მშვიდი განსასვენებელი უნდა ჰპოვოს ჭურჭლის ფსკერზე, მის თავზე კი ცა გადაიწმინდოს და ჭურჭლის შიგთავსი კვლავ მთის წყაროსათვის კამკამა და უწყინარი გახდეს.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ღირდეს კიდეც სიცოცხლის ისე დასრულება, როგორც კალციუმი ასრულებს ამ გარდაქმნების შემდეგო, — ამ მოხდენილი აკორდით უნდა დაგვირგვინებულიყო ეს ბობოქარი თავგადასავალი, — იქცე ცარცად, რომელსაც ოდესმე ხელში აიღებენ, დაფაზე ასოებსა და ციფრებს გამოსახავენ და შენით ვინმეს რაიმეს ასწავლიანო...

* * *

როგორ აეხსნა, რას ნიშნავს პოეტი-მედიუმი, რას შევადარო პოეტის გონება, თვალსაჩინოდ როგორ წარმოვუდგინო მკითხველსო? — საგონებელში რომ ჩავარდებოდა ტომას სტერნზ ელიოტი, ყველაზე მარჯვე გზაბილიკად გამოძებნიდა კატალიზატორსა და ქიმიურ რეაქციას.

კატალიზატორი უნდა გამოდგომოდა ელიზბარ ელიზბარაშვილსაც მოლეკულათა სამყაროს არსის გადმოსაშლელად, ამ არსის საყრდენად და საფუძვლად სიყვარულს რომ აღიარებდა და ასე მოგვასმენინებდა ამ უჩინარი და გრანდიოზული სამყაროს იდუმალმეტყველებასაც მინდიასებური მადლითა და შარავანდით.

წარუვალობა წარმავალისა

(დებიუტი ოკეანის გაღმიდან)

ჩაამთავრებ მაია ციციშვილის ნოველების კრებულს: „ათას ერთი დილიდან“ (“ინტელექტი“, 2021) — და გრძნობ, თურმე რარიგ აკლდა ეს წიგნი ჩვენს ლიტერატურულ მდინარებას, გადაფენილს უსაზღვროებაში, თანადროულობამ რაც მოიტანა, ძალიან რომ მიმოიფანტებოდნენ ჩვენი მწერლები საქართველოს საზღვრებს გარეთ — დროებით, ხანგრძლივ თუ სამუდამო ემიგრაციაში, უფრო პოეზიად რომ აქცევდნენ ადრეულ თუ თვალწინ დატრიალებულ შთაბეჭდილებებს, ერთიერთმანეთში გადახლართულსა და შენივთებულს.

მთავარია, რომ:

ენობრივად არ მოწყდებოდნენ აქაურობას, და ქართული მეტყველება შეუნარჩუნებდათ სულიერ ხიდს სიზმრებში ჩაძირულ სამშობლოსთან.

ერთიმეორეს მოჰყვებოდა ლირიკული კრებული თუ კრებულებად გასამზადებელი პოეტური ციკლები, ამოხეთქილი თუ გულში ჩაბრუნებული ტკივილებით გაჟღენთილი... მაგრამ თავისას ითხოვდა ემიგრანტული პროზა, როგორც განუყოფელი ნაწილი ქართული მხატვრული სამყაროს მდინარებისა, მაია ციციშვილს ეს მისია რომ უნდა ედო თავს და „ათას ერთი დილიდან“ შემოეშუქებინა იმ სულიერი სიღრმითა და სიფაქიზით და იმ ენობრივი დახვეწილობით, მცირე კრებული ერთბაშად რომ უნდა ქცეულიყო მრავლისმეტყველ პანორამად და ისეთი დეტალები და ნიუანსები ემცნო ჩვენთვის ოკეანისგაღმა სინამდვილისა, რასაც ქართველი თუ დაინახავდა და კიდეც აღბეჭდავდა მწერლური ხელოვნებით, და აქაურ ყოფასაც ისე შემოინახავდა მეხსიერების უშორეს კუნჭულებში, იმ ფონზე ცო-

ტა განსხვავებულად რომ წარმოგვიდგება, ვიდრე აქ შევჩვეულვართ და ეგებ ველარც ვამჩნევთ.

ფონი დოკუმენტურია და ავტორი არც შეეცდებოდა შეფარვასა თუ გადაკეთებას — დაე ყოველივე ყოფილიყო ისე, როგორც რეალობაში გახლდათ, დარწმუნებული, რომ თხრობა გაერიდებოდა და შორსაც გაერიდებოდა დღიურის ფარგლებს და სრულფასოვან პროზად წარმოდგებოდა.

ამიტომაც არ გაეკარებოდა თხრობას ჟურნალიზმის ნასახიც.

და დღიურის ფორმა მხოლოდღა მხატვრული ხერხი იქნებოდა შთაბეჭდილებათა იმ რკალისა, რომლის გვირგვინიც ეს მოთხრობაა: „ნიუ-ორლეანი, ნიღბების ქალაქი" — საიდანაც იტოტება ყველა სურათი და განწყობილება, უმთავრესად ვაშინგტონური, თუმც ტორონტოსეული დღეებიც თვალნათლივ უნდა არეკლილიყო.

გარეკანიც რა ზუსტი და მოხდენილი შეირჩეოდა:

თუ რაიმე დაამშვენებდა ამ წიგნს, ქეთევან შალამბერიძის ნახატი, ათას ერთი დილის შემონათებას რომ შეგაგრძნობინებს.

იმ სულიერი სიღრმითა და სიფაქიზით, იმ ენობრივი დახვეწილობითო...

"ეპიკურეს ბაღები" შეგვახსენებს ფსიქოლოგთა იმ მოსაზრებას, რომ:

ადამიანებმა შეიძლება ისეთი რამ გაიხსენონ, რაც სინამდვილეში არ შემთხვევიათ.

რათა დაერთოს, რომ:

ვიდრე ფსიქოლოგები ამას იკვლევენ და თავსაც იტეხენ, ქართველებმა კარგა ხანია ვიცით ამის შესახებ. და ამიტომაც სიტყვა „იგონებს" გახსენებასაც ნიშნავს და შიგადაშიგ რაღაცების გამოგონებასაც.

ამ პასაჟში გახსნილია „ათასი ერთი დილის" თხრობის უმთავრესი ნიშანიც და თავისებურებაც:

გახსენებასთან შეზავებული შიგადაშიგ გამოგონილი რაღაცები, იმ მომხიბლავ მთლიანობად რომ წარმოგვიდგება, მაია ციციშვილის კრებულს ერთბაშად რომ მოაქცევს ჩვენი სამ-

წერლო ცხოვრების შუაგულში — როგორც ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური, ისე პირწმინდად მხატვრული თვალსაზრისით.

"ეპიკურეს ბაღებში" კი — წიგნის გამხსნელ ნოველაში — უჩვეულო ძალით უნდა გაელვებულიყო კაფეში ნათქვამი ფრაზა:

— ჩვენთან გავაგრძელოთ, —

ავტორისათვის ძალზე მშობლიური რომ არის და მასზე ისე დამამშვიდებლად მოქმედებს, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყოს, რადგანაც მამას — სადაც უნდა ყოფილიყო და რა დროც უნდა ყოფილიყო —შინ უნდა დაემთავრებინა ქეიფი. ურთიერთობა არ ეთმობოდა, თორემ აღარც სმა ენდომებოდა და აღარც ჭამა. დედას კი ლამის ფობია შეეყრებოდა, ყველა კარიდან შემომავალი სტუმარი რომ ეჩვენებოდა და მუდმივ მოლოდინში ტუჩისა და ლოყების საცხს გვიან ღამემდე არ იშორებდა.

ეს ის ადამიანები არიან — ნათელა ღამბაშიძე და გიორგი ციციშვილი — რომელთა ნათელ ხსოვნასაც ეძღვნება წიგნი, სავსე იმ სისუფთავითა და იდუმალებით, იმ თაობას რომ მოჰქონდა ჩვენამდე და გვინარჩუნებდა კულტურისა და ტრადიციის უწყვეტობას; და გვიქმნიდა იმ პატარ-პატარა ოაზისებს ცხოვრებისეულ უდაბნოში, მაია ციციშვილი ტორონტოსა და ვაშინგტონშიც რომ იპოვნიდა ამგვარ ადგილებს ანუ თავისი სულიერებითა და დახვეწილობით განმსჭვალავდა, ეს ყოველივე ადრე თუ გვიან უსათუოდ რომ უნდა აღბეჭდილიყო ფურცელზეც და ემიგრანტული ყოფის კანთიელ და შთამბეჭდავ ანარეკლად გასიმბოლოვებულიყო.

გარეგნულად შინაგანი სიმბოლოები შესაძლოა ღიმილისა თუ ზოგჯერ სიბრალულის მომგვრელ დეკორაციებადაც გამოჩნდეს?

მაგრამ „სადღესასწაულო დეკორაციები" კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ:

ეს დეკორაციები შესაძლოა ძალიან დიდ საქმესაც აკეთებდეს: სახალისო და საზეიმო განწყობას ჰქმნიდეს, რადგანაც პატარა და უმნიშვნელო რაღაცებს ხშირად დიდი განსხვავება მოაქვს.

და გაცრეცილი მოსართავები მეპატრონისათვის შესაძლოა სულაც წლებთან დაუმორჩილებლობის სიმბოლოც იყოს, ახლის ის მძაფრი მოლოდინი, წლების სიმძიმე რომ ვეღარ მოგამწყვდევს წარსულის ცხრაკლიტულში.

სათაური „აი ია“ ვაშინგტონში შექმნილ ნოველას მაინც განსაკუთრებით ამშვენებს, უცხოელებმაც რომ უნდა შეიტყონ მათი ქართულის მასწავლებლისაგან, თუ რა არის ჩვენი სასკოლო წიგნის — „დედა-ენა“ — პირველი ფრაზა, ის უნიკალური მიგნება, პალინდრომი, ორივე მხრიდან ერთნაირად რომ იკითხება.

“მეხსიერების არქივიდან“ იმ სულიერი ჩაძიების პროცესია, ხსოვნიდან ამოტივტივებული ბავშვობისდროინდელი სურათი და განცდა ექიმთან ვიზიტისას იმ სიცხადითა და დეტალების სიზუსტით რომ უნდა გასაგნებულიყო, მწერალი იმ ურთულეს ყოფით რეალობასაც რომ უნდა დაკვირვებოდა:

ადამიანის გონებასა და შესაძლებლობებთან მაქსიმალურად დაახლოებული ხელოვნური ინტელექტის შექმნა კაცობრიობის არსებობას რა საფრთხეს უქადის და... მაინც სად შეიძლება გაივლოს ზღვარი?!.

საფრთხე, რასაც ტექნიკური ცივილიზაცია უქადის კაცობრიობას, შესაძლოა არიდებული იქნას იმ რწმენით, იმ ქრისტიანული იდეალით, რომ:

პასუხისმგებელნი მარტო ჩვენს ქმედებებზე კი არა, ფიქრებზეც ვიყოთ, — რა რწმენითაც ცდილობს ცხოვრებას „მარფის კანონის“ პერსონაჟი, რომლისთვისაც წიგნების მაღაზია მხოლოდ ბიზნესი კი არა, საოჯახო საცავიც არის, მოგონებათა საცავი, უხილავი ჯაჭვით გაბმული დიდი პაპის დროიდან დღემდე, რომლის გაწყვეტაც მისთვის წარსულისაგან მოგლეჯას ნიშნავს.

“მწვანე ქამარში“ ყმაწვილური წაკინკლავება და-ძმას შორის ღრმა განზოგადების საფუძველი უნდა გამხდარიყო მაია ციციშვილისათვის, იოსებ ბროდსკის სიტყვებსაც რომ შემოიშველებდა:

— საუკეთესო მდგომარეობაა, გქონდეს ამერიკული პასპორტი და რუსული კულტურა.

და დასძენდა:

კანადაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც საშუალებას გაძლევს, იცხოვრო, მიაღწიო წარმატებას ისე, რომ დარჩე შენი ეთნოსის, რელიგიისა და კულტურის ნაწილად, სუბკულტურად, რაც საერთო საზოგადოებრივ ფონს კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით, მის ნაწილად გვევლინება. ეს მარტო ძლიერ და სამართლიან ქვეყნებშია შესაძლებელიო.

მეტად ძვირფასი დაკვირვებაა, რაც კიდევ უფრო გაღრმავებულია იმ ნიუანსით, რომ:

ამერიკელთა, კანადელთა უმეტესობა თავაზიანია და პატივისცემითაა განმსჭვალული განსხვავებულ კულტურათა მიმართ. ეს იმდენად არაჩვეულებრივი შერწყმაა, რომ მისი ექსპორტი ურიგო არ იქნებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი „ცივილიზაციის ალტერნატიულ ქვეყნებში".

"რიზორიუსიც" და „სიცილის განრიგიც" იუმორისტული ყაიდის ნოველებია, მათთანვე რომ იჩენს სიახლოვეს ნოველაც „ფრთხილი ოპტიმიზმით", საერთოდ კი ავტორის ღიმილი შემოგანათებს სხვა ნოველებიდანაც, დრამატული განცდების შენელებას ამით რომ ცდილობს მწერალი, და კიდევ ქუჩის იმ პოლიფონიით, ასეთი სისავსით რომ უნდა შემოიჭრას იმ ნოველაში, რომლის სათაურიც კრებულის საერთო სახელწოდებადაც შეირჩეოდა: „ათას ერთი დილიდან" — შემოიჭრას და სიცოცხლის მარადისობაც ხელშესახებად შეგაგრძნობინოს, ცხოვრების ის განცდები და იმედები, რომელიც დაუსრულებლად უნდა გაგრძელდეს ჩვენთან ერთად, ჩვენს გარეშე და... კვლავ ჩვენთან ერთად.

შეხმიანება „ათას ერთ ღამესთან" — არაბულ ჯადოსნურ ზღაპრებთან — სწორედ ამ დაუსრულებლობას მიგვანიშნებს — მთავრდება ღამე და... კვლავაც გრძელდება, მთავრდება ცხოვრება და... კვლავაც გრძელდება, რადგანაც მოუწყინარია თხრობაში გადატანილი სიცოცხლის დაუმცხრალი წყურვილი, რომელიც გამორჩეული მხატვრული ძალით იჩენდა თავს მოთხრობაში „ნიუ-ორლეანი, ნიღბების ქალაქი".

ქალაქის საიდუმლო ხიბლი მიგნებულია და ის იმ ამბივალენტურობაშია, ნიუ-ორლეანს ერთი ფეხი წინ, მომავლისკენ

რომ აქვს გადადგმული, მეორე კი — ღრმად ფესვგადგმული წარსულში, თავის ისტორიაში.

მისისიპის ამ სანაპირო ქალაქს, თავისი სამხრეთული შარავანდით სათუთად რომ ინახავს ჯაზის, კარნავალების, ქუჩის ფესტივალების ქალაქის წოდებას, ის საზღვაო კატასტროფა უნდა დასტეხოდა თავს, ნამდვილი პროზაიკოსის ხელში იმ სურათებს ძალდაუტანებლად რომ უნდა მოეტანა სუნთქვა ბიბლიური თუ ანტიკური ქალაქების გაქრობისა, რეალისტურ თხრობაში უეცრად მისტიკურ მოლანდებასაც რომ უნდა გაეელვა... და გეგრძნო სულიერი ნათესაობა ამ მოთხრობისა ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ნოველასთან „ისევ ბაბილონი“, ქართულად ვალენტინა ტატიშვილს რომ უნდა აემეტყველებინა იმ ხელოვნებით, თითქოს ამერიკელ მწერალს ჩვენს მშობლიურ ენაზე დაეწეროს.

არა უშუალო ზეგავლენა, არამედ შინაგანი, იდუმალი კავშირია საცნაური ამ ორ ბელეტრისტულ ქმნილებას შორის:

წყურვილი ნამდვილი გრძნობებისა, იმისა, რაც წარუვალია და ვერავითარი კატასტროფა ვერ გააფერმკრთალებს, არამცთუ გააქარვოს.

ეს კარნავალი არ არის მხოლოდ ნიუორლეანური კარნავალი.

არც ეს ნიღბებია მხოლოდ ნიუორლეანური ნიღბები.

მთელი კაცობრიობა უნდა დატრიალდეს ამ ქალაქში კალეიდოსკოპური სისწრაფითა და ნრიულობით და გაგრძნობინოს, რომ:

ისევ შეიძლება ჩახვიდე ბაბილონში.

შეიძლება, რატომაც არა, როდესაც ასეთი საიმედო მეგზური გეგულება, მაია ციციშვილი როგორც წარმოგვიდგება ამ მომხიბლავი ნოველების კრებულით, ათას ერთი დილიდან კვლავაც რომ გვპირდება მზის ამონათებას.

და კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ და კიდევ ერთხელ განცდას წარმავალის წარუვალობისა...

პაპულია, აკადემია, მთაწმინდა

(რჩევა-განცხადება)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებას რომ გადაწყვეტდნენ, პირველი შემადგენლობის სიას გააცნობდნენ სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც ჩამონათვალში არაერთ პარტიულ ბოსსაც რომ აღმოაჩენდა, იკითხავდა:

— ჩემი ძმა პაპულია სად არის?

ვერ მიუხვდებოდნენ ირონიას და, შეწუხებულები, სასწრაფოდ დაფაცურდებოდნენ:

— სია ჯერ საბოლოოდ დაზუსტებული არ გახლავთ და ამხანაგ პაპულიასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ...

პაპულიასი რა გითხრათ, მაგრამ პაპულიებით კი გადაივსებოდა ჩვენი მეცნიერებათა აკადემია, პავლე ინგოროყვასათვის რომ არ მოინახებოდა ადგილი, და კიდევ არაერთი ღირსეული მოღვაწისათვის, თუმც ამჯერად სხვა რამ უფრო მაფიქრებს:

მთაწმინდის გადავსების პროცესს რომ შევყურებ, გულს მაკლია, რომ ჯერჯერობით პაპულია ორჯონიკიძის საფლავს ვერა ვხედავ.

თუმც სია ჯერ ბოლომდე არ არის დაზუსტებული და ნუ გამოვრიცხავთ, რომ იქ პაპულიას სამარეც ვიხილოთ...

ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, არ გამიკვირდება!..

აპოთეოზი სიკვდილ-სიცოცხლისა

(ნინო სადღობელაშვილის რომანი „დაბადების დღე“)

ის, რაც ტომას სტერნზ ელიოტისათვის მეტაფორა გახლდათ:

დაბადება რომ იმთავითვე გულისხმობს სიკვდილს და დასაწყისი დასასრულს მოასწავებს.

ნინო სადღობელაშვილისათვის სულაც რომანის კომპოზიციურ ქარგად უნდა ქცეულიყო: „დაბადების დღისა“ („ინტელექტი“, 2020) — დევნილთა დასახლების ყოფის ირგვლივ რომ იქსოვება, თუმც გარეგნულად მთელ გზას უნდა გაჰყვეს ზღვამდე მთავარ გმირებთან ერთად, იმ ტყუპ ძმებთან, წინაპრის სახელი — ალექსანდრე — ორად რომ გაყოფილა და ორივეს მორგებია: ალექსი და სანდრო, და სულიერი ჭიდილი და ბორგვა ამ „გაყოფაშიც“ თავისებურად არეკლილა.

„ბამბაზიის სამოთხის“ ავტორისაგან თემის შერჩევა არ გაუკვირდებოდა ნინო ვახანიას, რომლის ესეიც — „ეპიზოდები გამწარებული თაობის ცხოვრებიდან“ — ბოლოსიტყვაობად დაერთვის რომანს და ავტორს მოიხსენიებს იმ შემოქმედად, ვისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია ყოველი ცალკე, კერძო ადამიანი; და გლობალურ მოვლენებს — შესაბამისად — ცალკეულ პიროვნებათა სამზერიდან ჭვრეტს, უფრო სწორად, თვითეულ ინდივიდში ხედავს ერთიან საზოგადოებას.

ნინო სადღობელაშვილისათვის იმთავითვე ნიშანდობლივი გახლდათ ღრმა ფსიქოლოგიური ჩაღრმავება-ჩაკირკიტებანი, იდუმალი შრეების მოსახელთებლად სწრაფვა, და მითუმეტეს ეს ითქმის ამ ახალ რომანზე, რომელიც — მიუხედავად მომცრო აღნაგობისა — ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრგ-

ვარ განზომილებას უტრიალებს და დაუფარავი სიმართლითაც წარმოსახავს რღვევასა და მოუწყობლობას, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დასტეხია.

და დევნილთა დასახლებაც და მისი ბინადარნიც ერთგვარი მოდელია მთელი საზოგადოებისა, მისი სულიერი ტრაგიზმისა და სასოწარკვეთილების, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ შორიდან მოისმის ომის გუგუნი, თითქოს ყრუდ, თითქოს მინავლებულად, მაგრამ ფინალურმა სცენამ თავისი ღრმა ფსიქოლოგიზმით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მხატვრული დახვეწილობითა და სიმძაფრით ბოლომდე უნდა გააშიშვლოს დაკარგული ხეობის ტრაგედია, გადაჯაჭვული დაკარგული ზღვის ტრაგედიასთან, რომელიც წკვარამში ჩაფლული ზღვის სიმბოლიკით უნდა გაცხადდეს.

ტყუპების დაბადების დღე სიკვდილის დღედაც უნდა გარდაისახოს, წლების წინათ ტრაგიკულად აღსრულებული დის მოლანდება თავისებურ შარავანდად რომ უნდა დადგეს თითქოსდა მოულოდნელ, არადა ფილიგრანული მწერლური ტექნიკით შემზადებულ ფინალს.

ის, რაც გამოძიებისათვის თითქოსდა დაფარული უნდა დარჩეს, არადა მიკვლეულია გამომძიებლის მიერ მთავარი მოტივი ძმების საბედისწერო გადაწყვეტილებისა:

თვითმკვლელობამდე მიყვანა, რაც წვეთ-წვეთობით მზადდებოდა ტყუპებისათვის გაუცნობიერებლად.

დაბადება კი იმთავითვე რომ გულისხმობს სიკვდილს და დასაწყისი დასასრულს მოასწავებს, სიკვდილის აპოთეოზიც თავის მხრივ გულისხმობს დაბადებას და დასასრულიც მოასწავებს დასაწყისს.

ორი პოეტი – ორიოდ შტრიხით

(წინათქმის მაგიერ)

ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემათა ციკლში ერთ-ერთი გამორჩეული იქნებოდა „ბენეფისი“, რომელსაც მაკა ჯიბლაძე ხელმძღვანელობდა, და ისეთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი შინაარსით დაგვამახსოვრებდა თავს თვითეული გადაცემა, დროს რომ უძლებს და შემდგომშიც ძალიან შეიძლება გამოგადგეს — ფრაგმენტულად თუ სრული სახით.

გადაცემა პირობითად ორ ნაწილად იყოფოდა:

პირველი ნაწილი წარმოადგენდა ამათუიმ თვალსაჩინო მწერლისა თუ ხელოვანის მონოლოგს.

მეორე ნაწილი კი — დიალოგს აუდიტორიასთან, რომლის მონაწილენიც ზოგი შეკითხვას უსვამდა სტუმარს, ზოგიც მოკლე თუ შედარებით ვრცელი შეფასებით გამოდიოდა.

ეს ყოველივე ისე აეწყობოდა ხოლმე, სპექტაკლისაგან არც განირჩეოდა.

ასეთივე სპექტაკლი იქნებოდა შეხვედრა გენო კალანდიასთან, რომელიც ისედაც არტისტული ბუნების პიროვნება გახლდათ და ერთ-ერთი საუკეთესო დეკლამატორიც პოეტთა შორის.

ამ შეხვედრაზე დასასწრებად მოვიდოდა მურმან ჯინორიაც, დაწერილს რომ მოიტანდა მცირე მისასალმებელ სიტყვას, არსებითად ესეის, იქვე რომ ავუწყობდით... თუმც ისე მოხდებოდა, რომ ცუდად იგრძნობდა თავს და თავყრილობას ვეღარ დაესწრებოდა.

ეს სიტყვა კი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ არქივში დარჩებოდა, რაკიღა მისი გამოცემა შეჩერებულიყო სამთავრობო ძალმომრეობის გამოისობით.

მურმანი ერთი საუკეთესო მკითხველიც გახლდათ მწერლებში და დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების პატრონიც, მის შეფასებას, პირად საუბარში ნათქვამსა თუ დაწერილს, ყველა გულდასმით რომ უგდებდა ყურს და ითვალისწინებდა მის ღრმა და მახვილგონივრულ დაკვირვებებსა თუ მოსაზრებებს.

თუ სადმე უყვარდა ყოფნა, „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მაინც გამორჩეულად, ხშირად რომ მოგვაკითხავდა ხოლმე სულიერად და მატერიალურად შეჭირვებული და სულს ჩვენთან ითქვამდა, გულნაკლული არასოდეს რომ არ გაბრუნებულა — რაც შეგვეძლო, მხარში ვედექით — არც ბეჭდვა მოჰკლებია ჟურნალის ფურცლებზე და არც მეგობრული თანადგომა.

მის პოეტურ კრებულებს მოგვიანებით პროზაც უნდა ამოდგომოდა გვერდით, თუმც ვერადავერ მოიცლიდა კრიტიკულ-ესეისტური თხზულებების თავმოსაყრელად და გამოსაცემად, ერთსა და ორ წიგნში რომ ვერც ჩაეტევა; და უსათუოდ საზრუნია ჩვენგან, იმ გამოცემას კი უსათუოდ დაამშვენებს ეს მცირე ესეიც — გენო კალანდიას პოეტური ნატურის ასე სახიერად წარმოჩენა.

ანთოლოგია – უკვდავების თავდებად

— შესანიშნავი ნოველაა, ზეპირი ნოველა, — წამოიძახებდა შორენა ლებანიძე, როდესაც ბექა ქურხული თავისი იდუმალებაში მიკარგული, სევდიანი, მელანქოლიური დედის პორტრეტის რამდენიმე საგულისხმო, კოლორიტულ შტრიხს წარმოსახავდა, იმ ლეილა ბეროშვილისა, რომლის წიგნის — „ცაზე მთვარე მიცურავდა“ — წარდგინებასაც გამართავდა „ინტელექტი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში; წიგნისა, რომელიც მოიცავს: ერთ მოთხრობას — „მარიამი“, ერთ ნოველას — „ლილი“ (საფუძვლად რომ დაედებოდა ერეკლე ბადურაშვილის დრამატიზმით აღსავსე ფილმს „თბილისი ჩემი სახლია“), ერთ კინოსცენარს, რომლის სათაურიც შეირჩეოდა კრებულის საერთო სახელწოდებად — „ცაზე მთვარე მიცურავდა“ და რომლის მიხედვითაც გადაიღებდა გიორგი შენგელაია კინოკომედიას „სიყვარული ყველას უნდა“, და მინიატურების მთელს ციკლს.

აქამდე „ინტელექტი“ დასტამბავდა ლეილა ბეროშვილის ჩანაწერების წიგნს „გამოზამთრება“, რომლის ერთ ნაწილსაც მკითხველი „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზეც გაეცნობოდა, თუმც გადაწყვეტილია მისი ხელმეორე გამოცემა ავტორის ლიტერატურულ წერილებთან ერთად.

და კიდეც ხელთ გვექნება ლეილა ბეროშვილის მთელი შემოქმედებითი ნაღვაწი, რაც მცირეა რაოდენობრივად, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით.

და ეს წიგნიც, სადაც პირველად მოიყარა თავი მწერლის ბელეტრისტულმა თხზულებებმა, წარმოდგება ცოცხალ და უშუალო მონაწილედ ჩვენი ლიტერატურული პროცესისა, კრიტი-

კისთვისაც მეტად ნოყიერ საზრდოდ, ამ მხრივ კარს რომ შეხსნიდა ნაირა გელაშვილი კრებულისათვის წამძღვარებული ესეით: „ადამიანად ყოფნის სევდაზე“ — თვალნათლივ რომ წარმოსახავს ლეილა ბეროშვილის პროზის თავისებურებას, სიღრმესა და სილამაზეს, ქალის ფსიქიკის ისეთ ჩაძიებულ და გაბედულ კვლევას, დიდი იშვიათობა რომ არის, მითუმეტეს — ასეთი მხატვრული შთამბეჭდაობით მოტანილი მკითხველამდე.

ესეის ავტორი შედარებისათვის მოიშველიებდა თვალსაჩინო სახელებსაც ჩვენი მწერლობისა, რათა ლეილა ბეროშვილის მხატვრული თავისებურებანი გამოეკვეთა:

მთავარ მოთხრობებში — „მარიამი“ და „ლილი“ — არსად იგრძნობა, ეს სოფელი რომელი ქვეყნის, მითუფრო — რომელი სახელმწიფოს სოფელია, რა წესწყობილებაა, რა ეპოქაა — განსხვავებით მაგალითად ოთარ ჩხეიძის მოთხრობებისაგან, სადაც მუდამ ჩანს საბჭოთა პერიოდია თუ პოსტსაბჭოთაო.

ანდა:

აქ დამსხვრეულია ყველა სტერეოტიპი, დამიწებულია სოფელთან დაკავშირებული ყოველგვარი რომანტიზმი და იდილია, რაც საბჭოთა ეპოქის ქართული ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი — სრული კონტრასტია ამ მხრივ მაგალითად რევაზ ინანიშვილისა თუ ნოდარ დუმბაძის ტექსტებთანო.

ამ გახსენებაზე:

ლეილა ბეროშვილს ლიტერატურაში რევაზ ინანიშვილი შემოუძღვებოდა — 1973 წლის მე-7 ნომერ „ცისკარში“ დაბეჭდილ მინიატურებს ამ ჩინებული მწერლის წინათქმა დაამშვენებდა, და კარგი იქნებოდა ამ გამოცემაში მინიატურების ციკლი ცალკე გამოყოფილიყო და ის მოკლე დალოცვაც განმეორებულიყო.

ხოლო ნაირა გელაშვილი იმ მხრივაც აღნიშნავდა ამ ნაწერების მნიშვნელობას, რომ:

ამბავი კი არ ითხრობა, არამედ იხატება, რასაც ახლავს ყველაზე გამოუთქმელი რამ: თავისი ატმოსფერო, — ძალიან იშვიათი და ძვირფასი მახასიათებელი პროზისა.

და დასძენდა იმ მთავარს, რომ:

ეს ამბავი, სხვის ხელში ბანალურობას რომ ვერ გასცდებოდა, ლეილა ბეროშვილის მკაცრ და მართალ ხელში ბიბლიური იგავის მნიშვნელობასა და შთამბეჭდაობას იძენს, და ბედისწერით დაღდასმული მისი პერსონაჟები არქეტიპულობის სიმაღლეს აღწევენ.

ბიბლიურ იგავებამდე აზიდვა თითქოსდა ბანალური სიუჟეტებისა ის უმაღლესი განსაზღვრება და შეფასებაა, რაც ცოტას თუ ეღირსება, მითუმეტეს, როდესაც ამას ამბობს თვითონ შესანიშნავი მწერალი, შიგნიდანაც რომ იცნობს ამ სტილისტიკას — არც ის გაურბის გარეგნულად ბანალურ სიუჟეტებს, და არ გაურბის მხატვრული ფორმის იმედად, კიდეც განსაკუთრებულ სიმაღლეს რომ აღწევს, ჩვენი თანამედროვე პროზის დამამშვენებელს.

შეხვედრას გაუძღვებოდა ზვიად კვარაცხელია, რომელიც არაერთ მადლობის სიტყვას მიიღებდა ამ წიგნის გამოცემისათვის.

სიტყვით გამოვიდოდა გიორგი ლობჟანიძე, ჩვეული ოსტატობით რომ გამოჰკვეთდა წიგნის რამდენიმე ღირსებას (საგანგებოდ მოიხსენიებდა კინოფილმში ლილის როლის ჩინებულად შემსრულებელს — ნინო ლეჟავას) და... სიამოვნებით დაველოდებით, ამ გამოსვლას საფუძვლად რომ დაუდებს თავის მომავალ ესეის, კიდევ ერთ შენაძენს ქართული სალიტერატურო კრიტიკისა.

მეც მომიწევდა გამოსვლა, რომელიც ამ თეზისის ირგვლივ უნდა დატრიალებულიყო, ვალერიან გაფრინდაშვილის სტრიქონს რომ შემოვიშველებდი: ანთოლოგია უკვდავების არის თავდებიო, — და შევეცდებოდი დამესაბუთებინა, რომ:

შეუძლებელია სრულფასოვანი იყოს ქართული მოთხრობების ანთოლოგია, ლეილა ბეროშვილის გნებავთ „მარიამისა“ და გნებავთ „ლილის“ გარეშე.

გამოვიდოდა მწერლის მეორე ვაჟიც — ლექსო ქურხული.

თუ ბექა აღიარებული პროზაიკოსია, რომლის მოთხრობებიც და რომანებიც უკვე გასცდა საქართველოს საზღვრებს, ლექსომ ეს-ეს არის წარმატებით მოსინჯა ეს სარბიელი და მოთხრობების კრებულის — „მეწამული პლანეტა მარსი“ —

გამოქვეყნების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღებითაც მივადევნებთ თვალს მის შემოქმედებით ზრდასაც.

წარდგინებამ თავისი როლი შეასრულა, ახლა კი უკვე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ უნდა გადმოიბაროს ლეილა ბეროშვილის ამ არაორდინარული წიგნის — „ცაზე მთვარე მიცურავდა“ — მეგზურობა მკითხველებისაკენ.

და გიორგი ლობჟანიძის თქმისა არ იყოს:

მოსალოდნელია ამ კრებულსაც ისევე მოჰყვეს სასიამოვნო ბუმი და აჟიოტაჟი, როგორც მოჰყვა ზაირა არსენიშვილის აღმოჩენას მასობრივი მკითხველის მიერ, თორემ მცირერიცხოვან ადამიანებს მაშინაც კარგად მოგვეხსენებოდა ქალბატონი ზაირას მოთხრობებისა და რომანების ნამდვილი ფასი.

ესეც „ცაზე მთვარე მიცურავდა“ და ესეც მკითხველი!..

ქარგა პოლემიკური, მრწამსი ერთიანი

(ანონსის მაგიერ)

„განთიადის“ მე-5-6 ნომერში მოთავდებოდა „ქართული ხასიათი იმერული ელფერი ან მიკარგული სათავე“, ნაგულისხმევი „ქალდეას მონატრების“ ერთ-ერთ თავადაც და საყრდენადაც, ეს მონაკვეთი იმით რომ დაიწყებოდა, აკაკი წერეთელს რომ ვერ წარმოედგინა ქართლელის აქტიორობა ყოველდღიურობაში, ნიშანდობლივი იმერელისათვის, არადა გურამ ასათიანი სცენაზე დგომის შეგრძნებას ქართველი კაცისა განაზოგადებდა და ეროვნულ თვისებად წარმოსახავდა.

და გულს გაკლდება, აკაკი წერეთლის „ხასიათები“ უნებლიეთ რომ გამორჩენოდა გურამ ასათიანს „სათავეების“ შექმნისას, თორემ მისი განსჯა ცოტა სხვაგვარი გეზით წარიმართებოდა და მეტ სიღრმესა და განზოგადებასაც შეიძენდა.

ხოლო აკაკი ჩვენი ეროვნული ხასიათის ფესვებისაკენ რომ გაიცქირებოდა, უპირველესად შოთა რუსთველის ეპოქაში შეეცდებოდა შეღწევას, იქ მოძებნას თანადროულ ფსიქოლოგიურ ყოფასთან შემაერთებელი ძაფებისა, რათა ამ მიგნებებით შეიარაღებული შეჰყოლოდა შორსა და შორს - იმ უძველეს გზაბილიკებს.

და ლექციების ციკლს რომ წაიკითხავდა „ვეფხისტყაოსანზე“ — ქართულადაც და რუსულადაც — მისთვის ეს იქნებოდა უშუალო გაგრძელება „ხასიათებისა“, თუმც ლექციებს გარეგნულად სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიენიჭებოდა.

მომავლის საქართველოს რომ გაჰყურებდა და ამაღლებული იდეალის აღსრულება იქ ეგულებოდა, ამ იდეალს XII საუკუ-

ნის საქართველოშიც თვალნათლივ ხედავდა, და იმჟამინდელი სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების სტილის ხელშესახებ დოკუმენტად „ვეფხისტყაოსანს" მოიმარჯვებდა.

და მისტიფიკაციად რომ მიიჩნევდა იმ რუსთველურ სტრიქონს: ესე ამბავი სპარსულიო, — „ვეფხისტყაოსანში" გამოხატული ქართული სინამდვილის დასტურად იმ გარემოებას მოიშველიებდა, რომ:

პოემაში გამოსახულიყო სამი ქართველი — საქართველოს სხვადასხვა მხარის სიმბოლოდ:

ტარიელი, როგორც ზარმაცი, ქართლელს გვისურათხატებდა.

ავთანდილი, როგორც წინდახედული და ცბიერი — იმერელს.

ფრიდონი კი — ზღვისპირა მცხოვრებს.

ქართულად რომ გამოთქვამდა ამ მოსაზრებებს, წაუყრუებდა ილია ჭავჭავაძე, მაგრამ რუსულად გამოსვლას კი კრიტიკულად გამოეხმაურებოდა, რაკიღა მოსალოდნელი გახლდათ, რომ აქედან უკვე სხვა ენებზეც გავრცელებულიყო, ამიტომაც აქედანვე უნდა ჩადგომოდა კვალში, რათა რუს და ევროპელ სწავლულებს სცოდნოდათ, რომ ეს პირადად აკაკი წერეთლის შეხედულებანი იყო და არა ქართველთა შორის უკვე გაზიარებული და აღიარებული მტკიცება.

ილია ამ შეხედულებებს დავიწროებად მიიჩნევდა „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სამყაროსი და შთამბეჭდაობისა და რუსთველის გმირებს — შექსპირის გმირებისა არ იყოს — საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებდა.

არც იმის თქმა გამორჩებოდა:

მთავარ დებულებაზე, როგორც აკიდოზე, ბევრი მართალი მარგალიტი აესხა ლექტორს გონებამახვილობისა და ლამაზი შედარებისა — ყველას მოეხსენებოდა აკაკის ბედნიერი ნიჭის ამბავი — მაგრამ...

მაგრამ ის, რომ:

თვითონ აკიდოს ღერო მეტისმეტად სუსტი გახლდათ და ზედ ასხმულ მარგალიტებს ზიდვით კი ზიდავდა, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას უკვე ვერ გაუძლებდა.

აკაკი არ გაიზიარებდა კრიტიკულ შენიშვნებს და თავის მტკიცებას რომ გააგრძელებდა, ახლა პოემის პერსონაჟ ქალებზეც გადაინაცვლებდა და შეუდგებოდა დასაბუთებას, რომ:

ნესტან-დარეჯანი ამერი გახლდათ თავისი პიროვნული თვისებეიბთ და თინათინი — იმერი.

ამ ფონზე გაიხსენებდა მოციქულთა სწორ წმინდა ნინოსაც, ნანა დედოფალსაც, თამარ მეფესაც, ქეთევან წამებულსაც და ცხრა ძმა ხერხეულიძის უსახელოდ გადაგებულ დედასაც...

და მწარედ და სინანულით დასძენდა, რომ:

ამჟამად, ზნეობის დაცემის ხანაში, ხასიათის სიმრუდე ქალებს კაცებზე ნაკლებ არ დაჩნეოდათ.

თუმც მომავლისათვის საიმედო ნიშნებს მაინც ქალებში უფრო დაინახავდა, ვიდრე კაცებში.

ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ კვლევას მოხდენილად უნდა შეზავებოდა პოლიტიკური პამფლეტის მძაფრი სულისკვეთება, აკაკი თავის წინასწარჭვრეტას რუსთველს რომ მიაწერდა, მის სახელს ამოეფარებოდა, მის სახელში გაასიმბოლოვებდა მეტი დამაჯერებლობისა და სულაც უეჭველობისათვის.

გარეგნულად არას დაუთმობდნენ ერთიმეორეს აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე.

ამიტომაც დაჩნევია მათ პოლემიკას საკმაოდ მწვავე იერი.

თუმც გულდასმით გარკვევა ამ პოლემიკაში, უფრო კი დისკუსიაში, დამარწმუნებდა, გარეგნული წინააღმდეგობის მიღმა სრული შეთანხმება რომ იფარებოდა და მათი შეხედულებანი კი არ ეჯახებიან ერთმანეთს, არამედ ავსებენ, არც ქართული სარჩული და ფესვები რომ არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა ამ უპირველესი ეროვნული ეპოსისა და არც მისი ზოგადკაცობრიული ბუნება და შინაარსი.

ცალმხრივი მოჩანდა აკაკის მტკიცება ილიას თვალთახედვით?

როდესაც მას ილიას პოლემიკურ თხზულებას ამოვუყენებთ გვერდით, უკვე აღარ გამოჩნდება ცალმხრივი, და ბუნებრივად რომ გადაეჯაჭვებიან ერთიმეორეს, წარმოგვიდგებიან ერთ ძარღვზე ამოშენებულ ორ კედლად, ილიას მეტაფორას თუ დავესესხებით:

ორ ღეროდ აკიდოსი.

და მაშ იმ აკიდოს ღეროც აღარ იქნებოდა სუსტი, რადგან მეორე ღეროც შემოეშველებოდა იმ ლექციების აუცილებელ, დამაგვირგვინებელ რგოლად.

და მარგალიტებს მარგალიტები მიემატებოდა და ლამაზ და გონებამახვილურ შედარებებს — არანაკლებ ლამაზი და გონებამახვილური შედარებანი!..

და ეს რეალობა უფრო კანთიელად გამოიკვეთება, თუკი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიურ ძიებებს ერთ წიგნად გამოვცემთ შესაფერისი კომენტარებითა და ექსკურსებით.

გარეგნულად — დავა-კამათი ქარგაზე აგებულს.

შინაგანი სულისკვეთებით კი — ერთი აზრითა და გრძნობით განმსჭვალულს.

დაე ასეთი წიგნიც გვქონდეს მრავალწლოვან ქართულ ლიტერატურაში — ასეთი ორიგინალური კომპოზიციური აღნაგობისა.

ნარკვევის ბოლოს კვლავ ქართველი კაცის აქტიორულ ბუნებას მივუბრუნდებოდი, გამუდმებით სცენაზე რომ გრძნობს თავს, და ძალდაუტანებლად ამოჩნდებოდნენ დავით კლდიაშვილისა თუ კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟებიც, თუმც ამ ყოველივეს შეგიძლიათ „განთიადის“ ფურცლებზე მიადევნოთ თვალი, ვიდრე „ქალდეას მონატრების“ სიუჟეტურ მდინარებაში იხილავდეთ.

უშიშრად – საკუთარი სულის წიაღში

(დღიურის ფურცლებიდან)

რომანის სათაური — "მარტის რამდენიმე თვე" — მოულოდნელიცაა და ერთგვარად ექსცენტრულიც.

და ამ სახელწოდების ეპიკური თხზულება უნდა შემოეთავაზებინა ნინა გომართელს თავის ლიტერატურულ დებიუტად.

მხარში კი ამოსდგომოდა "ინტელექტი", რომელსაც ახალი სახელების შემოყვანა მწერლობაში თავის ერთ უმთავრეს მოვალეობად მიაჩნია, და არამარტო რომანისტებისა — პოეტებისაც, დრამატურგებისაც, კრიტიკოსებისაც, მთარგმნელებისაც.

გაეცნობი ამ რომანს და აღმოჩნდება, რომ თურმე არავითარი ექსცენტრიკაც არ ყოფილა სათაურში — მარტი ქალის სახელია, და მაშ მისი ცხოვრების რამდენიმე თვისებისთვის თვალის მიდევნება ჩვეულებრივი რამ არის.

თუმც ვიდრე რომანს წაიკითხავდე, სახელწოდება სწორედაც რომ ექსცენტრულობით შემოგეფეთება და... გათელილიც ამაზეა.

ზვიად კვარაცხელია, რომელიც გაუძღვებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გამართულ წარდგინებას, უპირველესად აღნიშნავდა, რომ:

ნინა გომართელს ახალი თაობის სათქმელი მოჰქონდა, ის სიახლე, რითაც აღბეჭდილა მათი ცხოვრება და შესაფერისი მხატვრული გააზრებაც უნდა მოჰყოლოდა.

ნინო კასრაძე, რომელიც არანაკლებ ამშვენებს ლიტერატურულ თავყრილობებს, ვიდრე თეატრალურ სცენას, თავის გამოსვლას იმით დაიწყებდა, რომ:

წიგნის წარდგინება რამდენჯერმე გადაიდებოად და... ეს კარგიც აღმოჩნდებოდა პირადად მისთვის, რადგანაც მანამდე სათქმელი ბოლომდე ვერ ჩამოეყალიბებინა, ახლა კი 5 და 6 ივლისის საზოგადოებრივმა მოვლენებმა კიდევ უფრო ღრმად ჩაახედა მთავარი გმირის — მარგოს — ხასიათშიც და რომანის თავისებურებაშიც, და კიდევ უფრო კანთიელად დაინახა ახალგაზრდა ქალის შინაგანი სამყარო, ის თვითრეფლექსია, ის დაუმცხრალი სულიერი ძიება, რითაც აღვსილია თხრობა — სწორედ ეს ძიება რომ არის უმთავრესი და არა რაღაც ჭეშმარიტებისმაგვარის მიგნება.

დაინახავდა რომანის სცენურ ბუნებასაც, იმ შინაგან აღნაგობას, სცენარსაც რომ მოაგონებდა, და მიიჩნევდა, რომ:

დიდი რამ გადამუშავება არ დასჭირდება, ეს პერსონაჟები სცენაზე რომ გაცოცხლდნენ და მაყურებელიც ისევე გაიტაცონ, როგორც მკითხველი.

მის სცენურ გადაწყვეტას ძალიან წაადგებოდა ტემპი თხრობისა — ერთ უმთავრეს ღირსებად რომ მოიხსენიებდა "მარტის რამდენიმე თვისა" — და იუმორი, რის ნიმუშადაც ჩვეული ხელოვნებით წაიკითხავდა ფრაგმენტს რომანიდან.

მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებასაც:

წიგნი რომ არ აზუსტებდა ქვეყანას, სადაც მოქმედება ხდებოდა, მაგრამ თანდათან შემოდიოდა ისეთი კონკრეტული რეალიები, ძნელი ამოსაცნობი რომ აღარ იქნებოდა მკითხველისათვის მოქმედების ადგილი.

ნინო კასრაძე ერთ საუკეთესო მკითხველად და ლიტერატურის პოპულარიზატორად ისედაც წარმოგვიდგება, იმ საღამოს კი ისეთი პროფესიული სიღრმითა და დახვეწილობით წარმოაჩენდა რომანის უმთავრეს ღირსებებსა და თავისებურებებს, ძალაუნებურად გავიფიქრებდი:

ჩამომართვა ხელობა და ეგ არის-მეთქი!..

რომანის ერთ მონაკვეთს დეკლამატორული ოსტატობით წარმოგვიდგენდა ნინო გომართელი — ლიტერატურის კიდევ ერთი პოპულარიზატორი და დებიუტანტი მწერლის მამიდა, მის წაკითხული ეპიზოდი ძმისშვილს რომ ათქმევინებდა:

ასე მეგონა, უკვე სცენაზე შევყურებდი ჩემს პერსონაჟებსო.

სცენას ახსენებდა თავის გამოსვლაში მხატვარი გელა პატიაშვილიც:

კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს თეატრში მოხვდით და უჩვეულო დეკორაციას შეჰყურებთო.

და ეს ხომ არ ნიშნავს, რომ "მარტის რამდენიმე თვე" თეატრშიც გამოჩნდება?!.

ყურადღებას გაამახვილებდა რომანის ალეგორიულ პასაჟებზეც და აღნიშნავდა, როგორ ნელა და დაგემოვნებით ეცნობოდა რომანს, თხრობის დინამიზმითა და მთავარი გმირის თვითჩაძიებით მოხიბლული.

შეხვედრის ბოლოს ნინა გომართელი დიდ მადლიერებას რომ გამოთქვამდა "ინტელექტისადმი" ასეთი თანადგომისათვის, საგანგებოდ მოიხსენიებდა მოლოდინის მძაფრ განცდას, რითაც განმსჭვალულია ფინალი.

და დასძენდა, რომ:

უკვე სულ სხვა თემები იტაცებს და ახალი რომანი, რომელიც დაწყებული აქვს, თემატურადაც სიახლე იქნება.

ამ არაორდინარულმა წიგნმა ერთხელ კიდევ უნდა დაგვაფიქროს იმ თაობაზე, რომელსაც ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა წარმოგვიდგენს ასე თამამად, ასე უშიშრად და შეუპოვრად — გარეგნული ექსცენტრულობითა და ღრმა ფიქრებით, ტკივილებით, მისწრაფებებით, "მარტის რამდენიმე თვე" რისი თვალნათლივი დასტურიცაა.

ლიტერატურული კულუარებიდან
ავანსცენაზე

(ვასილ ბესელიას პოეტური მადლი)

ვასილ ბესელიას პოეზიის მხატვრული ძალა და უჩვეულო ხიბლი საკმაოდ მოგვიანებით უნდა აღმომეჩინა და მივმხვდარიყავი, რომ:

დიდ ქალაქურ ყოფას გარიდებული ამ სენაკელი კაცის გარეშე წარმოუდგენელი გახლდათ ჩვენი ლიტერატურის მდინარება, თითქოსდა კულუარებში მყოფი პოეტი ავანსცენაზე უნდა გვეგულისხმა, თუკი მართლაც ვაფასებთ იმ სულიერ ღირებულებებს, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საერთოდაც და მითუმეტეს ჩვენთვის — როდესაც საპოვნელი გაგვხდომია ჩვენი თავი და დასადგენი და განსასაზღვრი ჩვენი ადგილი საკაცობრიო ოჯახში.

ანუ:

ჩვენ კი არ მივილტვოდეთ მხოლოდ დასავლეთისაკენ, არამედ დასავლეთს უკვე აღარ გაეძლებოდეს უჩვენოდ.

და ასეთ დროს როგორი სიმხნევით გავსებს ყოველი მადლიანი სიტყვა, ყოველი შთამბეჭდავი სტრიქონი, ყოველი ღრმა და გონებამახვილური აზრი.

სად გვყავს დასაკარგი შემოქმედები!..

ვასილ ბესელია პროზაშიც რომ მოსინჯავდა კალამს, აქაც წარმატებითაც, ადრეც რომ გავცნობივარ მის ნოველებს "ლიტერატურული გაზეთის" ფურცლებზე, და ახლა 16 ივლისის ნომერში კვლავ სიამოვნებით უნდა წამეკითხა ეს ორი ახალი ნიმუშიც: "ვიქტორა და უშიშროების პოლკოვნიკი" და "ნუჟრები" — არც იუმორი რომ არ აკლიათ და არც ღრმა სევდა.

მალე ალბათ ცალკე წიგნად გამოცემულსაც ვიხილავთ მისი ნოველების კრებულს, სალიტერატურო კრიტიკა შესაფერისადაც რომ შეაფასებს მის მნიშვნელობას.

პოეტური კრებულები ხომ რა — ხელიდან არ გაგვიშვია მათი შეფასება!..

მე ვიღას ვსაყვედურობ?

უპირველესად ჩემს თავს, ცხადია, და ვიმედოვნებ, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთი თავყრილობა ვასილ ბესელიას ლექსების განხილვასაც მიეძღვნება, ამ ლიტერატურული საღამოს გამოისობით ჩვენი მწერლობა არაერთ კარგ კრიტიკულ-ესთეტიკურ სტატიას რომ იშოვნის.

ფეისბუქზე მისი ლექსების გამომზეურებას არ აკლია მკითხველთა აღტაცებული ეპითეტები, მაგრამ როდემდე რჩებოდეს ეს ნამდვილი ლირიკული მონაპოვარი მარტოდენ ეპითეტების ამარა, ანალიტიკური განსჯისა და შეფასების გარეშე?!.

და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები:

რამდენი რამ გვაქვს ჯერაც მისახედი და მოსაწესრიგებელი ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში!..

რამდენი შემოქმედი - ღირსებისამებრ დასაფასებელი!..

საწინდრად შორეული გზებისა

(დღიურის ფურცლებიდან)

მგონი მეც იზა ორჯონიკიძესავით დამემართებოდა, ასაკით უფროს მწერლებზე რომ ამბობდა ხოლმე: მაგის გაზრდილი ვარო, — ასაკით უმცროსებზე კი: ჩემი გაზრდილიაო.

არადა მეც ეს ფიქრი გამიელვებდა, როდესაც ვოვა სიხარულიძის წიგნის „მეათე მოწმე და სხვა...“ წარდგინებისას მწერალთა სახლში მოვისმენდი ლევან ბრეგაძისა და ზვიად კვარაცხელიას გამოსვლებს.

და მაშ მე ილიას ის სტრიქონი მომერგებოდა თუ მომერგებოდა: ძველის და ახალის შუა შემაერთავი ხიდიაო.

ეს ისე, სხვათა შორის, თორემ:

„ინტელექტის“ მიერ გამართულ ამ თავყრილობაზე თუ რაიმე დაგვამახსოვრდებოდა, უპირველესად ლანა კალანდიას გამოსვლა, აღიარებული მთარგმნელი ჩინებულ კრიტიკოსადაც რომ წარმოგვიდგებოდა და ამ იშვიათი წიგნის შესაფერის ანალიტიკურ განსჯას შემოგვთავაზებდა, ზეპირად ილაპარაკებდა, თუმც ხელთ ეჭირებოდა ის გამზადებული კრიტიკულ-ესთეტიკური ნარკვევი, რომლის გამომზეურებაც „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე ბევრ მკითხველს განაცდევინებს ნამდვილი კვლევა-შეფასებით მოგვრილ სიამოვნებას.

ამ გამოცემის მნიშვნელობას იმ მხრივაც გამოჰკვეთდა, გარდა ვოვა სიხარულიძის პროზისა და დრამატურგიისა, წიგნს რომ დაერთვოდა სტატიების მთელი სერია, ამ არაორდინარული კაცის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიურ პორტრეტსა თუ შემოქმედებით თავისებურებას რომ წარმოაჩენდა ზუსტად და კანთიელად, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული თუ საგანგებოდ ამ გამოცემისათვის დაწერილი:

ლევან ბრეგაძის, ლაშა ბუღაძის, ლაშა თაბუკაშვილის, დოდო თოფურიას, გიორგი ნადირაძის, ოტია პაჭკორიას, ნინო სადღობელაშვილისა და თქვენი მონა-მორჩილის.

სტატიების ამ წყებას დროულად უნდა მოჰყოლოდა გაგრძელებაც და... აჰა ლანა კალანდიას ნარკვევი, ვოვა სიხარულიძის მხატვრულ ნაღვაწს რომ განიხილავდა მსოფლიო ლიტერატურის, დიდი სახელების — უფრო მაინც ესპანურენოვან მწერალთა — ფონზე, ოდნავადაც რომ არაფერი მოგვჭრიდა ყურს, რადგანაც ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იქნებოდა ეს დაკავშირება, საწინდარი ვოვა სიხარულიძის კიდევ ერთი დაბადებისა, „მეათე მოწმისათვის“ გახსნილი შორეული გზებისა — დროშიც და სივრცეშიც.

ოქრო – საკუთარი შტამპით

(ანონსის მაგიერ)

გივი მარგველაშვილზე ბიოგრაფიული ნატეხების რკალში რომ გამოვცემდი წიგნს: „ჰამლეტური შურისგება“ — მაშინვე ვგრძნობდი, შევსება მომიწევდა; და თანდათან აგერ კიდეც ივსება.

ბატონი გივისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე, მწერალთა სახლში რომ გაიმართებოდა, წავიკითხავდი მოხსენებას ის-ისაა ქართულად დასტამბულ რომანზე „ოფიცერი პემბრი“, რომელიც შემდგომ „აფრას“ ფურცლებზე გამოქვეყნდებოდა.

მისი გარდაცვალების მერე კი სულხან მეტრეველის დაკვეთით ინტერნეტგამოცემისათვის „ქართული კულტურა“ დავწერდი ამ დიდებული მწერლის გამოსათხოვარს: „წიგნის სამყაროს გამოცანები“ — რომელიც ბეჭდური სახით უნდა განმეორებულიყო „მწვანეყვავილას“ ფურცლებზე (2021, №3).

როგორ არ გაგვკვირვებოდა, რას ეცოცხლებინა ბატონი გივი იქამდე, მეათე ათეულ წელში რომ შეებიჯებინა — თანაც თამამად, ჭაბუკურად, გაუხუნარი აზროვნებითა და ახალ-ახალი ჩანაფიქრებით აღვსილს?

თანაც ასეთი ბიოგრაფიის კაცს:

ნატანჯს, ნაუბედურალს, ჯოჯოხეთის ღამის ცხრავე კარის შემხსნელს ამქვეყნიურ სინამდვილეში.

და თუ ქვასაც გასტეხდა ასეთი ყოფა და კიდეც მოინელებდა, ვერ გაეტეხა გივი მარგველაშვილი — უტეხი სულისა და იმ შინაგანი ენერგიის პატრონი, იქით რომ მოინელებდა ძალადობრივ რეჟიმს და გარეგნულადაც იგრძნობდა იმ თავისუფლებას, რომელსაც შინაგანად ისედაც თან დაატარებდა — ყველაზე შემზარავ და კოშმარულ წუთებშიც.

ამ შინაგან თავისუფლებას მოეტანა მისთვის ის იშვიათი სილაღეც და ის დაუშრეტელი ფანტაზიაც, ერთმანეთს შეზავებულნი რომ ამოზრდიდნენ ორიგინალურ და მონუმენტურ მხატვრულ სამყაროს, თამაშის ესთეტიკას რომ დაეყრდნობოდა და... კიდეც შემოგვთავაზებდა ოქროს ზოდებს, საკუთარი შტამპით მოჭრილს, გალაკტიონური ხილვებისა და ასოციაციებისა არ იყოს.

ვინც ჩახედულია გივი მარგველაშვილის მხატვრულ-ესთეტიკურ სამყაროში, სავსებით ბუნებრივი მოეჩვენება ეს გალაკტიონური ხილვა-ასოციაციები.

ისევე როგორც ჯეიმზ ჯოისის ხსენებასაც ლოგიკურად მიიჩნევენ, „მუცალის" ქვესათაურად მინაწერი: „ქართული რომანი" — ძალდაუტანებლად რომ გამიჩენდა შეკითხვას:

ნეტა ჯოისსაც თუ შეიძლება მიეწერა „ულისესათვის" ქვესათაურად „ირლანდიური რომანი"?

გივი მარგველაშვილი მხოლოდ ამ და ამგვარ სახელთა გარემოცვაში უნდა ვახსენოთ, რადგანაც იქ არის მისი ადგილი, მისი შემოქმედების სრულყოფილად გაცნობა სავსებით რომ დაადასტურებს ამ მოსაზრებას.

წიგნად აღიქვამდა მთელს სამყაროს, გადაშლილ ტექსტად გაიაზრებდა და... წიგნისმიერ სიცოცხლესაც ანიჭებდა, სულ უფრო გულისყურით რომ ჩაკვირვებია მკითხველი, ოღონდ ჩვენს ზემოთ კიდევ ორი თავიც უნდა გადმოიხაროს — უფლისა და ეშმაკისა, ერთმანეთს რომ არ ანებებენ სამყაროს წაკითხვას და ორივე თავთავისკენ მიითრევს ნაწერს...

და თუ შევძლებთ, რაც შეიძლება მალე მოვიტოვოთ უკან მეფისტოფელური საუკუნის სულისკვეთება და მწყურვალებივით წავესწრაფოთ იმ ბედნიერი ჟამის დაბრუნებას, როდესაც ღმერთი ზემოდან გადმოჰყურებდა სატანას — დაცემულ და წელათრეულ ანგელოზს, სამყაროსაკენ მისასვლელი გზების გასაგნებად თუკი რაიმეს დავისაჭიროებთ, უთუოდ გივი მარგველაშვილის მრავალფეროვან შემოქმედებასაც, ყველა ჟანრში უმაღლეს პილოტაჟს რომ მიაღწევდა: პოეზიაშიც, პროზაშიც, დოკუმენტალისტიკაშიც, დრამატურგიაშიც, იქ კიდევ — ლინგვისტიკასა თუ ფილოსოფიურ აზროვნებაშიც...

ამ სამყაროსთან მოსაახლოებელი ისეთი მეგზური გვეგულება ნაირა გელაშვილის სახით, ყველა შემოქმედი რომ ინატრებდა ასეთი გზისგამკვალავს, ყველა შრესა თუ ნიუანსში რომ ჩაგახედებს და ასე გაგიძღვება ამ მონუმენტური სამყაროს მწვერვალისაკენ და დაგაწაფებს იმ სათავეს, საიდანაც მოჩქეფს, მოღელავს, მოდგაფუნობს გივი მარგველაშვილის მხატვრული აზროვნების წყაროსთვალი, თვალნათლივი, ხელშესახები დასტური ქართული ლიტერატურის სულიერი სიახლოვისა დასავლურ მწერლობასთან, მის ესთეტიკურ თუ ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან, იმ უმთავრეს ბირთვთან, საიდანაც იტოტება დაუმცხრალი ძიებანი იდუმალების წიაღში და ლაღი, მარად ჭაბუკური სულითა და მჩქეფარებით აღვსილი თამაშიც სიკვდილ-სიცოცხლესთან.

ხოლო საბოლოოდ რა ჟანრულ სახეს შეიძენს „ჰამლეტური შურისგება", გამოჩნდება, თავისთავად გამოჩნდება...

რა ვიცით ჩვენს მამებზე?

(ბელა ჩეკურიშვილის სევდის ზარი)

სურათხატოვანიო, — ამ ეპითეტით განსაზღვრავდა ნინო დარბაისელი ბელა ჩეკურიშვილის მხატვრულ სამყაროს წიგნისათვის „ნანას ცხენი“ („ინტელექტი“, 2020) ბოლოსიტყვაობად დართულ ესეიში „პერფორმანსი ლოცვისათვის“, მკითხველს ამ სამყაროს ჭიშკართან რომ დატოვებდა იმ იმედითა და რწმენით, რომ ავტორის თავისთავად უნიკალური თავგადასავლის გაცნობა, ყველაფერთან ერთად, დააბრუნებდა საკუთარ წარსულთან და იქ აღმოაჩენინებდა თავის უნიკალურ არსებასაც.

პოეტს ეს კრებული საოჯახო ფოტოალბომად ჩაეფიქრებინა, და მეხსიერებაში ფოტოკადრებად შემორჩენილი ამბები საიმედოდ რომ შეენახა, ლექსის ფორმას მიანიჭებდა, ლექსისა, საიდანაც მოიღვრება სევდაც და დარდიც, ტკივილიც და ნაღველიც, და მოწვეთავს, მოწვეთავს ცრემლი.

ყველაფერი გახვეულა დრამატულ და ტრაგიკულ ხილვებში.

თავთავისებურია გამოხატვის ფორმები ლექსიდან ლექსში და ამიტომაც არ იგრძნობა ერთფეროვნებისა თუ მონოტონურობის ნასახიც კი, მაგრამ პოეტის ერთ მეგობარს მაინც უნდა დაემუნათებინა: შენს ლექსში ბევრი სევდაა, ბევრი სიკვდილიო, — და ხელნაწერი მოწყენით აეფურცლა.

რჩევით კი ერჩია, რომ:

იქნებ ბედნიერ ადამიანებზეც დაეწერა რამე, აი დაეწერა სიმღერაზე, ანდა ქალებზე, სიყვარულზე რომ მღერიან, ან ყვავილებზე, ქალებს რომ უძღვნეს, ან გაზაფხულის ქუჩებზე ეთქვა, მწვანედ მორთულზე, ახალგაზრდები რომ დასეირნობენ.

ესეც მოუსმენდა და:

მის გონებაში კიდეც კადრებად გაჩნდებოდა მინსკის ქუჩები და ქალების ლაღი მსვლელობა, ყვავილების კონებით ხელში, მართლაც რომ ასე ეხამებოდა გაზაფხულის დღეებს, როგორ მოდიოდნენ თეთრი კაბებით, ერთად, ჯაჭვურად, როგორ მღეროდნენ და ავსებდნენ ქალაქს მგრძნობიარე მელოდიებით, იავნანას მღეროდნენ თითქოს, ფეხსაცმელებსაც გაიხდიდნენ, წრეში ჩადგებოდნენ და დაირწეოდნენ...

მართლაც რატომ არ შეიძლებოდა გამხდარიყო ეს სურათი ერთი მსუბუქი ლექსის თემა, ფეხადგმული, ხალხით სავსე მინსკის ქუჩები.

რატომაც არა!..

მაგრამ უეცრად ყველაფერი უნდა შემოტრიალდეს და სიკეთითა და სინათლით აღსავსე გარემო ტრაგიზმითაც შეიფეროს და საზარლობაშიც ჩაიძიროს:

რომ არ ნიშნავდეს ეს განწირულ პროტესტს და ბრძოლას,
რომ არ ვიცოდე,
ნიღბიანი პოლიცია ხელკეტით ჩაწყვეტს
და სიმღერის ხმებს
საპატიმროს მრუმე კედლები სრულად ჩაახშობს.

ეს ის სამწუხარო რეალობაა, რომელსაც თვალი ვერ უნდა მოარიდო, თუკი ნამდვილი პოეტი ხარ — ბედისწერით და არა მხოლოდ პროფესიით.

ილუზიებში არ უნდა გაიხლართო და არც თავი მოიტყუო და არც მკითხველის მოტყუებას შეეცადო, თითქოს ეს ტრაგიკული სინამდვილე მხოლოდღა გაზვიადების ნაყოფია და სჯობს სიყვარულის სიმღერებს აჰყვე, გაზაფხულსა და ყვავილებს აედევნო...

მაგრამ რეალობა რომ არ განებებს ოცნებებში ჩაძირვასა და ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარის დანახვას — მისი სიკაშკაშისა და ფერადოვნების, ცხოვრების მეორე მხარე უხეშად რომ იჭრება ამ სიკაშკაშესა და ფერადოვნებაში?!.

თუკი ნამდვილი პოეტი ხარო...

ამ სინამდვილითაა სავსე ბელა ჩეკურიშვილის ეს წიგნიც — მისი სიწრფელით, სიალალით, საზარლობის წინაშე შეუპოვრო-

ბით, მწუხარე მხარეს ყოფითი რეალობისა ძირისძირობამდე რომ ჩასდევს და არც თავს აძლევს უფლებას გულარხეინობისა და დაშოშმინებისა და არც მკითხველს, რომელიც ამ დაუშოშმინებლობასა და ფორიაქს ამ ლექსების შინაგანი მღელვარებით შეიგრძნობს, სტრიქონთა გარეგნული დახვეწილობა კი იმ ფონს უქმნის სულიერ ფორიაქს, ეს კონტრასტი უფრო მკვეთრად, უფრო კანთიელად რომ წარმოაჩენს ლირიკული გმირის დაუმცხრალ სწრაფვას იმ სინათლისაკენ, რომელიც თავისთავად სულაც არ გადმოგეცემა და სულიერი ღვაწლით უნდა მოიპოვო.

„ნანას ცხენი" რის თვალნათლივ ნიმუშადაც წარმოგვიდგება!..

ოთხი რკალისაგან — „ნანას ცხენი", „ნამწვავები", „ცა და შლეიფი" და „ცაცხვზე და კაცზე" — შემდგარი კრებულის მხატვრულ მრწამსს მაინც ის ციკლი განსაზღვრავს, წიგნის საერთო სახელწოდებადაც რომ შერჩეულა, ამ რკალის მთავარი ძარღვი კი ის ლექსია: „რა ვიცი მამაჩემზე?" — რომელიც არამცთუ ამ კრებულსა და ბელა ჩეკურიშვილის პოეტურ ნაღვაწს ამშვენებს, არამედ გამორჩეულად მოჩანს თანამედროვე ქართული პოეზიის მდინარებაში, რომელშიც სახიერად ამოსვეტილან ამგვარი პოეტური მონაპოვარნი, კიდევ ერთხელ რომ გვარწმუნებენ, რამხელა სივრცე შეიძლება ჰქონდეს თვით ცალკეულ ლექსებსაც.

ყოფითი დეტალებისაგან უნდა მოქსოვილიყო ამ ლექსის გარეგნული იერი, ოთხმოცი წლის მამაზე ექიმი სანუგეშოს რომ ვერას ეუბნება და-ძმას: მისი გონება იბინდება და ეს სამწუხაროდ შეუქცევადი პროცესიაო.

და რადგანაც მამის ცხოვრება არსებითად აქ მოთავებულა, ჯერაც სამზეოზე მყოფი მალე რომ უნდა მოწყდეს ამ რეალობას, შვილებმა პირველად ახლაღა უნდა გააცნობიერონ, თუ რა იციან მამაზე.

თურმე... ბევრი არაფერი, ზოგიერთი რეალია თავისთავად რომ უნდა ამოტივტივდეს მეხსიერებიდან და შემოეჯაროს ლირიკულ გმირს.

მამაშენივით უწესო ხარ, — როგორ ეჩხუბებოდა ბებო, როდესაც ეს სამოსს საწოლზე ყრიდა, წიგნებს საბნისქვეშ კითხულობდა და ეკლესიის სანთლებს ღეჭავდა.

ნუ იტყუები მამაშენივით, მაინც გავიგებ, — როგორ ემუქრებოდა დედა, როცა ეს აღარ უმხელდა, რად დაჰქონდა კედები ჩანთით, და დღიურში მალულად რას წერდა.

ოჰ, მამაილავ, შენი გინდა, რომ გაიტანო? დადე, ვერ ასწევ, — როგორ დასცინებდა ერთხელ მეზობელი, ეს წყლით სავსე ურიკას რომ დაებღაუჭებოდა.

რა იცოდა მამაზე?

ცუდი სიმთვრალე რომ ჰქონდა და ცოტა ფული, და ერთხელაც ყველა ქალი შემოეცლებოდა და სიბერეში მარტო მოუწევდა ცხოვრება.

როგორ შენიშნავდა ერთხელ ბიჭი, სანდლებიდან მოჭყიტინე ფეხის თითებზე მზერას და რომ ვერადავერ მოწყვეტდა: რა უცნაურად ჩამწკრივებულანო.

პასუხად კი:

ჰო, მამაჩემსაც ზუსტად მსგავსი თითები აქვსო, — უნდა შეეცინა ამას და გადახვეოდა.

და... მეტი ველარც ველარაფერი მოეგონებინა იმ წუთით გათანგულს, ექიმი რასაც ეტყოდა მამის მძიმე სნეულებაზე.

და უკვე ველარც ველარაფერს გაიგებს უცხო ქვეყანას შეხიზნული.

და მისი ნავი გალმა წყლებისკენ რომ დაიძვრება,
ხელს ვერ დამიქნევს,
და ვერც მომიჭერს
(როგორც ფილმებში ხდება ხოლმე),
რომ მანიშნოს,
რა ვერ მოასწრო ეთქვა ჩემთვის,
და რომ არ ნანობს,
რაკი სწორედ ახლა მასთან ვარ.

ორიოდე ნაგლეჯმა თითქოს რას უნდა მიგვახვედროს, მაგრამ პოეტი სწორედ ასე დაწურულად, სწორედ ასე ქვეტექსტურად გვაგრძნობინებდა მამის ალალ, წრფელ ბუნებას, სწრაფვას ამაღლებულისაკენ, ყოფითობა თავისი წვრილმანებით რომ ჩაითრევდა და გათანგავდა და ოცნებებსაც გაუქარწყლებდა და დაუმარხავდა...

და ხელმოცარული კაცის მძაფრი, გაუნელებელწი სულიერი ტკივილი უნდა განეცადა ლირიკულ გმირსაც და გადაედო მკითხველისათვისაც, ყოფითი სინამდვილეში უეცრად მისტიკური ფონი რომ უნდა შემოცურებულიყო და თავის წიაღში მოექცია ის მრავლისმეტყველი სურათი, დიდი სულიერი თანაზიარობა რომ უნდა მოხდეს მამა-შვილს შორის, სიმბოლურად თაობებს შორის უღრმეს კავშირზეც რომ უნდა მიგვანიშნოს, და მიგვახვედროს, მამის აღუსრულებელი ოცნებანი უკვალოდ რომ არ გამქრალა და აგერ ამ კრებულსაც შერევია, „ნანას ცხენის“ მხატვრული მრწამსიც განუსაზღვრავს და იმ საყრდენადაც ქცეულა, საიდანაც უნდა გაშლილიყო ყველა თემა და მოტივი, სევდის, დარდის, ტკივილის, წუხილის ემბაზში ამოვლებული, ტრაგიზმის ტვიფარით დაბეჭდილი...

ამიტომ ნურავინ ურჩევთ ბელა ჩეკურიშვილს:

დაწეროს რაიმე ბედნიერ ადამიანებზე, სიყვარულით ამღერებულ ქალებზე, ყვავილებსა თუ გაზაფხულის ქუჩებზე.

და ნურც იმას იკითხავთ:

ვისთვის რეკს სევდისა და დარდის, ტკივილისა და წუხილის ზარი!..

ზღაპარქალაქის კარიბჭესთან

(დეპეშად ნინო ქადაგიძეს)

ნინო ქადაგიძეს აქამდე მინიატურებით ვიცნობდით, ამ ჟანრის მომხიბლავი ნიმუშებით. და აი „ლიტერატურული გაზეთის“ ამა წლის 6 აგვისტოს ნომერში ახალ ჟანრში უნდა გამოჩენილიყო ლიტერატურული ზღაპრების ხუთი ნიმუშით: „დღესასწაულების ზღაპარი“, „ზღაპარქალაქის ბიბლიოთეკა“, „ჩიტებადქცეული ფოთლები“, „ცრემლის შემგროვებელი ბიჭი“ და „ბრონეულების ქვეყანა“.

ფორმა კვლავ მინიატურულია, მაგრამ ჟანრობრივად გარდასახული და საკმაოდ წარმატებითაც, ეპიკურ ქარგას ფაქიზი ლირიზმი რომ ჩაქსოვია და თავისებური მხატვრული სამყაროს კონტურებიც ხელშესახებად გაჩენილა.

ლიტერატურული ზღაპრის ჟანრი არსებითად შეუსწავლელი გვრჩება, არადა დიდებული ნიმუშებითაც დამშვენებულა, თორემ კარგსა და შესანიშნავს ველარც მოთვლი, იმდენი დაგვგროვებია და... შესაფერის მომკელებსაც ითხოვს, რადგანაც ეს წარმტაცი, შთამბეჭდავი, ვეება სამყარო ძვირფას და ლამის თვალუწვდენელ სამკალად გადაშლილა.

სულხან-საბა ორბელიანის შემდგომ კარგა ხანს აღარ გამოჩნდებოდა ამ ჟანრის ნიმუშები ჩვენში, ვიდრე ალექსანდრე ორბელიანი დაუდებდა სათავეს ახალ დროებაში, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ერთიერთმანეთზე უკეთეს ლიტერატურულ ზღაპრებს რომ შეგვიქმნიდნენ, ალექსანდრე ყაზბეგსაც წაუცდებოდა ხელი ამ ჟანრისაკენ და... ილია ჭავჭავაძესაც — მის მიერ უარყოფილი ერთ-ერთი შესავალი მოთხრობისა „კაცია-ადამიანი?!“ ლიტერატურული ზღაპრის კლასიკურ ნიმუშად წარმოგვიდგება და ანთოლოგიაში, რომელიც ადრე თუ

გვიან აუცილებლად შესადგენი გვაქვს, არაფრისდიდებით არ გამოიტოვება.

მას მერე აღარც შეჩერდებოდა ეს ჟანრი ჩვენში — თვალსაჩინო ნაკადად რომ გამოკვეთილა მისი ისტორიაც და დღეს-დღეობითაც წარმატებით გრძელდება.

თანამედროვე დინებაც ლიტერატურული ზღაპრისა გამოსარჩევი გვაქვს და ერთ კრებულადაც შესაკონი, ამ კრებულში ისევე რომ დაიკავებს თავის ადგილს ნინო ქადაგიძის ლიტერატურული ზღაპრებიც, როგორც თანამედროვე ქართული მინიატურული პროზაა წარმოუდგენელი მის გარეშე.

„ლიტერატურული გაზეთი" რომ გზას დაგილოცავს, ეს ბევრსაც ნიშნავს და... ბევრსაც გავალებს.

ატმის ბაღი:
ნუგეშად და მონატრებად

(ნესტან ეგეტაშვილის ნაგვიანევი დებიუტი)

ნესტან ეგეტაშვილი თვითონვე გააფორმებდა თავისი მოთხრობების კრებულის გარეკანს, მატარებელს რომ გამოხატავდა.

მატარებელს უნდა განესაზღვრა მთავარი გმირის ბედი ნოველაში „შაქარყინული", წიგნის საერთო სახელწოდებადაც რომ შეირჩეოდა („ინტელექტი", 2019), მისი დადგომა სულიერების გზაზე, და ამიტომაც უნდა გამოეფინა მატარებლის სურათი ხატების გვერდით.

მატარებლით მგზავრობა მხოლოდ ყოფითი ეპიზოდი არ აღმოჩნდებოდა გმირის ცხოვრებაში, იდუმალებაში რომ უნდა გახვეულიყო და კიდეც მოჰყოლოდა მატარებლით ასვლას ტაძრის ნანგრევებში მწყემსის გამოჩენა ამ ახალგაზრდა კაცის მხსნელად, საშინელ ღვარცოფს რომ გადაარჩენდა, მეორე დღეს კი ჭაბუკს ვეღარც მწყემსის კვალი უნდა მიეგნო და ვეღარც ცხვრისა; ჯოჯოხეთური ხმაურითა და შემზარავი ჩრდილებით სავსე საშინელი ტყე დილით საოცარ სამყაროდ რომ მოევლინებოდა.

მისი მძინარე სოფელი კი ღვარცოფსა და მეწყერს უნდა ჩაეტანა და ჭაბუკი, ოჯახამოწყვეტილი და სრულიად უთვისტომოდ დარჩენილი, ბერებს უნდა შეკედლებოდა და დაეწყო ის ახალი ცხოვრება, რომლის მადლშიც — ხატებთან ერთად — მატარებელსაც უნდა დაედო თავისი წილი.

თუმც მატარებელსვე უნდა განესაზღვრა სიუჟეტური ქარგაც ნოველისა „აია", სიყვარულის საგალობლად რომ წარმოგ-

ვიდგება, უიმედო და უგონო სიყვარულისა, მთავარი გმირი მთელი სიცოცხლე რომ ელოდება მისთვის საფიცრად გადაქცეულ მხატვარს, ერთხანს მდგმურად რომ უნდა შეკედლებოდათ, მერე კი წასულიყო და წასულიყო ისე, რომ გოგონას იდუმალი ლტოლვა ვერც ეგრძნო, ლტოლვა, რასაც უნდა მოეცვა აიას არსებაც და ცხოვრებაც, ფსიქიკაზეც რომ უნდა ემოქმედა და ყოველდღე ამიტომაც უნდა გასულიყო ბაქანზე და დალოდებოდა ადამიანს, რომელიც არაფერს დაპირებოდა და აქეთ არავითარი საქმეც აღარ ექნებოდა.

მაგრამ ამას რას დაგიდევდა სიყვარულით გახელებული არსება ყმაწვილქალისა, რომელიც ამასობაში ხანშიშესულ ქალად უნდა გარდასახულიყო, მაგრამ ოდნავადაც არ განელებოდა ის რომანტიკული განცდა სიყვარულისა, რაც თითქოს გამქრალა და მწერალთა მხატვრულ წარმოსახვასღა შეფარებია, მაგრამ აიამ უნდა დაამტკიცოს, რომ მოჩვენებითია ეს გაქრობა და სიყვარულიც და რომანტიკაც ინარჩუნებს თავის უწყვეტობას იმ ძველებური გახელებით.

ხასიათი გამოკვეთილია — უცნაური, უჩვეულო ხასიათი, ამხელა მისია რომ უნდა იტვირთოს — სიყვარულისა და რომანტიკის უწყვეტობის დასტურად, მაგრამ მწერალს უნდა მიეგნო შთამბეჭდავი ფინალისათვის, მელოდრამატული იერიც რომ გადაჰკრავს, მაგრამ ეს იერი არამცთუ რაღაცას აკლებდეს ფინალს, კიდევ უფრო აცხოველებს:

ბავშვი ლამის საბედისწეროდ რომ გაიქცევა ლიანდაგებისაკენ და თითქოსდა განწირულია, მაგრამ დედის ძახილმა: ნიკა! — აიას ერთბაშად უნდა შეაგრძნობინოს ნიკას მოლოდინის მთელი სიმძაფრე და ბავშვის გამოტაცებით მატარებლის ბორბლებიდან ის გაუნელებელი, გახელებული სიყვარულიც უნდა გადაარჩინოს.

გადარჩენა ცხადია უმსხვერპლოდ ვერ მოხდებოდა.

და რაკიღა სიყვარულთან იქვე ჩასაფრებულა სიკვდილიც, აიას სიცოცხლე უნდა აღმოჩნდეს ის ზღვარაკი, რისთვისაც მთელი ცხოვრება ემზადებოდა. და ჰა კიდეც აღასრულებდა თავის მოვალეობას — როგორც ყოფით, ასევე სიმბოლურ განზომილებაში.

და მისი საფლავიდანაც მოსალოდნელია ისევე ამოიჭრას მღელვარე ძახილი, როგორც სარკოფაგიდან საუკუნენი უნდა გამოერღვია მხურვალე, დაუოკებელ კივილს:

ძევახ, სიცოცხლევ ჩემო!..

და ამიტომაც ნოველის ქვესათაურად ნაცვლად „ამბავი სიყვარულზე“ ეგება უფრო შესაფერისი ყოფილიყო: „საგალობლად სიყვარულისა“.

მელოდრამატიზმი ცოტა სახიფათო ხერხია, მასკულტურისაკენ რომ ეზიდება ხოლმე თხრობას, მაგრამ ნესტან ეგეტაშვილის მოთხრობებში ყურს არ ჭრის ეს მხატვრული ხერხი, არაფერს აპრიმიტიულებს, რაკიღა ფაქიზი ლირიზმი გადაწვნია და ის წარმართავს სიუჟეტებს, „მაგნოლიების ქუჩაზე“ იქნება თუ „შობის ღამე“, „მუზა“ თუ „ყვითელი ფოთლები“, ლირიზმი მომხიბლავად რომ იჭრება თვით ვრცელ მოთხრობაშიც „ატმის ბაღი“, ჩვენი თანადროული ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი ოდისეა რომ უნდა წარმოისახოს: სამუშაოს საძებნელად უცხო ქვეყნებისაკენ დაძრული ადამიანების ჭირ-ვარამი.

„მაგნოლიების ქუჩაზე“ მთავარი გმირი რომ ვერაფრისდიდებით ვერ შეგუებია უღიმღამო ყოფას და რაღაცას მოელის, რამაც სრულიად უნდა შეცვალოს მისი ცხოვრების მდინარება, თითქოსდა — ან რაღა თითქოსდა — ზეცამ უნდა დააჯილდოოს უხმაურო, ჩუმი სიკვდილისათვის და ბავშვი უნდა გამოეცხადოს, ბავშვთა სახლიდან გამოპარული, მფარველს რომ ეძებს, მამა სწყურია და ფარულმა კანონზომიერებამ უნდა მოაყენოს მაინცდამაინც მის კარზე; ხოლო ზეციური წყალობა იმ რეალიამ უნდა მიგვანიშნოს გამჭვირვალედ, ბიჭს ლაზარე რომ ჰქვია.

„შაქარყინულში“ თუ ერთმა ადამიანმა უნდა ჰპოვოს თავშესაფარი მონასტერში, „შობის ღამეში“ ორისათვის უნდა აღმოჩნდეს ეკლესია სამუდამო ნავსაყუდელი, ეს ერთადერთი ნიმუში რომ არის კრებულში, სიუჟეტის სიმძაფრითა თუ მოულოდნელობით რომ არ გამოირჩევა და უფრო განწყობილებებზეა აგებული, მისი მხატვრული მრწამსი კი ეპიგრაფში გამოსჭვივის ხელშესახებად, ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებლის, დაუდ ფაშას წერილში დედისათვის, ასე რომ მთავრდება:

— კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს, თქვენ ვენახი გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ... ჩემთვის ილოცეთ, მოწყალეო დედაო! თქვენი ძე ბაღდადის ხელმწიფე დაუდ ფაშა.

„ვენახი“ იმთავითვე სულიერ განზომილებაში უნდა განიცადოს მკითხველმა, რაც ნოველამ კიდეც უნდა დაადასტუროს.

„მუზა“ კი — საპირისპიროდ მკითხველის წინასწარი განწყობილებისა, სათაური რასაც აგრძნობინებს — მუზის გამოცხადებას კი არ წარმოსახავს, თვალნათლივსა თუ მხატვრულად შეფარულს, არამედ სწორედაც პირიქით — მუზაშემომწყრალი, ხელმოცარული ხელოვანის ბედს, ასერიგად რომ განიცდის საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობას, სახელოსნო რომ არ გააჩნია და თავის ნებისად ვერ ახერხებს მუშაობას, მაგრამ...

თავს იტყუებს თურმე, ცხოვრებისეულ ყოფას როდესაც აბრალებს ამაო მიმოწყდომას ხელოვნების საუფლოში. და ეს მაშინღა უნდა გააცნობიეროს, როდესაც ელირსება თავის სახელოსნოს, და როდესაც თითქოს ველარაფერი უნდა დაუდგეს წინ, რათა ნანატრ-ნაოცნებარი რეალობად აქციოს; და მუზაც ველარაფერმა უნდა დააკავოს, რათა მისი მუდმივი სტუმარი შეიქნას, მაგრამ...

საბაბი კი უნდა აღმოჩნდეს ხანშიშესულ მწერალთან შეხვედრა და იმისი ნათქვამი: მეყო რალაცების ჯღაბნა, დროა ცხოვრებით დავტკბეო.

— მერე, შემოქმედს რომ შეხვდებით იქ, ზევით, და ტალანტებს რომ მოგკითხავთ, რა პასუხს გასცემთ? — გაოგნება ვერ უნდა დაფაროს მხატვარმა, მუზამიტოვებულმა მწერალმა კი პასუხად უნდა ჩაიხითხითოს:

— რაც მომცა, ის უკვე გავაორმაგე, ასე რომ თავი ქუდში მაქვს.

და ერთი კვირის თავზე საქმიან გაზეთებში კიდეც უნდა გამოჩნდეს ამ შინაარსის განცხადება:

— ქალაქგარეთ, პრესტიჟულ ადგილზე იყიდება 30 კვ.მ. კეთილმოწყობილი სახელოსნო. იდეალურია მხატვრებისათვის.

„ყვითელი ფოთლები“ (სათაური შთაგონებულია ჰომეროსის სტრიქონებით, კაცთა მოდგმას ხის ფოთლებს რომ შეადა-

რებდა „ილიადაში“, ქარი მიწაზე რომ მიახვეტავს, მაგრამ ადრიან გაზაფხულზე კვლავ უნდა აყვავდეს მუხა და ფოთლებითაც შეიმოსოს, ადამიანებისა არ იყოს, ზოგი რომ ჩნდება და ზოგიც ქრება) იმ თითქოსდა უბრალო გაუგებრობაზე აიგებოდა, ექიმს ორი სამედიცინო დასკვნა რომ აერევა ერთმანეთში და განწირული მოხუცის მოსალოდნელ ხვედრს, სიმსივნისაგან სულ რამდენიმე თვეღა რომ დარჩენია ამქვეყნად, ახალგაზრდას გააცნობს, მის საღსალამათობას კი მოხუცს აცნობებს.

რაღაც შემთხვევითობით — უფრო კი იდუმალი კანონზომიერებით — ეს ორი ადამიანი ერთმანეთს უნდა გადაეყაროს ბაღში და გულითადადაც ისაუბრონ, ერთმანეთს შორის ღრმა სულიერი ძაფებიც რომ უნდა გაიბას...

მერე კი სიმართლე უნდა გაირკვეს — ექიმმაც გამოასწოროს უნებლიე შეცდომა, თორემ ყოფითმა რეალობამ ხომ უნდა დაადასტუროს და დაადასტუროს თავისი განაჩენი, ბერიკაცი მალე რომ უნდა გამოემშვიდობოს წუთისოფელს, ახალგაზრდამ კი ხელმეორე დაბადებასავით უნდა განიცადოს იმ უნებლიე შეცდომის გამოსწორება და ისეთი შეგრძნებაც დაეუფლოს, თითქოს ღრმა ძილიდან გამორკვეულიყოს და აღმოაჩინოს, სიცოცხლე დიდი, ძალიან დიდი საჩუქარი ყოფილა... ის კი არა, ყოველი დღეც, ყოველი წამიც, ყოველი ჩასუნთქვაც და ამოსუნთქვაც ყოფილა ღვთის საჩუქარი...

განიცადოს იმიტომაც, მისი ბედის უნებლიე მოზიარესთან რომ უნდა გადაკვეთილიყო ამქვეყნიური ცხოვრების გზა, ნოველაში კვლავ რომ უნდა იჩინოს თავი მისტიკურობის გაელვებამ, „აიასი“ არ იყოს, ვრცელი მოთხრობის „ატმის ბაღი“ ფინალი კი მთლიანადაც აღივსოს მისტიკური სუნთქვით.

თანადროული ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი ოდისეაო...

სწორედ ოდისეად რომ შეიგრძნობს მწერალი თავისი გმირის თავგადასავალს, ხელშესახებადაც უნდა გაუმჟღავნოს მკითხველს, როდესაც ერთ-ერთ თავს ასე დაასათაურებს: „ნიმფა კალიფსოს კუნძულზე“ — თითქოსდა აქ რომ უნდა ჰპოვოს ის სამუდამო სავანე, ცხოვრებამ — გაუსაძლისი ტანჯვის შემდგომ — ამხელა სიკეთე რომ უნდა დააბერტყოს თავს და ნეტარებაშიც ჩაძიროს.

მაგრამ როგორც ოდისევსი ვერ დარჩებოდა ნიმფა კალიფსოს კუნძულზე, ისე ქართული მოთხრობის გმირსაც ერთ დღეს ისეთი ძალით უნდა შემოაწვეს ნოსტალგია; მიხვდეს, ამას ვერაფრისდიდებით ვერ გაუძლებს და შესაძლოა ცოცხლადაც ჩაიფერფლოს, თუკი ახლავე არ დაუბრუნდება თავის მშობლიურ კერას, თავის ითაკას, რაც მისთვის ატმის ბაღად და იქ ჯადოქარივით მოფუსფუსე მამად არის გასიმბოლოვებული.

ალუბლის ბაღს თავისი მეხოტბე და შემომნახველი უნდა გამოსჩენოდა: ანტონ ჩეხოვის სახით.

და თავისი მეხოტბე და შემომნახველი უნდა გამოსჩენოდა ატმის ბაღსაც: გალაკტიონ ტაბიძედ.

და ეს სიმბოლიკა უნდა განმეორებულიყო ნესტან ეგეტაშვილის მოთხრობაშიც, გალაკტიონურ სტრიქონებს ორჯერ რომ უნდა ეჩინა თავი თხრობაში — სულის მოსათქმელადაც და გზის გამკვალავადაც, შემოცურებულიყო ის ატმის ხე შლილი, ოცნებას რომ ჰგავდა, როცა ღელავდა მზით აღჭურვილი, ლირიკულ გმირს მისი ჩრდილი ხშირად რომ ხიბლავდა და ხშირადაც სწვავდა ტრფობის სურვილი, მაგრამ... ატმის ხეს უნდა სწვეოდა ქარი და ფრთა მედგარი შემოეხია, და ახლაც უნდა გამოჰყოლოდა ხეს განაბზარი, ყვავილთა ღვარი რომ დაეფრქვეოდა.

გალაკტიონური შიშის მოლოდინით აღსავსე სტრიქონებს უნდა მიენიშნებინა მკითხველისათვის, ატმის ბაღი ხელუხლებელი რომ არ დახვდებოდა გმირს, რადგანაც მამას თავგამეტებული სიყვარული უზომო სიძულვილად უნდა გადაქცეოდა და ერთ საბედისწერო დღესაც მთლიანად აეჩეხა ბაღი და თვითონაც გასცლოდა წუთისოფელს.

გაჩეხილმა ბაღმა დანგრეული ბუდე უნდა მოგვაგონოს, იავარქმნილი კერა, დაშრეტაზე მიმდგარი სულიერება... მაგრამ მხოლოდ დაშრეტაზე მიმდგარი და არა დაშრეტილი, რადგანაც გალაკტიონური ატმის ბაღი უპირველესად მაინც იმ გაუნელებელი სევდით გავსებს, რაღაც ძვირფასსა და სანუკვარს მთელი არსებით რომ უნდა მოეჭიდო და მისგან რაღაც გადაარჩინო, გამოარიდო ქარსა და ნაჯახს, და შთაბერო ხელმეორე სიცოცხლე ახალი არსებობის დასაწყისად.

და გარეგნულად რაოდენ უცნაურიც უნდა მოჩანდეს ფინალი, შინაგანი ძაფებით, სიუჟეტის ფარული ნაკადით სწორედაც ბუნებრივი დაგვირგვინებაა გმირის ბედისაც და ჩვენი დრამატული, მაგრამ სინათლისაკენ მიმსწრაფი ცხოვრებისაც, მისტიკური სულით გადანათებულის, სიყვარულის აპოთეოზი რომ უნდა ჩაეწნას, „აიაში“ ერთხელ უკვე რომ მოგვევლინებოდა საგალობლად.

...და ატმის ხე კი, ატმის ხე შლილი კვლავაც ოცნებას ჰგავს, როცა მღელვარებს მზით აღჭურვილი.

ჭაშნიკად:
„ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი“

(დღიურის ფურცლებიდან)

როგორ გამეხარდებოდა, როდესაც შევიტყობდი, რომ:

„ინტელექტი“ თაკო ჭილაძეს დაუკვეთდა ჰენრი ფილდინგის რომანის — „ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი“ — ამეტყველებას ქართულად.

ეს ნიშნავდა, რომ:

მალე მოებმოდა თავი ამ უმნიშვნელოვანეს წამოწყებას.

ეს ნიშნავდა, რომ:

რომანის ქართული ორეული სწორედ ისეთი იქნებოდა, ჰენრი ფილდინგს რომ ეკადრებოდა, ინგლისური რეალისტური რომანის მამასა და დასავლური რომანისაც ბევრწილად განმსაზღვრელს.

„ჯოზეფ ენდრიუსის თავგადასავალიც“ გამორჩეული მოვლენაა და მისი ქართულად ამეტყველების დროც დადგება ადრე თუ გვიან, მაგრამ „ტომ ჯონსი“ მაინც იმ უჩვეულო მიღწევათაგანია, რომლის უთარგმნელობაც სერიოზული ხარვეზია ყოველი ქვეყნისათვის, თუკი სურს კულტურითა და ცივილიზებულობით გამოიდოს თავი.

და ამგვარ ხარვეზებსაც თანდათანობით რომ ვავსებთ, უჰენრიფილდინგოდ ეს ვერ მოხერხდებოდა.

ცხადია ხელშესახებად უნდა განგვეცადა ის უჩვეულო მადლი, რითაც აღსავსეა ინგლისური ორიგინალი; და ინგლისური ლიტერატურული იუმორი, მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და შთამბეჭდაობით, აქედან მომდინარეობს.

წაჭარბებით ვერავინ წააჭარბებდა — ვერც ჩარლზ დიკენსი და ვერც უილიამ თეკერეი, სხვა დიდოსტატ მწერლებზე რომ აღარაფერი ითქვას.

ის რომ ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასა?

ეს კი ასეა, მაგრამ... მაშინ მამა ჰენრი ფილდინგი არ უნდა გყავდეს.

და ამიტომაც ვერავინ დაგძრახავს, თუ მხოლოდღა კვალში მიჰყვები და ვერ დამჯობინებიხარ მამასა!..

ხელშესახებად უნდა განგვეცადაო...

გადაშლით ამა წლის 3 სექტემბრის „ლიტერატურულ გაზეთს", გაეცნობით რომანის ფრაგმენტს და... მიგნებულია, უდავოდ და უთუმცაოდ მიგნებულია ის რიტმიკაც და ის იდუმალი მუსიკაც, „ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი" მთელი თავისი ძალმოსილებით რომ უნდა განგვაცდევინოს და ვეება რომანი სულმოუთქმელად წაგვაკითხოს.

სილაღე, თამაში, თავაწყვეტილი სიცილი არავისაგან ესწავლებოდა ჰენრი ფილდინგს და მკითხველსაც ელაღობებოდა:

ნუ გაგიკვირდება, თუ ზოგიერთი თავი მეტისმეტად მოკლე შეგხვდება ან დანარჩენები — მეტისმეტად გრძელი; ზოგი ერთადერთი დღის ამბავს მოიცავს, ზოგი — წლებისას; მოკლედ, ეს ისტორია ხან ერთ ადგილზე გაიყინება, ხანაც გაფრინდება და ამის გამო არ მიმაჩნია თავი ვალდებულად, რომელიმე კრიტიკული მსაჯულის წინაშე პასუხი ვაგო, რადგანაც მწერლობაში ახალი ჟანრის დამფუძნებელი გახლავართ და, შესაბამისად, თავისუფალიც, ჩემთვის სასურველი წესები შემოვიღოო.

ხოლო თხზულებისათვის ამბავი რომ დაერქმია და არა ვინმეს ცხოვრება ან აპოლოგია, როგორც იმჟამად მიღებულიყო, სამართლიან გადაწყვეტილებად მიიჩნევდა, რადგანაც ამჯობინებდა უფრო იმ მწერალთა მეთოდს გაჰყოლოდა, ქვეყნებში რევოლუციურ ძვრებს რომ ასახავდნენ, ვიდრე მიებაძა გატანჯული და შრომისმოყვარე ისტორიკოსისათვის, რომელიც თავს ვალდებულად მიიჩნევდა, კანონზომიერების დასაცავად, იმდენიმე ფურცელი დაეთმო ყოველი თვისა და წლის წვრილმანი ამბებისათვის, არაფერი განსაკუთრებული რომ არა ხდებოდა, რამდენიც კაცობრიობის უზარმაზარ სცენაზე გათამაშებული მოქმედებებისათვის.

კითხულობ ამ ყოველივეს და... სული გისწრებს, თავით ბოლომდე გეპყრას ხელთ და სრულფასოვნადაც შეიგრძნო ინგლისური, საერთოდ კლასიკური რომანის სიმაღლე.

სულიც გისწრებს და გეიმედება კიდეც, რომ:

თაკო ჭილაძე დიდხანს არ გვალოდინებს და ჰენრი ფილდინგსაც ჩვეული ხელოვნებით შემოუძღვება ჩვენი ლიტერატურის სანახებში.

კულისები:
სიმართლის საძირკვლად

(ანონსის მაგიერ)

ვასილ კიკნაძის ავტობიოგრაფიულ რომანში "გამოთხოვება მოგონებებთან" საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი, თუ რა წინააღმდეგობანი შეხვდებოდა, როდესაც მოინდომებდა სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციას — არამარტო პოლიტიკურს, არამედ შემოქმედებითსაც. ეს აღმოჩნდებოდა დრამატული ეპოპეა, რასაც ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ რაკიღა ერთიდაერთი შეჰყვებოდა, აღარ შეეპუებოდა.

არადა ისე მოხდებოდა, რომ:

სანდრო ახმეტელის სახელის მოსალოდნელი აღდგენა გარშემო ყველას შეაშინებდა და შეაფიქრიანებდა — მათაც, ვისაც ბრალი ედო მის გაწირვაში, და მათაც, ვისაც არავითარი ბრალი არ მიუძღოდა ამ დანაშაულებრივ ქმედებაში.

ვასილ კიკნაძეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

სანდრო ახმეტელის ღვაწლი ვიღაც-ვიღაცებს გადაენაწილებინათ და ახლა აღარ სურდათ, რომ იძულებით დაებრუნებინათ უკანვე.

თუ ვინმე ამოუდგებოდა გვერდით, ნინო შვანგირაძე.

სამაგიეროდ დაპირისპირებული აღმოჩნდებოდა ილია თავაძესთან, ლავრენტი ბერიას ყოფილ თანაშემწესა და ამჟამად თეატრალური ინსტიტუტის რექტორთან, რომელიც თეატრალური საზოგადოების პლენუმზე ამის თქმასაც არ მოერიდებოდა:

კიკნაძე და შვანგირაძე ჩვენი საზოგადოებიდან კოსტიუმის ღილებივით უნდა მოწყვიტო და გადაისროლოო.

და რაც მთავარია დაუპირისპირდებოდა ბესარიონ ჟღენტი, ნაფიცი საბჭოთა კრიტიკოსი, არც საჯაროდ და არც კულუარებ-

ში რომ არ ერიდებოდა ვასილ კიკნაძის მკაცრად გაკრიტიკებას და მწერალთა კავშირის მდივნობას იმისთვისაც გამოიყენებდა, რომ "ლიტერატურულ საქართველოს" გამზადებული ნომრიდან ამოაგდებინებდა ვასილ კიკნაძის წერილს სანდრო ახმეტელზე.

წლობით გაგრძელდებოდა ეს ბრძოლა დიდებული რეჟისორის სახელის დასაბრუნებლად თეატრალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ბოლოსდაბოლოს ნინო შვანგირაძე, რომელიც ვასილ მჟავანაძის ნათესავი გახლდათ, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დაარწმუნებდა სანდრო ახმეტელისათვის იუბილის გადახდის აუცილებლობაში.

ეს კი მოასწავებდა სანდრო ახმეტელის სრულ რეაბილიტაციას: პოლიტიკურსაც და შემოქმედებითსაც. წინ აბა რაღა დაუდგებოდა!..

შეიქმნებოდა საიუბილეო კომისია და... იქ არც ვასილ კიკნაძეს შეიყვანდნენ და არც ნინო შვანგირაძეს.

სამაგიეროდ ყელმოღერებულნი ისხდნენ ილია თავაძეც და ბესარიონ ჟღენტიც, რომელიც სანდრო ახმეტელის მეგობრობაზეც დასდებდა თავს და ცრემლმორეული გაიძახოდა:

როგორც იქნა ვეღირსეთ სამართლიანობის აღდგენას და დიდებული სანდროს დაფასებასო.

და ვეღარ გაეგო ვასილ კიკნაძეს, რა ეწოდებინა ამ ფაქტისათვის: უსინდისობა? უმადურობა? უვიცობა? ყველაფერი ერთად თუ... ამას საერთოდ არც ერქვა სახელი?!.

ვასილ კიკნაძის კუთვნილ ადგილს ბესარიონ ჟღენტი რომ დაიკავებდა საიუბილეო კომისიაში, ისე შეიფერებდა, თითქოს ძალ-ღონე არ დაეზოგოს სანდრო ახმეტელის სახელისა და ღვაწლის აღდგენა-დამკვიდრებაში.

და ამ დეტალშიც რაოდენ სახიერად ირეკლება საბჭოთა-კომუნისტური რეჟიმის პარადოქსული, აბსურდული ბუნებაც და არსიც.

საიდუმლო არქივების გახსნა-გამომზეურება ბევრ — მანამდე დაფარულ — რეალიასა თუ ეპიზოდს რომ ამოიტანდა დღის სინათლეზე, გუბაზ მეგრელიძეს უნდა მიეკვლია და "თეატრის" 2020 წლის მე-3 ნომერში გამოექვეყნებინა დასმენის წერილი საქართველოს პოლიტსამმართველოს არქივიდან, დათარიღებუ-

ლი 1930 წლის 30 ოქტომბრით, და შედგენილი ბესარიონ ჟღენტის მიერ, რომელიც ბრალს სდებდა სანდრო ახმეტელს, რომ:

არა ზოგავდა არავითარ საშუალებას, საჯაროდ შეურაცხყოფა მიეყენებინა მისთვის, სახელი გაეტეხა, ტერორის ქვეშ დაეყენებინა და აეძულებინა ხელი აეღო ლიტერატურულ-კულტურულ მუშაობაზე.

ირწმუნებოდა ბესარიონ ჟღენტი:

რეჟისორ ახმეტელის მოქმედება ჩემს მიმართ სცილდება ყოველგვარ საზღვრებს. იგი გადადის უკვე აშკარა ბანდიტურ თავდასხმის ფორმებზე, ფაშისტური ტერორის მეთოდებზეო.

რას ითხოვდა საბჭოთა იდეოლოგიის სადარაჯოზე მდგარი კრიტიკოსი პოლიტსამმართველოსაგან და:

სათანადო ღონისძიებათა მიღებას, რათა დაცული ყოფილიყო ასეთი ბანდიტური ტერორისაგან რეჟისორ ახმეტელისა და მის თანამშრომელთა მხრიდან, რადგან ეს გახლდათ აშკარა ფაშისტური შებრძოლება და თავდასხმა საბჭოთა მწერლობასა და კრიტიკაზე. და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოში ასეთი თავხედური და კაბალური მოქმედების უფლება არავის უნდა ჰქონოდა.

ამ დოკუმენტს გამოვიყენებდი, შევაჯერებდი ვასილ კიკნაძის მემუარების შესაბამის მონაკვეთთან და ვაქცევდი სტატიად: "ავანსცენა და კულისები (ერთი პოლიტიკური ბეზღობის კვალზე)" — არამარტო ჩვენი ტრაგიკული ახლო წარსულის ერთ-ერთი სურათის აღსადგენად, არამედ მომავლისთვისაც, კიდევ ერთ თვალსაჩინოებად, რომ არავის შველის ავანსცენაზე გამოჯგიმვა და საგულდაგულოდ მორგებული ნიღაბი, რადგანაც საბედნიეროდ არსებობს კულისები, სადაც ყოველგვარი ნიღაბი ჩამოხსნილია და სიმართლე ჯიუტად და დაუცხრომლად მოიკვლევს გზას.

და არსებობს კულისების კულისებიც:

დოკუმენტური შევსება და დადასტურება იატაკქვეშა ისტორიით მოღწეული სიმართლისა, ყველას თავთავისას რომ მიუზღავს:

ნამდვილ გმირთაც და ზვარაკთაც და ნიღბოსანთაც ანუ ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებსაც...

საზოგადოება ვერ უნდა შეელიოს

(დღიურის ფურცლებიდან)

აქ მაინც მეგონა ყველაფერი მოგვარებული:

საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

რექტორად სერგო ვარდოსანიძე უკვე ნიშნავდა, რომ:

აწყობილი იქნებოდა საგანმანათლებლო სისტემაც და ზოგადკულტურული გარემოც.

და მართლაც:

გარდა სასწავლო პროცესისა, ყოველდღიურად რაიმე ღონისძიება იმართებოდა: წიგნების განხილვაც, საჯარო ლექციებიც, სამეცნიეროს სესიებიც და კონფერენციებიც.

სწორედ რომ მისწრება გახლდათ ახალგაზრდობისთვის ამგვარი გარემო და არ მიკვირდა, როდესაც მათ კულტურულ-საგანმანათლებლო თავყრილობებს ესწრებოდნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საგანგებო განკარგულება რექტორის სავარძელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნარჩუნებდა სერგო ვარდოსანიძეს, ეს კი სხვას რას ნიშნავს, თუ არა განსაკუთრებულ ნდობას მისადმი.

მაგრამ... თვით უწმინდესისა და უნეტარესის ნებას გადაუხვევდნენ და საეკლესიო გუნდი, რომელსაც უფლება ჰქონდა გარკვეულად ჩარეულიყო ქართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მეტისმეტს მოინდომებდა და ისეთ მოთხოვნებს წამოაყენებდა, სერგო ვარდოსანიძე იძულებული შეიქნებოდა უარი განეცხადებინა რექტორობაზე.

რა მოთხოვნებია და:

აღარ უნდა ისწავლებოდეს ამ უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის ისტორია.

აღარ უნდა ისწავლებოდეს საქართველოს ისტორია.

იჯერებ და... ვერ დაგიჯერებია...

და მაინც ეს არის ის მწარე რეალობა, რაც არ უნდა მოხდეს, თორემ ეს იქნება მძიმე დარტყმა არამარტო ქართულ უნივერსიტეტზე, არამედ საერთოდაც ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაზე.

შეუძლებელია ქართველი საზოგადოება შეელიოს ამ რანგის, ამ მომზადების, ამ მასშტაბის რექტორს.

შეუძლებელია იმ გუნდმა გაიტანოს თავისი და გადაწყვიტონ ბედი იმ უმნიშვნელოვანესი წიგნის შემქმნელისა, გარეგნულადაც ვეება რომ არის და — რაც მთავარია — შინაგანი სივრცითაც: "საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ)".

ერთი საუკეთესო გზამკვლევი ჩვენი სასულიერო ცხოვრების მდინარებაში ჩასახედად!..

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ:

სერგო ვარდოსანიძეს უნდა გაეხსნა დეტექტივის ალღოთი და გამჭრიახობით კირიონ მეორის მკვლელობის საიდუმლოება, ათწლეულების განმავლობაში ბურუსით მოცული და თვითმკვლელობად შენიღბული.

საუკეთესო გამოკვლევებს, მონოგრაფიებს, წიგნებს კვლავაც არაერთს შესძენს სერგო ვარდოსანიძე ჩვენს მეცნიერებასა და ლიტერატურას, მაგრამ მისი დიდი ენერგია და მასშტაბურობა ძალიან და ძალიან ესაჭიროება ქართულ უნივერსიტეტს, ამისათვის კი აუცილებელიაა სერიოზული რეორგანიზაცია და რექტორისათვის იმ უფლების დატოვება, თვითონ წყვეტდეს, რა საგნებში უნდა კითხულობდნენ სალექციო კურსს ლექტორები.

ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას რომ არაფერი უნდა აფერხებდეს, ეს კიდევ სხვა საფიქრალ-განსასჯელია და ყველას მკაცრად მოეკითხოს, ვინც ბედავს ამ ორი სასიცოცხლო დარგის წინააღმდეგ რაიმე მოიმოქმედოს.

ეს არც მოხდება, თუკი რექტორად სერგო ვარდოსანიძე დარჩება.

და დარჩება ერთადერთ შემთხვევაში:

საქმიანობაში ხელი არ უნდა შეუშალონ!..

პარლამენტი – მწერალთა თვალთახედვით

(ანონსის მაგიერ)

როდესაც მომიწევდა ესეი დამეწერა ვიქტორ ჰიუგოს რომანზე "93 წელი", გულს დამაკლდებოდა, რომ მსჯელობაში ვერ ჩაერთობოდა საფრანგეთის საპარლამენტო ცხოვრების სურათები, უფრო კი პანორამა, ორიოდე გვერდში დიდი საპარლამენტო მღელვარებანი რომ ჩაიწურებოდა.

მოკლედ — დამენანებოდა.

ვრცლად — კომპოზიციურ ჩარჩოს მომირღვევდა "ვიქტორ ჰიუგოს ზნეობრივი მრწამსისა".

გამოხდებოდა დრო და:

როდესაც ოთარ ჩხეიძის რომანებში — "არტისტული გადატრიალება", "თეთრი დათვი" და „2001 წელი" — ჩაერთობოდა საქართველოს საპარლამენტო ცხოვრების სურათები, უფრო კი პანორამა, ორიოდე გვერდში დიდი საპარლამენტო მღელვარებანი რომ ჩაიწურებოდა, თითქოსდა მარჯვე საშუალება მომეცემოდა, პარალელური თხრობის კვალობაზე გამეშალა ფრანგული და ქართული რომანების ამ მონაკვეთთა ანალიტიკური გააზრება, მაგრამ... რაღაც მაკლდა, ერთი ქვეყანა კიდევ იყო საჭირო, კიდევ ერთი საპარლამენტო ყოფაც უნდა შემოსულიყო მსჯელობაში — ის, რაც სამი მწერლის თვალთახედვას მოითხოვდა, ორი მწერლის მხატვრულ სივრცეს ვერ იკმარებდა.

და აი ის მესამეც, ძალდაუტანებლად რომ შეავსებდა ფრანგული და ქართული რომანებისეულ პანორამებს კიდევ ერთი პანორამით, ორიოდე გვერდში რომ ჩაიწურებოდა ბრაზილიის საპარლამენტო ცხოვრების დიდი მღელვარებანი — პერუელი მწერლის თვალით:

მარიო ვარგას ლიოსას "ბოლო ჟამის ომი" ის ქმნილებაა, არაერთხელ რომ მიგვაბრუნებს თავისკენ და სულ უფროდა-უფრო ჩაგვითრევს ამ იდუმალ სამყაროში.

მასალები ჩემს ხელთაა.

ეგ არის:

შემომრჩენია კი ჭაბუკური მგზნებარება, ურომლისოდაც ეს რომანები თავთავიანთ შესაფერის განმსჯელს ვერ იპოვნიან!..

დრო გამოაჩენს, ის დრო, თუ მარჯვედ შევარჩიე ამ რომანებში ჩასაფლობად.

ერთი გარემოებაც მაგულიანებს:

თარგმანები ისეთი რანგისაა, დიდი სიამოვნებით რომ მოიხმობ ამონარიდებს.

ივანე მაჭავარიანის ნათარგმანები ხელიხელსაგოგმანებლობას ყოველთვისაც შეინარჩუნებს. "93 წელსაც" ჩვენი ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად რომ აქცევდა.

და ჩვენი ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად უნდა ქცეულიყო ელისაბედ ყვავილაშვილის მიერ ქართულად ამეტყველებული "ბოლო ჟამის ომიც", რომელიც ჯერ მარტო იმიტომაც აკლდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებას, მარიო ვარგას ლიოსა იმავე ისტორიულ ამბავზე რომ გაშლიდა სიუჟეტს, გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი" რასაც დაეყრდნობოდა, კანუდოსს — ამ უცხო და უცნაურ სახელს — ასერიგად რომ გაგვიმშობლიურებდა.

თუ გამიმართლებს, ხომ კარგი, თუ არადა:

ჭაბუკური მგზნებარება არ აკლიათ ჩვენს მწერლებს — ყველა თაობისას...

არა, ვიქტორ ჰიუგო ხელიდან როგორ გაუშვებდა ამ თემას, საპარლამენტო ცხოვრება მხატვრულად რომ გარდაექმნა...

მოვალეობად: წარმოჩენა ლიტერატურული სკოლებისა

(თეზისური მონახაზი)

შეუძლებელია გული არ აგითრთოლდეს, როდესაც გალაკტიონ ტაბიძის ამ ჩანაწერს ამოიკითხავ თავის თავზე:

რომანტიკოსთა სკოლის პირველი კლასის მოწაფეო.

რომანტიკოსთა სკოლის და პირველი კლასისა რა მოგახსენოთ და:

აკაკი წერეთლის სკოლიდან კი ამოზრდილიყო, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ოღონდ ის თავის სკოლას ვეღარ შექმნიდა, განსხვავებით გალაკტიონისაგან, რომელიც ახალ სკოლას უმეთაურებდა.

არც ნიკოლოზ ბარათაშვილს და არც გრიგოლ ორბელიანს არ გაუჩნდებოდათ თავთავისი სკოლა, თუმც ერთის სტილური ხაზიც იჩენდა თავს და მეორისაც, და არამცთუ XIX საუკუნეში, მეოცეშიც გადმოჰყვებოდა.

ალექსანდრე ყაზბეგის სტილური ხაზი მოიყოლებდა ვასილ ბარნოვს, რომელიც მთელი სკოლის წინამძღოლი უნდა გამხდარიყო, ხოლო სკოლა ყაზბეგისა გამოკვეთით გამოიკვეთებოდა, ოღონდ შესაფერისი დაგვირგვინება ვეღარ დასცალდებოდათ.

გალაკტიონი რომ განსაზღვრავდა ჩამოყალიბებას თავისი ლიტერატურული მემკვიდრეებისა, მის ფონზე როგორღაც გადაიფარებოდა სიმონ ჩიქოვანის სკოლა, რაც საკმაოდ თვალსაჩინოცაა და უთუოდ შესაფერისად წარმოსაჩენიც.

სკოლა არ ამოიზრდებოდა გიორგი ლეონიძისა თუ ანა კალანდაძის მხატვრულ-ესთეტიკური და სტილური სამყაროდან, სამაგიეროდ ხელშესახებად წარმოდგებოდა ტარიელ ჭანტუ-

რიას, ბესიკ ხარანაულისა თუ ლია სტურუას სკოლები (საგანგებოდ არის შესასწავლი 60-70-იანი წლების ვერლიბრის გენეტური კავშირი ერთი მხრივ გალაკტიონ ტაბიძისა და მეორე მხრივ სიმონ ჩიქოვანის პოეზიასთან).

ხოლო ვასილ ბარნოვის სკოლიდან ოთარ ჩხეიძეც რომ ამოიზრდებოდა, მას - სხვებისაგან განსხვავებით - თავისი სკოლაც უნდა შეექმნა.

და თუმც მიხეილ ჯავახიშვილის სტილური ზეგავლენა სახიერად უნდა წარმომდგარიყო, მას უფრო გარკვეული მიმართულება უნდა განესაზღვრა, რადგანაც მის ნაღვაწზე სკოლა არ დაფუძნდებოდა.

აგერ ჩვენს თვალწინ კი ხელშესახებად იკვეთება ნაირა გელაშვილის სკოლა, საკმაოდ წარმატებით რომ ამოძრავებულა.

ამ ყოველივეს შესაფერისი დასაბუთებაც ესაჭიროება?

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ამ მოვალეობასაც იდებს თავს და, ვიმედოვნებ, შორსაც არ გადადებს.

ეს უჩვეულო, უცნაური ჟანრი

(ანონსის მაგიერ)

— მამის სახლიდან... მამის სახლისკენ...

ეს ის ბედნიერად ნაპოვნი სტრიქონია, ანდაზასავით სხარტი და ელვარე, დათო მაღრაძის პოეზიის არსსაც რომ განსაზღვრავს და — შესაბამისად — მისი მსოფლხედვისა და მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსის უმთავრეს თავისებურებასაც.

ამჯერად კი ეს სტრიქონი — მიწიერისა და ზეციურის ჰარმონიული შერწყმა-გამთლიანების მოხდენილი გამომხატველი — ეპიგრაფადაც გამომადგებოდა ნარკვევისათვის "წარსულის მეციხოვნენი" ("განთიადი", 2021, №7-8), რომელიც მიეძღვნებოდა ელგუჯა მაღრაძეს, უშუალოდ კი მის ორ თხზულებას: "გულითა მართლით" და "სრბოლა ცხოვრებისა" — ერთში კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი რომ გამოიკვეთებოდა და მეორეში — ლევან გოთუასი.

თხზულებებს, რომელთა ჟანრობრივ თავისებურებასაც ადვილად ვერ განსაზღვრავდი, ერთდროულად რომ წარმოდგებოდნენ:

მოგონებადაც, კრიტიკულ ჩანახატადაც, პუბლიცისტურ ჩანაწერადაც, დოკუმენტურ ნოველადაც, ფსიქოლოგიურ შტრიხებადაც, ლიტერატურულ სილუეტადაც და პორტრეტის მონახაზადაც.

ცხადია ეს ყოველივე არა ეკლექტურად, არამედ ჰარმონიულად ეზავება ერთმანეთს და იწვევს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას.

ეს ის ჟანრია, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში აკაკი წერეთელს უნდა შემოეტანა და ჩვეული ხელოვნებითაც დაემკვიდრებინა.

ეს კი ნიშნავს, რომ:

ისეთ სიმაღლეზე აეზიდა თამასა, რომლის ჩამოწევის უფლებაც აღარ გექნებოდა, თუკი მაინცდამაინც ამ ჟანრისათვის ხელის მოკიდებას გადაწყვეტდი.

და აი ელგუჯა მაღრაძესაც — ისევე როგორც ამ ორიგინალური ჟანრის რამდენიმე მიმდევარსაც — უნდა შეენარჩუნებინა ეს თამასა, როდესაც სწორედ ამ უჩვეულო ყაიდით შემოგვინახავდა მისებურად წარმოსახულ პორტრეტებს ჩვენი ორი დიდებული მწერლისა — ერთი ასეთუისე დაფასებული რომ არის და მეორე ჯერაც დასაფასებელი გვყავს, თუმც ლევან გოთუაზეც ნელ-ნელა ემატება ნარკვევი ნარკვევს და წიგნი წიგნს.

ელგუჯა მაღრაძისათვის ლევან გოთუა გახლდათ ჩვენი წარსულის ერთი განუყოფელი ხალასი ზოდი.

და მის შემოქმედებით მემკვიდრეობას გაიაზრებდა წარმატებულზე წარმატებულ მცდელობად — წრფელი, დამაჯერებელი პასუხი გაეცა მხატვრული სიტყვით იმ შეკითხვისათვის, რომელიც ილია ჭავჭავაძეს წამოეჭრა:

რას შეენახა ჩვენისთანა ერთიმუჭა ხალხი ამდენ დაუძინებელ მტრებს შორის და როგორ შეერჩინა ხარბობას უცხო თემთა ის მშვენივრად შემკული წალკოტი, რომელსაც საქართველოს ვეძახდით.

ელგუჯა მაღრაძე საგანგებოდ წარმოაჩენდა, რომ:

ლევან გოთუა ისტორიულ სინამდვილეს ჭვრეტდა არამარტო მწერლის თვალით, რათა მშვენიერი ფორმა მოენახა მკითხველამდე მისატანი სათქმელისათვის და მხატვრული ძალით გამოეკვეთა როგორც ისტორიული პირნი, ასევე თავისი ფანტაზიით შექმნილი გმირები, არამედ სწავლული მეცნიერივითაც განიხილავდა გამოწვლილვით, ითვისებდა, სწავლობდა, შემოქმედებით ქურაში ამუშავებდა, აწრთობდა და მხოლოდ ასე გამოჰქონდა სამზეოზე გარდასული დროის ამბები.

ჯერ გულდასმით უნდა შეესწავლა ჩვენი თუ უცხოური ისტორიული წყაროები და მხოლოდ ამის შემდეგ შედგომოდა წერას.

ლევან გოთუას მხატვრული სიტყვის ძალას, მის სტილურ თავისებურებასა და შთამბეჭდაობას ხატოვნად რომ წარმოსახავდა, მიიჩნევდა:

გელათისა და იყალთოს, ბეთლემისა და ვარძიის, ყინცვისისა და შიომღვიმის დიდ ტაძართა დარჯაკში გამოვლილად თუ დავით აღმაშენებლის "გალობანი სინანულისანის" ცისარტყელას შვიდ ფერში ნაწრთობად.

ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას უმთავრეს საწუხარ-სადარდებელს ამ კუთხით გაგვაცნობდა:

მწერლობა პროფესიად რომ გადაქცეოდა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოში უსათუოდ პოლიტიკური მოღვაწე იქნებოდა.

დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის შვილს კი სხვა რაღა დარჩენოდა — მთელი თავისი ძალ-ღონე მწერლობისაკენ უნდა მიემართა იმ იმედით, რომ უსათუოდ დადგებოდა გამოხსნის ჟამი და მწერლის ხელობას ჩაანაცვლებდა სახელმწიფო მოღვაწის ხვედრით.

ელგუჯა მაღრაძე მოიშველიებდა პარალელურ მეთოდს — პლუტარქესაგან ნაანდერძევს — და შეადარებდა ივანე ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას, ერთს რომ შეექმნა დრო-ჟამისაგან დაურღვეველი, მტკიცედ ნაშენი დიდებული ტაძარი, მეორეს კი მოესურათხატებინა, მარადიული სული შთაებერა, ხორცი შეესხა და აემეტყველებინა. მის შემოქმედებაში აშკარად რომ ჩანდა წარსულზე გულგასენილი კაცის პირქუში სევდაც და მომავლის იმედის ბრწყინვა-ციალიც.

საგანგებოდ მოიხსენიებოდა კონსტანტინე გამსახურდიას საოცარი გაბედულება, თავგამოდებით რომ ებრძოდა პიროვნების ხელისუფლებას, წარსულში იქნებოდა, აწმყოსა თუ მომავალში.

ამიტომაც უნდა შეექმნა კონსტანტინე არსაკიძის სახით მხატვრული ხატი განწირული ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში.

იმხანად — 1939 წელს — ეს მეტად სარისკო ნაბიჯი გახლდათ, თავგანწირულობამდე მიწევნილი, რაკიღა მწერალი ამ გმირში თავისი მე-ს შინაარსს ჩასდებდა დაუფარავად და... დიდი რამ ამოცნობა აღარ სჭირდებოდა, რომელი სახელმწიფო ტირანია იგულისხმებოდა და რომელი მბრძანებელი...

მწერალი ყოველთვის რეალობიდან ამოდიოდა და ესწრაფოდა, რომ არცერთი ლანდშაფტი, არცერთი ტიპი, არცერთი სახე

მხოლოდ ფანტაზიით არ შეეთხზა, რადგანაც პოეტური გამონაგონი ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვიდოდა, თუკი მიწიერების სურნელი არ გადაჰკრავდა.

მაგრამ არც ის ეჭაშნიკებოდა, როდესაც მისი თანამოკალმენი ნამდვილად მომხდარი ამბების იქით ვერ მიდიოდნენ. მათ რეპორტიორებად დაბადებულებად მოიხსენიებდა, რადგანაც აკლდათ ის, რაც ჭეშმარიტ მწერლობას ჟურნალისტიკისაგან განასხვავებდა: ფანტაზიის, წარმოსახვის უნარი.

ჩემს ნარკვევში უნდა გათვალსაჩინოებულიყო ამ ორივე თხზულების — "სრბოლა ცხოვრებისა" და "გულითა მართლით" — სანიმუშოობა, როგორც აკაკი წერეთლის მიერ დანერგილი ტრადიციის წარმატებულ მონაპოვართა, ტრადიციისა, რომლის უკეთესი გამოვლინებანიც არანაკლები სახიერებით წარმოაჩენენ ავტორს, ვიდრე მის თხზულებათა გმირებს.

და ამჯერადაც:

ლევან გოთუასა და კონსტანტინე გამსახურდიას ფონზე თვალნათლივ რომ უნდა შეგვეცნო და შეგვეგრძნო ელგუჯა მაღრაძის ლაღი, უშურველი პიროვნული ბუნებაც, მისი ძალდაუტანებელი დგომაც ქვეყნის მეცხოვნეთა შორის.

ყატარელებს რატომ უნდა დაესწროთ

(დღიურის ფურცლებიდან)

გიორგი ლობჟანიძისათვის ჩვენშიც გაიმეტებდნენ ერთი-ორჯერ ლიტერატურულ პრემიას, განა არა, ოღონდ:

როგორც მთარგმნელისა და არა პოეტისათვის.

თითქოსდა უპირველესად მთარგმნელი ყოფილიყოს, რომელიც შესაძლოა ურიგო ლექსებსაც არა წერდა, მაგრამ მთლად იმ რანგისასაც ვერა, შესაფერისი ჯილდო ერგუნებინათ.

არადა:

უპირველესად სწორედაც პოეტია, ერთ-ერთ მოწინავედაც რომ გვეგულება ჩვენი ლიტერატურის მდინარებაში.

და ცხადია მის შესანიშნავ თარგმნებსაც უნდა მოვაგებდეთ პატივს და კრიტიკულ-ესთეტიკურ ესეებსა და გამოკვლევებსაც, მაგრამ ამდენი ხნის განმავლობაში ერთხელ როგორ არ უნდა დაგვეფასებინა ჯეროვნად მისი რომელიმე პოეტური კრებული, ჩვენი პოეტური აზროვნების მონაპოვართაგანი?!.

ყატარში „პოეზიის სახლის“ ორგანიზებით რომ გაიმართებოდა პოეზიის კონკურსი „ნაზრა“, ისინი უფრო მიხვდებოდნენ, გამორჩეულ პოეტთან რომ ჰქონდათ საქმე და კიდეც არგუნებდნენ პრემიას, როგორც საუკეთესო ლექსის - „უდაბნო ბაღში“ - ავტორს.

ნურავინ გამოიდებთ თავს:

პრემიას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი მკითხველის სიყვარულია, რაც გიორგის არასოდეს მოჰკლებიაო.

რასაკვირველია ეს ასეცაა, ყოველგვარ ლიტერატურულ ჯილდოს გადააჭარბებს მკითხველის სიყვარული, მაგრამ ეს პრემიები ხომ არის „რაღაც“ — მაშ რატომღა არსებობს? — და

ეს „რაღაც" შეგვეძლო ამდენი წლის განმავლობაში მისი ამათუიმ პოეტური კრებულისთვისაც გვერგუნებინა.

ცხოვრება ჯერ წინ არის და ესეც მოხდება და — იმედია — არაერთხელაც, მაგრამ — ყატარელებს რატომ უნდა დაესწროთ ჩვენთვის?!.

ვითომ ჩვენზე უკეთესად ერკვევიან ნამდვილი პოეზიის რაობაში?

თუმც ადვილი მისახვედრია — რატომაც!..

იმედი კი იმისაა:

ადრე თუ გვიან ჩვენშიც რომ მოწესრიგდება სამწერლო ცხოვრება და ლიტერატურული ჯილდოები და მკითხველის სიყვარული ერთმანეთს მეტ-ნაკლებად გაუთანაბრდება.

ხმლითა და კალმით

(სეხნია — ჩხეიძეთა ქართლის შტოდან)

სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებას“ გზამკვლევად რომ გამოიყენებდნენ ევროპელი მკვლევარები სეფიანთა ირანისა და ავღანეთის ისტორიის ლაბირინთებში გზის გასაგნებად, უხვად მოღწეულ ფასდაუდებელ ცნობებს რომ მოეჭიდებოდნენ და არაერთი გარემოება თუ ეპიზოდი გაუნათდებოდათ, ამ საერთაშორისო მნიშვნელობას ქართული საისტორიო წყაროსი თვალნათლივ და შთამბეჭდავად წარმოაჩენდა თამაზ ნატროშვილი ისტორიული ესეების წიგნში „მაშრიყით მაღრიბამდე“ და ავტორის მონუმენტურ პორტრეტსაც მოხაზავდა, დიპლომატის, მემატიანისა და მეომრის, ხმლითა და კალმით რომ დაჰყვებოდა თავის მამიდაშვილს გიორგი მეთერთმეტეს ირანსა და ავღანეთში და გვიტოვებდა ამ ძვირფას ქრონიკას, რომელიც გამოირჩეოდა ერთი მხრივ იმით, რომ პირველად დაერთვოდა ისტორიულ თხზულებას ქრონოლოგიური ნუსხა, მეორე მხრივ კი იმ იუმორით, რაც უცხოა ამ ყაიდის ქმნილებათათვის.

ყოფითი რეალობა სისხლს აჩქეფებდა ულმობლად და დაუზოგავად?

ამ სისხლის დენას ვერ გადაურჩებოდა სეხნია ჩხეიძის მიუკერძოებელი თხრობაც, ავღანეთის უდაბნოებში სულს რუსთველური სტრიქონები რომ მოათქმევინებდა და ის ღიმილი და სიცილი, მისი მატიანის ფურცლებიდან რომ შემოგვანათებს.

ავღანეთის ქალაქებს ქალაქებზე აიღებდა გიორგი მეთერთმეტე თავისი მცირე რაზმით, აღწევდა იმას, რაც ირანი დიდი ლაშქრითაც ვერაფრისდიდებით ვერ ახერხებდა, ქართველი მეფე კი უბრძოლველად ათმობინებდა ბრძოლებში ნაცად და თავზეხელაღებულ ავღანებს ციხე-სიმაგრეებს.

ჰოი რა პანიკური შიში შეუდგებოდათ მისი ყოველი გამოჩენისას თვალსაწიერზე:

ქართველები მოდიან, კაცისმჭამელები, მაგათ რა გაუძლებს და სჯობს ხმლის გაუქნევლად დავყაროთ იარაღიო!..

იცინოდა და რას იცინოდა სეხნია ჩხეიძე „მეფეთა ცხოვრების“ ფურცლებზე:

რა იცოდნენ, რომ არამცთუ კაცის ხორცს, თვითეული ჩვენგანი ერთ ქათამსაც ვერ გაათავებდაო.

წყაროს ძებნა უდაბნოში იუმორისტულ ნოველასაც დაშვენდებოდა, საერთოდ კი ეს მატიანე ძალდაუტანებელი მინიშნებაა და შეგონება, რომ ისტორიულ ქრონიკებსაც, თვით ყველაზე საზარელი ეპოქისაც, თავისებურად ალამაზებს ღიმილიც და გულიანი გაცინებაც.

ამ ძეგლს ბოლო ხანს თამაზ ლაცაბიძე შემოიტანდა სამეცნიერო-ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მიმოქცევაში, და საერთოდაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა ჩხეიძეთა საგვარეულოს ქართლის შტოს ღვაწლს, ამ მეცნიერულ ძიებებსა და საარქივო მონაპოვრებს რომ დავეყრდნობოდი ბიოგრაფიული ნატეხების ციკლის ამ კიდევ ერთი ნიმუშის შესაქმნელად: „ჩხეიძეთა საგვარეულო შტო“ — რომლისადმი მიძღვნილ რეცენზია-ნარკვევსაც რუსუდან დაუშვილისა „გვარი, ნერგი კეთილი...“ — მკითხველი გაეცნობოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 6 ოქტომბრის ნომერში დასტურად იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიული საგვარეულოების შესწავლას, რადგანაც:

აგერ ერთი — ჩხეიძეების — გვარის კვლევას არამარტო გვარის, არამედ საქართველოს ისტორიის ერთი დიდი და ტრაგიკული მონაკვეთი ახლებურად დაენახვებინა მკითხველისათვის.

რეცენზენტი დასძენდა იმასაც:

ამ ბოლო წლებში საგვარეულო და სათემო კავშირების შექმნას განსაკუთრებით რომ გაეზარდა ინტერესი არამარტო ისტორიული საგვარეულობის, არამედ საერთოდ ქართული გვარებისადმი.

და ინატრებდა, რომ:

სხვა გვარებსაც გამოსჩენოდნენ მოჭირნახულე პიროვნებანი, რათა მრავლად დაბეჭდილიყო გადმოცემებსა და ლეგენდებს იქით გამოკვეთილი ისტორიული პანორამა — წყაროებითა და დოკუმენტებით გავსებული და გამაგრებული.

ამ წყაროებისა და დოკუმენტების მიგნებასა და მოკრებას კი მართლაც რომ ოქროსმაძიებლის თავდაუზოგავი გარჯა ესაჭიროებოდა, თამაზ ლაცაბიძე ჩემი გვარის დაფარულ, მიჩქმალულ რეალიათა მოპოვება-ამოზიდვით სწორედაც რომ ოქროსმაძიებლის მოვალეობას იტვირთებდა და სანიმუშოდაც აღასრულებდა.

ხოლო ივანე ჯავახიშვილი სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებას“ რაინდულ რომანს რომ შეადარებდა, არა მისი სტილური დიდებულების დითირამბად, არამედ — ისტორიული მნიშვნელობის დასაკნინებლად: თხრობაში გართული მნიშვნელოვან მოვლენებს ვერ ამჩნევდა, და ომისა და ვაჟკაცობის დიდი მოტრფიალე ზოგჯერ წვრილად აღწერდა ისეთ ლაშქრობებსაც, რომელთაც საქართველოსთან კავშირი არა ჰქონდათო.

თამაზ ლაცაბიძე არ შეეპუებოდა სახელოვანი ისტორიკოსის ავტორიტეტს და დამაჯერებლად გააბათილებდა ამ თვალსაზრისს და ნათელყოფდა სეხნია ჩხეიძის ცნობების სანდოობასაც და უნიკალურობასაც ვალერიან გაბაშვილის, დავით გვრიტიშვილისა და თამაზ ნატროშვილის კვლევა-ძიებებზე დაყრდნობით, იოსებ ქართველის ცნობებთან შეჯერებით.

თამაზ ნატროშვილს საგანგებოდ უნდა წარმოეჩინა ამ მატიანის მნიშვნელობა იმ მხრივაც:

ქერმანის უდაბნოში გიორგი მეთერთმეტისა და მისი რაზმის სამსახურს სიმშვიდე რომ მოეტანა შორს დარჩენილი სამშობლოსათვის, წელში რომ გაიმართებოდა და აშენდებოდა: და დიდი კულტურული აღორძინებაც იმ თავგანწირვას უნდა მოჰყოლოდა.

„ჩემი საგვარეულო შტო“ აქამდე ორჯერ შეფასდებოდა პერიოდიკაში: გია ჯოხაძისა და ნანა კუციას სტატიებით „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, ავტორები უფრო სხვა პასაჟებითა და რეალიებით რომ დაინტერესდებოდნენ, რუსუდან დაუშვილი კი უფრო

სეხნია ჩხეიძის კვალს გაჰყვებოდა, მისი დანახვაც რომ თავზარს სცემდა ავღანელებს:

ესეც კიდევ ერთი კაცისმჭამელიო.

ამაოდ რომ შეეცდებოდა მათ დამშვიდებას:

ერთი ქათმის გამთავებელიც კი არა ვარ, რა კაცისმჭამელი და რომელი კაცისმჭამელიო.

იცინებდა და ეს სიცილიც ჩაეწვნოდა მოხდენილ გირლანდად ტრაგიზმით სავსე დროებასაც და იმ მატიანესაც, დიდებული მეფის მონუმენტური სახება ხელშესახები რომ უნდა გაეხადა შთამომავლობისათვის, სეფიანთა ირანი მისგან რომ მოელოდა შველას და სამაგიეროდ სამშობლოს უსაფრთხოებას აღუთქვამდა.

ხმლითაც ტოვებდა კვალს მეფის ბიძაშვილი და თანამებრძოლი სეხნია ჩხეიძე.

კალმით ხომ ტოვებდა და ტოვებდა, და კიდევ რამდენ რაიმეს გაგვინათებს და მიგვახვედრებს „მეფეთა ცხოვრების“ გულმოდგინედ გაჩხრეკა.

* * *

არიქა, ქართველები მოდიან, ირანელები კი არა, იარაღის დაყრა გვერჩივნოსო, — ერთმანეთს ურჩევდნენ ავღანელები, მორჩილებად ქცეულნი, ქედმოდრეკილნი, ქალაქთა გასაღებებით ხელში...

მაშ არადა!..

ვინ დაეწაფება დასანაფებელსა?!.

(ოთარ ჩხეიძის წინასწარჭვრეტათა კოლექციიდან)

— ყველას მოეხსენება თუ როგორ აწყდება პრეზიდენტის კანცელარიასა. სააკაშვილი. ისევ აწყდება. ისევ ისე. თავგამეტებითა. აწყდება. და აწყდება. შუბლით აწყდება. ურახუნებს. და ურახუნებს. ან შეანგრევს. და შევარდება. და დაეუფლება. დაეწაფება ანუ მწყურვალი. დაეწაფება. დაეწაფება...

ეს პასაჟი ოთარ ჩხეიძის რომანიდანაა: „2001 წელი“.

თვალნათლივი, ექსპრესიული სურათი, ეპიკურ ნატეხში ჩაწურული გარდამტეხი დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში: 2003 წლის 23 ნოემბერი.

პრეზიდენტის კანცელარია რეალობაცაა და სიმბოლური, განზოგადებული სურათიც იმ გარდამტეხი ცვლილებისა.

გარდუვალია წასვლა ქვეყნის პრეზიდენტისა.

გარდუვალია მოსვლა ახალი პრეზიდენტისა.

„დაეწაფება მწყურვალიც“ ამასვე მიგვანიშნებს და ადასტურებს — თან ყოფითი დეტალია, ყოფითი შტრიხი, მიხეილ სააკაშვილს რომ უნდა მოესვა რამდენიმე ყლუპი ედუარდ შევარდნაძის მიერ ტრიბუნაზე მიტოვებული ჩაის ჭიქიდან, თან კიდევ ერთი განზოგადება და სიმბოლიკა, პრეზიდენტის სავარძელი ახლა მან რომ უნდა გადაიბაროს.

რაც მოხდა, იმის მხატვრული სურათია და გასაკვირიც არა იქნებოდა რა, ოთარ ჩხეიძის ეს რომანი ამ ისტორიულ დღემდე წლინახევრით ადრე რომ არ ყოფილიყო დასრულებული:

2002 წლის მაისში.

გაგრძელებებით გამოქვეყნდებოდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე იმავე წლის სექტემბერ-ნოემბრის ნომრებში.

ცალკე წიგნად გამოიცემოდა 2003 წლის მაისისათვის — წლისთავზე მისი შექმნიდან.

თვალწინ მიმდინარე მოვლენები გადავიდოდა რომანის ფურცლებზე, დოკუმენტურ ფონზე რომ წარმოდგებოდნენ ყველა ისინი, რომლებიც აქტიურად ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში და ვინ თავდაუზოგავად მიისწრაფეოდა ცვლილებებისაკენ, ვინ ასევე თავდაუზოგავად ებღაუჭებოდა ძველსა და შესაცვლელს.

ყველა თავთავისი სახელით გამოჩნდებოდა თხრობაში — რაც ნიშანდობლივი გახლდათ ოთარ ჩხეიძის მხატვრული ხედვა-მანერისა და სტილისტიკისათვის.

ამიტომაცაა, მისი რომანების ისტორიულ ფონს — გარდა პირწმინდად მხატვრული დანიშნულებისა — ისტორიული და სოციალური მნიშვნელობაც რომ ენიჭება.

და ამიტომაც ირწმუნებოდა ლევან სანიკიძე:

დადგება დრო და ოთარ ჩხეიძის „არტისტულ გადატრიალებასაც“ და სხვა რომანებსაც ისევე გამოიყენებენ ისტორიკოსები ამ ურთულესი მოვლენების გასააზრებლად და შესაფასებლად, როგორც შლიმანმა ჰომეროსის „ილიადაზე“ დაყრდნობით გათხარა და აღმოაჩინა ტროაო.

მიხეილ სააკაშვილიც თავისივე გვარ-სახელითაა შემოყვანილი რომანის პერსონაჟად, ისევე როგორც მისი თანამებრძოლნი თუ მოწინააღმდეგენი.

და რა გამოდის:

ოთარ ჩხეიძეს წლინახევრით ადრე დაუნახავს თვალნათლივ ის სურათი და მხატვრული განზოგადებაც მიუნიჭებია, რაც 2003 წლის 23 ნოემბერს უნდა მომხდარიყო.

რომანის ამ პასაჟს თავის დროზევე მიაქცევდა ყურადღებას სოსო სიგუა ესეიში „ტრაგიკული ათწლეული“ („ჩვენი მწერლობა“, 2004, 23 იანვარი) ნიმუშად იმისა:

მწერალი ეფექტური დეტალებით, ჭარბი დახასიათების გარეშე როგორ ნარმოგვიდგენს პერსონაჟს, თითქოს სხვათაშორის გვაწვდის სპეციფიკურ ნიშნებს, მაგრამ ისე მოხდენილად, წარუშლელად რჩება მეხსიერებაში.

რომანის ეს პასაჟი, ეს სურათი ასე პირდაპირ რომ გადავიდოდა ყოფით რეალობაში, როგორც მისი ხორცშესხმა, გაოცებული ვკითხავდი ოთარ ჩხეიძეს:

— წინასწარ ასე როგორ დაინახე, ვანგა ხარ თუ ნოსტრადამუსი?

გაიცინებდა:

— ვანგა და ნოსტრადამუსი არ სჭირდებოდა იმის დანახვას, რაც მოხდებოდა. მოვლენები ისე ეწყობოდა ერთმანეთს, ედუარდ შევარდნაძეს აღარ დასცალდებოდა საპრეზიდენტო ვადის ჩამთავრება. უსათუოდ დაამხობდნენ. ეს ან პარლამენტის შენობიდან უნდა მომხდარიყო, ან კანცელარიიდან, საბოლოოდ მაინც კანცელარიის შენობას რომ უნდა გამომშვიდობებოდა. და დაამხობდა ის, ვინც ყველაზე მკვეთრად, ყველაზე თავდაუზოგავად დაპირისპირებოდა და ასეთ პიროვნებად სწორედ მიხეილ სააკაშვილი იკვეთებოდა.

— და... „მწყურვალივით დაეწაფა“ რაღამ დაგაწერინა?

— რაღამ და: ფსიქოლოგებისათვის ეს ცნობილია — როდესაც ადამიანი აღწევს იმას, რასაც მთელი არსებით ესწრაფის, საშინელი წყურვილი იპყრობს და, თუ რაიმე არ დალია, შეიძლება გაგიჟდეს ან გულშემოყრილი დაეცეს.

— და მართლაც ასე მოხდა, შევარდნაძის ჩაი რომ მოსვა. მე კი იმ წუთას ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ ეს მიშამ იმის დასამცირებლად გააკეთა.

— ქვეშეცნეულად ეს აქტი ნიშნავდა, ახლა ჩემს ხელში გადმოინაცვლებს ძალაუფლებაო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საშინელ წყურვილსაც გრძნობდა და, ის ერთი-ორი ყლუპი რომ არ მოესვა, კაცმა არ იცის, რა დაემართებოდა...

ლოგიკური ანალიზიც არის ეს ყოველივე, ცხადია, მაგრამ უთუოდ წინასწარჭვრეტის უნარიც, ის წინასწარმეტყველური ნიჭი, რაც ყველა მწერალს არ მომადლებია და ასე სახელდახელოდ კი წამოგვაგონდება ფიოდორ დოსტოევსკის, ფრანც კაფკას, ილია ჭავჭავაძისა თუ მიხეილ ჯავახიშვილის სახელები.

და ოთარ ჩხეიძეც მათ მწკრივში უნდა ვიგულისხმოთ.

რარიგ გვჭირდება ახლაც მისი წინასწარმეტყველური უნარი, ერთი-ორი წლით ადრე რომ შეიძლებოდა ჩაწერილიყო მის ახალ რომანში, თუნდაც:

როგორ ბრუნდება მიხეილ სააკაშვილი საქართველოში.

ნუ გაგვიკვირდება, მთელი მარშრუტიც თუ აღიწერებოდა.

იმ რომანიდან იმასაც შევიტყობდით, თუ რას უნდა ველოდეთ, როგორ წარიმართება ის ურთულესი, უმწვავესი, დრამატიზმით აღსავსე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, რომლის შუაგულშიც ვტრიალებთ და გზის გაგნებას ვეძიებთ.

ახლა კი...

ახლა — ვარაუდების ამარა დარჩენილებს — ვინ გვეტყვის, ვინ გაგვარკვევს, ვინ მიგვანიშნებს, გზას ვინ გაგვაგნებინებს ამ დახშული სინამდვილიდან?!.

და ვბრუნავთ გაურკვევლობაში და აღარ ვიცით, რა მოხდება, საიდან რა წამოგვეწევა და ვინ საიდან გამოგვიტყვრება.

ვინ აღმოჩნდება ყველაზე მწყურვალი და ვინ დაეწაფება დასაწაფებელსა?!.

გავშვში გავშვის გადასარჩენად!

ეს ბოლო ხანია სულ ველოდი ნათია როსტიაშვილის ხელიდან რომანის გამოჩენას.

ჯერ ისედაც:

მისი ნიჭიერებისა და ეპიკური უნარის პატრონს მინიატურების, ნოველების, მოთხრობების შემდეგ ეს ჟანრიც უსათუოდ უნდა მოესინჯა.

და მითუმეტეს:

ჩვენი ქალი პროზაიკოსები ზედიზედ ისეთი რანგის რომანებს დაგვიწყობდნენ, ძალაუნებურად იყოლიებენ თანამოკალმეთ, ვისაც შესაფერისი ძალაც შესწევს, შეემატონ ამ გამოკვეთილ ნაკადს.

ნაირა გელაშვილის სასიკეთო ზეგავლენა ამ მხრივაც იჩენდა თავს, რომ აამოძრავებდა ვრცელი ეპიკური ჟანრისაკენ მწერალი ქალების მისწრაფებას, რათა თანადროულობა მთელი სიმძაფრითა და შეუფერადებლობით წარმოესახათ.

უშუალო ბიძგად სწორედ მისი რომანები უნდა ვიგულისხმოთ, უპირველესად კი „... ჩემი ჩიტი, ჩემი თოკი, ჩემი მდინარე...“ — მისეული ხედვა, მისეული ზოგადი სტილისტიკა, მისეული თემატიკა და პრობლემატიკა.

თუმც ყველა არ მოექცეოდა მისი ზეგავლენის წრეში.

თუნდ ნათია როსტიაშვილი, რომლისთვისაც ნიშანდობლივი მხატვრული ხერხები — იუმორი იქნება, ირონია, პაროდია თუ გროტესკი — უცხოა ნაირა გელაშვილის პოეტიკისათვის, გარდა პაროდიულობისა.

და აი „ლიტერატურული გაზეთის“ წლევანდელ 15 ოქტომბრის ნომერში ამ გამოცემისათვის ნიშანდობლივი და წარმატებული რუბრიკით: „ფრაგმენტი მომავალი რომანიდან“ — უნდა

გვეხილა ნათია როსტიაშვილის განზრახული და წარმატებით წამოწყებული რომანის — „სხვა სკოლა“ — ფრაგმენტიც, ავტორისათვის ჩვეული მოხდენილობით რომ ენაცვლება ერთმანეთს იუმორი და ირონია, ყველაფერს კი გროტესკი ითრევს თავის წიაღში.

პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას ამჯერადაც ხელს უწყობს ის, რომ საკმაოდ ვრცელია ფრაგმენტი და გაგრძელებასაც გვპირდებიან მომდევნო ნომერში.

— უმთავრესი ბავშვია, — მეორდება დაჟინებით იმ სხვა სკოლის მორალი, მათი მოთხოვნა თუ მოწოდება, მხატვრული რეალობა კი სულ სხვას მიგვანიშნებს:

მთავარი მათთვის ბავშვში ბავშვის ჩაკვლაა, ადამიანში ადამიანის ჩაკვლაა!..

თემა უმძიმესია და ურთულესი, მაგრამ ნათია როსტიაშვილის ნიჭიერების მწერალი კი უსათუოდ უნდა გაწვდეს!..

გოვარდჰანას საიდუმლო

(ალეკო შუღლაძის კონტრასტების რომანი)

ყველაზე სხარტი და მრავლისმეტყველი განსაზღვრება ალეკო შუღლაძის რომანისა „გადამალვა“ (“დიოგენე“, 2018) ის არის, შოთა იათაშვილი რომ მიაგნებდა:

კონტრასტების წიგნი.

და ანოტაციაშიც ბევრის ჩატევას მოახერხებდა მწერალზე, რომლის შემოქმედებითი გზაც იმ უჩვეულობით უნდა აღბეჭდილიყო, 15 წლით რომ გაქრებოდა ლიტერატურული სივრციდან.

მანამდე გამოცემულ მოთხრობების კრებულსა და რომანზე დაკვირვებისას თანამოაზრე მწერალი გამოარჩევდა წერის იმ მანერას, რომელშიც ლაღი იუმორი, ხედვის პარადოქსულობა და ეგზისტენციური სიმძიმეები ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს.

ხანგრძლივი პაუზის შემდგომ კი — უკვე ამ კონტრასტების წიგნში — მწერალს უნდა შეენარჩუნებინა თავისი სტილი, ოღონდ ახალი ტონალობებიც შეეძინა და ასე დაპირისპირებოდა სიკვდილსა და ავადმყოფობას, პერსონაჟებისათვის ურთიერთთანადგომა ესწავლებინა და გაეთავისუფლებინა სტერეოტიპებისა და კომპლექსებისაგან.

თხუთმეტწლიანი შინაგანი დუღილი „გადამალვად“ უნდა გადმოღვრილიყო და თანამოაზრე მწერალი კი ამ რომანის პერსონაჟებში გაერია.

თავისივე გვარ-სახელითვე მოიხსენიებდა შოთა იათაშვილს, რომელსაც მთხრობელი მუხიანის საკაბელოში უნდა ნაეყვანა და ცოტა სული მოეთქმევინებინა გასაჭირში ჩავარდნილისათვის, რაც კი რამე გადაცემა გადიოდა, სამნი რომ აბამდნენ თავს: დილით — საინფორმაციოს, შუადღისას — იუმორის-

ტულ ბლოკს, საღამოსკენ დიდ კინოზე საუბრობდნენ, შუაღამისას კი გერმანულ ეროტიკას ახმოვანებდნენ ქართულ ენაზე.

მერე კინოსტუდიაში მოუწევდა გადაბარგება რეჟისორის ასისტენტად, მერე ღვინის ქარხანაში — ჯერ მეეტიკეტედ, შემდეგ მეეტიკეტე ქალების ზედამხედველად, მერე პერფორმანსის თეატრის მსხაიობიც გახდებოდა, ქუჩაშიც იდგებოდა წიგნების გამყიდველად, არც დამლაგებლობას ითაკილებდა ვაკის პარკში, ბოლოს კი წიგნების დისტრიბუტურობას შერჩებოდა.

რაღა ამერიკელ მწერალთა ბიოგრაფიები და რაღა „გადამალვის" მთხრობელისა!..

ერთიხანობა ძალიან პოპულარული გახდებოდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ამ მხრივ წაბაძვა ამერიკელი მწერლებისა, ერთი სამსახურიდან მეორეზე მათი მიმოწყდომა მოხიბლავდათ, და ჩვენი ახალგაზრდა მწერლებიც იმისთანა ბიოგრაფიებს დაურთავდნენ თავიანთ მოთხრობებს, გაოცდებოდი, ნეტა სად მოასწრეს ამისთანა თავგადასავლებიო.

გადაივლიდა ეს მოდური გატაცება, ამ რომანში კი მარჯვედ ჩაერთვოდა სიუჟეტში, ავტორი ოთხ პრაქტიკულ რჩევასაც რომ გაუზიარებდა წიგნების კარდაკარ დამტარებელ დისტრიბუტორებს:

ფიზიკურად ძლიერი უნდა ყოფილიყო, წიგნები რომ ეთრია.

მყიდველისათვის უნდა აეხსნა, წიგნი რომ სჭირდებოდა. უნდა დაეჯერებინა, უნდა დაერწმუნებინა — კითხვა კარგია, აუცილებელიაო.

არ უნდა შეშინებოდა წიგნების დატოვებისა ნისიად.

და უნდა შეძლებოდა დაცვის პოლიციისაგან დასხლტომა და გაუჩინარება.

როდესაც ჭრელი მკითხველის გემოვნებას წარმოაჩენდა მსუბუქი ირონიით, ბარემლა უშუალოდ მოიხსენიებდა ავტორებსაც თუ წიგნების სახელწოდებებსაც, ვთქვათ, „დათა თუთაშხია" და „სამოსელი პირველი" მისი სიის სათავეში იქნებოდა და ყოველთვის კარგად გაიყიდებოდა. „"პატარა უფლისწული" მკითხველის საყვარელი წიგნი იქნებოდა, თუმც დისტრიბუტორს არ მოსწონდა მისი ალეგორიული ფორმა, მაგრამ პა-

ტარა პრინცს, როგორც საყვარელ არსებას, ადამიანები თავიანთ თავთან აიგივებდნენ და გარესამყაროს უცნაურობებს ალეგორიის საშუალებით უკეთესად აღიქვამდნენ. თავიდან საოცრად პოპულარული იქნებოდა აკა მორჩილაძე, ყველა პრიზს მოიგებდა და ბაზარსაც დაიპყრობდა. შემდეგ მას კონვეიერად აქცევდნენ (და ჩაურთავდა ეროვნულ ხასიათზე ამგვარ დაკვირვებას: ძალიან ბევრი რამ, კარგიც კი, ქართველებს ბეზრდებათო), თუმც ბოლოსაკენ ისევ ამოქაჩავდა და ეს დისტრიბუტორებს ხელს აძლევდათ.

ყოფითი დეტალები პირდაპირ და უხვად შევიდოდა თხრობაში, რომელსაც არც დეტექტიური იერი მოაკლდებოდა, გამომძიებელი საგულდაგულო კვლევა-გამოკითხვას რომ შეუდგებოდა, მთხრობელს მართლა ჩამოეტანა თუ არა გარდაცვლილი დედის ცხედარი დახურული სასახლით. და ეს იმიტომ, ჭორები გავრცელდებოდა და მთხრობელის მოქმედება საიდუმლოებაში გაეხვეოდა.

თურმე არცთუ უსაფუძვლოდ.

მას უნდა გადაემალა დედა არმაზში, მერე კი მასთან ერთად ფარულად გაფრენილიყო დელისაკენ გოვარდჰანას მოსანახულებლად, მთა რომ ერქვა, მაგრამ დაბლობზე მდებარეობდა და ის უცნაურობაც სჭირდა, რომ ყველას არ ენახვებოდა.

მთხრობელს აქ ადრე რამდენიმე თვეც გაეტარებინა მისი ხილვის მოლოდინში, მაგრამ ამაოდ, და ვერც ვერავითარი ლოგიკური დასკვნა ვერ გამოეტანა, ვის უმჟღავნებდა თავს და ვის უმალავდა.

გოვარდჰანა თავისი ნება-სურვილით მოქმედებდა — ვერც მოისყიდდი, ვერც გააბრაზებდი, ვერც შეურაცხყოფდი, ვერც შარს მოსდებდი. ის თვითონ ირჩევდა და აფასებდა. ადამიანები კი, რაკიღა არ მოსწონთ, როდესაც აფასებენ, ვერ უძლებდნენ ცალმხრივ ურთიერთობას, რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ რისხვა იპყრობდათ და, გაბუტულნი, სასწრაფოდ ტოვებდნენ იქაურობას. რჩებოდა ის, ვინც გამძლე გახლდათ მორჩილებაში და შეეძლო ბოლომდე აეტანა მთის ხუშტურები.

მთხრობელი, მიუხედავად მარცხისა, ვერ შეეგუებოდა, ოდესმე მაინც არ ღირსებოდა გოვარდჰანას ხილვას.

როგორ არ უნდა გამოჩხრეკილიყო რაღაც გასაღები, რითაც გაიღებოდა მთის გული. და ამიტომაც მოციქულად მიიჩნევდა იმ მოხუცს, წამოსვლის წინა დღეს რომ შემოხვდებოდა ტაძრის ეზოში, 140 წელს გადაცილებული, და რჩევად ამას გაუზიარებდა:

— ჩამოდი მაშინ, როცა სხვა გამოსავალი აღარ გექნება და მთის გარდა აღარავინ გეყოლება.

იმ წუთას ვერ დაიჯერებდა, როგორ შეიძლება აღარავინ მყავდესო, მაგრამ ნელ-ნელა დგებოდა ეს დროც, ადამიანები რომ ქრებოდნენ მის გარეთაც და შიგნითაც.

და აი გარდაცვლილად გასაღებულ დედასთან ერთად ხელმეორედ რომ უნდა სწვეოდა იქაურობას, დედას კიდეც უნდა ეხილა გოვარდჰანა, მთხრობელი კი... მთხრობელი კვლავინდებურად უნდა გაწბილებულიყო.

რატომ ვერ უნდა დაენახა მთა?

ერთ-ერთი პერსონაჟი ასე ახსნიდა მიზეზს:

ალბათ შემორჩენილი ფიქრები უშლიდა ხელს. ბოლომდე მინდობა რთულია. შესაძლოა ეჭვი ეპარებოდაო.

დედის გამგზავრება იმ იდუმალების სახილველად კი ბოლო გაბრძოლებად უნდა მოხსენიებულიყო და ეს დამაფიქვრელი სიტყვები მოდევნებოდა:

ყოველი ქმედება, თუნდ სიკვდილის პირას, ჩვენს მომავალს ჰქმნის. მთავარია იგრძნო მუდმივობა. ამას სიმშვიდე მოაქვსო.

სწორედ ეს მუდმივობა უნდა განეცადა დედას გოვარდჰანას სახით, და ეს სიმშვიდეც დაუფლებოდა, შვილისათვის მიუღწეველი.

თამაშ-თამაშით, იუმორით, ირონიით, ალაგ-ალაგ სარკაზმითაც წარმართული თხრობა დრამატული ფინალით უნდა დასრულებულიყო, თუმც მთხრობელი მაინც არ უნდა გატყდომოდა მწარე და გაუსაძლის რეალობას და თამაშის სურვილი თუ ჟინი ბოლომდე არ მოეშალა, შეენარჩუნებინა ის სილაღე, რაც რომანის ჩარჩოში თუ არა, მის მიღმა მაინც ამოუზიდავდა თვალწინ გოვარდჰანას, რაც „გადამალვის“ შექმნის შემდგომ უთუოდ შეემატება მიუწვდომლობის სიმბოლოთა მწკრივს, იმ იდუმალ ხატს, რაც ჩვენსავე არსებაში ჩამალულა ისე ღრმად,

რომ ველარც მიგვიკვლევია, და ამაოდღა ველით სასწაულს, თავისით როდის გამოგვიჩნდება.

თუმც სასწაულიც შეიძლება მოგვევლინოს, თუკი დედაშვილობის ძაფი გაუწყვეტლად შენარჩუნდება.

ჩვენ კი დაუღალავად, დაუმცხრომლად, დაუშოშმინებლად უნდა ვეძიოთ გოვარდჰანა — ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც.

ვეძიოთ კონტრასტების სცილასა და ქარიბდას შორის...

მელიქიშვილის გამზირი

(პოეტური სიტყვის დასაფასებლად)

ამ სახელწოდების გამზირს ვერ იპოვნით თბილისის რუკაზე.

ვერ მიაგნებთ თბილისის ტოპონიმთა ნუსხაში.

ვერ დაადასტურებთ თბილისის ლანდშაფტში.

მელიქიშვილის ქუჩა არსებობს, როგორ არა, მაგრამ... გამზირიც?

ტყუილად ნუ დაუწყებთ ძებნას.

არა, ყოფით გარემოში ნუ ეძიებთ, თორემ პოეტურ რუკაზე სწორედ მელიქიშვილის გამზირს მოუპოვებია ისეთი ძალაც და გავლენაც, არაერთ ტოპონიმსაც რომ გადაწონის იდუმალი მადლით.

მოუპოვებია მურმან ლებანიძის ლირიკული ხელოვნების წყალობით, მელიქიშვილის გამზირს რომ წარმოსახავდა იმგვარი ექსპრესიით, სტუდენტურ, ახალგაზრდულ ჰიმნად ჩამოგვესმის, იით, ვარდითა და ბზით შემკულად და გასხივოსნებულად ის სივრცე, რაც მანამდე ქუჩა გვეგონა, ერთ-ერთი პატარა ქუჩა.

მაგრამ ლექსი ისეთი მღელვარებით გვიხატავდა, თუ რარიგ იჩქაროდა ამ გზით სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაკენ, მსურველი მზისა და ცის, რომ ისედაც შევატყობდით, ეს სწრაფვა, ეს დაუოკებელი ჟინი, ეს აზვირთებული ტალღები ქუჩის არტახებში ვერ მოემწყვდეოდა და ასპარეზად სწორედაც გამზირი ესაჭიროებოდა.

სტუდენტთა გაშლილი ნაკადები სიტყვასაც გაშლილს მოითხოვდა და შესატყვის სივრცესაც, და მელიქიშვილი ძალდაუტანებლად უნდა გარდასახულიყო გამზირად.

მუსიკად იღვრებოდა მურმან ლებანიძის ეს სტუდენტური ჰიმნი და ნოტებზე გადატანასაც თავისთავად ითხოვდა და ზურაბ მანაგაძე შესაფერის მელოდიასაც მიუსადაგებდა, ზურაბ დოიჯაშვილის ასერიგად პოპულარულ სიმღერადაც რომ უნდა ქცეულიყო.

იშვიათია, შესანიშნავ ლექსს მისი ღირსების მელოდია რომ გამოუჩნდეს, და ამჯერადაც ამ იშვიათობის მოწმენი უნდა გავმხდარიყავით.

და ვეღარ გამიგია, როდემდე უნდა იხსენიებოდეს მელიქიშვილი ქუჩად.

ხომ შეიძლება — პოეტური სიტყვის დაფასების ნიშნად — ოფიციალურადაც გამზირი დაერქვას, და იაკობ ნიკოლაძის, გიორგი ცაბაძისა და დოდო აბაშიძის ბიუსტები რომ ამშვენებს, მურმან ლებანიძის ბიუსტიც შეემატოს ამ წყებას.

არ მოუხდება თუ რა!..

მურმან ლებანიძის გარეგნობა ხომ თავისებურ სიმბოლოდაც წარმოგვიდგება პოეტისა და პოეზიისა.

და ეს იქნება ქანდაკი პოეტისაც და ლექსისაც.

გარშემო რომ შემოეწყობა ია, ვარდი და ბზა, მთელს გამზირზეც რომ ჩარიგდება.

ყველაფერი კი მელიქიშვილის ქუჩისათვის იმ უფრო შესაფერისი სახელის მინიჭებით უნდა დაიწყოს.

ეს მაინც აღარ ეგვიანება.

პირად საუბრებში მაინც გამზირად ვიხსენიებთ მელიქიშვილს.

და იქ ჩავლილებს ისედაც მოგვდევს თან იის, ვარდისა და ბზის სურნელება.

პერსონაჟი – ჩემი ძმობილი

(შეხმიანება ოლგა ტოკარჩუკთან)

დეკანოზი ბენედიქტ ხმელოვსკი ცხოვრებას მხოლოდ წიგნებით იცნობს.

ასე წარმოგვიდგენს ამ პერსონაჟს ოლგა ტოკარჩუკი რომანში „წიგნები იაკობისა ანუ დიდი მოგზაურობა“.

ყოველთვის, როდესაც ბიბლიოთეკაში განმარტოვდება და სქელ ფოლიანტს ან მინიატურულ ელზევირს გადმოიღებს, ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს სამოგზაუროდ უცხო ქვეყანაში მიდიოდეს.

ეს მეტაფორა ისე მოსწონს, კმაყოფილი იღიმის და აზრებსაც მწყობრ ფრაზებად ალაგებს.

გარემომცველ სამყაროზე წერა ბევრად უფრო ეადვილება, ვიდრე საკუთარ თავზე, იმიტომაც: მუდამ საქმეში ჩაფლულს თავისი თავისათვის რომ არასოდეს ეცალა, არაფერს იწერდა, არაფერს ინიშნავდა... და ახლა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ბიოგრაფია საერთოდაც არა მქონიაო.

მთელი მისი თავგადასავალი სულ რამდენიმე ფურცელზე დაეტეოდა. წიგნს კი არა, ელზევირის მინიატურულ გამოცემასაც ვერ შეავსებდა. ერთ პატარა წიგნაკშიც ჩაეტეოდა მთელი მისი ცხოვრება.

„ეს როგორ მმგვანებია დეკანოზი ხმელოვსკი“ — მაშინვე ეს გამკრავდა გულში ამ სტრიქონების წაკითხვისას, და მალევე ეს ფრაზაც რომ შემომხვდებოდა:

— მოძღვრის ცხოვრების ამბავი მის მიერ წაკითხული და დაწერილი წიგნების ამბავია.

„მთლად ჩემისთანა ყოფილა, სულაც ჩემი სულიერი ძმობილი“ — დავიბეჯითებდი გულში და კიდევ უფრო გატაცებით

გავაგრძელებდი კითხვას პოლონელი ნობელიანტის ამ გრანდიოზული რომანისა, „ინტელექტის“ გამოცემათა ნუსხა რომ უნდა გაემდიდრებინა.

ასე ლაღად, ასე ექსპრესიულად რომ იკითხება ქართულად ეს საკმაოდ ღრმააზროვანი, არცთუ იოლად აღსაქმელი ისტორიული რომანი, ცხადია მისი მთარგმნელის დამსახურებაა, კატია ვოლტერსის, ამ სტილურად ნაირგვარ თხრობას ენის მადლითა და სიმდიდრით რომ აღავსებდა და გარეგნულადაც და შინაგანადაც დიდი სამყაროს მხატვრულ ძალმოსილებას გვაზიარებდა, სამყაროსი, შვიდ საზღვარსაც რომ გადაგვატარებდა, ხუთ ენაზე მეტყველ ადამიანთა სინამდვილესაც განგვაცდევინებდა და სამი დიდი რელიგიის სანახებშიც შეგვიძღვებოდა, მცირეთა ჩაუთვლელად.

და რწმუნდები, ოლგა ტოკარჩუკის „წიგნები იაკობისა ანუ დიდი მოგზაურობა“ უსათუოდ რომ უნდა შემოსულიყო ქართულ ენობრივ სივრცეშიც და მხოლოდ ამ რანგის მთარგმნელობითი ხელოვნებით.

ისე ნეტა რამდენი მკითხველი აღმოაჩენს საერთოს დეკანოზ ხმელოვსკისთან, რამდენი დაიგულებს თავის სულიერ ძმობილად?!.

ჭაშნიკად: ორი ხასიათი

(ხავიერ მარიასთან შეხვედრის მოლოდინში)

— არიან ადამიანები, რომლებსაც ჩრდილში ყოფნა აშინებთ, თითქოს გაჩენის დღიდანვე იციან, რომ, როგორი უნიკალურებიც უნდა იყვნენ, მათი ცხოვრება არასოდეს გახდება თხრობის ღირსი — მხოლოდ მოსახსენებლად თუ გამოდგება სხვა, უფრო იღბლიანი და თვალისმომჭრელი ისტორიის საამბობლად — არც სუფრაზე ხანგრძლივი საუბრებისას დროის გასაყვანად და არც ცეცხლისპირად — უძილო ღამეების გასათენებლად.

ამ ზოგად დახასიათებას ხავიერ მარიასი გამოიყენებდა კონტრასტულ ხერხად, რათა ამ ფონზე კიდევ ერთი შტრიხით გამოეკვეთა ორი პერსონაჟის ხასიათი, ცოლ-ქმრისა: ბერტა ისლასი და ტომ ნევინსონისა, ორივემ ახალგაზრდული ასაკიდანვე რომ იცის, როგორი დადგება მომავალში, და თითქმის არასოდეს ეჭვდებიან, რომ მთავარი და არა მეორეხარისხოვანი როლის შესრულება მოუწევთ, სულ მცირე — თავიანთ ცხოვრებაში მაინც.

რომანის — „ბერტა ისლა“ — ამ ფრაგმენტში, „ლიტერატურული გაზეთი“ რომ შემოგვთავაზებდა 29 ოქტომბრის ნომერში, სწორედ ეს ორი ხასიათია წარმოჩენილი.

ერთს ნაღდ მადრიდელად რომ გაგვაცნობენ, მეოთხე თუ მეხუთე თაობისა, რაც იმჟამად დიდი იშვიათობაა; და რომლის სახის ცალკეულ ნაკვთებს თუ დავაკვირდებით, დამაბრმავებელი სილამაზისად არ მოგვეჩვენება, მაგრამ მთლიანობაში მისი სახე და სხეული იმ ამაღელვებელ, გაუსაძლის მიმზიდველობას ფლობს, რაც ხალისიან, ღიმილიან და კისკისა ქალებს ახასია-

თებთ. ყოველთვის კმაყოფილი რომ არის, თითქოს მცირედიც ჰყოფნის სამხიარულოდ, ან ძალისხმევას არ იშურებს, რომ იკმაროს, რაც ბევრი მამაკაცისათვის სასურველი ქალის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს.

მეორე კი ორენოვანია — ინგლისურად მამასავით საუბრობს და ესპანურად — დედასავით. ამას ემატება მეოთხე და მეხუთე ენების შესწავლის საკვირველი უნარიც და სხვათა საუბრის, დიქციისა თუ კილოს იმიტაციის განსაცვიფრებელი ნიჭიც. საკმარისია ერთხელ დაუგდოს ვინმეს ყური და მეცადინეობისა და ძალისხმევის გარეშე მიბაძავს, რაც გარშემომყოფებში მხიარულებასა და კეთილგანწყობას იწვევს; ამიტომაც გამუდმებით მიდიან მასთან და ახალ-ახალ ინტერპრეტაციებს სთხოვენ.

ხავიერ მარიასი ახალი ავტორია ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში და, როდესაც მის მთარგმნელად ლანა კალანდია წარმოგვიდგება, უკვე იცი: რაღაც გამორჩეულთან მოგიწევს შეხვედრა.

და ეს ფრაგმენტიც სწორედ ამას გაგრძნობინებს თხრობის სილაღე-შთამბეჭდაობით და მოუთმენლად ელოდები მის გაცნობას თავით ბოლომდე, დარწმუნებული ვარ, „ინტელექტი“ დიდხანს რომ არ გვალოდინებს და კიდევ ერთხელ გვაზიარებს ნამდვილი ლიტერატურის მადლს.

ნოვალისი რომ აგონდებოდა

(ბასილ მელიქიშვილის მხატვრული ნაღვაწი ერთ კონად)

„არსენა მარაბდელს“ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გამჭვირვალე ქრონიკად რომ შექმნიდა მიხეილ ჯავახიშვილი, 1924 წლის აჯანყების თავისებურ აპოლოგიად, არსენა მარაბდელად თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილს გამოხატავდა, არსენას უმცროსი ძმის ერეკლეს პროტოტიპად ბასილ მელიქიშვილს იგულისხმებდა, ქაქუცასთან დაახლოებულ იმ ახალგაზრდა კაცს, რომლის მწერლური ნიჭიერებაც იმთავითვე უნდა შეეცნო მიხეილს და მხარშიც ამოსდგომოდა — გზის გაკაფვისას ამ ასპარეზზე მეტად მძიმე ჟამს.

ნაადრევად უნდა შემწყდარიყო ეს სიცოცხლეც, ზვიად გამსახურდიას ნოვალისის რანგის შემოქმედად რომ ესახებოდა და იატაკქვეშა ჟურნალში „ოქროს საწმისი“ შეეცდებოდა მისი ერთი მოთხრობის — „გველების ტბა“ — მინიატურებისა და ლექსების გამომზეურებას. საგულისხმო დაკვირვებანიც გაუჩნდებოდა ბასილ მელიქიშვილის პროზაზე, განსაკუთრებით „თურმანს“ რომ გამოარჩევდა, და გულდასაწყვეტია, ფურცელზე გადატანა რომ აღარ დასცალდებოდა.

მწერლის აღსრულებიდან 33 წლის შემდგომღა ეღირსებოდა გამოცემა მისი მოთხრობების მცირე კრებულს, 1987 წელს კი სრულად მოიყრიდა თავს ერთ წიგნში მისი მოთხრობები, ნოველები და მინიატურები, ორივე გამოცემას თავის წვლილს რომ დასდებდა ალექსანდრე გომიაშვილი.

წარმოუდგენელია განსჯა-შეფასება ქართული მოდერნიზმისა ბასილ მელიქიშვილის გარეშე.

მისი მოცულობით არცთუ დიდტანიანი პროზა ვრცელი სარბიელია მკვლევართათვის, და საერთოდაც მკითხველს ადვილად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ამ გამორჩეული მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, რათა ეზიაროს ჭეშმარიტი პროზის მადლმოსილებასა და ქართული ენის სანახებშიც ბოლომდე ჩაიძიროს ამ იშვიათი სტილისტის წყალობით.

და ჩვენი ლიტერატურული მდინარების თვალსაჩინო მოვლენა უნდა გამხდარიყო ბასილ მელიქიშვილის მოზრდილი წიგნი, საერთო სახელწოდებით „თურმანი“, რომელშიც ბელეტრისტული ქმნილებების გარდა თავი უნდა მოეყარა მის ლექსებსა და პირად მიმოწერასაც, აგრეთვე მწერალთა და მკვლევართა ნარკვევებს, ესეებსა თუ სტატიებს ამ უსამართლოდ მიყრუებული შემოქმედის ცალკეულ ნაწერებსა თუ პიროვნების ფსიქოლოგიურ შტრიხებზე.

რომელ მწერალთა და ლიტერატორთა თვალით არის დანახული ეს ღრმა ტალანტით აღბეჭდილი ნაწერები და:

ალექსანდრე გომიაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, დავით მჭედლურის, თამაზ ვასაძის, მარინე რევიშვილის (ერთი თავი მონოგრაფიიდან, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა მისი დისერტაცია), ინგა მილორავასა და გია არგანაშვილის.

თქვენი მონა-მორჩილის ესეიც ჩაერთობოდა ამ სერიას, აგრეთვე გია არგანაშვილისა და ჩემი ურთიერთგადაძახილი, მიკვლევა და წარმოჩენა იმ მიმალული, არადა მეტად საგულისხმო დეტალისა, გრიგოლ აბაშიძე ისტორიულ რომანში „ლაშარელა“ პოეტსაც რომ შემოიყვანდა პერსონაჟად — თურმან თორელს, ამით ხიდს გასდებდა აკრძალული მწერლის ნაღვაწთან, სახელები — თურმანიც და თორელიც — მისი ონომასტიკიდან რომ იქნებოდა ნასესხები.

გია არგანაშვილის თავგამოდებით მომზადდებოდა ეს კრებული, ლევან ჟვანიასაც რომ ამოიყენებდა გვერდით, გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის კი მადლობას მოახსენებდა კომპანია „არემჯის“.

წიგნს დაერთვის ბასილ მელიქიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობებიც და ცალკეული ამონარიდებიც, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის განცხადებაც მწერალთა ფედერაციის პრე-

ზიდიუმის მიმართ ამ ახალგაზრდა მწერლის უკიდურესი გაჭირვების თაობაზე:

ჭლექი სჭირს, სამკურნალოში წევს და საჭმელი არ გააჩნია, მისი დავალებით გთხოვთ ერთდროული დახმარება აღმოუჩინოთო.

და პრეზიდიუმი კიდეც გამოუყოფდა 50 მანეთს, ოღონდ ნაწილ-ნაწილ უნდა მისცემოდა.

სამგლოვიარო განცხადებაში მიხეილი, გერონტი ქიქოძე და კონსტანტინე ჭიჭინაძე მწუხარებით აუწყებდნენ საზოგადოებას თავიანთი ახალგაზრდა მეგობრის გარდაცვალებას.

„კომუნისტის“ 1930 წლის 27 აპრილის ნომერში კი დაიბეჭდებოდა ცნობა, რომ:

ბასილ მელიქიშვილს დაკრძალავდნენ სოფელ წვერში, წმინდა გიორგის ეკლესიის ძველი ნანგრევის გალავანში, დედის სამარის გვერდით. და მეგობართაგან დაკრძალვას დაესწრებოდნენ:

ერეკლე ტატიშვილი, ვიქტორ გაბესკირია, მიხო ბერიტაშვილი, ლექსო ივანიშვილი, ვანო ტაბიძე, სიკო ოზიაშვილი, ოთარ ლოლაძე და ქუჯი ძიძიშვილი.

ერეკლე ტატიშვილს იგულისხმებდა ბასილი თურმანის პროტოტიპად ქართული პროზის ერთ-ერთ შედევრში „თურმანი“.

მიხო ბერიტაშვილთან ერთად იქნებოდა ჩაბმული 1924 წლის აჯანყების სამზადისში.

ქუჯი ძიძიშვილი კი, მეცნიერი და პოეტი, დიდად იზრუნებდა ნაადრევად დაღუპული მეგობრის სახელის დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

როდესაც სოფელი წვერი აიყრებოდა, ბასილის საფლავი რომ არ დაკარგულიყო, მას გადმოასვენებდნენ სოფელ პანტიანში, სადაც დროდადრო ააკითხავდნენ:

ევგენი ხარაძე, ქუჯი ძიძიშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, ვანო ტაბიძე, გიორგი შატბერაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, ალექსი გომიაშვილი, ამირან გაბესკირია.

მოგვიანებით ესტუმრებოდნენ ხოლმე ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

კიდევ მოგვიანებით ამ რიტუალის მონაწილენი გავხდებოდით ამირან არაბული და მეც.

— მშვენიერი ენა აქვს ბასილს. მშობლიური კუთხის კოლორიტულ მეტყველებაში ეშხიანად გაისმის ქართლის ცხოვრების, სახარების ხმა, გაზაფხულის ამღვრეული და ადიდებული არაგვის ძახილი, — გიორგი შატბერაშვილის ამ ხატოვან დახასიათებას გია არგანაშვილი დასძენდა:

ამ ერთ წინადადებაში შეკუმშული აზრი მომავალი მკვლევარის ხელში ვრცელ სამეცნიერო თემად გაიშლება იმის გათვალისწინებით, რომ ბასილ მელიქიშვილის ლიტერატურული სტილი (მთიულურ — თეთრი არაგვის ხეობა — დიალექტზე დამყნობილი სამწიგნობრო ქართული) სრულიად ორიგინალურად მოჩანს მეოცე საუკუნის ქართულ პროზაშიო.

თემები მიმობნეულია ამ მხატვრულ მემკვიდრეობაში და დამფასებელნიც სულ უფრო იმრავლებენ, და ხვალ ყურს აღარავის მოჭრის ზვიად გამსახურდიას ის თამამი შედარება, ბასილ მელიქიშვილის ნაწერების კითხვისას ნოვალისი რომ აგონდებოდა...

კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსის კომენტარი:

თურმანი არის ყველა ეპოქის ქართველი წმინდანის პარადიგმატული სახე და ქრისტესეული ახალი აღთქმის დიდი მისტერიის შემომტანი და დამნერგავი ქართლში ახალ და ახალ დონეებზე.

თავიდან როგორც ქარავნის გადმომყვანი, შემდეგ როგორც საკუთარი თავის და სიცოცხლის დამდები სამსხვერპლოზე - გავიხსენოთ ფინალი, კერპის დამხობა. ღვარძლი რა თქმა უნდა დარჩა.

„ყველა დაიღუპა ამ ბრძოლაში" იტყოდა ზვიადი, „სალთუჯიც, თურმანიც, ნინიაც, ინდაც, ბალღიც, დარჩა მხოლოდ სოლო. სოლო რელიგიის სახეა, რომელიც ყოველთვის იქნება და ისევე იმღერებს დაღუპულებზე და შენირულებზე, როგორც ამ მოთხრობაშია" (იხ. „სოლოს სალამური მოუმართავს ლერწამისგან ქარისგან შერხეულისა და კიდით-კიდე ისმის: თურმანი გაგიჟდა! თურმანი შთაინთქა! დიახ, თურმანი სალთუჯისფერი და ბალღი, ცამ თუ ჩაძირა").



ორი რომანი, ორი ოაზისი

(ანონსის მაგიერ)

დედა კვდება და მამასა და შვილებს მისი ცხედარი მიაქვთ სადღაც შორეულ ადგილას, სადაც, ანდერძის თანახმად, უნდა დამარხონ. გზად კი მრავალი რამ უნდა მოხდეს...

ეს არის ზოგადი ფაბულა უილიამ ფოლკნერის რომანისა „სული რომ ამომდიოდა“, შემძვრელი და გამაოგნებელი თავისთავადაც, ფოლკნერის ხელში ერთ საუკეთესო მხატვრულ ტილოდ რომ უნდა გადაქცეულიყო, ყოფითი და მისტიკური რეალობების გადაკვეთის საზღვარზე რომ უნდა ამოზრდილიყო.

ეს ორიგინალური ფაბულა უკვე მიგნება გახლდათ, უკვე აღმოჩენა, მისით სირიელი მწერალიც რომ უნდა მოხიბლულიყო — ხილიდ ხალიფა, გადმოეტანა არაბულ სინამდვილეში და ექცია ქვაკუთხედად რომანისა „სიკვდილი მძიმე შრომაა“.

მამა კვდება და შვილებს ცხედარი მიაქვთ სადღაც შორეულ ადგილას, სადაც, ანდერძის თანახმად, უნდა დამარხონ, გზად კი მრავალი რამ უნდა მოხდეს...

ამერიკელთა ოდისეა ათ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, არაბთა ოდისეა — ხუთ დღეს.

ფოლკნერის რომანში უკან დარჩენილიყო სამოქალაქო ომი.

ხალიფას რომანში სწორედაც ომის ქარცეცხლს უნდა ეტრიალა და საზარელი, დამთრგუნველი გარემოს შუაგულში მოქცეულიყო მკითხველი, გარემოსი, სადაც ცოცხლები შურითღა შენატროდნენ მიცვალებულთ, ყველაზე სწორი და ერთადერთი გამოსვლისათვის რომ მიეგნოთ დაუსრულებელი კოშმარიდან თავდასაღწევად.

ხალიდ ხალიფა არ მოერიდებოდა სიკვდილის ნატურალიზებულ აღწერას, ისევე როგორც მეორე სირიელი მწერალი ზაქა-

რია თამირი, სიკვდილის ესთეტიკა ორივესთან უკიდურესი სიმძაფრით რომ იჩენდა თავს.

რომანის ფინალში პერსონაჟი ლეშად რომ შეიგრძნობდა თავს, საწოლში შემძვრალს ისეთი განცდაც დაეუფლებოდა, თითქოს ვეება ვირთხა ყოფილიყოს, თავის ცივ სოროს დაბრუნებული — ყოვლად უვარგისი არსება, თავიდან იოლად მოსაშორებელი.

ასე ერთ ადამიანსაც გაუძნელდებოდა ცხოვრება, არამცთუ მთელს საზოგადოებას, რომელსაც დროზე უნდა მოეკრიბა ძალ-ღონე და გადაელახა სიკვდილის საუფლოდ ქცეული რეალობა თვალწინ აყუდებული ამ სარკის მეშვეობითაც, ხალიდ ხალიფას ეს რომანი რომ არის, „სიკვდილი მძიმე შრომაა".

დრამატული, ტრაგიკული სულისკვეთებით, კოშმარული ატმოსფეროთი მას ძლიერ ჰგავს ლიბანელი მწერალი ქალის იმან ჰუმაიდან იუნუსის რომანი ასო „ბ" სიტყვებში: „ბინა", „ბეირუთი..." — ასევე ომის ქარცეცხლში მოქცეული მწარე და გაუსაძლისი თავგადასავლები, ავტორს ბოლომდე რომ უნდა გაეშიშვლებინა პერსონაჟთა ფსიქიკის რღვევა.

ლიბანში ომი თანდათან ყველა მხარეში რომ იფეთქებდა, ბეირუთში უკვე კიდეც უნდა შესჩვეოდნენ და შინაურადაც მიეღოთ, ხალხი რომ დაშოშმინდებოდა და აღარსადაც აღარ ცდილობდნენ გაქცევა-გარიდებას, რაკიღა სხეულებრივი ყოფა არყოფნას დამსგავსებოდა... და მაშ სადღა უნდა გაქცეულიყვნენ?!.

რაღაც იმედს მაინც ეჭიდებოდნენ, უფლის სასწაულს მაინც მოელოდნენ და დროდადრო გონება უნათდებოდათ: ასე სამშობლოს ვერ ვაშენებთ და რაღაც უნდა ვიღონოთ, ჩვენც უნდა გამოვიღოთ ხელიო...

იმან ჰუმაიდან იუნუსის რომანში საცნაური გახლდათ კოლექტიურისა და პირადულის თანაგადმოცემის მცდელობა, ავტობიოგრაფია მრავლობითში — და ის ტრამვა, რომლის გავლენითაც ჰყვებოდნენ პერსონაჟები თავიანთ ამბავს, კოლექტიური უნდა გამხდარიყო.

იუნუსი არ მოერიდებოდა, რომ:

მთხრობელ ქალთა პორტრეტებში, ასე კანთიელად და ცოცხლად რომ წარმოსახავდა, შეეტანა თავისი პიროვნული

შტრიხებიც, და ეს იმისდა მიუხედავად, გარეგნულად როგორ განსხვავებულ ხასიათებადაც უნდა წარმომდგარიყვნენ მკითხველის თვალში ეს პერსონაჟები.

და კიდევ ერთი ღირსება ამ მხატვრული ქმნილებისა „ასო „ბ“ სიტყვებში: „ბინა“, „ბეირუთი“...“:

აქ დამსხვრეულიყო ყოველგვარი სტერეოტიპი აღმოსავლელი ქალის იმიჯზე, როგორც რომანის გმირ ქალთა ტიპაჟებით, ისე ავტორის ამპლუითაც.

ეს რომანი მონოლოგებზე აიგებოდა, ისევე როგორც უილიამ ფოლკნერის „სული რომ ამომდიოდა“, თუმც აუცილებელი არ გახლდათ, იუნუსს უშუალოდ ფოლკნერისაგან გადმოეღო ეს აღნაგობა, რადგანაც ამგვარი სტრუქტურა უკვე საკმაოდ გავრცელებულა დასავლურ ლიტერატურაში, განსხვავებით იმ ორიგინალური ფაბულისა, რომელსაც ხალიდ ხალიფა გამოიყენებდა, თუმც ფოლკნერულ სტრუქტურას უკვე აღარ გაიმეორებდა და მონოლოგებზე აღარ ააგებდა თავის თხრობას.

რაკიღა მსჯელობისას თავისთავად შემოვიდოდა ფოლკნერის ეს რომანი, მის მნიშვნელობასაც საგანგებოდ წარმოვაჩენდი ესეში „ღვიძილში ნანახი სიზმრები (ხალიდ ხალიფასა და იბან ჰუმაიდან იუნუსის რომანები და სხვა ამბები)“, „მწვანეყვავილას“ წლევანდელ მეოთხე ნომერში რომ უნდა გამოქვეყნებულიყო და ჩვეული მრავალფეროვნებით აღბეჭდილი ნომერი თანამედროვე არაბულ რომანებზე გამოხმაურებასაც შეევსო.

„სული რომ ამომდიოდა“ კი ჯერ მარტო იმიტომაც უნდა შეფასებულიყო, მედეა ზაალიშვილის თარგმანი ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების საუკეთესო თაროს ბინადრად რომ გვეგულება.

თან ორივე არაბულ რომანს მოჰფენდა თავის ნათელს — აშკარად თუ იდუმალად.

ხალიდ ხალიფასა და იმან ჰუმაიდან იუნუსის რომანთა დაწყვილებას კი — გარდა საერთო დრამატულ-ტრაგიკული სულისკვეთებისა — გამოიწვევდა ერთი მხრივ ის გარემოება, ორივე „ინტელექტის“ გამოცემა რომ არის, მეორე მხრივ კი — ერთი მთარგმნელი რომ ჰყავთ, დარეჯან გარდავაძე, რომლის ღვაწლიც თანამედროვე არაბული ლიტერატურის ქართულად

ამეტყველებაში სულ უფრო თვალსაჩინო და გამოკვეთილი ხდება, ყოველ წიგნს საფუძვლიან ნარკვევსაც რომ დაურთავს ხოლმე წინასიტყვაობად და გვიქმნის რაც შეიძლება სრულ წარმოდგენას ამათუიმ მწერალზეც და ამათუიმ არაბული ქვეყნის ლიტერატურულ პროცესზეც.

ჟურნალის ფურცლებზე რომ გადავიკითხავდი ჩემს ესეის, უეცრად გამიელვებდა, რომ:

ამასობაში ცოტა წერილი თუ გამოხმაურება არ დამგროვებია არაბულ ლიტერატურაზე — იქნება ეს კლასიკური ქმნილებანი თუ თანამედროვე თხზულებანი, და ისიც შეიძლება, კრიტიკულ-ესთეტიკური პროზის ეს ციკლი ცალკე წიგნადაც გავამზადო. ცხადია დამჭირდება რამდენიმე ესეის მიმატებაც, რათა მთლიანობა უფრო მარჯვედაც შეიკრას წიგნის კომპოზიციური ქარგა.

ამას წინათ ფეისბუქზეც რომ დავდებდი ჩემს სტუდენტობისდროინდელ თარგმანებს VIII საუკუნის არაბული ლირიკიდან, კერძოდ კი ომარ იბნ აბუ რაბი'ას ხუთ ღაზალს, გიორგი ლობჟანიძე უნდა გამოხმაურებოდა ამ უშურველი შეფასებით:

— ვზივარ ახლა და ვფიქრობ: დაანებე თავი სხვა ყველაფერს და გადმო არაბულ პოეზიაში. შენი სახით ამ პოეზიის დიდი მთარგმნელი გვყავს ხელიდან გაშვებული. ძალიან კარგია ეს თარგმანები — მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ყველაფერი, მათ შორის არაბული პოეზიის ქართულად თარგმნის ჩინებული ტრადიციაც (ნანა ფურცელაძე, თინა მარგველაშვილი), მაგრამ მთავარია შენეული საოცარი მიგნებები რიტმში, სიტყვათა სინტაქსურ აბრუნდებში. ძალიან, ძალიან კარგია.

ეს სიტყვები აშკარად ჰიპერბოლურია, მითუმეტეს ძნელი სათქმელია, რამდენად გავამართლებ ამ ნდობას არაბული ლირიკის გადმოქართულებისას, მაგრამ საიმისოდ კი მაგულიანებს, ცალკე წიგნად ნაგულისხმევი ის „არაბული ციკლი“ შორს აღარ გადავდო...

ფარნავაზი – საყმაწვილო რომანის გმირად

(ტორესა მოსის მოგზაურობა დროში)

დროის მანქანა ფანტასტიკური ლიტერატურის ერთ გამოკვეთილ სახე-სიმბოლოდ დამკვიდრდებოდა, ჩვენი მწერლებიც რომ მიმართავდნენ, ალექსანდრე აბაშელი რომანში „ქალი სარკეში“და გრიგოლ აბაშიძე პიესაში „მოგზაურობა სამ დროში“, მოგვიანებით ამ პიესას სცენარად რომ გადააკეთებდნენ ემზარ კვიტაიშვილი და რეზო ჭეიშვილი და თითქოსდა არაფერს უნდა დაებრკოლებინა ფილმად გადაღება, მაგრამ ჩაიშლებოდა ეს კარგი წამოწყებაც და საშუალება აღარ მიეცემოდა ქართველ მაყურებელს, ეხილა კინოსურათი, რომელიც — თუ ოდესმე მოჰკიდებს ხელს რომელიმე კინორეჟისორი — არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება, ვიდრე რუსული ფილმი „ივან ვასილევიჩი პროფესიას იცვლის“, გადაღებული მიხაილ ბულგაკოვის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით.

და ამიერიდან უკვე სხვა სცენარიც შეიძლება მომზადდეს კინოფილმისათვის წარსულში მოგზაურობაზე, საფუძვლად რომ დაედება ტორესა მოსის საყმაწვილო რომანი „ორდროშობანა“ (“ინტელექტი“, 2020), ასე ცოცხლად საკითხავი, თხრობის დინამიზმი და ფანტაზიის სილაღე უთუოდ რომ გაიტაცებს ცნობისმოყვარეობით ანთებულ ჩვენს ყმაწვილებს, სიუჟეტში მათთვის ნაცნობ გმირებსაც რომ აღმოაჩენენ ზღაპრული ეპოსიდან: კომბლეს, ასფურცელასა და ნაცარქექიას — და 14 წლის თომასთან ერთად ძალდაუტანებლად გადაინაცვლებენ ფარნავაზის ეპოქაში და ჩაეფლობიან ფანტასმაგორიულ ამბავთა კასკადში.

ქართლის ცხოვრების უაღრესად დაწურული მონათხრობი, ლეონტი მროველის მატიანეში ერთმანეთს შერწყმული პროზა და ლექსი — ფარნავაზის ეპოსის გადარჩენილი ფრაგმენტი — მწერლის წარმოსახვის ძალით რომანად რომ უნდა გაშლილიყო და ფარნავაზის გვერდით გამოჩენილიყვნენ მისი და მელაინა და მრჩეველი კალამოსი, სამარა მამასახლისის განძის მცველი, რომელსაც ისე უნდა მოეწყო, რომ ფარნავაზს უნდა ეპოვნა გამოქვაბულში საიმედოდ დაცული ის განძეული და კიდეც აღესრულებინა თავისი ამქვეყნიური ვალი და მისია:

შეეკრიბა ლაშქარი, დაემარცხებინა და განედევნა დამპყრობელნი — აზო და მისი ჯარი — ეგრისის მთავრის ქუჯის დახმარებითაც, და შეექმნა ის ერთიანი სამეფო, რომელშიც უკვე აღარა იზრახებოდა სხვა ენა, თვინიერ ქართულისა.

ვასილ ბარნოვი სამარა მამასახლისის ვაჟს აირჩევდა თავისი მოთხრობის გმირად, მის მიერ შეთხზულ ღვაჟაგს: „შურისგება“ — და ლევან გოთუაც გარიდებოდა ფარნავაზის ამბავს და ისტორიის სიღრმეში ჩაფლულს მითრიდატე გამოერჩია თავის გმირად, რომანს „მითრიდატედ“ რომ დაასათაურებდა.

და რჩებოდა ფარნავაზის მღელვარე თავგადასავალი მხატვრული გააზრების გარეშე, ქართლოს კასრაძეს რომ უნდა მოენდომებინა ამ ხარვეზის ამოვსება. შესაძლოა რაღაც განსაკუთრებული ძალისა არ იყოს მისი რომანი „ფარნავაზი“, მაგრამ არც ისე მისაყრუებელია, როგორც ჩაიკარგებოდა.

ვერ შეეგუებოდა ტორესა მოსი ფარნავაზის სახელის მიბინარებას ყმაწვილთა თვალთახედვაში, და მარჯვე საბაბად გამოუჩნდებოდა გრაკლიანის წარწერების აღმოჩენა, გაუშიფრავის, წაუკითხავის, მაგრამ დაე მეცნიერული ძიებისათვის დაესწრო მხატვრულ გააზრებას და რომანიც შეშველებოდა ამ მიმართულებით კვლევის ინტენსიურობას, ასე თვალნათლივ, ასე ხელშესახებად რომ დასტურდებოდა ძველბერძნული წყაროებიდან შემორჩენილი ცნობა, კოლხეთში ჩამოსულ არგონავტებს წარწერები რომ დახვდებოდათ.

ეს გახლდათ მამაპაპათაგან ნაწერი კვირბები, რომლებიც მოგზაურებს უჩვენებდა ზღვისა და ხმელეთის ყველა გზასა და საზღვარს.

არგონავტების ამბავს ტორესა მოსის ამ რომანშიც უნდა გაეელვა: მითია თუ რეალობაო? — პერსონაჟები რომ ჩაფიქრდებიან, თუმც ამ გადმოცემის რეალურობა მწერალს იმ მხრივ უნდა გაეცხადებინა, მალაინა გრძნეულების ნიჭით რომ მომადლებულა და ამ ხელობასაც და მედიცინასაც მედეას მოწაფეთა მოწაფეთა მოწაფეთაგან და კიდევ მრავალთაგან რომ შეითვისებდა.

და ნიშანდობლივია, რომ:

ის ასო-ნიშნები, რაც გრაკლიანის გორაზეა ნაპოვნი, მალაინამ უნდა გამოსახოს სიმბოლოებად კარგად გაბრტყელებულ ცომზე გრძელი, წვერწამახული ჩხირით.

და კიდეც უნდა აღორძინდეს გამქრალი დამწერლობა, თორემ დამწერლობის გაქრობა მერედამერე ენის გაქრობასაც გამოიწვევდა და თან ჩაიყოლებდა უფსკრულში იმ მოდგმას, რომლის ნიშატიც და დედოძარღვიც კვლავინდებურად გადასარჩენია.

განგაშის ეს ზარი იდუმალადაც გამოსდევს „ორდროშობანას“ სიუჟეტს და ფინალისაკენ მკვეთრადაც უნდა იჩინოს თავი, რადგანაც ჩვენი წუთისოფელი ჯერაც არ აწყობილა ისე, მარტოდენ ლაღ, დაუოკებელ ფანტაზიებში ვიტრიალოთ და არ გვახსოვდეს ის საფრთხე, რასაც თვალს თუ მოვუხუჭავთ, ადვილი შესაძლებელია საბედისწეროდაც გადაგვექცეს.

ტორესა მოსის საყმაწვილო რომანი გამოიცემოდა სერიით „გაკვეთილების შემდეგ საკითხავი“ (პროექტის ავტორი გვანცა ჯობავა), და იმ მხრივაც საგულისხმოდ რომ გვევლინება, როგორი ჰარმონია შეიძლება არსებობდეს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, მხოლოდ ასე რომ მოხდება წარსულში მოგზაურობაც და კულტურისა და სულიერების გადარჩენისათვის ზრუნვაც.

ჯილდო „არსთა მესნევისათვის“

(დღიურის ფურცლებიდან)

ჩვენშიც უმეტესწილად ასეა:

ჯერ სხვებმა, უცხოელებმა უნდა დააფასონ ჩვენი სალიტერატურო თუ სახელოვნებო მონაპოვარი და მერეღა ავტეხოთ გნიასი და ჟივჟივი, მერეღა დავინახოთ და პატივიც მეტ-ნაკლებად შესაფერისი მივაგოთ.

თუმც ხდება გამონაკლისებიც.

აგერ კიდევ:

ირანის ისლამური რესპუბლიკის შაჰრიარის კულტურული და სამეცნიერო მედლის მიმნიჭებელი მეექვსე კონგრესის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მედალი ირანისტიკაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭებოდა

გიორგი ლობჟანიძეს.

საერთოდაც, და უშუალო საბაბი კი აღმოჩნდებოდა ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ამეტყველება ქართულ ენაზე.

ამჯერად ქართულ სალიტერატურო კრიტიკას არ დაეძრახებოდა, რადგანაც „არსთა მესნევის“ ორივე ტომი შეფასდებოდა, როგორც განსაკუთრებული მოვლენა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში, სანიმუშოც და ერთგვარი თარგიც სხვა მთარგმნელთა და კომენტატორთათვის.

ქართული კრიტიკა ამ შეფასებას გამოთქვამდა ჩემი რეცენზია - ესეების სახით, ფეისბუქის მკითხველიც რომ გაეცნობოდა და „ლიტერატურული გაზეთისა“ და „ახალი საუნჯის“ ფურცლებზეც გადაინაცვლებდა.

და თუ რაიმეს ვისურვებდი :

გამონაკლისი ეს კი არ ყოფილიყოს, არამედ უცხოეთში აღიარების შემდგომ დაფასება ჩვენი მწერლებისა და ხელოვანებისა.

ადამიანად ყოფნის მისტერია

(ანონსის მაგიერ)

არასოდეს მომკლებია რედაქტორთა თანადგომა და ყურადღება, განებივრებულ ავტორთა შორის რომ მოვხვდებოდი იმთავითვე.

დიახ, ასე იქნებოდა სალიტერატურო სარბიელზე ჩემი გამოსვლისთანავე.

და ასე გრძელდება დღემდე.

და გაკვირვებას რომ გამოთქვამენ ხოლმე ჩემი შემოქმედებითი ნაყოფიერებით, ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ესეც არის — განებივრება რედაქტორებისაგან.

ეს მაინც იშვიათად მომხდარა, „თეატრის“ წლევანდელ მეხუთე ნომერში რომ მერგებოდა პატივად:

ორი ჩემი ესეი და ერთიც ჩემზე.

ამ ორთაგან ერთი — „დიდი აღდგომის მოლოდინში“ — ჟანპოლ სარტრის პიესას ეძღვნება: „ალტონელი განდეგილები“ - ნინო ციმაკურიძის მიერ ამეტყველებულს ქართულად.

აქ ომის ფსიქოლოგია და ფილოსოფიაა გახსნილი იშვიათი ხელოვნებით, გერმანელთა მიერ მსოფლიო ომის წამოწყების მიზეზებს რომ ჩაუღრმავდებოდა სარტრი და უშორეს ძირებამდე ჩასვლა კაცობრიობის სატკივარსაც გადმოაშლევინებდა.

გახსნიდა, გააშიშვლებდა და კიდეც გვიბიძგებდა დიდი სულიერი ფერისცვალებისა და აღდგომისაკენ.

იმ განცდასაც რომ შემოგვაშველებდა, რაც ფსალმუნის სტრიქონად ჩაწურულიყო:

სიღრმეებიდან მოგიხმობ შენ, უფალოო!

კიდეც მიგვაახლოებდა მისტერიულ საზრისს და გვიბიძგებდა მხრებზე გვეტვირთა ჩვენი საუკუნე და ძნელად, გაჭირვე-

ბით, მაგრამ მაინც გვეზიდა დიდი გარდატეხის, ფერისცვალებისა და აღდგომის მოლოდინში.

საგანგებოდ აღვნიშნავდი ნინო ციმაკურიძის ქართულს, მართლაც იშვიათ მეტყველებას, ლექსიკურად მდიდარს, სინტაქსურად მოქნილსა და სტილურად დახვეწილს, თავანკარადაც რომ შეიძლება მოვიხსენიოთ.

მეორე სტატია კი — „ორნი ერთ სკამთან“ — მცირე რეპორტაჟი იქნებოდა მანანა დოიაშვილის პიესის — „სამნი ერთ სკამთან“ — სცენური ვერსიისა, რომელსაც თოჯინების თეატრში დადგამდა ხათუნა ბედელაძე და შეასრულებდა ორი მსახიობი: ფიქრია ნიქაბაძე და გიორგი ჯიქია — ღრმა ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე აგებულ დიალოგებს სრულფასოვნად რომ მოიტანდნენ მაყურებლამდე და მთელი სიმძაფრითაც შეგვაგრძნობინებდნენ ყოფითობის დიდ მისტერიასაც და ტრაგედიასაც, მანანა დოიაშვილის მხატვრული დაურიდებლობით წარმოსახულს, დაცემულობისა და სულიერი გამათხოვრების მოწმენი რომ უნდა გავმხდარიყავით.

დადგმას შევაფასებდი ნიმუშად იმისა, ასერიგად რაც გვენატრება ანუ:

სცენიდან გვესმის სიტყვა — მთელი თავისი სიღრმითა და სისავსით, მთელი თავისი ექსპრესიით და ასრულებს იმ დანიშნულებას, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი რომ დააკისრებდნენ სცენიდან წარმოთქმულ სიტყვას:

სპექტაკლს მოეგონებინა მაყურებლისათვის ამბიონი, და ეს თვით მაშინაც, როდესაც დადგმა შესაძლოა ყველაზე ნაკლებ ჰგავდეს ტაძრის გარემოს.

და აქვე დავურთავ იმ ღრმა შთაბეჭდილებასაც, რაც ცოტა ხნის შემდეგ უნდა მოეხდინა მანანა დოიაშვილის მონოდრამას „ვია დოლოროზა — ახალი ადამიანის ხმა“, ვახტანგ ნიკოლავას მიერ დადგმულს რადიოვერსიად, ფიქრია მიქაბაძეს ამჯერადაც რომ უნდა გამოეჩინა თავი და მეტი ტვირთიც აეზიდა, რაკიღა მონოსპექტაკლი მის მხრებზე უნდა გადასულიყო, უკიდურესად შემძვრელი სიუჟეტი, ბანალურიდან თანდათან რომ უნდა ამაღლებულიყო დიდ ტრაგედიად და რელიგიური სულითაც განმსჭვალულიყო იმ გადაკვეთაზე, ბიბლიური იობი რომ შეღაღადებს და შესჯახებია კიდეც მამაზეციერს.

ღმერთდაკარგული სამყარო ეძიებს უფალს.

ღმერთდაკარგული ადამიანი გულით ეგება წვეტიან რკინას, მაგრამ დანებებით არ ნებდება და კვლავინდებურად იბრძვის სულიერების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

ხოლო დავით ანდრიაძის ესეისათვის „ჭინჭრაქათა და დევთა ვნებანი...“ შთამაგონებელი უნდა გამხდარიყო ჩემი ბიოგრაფიული ნატეხების სერიის ახალი ნიმუში: „შექსპირული სიზმარი და კულისების ლაბირინთები“, რუსთაველის თეატრს რომ მიეძღვნებოდა, დაყრდნობით კი უმთავრესად დაეყრდნობოდა ნათელა არველაძის პუბლიკაციას საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის 1964 წლის 15-16 ივნისს გამართული პლენუმის ანგარიშისა; მოვლენისა, თავისებურ ნიშანსვეტად რომ უნდა შემორჩენოდა ჩვენი თეატრალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას.

ასე ადვილად რომ ვერ დამკვიდრდებოდა სიახლე ქართული თეატრის სცენაზე და მიხეილ თუმანიშვილს არ აპატიებდნენ არც უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრისა“ და არც გიორგი ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას“ დადგმას, ამის ირგვლივ დავით ანდრიაძე თავის მსჯელობასაც გაშლიდა და იმ გარემოებასაც წარმოაჩენდა, სცენის მიღმაც ლამის შექსპირული ტრაგედიები რომ თამამდებოდა, და ადამიანებს თავიანთი ჩრდილებისაც ეშინოდათ... მიხეილ თუმანიშვილს კი ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანდნენ.

ხელი მეცმადუნება, სხვა პუბლიკაციებსაც შევეხმიანო, განსაკუთრებით მაინც ეკა თხილავას ლიტერატურულ პორტრეტს „ვერიკო“, მაგრამ ამ ჩანაწერის ფარგალს არ მინდა გავცდე...

ტარიელ ხარხელაური ლეგენდურის მანტიით

(დღიურის ფურცლებიდან)

„ცოცხალი ლეგენდა პოეზიისა“ — შთამბეჭდავი სახელწოდებაა ჯილდოსი, რომელსაც დააწესებდა ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, შთამბეჭდავიც და გაბედულიც, რადგან ჟიურის წევრებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, იოლად რომ არ გაიმეტონ ეს ტიტული.

არადა სად გინდა მოძებნო პოეზიის ამდენი ცოცხალი ლეგენდა?

თუმც... რაკიღა ჯილდო საერთაშორისოა და მთელს მსოფლიოს გადაწვდება და მოიცავს, კიდეც შეიძლება გამოიძებნონ ის პოეტები, თავთავიანთ ქვეყნებში განსაკუთრებული ავტორიტეტი და პოპულარობა რომ მოუპოვებიათ.

იმ საყოველთაო აღიარებისათვის მიუღწევიათ, საქართველოში თუნდ ტარიელ ხარხელაურს რომ რგებია წილად.

თუ ვინმეს ამშვენებს სახალხო პოეტის სახელი, ტარიელ ხარხელაურს.

თუ ვინმეს ამშვენებს ელიტარული პოეტის სახელი, ტარიელ ხარხელაურს.

გარეგნულად ეს წოდებანი ორ პოლუსად მოჩანს, თუმც საუკეთესო გამოვლინებისას ძალდაუტანებლად გადაიკვეთებიან და ერთ ფოკუსში იყრიან თავს.

და თუ ვინმეს დაშვენდებოდა პოეზიის ცოცხალი ლეგენდის სახელიც და ჯილდოც, ტარიელ ხარხელაურს.

და კიდეც მიენიჭებოდა ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე.

ესეც ჩვენი პოეტური აზრისა და მდინარების კიდევ ერთი საქვეყნო აღიარება.

და ეს იმ შემოქმედის წყალობით, რომელსაც იატაკქვეშ უნდა გაევლო დაოსტატების რთული, ღრმა და მღელვარე ძიებებით აღსავსე გზა და დებიუტითვე ჩამოყალიბებულ პოეტად მოვლენოდა მკითხველ საზოგადოებას.

ეს დებიუტი მოხდებოდა დაგვიანებით — 30 წელს უნდა ყოფილიყო გადაცილებული უოლტ უიტმენივით, დიდ ამერიკელს იმ მხრივაც რომ დაემგვანებოდა, მასავით მთელს კაცობრიობას, მთელს სამყაროს რომ ჩაიხუტებდა გულში.

და ამ მხრივ უნდა დამსგავსებოდა ვაჟა-ფშაველასაც, თორემ ზერელე შეფასებაა ტარიელ ხარხელაურის მიჩნევა ვაჟას სკოლის პოეტად, რაკიღა პოეტიკით ისევე დაშორებია „ალუდა ქეთელაურის" შემოქმედს, როგორც ის დაშორებოდა ხალხურ პოეზიას, ამაოდ რომ ცდილობდნენ მათ დაკავშირებას ერთმანეთთან.

საერთო კიდევ ის აქვს ტარიელ ხარხელაურს ვაჟა-ფშაველასთან, რომ წარმოგვიდგება მისი ეპოსის გმირად, როგორც სულიერ ღირებულებათა უწყვეტობის შემნარჩუნებელი ჩვენს ღმერთდაკარგულ სინამდვილეში.

ამ ძარღვზე ამოზრდილა მისი პოეტური სამყარო, ერთნაირად რომ იპყრობს სხვადასხვა გემოვნებისა და მისწრაფების მკითხველს.

და როგორ არ გაგეხარდეს, როდესაც ტარიელ ხარხელაურის პოეტური სამყარო სახილველი ხდება შორსა და შორსაც, ხელშემწყობად ჩვენი პოეტური საგანძურის გატანისა და დამკვიდრებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, რომლის მონაწილედაც გვევლინება ტრაპიზონის ლიტერატურული ფესტივალიც.

პოემიდან ეპოპეამდე

(სადღეგრძელოს მაგიერ ნინი სანადირაძეს)

ნინი,

ამ რამდენიმე დღის წინათ საშუალება რომ მომეცემოდა, გულდასმით დამეთვალიერებინა გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი, ჩემს შთაბეჭდილებასა და აღტაცებას ამ ეპითეტში მოვაქცევდი:

ნამდვილი პოემაა.

პოემა იმიტომ, კომპოზიციურადაც სრულქმნილად რომ არის აწყობილი ყველაფერი თავით ბოლომდე და მისი დათვალიერება ჩვენი ყმაწვილებისათვის საგანმანათლებლო და ესთეტიკურ სკოლად იქცევა – დიდებული შემოქმედის ბიოგრაფიასაც მიადევნებენ თვალს, ეპოქის სულსა და ტრაგიზმსაც ჩაწვდებიან და „არტისტული ყვავილების“ – სიმბოლიზმის ამ სახარების – წაკითხვითაც დატკბებიან, ჭერზე 1919 წლის გამოცემის ასლი რომ აღბეჭდილა, და გულს აუთრთოლებთ გალაკტიონის ხმისა და სიმღერის უნიკალური ჩანაწერებიც.

ყველაფერი კი უნდა დაეგვირგვინებინა ბოლო კედელზე გამოღებული ფანჯრის სილუეტს, გალაკტიონი საიდანაც შეერთვოდა მარადისობას.

პოემების შექმნისათვის არა კმარა მხოლოდ ტალანტი, თავდადებული გარჯა არანაკლებ ესაჭიროება, ნიუანსობრივი გათავისება და შესაფერისად წარმოჩენა ყოველი შტრიხისა, გულს რომ ვერადავერ აჯერებ უკვე მოთავებულ ქმნილებას და აგრძელებ კირკიტსა და დაკვირვებას, ფიქრსა და ძიებას, რათა განზრახულს არა მოაკლდეს რა.

ესაჭიროება ის თავდადება, თქვენ რომ გამოიჩენდით, და ყოველდღიური ზრუნვა და მონდომება, გალაკტიონის შესაფერი რომ ყოფილიყო მისი საცხოვრებელი, აწ უკვე თაობებისათვის დიდი კერა სულიერი და ესთეტიკური აღზრდისა.

და პოემად მიჩნევა ამ გარემოსი, ძალდაუტანებლად მიბიძგებდა, რომ ილია ჭავჭავაძით ახალაღდგენილი სახლ-მუზეუმისთვისაც უფრო შესაფერისი სახელი მომეძებნა, უფრო ზუსტი და მეტაფორული განსაზღვრება, ვიდრე ის ზოგადი აღფრთოვანება გახლდათ, ამ კულტურულ-საგანმანათლებლო კერის დათვალიერებისას რომ გამიჩნდებოდა.

და შეიძლება ითქვას მასზე და:

ნამდვილი ეპოპეაა.

აქამდე ილიას სახლი-ეპოპეა მხოლოდ საგურამოში გვეგულებოდა, ამიერიდან კი თბილისიც უნდა დამშვენებულიყო ეპოპეისდარი გარემოთი.

როდესაც ზურგსუკან პოემა გეგულება, იქ შეძენილი გამოცდილებით ეპოპეასაც გაბედულად შეეჭიდები...

და მთავარი მაინც ისაა, რომ თქვენი გარჯის იმედად აღარც ეპოპეები მოგვაკლდება და აღარც პოემები.

შინაარსი

სახელთა ფოიერვერკად
(წინათქმის მაგიერ) 3

2019

გიორგი ლობჟანიძის მეცხრე კარი
(დღიურის ფურცლებიდან) 5
სიყვარულის მონოლოგი პოეტის მიმართ
(ეკა კვიციანის არაორდინარული დებიუტი) 7
ეს ჩვენი სტრატეგია
(ზაზა ბიბილაშვილის მახვილგონივრული სტრიქონი) 9
სიზმარ-ცხადის გასაყარზე
(დეპეშად ნინო სადღობელაშვილს) 11
არაბი პოეტის ტკბილქართული
(დღიურის ფურცლებიდან) 12
ახალი კალაპოტიც გაიჭრება
(ლელა სამნიაშვილი - „ჰამლეტის“ ახალმთარგმნელი) 14
მზის იდუმალი შუქით
(ბექა ხუცურაულის პირველი გამოფენა) 16
ლირიკულ შედევრთა შენამატად
(ანი კოპალიანი და ტომაზ სტერნზ ელიოტის კატები) 17
არ დაიჯეროთ ლირიკის უთარგმნელობა
(სია, რომელიც კვლავაც შეივსება) 19

2020

მარილი ქვეყნისაი
(გლოვის წუთებიდან) 21
ირაკლი სამსონაძის ტრილოგია
(ბოლოდროინდელი ქართული რომანისტიკა თვალის შევლებით) ... 22
სინათლის კედელთა საძიებლად
(ხიბლი პირველი რომანისა) 24
„ოსტატთან შეხვედრა“ ოსტატთან შესახვედრად
(ზაალ სამადაშვილის მინიატურული პროზა) 28
რომანი - ერეკლე მეორის საფერი
(ნოდარ მაჭარაშვილის ისტორიული რომანი) 30
დადიანური მადლით
(ელგუჯა თაებერიძეს სადღეგრძელოს მაგიერ) 34
ქებად ზარმაცების პოეზიისა
(შოთა იათაშვილი ახალი ასწლეულის მიჯნაზე) 39
ლიტურგიის პოეტური ხიბლი
(ნატო ინგოროყვას ლირიკული აღსარება) 42
გაგვიმძაფრა ცნობისწადილი
(დეპეშად ფრიდონ ქარდავას) 45
უცნაური გალობის ხიბლი
(ნინი ელიაშვილის არაორდინარული დებიუტი) 46
დრამატურგიული სვლა კოლორიტად
(რეპორტაჟი ნოველად) 49
ერთი პროსპერ მერიმე გახლდათ
(გლოვის წუთებიდან) 50
მაგალითად რომ დაუსახავ
(სადღეგრძელოს მაგიერ ზურაბ აზმაიფარაშვილს) 51
ყოფითი ტრაგედია ყაზბეგურ სიუჟეტად
(დეტექტივად გალაკტიონ ტაბიძე) 53
იქნებ მცირე პოემად
(შეღიმილებად ვახტანგ ღლონტთან) 55
სანამ კოლიას დაგიძახებენ
(დღიურის ფურცლებიდან) 57
უფალთან შეყრისას
(დღიურის ფურცლებიდან) 59

ნიავი იმ უკეთესი საქართველოდან
(სადღეგრძელოს მაგიერ მაკა ჯოხაძეს) 61
ხანდახან ისე ძნელია ღამე
(ლალი გულისაშვილის ლირიკული დღიური
რეზო ჭეიშვილის ხელთ) 63
ეს მართლაც ოქროს წიგნი
(ნარკვევის ანონსად) 66
პოლიტიკური აღდგომის წინამორბედი
(სახება და ღვაწლი გიორგი მაჩაბლისა) 69
მიხეილ ჯავახიშვილი - ხავსში ცეცხლივით
(ანონსის მაგიერ) 73
ჩემი მეგობარი ირაკლი
(სადღეგრძელოს მაგიერ ირაკლი ჯავახაძეს) 75
თავგადასავალი წიგნის მოსაპოვებლად
(დეტექტიური ნოველის ქარგად გამოსადეგი) 77
ფირფიტა ბნელში
(მართა ურუშაძის დებიუტი რომანისტიკაში) 78
ხატად დაკარგული ბავშვობისა
(ირაკლი შამათავას არაორდინარული დებიუტი) 82
პოსტპანდემიური ხანის მოლოდინში
(პაუზა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების
თავყრილობათა ციკლში) 86
მის აჩრდილსღა თუ გავუზიარებ
(სამძიმრად გელა ჩხეიძეზე) 88
ჩვენი უთვისტომობის დრამა
(ანონსის მაგიერ) 89
შენი ადგილიც ამიტომ დაგიმკვიდრებია
(სადღეგრძელოს მაგიერ
უმცროს კონსტანტინე გამსახურდიას) 93
უსოხუმო სოხუმელთათვის
(სალომე კაპანაძის ლიტერატურული ზღაპრები) 96
კორნელი კეკელიძის რეფორმატორული იდეები
(ანონსის მაგიერ) 98
ეს ხილვა არც ჩვენ უნდა დაგვეკარგოს
(ანონსის მაგიერ) 102

„ჩვენ სიყვარულზე ცოტა მეტი ვართ“
(თამაზ ბაძაღუასადმი მიძღვნილი კრებული) 104
ქართული ფაუსტიანას თავისებური გამოვლინება
(შეხმიანება ბექა ახალაიას ლექსთან) 107
აკაკის ცხოვრება ფერად ზღაპრად
(დღიურის ფურცლებიდან) 108
სტერეოტიპთა მსხვრევის მელოდია
(დღიურის ფურცლებიდან) 112
ლურსმნები ხელისგულებზე
(ნიკა ლაშხიას პოეტური მრწამსი) 114
მზის საფეხურებიდან მთვარის ნაპერწკლებამდე
(ანონსის მაგიერ) 118
გზაკეთილი: „ლიტერა მთარგმნელებისთვის“
(დღიურის ფურცლებიდან) 121
ოლიმპო აგვისტოს ნათელში
(დღიურის ფურცლებიდან) 124
ხილვანი სიზმართა სათავისა
(ია ჯინჭარაძის უცნაური ლირიკა) 127
მაგალითი ჟურნალისტის ღირსებისა
(სადღეგრძელოს მაგიერ თეა ყიფშიძეს) 131
როცა პიროვნება სტილია
(სადღეგრძელოს მაგიერ კახმეგ კუდავას) 132
ბარათაშვილურ ეპისტოლეთა გზასავალზე
(მაია ცერცვაძის მონოგრაფიული თხზულება) 134
გიორგი ლეონიძეც მზის შვილად
(ანონსის მაგიერ) 142
არ დაგცდომია ერთიცა
(კიდევ ერთ დეპეშად ნინო სადღობელაშვილს) 145
გონივრული გადაწყვეტილება იქნება
(მეგობრულ რჩევად) 147
ხილვა ქალდეასი
(ანონსის მაგიერ) 148
ავტობიოგრაფიული რომანი ვახტანგ ჯავახაძისა
(დღიურის ფურცლებიდან) 151

სოლომონ დოდაშვილის კვალზე
(დღიურის ფურცლებიდან) 154
ბიოგრაფია ალექსანდრე ორბელიანისა: ამბავთა სერიად
(ეპიზოდი წიგნის ფესტივალის ცხოვრებიდან) 157
ჰენრი ფილდინგის გაქართველების მოლოდინში
(დღიურის ფურცლებიდან) 160
„დუბლინელებზე“ მსჯელობისას აგონდებოდეთ
(სადღეგრძელოს მაგიერ ზაალ სამადაშვილს) 163
ექიმ-პროზაიკოსთა კოჰორტიდან
(სადღეგრძელოს მაგიერ ჯანო ჯიქიძეს) 165
ყელში მობჯენილი გულით
(საქართველოს ტრაგიკული ლანდი) 166
ალექსანდრე ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანისა
და სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებანი
(მეგ ზურად - მაგდა ჭიქაბერიძის მონოგრაფია) 168
პალენდრომი ვარიანის სანახებიდან
(ანონსის მაგიერ) 174
ნისლიდან ამომზევებული უჩვეულო სამყარო
(თბილისის აჩრდილები ოთარ ჩხეიძის თვალთახედვით) 177
სადა ხარ, ჩემო ელიკო?!
(დღიურის ფურცლებიდან) 181
ბაზალეთის ტბაში ჩასაყვინთად
(სადღეგრძელოს მაგიერ ნაირა გელაშვილს) 183
დაე „ფიროსმანითაც“ გაგვიცნონ დასავლეთში
(სადღეგრძელოს მაგიერ შორენა ლებანიძეს) 185
დაჩაგრული მოთხრობების საპატრონოდ
(დღიურის ფურცლებიდან) 187
საბრალოსა საუბრისად
(დღიურის ფურცლებიდან) 190
შენისთანა ძმა მისცა ყველას
(სადღეგრძელოს მაგიერ პაატა ჩხეიძეს) 192
ავტობიოგრაფიული რომანი
ნეკროლოგიდან ამოფხეკილ წლებზე
(ანონსის მაგიერ) 193

წარმატებული გარღვევა დასავლეთისაკენ
(დეპეშად შოთა იათაშვილს) 197
ოჯახიშვილობის მადლი
(სადღეგრძელოს მაგიერ ლაშა თაბუკაშვილს) 199
ასწლოვანი თარიღისა და მეგვარტომეობისათვის
(დღიურის ფურცლებიდან) 201
რას ბუბუნებენ თუშეთის ტყეები
(შეხმიანება გიორგი იჩუაიძის „თუშეთთან“) 206
მუზა გიორგი ლობჟანიძისა
(დღიურის ფურცლებიდან) 215
პოეტი და მეცნიერი
(სადღეგრძელოს მაგიერ დოდო ჭუმბურიძეს) 217
„გვიანი მგზავრის“ შემოფეთება
(ეკა ქაჯაიას ცხრამეტწლიანი დუმილის ნაყოფად) 223
სინანულისათვის
(დღიურის ფურცლებიდან) 228
ტრადიციიდან ტრადიციამდე
(რონალდ თოფჩიშვილის ეთნოლოგიური პორტრეტები) 231
თელავური მადლი, თელავური გაკვეთილები
(სადღეგრძელოს მაგიერ როინ ჭიკაძეს) 239
ნამი ბალახის ფოთლებზე
(ნატერა ნანა ეხვაიასი) 241
ქართლის ჭირის მემატიანედ
(გურამ გეგეშიძის ექვსტომეული) 246
შთამბეჭდავიც, საქმიანიც, ნაყოფიერიც
(დღიურის ფურცლებიდან) 250
სიზმრად ნანახი სიზმრები
(რუსუდან რუხაძის მოთხრობების კრებული) 254
ისტორიული ჭეშმარიტება და საკრალური სინამდვილე
(შეხმიანება ხვთისო მამისიმედიშვილის
„საკრალურ ისტორიებთან“) 259
ბარაქიანი მოსავალი „ბარაქიანი მიწისა“
(დღიურის ფურცლებიდან) 266
ია, ვარდი და ბზა
(დღიურის ფურცლებიდან) 270

2021

ჩვენი დროის ოდისეა
(სადღეგრძელოს მაგიერ გიგლა ბარამიძეს) 274
თხუთმეტ საუკეთესოს შორის
(დეპეშად გიორგი ლობჟანიძეს) 276
მარცვალ-მარცვალ ბიოგრაფიული მარგალიტები
(ნიკოლოზ ბარათაშვილის სახება ასი ამბის ჩარჩოდან) 278
ლინგვისტური ძიებანი რომანად
(ანონსის მაგიერ) 285
ის ძველი, შორითშორეული ხმები
(ანონსის მაგიერ) 289
როცა კაცი ამშვენებს ჯილდოს
(დეპეშად ნიკა წულუკიძეს) 296
გაბედულ ჰიპოთეზათა კვალზე
(სადღეგრძელოს მაგიერ ლადო ჭელიძეს) 298
ნეკროფილობა და მისი ნიღაბი
(დღიურის ფურცლებიდან) 300
ფრთები, ფრთები გვინდა
(გლოვად მარიამ მღებრიშვილისა) 303
ფარული ინსპირატორი
(სადღეგრძელოს მაგიერ ნიკა სანებლიძეს) 305
მოლოდინი მარადქალურის გამოცხადებისა
(ანონსის მაგიერ) 307
იდუმალ სიოდ პოეტური ზეიმისა
(სადღეგრძელოს მაგიერ ლაშა გვასალიას) 311
ლიოსას კიდევ ერთი მეგზური
(დღიურის ფურცლებიდან) 313
სცენას რარიგ დამშვენდება
(დეპეშად ელგუჯა თაბერიძეს) 315
გვერდი-გვერდ: ესეი და თარგმანი
(ანონსის მაგიერ) 317
შექსპირს როგორც წარმოესახა
(ანონსის მაგიერ) 320
საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის
(ორიენტირად ჩარლზ დიკენსი და იაკობ გოგებაშვილი) 323

სტერეოტიპის ჰიპნოზური ძალა
(დღიურის ფურცლებიდან) 331
ლამპარი ჩაუქრობელი
(ამბროსი ხელაიას სარევიზიო ანგარიშის კვალზე) 336
ეს მართლაც სენსაცია
(დღიურის ფურცლებიდან) 343
აბა როგორ გინდა!
(სადღეგრძელოს მაგიერ გიორგი ლობჟანიძეს) 345
პოეზია თემურ ნიკოლაძის ფოტოებისა 347
ერთი, უსათუოდ ერთი
(დღიურის ფურცლებიდან) 349
ბულბულის მონატრება სამოთხეში
(დეპეშად ნათია გიორგაძეს) 351
ვით სამართებლის ალესილ პირზე
(ირინა ტაბაღუას უჩვეულო დებიუტი) 352
მზისმეტყველება ანას ხილვებისა
(ანონსის მაგიერ) 358
ბულვარის ხატად, ბულვარის საგალობლად
(მცირე მატიანე ელგუჯა თავბერიძისა) 363
„ოქროს წიგნის“ ოდისეა გაგრძელდება
(ანონსის მაგიერ) 367
მარცვალ-მარცვალ გადარჩენილი სულიერება
(ანონსის მაგიერ) 371
ხოლო დღეს, აქ...
(დღიურის ფურცლებიდან) 375
არაგვის ხეთა ჩრდილებში
(სადღეგრძელოს მაგიერ მარიამ წიკლაურს) 377
დიკენსიანას აღორძინება
(დღიურის ფურცლებიდან) 379
განა რამე
(დღიურის ფურცლებიდან) 381
დახვეწილი და ფეთქებადი თხრობით
(დეპეშად ეკატერინე ტოგონიძეს) 385
ჩვენი ცხოვრება სკილასა და ქარიბდას შორის
(დღიურის ფურცლებიდან) 387

გარეგნული ქარგაც კოშკს დასადარი
(გალაკტიონოლოგიის კიდევ ერთი შენაძენი) 390
სნობური სულის ბრწყინვალება და სიღატაკე
(დღიურის ფურცლებიდან) 393
33 წვეთად სისხლისა
(დღიურის ფურცლებიდან) 397
„პირველი სხივის“ პირველი შეფასება
(დღიურის ფურცლებიდან) 400
საკუთარი თავით უკმარისობის განცდა
(სამადლობლის მაგიერ) 403
ალეპოს ნანგრევებში
(დღიურის ფურცლებიდან) 404
გადახსნილი სივრცე ქართული სიტყვისათვის
(სიახლის კვალზე) 407
და წვიმა ვერ შლის ნაკვალევს
(დისერტანტთა დასახმარებლად) 410
დაშვენდება ივანე აბაშიძის მემორიალი
(სიახლედ ქუთათურთა ბულვარის ცხოვრებაში) 413
ჭრილობები ხელისგულზე
(ქეთი გაბინაშვილის წარმატებული დებიუტი რომანისტიკაში) 416
პარადოქსის სიკეთე და სილამაზე
(დღიურის ფურცლებიდან) 421
ხსნის გზად: სიყვარულის აპოთეოზი
(დღიურის ფურცლებიდან) 425
ვარსკვლავები ხის ტოტებზე
(იაპონური ნიღბის მიღმიდან) 428
უმცროსი ძმა რომ წამოგესწრება
(სადღეგრძელოს მაგიერ ზვიად კვარაცხელიას) 434
ექვსტომეული რვა მოხსენების ქარგად
(ანონსის მაგიერ) 436
ნიშანსვეტად: 1942 წლის შეთქმულება
(77 ეპიზოდის კოლექციად) 438
პუბლიცისტის დაბადება
(დღიურის ფურცლებიდან) 440

დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აუცილებელია
(სადღეგრძელოს მაგიერ ლიკა თეგეტაშვილს) 443
მოლოდინში
(დღიურის ფურცლებიდან) 445
შენი ბედისწერის ჯვარი
(ეკატერინე ტიგინიძის ახალი რომანი) 446
გზა უხილავი, გზა ხილული
(დღიურის ფურცლებიდან) 452
არტისტიზმი ქართული სულისა
(ანონსის მაგიერ) 454
გზაკეთილი კიდევ ერთ დებიუტანტს
(ანონსის მაგიერ) 458
აზრისა და სიტყვის სილამაზის ძიებაში
(ლია კარიჭაშვილის რუსთველოლოგიური ნარკვევები) 460
მიახლებად „არსთა მესნევისთან"
(დღიურის ფურცლებიდან) 466
ვით პირველი ქრისტიანები
(დღიურის ფურცლებიდან) 469
„დამწყები": როგორც გულისჭიდილი
(„ხუმარსწავლა" მაქსიმალისტურობის სათავედ) 471
ბგერის გრაფიკა
(ნათია გიორგაძის ლირიკული გზასავალი) 478
„ბორიაყი": გამონათების ნიმუშად
(დღიურის ფურცლებიდან) 482
მონანიება - მომხიბლავ შტრიხად
(სამეცნიერო სესიათა კიდევ ერთი რგოლი) 484
ხაშურიდან გადახსნილი ფანჯრები
(დღიურის ფურცლებიდან) 488
მეგზურად და ორიენტირად
(წიგნი-ფიქრი რევაზ სირაძისა) 491
ვარსკვლავთა დერეფნებში
(თამარ არდიშვილის ლირიკული დღიური) 495
ანდერძი - ზარების რეკვად
(ორი ლექსის სივრცე) 500

მოლეკულათა სამყარო და მათი მინდია
(„ქიმიური რე-აქციები" ნოველების ასხმულად) 504
წარუვალობა წარმავალისა
(დებიუტი ოკეანის გაღმიდან) 512
პაპულია, აკადემია, მთაწმინდა
(რჩევა-განცხადება) 518
აპოთეოზი სიკვდილ-სიცოცხლისა
(ნინო სადღობელაშვილის რომანი „დაბადების დღე") 519
ორი პოეტი - ორიოდ შტრიხით
(წინათქმის მაგიერ) 521
ანთოლოგია - უკვდავების თავდებად 523
ქარგა პოლემიკური, მრწამსი ერთიანი
(ანონსის მაგიერ) 527
უშიშრად - საკუთარი სულის წიაღში
(დღიურის ფურცლებიდან) 531
ლიტერატურული კულუარებიდან ავანსცენაზე
(ვასილ ბესელიას პოეტური მადლი) 534
საწინდრად შორეული გზებისა
(დღიურის ფურცლებიდან) 536
ოქრო - საკუთარი შტამპით
(ანონსის მაგიერ) 538
რა ვიცით ჩვენს მამებზე?
(ბელა ჩეკურიშვილის სევდის ზარი) 541
ზღაპარქალაქის კარიბჭესთან
(დეპეშად ნინო ქადაგიძეს) 546
ატმის ბაღი: ნუგეშად და მონატრებად
(ნესტან ეგეტაშვილის ნაგვიანევი დებიუტი) 548
ჭაშნიკად: „ტომ ჯონსის, ნაპოვარას ამბავი"
(დღიურის ფურცლებიდან) 555
კულისები: სიმართლის საძირკვლად
(ანონსის მაგიერ) 558
საზოგადოება ვერ უნდა შეელიოს
(დღიურის ფურცლებიდან) 561
პარლამენტი, მწერალთა თვალთახედვით
(ანონსის მაგიერ) 563

მოვალეობად: წარმოჩენა ლიტერატურული სკოლებისა
(თეზისური მონახაზი) 565
ეს უჩვეულო, უცნაური ჟანრი
(ანონსის მაგიერ) 567
კატარელებს რატომ უნდა დაესწროთ
(დღიურის ფურცლებიდან) 571
ხმლით და კალმით
(სეხნია - ჩხეიძეთა ქართლის შტოდან) 573
ვინ დაეწაფება დასაწეფებელსა?!.
(ოთარ ჩხეიძის წინასწარჭვრეტათა კოლექციიდან) 577
ბავშვში ბავშვის გადასარჩენად 581
გოვარდჰანას საიდუმლო
(ალეკო შუღლაძის კონტრასტების რომანი) 583
მელიქიშვილის გამზირი
(პოეტური სიტყვის დასაფასებლად) 588
პერსონაჟი - ჩემი ძმობილი
(შეხმიანება ოლგა ტოკარჩუკთან) 590
ჭაშნიკად: ორი ხასიათი
(ხავიერ მარიასთან შეხვედრის მოლოდინში) 592
ნოვალისი რომ აგონდებოდა
(ბასილ მელიქიშვილის მხატვრული ნაღვაწი ერთ კონად) 594
ორი რომანი, ორი ოაზისი
(ანოსის მაგიერ) 598
ფარნავაზი - საყმაწვილო რომანის გმირად
(ტორესა მოსის მოგ ზაუროპა დროში) 602
ჯილდო „არსთა, მესნევისათვის“
(დღიურის ფურცლებიდან) 605
ადამიანად ყოფნის მისტერია
(ანონსის მაგიერ) 606
ტარიელ ხარხელაური ლეგენდური მანტიით
(დღიურის ფურცლებიდან) 609
პოემიდან ეპოპეამდე
(სადღეგრძელოს მაგიერ ნინი სანადირაძეს) 611